შოთა ვადაჭკორია

ახალგაზრდობის ანტიპროლეტარული ორგანიზაციების კრახი საქართველოში

(1917—1925 წწ.)

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი, 1987

63.3(21)
ბ 126

ნაშრომში ნაჩვენებია ბრძოლა „ახალგაზრდა მარქსისტთა“, „ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა“ და „ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატთა“ წვრილბურჟუაზიული და ბურჟუაზიული ორგანიზაციების წინააღმდეგ; მხილებულია მათი სოციალ-პოლიტიკური შეხედულებანი, ანტისაბჭოური საქმიანობა. განზოგადებულია აღნიშნულ ორგანიზაციათა წინააღმდეგ საქართველოს კომკავშირის იდეური ბრძოლის გამოცდილება, ნაჩვენებია ამ ანტიპროლეტარული ორგანიზაციების იდეური გაკოტრება.

ნაშრომი განკუთვნილია ისტორიკოსებისათვის. იგი დიდ დახმარებას გაუწევს აღნიშნული საკითხით დაინტერესებულ მკითხველებს.

რედაქტორი გ. მუჩაიძე
რეცენზენტები: ლ. თოიძე, ა. წოწკოლაური, რ. ჯანაშია.

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1987

В 0505040000
М 608(06)87

ვუძღვნი ჩემი ძმის ოთარ ილიას
ძე ვადაჭკორიას ნათელ ხსოვნას

ა ვ ტ ო რ ი

შ ე ს ა ვ ა ლ ი

საკითხის დაყენებისათვის. ისტორიოგრაფია და ძირითადი წყაროების მიმოხილვა

ს ა კ ი თ ხ ი ს დ ა ყ ე ნ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლის პერიოდში, ახალგაზრდობის ანტიპროლეტარული ორგანიზაციების მცდარი იდეური მსოფლმხედველობის ყოველმხრივ კრიტიკულ შესწავლასა და მასთან დაკავშირებული პირველადი წყაროების მეცნიერულ ანალიზს უდიდესი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. წინამდებარე ნაშრომში ფართოდაა წარმოდგენილი ახალგაზრდობის წვრილბურჟუაზიული და ბურჟუაზიული ორგანიზაციების წინააღმდეგ საქართველოს კომკავშირის იდეური ბრძოლა, გაკრიტიკებულია ახალგაზრდობის ანტიპროლეტარული ორგანიზაციების ანტიმარქსისტული კონცეფციები. პირველადი წყაროების საფუძველზე ნაჩვენებია „ახალგაზრდა მარქსისტთა“, „ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა“ და „ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატთა“ სოციალ-პოლიტიკური შეხედულებები, მხილებულია ამ ორგანიზაციათა წვრილბურჟუაზიული და ბურჟუაზიული მსოფლმხედველობა.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ აღნიშნულ ორგანიზაციათაგან „ახალგაზრდა მარქსისტები“ და „ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტები“, თავიანთ თავს სოციალისტურს უწოდებდნენ. სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად იყო სოციალისტური სოციალ-დემოკრატებისა და სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიების შეხედულებები, მაგრამ ცოტაა ნათქვამი ამ მიმართულებით „ახალგაზრდა მარქსისტთა“ და „ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა“ ორგანიზაციების შესახებ. ვითვალისწინებთ

ია ამ გარემოებას. ნაშრომში ჩვენ ამ საკითხზე სპეციალურად ვამახვილებთ ყურადღებას. საკითხის გასარკვევად ვეყრდნობით ვ. ი. ლენინის ფუძემდებლურ მითითებებს, კერძოდ, მის ცნობილ დებულებას, რომელიც მან 1918 წელს მოსკოვის პარტიულ მუშაკთა კრებაზე გაკეთებულ მოხსენებაში განავითარა. პარტიის ბელადი, ეხებოდა რა წვრილბურჟუაზიული პარტიებისა და ორგანიზაციების სოციალისტობის საკითხს, მიუთითებდა: „მათი სოციალისტებად მიჩნევა შეცდომაა, სოციალისტები ისინი, შეიძლება ითქვას, მხოლოდ ფრაზეოლოგიითა და მოგონებებით იყვნენ"[1].

ვ. ი. ლენინის აღნიშნული მითითება შეიძლება მთლიანად გავრცელდეს „ახალგაზრდა მარქსისტთა" და „ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა" ორგანიზაციების მიმართ. წყაროების შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ აღნიშნულ ორგანიზაციებს სოციალიზმთან თითქმის არაფერი ჰქონდათ საერთო, რომ მათი სოციალიზმი მშრომელთა მოსატყუებლად შექმნილ ბუტაფორიას წარმოადგენდა. ნაშრომში ვ. ი. ლენინის ფუძემდებლურ დებულებებზე დაყრდნობით ნოცემულია აღნიშნულ ორგანიზაციათა დასაბუთებული კრიტიკა. განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული ანტიპროლეტარული ორგანიზაციების წინააღმდეგ კომკავშირის იდეოლოგიური ბრძოლის ფორმებზე.

ახალგაზრდობის ანტიპროლეტარული ორგანიზაციების წინააღმდეგ საქართველოს კომკავშირის იდეური ბრძოლის ისტორიის გაშუქებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ დიდ ზემოქმედებას, რომელსაც იდეოლოგიური ბრძოლის წარმატებით წარმართვის სფეროში პარტიის მდიდარი გამოცდილება ახდენდა კომკავშირულ ორგანიზაციაზე.

ანტიპროლეტარული ორგანიზაციების საქმიანობისა და მისი მსოფლმხედველობის სრულად წარმოჩენის მიზნით, აუცილებლობას წარმოადგენს დაწვრილებით იქნას გაანალიზებული ფაქტობრივი მასალა, რომელიც კომკავშირულ და ახალგაზრდობის ანტიპროლეტარულ ორგანიზაციათა პრესის ფურცლებზე ქვეყნდებოდა. მათი ერთმანეთთან კრიტიკული შეჯერება საშუალებას მოგვცემს გაირკვეს საქართველოში მოქმედი ახალგაზრდობის თითოეული ორგანიზაციის ძირითადი მიმართულება. აუცილებელია ნაჩვენები იქნას იმ სირთუ-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 28, გვ. 240.

ლ'ეების დაძლევისათვის გამოყენებული ფორმები და მეთოდები, რომლებიც საქართველოს კომკავშირმა მოიმარჯვა იდეოლოგიურ ფრონტზე ახალგაზრდობის ანტიპროლეტარული ორგანიზაციების წინააღმდეგ ბრძოლის დროს.

ახალგაზრდობის ანტიპროლეტარული ორგანიზაციების წინააღმდეგ საქართველოს კომკავშირის იდეური ბრძოლის შესწავლის გარეშე ყოვლად შეუძლებელია სრულად იქნას წარმოდგენილი კომკავშირის მოღვაწეობის ისტორია. შეუძლებელია ღრმად გაეერკვეთ და პეცნიერულად ავხსნათ არა მარტო ახალგაზრდობის, არამედ საერთოდ წვრილბურჟუაზიული და ბურჟუაზიული ორგანიზაციების გაჩოტრებისა და კრახის კანონზომიერებები. აგრეთვე აღნიშნული საკითხის სრულყოფილად შესწავლა დაგვეხმარება თანამედროვე რევიზიონისტული იდეოლოგიის წინააღმდეგ იდეურ ბრძოლაში.

ცნობილი ფაქტია, რომ საერთაშორისო რევიზიონისტულმა იდეოლოგიამ მძაფრი იერიში მიიტანა მარქსისტულ-ლენინურ შეხედულებებზე — ახალგაზრდობის როლის შესახებ კომუნისტურ მშენებლობაში. საქმე იმაშია, რომ კომუნიზმის მტრები მოზარდ თაობაზე იდეოლოგიურ ზემოქმედებას განიხილავენ როგორც პირველხარისხოვან და გადაუდებელ ამოცანას. ისინი ყოველმხრივ ცდილობენ „გააუფერულონ ახალგაზრდობის მიმართ პარტიისა და კომკავშირის დამსახურება, უნდობლობა დათესონ „მამათა“ და „შვილთა“ შორის. ხელი შეუშალონ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობას. დასახული მიზნის მისაღწევად თანამედროვე რევიზიონისტებმა, რომლებიც მისწრაფვიან ააღორძინონ მენშევიკური შეხედულებები, ანტიკომუნიზმი მოიმარჯვეს, რომელიც „გააფთრებით ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ პროგრესს. ცდილობს როგორმე შეაჩეროს ისტორიის ჩარხი, ძირი გამოუთხაროს სოციალიზმის პოზიციებს. აიღოს სოციალური რევანში მსოფლიო მასშტაბით.“[1]

ამ მიმართულებით ბურჟუაზიულმა იდეოლოგიამ თავისი ძალები მოსინჯა ჯერ კიდევ ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს შექმნისთანავე. საბჭოთა სინამდვილის გაყალბების მიზნით, მან იდეურად გააერთიანა იმპერიალისტური სამყაროს მთელი პრესა. ეხებოდა რა აღნიშნულ საკითხს ვ. ი. ლენინი 1918 წელს საბჭოების სრულიად რუ-

[1] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა (ახალი რედაქცია), თბ., 1986, გვ. 23.

სეთის VI საგანგებო ყრილობაზე საბჭოთა ადამიანებს მოაგონებდა, რომ „არ არის ისეთი სიცრუე და ცილისწამება, რომელიც ამ პრესამ არ გაავრცელოს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ახლა შეიძლება ითქვას, რომ ინგლის-საფრანგეთისა და ამერიკის მთელი პრესა კაპიტალისტების ხელშია, — ხოლო იგი მილიარდებს ატრიალებს, — რომ მთელი ეს პრესა მოქმედებს, ვით ერთი სინდიკატი, რომ დამალოს სიმართლე საბჭოთა რუსეთის შესახებ, რომ გაავრცელოს სიცრუე და ცილისწამება ჩვენს წინააღმდეგ"[1].

უნდა შევნიშნოთ, რომ საბჭოთა სახელმწიფოს არსებობიდანვე მის წინააღმდეგ ბურჟუაზიული სამყაროს მიერ დაწყებულმა იდეოლოგიურმა ბრძოლამ, როგორც ზემოთაც გვქონდა მითითებული, ღღეისათვის გაათკეცებული და კიდევ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო. ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში მ. ს. გორბაჩოვს, როდესაც ბან, სკკპ XXVII ყრილობაზე მიუთითა, რომ „ჩვენ საქმე გვაქვს გაწაფულ კლასობრივ მოწინააღმდეგესთან, რომლის პოლიტიკური გამოცდილებაც მრავალფეროვანია და საუკუნეებს ითვლის. მან შექმნა თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი მასირებული პროპაგანდის გიგანტური მანქანა, რომელსაც სოციალიზმის გამოწვრთნილ მოძულეთა უზარმაზარი აპარატი ემსახურება"[2].

სწორედ მასზე დაყრდნობით, ბურჟუაზიული იდეოლოგიის მესვეურნი, მშრომელთა მოტყუების მიზნით, ყოველმხრივ ცდილობენ „რადაც უნდა დაუჯდეს, შეალამაზოს კაპიტალიზმი, მიჩქმალოს მისი ბუნებრივი ანტიადამიანურობა და უსამართლობა, თავს მოგახვიოს ცხოვრებისა და კულტურის თავისი სტანდარტები, ყოველნაირად გათათხოს სოციალიზმი, გააუკულმართოს ისეთ ღირებულებათა აზრი, როგორიც არის დემოკრატია, თავისუფლება, თანასწორობა, სოციალური პროგრესი".[3]

თანამედროვე წვრილბურჟუაზიული რევიზიონისტული იდეოლოგია, რომელიც სოციალისტური სისტემის წინააღმდეგაა მიმართული, ძირითადად მენშევიკურ იდეოლოგიაზეა დაფუძნებული, რომლის

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 28, გვ. 185.

[2] მ. ს. გ ო რ ბ ა ჩ ო ვ ი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობას, თბ., 1986, გვ. 150.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 149 — 150.

ძესვეურები თავის დროზე ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობას უდიდეს საფრთხეს უქმნიდნენ. ცნობილი ფაქტია, რომ სკკპ მუდამ დაუნდობლად და თანამიმდევრულად იბრძოდა ამგვარი იდეოლოგიის წინააღმდეგ. ამ საქმეში თავისი წვლილი საქართველოს კომუნისტურმა პარტიამაც შეიტანა, რომელსაც განუყრელად ედგა გვერდით მისი აქტიური თანაშემწე — საქართველოს კომკავშირი. საქართველოს კომკავშირმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, მენშევიკური იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი და სახელოვანი გზა განვლო. ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ საქართველოს კომკავშირის იდეური ბრძოლა ძირითადად მიმდინარეობდა ახალგაზრდობის ანტიპროლეტარული ორგანიზაციების წინააღმდეგ. თანამედროვე რევიზიონისტული იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლაში გამარჯვების მიღწევისათვის აუცილებელია, პირველ რიგში, შესწავლილი იქნას მისი წარსული იდეოლოგიური მემკვიდრეობა, რადგან წარსულში იმალება ამ იდეოლოგიის ჭეშმარიტი გასაღები. ვითვალისწინებთ რა ამ გარემოებას, შევეცდებით იმ დიდი იდეოლოგიური ბრძოლის ისტორიიდან, რომელსაც საქართველოს კომუნისტური პარტია და კომკავშირი ახორციელებდნენ, გავაშუქოთ ერთი კონკრეტული საკითხი, რომელიც ახალგაზრდობის ანტიპროლეტარული ორგანიზაციების წინააღმდეგ საქართველოს კომკავშირის იდეურ ბრძოლას შეეხება. მისი შესწავლა ახალგაზრდობას საშუალებას მისცემს, ერთის მხრივ, გაარკვიოს ამა თუ იმ ორგანიზაციის პოლიტიკური კრედო და მისი დამოკიდებულება საზოგადოების შიგნით არსებული კლასებისადმი, მეორეს მხრივ, იგი ხელს უწყობს ახალგაზრდობაში კლასობრივი თვითშეგნების ჩამოყალიბებას. ეხებოდა რა კლასთა პოლიტიკური ბრძოლის საკითხებს ვ. ი. ლენინი, ნაშრომში — „სოციალისტური პარტია და უპარტიო რევოლუციურობა“ მიუთითებდა, რომ „კლასებს შორის ბრძოლა, თავისი განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე, აუცილებლად პოლიტიკურ ბრძოლად იქცევა. კლასთა პოლიტიკური ბრძოლის ყველაზე მთლიანი, სრული და ჩამოყალიბებული გამოხატულება პარტიათა ბრძოლაა“[1].

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 10, გვ. 77.

ახალგაზრდობის ანტიპროლეტარული ორგანიზაციების წინააღმდეგ. აღნიშნულმა პროცესმა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციიდან მოკიდებული საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლის წლებში განსაკუთრებით თავისებური სახე მიიღო. ეს თავისებურება ძირითადად ახალგაზრდობის ანტიპროლეტარული ორგანიზაციების იდეურ-პოლიტიკურ ბრძოლასთან ერთად მათი ანტისაბჭოური საქმიანობით გამოიხატა.

ს ა კ ი თ ხ ი ს ი ს ტ ო რ ი ო გ რ ა ფ ი ა. ახალგაზრდობის ანტიპროლეტარული ორგანიზაციების წინააღმდეგ საქართველოს კომკავშირის იდეური ბრძოლის საკითხი ფართო პრობლემაა. მიუხედავად ამისა, იგი დღემდე სპეციალური კვლევის საგანი არ გამხდარა. მართალია, ჩვენი საკვლევი პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში ასე თუ ისე შესწავლილია საქართველოს კომკავშირის ისტორიის ძირეული საკვანძო საკითხები, ზოგიერთი მათგანი მონოგრაფიულადაცაა დამუშავებული, მაგრამ მათი ავტორები არა საგანგებოდ. არამედ კომკავშირის ისტორიის სხვა საკითხთა შორის ზოგადად განიხილავენ ახალგაზრდობის ანტიპროლეტარული ორგანიზაციების წინააღმდეგ საქართველოს კომკავშირის იდეური ბრძოლის ზოგიერთ საკითხს. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ჩვენი თემის ირგვლივ არსებული ლიტერატურა შეიძლება დაიყოს ორ ძირითად ჯგუფად: 1. კომკავშირის ისტორიისადმი მიძღვნილი სპეციალური ლიტერატურა და 2. არასპეციალური ლიტერატურა, რომელშიაც პარტიის მოღვაწეობის ისტორიის გვერდით მოცემულია კომკავშირის ისტორიის ამსახველი ზოგიერთი საკითხი. ჩვენ შევეცდებით ქრონოლოგიური თანამიმდევრობით განვიხილოთ როგორც სპეციალური, ისე არასპეციალური ლიტერატურა, რომელიც წინამდებარე ნაშრომში დასმულ განსახილველ საკითხებს ეხმაურება. პირველ რიგში, ყურადღებას გავამახვილებთ სპეციალურ ლიტერატურაზე. ამ მხრივ ინტერესს იწვევს 1927 წელს გამოქვეყნებული გ. დევდარიანის ორი ნაშრომი: „საქართველოს კომკავშირის სათავეებთან"[1] და „ნარკვევები საქართველოს კომკავშირის ისტორიიდან"[2].

თუკი გ. დევდარიანის ჩვენ მიერ დასახელებული პირველი ნაშრომი, ძირითადად მხოლოდ ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანი-

---

[1] გ. დ ე ვ დ ა რ ი ნ ი, საქართველოს კომკავშირის სათავეებთან, თბ., 1927.
[2] მ ი ს ი ვ ე, ნარკვევები საქართველოს კომკავშირის ისტორიიდან, თბ., 1927.

ზაციის — „სპარტაკის“ შექმნისათვის ბრძოლის ისტორიის გადმოცემით შემოიფარგლება, იგივე არ ითქმის მის მეორე ნაშრომზე. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ პირველისაგან განსხვავებით, მეორე ნაშრომში ავტორი კრიტიკული პოზიციებიდან ფართოდ აშუქებს სოციალისტური რევოლუციის საკითხებთან დაკავშირებით მენშევიკური „თავრობის ლიდერის — ნ. ჟორდანიას ანტიმარქსისტულ შეხედულებებს. იქვე იგი ეხება მენშევიკურ აგრარულ რეფორმებს და აწყვეტს მის წვრილბურჟუაზიულ ხასიათს. ჩვენს განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ნაშრომში ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაციის „სპარტაკის“ შექმნის საკითხი. ამასთან დაკავშირებით ავტორი ეხება ის წინამძღვრებს, რომლებიც საფუძვლად დაედო „სპარტაკის“ შექმნას. იგი სავსებით სამართლიანად ეძებს მისი წარმოშობის სათავეებს „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციაში და მიიჩნევს, რომ ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაციის „სპარტაკის“ შექმნა გამოწვეული იყო თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდგომ ეტაპზე „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციაში წარმოშობილი იდეური უთანხმოების შედეგად. მიუხედავად ყოველივე ზემოთ აღნიშნულისა, გ. დევდარიანის დასახელებული ნაშრომი ძირითადად მემუარულ ხასიათს ატარებს. ეს განსაკუთრებით ითქმის მესამე თავის მიმართ. ამიტომ მასში მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით შეიმჩნევა უზუსტობანი. არსებული ხარვეზების მიუხედავად, ეს ნაშრომი თავის დროზე წინგადადგმული ნაბიჯი იყო, რადგან მასში პირველად აისახა მენშევიკური მმართველობის პერიოდის ბოლშევიკური ორგანიზაციის „სპარტაკის“ ისტორია.

საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის კომკავშირის მიერ ჩატარებული ბრძოლის საკითხებს ეხება 1933 წელს გამოქვეყნებული ერ. ასტვაცატუროვის ნაშრომი „საქართველოს კომკავშირის გმირული წარსულიდან“[1]. იგი შედგება ოთხი თავისაგან. ნაშრომის პირველ, მეორე და მესამე თავებში ავტორი მიმოიხილავს პირველი მსოფლიო ომის პერიოდში ახალგაზრდათა მოძრაობის საკითხებს, ეხება „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის

---

[1] ერ. ასტვაცატუროვი, საქართველოს კომკავშირის გმირული წარსულიდან, წიგნი I, თბ., 1933.

შექმნას და განსაზღვრავს მის ხასიათს. იქვე იგი მიუთითებს ამ ორგანიზაციის შიგნით წარმოშობილ ორ ურთიერთსაწინააღმდეგო — ბოლშევიკურ და მენშევიკურ მიმდინარეობაზე, არკვევს მათი უთანხმოების ძირითად მიზეზს. ნაშრომში ავტორი დაწვრილებით ეხება „ახალგაზრდა მარქსისტთა" კონფერენციების მიერ მიღებულ რეზოლუციებსა და დადგენილებებს და მას სათანადო წყაროებისა და მემუარული ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის მოშველიების საფუძველზე სამართლიანად მიიჩნევს ანტიმარქსისტულად. განსაკუთრებით ჩვენს ყურადღებას იქცევს ნაშრომის IV თავი. მასში დიდი ადგილი აქვს დათმობილი „სპარტაკის" ორგანიზაციის შექმნისათვის ბრძოლის საკითხს. ამასთან ერთად, ავტორი ერთმანეთს უდარებს „ახალგაზრდა მარქსისტთა" და „სპარტაკის" ორგანიზაციათა წესდებებს, რომელთა კრიტიკული ანალიზის საფუძველზე განსაზღვრავს აღნიშნულ ორგანიზაციათა იდეურ მსოფლმხედველობას. მართალია, ნაშრომში გამოკვეთილად არ ჩანს „სპარტაკისა" და „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციების იდეური ბრძოლის საკითხები, მაგრამ დიდი ადგილი აქვს დათმობილი „ახალგაზრდა მარქსისტთა" ანტისაბჭოური რეზოლუციებისა და დადგენილებების მარქსისტული პოზიციებიდან განხილვას. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ნაშრომს ბოლოში დართული აქვს „სპარტაკის" ორგანიზაციის ისტორიის ამსახველი ბევრი საინტერესო დოკუმენტი. ისიც აღსანიშნავია, რომ ერ. ასტვაცატუროვის დასახელებული ნაშრომი საქართველოს კომკავშირის ისტორიის საკითხებზე არსებული ხელმისაწვდომი მასალის კრიტიკული შესწავლის პირველ ცდას წარმოადგენდა, ამიტომ, ბუნებრივია, იგი დაზღვეული არ არის ცალკეული შეცდომებისა და ნაკლოვანებებისაგან. დაბოლოს, როგორც სამართლიანად აღნიშნავს ა. იმედაშვილი, ეს ნაშრომი ძირითადად თბილისის ორგანიზაციების ისტორიით შემოიფარგლება[1]. განსახილველი საკითხებიდან გამომდინარე, ყურადღებას იქცევს 1933 წელს გამოქვეყნებული ერ. ასტვაცატუროვისვე მეორე ნაშრომი „საქართველოს კომკავშირის პირველი ლეგალური ყრილობა"[2]. მართალია, მასში ავტორს მიზნად არ დაუსახავს სპეციალურად გაეშუქებინა „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგა-

---

[1] ა. იმედაშვილი, საქართველოს კომკავშირის წარმოშობა და მისი ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის, თბ., 1967, გვ. 4.

[2] ერ. ასტვაცატუროვი, საქართველოს კომკავშირის პირველი ლეგალური ყრილობა, თბ., 1933.

ნიზაციის წინააღმდეგ საქართველოს კომკავშირის იდეური ბრძოლის საკითხი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი კომკავშირის ყრილობის მასალების შემოხილვისას სათანადო ადგილს უთმობს „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ნაციონალისტური შეხედულებების წინააღმდეგ საქართველოს კომკავშირის იდეურ ბრძოლას. მიუხედავად ამისა, ეს საკითხი კვლავაც შესწავლის გარეშე რჩებოდა, რადგან ერ. ასტვაცატუროვი დასახელებულ ნაშრომში ამ მხრივ არ გასცდენია კომკავშირის ისტორიის 1921 წლის ქრონოლოგიურ ჩარჩოს.

გ. ყვანიას ნაშრომში „საქართველოს კომკავშირის სახელოვანი წარსულიდან“[1], განხილულია თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდგომ ეტაპზე საქართველოში ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაციის „სპარტაკის“ შექმნის საკითხი და გაბედულად გადაწყვეტილია გაზ. „პრავდის“ როლი ამ საქმეში. ამავე დროს, მასში დიდი ადგილი აქვს დათმობილი „სპარტაკის“ წესდების განხილვასა და ინსაგიტაციო მუშაობას, რომელსაც ეს ორგანიზაცია ეწეოდა ახალგაზრდობაზე იდეურად ზემოქმედების თვალსაზრისით. იქვე მხილებულია მენშევიკური მთავრობის როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის მცდარი კურსი. ნაშრომში განსაკუთრებულ ყურადღებას ექცევა „ახალგაზრდა მარქსისტების“ მიერ საქართველოს „სპარტაკელების“ წინააღმდეგ ჩატარებული დარბევითი აქტები. ყოველივე ზემოთ თქმულის პარალელურად, ნაშრომში საინტერესოდაა გადმოცემული კომკავშირის მიერ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის გმირული ბრძოლის ისტორია.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს გ. ყვანიას მიერ 1956 წელს გამოქვეყნებული საინტერესო შრომა „საქართველოს კომკავშირი სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის ბრძოლაში“. მასში სახალხო მეურნეობის აღორძინების საქმეში საქართველოს კომკავშირის როლის წარმოჩენასთან ერთად დიდი ყურადღებაა გამახვილებული კომკავშირის მიერ ახალგაზრდობის ანტიპროლეტარული ორგანიზაციების წინააღმდეგ ჩატარებულ ბრძოლაზე. დასახელებული ნაშრომის სპეციალურ პარაგრაფში — „კომკავშირის ბრძოლა ახალგაზრდობის ანტიკომუნისტური ორგანიზაციებისა და ტროცკიზ-

---

[1] გ. ყ ვ ა ნ ი ა, საქართველოს კომკავშირის სახელოვანი წარსულიდან (1917—1921 წწ.), თბ., 1954.

მის წინააღმდეგ"[1] ავტორს მეტად საყურადღებო მასალები აქვს მოცემული ახალგაზრდობის ანტიპროლეტარული ორგანიზაციების წინააღმდეგ საქართველოს კომკავშირის იდეური ბრძოლის საკითხებთან დაკავშირებით. მართალია, ავტორი მოკლედ გადმოგვცემს ყველა ანტიპროლეტარული ორგანიზაციის ისტორიას მისი დაარსებიდან ლიკვიდაციამდე. მაგრამ ეს იმით აიხსნება, რომ არსებული საკითხი მისი სპეციალური კვლევის ობიექტს არ წარმოადგენდა. ამიტომ იგი მან განიხილა იმდენად, რამდენადაც ამას დასახელებული თემის აუცილებლობა მოითხოვდა. მიუხედავად ამისა, უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთი კუთხით ამ მეტად საინტერესო პრობლემის დასმის პრიორიტეტი პროფ. გ. ყვანიას ეკუთვნის. მანამდე კომკავშირის ისტორიის საკითხებზე ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ მის წინამორბედ ავტორთა შრომებში სპეციალურად გამოკვეთილი სახით არსად არ არის დასმული ახალგაზრდობის ანტიპროლეტარული ორგანიზაციების შესწავლის აუცილებლობა.

მკვლევარი ახალგაზრდობის ანტიპროლეტარულ ორგანიზაციათა შორის განსაკუთრებულ ადგილს უთმობს „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციის წინააღმდეგ საქართველოს კომკავშირის იდეური ბრძოლის საკითხის გახილვას. იგი მდიდარი მასალის მოშველიების საფუძველზე, მოკლედ, მაგრამ საინტერესოდ გადმოგვცემს „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციის მენშევიკურ ბუნებას და დამაჯერებლად გვიჩვენებს საქართველოს კომკავშირის როლს მის მხილებასა და განადგურებაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებული პარაგრაფი ავტორმა უმნიშვნელო ცვლილებებით შეიტანა მის მიერ შემღეგომ წლებში გამოქვეყნებულ შრომებში[2]. მართალია მათში ერთიანი სისრულით არაა წარმოდგენილი ახალგაზრდობის ანტიპროლეტარული ორგანიზაციების ისტორია, მაგრამ მიუხედავად ამისა, მან გარკ-

---

[1] გ. ყვანია, საქართველოს კომკავშირი სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის ბრძოლაში, თბ., 1956, გვ. 71—83.

[2] Жвания Г., Комсомол Грузии помощник партии в борьбе за установление и упрочение Советской власти, Тб., 1957, გვ. 107—117; მისივე, საქართველოს კომკავშირის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1964, გვ. 115—129; ავტორთა კოლექტივი: გ. ყვანია, ვ. ქარუმიძე, ნ. ჩახვაშვილი, საქართველოს კომკავშირის ისტორია, თბ., 1968, გვ. 119—131; ავტორთა კოლექტივი, Славный путь комсомола Грузии, Тб., 1976, გვ. 86—95.

ეული სარგებლობა მოუტანა მკითხველ ახალგაზრდობას, რომელსაც ერთგვარი წარმოდგენა მისცა იმის შესახებ, თუ როგორ იბრძოდა ახალგაზრდობის ანტიპროლეტარული ორგანიზაციების წინააღმდეგ საქართველოს კომკავშირი და როგორ რაზმავდა იგი თავის გარშემო ახალგაზრდობის ფართო მასებს.

საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლასა და ამ საქმეში კომკავშირული ორგანიზაციის როლის საკითხებს ა. იმედაშვილმა მიუძღვნა სპეციალური ნაშრომი[1]. მასში ავტორი მეცნიერული სიზუსტით აშუქებს საბჭოთა ხელისუფლებისათვის ახალგაზრდობის ბრძოლის ისტორიის მთელ რიგ მნიშვნელოვან მოვლენებს. ყურადღებას ამახვილებს „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციის შექმნისა და მისი იდეური გათიშვის შედეგად „სპარტაკის" ორგანიზაციების ჩამოყალიბება-განმტკიცების პროცესზე. წინამორბედ ავტორთა შრომების კრიტიკული შესწავლის საფუძველზე, იგი იძლევა კომკავშირის ისტორიასთან დაკავშირებული მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხების ახლებურად გადაწყვეტასა და ზოგიერთი უზუსტობების გასწორებას. ამასთან ერთად, იგი დაწვრილებით განიხილავს „სპარტაკის" წესდებას, ადგენს მის კავშირს პეტერბურგის მუშა-ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაციის წესდებასთან. ყოველივე აღნიშნულის მიუხედავად, ნაშრომში უკანა პლანზე დგას ანტიპროლეტარული ორგანიზაციებისადმი „სპარტაკის" დამოკიდებულების საკითხი.

ამავე საკითხებთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ც. ხუბულავასა და ხ. არჩემაშვილის ნაშრომები.[2] ავტორები დაწვრილებით განიხილავენ მენშევიკური ბატონობის წლებში „სპარტაკის" ორგანიზაციის პრესას და არკვევენ მის როლს საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის საბრძოლველად ახალგაზრდობის დარაზმვის საქმეში. ამავე დროს, ავტორები სათანადო ყურადღებას უთმობენ კომკავშირული ორგანიზაციების არალეგალურ მუშაობას, მენშევიკების საშინაო და საგარეო პოლიტიკას, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუ-

---

[1] ა. იმედაშვილი, საქართველოს კომკავშირის წარმოშობა და მისი ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის, თბ., 1967.

[2] ც. ხუბულავა, საქართველოს კომკავშირული პრესა საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის წლებში (1917—1921 წწ.), თბ., 1978; ხ. არჩემაშვილი, პირველი კომკავშირული გაზეთები საქართველოში (1917—1921 წწ.), თბ., 1984.

ციისა და საბჭოთა ხელისუფლებისადმი დამოკიდებულებას. აღნიშნულ პრობლემათა შორის სათანადო ადგილი აქვს დათმობილი კომკავშირული პრესის ფურცლებზე არსებული იდეოლოგიური ბრძოლის ზოგიერთ საკითხს. ამავე დროს, ნაშრომებში განსაზღვრულია საერთოდ კომკავშირული პრესის ადგილი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების საქმეში. ნაწილობრივად ამავე საკითხებს ეხებიან ვ. ავეტისიანის ნაშრომშიც[1].

საქართველოს კომკავშირული პრესის ისტორიის საკითხებია მოცემული ბ. მეჩეხიას ნაშრომში[2]. მასში ავტორი განიხილავს „სპარტაკის" ორგანიზაციის შექმნისა და მისი განმტკიცებისათვის ბრძოლის საკითხს. ამასთან ერთად, იგი ზოგად ასპექტში ეხება ახალგაზრდობის ბოლშევიკური პრესის მიერ „ახალგაზრდა მარქსისტთა" მენშევიკური ორგანიზაციის წინააღმდეგ ჩატარებულ იდეოლოგიურ ბრძოლას. აქცენტს მენშევიკური მთავრობის ანტიხალხურ, ანტიბოლშევიკურ დამოკიდებულებას „სპარტაკის" ორგანიზაციებისადმი. საზღვრავს კომკავშირული პრესის როლსა და მნიშვნელობას, მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ მშრომელი ახალგაზრდობის დარაზმვის საქმეში. რაც შეეხება მის მეორე ნაშრომს[3], იგი ჩვენ მიერ ზემოთ განხილული შრომის ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენს და მოიცავს 1921-1925 წლებს. მასში განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში ახალგაზრდობაში კომკავშირული პრესის მიერ გაწეულ მუშაობაზე. აღნიშნული საკითხის გვერდით, იგი ზოგადად ეხება „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციის კონტრრევოლუციურ საქმიანობას და პიუთითებს ამ ორგანიზაციის მხილებისა და მისი ლიკვიდაციის საქმეში კომკავშირული პრესის როლზე.

რაც შეეხება ჩვენს თემასთან დაკავშირებულ არასპეციალურ ლიტერატურას, ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს 1955 წელს პროფ. ი. კაჭარავას მიერ გამოქვეყნებული ნაშრომი „საქართ-

---

[1] Аветисян Г. А., Комсомол Закавказья в борьбе за победу и упрочение Советской власти (1917—1921 гг.), Ереван, 1964.

[2] ბ. მ ე ჩ ხ ი ა. საქართველოს კომკავშირული პრესის შექმნა და მისი ორგანიზაციული განმტკიცება (1917-1922 წწ.), თბ., 1981.

[3] მ ი ს ი ვ ე, საქართველოს კომკავშირული პრესა სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში (1921—1925 წწ.), თბ., 1981.

ველოს კომუნისტების ბრძოლა ნაციონალ-უკლონიზმის წინააღმდეგ და ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნა"[1].

როგორც სათაურიდან ჩანს, ავტორს მიზნად არ დაუსახავს სპეციალურად განეხილა ჩვენთვის საინტერესო საკითხები. მიუხედავად ამისა, პროფ. ი. კაჭარავა ზემოაღნიშნულ ნაშრომში მთელი რიგი პრობლემური საკვანძო საკითხების პარალელურად სათანადო ადგილს უთმობს კომკავშირის მიერ ნაციონალიზმის წინააღმდეგ ჩატარებული ბრძოლის შესწავლას. ავტორი საქართველის კომკავშირის მთელ საქმიანობას განიხილავს პარტიულ ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირ-ურთიერთობაში, დასაბუთებულად მიუთითებს ამიერკავკასიის კომკავშირული ორგანიზაციების გაერთიანების იმ დიდ როლზე, რომელიც მან შეასრულა ახალგაზრდობაში ნაციონალისტური შეხედულებების დასაძლევად. მდიდარი საარქივო მასალების გამოყენების საფუძველზე იგი სათანადო ადგილს უთმობს ამირკავკასიის ფედერაციის შექმნისათვის საქართველოს კომკავშირის ბრძოლის საკითხს, განსაზღვრავს ფედერაციის როლსა და მნიშვნელობას ნაციონალიზმის დაძლევისა და ინტერნაციონალიზმის დამკვიდრების საქმეში. ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ჩვენი აზრით, სასურველი იყო საქართველოს კომკავშირის მიერ ახალგაზრდობაში ნაციონალიზმის წინააღმდეგ ჩატარებული ბრძოლა დაკავშირებული ყოფილიყო „ახალგაზრდა მარქსისტთა" და „ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატთა" ორგანიზაციებთან. საარქივო მასალების შესწავლით დასტურდება, რომ ახალგაზრდობაში ნაციონალიზმის გამღვივებლის როლში, სხვა მთელი რიგი ანტისაბჭოური საქმიანობის პარალელურად სწორედ „ახალგაზრდა მარქსისტები" და „ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატები" გვევლინებოდნენ. აქედან გამომდინარე, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ახალგაზრდობაში ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა განიხილებოდეს საქართველოს კომკავშირის მიერ „ახალგაზრდა მარქსისტთა" და „ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატთა" ორგანიზაციების წინააღმდეგ ჩატარებული ბრძოლის ფონზე.

ნაციონალისტური რეციდივების წინააღმდეგ საქართველოს კომკავშირის ბრძოლის ზოგიერთ საკითხს ვხვდებით აგრეთვე ი. კაჭარა-

---

[1] ი. კაჭარავა, საქართველოს კომუნისტების ბრძოლა ნაციონალ-უკლონიზმის წინააღმდეგ და ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნა, ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. I, თბ., 1955, გვ. 86—91.

ვას მეორე ნაშრომში „საბჭოთა საქართველო სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში“[1]. მასში ასახულია „ახალგაზრდა მარქსისტთა“ მენშევიკური ორგანიზაციის ანტისაბჭოური საქმიანობა. მოკლედაა გაწსაზღვრული ამ ორგანიზაციის იდეური გაკოტრების საკითხი და მისი ლიკვიდაციის პროცესი.

საქართველოს კომკავშირის ისტორიის ზოგიერთი საინტერესო საკითხია კ. ძველიას გამოკვლევაში „საქართველოს კომუნისტური პარტია სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში“[2]. მასში მთელი რიგი პრობლემური საკითხების გარკვევის პარალელურად მოკლედაა გაშუქებული საქართველოს კომკავშირის დაარსებისათვის ბრძოლა. ამავე დროს, სათანადო ადგილი აქვს დათმობილი „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის ანტისაბჭოურ საქმიანობას და განსაზღვრულია საქართველოს კომკავშირის როლი მისი ლიკვიდაციის საქმეში.

ზემოთ აღნიშნულ ავტორთა შრომების გვერდით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს გ. ჯანგველაძის ნაშრომი[3]. მასში წვრილბურჟუაზიული და ბურჟუაზიული პარტიების ანტიპროლეტარული კონცეფციების კრიტიკასთან დაკავშირებით მოცემულია „ახალგაზრდა მარქსისტთა“ მენშევიკური ორგანიზაციის ისტორიის ზოგიერთი მომენტი. მაგრამ, სამწუხაროდ, მასში არ ჩანს ამ ორგანიზაციის წინააღმდეგ საქართველოს კომკავშირის იდეური ბრძოლის სურათი.

ყურადღებას იქცევს პროფ. გ. აფრიდონიძის ნაშრომი „ოქტომბრის რევოლუცია და საქართველოს ბოლშევიკური პრესა“[4]. მასში ავტორი, ბოლშევიკური პრესის გვერდით, დაწვრილებით განიხილავს საქართველოს კომკავშირული პრესის ისტორიის საკითხებს. კომკავშირული პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალების საფუძველზე იგი

---

[1] ი. კაბარაგა, საბჭოთა საქართველო სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში (1921—1925 წწ.), თბ., 1958.

[2] კ. შელია, საქართველოს კომუნისტური პარტია სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში, თბ., 1970.

[3] გ. ჯანგველაძე, საქართველოს კომუნისტური პარტიის ბრძოლა ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიების იდეური და ორგანიზაციული განადგურებისათვის (1903—1923 წწ.), თბ., 1974.

[4] გ. აფრიდონიძე, ოქტომბრის რევოლუცია და საქართველოს ბოლშევიკური პრესა (1917—1921 წწ.), თბ., 1974.

გადმოგვცემს საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციის ჩასახვისა და მისი განვითარების პროცესს. სათანადო ადგილს უთმობს ახალგაზრდობაში წარმოებულ სააგიტაციო პროპაგანდისტულ მუშაობას. ამის პარალელურად, რამაც ნაშრომისადმი ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო, მოცემულია „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის წინააღმდეგ კომკავშირის მიერ ჩატარებული იდეოლოგიური ბრძოლის ამსახველი ზოგიერთი მომენტი. საინტერესო მასალებია შოცემული საქართველოს ისტორიის ნარკვევების VI და VII ტომებში. რაც შეეხება ნარკვევების VI ტომს, მასში სხვა მთელი რიგი საკითხების პარალელურად სათანადო ადგილი აქვს დათმობილი „ახალგაზრდა მარქსისტთა“ და „სპარტაკის“ ორგანიზაციების შექმნის საკითხს. მოკლედ, მაგრამ საინტერესოდაა განსაზღვრული თითოეული ამ ორგანიზაციის პოლიტიკური მიმართულება[1]. ხოლო ამავე ნარკვევების VII ტომში ძირითადად მოცემულია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდგომ ეტაპზე „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის წინააღმდეგ საქართველოს კომკავშირის იდეური ბრძოლის ზოგიერთი საკითხი. მასში მდიდარი საარქივო მასალის გამოყენების საფუძველზე „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის მთელი ანტისაბჭოური საქმიანობა სამართლიანადაა განხილული მენშევიკური პარტიის ისტორიის ფონზე. რაც შეეხება ორგანიზაციის თვითლიკვიდაციის საკითხს, იგი დაკავშირებულია საქართველოს კომკავშირის მიერ იდეურ ბრძოლაში ამ ორგანიზაციასთან მოპოვებულ გამარჯვებასთან[2].

საკვლევ პრობლემასთან დაკავშირებით ზოგიერთი საკითხი გაშუქებულია საქართველოს კომუნისტური პარტიისა და ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების ისტორიის ნარკვევებში[3]. ამასთან ერთად ყურადღებას იქცევს ა. ბენდიანიშვილის, ლ. გორგილაძის, ბ. გუბელიძის, გ. გამსახურდიას, ვ. ესაიშვილის, ა. ებრალიძის, ვ. მერკვილაძის, ა. მირცხულავას, ა. მუჯირის, ა. სურგულაძის, უ. სიდამონი-

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VI, თბ., 1972, გვ. 460—462.

[2] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VII, თბ., 1976, გვ. 197 .

[3] საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1971. ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, თბ., 1971, ტ. 2, თბ., 1972.

ძის, ლ. თოიძის, კ. ჩარკვიანის, ი. ჩიქავას, კ. წერეთლის, გ. ხაჭაპურიძის, ზ. შერაზადაშვილის, მ. აგაჯანოვისა და სხვათა ცალკეული შრომები[1]. დასახელებული შრომების კრიტიკული შეფასება მოცემული

---

[1] ა. ბ ე ნ დ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი, ეროვნული საკითხი საქართველოში. 1801—1921 წწ., თბ., 1980; ლ. გ ო რ გ ი ლ ა ძ ე, იდეოლოგიური ბრძოლის ისტორიიდან საქართველოში. თბ., 1963; ბ. გ უ ბ ე ლ ი ძ ე, ქართული მენშევიზმის კრახი. თბ., 1978 წ.; გ. გ ა მ ს ა ხ ურ დ ი ა, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირისათვის კომუნისტური პარტიის ბრძოლის ისტორიიდან (1917-1929 წწ.), თბ., 1962; მ ი ს ი ვ ე, საქართველოს კომუნისტური პარტიის ბრძოლა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირისათვის (1921—1937 წწ.), თბ., 1974; ვ. ე ს ა ი ა შ ვ ი ლ ი, ვ. ი. ლენინი და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები, თბ., 1959; ა. ე ბ რ ა ლ ი ძ ე, საქართველოს ბოლშევიკების ბრძოლა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის წინააღმდეგ (1917—1921 წწ.), თბ., 1965; ვ. მ ე რ კ ვ ი ლ ა ძ ე, საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნა საქართველოში. თბ., 1961; მ ი ს ი ვ ე, Создание и упрочение Советской государственности в Грузии (1921—1937 гг.), Тб., 1969; ა. მ ი რ ც ხ უ ლ ა ვ ა, პარტიული მშენებლობა საქართველოში (1921—1929 წწ.); М у д ж и р и Л. В.: Политические партии России и национальный вопрос в Закавказье в период подготовки и проведения Октябрьской революции. Автореф. докт. дисс. Тб; 1970; ა. ს ი ო რ გ ო ლ ა ძ ე, ნარკვევები რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან საქართველოში (1917—1921 წწ.), თბ., 1954; მ ი ს ი ვ ე, ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ამიერკავკასიაში (1917-1918 წწ.), თბ., 1957; მ ი ს ი ვ ე, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება ამიერკავკასიაში (1918-1921 წწ.), II, თბ., 1961; უ. ს ი დ ა მ ო ნ ი ძ ე, ეროვნული საკითხის ისტორიოგრაფიიდან, 1917 წ. ქართული ისტორიოგრაფია, I, თბ., 1968; მ ი ს ი ვ ე, საქართველოს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობისა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიოგრაფია, თბ., 1970; ლ. თ ო ი ძ ე, საბჭოთა ხელისუფლების პირველი დეკრეტები საქართველოში, სტატიების კრებული, „საბჭოთა საქართველოს და საქართველოს კომპარტიის 40 წელი", თბ., 1961; მ ი ს ი ვ ე, მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოები საქართველოში, ჟურნ. „მაცნე". № 1, 1961; მ ი ს ი ვ ე, საქართველოს კომპარტია ლენინიზმისათვის ბრძოლაში, თბ., 1974; კ. ჩ ა რ კ ვ ი ა ნ ი, ქართველი მენშევიკების ანტიხალხური ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ, თბ., 1970; ი. ჩ ი ქ ა ვ ა, ანტისაბჭოთა პოლიტიკის კრახი გენუისა და ჰაგის კონფერენციებზე. თბ., 1964; მ ი ს ი ვ ე, გენუის კონფერენცია და საქართველო, სტატიების კრებული, „სსრ კავშირის შექმნის 50 წელი", თბ., 1972; კ. წ ე რ ე თ ე ლ ი, კომუნისტური პარტიის ბრძოლა ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ფედერაციის შექმნისათვის, თბ., 1960; გ. ხ ა ჭ ა პ ურ ი ძ ე, ქართველი ხალხის ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის, თბ., 1957; ზ. შ ე რ ა ზ ა დ ა შ ვ ი ლ ი, ფიზიკური აღზრდა საქართველოს სკოლებში (1917-1921 წწ.), თბ., 1971; მ. ა გ ა ჯ ა ნ ო ვ ი, ისევ შევარღენის შესახებ, გაზ. „ლელო", 1975 წლის 10 ივლისი, № 1361; 16 ივლისი, № 140; 22 ივლისი, № 144.

გვაქვს ამა თუ იმ პრობლემური საკითხის გაშუქებასთან დაკავშირებით ტექსტის სათანადო ადგილას.

იდეოლოგიური ბრძოლის საკითხის შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს დღევანდელობისათვის, განსაკუთრებით ახალგაზრდობისათვის, რადგან საბჭოთა ახალგაზრდობამ უნდა იცოდეს წარსულის მდიდარი გამოცდილება. თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება დღევანდელობისათვის წარსულის მემკვიდრეობის შესწავლას, ამის შესახებ ვ. ი. ლენინი რკპ (ბ) VIII ყრილობაზე აღნიშნავდა: „მე გადავხედე წარსულს მხოლოდ იმის თვალსაზრისით, თუ რა დაგვჭირდება ხვალ ან ზეგ ჩვენი პოლიტიკისათვის"[1]. ან კიდევ „წარსულის მოგონება ისე, რომ აწმყოსა და მომავალზე არ ვიფიქროთ, უნდა გამოვტყდე, ჩემთვის შეუძლებელი რამ იქნებოდა."[2]

რამდენადაც ვ. ი. ლენინი თანამედროვეობის სწორად ახსნისა და მისი უკეთ გაგების ძირითად გასაღებს წარსული მემკვიდრეობის მეცნიერულად შესწავლაში ხედავდა, ამდენად, დღევანდელი საბჭოთა ახალგაზრდობის გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს შეისწავლოს უფროსი თაობის იდეური მუშაობის მდიდარი გამოცდილება, რათა მასზე დაყრდნობითა და საბჭოთა სინამდვილის გათვალისწინებით მეტი შემართებით შეებრძოლოს თანამედროვე ბურჟუაზიულ იდეოლოგიას.

ძ ი რ ი თ ა დ ი წ ყ ა რ ო ებ ი ს მ ი მ ო ხ ი ლ ვ ა. წინამდებარე საკვლევი თემა, რომელიც ახალგაზრდობის ანტიპროლეტარული ორგანიზაციების ანტიმარქსისტული შეხედულებების წინააღმდეგ საქართველოს კომკავშირის იდეური ბრძოლის საკითხებს ეხება, ძირითადად ორ პერიოდს მოიცავს: 1. თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციიდან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამდე (1917-1921 წწ.), რომელიც მენშევიკური მმართველობის წლებით შემოიფარგლება და 2. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლის წლებს (1921-1925 წწ.). ამ მეტად საინტერესო პერიოდების შესწავლისათვის, პირველ რიგში, ამოსავალ წყაროს წარმოადგენს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შრომები. მასში მოცემული ანტიპროლეტარული პარტიებისა და ორგანიზაციების წინააღმდეგ ბრძოლის ფუძემდებ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ 29, გვ. 163.
[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 29, გვ. 157.

ლური მითითებები შესაძლებლობას იძლევა სწორად იქნას გააზრებული ის მეტად საინტერესო და დაძაბული იდეოლოგიური ბრძოლის ისტორია, რომელსაც საქართველოს კომკავშირი აწარმოებდა ახალგაზრდობის ანტიპროლეტარული ორგანიზაციების წინააღმდეგ. ძირითად წყაროს, რომელზედაც ნაშრომია დაფუძნებული, წარმოადგენს საარქივო მასალა.

ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ ზემოთ მითითებული პერიოდები პირველადი წყაროების სიუხვის თვალსაზრისით, ერთმანეთისაგან განსხვავებულ სურათს იძლევა.

თუ მენშევიკების ბატონობის პერიოდის საარქივო მასალები ძალზე ძუნწად ასახავს საქართველოს კომკავშირის იდეურ ბრძოლას ახალგაზრდობის წვრილბურჟუაზიული და ბურჟუაზიული ორგანიზაციების წინააღმდეგ, იგივე არ ითქმის საბჭოთა პერიოდის ამსახველ საარქივო მასალებზე. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტიულ არქივში დაცული მდიდარი ფონდები, ამავე დროს, საინტერესო მასალებია მოპოვებული საქართველოს სახელმწიფო ცენტრალურ ისტორიულ არქივში. ეს მასალები საუკეთესოდ წარმოგვიდგენს მენშევიკური მთავრობის ანტიხალხური საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად არსს.

ზემოთ აღნიშნული წყაროების პარალელურად ჩვენ გამოვიყენეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყრილობების, კონფერენციების, ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციები და გადაწყვეტილებები[1]. ამასთან ერთად, ფართოდ ვისარგებლეთ საკავშირო ლენინური კომკავშირის ყრილობების დადგენილებებით[2]. ნაშრომის ერთ-ერთი ძირითადი წყაროა საქართველოს კომუნისტური პარტიის, საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების და საქართველოს კომკავშირის ყრილობების რეზოლუციები და გადაწყვეტილებები, სტენოგრაფიული ანგარიშები, მა-

---

[1] სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. 1, თბ., 1954.

[2] Товарищ комсомол. Документы съездов, конференций и ЦК ВЛКСМ. Т. I, М., 1969; გაზ. „სპარტაკი", 1922 წლის 12 ნოემბერი, № 11.

სალები ანგარიშისათვის [1]. მათში პარტიის მოღვაწეობის მდიდარი გამოცდილების საფუძველზე მოცემულია ახალგაზრდობის ანტიპროლეტარული ორგანიზაციების წინააღმდეგ ბრძოლის ფორმები და მეთოდები. გამოაშკარავებულია მათი ანტიკომუნისტური მსოფლმხედველობა, მითითებულია ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის საქმეში ახალგაზრდათა ანტიპროლეტარული ორგანიზაციების იდეურად გაკოტრების განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე. ამასთან ერთად, აღნიშნული ყრილობების მასალებში საინტერესოდაა მოცემული ახალგაზრდობაში ნაციონალისტური სტიქიის წინააღმდეგ საქართველოს კომკავშირის იდეური ბრძოლის ამსახველი ფაქტები. მითითებული და დასაბუთებულია ამიერკავკასიის ეკონომიკური გაერთიანების მნიშვნელობა თითოეული რესპუბლიკის ეკონომიკურად აღორძინების საქმეში. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია პროლეტარიატის დიქტატურის საკითხზე და საბჭოთა მშენებლობაში ახალგაზრდობის როლსა და მნიშვნელობაზე. ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ ზემოთ აღნიშნულთან და სხვა მთელ რიგ საკითხებთან ერთად, ყრილობის მასალებში საქართველოს კომკავშირის მიერ ახალგაზრდობის ანტიპროლეტარული ორგანიზაციების წინააღმდეგ წარმატებითი ბრძოლის მოპოვების საწინდრად მიჩნეულია ახალგაზრდობაში სააგიტაციო მუშაობის გაძლიერებასთან ერთად ამ საქმეში კომკავშირისადმი პარტიული ორგანიზაციების დახმარების აუცილებლობა.

მეტად საყურადღებო მასალას იძლევა „ახალგაზრდა მარქისისტთა“ ორგანიზაციის სალიკვიდაციო ყრილობის რეზოლუციები [2]. მასში გარკვევითაა მოცემული ამ ორგანიზაციის მთელი ანტისაბჭოური

---

[1] საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) მესამე ყრილობის რეზოლუციები და დადგენილებები, თბ., 1924; საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) IV ყრილობა (სტენოგრაფიული ანგარიში), თბ., 1925; მასალები საქართველოს კომპარტიის (ბ) IV ყრილობისათვის, თბ., 1925; Коммунистическая партия Грузии в резолюциях и решениях съездов, конференции и пленумов. ЦК. т. I., Тб., 1976; საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ყრილობები (1921-1937 წწ.), თბ., 1980; საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის პირველი ლეგალური ყრილობა, 20—27 აგვისტო, 1921 (სტენოგრაფიული ანგარიში), თბ., 1922; საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის მეექვსე ყრილობა, თბ., 1924.

[2] გაზ. „კომუნისტი“, 1923 წ. 15 ნოემბერი, № 263.

საქმიანობის არსი და ახსნილია მისი მენშევიკური შეხედულებების იდეურად დაკოტრების ძირითადი მიზეზები.

საკვლევი თემისათვის საინტერესო საკითხებს ეხვდებით დოკუმენტებისა და მასალების კრებულებში: „ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის საქართველოში“, „ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის საქართველოში“, „ბრძოლა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნისათვის“, „მენშევიკების ბატონობის დღენი საქართველოში“ და ბ. ძნელაძის დაბადების 80 წლისთავთან დაკავშირებით გამოცემულ კრებულში — „ბორის ძნელაძე“ [1]. ამავე დროს, ნაშრომის ერთ-ერთ ძირითად წყაროდ გამოყენებულია კომუნისტური პარტიისა და კომკავშირის გამოჩენილ მოღვაწეთა — ი. ბ. სტალინის, გ. კ. ორჯონიკიძის, ფ. მახარაძის, ძ. ელიავას, ბ. ლომინაძის, ბ. ძნელაძის, კ. ორაგველიძის, გ. დევდარიანისა და სხვათა შრომები, სტატიები, მოხსენებები და სიტყვები.

იდეოლოგიური ბრძოლის საკითხებზე, აღნიშნული პერიოდის შესახებ საყურადღებო წყაროს შეიცავს პარტიული და კომკავშირული პრესა: ჟურნ. „მესამე ინტერნაციონალი“ (1917 წ.), გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“ (1918 წ.). გაზ. „ახალგაზრდა პროლეტარი“ (1920 წ.), „საქართველოს კომუნისტი“, „ახალი კომუნისტი“ (1920 წ.), გაზ. „კომუნისტი“, (1921 წ.), გაზ. „სპარტაკი“ (1922—1925 წწ.), ჟურნ. „მომავალი“ (1921—1923 წწ.). ჟურნ. „კომუნიზმის დროშა“ (1922—1923 წწ.) და სხვ.

დასახელებული ჟურნალ-გაზეთები გვაწვდის უძვირფასეს ცნობებს იმ შეუპოვარი იდეოლოგიური ბრძოლის შესახებ, რომელსაც საქართველოს კომკავშირი ეწეოდა ახალგაზრდობის ანტიპროლეტარული ორგანიზაციების წინააღმდეგ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლის წლებში.

იდეოლოგიური ბრძოლის საკითხებზე საყურადღებო მასალებსა

---

[1] Борьба за победу Советской власти в Грузии (1917—1921—1922), (документы и материалы), Тб., 1958; Борьба за упрочение Советской власти в Грузии (1921—1925 гг.), (документы и материалы), Тб., 1959, за образование Союза Советских Социалистических Республик (документы и материалы), Тб., 1972; მენშევიკების ბატონობის დღენი საქართველოში. მასალები და დოკუმენტები (კრებული შეადგინა გაიოზ დევდარიანმა), თბ., 1931; ბორის ძნელაძე (კრებული შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. ფანქელაშვილმა), თბ., 1981.

და ცნობებს შეიცავს ანტიპროლეტარული პარტიებისა და ორგანიზაციების პერიოდული გამოცემები: გაზ. „ერთობა“ (1917 — 1921 წწ.), ჟურნ. „ახალი კვალი“ (1918—1921 წწ.); გაზ. „სოციალ-დემოკრატი“ (1917—1919 წწ.), გაზ. „ჩვენი გზა“ (1920 წ.), გაზ. „ახალი სხივი“ (1920—1921) წწ.). გაზ. „ტრიბუნა“ (1921—1923 წწ.), ჟურნ. „მებრძოლთა ხმა“ (1917—1920 წწ.); ჟურნ. „ახალი ძალა“ (1918—1919 წწ.) და სხვ., რომელთა კრიტიკული გამოყენების საფუძველზე, კომკავშირულ პრესასთან ერთად, შესაძლებელი ხდება საქართველოში მოქმედი ანტიპროლეტარული ორგანიზაციების ანტისაბჭოური ფიზიონომიის სრული გამოაშკარავება. რამდენადაც ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში დღემდე შეუსწავლელია ახალგაზრდობის ანტიპროლეტარული ორგანიზაციების მეცნიერული ისტორია, მისი პროგრამები და პრაქტიკული საქმიანობა, ამდენად ამ მეტად რთული საკითხის დაწვრილებითი შესწავლისათვის პირველ წყაროს წარმოადგენს სწორედ ჩვენ მიერ ზემოთ მითითებული საარქივო და საგაზეთო მასალები, რომლებშიც დაწვრილებითაა მოცემული ახალგაზრდობის ანტიპროლეტარული ორგანიზაციების პოლიტიკური კრედო. ზემოთ აღნიშნულთან ერთად, ახალგაზრდობის პოლიტიკური ორგანიზაციების ისტორიის შესწავლის საქმეში დასახელებული წყაროების გვერდით, აღნიშვნელოვან ადგილს იკავებს პარტიისა და კომკავშირის გამოჩენილ მოღვაწეთა პირადი მოგონებები. ამ მხრივ საყურადღებოა მ. ცხაკაიას[1], ბ. ძნელაძის[2], გ. დევდარიანის[3], დ. კაჭარავას[4], კ. გოგუაძისა[5], და სხვათა მოგონებები. ზემოთ აღნიშნულ მოგონებებთან ერთად ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ბ. ძნელაძის ხსოვნისადმი მიძღვნილმა მოგონებების კრებულმა — „საქართველოს ახალგაზრ-

---

[1] მ. ცხაკაია. „ჩემს ბორიას (ამხ. ბორის ძნელაძის) ხსოვნას“, გაზ. „კომუნისტი“, 1923 წ. 17 ოქტომბერი.

[2] ბ. ძ ნ ე ლ ა ძ ე. „საქართველოს ახალგაზრდათა კავშირის ისტორიიდან“, ჟურნ. „მომავალი“, 1923 წ. № 1; საქართველოს კომკავშირის ისტორიიდან. თბ., 1933.

[3] ვ. ღ ე ვ დ ა რ ი ა ნ ი, „ბრძოლისა და გამარჯვების ხუთი წელი“, ჟურნ. „მომავალი“, 1922. № 6.

[4] დ. კ ა ჭ ა რ ა ვ ა. „კომუნისტური კავშირის სამეგრელოს ორგანიზაცია ჭერქვეში“. ჟურნ. „მომავალი“, 1923, № 9.

[5] კ. გ ო გ უ ა ძ ე. „ახალგაზრდათა კომუნისტური ორგანიზაცია გურიაში“, ჟურნ. „მომავალი“, 1922, № 6.

დათა კომუნისტური კავშირის წარსული“ [1]. ამ მოგონებებში ფართოდაა წარმოდგენილი „ახალგაზრდა მარქსისტთა“ და „სპარტაკის“ ორგანიზაციების შექმნის საკითხი. ამასთან ერთად, მათში საინტერესო ცნობებს ვხვდებით „ახალგაზრდა მარქსისტთა“ წინააღმდეგ „სპარტაკის“ ორგანიზაციის იდეური ბრძოლის მეთოდებზე. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მოგონებებში ასახული „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის დამოკიდებულების საკითხი ოქტომბრის რევოლუციისა და საბჭოთა ხელისუფლებისადმი. მოგონებებში მოტანილი ფაქტებით ნაწილობრივად მხილებულია მენშევიკების საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხები. საინტერესოდაა ასახული ის პოლიტიკური საქმიანობა, რასაც საქართველოს კომკავშირი ეწეოდა ახალგაზრდობაში მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ. მითითებულია კომკავშირის მძიმე არალეგალურ მუშაობაზე. მართალია, აქ ზოგიერთი ფაქტი გაზვიადებულია, ხშირად ამა თუ იმ პიროვნების გადამეტებულ შეფასებასაც კი ვხვდებით, მაგრამ მიუხედავად ამ ნაკლისა, ზემოთ დასახელებული მოგონებების კრიტიკული შესწავლა და მისი შეჯერება სხვა წყაროებთან, შესაძლებლობას იძლევა შეივსოს იდეოლოგიური ბრძოლის სფეროში ამა თუ იმ საკითხების გარშემო საარქივო მასალების ნაკლებობით გამოწვეული ზოგიერთი ხარვეზი.

ჩვენ მიერ მოპოვებული ფაქტობრივი მასალის ანალიზის საფუძველზე პირველად დადგინდა ან ახლებურად გაშუქდა მთელი რიგი ძირითადი საკითხები, რომელთაგან აღვნიშნავთ მხოლოდ რამდენიმეს:

1. კომკავშირის ისტორიის საკითხებზე შექმნილ სამეცნიერო ისტორიულ-პარტიულ ლიტერატურაში მონოგრაფიულად პირველად შუქდება საქართველოს კომკავშირის პოლიტიკური და იდეოლოგიური ბრძოლა ახალგაზრდობის ანტიპროლეტარული ორგანიზაციების, „ახალგაზრდა მარქსისტების“, „ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტების“ და „ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატების“ წინააღმდეგ. ფართოდაა ნაჩვენები პარტიის ხელმძღვანელი და წარმმართველი როლი ახალგაზრდობის კომუნისტურ საწყისებზე აღზრდის საქმეში.

2. „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის ისტორიის პერიოდიზაციის გარკვევის საფუძველზე ახლებურად შუქდება „ახალგაზრდა

---

[1] საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის წარსული, თბ., 1923.

მარქსისტთა“ და „სპარტაკის“ ორგანიზაციების შექმნასა და ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული საკითხები. გარკვეულია მენშევიკური მთავრობის მიერ „საქართველოს დამოუკიდებლობის“ გამოცხადებასთან დაკავშირებით „ახალგაზრდა მარქსისტთა“ და „სპარტაკის“ ორგანიზაციების პოზიციები. დასაბუთებულია „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის იდეოლოგიური მიმართულების მენშევიკური ხასიათი.

3. ნაშრომში მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებზე დაყრდნობით პირველადაა განხილული საქართველოში მოქმედი ახალგაზრდობის ანტიპროლეტარული ორგანიზაციების პოლიტიკური შეხედულებები, რომელთა კრიტიკული ანალიზის საფუძველზე მხილებულია „ახალგაზრდა მარქსისტთა“, „ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა“ და „ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატთა“ ორგანიზაციების ანტიპროლეტარული მსოფლმხედველობა. ფართოდაა განხილული აღნიშნულ ორგანიზაციათა აგრარული პროგრამები. მარქსისტული პოზიციებიდან გაკრიტიკებულია ამ პროგრამებში მოცემული მცდარი დებულებები. გარკვეულია ზემოთ დასახელებულ ორგანიზაციათა შეხედულებები ეროვნული და სახელმწიფოებრივი მმართველობის საკითხებზე. მოცემულია ამ მიმართულებით მათი მარქსისტული კრიტიკა.

4. ფართოდ არის ნაჩვენები „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის დამოკიდებულება ოქტომბრის რევოლუციის, საბჭოთა სახელმწიფოს მიერ გამოცემული დეკრეტების, პროლეტარიატის დიქტატურისა და სოციალიზმის მშენებლობის საკითხებისადმი. აღნიშნულ საკითხებზე მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების, კომკავშირული პრესისა და თვით „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის წევრთა ერთიერთსაწინააღმდეგო დებულებების მომარჯვებით მხილებულია ამ ორგანიზაციის მცდარი მენშევიკური ანტიპროლეტარული შეხედულებები. განსაზღვრულია ამ საქმეში პარტიასთან ერთად საქართველოს კომკავშირის როლი და დამსახურება.

5. მდიდარი საარქივო და პრესის მასალების ანალიზის საფუძველზე ფართოდაა წარმოდგენილი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და განმტკიცების წლებში „ახალგაზრდა მარქ-

სისტემა" ანტისაბჭოური საქმიანობის ხერხები და მეთოდები, რომელ-ლა განხორციელებაში მას დიდ დახმარებასა და მხარდაჭერას უწევ-ღა ადგილობრივი და საზღვარგარეთული მენშევიკური პარტიები. დი-დი ადგილი აქვს დათმობილი გენუის კონფერენციასთან დაკავშირე-ბით „ახალგაზრდა მარქსისტთა" ანტისაბჭოური ბუნების მხილების საკითხს.

გამოაშკარავებულია „ახალგაზრდა მარქსისტთა", „ახალგაზრდა მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტთა", „ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატთა" და სპორტული ორგანიზაცია „შევარდენის" ნაციონა-ლისტური საქმიანობა.

ფართოდაა განხილული აღნიშნულ ორგანიზაციათა წინააღმდეგ საქართველოს კომკავშირის შეურიგებელი იდეური ბრძოლა. მოცე-ულია ამ ბრძოლის ისტორიული მნიშვნელობა.

6. გარკვეულია „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციის წევრ-თა რაოდენობა.

7. გაშუქებულია ახალგაზრდა მემარცხენე და მემარჯვენე სოცია-ლისტ-ფედერალისტთა ორგანიზაციების შექმნის საკითხი. გარკვეუ-ლია ამ ორგანიზაციათა ერთმანეთისაგან განმასხვავებელი იდეური მსოფლმხედველობა. მოცემულია მათი მცდარი კონცეფციების კრი-ტიკა.

8. ფართო ადგილი აქვს დათმობილი საქართველოს კომკავში-რის მიერ იდეოლოგიურ ფრონტზე ჩატარებული ბრძოლის ისტორიუ-ლი მნიშვნელობის გარკვევას ახალგაზრდობის ანტიპროლეტარული ორგანიზაციების იდეურად განადგურების საქმეში. ნაშრომში მონო-გრაფიულად, საერთოდ პირველად, შუქდება 1917—1925 წლების მომ-ცველი პერიოდის ახალგაზრდობის ანტიპროლეტარული ორგანიზაციე-ბის იდეური გაკოტრებისა და ორგანიზაციულად დაშლის ის-ტორია და მასთან დაკავშირებული მთელი რიგი სხვა საკითხები.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის მიუხედავად, ავტორს საკვლევი თემის ამომწურავად გაშუქების პრეტენზია არა აქვს.

რამდენადაც წინამდებარე ნაშრომი ახალგაზრდობის ანტიპროლეტარული ორგანიზაციების მცდარი შეხედულებების მეცნიერული კრიტიკის პირველ ცდას წარმოადგენს, ცხადია, იგი დაზღვეული არ იქნება ცალკეული ხარვეზებისაგან. ავტორი მადლობით მიიღებს ყველა სამართლიან შენიშვნას. დასასრულ სასიამოვნო მოვალეობად მიგვაჩნია უღრმესი მადლობა მოვახსენოთ პროფესორებს: დ. სტურუას, ლ. თოიძეს, ი. კაჭარავას, გ. ჟვანიასა და ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატს ს. კვაჭაძეს, რომელთა საყურადღებო შენიშვნებმა ხელი შეუწყო წინამდებარე ნაშრომის გამართვას.

თავი I

ახალგაზრდობის ანტიპროლეტარული ორგანიზაციების შეხედულებათა კრიტიკა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლის წლებში (1917 — 1921 წწ.)

§1. საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაციის მიერ „ახალგაზრდა მარქსისტთა“ მცდარი კონცეფციების კრიტიკა

საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტური მოძრაობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო რევოლუციური ორგნიზაციის „სპარტაკის“ შექმნა. ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში, კერძოდ, კომკავშირის ისტორიის საკითხებზე არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ ღრმადაა გაშუქებული ამ ორგანიზაციის შექმნისა და მისი შემდგომი განმტკიცებისათვის ბრძოლის ეტაპები. ამ მხრივ ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს გ. დეკანოზიშვილის, ერ. ასტვაცატუროვის, გ. ჟვანიას, ა. იმედაშვილის, ვ. აფრიდონიძის, ბ. მეჩეხიას და სხვათა ზემოთ დასახელებული შრომები. მათში პირველადი წყაროების გათვალისწინების საფუძველზე დაწვრილებითაა მითითებული იმ წანამძღვრებზე, რომლებიც საფუძვლად დაედო ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაციის „სპარტაკის“ შექმნას. მიუხედავად ამისა, ინტერესს მოკლებული არ იქნება, თუკი ორიოდე სიტყვით, საარქივო, პრესის, მემუარული და სამეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინების საფუძველზე, ზოგადად შევეხებით ახალგაზრდობის კომუნისტური და მენშევიკური ორგანიზაციების შექმნის საკითხს.

ცნობილი ფაქტია, რომ სანამ ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაცია „სპარტაკი“ შეიქმნებოდა, მას წინ უძღოდა „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის შექმნა. კომკავშირის ისტორიის საკითხებზე შექმნილ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნული ორგანიზა-

ციის დაარსების თარიღთან დაკავშირებით ძირითადად ერთნაირი შეხედულებაა გამოთქმული. ამ საკითხს პირველად შეეხო გ. დევდარიანი. მან 1927 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში — „ნარკვევები საქართველოს კომკავშირის ისტორიიდან" — „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციის წარმოშობის თარიღად მიიჩნია 1915 წლის დასასრული და 1916 წლის დასაწყისი[1]. ცოტა მოგვიანებით ასეთივე დებულება განავითარა ერ. ასტვაცატუროვმა, რომელმაც გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტში", 1932 წელს გამოქვეყნებული სტატიების სერიაში, „ახალგაზრდათა ორგანიზაციები საქართველოში (1914—1917 წწ.)"[2], „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციის ჩასახვისა და შექმნის თარიღად, ისევე როგორც გ. დევდარიანმა, მიიჩნია 1915 წლის დასასრული და 1916 წლის დასაწყისი. აღნიშნული დებულება მან გაიმეორა 1933 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში[3]. ანალოგიური შეხედულებები განავითარა ა. იმედაშვილმაც თავის საკანდიდატო დისერტაციაში[4]. მან გ. დევდარიანისა და ერ. ასტვაცატუროვის მოსაზრებანი სათანადო საარქივო მასალებით გაამაგრა. ამ ავტორების მოსაზრებათა სისწორე დაადასტურა ჩვენ მიერ მოპოვებულმა საარქივო და პრესის მასალებმაც[5].

„ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციის დაარსებას შეეხო გ. ლეონია 1954 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „საქართველოს კომკავშირის სახელოვანი წარსულიდან". აღნიშნულ შრომაში მან მხოლოდ „ახალგაზრდა მარქსისტთა" მენშევიკური ორგანიზაციის შექმნაზე

---

[1] გ. დ ე ვ დ ა რ ი ა ნ ი, ნარკვევები საქართველოს კომკავშირის ისტორიიდან, თბ., 1927, გვ. 73-76.

[2] გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი", 1932 წ. 3 ოქტომბერი, № 230; 4 ოქტომბერი, № 231.

[3] ერ. ა ს ტ ვ ა ც ა ტ უ რ ო ვ ი, საქართველოს კომკავშირის გმირული წარსულიდან. წიგნი პირველი. თბ., 1933, გვ. 35.

[4] ა. ი მ ე დ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს კომკავშირის წარმოშობა და მისი ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის, თბ., 1969, წ. გვ. 59.

[5] სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტიული არქივი (შემდეგში შემოკლებით, პარტიული არქივი), თბ., ფ. 96, აღწ. 1, საქ. 17, ფურც. 137; ფ. 14, აღწ. 1, საქ. 661. ფურც. 97; გაზ. „ერთობა", 1917 წ. 10 დეკემბერი, № 213.

�-ამახვილა ყურადღება და მისი არსებობა სამართლიანად მიიჩნია 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდგომი ეტაპიდან [1].

როგორც ვხედავთ, ჩვენ მიერ ზემოთ განხილული . კომკავშირის ისტორიის საკითხებთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ შრომებში, შესაბამისი პირველადი წყაროების გათვალისწინების საფუძველზე ერთხმადაა აღიარებული „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის არსებობა 1916 წლიდან. რაც შეეხება „ახალგაზრდა მარქსისტთა“ მენშევიკური ორგანიზაციის შექმნას, იგი 1917 წლითაა დათარიღებული.

„ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის შექმნასთან დაკავშირებით ისტორიოგრაფიაში მიღებულ ზემოთ მითითებულ თარიღს ეწინააღმდეგება ისეთი პირველადი წყარო, როგორიცაა ამ ორგანიზაციის სალიკვიდაციო ყრილობის (1923 წ. ოქტომბერი) მიერ მიღებული რეზოლუცია. მასში „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის დაარსების დროდ მიჩნეულია 1917 წელი, კერძოდ, თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდგომი პერიოდი. ამასთან დაკავშირებით რეზოლუციის მესამე პარაგრაფში ეკითხულობთ: „ახალგაზრდა მარქსისტთა“ „ორგანიზაციული არსებობის დასაწყისად ფაქტიურად უნდა ჩაითვალოს 1917 წელი, როდესაც მოისპო მეფის რეჟიმის საშინელებანი...“ [2].

სანამ გავარკვევდეთ საკითხს იმის შესახებ, თუ რატომ არის „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის დაარსების თარიღად მიჩნეული აღნიშნულ რეზოლუციაში 1917 წელი, მანამ ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია წინასწარ განვაცხადოთ, რომ ამ დოკუმენტის უკრიტიკოდ მიღება და მასზე დაყრდნობით ორგანიზაციის არსებობის საწყისის განსაზღვრა მოცემული თარიღით, ჩვენი აზრით, ნიშნავს „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის ისტორიის ამსახველი იმ წყაროების უგულებელყოფას, რომელიც დიამეტრალურად საწინააღმდეგოა რეზოლუციაში აღნიშნული მონაცემებისა. მხედველობაში გვაქვს „ახალგაზრდა მარქსისტთა“ პირველი კონფერენციის ამსახველი მასალები.

---

[1] გ. ჟ ვ ა ნ ი ა, საქართველოს კომკავშირის სახელოვანი წარსულიდან, (1917—1921 წწ.), თბ., 1954, გვ. 60.

[2] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1. საქ. 661, ფურც. 97, გაზ. „კომუნისტი“, 1923 წ. 15 ნოემბერი, № 263; გაზ. „ტრიბუნა“, 1923 წ. 16 ნოემბერი. ს. 622.

აღნიშნული მასალებიდან ირკვევა, რომ „ახალგაზრდა მარქსისტთა“ პირველი კონფერენცია მოწვეულ იქნა არალეგალურად 1916 წლის დეკემბერში ქ. ქუთაისში (კონფერენციას დაესწრო 15 კაცი). კონფერენციამ, საქართველოს სასწავლო დაწესებულებებში 1915 წლის დასასრულსა და 1916 წლის დასაწყისში შექმნილი „ახალგაზრდა მარქსისტთა“ წრეები გააერთიანა ორგანიზაციად, მიიღო მისი წესდება და თვით ორგანიზაციას უწოდა „მარქსისტ-მოწაფეთა ამიერ-კავკასიის კავშირი“[1].

იმ ფაქტის არსებობა, რომ „ახალგაზრდა მარქსისტთა“ პირველმა კონფერენციამ შეძლო საქართველოში დაქსაქსულად მოქმედი „ახალგაზრდა მარქსისტთა“ წრეების გაერთიანება და ერთიანი ორგანიზაციის წესდების მიღება, უდავოდ დამადასტურებელია იმისა, რომ „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის იურიდიული არსებობა მივიჩნიოთ 1916 წლიდან.

თუკი ეს ასეა, მაშინ ბუნებრივია, ჩვენს წინაშე ისმება კითხვა იმის შესახებ, თუ რატომ იქნა „ახალგაზრდა მარქსისტთა“ სალიკვიდაციო ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციაში ამ ორგანიზაციის შექმნის აღმნიშვნელად 1917 წელი?

ამ კითხვაზე დამაჯერებელი და ამომწურავი პასუხი რომ მივიღოთ. ჩვენი აზრით, აუცილებლად უნდა განვიხილოთ შემდეგი ორი საკითხი: 1. უნდა გაირკვეს „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ისტორიის ფონზე ამ ორგანიზაციის პოლიტიკური მიმართულება და თვით ორგანიზაციის შიგნით ბოლშევიკური და მენშევიკური მიმდინარეობების წარმოშობის ძირითადი საფუძველი. 2. ნაჩვენები უნდა იქნას „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციიდან ბოლშევიკური მიმართულების ახალგაზრდობის ორგანიზაციულად გამოყოფის ძირითადი მიზეზი და დრო.

აღნიშნული პრობლემების ცალ-ცალკე განხილვა და შემდგომში მისი ერთმანეთთან დაკავშირება შესაძლებლობას მოგვცემს სრული პასუხი გავცეთ ჩვენ წინაშე დასმულ ზემოთ მითითებულ კითხვებს.

---

[1] გ. დ ე ვ დ ა რ ი ა ნ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 75; ა. ი მ ე დ ა შ ვ ი ლ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 59—60; გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“. 1932 წ. 23 ოქტომბერი, № 247. იხ. „საქართველოს კომკავშირის 15 წელი და მორიგი ამოცანები (მასალები მომხსენებლებისათვის)“, ჟურნ. „ახალი კვალი“, 1918, № 6, გვ. 16; გაზ. „ერთობა“, 1917 წ. 10 დეკემბერი, № 213.

ოაკ შეეხება პირველ საკითხს. როგორც სათანადო წყაროებისა და შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლამ ცხადყო. „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციას იურიდიულად გაფორმებიდან მისი მოღვაწეობის პირველ ეტაპზე (1916 წელი) ჯერ კიდევ გარკვეული და ჩამოყალიბებული არ ჰქონდა თავისი მოღვაწეობის პოლიტიკური კრედო. ეხებოდა რა აღნიშნულ საკითხს, ერ. ასტვაცატუროვი მიუთითებდა, თითქოს „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციაში თავიდანვე იყო ორი მიმდინარეობა: ბოლშევიკური და მენშევიკური[1]. ჩვენი აზრით, აღნიშნული მოსაზრება არასწორია. დასმული საკითხის გასარკვევად აუცილებელია, პირველ რიგში, ითქვას იმის შესახებ. თუ რით შემოიფარგლებოდა „ახალგაზრდა მარქსისტთა" საქმიანობა მოღვაწეობის პირველ ეტაპზე. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციის ყოფილი აქტიური წევრისა და შემდგომში საქართველოს კომკავშირის ერთ-ერთი ფუძემდებლის ბ. ძნელაძის მოგონება — „საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის ისტორიიდან". ამ მოგონებიდან ირკვევა, რომ თებერვლის რევოლუციამდე „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაცია „შედგებოდა მოსწავლე ახალგაზრდებისაგან და... ყოველთვის ემსახურებოდა მხოლოდ წმინდა საგანმანათლებლო მუშაობას, მარქსიზმის ფილოსოფიის შესწავლას"[2]. ამ საკითხთან დაკავშირებით იდენტურ შეხედულებას ავითარებენ ვ. დეკდარიანი სტატიაში „საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტები"[3]. კ. ცინცაძე მოგონებაში „წარსულიდან"[4] და მ. ცაგარეიშვილი „მოგონებანი ქუთაისის ახალგაზრდა კომუნისტური კავშირის წარსულიდან"[5].

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე. ჩვენი აზრით, შეცდომა იქნება ამ ეტაპზე „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციის შიგნით არსებულ რაიმე ურთიერთგანსხვავებულ პოლიტიკურ ან იდეოლოგიურ მიმართულებაზე მსჯელობა. საკითხზე იმის შესახებ თუ

---

[1] ერ. ასტვაცატუროვი, დასახელებული ნაშრომი. გვ. 40.
[2] ბ. ძ ნ ე ლ ა ძ ე, საქართველოს კომკავშირის ისტორიიდან, თბ., 1933, გვ. 13.
[3] ჟურნ. „მომავალი", 1923, № 1, გვ. 24.
[4] ჟურნ. „მომავალი", 1923, № 8, გვ. 110.
[5] საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის წარსული, ტფილისი, 1923. გვ. 143.

როდის შეიქმნა „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციაში ორი ურთიერთსაწინააღმდეგო იდეური მიმდინარეობა, პასუხს იძლევა თვით ბ. ძნელაძის ჩვენ მიერ ზემოთ აღნიშნული მოგონება. ამ მოგონებიდან ირკვევა, რომ „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციაში ორი მიმდინარეობა შეიქმნა თებერვლის რევოლუციის შემდეგ[1]. ასეთივე დებულებას ავითარებს კ. გორდელაძე თავის მოგონებაში „ახალგაზრდათა კომუნისტური მოძრაობა გურიაში“[2].

თუ რით იყო გამოწვეული „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის შიგნით ზემოთ აღნიშნულ მიმდინარეობათა წარმოშობა, ამ საკითხთან დაკავშირებით პროფ. ა. სურგულაძე სავსებით სამართლიანად შენიშნავს, რომ „თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ საქართველოს ახალგაზრდობის ერთი ნაწილი (უფრო მეტად ინტელიგენცია) მოპოვებული პოლიტიკური თავისუფლებით დაკმაყოფილდა. ამ ნაწილმა, ატარებდა რა შემთანხმებლური პარტიების გავლენას, რევოლუცია დამთავრებულად ჩათვალა და მენშევიკურ ხელისუფლებას გვერდში ამოუდგა.

მაგრამ ახალგაზრდობის მეორე ნაწილი (მუშა და ღარიბი გლეხობის წრიდან გამოსული) მალე მიხვდა, რომ რევოლუცია არ არის დამთავრებული, რომ არსებული ხელისუფლება ბურჟუაზიის ბატონობის განმტკიცებას ემსახურება.

ახალგაზრდობას შორის არსებული ეს ორი მიმდინარეობა ერთმანეთს აშკარად დაუპირისპირდა. მათთვის უკვე შეუძლებელი შეიქნა ერთ ორგანიზაციულ ჩარჩოებში არსებობა“[3].

უნდა შევნიშნოთ, რომ „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციაში თებერვლის რევოლუციის შემდეგ წარმოშობილი მიმდინარეობანი, რომლის შესახებ ზემოთაც გვქონდა აღნიშნული, ძირითადად ატარებდა ორ ურთიერთსაპირისპირო ხაზს — მენშევიკურსა და ბოლშევიკურს. ისიც საყურადღებოა, რომ მენშევიკური ფრთა ახალგაზრდობისა პროლეტარიატისათვის სოციალიზმში გადასასვლელად მენშევიკური პარტიის მსგავსად სავალდებულოდ და ისტორიულ აუცილებლობად თვლიდა დემოკრატიზმის გზის გავლას, რითაც იგი უარ-

---

[1] ბ. ძ ნ ე ლ ა ძ ე. საქართველოს კომკავშირის ისტორიიდან, გვ. 13.

[2] საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის წარსული, გვ. 91.

[3] ა. ს ურ გ უ ლ ა ძ ე, ნარკვევები რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან საქართველოში (1917-1921 წწ.), თბ.. 1954, გვ. 84.

ლოვდებოდა მეორე ინტერნაციონალის პლატფორმას. რაც შეეხება ბოლშევიკურ მიმდინარეობას, იგი აღიარებდა პროლეტარიატის დიქტატურას [1].

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ შესაძლებლობა გვეძლევა „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციის ისტორია 1916 — 1921 წლებში ძირითადად გავიაზროთ ორ ეტაპად: პირველი ეტაპი იწყება 1916 წლიდან და მთავრდება 1917 წელს. ეს ის პერიოდია, როცა ორგანიზაცია შემოიფარგლებოდა მხოლოდ მარქსის შრომების შესწავლითა და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობით. მეორე ეტაპი იწყება 1917 წლის მარტიდან, როდესაც თებერვლის რევოლუციის საკითხებთან დაკავშირებით „ახალგაზრდა მარქსისტთა" მეორე კონფერენციაზე აზრთა სხვადასხვაობის შედეგად ორგანიზაციაში გაჩნდა ორი ურთიერთსაწინააღმდეგო — მემარჯვენე და მემარცხენე მიმდინარეობა. ამ აქტით შემდეგში საფუძველი ჩაეყარა ორი ერთმანეთისადმი იდეურად მოწინააღმდეგე ახალგაზრდობის როგორც მენშევიკური, ასევე ბოლშევიკური ორგანიზაციების შექმნას. ისიც საყურადღებოა, რომ სწორედ ამ პერიოდიდან იწყება დასახელებულ ორგანიზაციათა შორის ბოლშევიკური და მენშევიკური პროგრამების დაცვისა და ახალგაზრდობაში მისი პოპულარიზაციის მიზნით ერთმანეთთან უკომპრომისო იდეოლოგიური ბრძოლა.

ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციაში იდეური განხეთქილების გამო მემარცხენე და მემარჯვენე მიმდინარეობების წარმოშობამ წინასწარი საფუძველი მოამზადა შემდგომში ახალგაზრდობის როგორც მენშევიკური, ასევე ბოლშევიკური ორგანიზაციების შესაქმნელად, რომელიც ძირითადად უკავშირდება „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციის ისტორიის მეორე ეტაპს.

რაც შეეხება ჩვენ მიერ ზემოთ მითითებულ მეორე საკითხს — „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციიდან ბოლშევიკური ფრთის ორგანიზაციულად გამოყოფის მიზეზობრიობისა და დროის შესახებ, ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ეს პროცესი ძირითადად განპირობებული იყო „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციაში წარმოქმნილი ორი სხვადასხვა მიმდინარეობის დიამეტრუ-

---

[1] გაზ. „სპარტაკი", 1923 წ. 22 ივლისი, № 45.

ლად ურთიერთსაწინააღმდეგო იდეური მსოფლმხედველობით. თუკი გავითვალისწინებთ ბოლშევიკური და მენშევიკური იდეოლოგიის ერთმანეთთან შეთანხმების შეუძლებლობის ფაქტს. მაშინ „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციიდან ურთიერთსაწინააღმდეგო მემარცხენე და მემარჯვენე ძალების ორგანიზაციულად გათიშვა ლოგიკურად უნდა მივიჩნიოთ. საკითხი იმის შესახებ, თუ როდის მოხდა კონკრეტულად ეს პროცესი, სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილი არ არის. ჩვენთვის საინტერესო საკითხს პირველად შეეხო ერ. ასტვაცატუროვი. მან „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციულად გათიშვის ფაქტი დაუკავშირა თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდგომ ეტაპს[1]. ხოლო თუ როდის განხორციელდა კონკრეტულად ეს გათიშვა, ამის შესახებ მას არაფერი აქვს ნათქვამი. ამ მოვლენასთან დაკავშირებით პროფ. ა. სურგულაძე ორგანიზაციის საბოლოოდ გათიშვის კონკრეტულ დროდ მიიჩნევს 1917 წლის 26 მარტს და მას უკავშირებს „ახალგაზრდა მარქსისტთა“ მეორე კონფერენციის მუშაობის ფაქტს[2]. ამის დასადასტურებლად მას საქართველოს კომკავშირის მე-15 წლისთავთან დაკავშირებით მომხსენებლებისათვის გამოქვეყნებული თეზისებიდან მოაქვს სათანადო ამონაწერი. მასში ვკითხულობთ: „1917 წლის 26 მარტს მარქსისტ მოსწავლეთა კავშირის თბილისის კოლექტივის მიერ მოწვეული იქნა მეორე კონფერენცია. ამ კონფერენციაზე მოხდა საბოლოო გათიშვა ახალგაზრდა მენშევიკებსა და ახალგაზრდა ბოლშევიკებს შორის“[3].

აღნიშნული განცხადება, ჩვენი აზრით, არ შეიძლება მივიჩნიოთ „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციიდან ბოლშევიკური მიმდინარეობის გამოყოფის დამადასტურებლად, რადგან, 1. იგი ზოგადი ხასიათისაა და მასში კონკრეტულად არაა მინიშნებული ეს გათიშვა იდეოლოგიურ თუ ორგანიზაციულ სფეროს შეეხებოდა; 2. კონფერენციის მოწვევის მომენტში ჯერ კიდევ „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის შიგნით ჩამოყალიბებული არ იყო ბოლშევიკური და მენშევიკური მიმდინარეობები, რომ მან თავი მხოლოდ კონფერენციის მუშაობის პერიოდში იჩინა. ამასთან დაკავშირებით გაზეთ „ერთობაში“ გამოქვეყნებულ კონფერენციის მასალებში ვკითხულობთ:

---

[1] ერ. ასტვაცატუროვი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 43.

[2] საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. VI, თბ., 1972, გვ. 460.

[3] გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1932 წ. 23 ოქტომბერი, № 217.

„განსაკუთრებულ ცხოველ აზრთა გაცვლა-გამოცვლას იწვევს მომენტთან დამოკიდებულების საკითხის განხილვა, აქ თავს იჩენს ორი მიმდინარეობა“ [1].

ეს ფაქტი და თვით კონფერენციის მონაწილეთა გამოსვლების ამსახველი მასალები აშკარად მიგვანიშნებს, რომ „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის შიგნით ოფიციალურად ორი იდეური მიმდინარეობა გამოვლინდა მიმდინარე მომენტთან დაკავშირებით თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გარშემო ამ კონფერენციაზე გამართული საჯარო კამათის დროს, სადაც რევოლუციისადმი დამოკიდებულების საკითხში საბოლოოდ გამოიკვეთა ბოლშევიკური და მენშევიკური თვალსაზრისი.

რაც შეეხება „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციიდან ახლად შექმნილი ბოლშევიკური მიმდინარეობის ორგანიზაციულად გამოყოფის საკითხს, ამის შესახებ კონფერენციის მასალებში არაფერია ნათქვამი. კონკრეტულად, თუ როდის განხორციელდა ეს პროცესი, ამასთან დაკავშირებით საინტერესო ცნობას ვხვდებით ბ. ძნელაძის მოგონებაში. მასში ვკითხულობთ, რომ „1917 წლის აგვისტოს დასაწყისში მოხდა ახალგაზრდა მარქსისტებთან ოფიციალური გათიშვა და ბოლშევიკური ახალგაზრდობა, რომელიც უმცირესობას წარმოადგენდა, გამოვიდა ამ ორგანიზაციიდან“ [2]. ამავე მოგონებიდან ირკვევა, რომ „ახალგაზრდა მარქსისტებისაგან“ ეს ორგანიზაციული გამოყოფა მოხდა მთელი საქართველოს მასშტაბით.

ამრიგად, ზემოთ მოტანილი ფაქტებისა და მისი ანალიზის საფუძველზე „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციაში ორი იდეური — მენშევიკური და ბოლშევიკური მიმდინარეობის ოფიციალურად გამოვლენის დროდ უნდა მივიჩნიოთ 1917 წლის 26 მარტი, ხოლო „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციიდან ბოლშევიკური მიმდინარეობის ორგანიზაციულად გამოყოფის დროდ კი იმავე წლის აგვისტოს დასაწყისი.

ჩვენ მიერ ზემოთ განხილული საკითხებისა და მის გარშემო მიღებული შესაბამისი დასკვნების საფუძველზე ცნობილი გახდა, რომ დიამეტრულად ურთიერთსაწინააღმდეგო მსოფლმხედველობის გამო

---

[1] გაზ. „ერთობა“, 1917 წ. 2 აპრილი, № 15.

[2] ბ. ძ ნ ე ლ ა ძ ე, საქართველოს კომკავშირის ისტორიიდან, გვ. 13.

1917 წლის აგვისტოდან „ახალგაზრდა მარქსისტების“ ბოლშევიკურ და მენშევიკურ ორგანიზაციებად გათიშვამ ისინი ერთმანეთს დაუპირისპირა. ამ დღიდან მოკიდებული „ახალგაზრდა მარქსისტები“ მთელი თავიანთი არსებობის მანძილზე მენშევიკური იდეოლოგიის დამცველებად გვევლინებოდნენ.

მას შემდეგ, რაც გავარკვიეთ საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი წლიდან გახდა „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაცია მენშევიკური, ამ ფაქტის გათვალისწინებიდან გამომდინარე, შესაძლებლობა გვეძლევა ავხსნათ. თუ რის საფუძველზე იქნა მიჩნეული „ახალგაზრდა მარქსისტთა“ სალიკვიდაციო ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციაში ამ ორგანიზაციის შექმნის თარიღად 1917 წელი.

ვფიქრობთ, რომ, რამდენადაც „ახალგაზრდა მარქსისტთა“ სალიკვიდაციო ყრილობას ფაქტობრივად საქმე ჰქონდა ახალგაზრდობის მენშევიკურ ორგანიზაციასთან, რომლის შესახებაც რეზოლუციის თითქმის ყველა პუნქტშია მითითებული, ჩვენი აზრით, ამიტომ მიღებულ რეზოლუციაში „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის არსებობა 1917 წლით დაათარიღეს. თუკი ეს ასეა, მაშინ უდავოა, რომ აღნიშნული თარიღი გულისხმობს „ახალგაზრდა მარქსისტთა“ მენშევიკური ორგანიზაციის შექმნას და არა საერთოდ „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის დაარსებას. ყოველივე ამის შემდეგ სრული უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაცია შეიქმნა და იურიდიულად გაფორმდა 1916 წელს და არა 1917 წელს, როგორც ამის შესახებ „ახალგაზრდა მარქსისტთა“ სალიკვიდაციო ყრილობის რეზოლუციაშია მითითებული.

უნდა შევნიშნოთ, რომ „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციაში მომხდარი იდეური გათიშვის შემდეგ, როგორც სათანადო მასალების შესწავლიდან ირკვევა, ახალგაზრდობის მემარცხენე ფრთამ დასვა საკითხი ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაციის „სპარტაკის“ შექმნის შესახებ. როგორც ზემოთაც მივუთითეთ, ამ ორგანიზაციის შექმნისათვის ბრძოლის საკითხი სათანადო სიღრმითაა გაშუქებული საქართველოს კომკავშირის ისტორიის საკითხებზე არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში. ვითვალისწინებთ რა ყოველივე ამას, ჩვენ შეგნებულად ვარიდებთ თავს იმ მოსამზადებელი ეტაპის განხილვას, რომელიც წინ უძღოდა ორგანიზაცია „სპარტაკის“ შექმნას.

ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაციის შექმნის საქმეში, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღიარებული, უდიდესი როლი შეასრულა გაზ. „პრავდამ“ და რსდმპ(ბ) VI ყრილობის გადაწყვეტილებებმა. როგორც ცნობილია, სწორედ აღნიშნული გადაწყვეტილებებით სარგებლობდა საქართველოს პარტიული ორგანიზაციები, როდესაც მათ ენერგიული ბრძოლა გააჩაღეს ახალგაზრდობის რევოლუციური ორგანიზაციის შესაქმნელად[1]. ცნობილი ფაქტია, რომ რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდობისადმი პარტიის უშუალო დახმარების ნაყოფი იყო 1917 წლის 3 სექტემბერს „ახალგაზრდა სოციალისტ-ინტერნაციონალისტთა ორგანიზაცია „სპარტაკის“ შექმნა[2].

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოგონებების კრებულის — „საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის წარსული“ შესავალში მითითებულია, რომ ორგანიზაცია „სპარტაკი“ არ დაარსებულა უეცრად, არამედ ის იყო ნაყოფი იმ ბრძოლისა, რომელიც თებერვლის რევოლუციის საკითხებთან დაკავშირებით „გაჩაღდა... „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციაში და რომლის უაღრესად გაწვავებამ... გამოიწვია მემარცხენე და მემარჯვენე ჯგუფების... გამოყოფა და დამოუკიდებელი ორგანიზაციის „სპარტაკის“ დაარსება“[3]. როგორც ცნობილია, აღნიშნულ პროცესს მოჰყვა „სპარტაკის“ ორგანიზაციების შექმნა საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში. ისიც საგულისხმოა, რომ ახლად დაარსებული ახალგაზრდობის რევოლუციური ორგანიზაციის განმტკიცება, როგორც ა. იმედაშვილი მიუთითებს, მიმდინარეობდა ბოლშევიკური ორგანიზაციის უშუალო ხელმძღვანელობით[4]. ჩვენი აზრით, სწორედ ამაში უნდა ვეძიოთ იმ დიდი წარმატებების მიზეზი, რასაც „სპარტაკის“ ორგანიზაციამ მიაღწია იდეოლოგიურ ფრონტზე მოწინააღმდეგე ძალებთან ბრძოლაში. ისიც საგულისხმოა, რომ ამ მხრივ მათ ერთგვარ დახმარებას უწევდა რევოლუციური ახალგაზრდობის ჟურნალი „მესამე ინტერნაციონალი“,

---

[1] გ. ქ ვ ა ნ ი ა საქართველოს კომკავშირის ისტორიის ნარკვევები, გვ. 7-8.

[2] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 96, აღწ. 1, საქ. 120, ფურც. 3, 9; Борьба за победу Советской власти в Грузии 1917—1921 гг. (документы и материалы), Тб., 1958, გვ. 82—83.

[3] საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის წარსული, გვ. 9.

[4] ა. ი მ ე დ ა შ ვ ი ლ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 7.

რომელიც 1917 წლის ნოემბერში დაარსდა „სპარტაკის“ ქუთაისის კომიტეტისა და პარტიის საგუბერნიო კომიტეტის ენერგიული მუშაობის შედეგად [1].

ამრიგად, ჩვენ მიერ ზემოაღნიშნული ფაქტებისა და მათი ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია გავაკეთოთ ზოგადი დასკვნა იმის შესახებ, რომ „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის შიგნით იდეურმა უთანხმოებამ, რომელიც შემდეგში თვით ამ ორგანიზაციის ორგანიზაციული გათიშვითა და ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაციის „სპარტაკის“ შექმნით დამთავრდა, პირველ რიგში, წარმოშვა ხელსაყრელი ნიადაგი ახალგაზრდობაში კომუნისტური იდეოლოგიის პროპაგანდის თვალსაზრისით. მეორეს მხრივ, აღნიშნულმა პროცესმა მენშევიკური პარტიის ლიდერებსა და „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის მენშევიკურ პლატფორმაზე მდგომ ახალგაზრდობას დაანახა, რომ საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას „სპარტაკის“ შომხრე ახალგაზრდობის სახით გაუჩნდა საიმედო რეზერვი მარქსისტულ-ლენინური იდეების სიწმინდის დაცვისა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

ითვალისწინებდა რა ყოველივე ამას, „სპარტაკელთა“ ორგანიზაციული განმტკიცების თავიდან აცილებისა და ახალგაზრდობაში ბოლშევიკური შეხედულებების ნეიტრალიზაციის მიზნით, „ახალგაზრდა მარქსისტებმა“ თავიანთ დამფუძნებელ კრებაზე (1917 წ. 10 დეკემბერი) კატეგორიულად დააყენეს საკითხი ახალგაზრდობის ბოლშევიკთა და მენშევიკთა ორგანიზაციების გაერთიანების შესახებ[2]. უნდა შევნიშნოთ, რომ ეს გაერთიანება, როგორც მასალებიდან ირკვევა, უნდა მომხდარიყო ფრაქციულ ნიადაგზე. ისიც საგულისხმოა, რომ, რამდენადაც ბოლშევიკური და მენშევიკური იდეოლოგია მკვეთრად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, როგორც პარტიის მოღვაწეობის ისტორიული გამოცდილება ცხადყოფს, ასეთი გაერთიანება ყოველად უსაფუძვლო იქნებოდა. მითუმეტეს, რომ ახალგაზრდა ბოლშევიკებს უკვე შექმნილი ჰქონდათ ბოლშევიკურ იდეოლოგიაზე აგებული თავიანთი დამოუკიდებელი ორგანიზაცია „სპარტაკი“. გაითვალისწინა

---

[1] გ. აფრიდონიძე, ოქტომბრის რევოლუცია და საქართველოს ბოლშევიკური პრესა (1917—1921 წწ.), თბ., 1974, გვ. 53.

[2] გაზ. „ერთობა“, 1917 წ. 12 დეკემბერი, № 214.

რა ყოველივე ეს. კრებამ ხმების უმრავლესობით შექმნილ ვითარებაში შეუძლებლად ცნო მათი გაერთიანება და ბოლშევიკებისადმი დაპირისპირების მიზნით „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაცია იურიდიულად მენშევიკურ ორგანიზაციად გამოაცხადა. ამასთანავე მან დასვა საკითხი „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის ჟურნალის — „ახალი კვალის“ გამოცემის შესახებ [1].

მაინც რა თეორიულ წანამძღვრებს ემყარებოდნენ „ახალგაზრდა მარქსისტები“, როდესაც თავს ოფიციალურად მენშევიკურ ორგანიზაციად აცხადებდნენ? დასმულ კითხვაზე სრულ, ამომწურავ პასუხს იძლევა „ახალგაზრდა მარქსისტთა“ სალიკვიდაციო ყრილობის (1923 წლის ოქტომბერი) მიერ მიღებული რეზოლუციის მეშვიდე და მერვე პუნქტები. მათში მითითებულია, რომ „ორგანიზაციის წარსულის შესწავლა და ამ წარსულის მიუდგომელი შეფასება გვარწმუნებს იმაში, რომ ეს ორგანიზაცია პრაქტიკული საქმიანობის სფეროში ატარებდა ტაქტიკას მეორე ახალგაზრდათა ინტერნაციონალისას და ამდენადვე ის, სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიასთან ერთად, იზიარებდა ფორმულას, „დემოკრატიზმის გზით სოციალიზმისაკენ“ [2]. ან კიდევ: „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაცია... დაკავშირებული იყო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიასთან (მენშევიკებთან) და მასთან განუყრელად ეწეოდა თანამშრომლობას [3].

ამრიგად, „ახალგაზრდა მარქსისტთა“ მენშევიკური ორგანიზაციის თეორიული მსოფლმხედველობა დაფუძნებული იყო მეორე ინტერნაციონალისა და საქართველოს მენშევიკური პარტიის იდეოლოგიაზე. უნდა შევნიშნოთ, რომ ახალგაზრდობაში აღნიშნული იდეოლოგიის ფართო პოპულარიზაციისა და თვით „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის ხელმძღვანელი ბირთვის არჩევის მიზნით, მოწვეულ იქნა ამიერკავკასიის „ახალგაზრდა მარქსისტთა“ პირველი კონფერენცია (1918 წლის 17 იანვარი). ინტერესს იწვევს ის ფაქტიც, რომ ამავე კონფერენციამ, ისევე როგორც თბილისის „ახალგაზრდა მარქსისტთა“ დამფუძნებელმა კრებამ (1917 წლის 10 დეკემბერი) მთელ რიგ საკითხებთან ერთად, ერთხელ კიდევ განიხილა და კატეგორიულად

---

[1] გაზ. „ერთობა“, 1917 წ. 12 დეკემბერი, № 214.

[2] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, საქ. 661, ფურც. 98, გაზ. „ტრიბუნა“, 1923 წ. 16 ნოემბერი, № 622.

[3] იქვე.

უარყო „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციაში ფრაქციელობის შესაძლებლობა. კონფერენციამ მიღებული დადგენილებით ორგანიზაცია მენშევიკური ხასიათის მატარებლად გამოაცხადა და მას ოფიციალურად უწოდა „ამიერკავკასიის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია“ [1].

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ კონფერენციის მუშაობაზე და მის მიერ მიღებულ მთელ რიგ დადგენილებებზე უდიდესი იდეური ზეგავლენა მოახდინა ჟურნ. „ახალ კვალში“ გამოქვეყნებულმა საპროგრამო სტატიამ „ახალგაზრდა მარქსისტთა კონფერენციის გამო“. ძირითადი იდეა, რომელიც ამ სტატიაშია მოცემული, იმაში მდგომარეობს, რომ კონფერენციას მშრომელთა თვალის ახვევის მიზნით უნდა დაესვა საკითხი „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციაში მოსწავლეებთან და სტუდენტებთან ერთად მუშებისა და გლეხი ახალგაზრდობის გაერთიანების შესახებ. ამ საკითხთან დაკავშირებით სტატიაში ვკითხულობთ: „ინტელიგენტური ძალების და მუშების ეს კავშირი მით უფრო საჭიროა, რომ ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობა თავიდანვე დაუახლოვდეს იმ ძალას, რომელსაც უნდა დაეყრდნოს თავის მუშაობაში ე. ი. მუშებს. — ჩვენი ორგანიზაცია თავისი ტიპით უნდა დაემსგავსოს ევროპისა და ამერიკის ახალგაზრდა სოციალისტთა ორგანიზაციებს“ [2].

მაშასადამე, ახალგაზრდა მარქსისტები“ მუშა-ახალგაზრდობაზე „დაყრდნობისა“ და მასთან „დაახლოვების“ ფარისევლური განცხადებების ფართო პოპულარიზაციის საფუძველზე ცდილობდნენ მოეხდინათ თვით მუშათა დაპირისპირება ბოლშევიკური იდეებისადმი. ამასთან ერთად, ისინი მიისწრაფოდნენ მშრომელთა ფენების ფართო გამოყენებით ეშენებინათ და განემტკიცებინათ მენშევიკური საქართველო. მეორეს მხრივ, „ახალგაზრდა მარქსისტები“ ასეთი განცხადებებით მუშა-ახალგაზრდობას მიანიშნებდნენ, რომ თითქოს ეს ორგანიზაცია მშრომელი ახალგაზრდობის ორგანიზაციასაც წარმოადგენდა, რომ ქვეყნის ინტერესებისათვის აუცილებელი იყო მათი ერთობლივი თანამშრომლობა. ასეთი ცრუ დემაგოგიური თვალსაზრისი კიდევ უფრო გაღრმავდა ზემოაღნიშნულ კონფერენციაზე გაკეთებულ

---

[1] ჟურნ. „ახალი კვალი“, 1918 წ. № 1, გვ. 16—17; № 4, გვ. 14—16; გაზ. „ერთობა“, 1918 წ. 24 იანვარი, № 13.

[2] ჟურნ. „ახალი კვალი“, 1918, № 2, გვ. 4.

მოხსენებებსა და დადგენილებებში. ამასთან დაკავშირებით მასში ვკითხულობთ: „ახალგაზრდა მარქსისტების“ წმინდა მოვალეობაა მხარში ვუდგეთ ჩვენს უფროს ამხანაგებს მუშათა კლასის ინტერესებისათვის ბრძოლაში“[1]. იმავე კონფერენციის მეორე სხდომაზე „ახალგაზრდა მარქსისტმა“ მ. ხუნდაძემ მიმდინარე მომენტის შესახებ გაკეთებულ მოხსენებაში. ბოლშევიკების „ანტიპროლეტარულ“ მიმდინარეობად გამოცხადების პარალელურად, კიდევ უფრო „განავითარა“ ზემოაღნიშნული ყალბი დებულება, რითაც მან მენშევიკებს „ჩამოხსნა“ რა წვრილბურჟუაზიული ანტიპროლეტარული საბურველი. ისინი პროლეტარიატის ინტერესებისათვის თავდადებულ მებრძოლებად გამოაცხადა. აღნიშნული. რომ მეტი სარწმუნო გახდეს, ამ მიზნით. ჩვენ მოვიტანთ შესაბამის ამონაწერს მ. ხუნდაძისავე მოხსენებიდან. მასში ვკითხულობთ: „დღეს მუშათა კლასის ინტერესების ერთადერთი გამომხატველი მენშევიკებია; ბოლშევიკები დღეს თავიანთი უტოპიური მისწრაფებებით სავსებით ეწინააღმდეგებიან პროლეტარიატის ინტერესებს“[2]. თუ რამდენად არასწორია აღნიშნული განცხადება. ამის შესახებ ნათელ წარმოდგენას იძლევა თვით ამავე კონფერენციაზე მიღებული „ახალგაზრდა მარქსისტთა“ წესდების შედარება ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაციის „სპარტაკის“ წესდებასთან. უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთი შედარებითი ანალიზი პირველად მოგვცა ერ. ასტვაცატუროვმა. მან ერთმანეთს შეადარა ქუთაისის სოციალისტ-ინტერნაციონალისტთა ორგანიზაციის — „სპარტაკის“ 1917 წელს მიღებული წესდება და „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის 1918 და 1920 წლებში მიღებული წესდებები. საქმე ისაა, რომ „სპარტაკის“ ორგანიზაციის წესდებაში, რომელიც ოთხი მუხლისაგან შედგება. განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი მუშა-ახალგაზრდობაში შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის ბრძოლის საკითხს[3]. ხოლო რაც შეეხება „ახალგაზრდა მარქსისტთა“ წესდებას. რომელიც 31 მუხლისაგან შედგება, იქ ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი მშრომელი ახალგაზრდობის შესახებ[4].

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ სავსებით სწო-

---

[1] ჟურნ. „ახალი კვალი“, 1918, № 1, გვ. 16.
[2] ჟურნ. „ახალი კვალი“, 1918, № 4, გვ. 16.
[3] ჟურნ. „მესამე ინტერნაციონალი“, 1917, № 3, გვ. 7.
[4] ჟურნ. „ახალი კვალი“, 1918, № 6, გვ. 14; 1920. № 2, გვ. 11—13.

რად მიგვაჩნია ერ. ასტვაცატუროვის დასკვნა, რომელიც ახალგაზრდობის ბოლშევიკური და მენშევიკური ორგანიზაციების წესდებათა შედარების საფუძველზე ხაზგასმით მიუთითებს, რომ „ახალგაზრდა მარქსისტთა“ წესდება აგებული იყო ბურჟუაზიისა და მემამულეთა დიქტატურის განმტკიცების ამოცანებიდან გამომდინარე პრინციპებსა და აღზრდის ფორმები სავსებით უზრუნველყოფდა ახალგაზრდობის შეგნების დაქვემდებარებას ეროვნული — ბურჟუაზიის მებრძოლი ინტერესებისადმი: ამასთან ერთად, მას შეეძლო პოლიტიკურად სრულად გამოეფიტა ახალგაზრდა და ჩამოეცილებინა იგი საზოგადოებრივი მოღვაწეობისაგან. „სპარტაკის“ ორგანიზაციას კი, თავისი წესდებით, შეჰქონდა ახალგაზრდობაში ჯანსაღი პოლიტიკური შეგნება, არკვევდა მას კლასობრივი ბრძოლის რაობაში, იმაში, თუ როგორ შეიძლებოდა მუშათა შორის პირობების გაუმჯობესება და რას ნიშნავდა მშრომელი ახალგაზრდობისათვის რევოლუციური მარქსიზმის დაუფლება“[1]. აქედან ნათლად მოსჩანს ის ფაქტი, მშრომელთა ინტერესების დასაცავად მენშევიკები იბრძოდნენ თუ ბოლშევიკები.

ამრიგად, „ახალგაზრდა მარქსისტთა“ მენშევიკური ორგანიზაციისა და ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაციის „სპარტაკის“ წესდებების ერთმანეთთან ურთიერთშეჯერება ცხადყოფს, რომ მშრომელთა ინტერესებისათვის ბრძოლის საკითხი „ახალგაზრდა მარქსისტებისათვის“ წარმოადგენდა მხოლოდ ნიღაბს, რათა მშრომელთა მოტყუების მიზნით მოეხდინათ თავიანთი ანტიმარქსისტული, ანტირევოლუციური იდეების შენიღბვა.

უნდა შევნიშნოთ, რომ „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ასეთი კურსი ბოლშევიკური ორგანიზაციების წინაშე აუცილებლობად აყენებდა საკითხს იდეოლოგიურ ფრონტზე მისი დაუყოვნებლივ მხილების შესახებ. პირველნი ვინც ამ მიმართულებით გადამწყვეტი ნაბიჯი გადადგა, იყო ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაცია „სპარტაკი“. ეხებოდა რა აღნიშნულ საკითხს, ფ. მახარაძე საქართველოს კომკავშირის მე-15 წლისთავთან დაკავშირებით აღნიშნავდა, რომ „სპარტაკელთა“ იდეური ბრძოლა „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის წინააღმდეგ „იყო ნაწილი იმ ბრძოლისა, რომელსაც აწარმოებდა იმ დროს სოც. პროლეტარიატი ბოლშევიკ ლენინელების მეთაურობით

---

[1] ერ. ასტვაცატუროვი, დასახელებული ნაშრომი. გვ. 78.

კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის, კაპიტალისტებისა და იმათი ზრახვებისა და მისწრაფებების გამომხატველ და დამცველი პარტიების წინააღმდეგ"[1]. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ „სპარტაკელთა" და „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციებს შორის იდეური ბრძოლის საკითხი ძირითადად ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციასთანაა დაკავშირებული.

ოქტომბრის რევოლუციამ, რომელმაც დაამხო დროებითი ბურჟუაზიულ-კონტრრევოლუციური მთავრობა, ი. ბ. სტალინის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მკვეთრად შესცვალა მდგომარეობა. მან ერთი დაკვრით გადაატრიალა ყველა ურთიერთობა და დააყენა მშრომელი კლასების ხელში ძალაუფლების გადასვლის საკითხი. ლოზუნგმა „მთელი ძალაუფლება მუშებსა და გლეხებს" მეხივით დაიქუხა ჩვენს ქვეყანაში და ფეხზე დააყენა ჩაგრული მასები"[2]. აღნიშნული ფაქტი მსედველობიდან არ გამორჩენია ამიერკავკასიისა და საქართველოს ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიების მესვეურთ. იმ მიზნით, რომ არ დაეშვათ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება და შეენარჩუნებინათ ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილება, მათ გადაწყვიტეს მოეწყვიტათ ამიერკავკასია საბჭოთა რუსეთისაგან. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა 1917 წლის 11 ნოემბერს ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური მთავრობის — ამიერკავკასიის კომისარიატის შექმნა. ეხებოდა რა აღნიშნულ საკითხს ჟურნ. „მესამე ინტერნაციონალი" სტატიაში — „მხოლოდ საქმე და საქმე" ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „მენშევიკები და ესერები — „ობორონცები" უჯარო გენერლებად დარჩნენ რუსეთში და ამიტომ პირი იბრუნეს კავკასიისაკენ, რომელიც მათი უკანასკნელი თავშესაფარია. აი აქ ლამობენ ისინი თავის პრესტიჟის აღდგენას. ამ მიზნისათვის რუსეთიდან გამოყოფაც კი აღიარეს"[3].

მენშევიკების მიერ გადადგმული აღნიშნული ნაბიჯი ხალხის თვალში ერთდაგვარი „გამართლების" აუცილებლობას საჭიროებდა. ამ მიზნით მათ მშრომელი მასის მოსატყუებლად ძირითადად ორი არგუმენტი მოიმარჯვეს: 1. „სოციალიზმის მშენებლობის" მენშევიკური თეორია ფორმულით — „დემოკრატიზმის გზით სოციალიზმისაკენ"

---

[1] გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი", 1932 წ. 24 ოქტომბერი, № 248.

[2] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზ., ტ. 4, თბ., 1948, გვ. 57.

[3] ჟურნ. „მესამე ინტერნაციონალი", 1917, № 2, გვ. 5.

და 2. რუსეთში კონტრრევოლუციური ძალების მიერ გაჩაღებული ანტისაბჭოთა საქმიანობის შედეგად შექმნილი სიძნელეების ანარქიად გამოცხადება. რაც შეეხება პირველ მათგანს, როგორც ცნობილია. ქართველმა მენშევიკებმა. მათ მიერ აღებული პოლიტიკური კურსის გამართლების მიზნით, მართალია, ფორმალურად აღიარეს სოციალიზმის მშენებლობის შესაძლებლობა, მაგრამ იგი საქართველოს პირობებში ნაადრევად მიიჩნიეს, რის გამოც მათი „თეორიის" მიხედვით საქართველოსათვის სოციალიზმი განუსაზღვრელი დროით გადაიდო. სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში ჟურნ. „კომუნისტს", როდესაც იგი სტატიაში — „კ. მარქსი" აღნიშნავდა, რომ „ჩვენი მოვალეობაა აქტიურად შევებრძოლოთ... იმ „სოციალისტურ" ჯგუფებს, რომლებიც საქმეზე ყოველთვის მიაჩანჩალებს ბურჟუაზიას. ეს საქართველოში „მენშევიკური სოციალიზმია", რომელმაც კიდევაც აიყოლია საქართველოს მშრომელი ხალხი და ის ჩამოაცილა რუსეთის მუშათა კლასს. სასტიკი და დაუნდობელი ბრძოლა ასეთ, სიტყვით სოციალისტებს, საქმით შოვინისტებს და იმპერიალიზმის ლაქიებს" [1].

მენშევიკების წინააღმდეგ ქართველი კომუნისტების დასაბუთებული მამხილებელ გამოსვლებს. აოც „სპარტაკის" ორგანიზაციები ჩაბეჭდავ. მენშევიკთა ლიდერები ფარისევლურად აცხადებდნენ, რომ „რუსეთში ანარქიაა გამეფებული და ჩვენი ვალია ხელი შევუწყოთ მის ჩაქრობას და ჩვენს თავს ვეპატრონოთო"[2]. ამ საკითხთან დაკავშირებით „სპარტაკის" ორგანიზაციის ერთ-ერთი აქტიური წევრი შ. სურებელი [3] სტატიაში — „რას მოასწავებს რუსეთიდან გამოყოფა?". კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს მენშევიკთა ზემოაღნიშნულ განცხადებას. მისი აზრით. რუსეთისაგან კავკასიის გამოყოფა არა თუ დაიც

ბა მენშევიკთა მიერ გადადგმულ ნაბიჯს. ავტორს იგი რუსეთის დემოკრატიისადმი ღალატად მიაჩნია. სტატიის დასასრულს იგი სავსებით კანონზომიერად მოაგონებს მენშევიკებს, რომ, „კრიზისებს, რომელიც დღეს არსებობს რუსეთში, განცალკევება და დაყოფა კი არ მოუღებს ბოლოს. არამედ კავშირი ცენტრთან და იმ რევოლუციურ მთავრობასთან, რომელიც შეადგინა ნამდვილმა რევოლუციურმა სრულიად რუსეთის მუშათა და დეპუტატების საბჭოთა მეორე ყრილობამ“ [1]. საქმე იმაშია, რომ მენშევიკებს სრულებითაც არ აინტერესებდათ რუსეთში შექმნილი არსებული სიძნელეების დაძლევისა და სოციალისტური რევოლუციის განვითარების საკითხი. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი საჯაროდ არ განაცხადებდნენ, რომ „ჩვენს თავს ვეპატრონოთო“. თავის თავისადმი პატრონობა პირველ რიგში, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მენშევიკებმა აღიქვეს საბჭოთა რუსეთისაგან საქართველოს ჩამოცილების აუცილებლობაში. მეორეს მხრივ, ამ აქტით მათ სურდათ კარები დაეხშოთ ამიერკავკასიაში კომუნისტური იდეების შემდგომი გავრცელებისათვის. ამასვე ადასტურებს ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაციის „სპარტაკის“ ქუთაისის კომიტეტის მიერ 1918 წელს გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტში“ გამოქვეყნებული მოწოდება: „ამხ. ახალგაზრდა მუშებს. მუშა-ქალებს და მთელ მშრომელ ახალგაზრდობას“. აღნიშნულ მოწოდებაში ვკითხულობთ, რომ „პროლეტარიატის „ბელადები“ გადმობარგდნენ ამიერკავკასიაში და მის ჩრდილო საზღვრებზე განიზრახეს ჩინური კედლის აგება, რათა კომუნისტური იდეები არ შემოსულიყო „ანარქისტულ“ რუსეთიდან“ [2]. ამას ისიც დაერთო, რომ ქართველი მენშევიკებისა და ესერების შემთანხმებლური მოქმედების წყალობით საქართველოში ვერ მოხერხდა საბჭოების ბოლშევიზაცია. აღნიშნულმა აქტმა, სხვა მთელ რიგ წინამორბედ მიზეზებთან ერთად შეაფერხა საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება. ყოველივე ამან განაპირობა ის ფაქტი, რომ მენშევიკური პარტიის ლიდერებს შესაძლებლობა მიეცათ დაპატრონებოდნენ სახელმწიფოებრივი მართვის საქმეს.

---

[1] ჟურნ. „მესამე ინტერნაციონალი“, 1817, № 3, გვ. 5.

[2] გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1918 წ. 23 დეკემბერი, № 1.

* * *

რუსეთში ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ. ქართველმა მენშევიკებმა. რომლებმაც შეძლეს სახელმწიფო ხელისუფლების სათავეში მოქცევა, საქართველოში რევოლუციის თავიდან აცილების მიზნით, გააჩაღეს კონტრრევოლუციური საქმიანობა, რათა ფართო მასებში მოეხდინათ რევოლუციური განწყობილების ლიკვიდაცია. დასახული ამოცანის განსახორციელებლად მათ დაიწყეს ბოლშევიკების დევნა, ამავე დროს გააძლიერეს ცილისმწამებლური კამპანია ოქტომბრის რევოლუციისა და საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, უნდა აღინიშნოს, რომ მენშევიკური პარტიის ანტიბოლშევიკურ საქმიანობას, როგორც სათანადო მასალებიდან ირკვევა, არც მისი ხელქვეითი „ახალგაზრდა მარქსისტები" ჩამორჩნენ, რომლებმაც მენშევიკური პარტიის მიბაძვით იდეური ბრძოლის იარაღი კომკავშირის წინააღმდეგ მიმართეს. ჩვენ ხელთ არსებული მასალების შესწავლა თვალნათლივ ცხადყოფს, რომ „ახალგაზრდა მარქსისტებსა" და „სპორტაკელებს" შორის იდეურმა ბრძოლამ. რის შესახებაც ზემოთაც გვქონდა მითითებული, გამოკვეთილი სახე ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის საკითხებთან დაკავშირებით მიიღო.

აღსანიშნავია. რომ ამ ორ დაჯგუფებას შორის იდეური უთანხმოების საკითხმა განსაკუთრებით ასახვა პოვა იმ პერიოდის როგორც კომკავშირულ. ასევე „ახალგაზრდა მარქსისტთა" პრესის ფურცლებზე. რაც შეეხება საარქივო მასალებს. ჩვენთვის საინტერესო პრობლემასთან დაკავშირებით იგი ძალზე მწირია. მიუხედავად ამისა. ახალგაზრდობის ბოლშევიკური და მენშევიკური პრესის ფურცლებზე გაბნეული მდიდარი მასალის შესწავლა და მისი ერთმანეთთან შეპირისპირება, სრულად თუ არა, ნაწილობრივ მაინც იძლევა საშუალებას ოქტომბრის რევოლუციისადმი დამოკიდებულების საკითხში „ახალგაზრდა მარქსისტთა" მენშევიკური ბუნების გამოსააშკარავებლად.

უნდა შევნიშნოთ, რომ „ახალგაზრდა მარქსისტთა" მენშევიკური ორგანიზაციის წინააღმდეგ იდეურ ბრძოლაში, ოქტომბრის რევოლუციის შედეგად საბჭოთა რუსეთში გატარებული ღონისძიებების დაცვისა და ფართო მასებში მისი პროპაგანდის თვალსაზრისით, უდიდესი როლი შეასრულა ჟურნალმა. ხოლო შემდეგ გაზეთმა „მესამე ინტერნაციონალმა" (1917 წლის 12 ნოემბერი). მისი ტრადიციები შემდგომ-

ში ლონსეულად გააგრძელა კაზეთმა „ახალგაზრდა კომუნისტმა“ (გამოვიდა 1918 წ. 23 დეკემბერს): გაზეთმა „ახალგაზრდა პროლეტარმა“ (1920 წლის მაისი) და საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ორგანომ გაზეთმა „ახალგაზრდა კომუნისტმა“ (1921 წლის 13 აგვისტო). მათში მთელი რიგი საკითხების პარალელურად მოცემულია „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ანტიპროლეტარული ორგანიზაციის წინააღმდეგ საქართველოს „სპარტაკელების“ იდეური ბრძოლის ამსახველი მასალები.

მისი გათვალისწინების საფუძველზე შესაძლებელი ხდება განისაზღვროს საქართველოს კომკავშირის როლი და დამსახურება „ახალგაზრდა მარქსისტთა“ მხილებისა და მათი მცდარი, მენშევიკური დებულებების კრიტიკის საქმეში. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა „ახალგაზრდა მარქსისტთა“ პერიოდულ ორგანოებში გამოქვეყნებული მასალებიც, რადგან მასში მოცემული ზოგიერთი დებულება ეწინააღმდეგება თვით ამავე ორგანიზაციის მენშევიკურ შეხედულებებს და უახლოვდება ბოლშევიზმის პლატფორმას. ამიტომ, აღნიშნული მასალების კრიტიკული შესწავლა და მისი გამოყენება, „ახალგაზრდა მარქსისტთა“ მსოფლმხედველობის წინააღმდეგ თვით ამავე ორგანიზაციის წევრთა დაპირისპირების შესაძლებლობას იძლევა.

უნდა აღინიშნოს, ჩვენ მიერ ზემოთ მითითებული მასალების შესწავლამ ცხადყო, რომ ოქტომბრის რევოლუციას მენშევიკური პარტიის მსგავსად, მტრულად შეხვდა საქართველოს „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციაც. ერთადერთი ორგანიზაცია, რომელიც სიმპათიით განეწყო ოქტომბრის რევოლუციისადმი და ახალგაზრდობაში ეწეოდა მისი იდეების ფართო პოპულარიზაციას, იყო „სპარტაკი“. იგი თავის ორგანოში — „მესამე ინტერნაციონალში“ ხშირად აქვეყნებდა თეორიული ხასიათის სტატიებს. მათში მარქსისტული პოზიციებიდან თეორიულად დასაბუთებული იყო ოქტომბრის რევოლუციის აუცილებლობასთან ერთად მისი ისტორიული მნიშვნელობაც. იმ მრავალ სტატიათაგან, რომლებიც ჟურნალმა „მესამე ინტერნაციონალმა“ გამოაქვეყნა, განსაკუთრებით მიიპყრო ჩვენი ყურადღება გ. მაკაშვილის სტატიამ — „ახალი რევოლუცია“. იგი იმითაა საინტერესო, რომ მასში ავტორმა ერთმანეთს დაუპირისპირა ბოლ-

შევიკებისა და ბურჟუაზიის ინტერესები. იგი მარქსისტული პოზიციებიდან განიხილავს რა რევოლუციაში კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის საერთო ინტერესებს, დასძენს. რომ „ბურჟუაზიას სურს ბატონობა, მიწის და სიმდიდრის შენარჩუნება. ძალაუფლების ხელში ჩაგდება“[1]. სტატიის ავტორი გამაფრთხილებელი ტონით საესებით სამართლიანად მიუთითებს, რომ ამ მიზანდასახულობის შესრულებისათვის ბრძოლაში ყოფილი გაბატონებული კლასები არაფერს არ დაერიდებოდნენ. აქედან გამომდინარე. რევოლუციის მონაპოვრის დაცვის მიზნით ავტორს აუცილებლად მიაჩნია რევოლუციური ერთობისა და სიმტკიცის შენარჩუნება[2].

მართალია „მესამე ინცერნაციონალმა“ კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით დააყენა მეტად მნიშვნელოვანი საკითხები, მაგრამ ისმება კითხვა იმის შესახებ, შეეძლო თუ არა მენშევიკური ბატონობის პერიოდში დაქსაქსულად მოქმედ „სპარტაკის“ ორგანიზაციებს ოქტომბრის რევოლუციასთან დაკავშირებით მათი პერიოდული ორგანოს მიერ დასმული საკითხების სრულყოფილად თეორიული დაცვა? როგორც მასალების შესწავლიდან ირკვევა, იგი ყოვლად შეუძლებელი გახდებოდა. თუკი „სპარტაკელები“ მჭიდრო კავშირურთიერთობას არ დაამყარებდნენ კომუნისტური პარტიის ლიდერებთან და მისი ხელმძღვანელობით ორგანიზაციულად არ გაერთიანდებოდნენ მთელი საქართველოს მასშტაბით. ითვალისწინებდა რა ყოველივე ამას, იმავე წელსვე „სპარტაკელებმა“ მჭიდრო კავშირურთიერთობა დაამყარეს ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან[3], და დასვეს საკითხი ჭაბუკ „სოციალისტ-ინტერნაციონალისტთა“ ორგანიზაციების გაერთიანების შესახებ[4]. ცნობილი ფაქტია, რომ ამ ეტაპზე საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში არსებობდა „სპარტაკის“ ორგანიზაციები. მართალია, ისინი იცავდნენ და ატარებდნენ ბოლშევიკურ ტაქტიკას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, რამდენადაც მათ შორის არ არსებობდა საერთო ორგანიზაციული ერთიანობა, ამიტომ მათ მიერ წარმოებული ბრძოლა იდეოლოგიურ ფრონტზე ნაკლებად ეფექტური იყო.

---

[1] ჟურნ. „მესამე ინტერნაციონალი“, 1917, № 1, გვ. 3—4.
[2] იქვე.
[3] ჟურნ. „მომავალი“, 1922, № 2, გვ. 111.
[4] ჟურნ. „მესამე ინტერნაციონალი“, 1917, № 1, გვ. 2.

ითვალისწინებდა რა ყოველივე ამას, ჟურნ. „მესამე ინტერნაციონალი“ სტატიაში — „თანამოაზრე ამხანაგების საყურადღებოდ“ „სპარტაკის“ ორგანიზაციების ხელმძღვანელებს მიუთითებდა: „არ უნდა დავივიწყოთ, ...რომ აუცილებელია... არსებობდეს... ორგანიზაციებს შორის მჭიდრო კავშირი და ამიტომ გთხოვთ ყველა თანამოაზრე ამხანაგებს ვიქონიოთ კავშირი ოდნავ მაინც, ერთიმეორესთან, მიწერ-მოწერის საშუალებით, სანამ კონფერენციას მოვიწვევდეთ და ფართოდ შევკავშირდებოდეთ[1]“

ახალგაზრდობაში მენშევიკური იდეოლოგიის შეჭრა და მის წინააღმდეგ დასაბუთებული იდეური ბრძოლა, აუცილებლად აყენებდა საქართველოს „სპარტაკის“ ორგანიზაციების გაერთიანების შესახებ დასმული საკითხის პრაქტიკულად გადაწყვეტას. ამ მიმართულებით პირველი გადამწყვეტი ნაბიჯი გადადგა დასავლეთ საქართველოს „სპარტაკის“ ორგანიზაციებმა.

უნდა აღინიშნოს, რომ პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის მითითების თანახმად „სპარტაკის“ ქუთაისის კომიტეტმა 1918 წლის 26 მაისს მოიწვია სპეციალური კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდა დასავლეთ საქართველოს „სპარტაკის“ ორგანიზაციების თითქმის ყველა წარმომადგენელი[2]. აღნიშნული კონფერენცია ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იმით იპყრობს, რომ მან გააერთიანა მთელი დასავლეთ საქართველოს „სპარტაკის“ ორგანიზაციები და მას უწოდა „ახალგაზრდათა კომუნისტური ორგანიზაცია — „სპარტაკი“[3].

ცნობილია, რომ ქუთაისში გამართული კონფერენციის გადაწყვეტილებების კვალდაკვალ თბილისში გაიმართა „სპარტაკის“ ორგანიზაციების თბილისის პირველი საერთო საქალაქო კონფერენცია (1919 წლის 31 მარტი — 2 აპრილი)[4].

აღვნიშნავთ მხოლოდ ერთს, რომ კონფერენციამ გააერთიანა დაქსაქსულად მოქმედი თბილისის „სპარტაკის“ ორგანიზაციები და მას უწოდა „ახალგაზრდათა კომუნისტური ორგანიზაცია „სპარტაკი“. ამ ფაქტთან დაკავშირებით ა. იმედაშვილმა გამოთქვა მოსაზრება იმის

---

[1] ჟურნ. „მესამე ინტერნაციონალი“, 1917, № 1, გვ. 3.

[2] ჟურნ „მომავალი“, 1923, № 8, გვ. 111.

[3] იქვე.

[4] გ. ქვანია, საქართველოს კომკავშირის ისტორიის ნარკვევები, გვ. 23.

შესახებ. თითქოს კონფერენციამ საფუძველი ჩაუყარა ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაციის არსებობას საქართველოში[1].

ეს მოსაზრება არ შეიძლება სწორად მივიჩნიოთ შემდეგ გარემოებათა გამო: 1. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის საკითხებთან დაკავშირებით იდეოლოგიურ ფრონტზე „ახალგაზრდა სოციალისტ-ინტერნაციონალისტთა ორგანიზაცია „სპარტაკისა" და „ახალგაზრდა მარქსისტთა" მენშევიკური ორგანიზაციის უკომპრომისო ბრძოლის ამსახველი საარქივო და პრესის მასალები ადასტურებს, რომ ორგანიზაცია „სპარტაკი" დაარსებიდანვე (1917 წ. 3 სექტემბერი) მარქსისტულ-ლენინურ, ე. ი. კომუნისტურ იდეოლოგიას აღიარებდა. 2. თბილისის საქალაქო კონფერენციამ 1919 წელს, მართალია, „ახალგაზრდა სოციალისტ-ინტერნაციონალისტთა ორგანიზაცია „სპარტაკს" სახელწოდება შეუცვალა და მას დაზუსტების მიზნით „ახალგაზრდათა კომუნისტური ორგანიზაცია „სპარტაკი" უწოდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არ შეცვლილა ორგანიზაციის სოციალური შემადგენლობა, იდეოლოგიური მრწამსი, მიზნები და ამოცანები. ე. ი. მათი მსოფლმხედველობა კვლავაც იგივე დარჩა. ამიტომ ზემოთ, აღნიშნულ სახელწოდებათა ცვალებადობა სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ახალ ორგანიზაციასთან.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოში ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაციის შექმნის დროდ უნდა მივიჩნიოთ 1917 წლის 3 სექტემბერი და არა 1919 წლის 31 მარტი, როგორც ამის შესახებ მიუთითებს ა. იმედაშვილი.

უნდა შევნიშნოთ, რომ დასავლეთ საქართველოსა და თბილისში არსებული „სპარტაკის" ორგანიზაციების გაერთიანებამ და მათმა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობის გაძლიერებამ დიდად შეუწყო ხელი იდეოლოგიურ ფრონტზე ახალგაზრდობაში ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის საკითხების ფართო პროპაგანდას. აღნიშნული ნაბიჯი იმდენად შედეგიანი აღმოჩნდა, რომ მან მოსვენება დაუკარგა თვით მენშევიკური პარტიის ლიდერებსაც კი. ამის დამადასტურებელია გაზეთ „სოციალ-დემოკრატში" პრომეთეოსის ფსევდო-

---

[1] ა. იმედაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 104.

ნიშით გამოქვეყნებული სტატია — „სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში“ [1].

დასახელებულ სტატიაში „სპარტაკელთა“ ორგანიზაციებისადმი დაპირისპირების, ახალგაზრდობის დაპყრობისა და „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციების გარშემო მისი შეკავშირების მიზნით, დასმული იყო საკითხი ახალგაზრდობის მენშევიკური ორგანიზაციების პერიოდული ორგანოს—„ახალი კვალის“ გამოცემის შესახებ [2]. ამასთანავე, სტატიაში ოქტომბრის რევოლუციისადმი მხარდაჭერა და ლენინური იდეების პროპაგანდა მიჩნეული იყო ანარქოსინდიკალისტურ აზროვნებად. რაც შეეხება ჟურნალ „მესამე ინტერნაციონალს“, სტატიის ავტორი მას გაურკვეველ გზაზე მდგომი ახალგაზრდობის ორგანოდ თვლიდა. ყოველივე ამის საფუძველზე იგი აუცილებლობად მიიჩნევდა, რათა „ახალგაზრდა მარქსისტებს“ როგორც პრაქტიკულად, ასევე თეორიულად პრესის საშუალებით ეწარმოებინათ ბრძოლა ბოლშევიკური იდეების წინააღმდეგ.

„ახალგაზრდა მარქსისტები“, რომლებიც სარგებლობდნენ საქართველოში მენშევიკური პარტიის გაბატონებით, ყოველმხრივ ცდილობდნენ შეეიწროებინათ „სპარტაკელთა“ ორგანიზაცია და მისი პრესა, განსაკუთრებით „მესამე ინტერნაციონალი“, რაც აშკარად უშლიდა ხელს ახალგაზრდობაში ბოლშევიკური იდეების პროპაგანდის საქმეს. მიუხედავად ამისა, როგორც ც. ხუბულავა შენიშნავს, ჟურნ. „მესამე ინტერნაციონალმა“ „შესძლო თავის ფურცლებზე ბოლშევიზმის პრინციპების თეორიული დასაბუთება და იმ პრობლემის გარკვევა, რითაც ...დაინტერესებული იყო მაშინდელი ახალგაზრდობა“ [3]. ისიც საყურადღებოა, რომ ამ პერიოდის ქართველი ახალგაზრდობის მარქსისტული მსოფლმხედველობით აღზრდის საქმეში დიდ როლს გაზეთი „ბრძოლაც“ ასრულებდა, რომელიც ერთდროულად ილაშქრებდა არა მარტო მენშევიკური პარტიის, არამედ მის მიმდევართა მიერ ოქტომბრის რევოლუციისა და საბჭოთა ხელისუფლების მიმართ

---

[1] გაზ. „სოციალ-დემოკრატი“, 1918 წ. 21 იანვარი, № 239.

[2] ჟურნ. „ახალი კვალი“ გამოვიდა 1918 წლის 10 იანვარს.

[3] ც. ხ უ ბ ე ლ ა ვ ა, საქართველოს კომკავშირული პრესა საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის წლებში, თბ., 1978, გვ. 19.

შემუშავებული მცდარი შეხედულებების წინააღმდეგ. როგორც შესაბამისი მასალების შესწავლიდან ირკვევა, მაშინდელი ახალგაზრდობის, ისევე როგორც უფროსი თაობის წინაშე. ოქტომბრის რევოლუციის მიმართ არსებობდა ორი ერთმანეთისადმი დიამეტრალურად საწინააღმდეგო შეხედულება. რომელსაც საფუძვლად დაედო 1917 წელს კავკასიის მუშათა დეპუტატების საბჭოების საგანგებო ყრილობაზე ნ. ჟორდანიას მოხსენება. მასში დასმული იყო საკითხი იმის შესახებ, შეიძლებოდა თუ არა ეწოდებინათ ოქტომბრის რევოლუციისათვის რევოლუცია. ამ კითხვაზე იგი უარყოფითად პასუხობდა. თავისი მცდარი შეხედულების დასასაბუთებლად იგი პარალელს ავლებდა თებერვლისა და ოქტომბრის რევოლუციებს შორის. მისი აზრით, თებერვლის გადატრიალება ქუჩაში გამართული წმინდა კლასობრივი ბრძოლა იყო, ხოლო ოქტომბრის გადატრიალება, რამდენადაც იგი ღამით განხორციელდა, შეთქმულების შედეგი იყო. აღნიშნულის დასაბუთების მიზნით იგი განმარტავს, თუ რა ახასიათებს რევოლუციასა და შეთქმულებას, და ამასთან დაკავშირებით დასძენს, რომ „რევოლუციას ახასიათებს ქუჩაში სისხლის ღვრა, მუშათა კლასის ბრძოლა ჯარის წინააღმდეგ, შეთქმულებას ახასიათებს მოქმედება ჩუმათ სისხლდაუღვრელად"[1].

შეეხო რა ოქტომბრის რევოლუციის მიმართ ნ. ჟორდანიას აღნიშნულ მცდარ შეხედულებას, გაზეთმა „ბრძოლამ" სტატიაში — „მომენტი" საკითხების მიხედვით დაწვრილებით განიხილა და გაარჩია იგი. რამდენადაც ნ. ჟორდანია რევოლუციას მხოლოდ სისხლისღვრით განსაზღვრავდა, ამასთან დაკავშირებით გაზეთი მიუთითებდა, რომ „სწორედ ასე მსჯელობს ყველა პოლიტიკურ აზროვნებას შეუჩვეველი „ობივატელი"... ამის მიხედვით 1905 წლის სომეხ-თათართა შეტაკება, სადაც აუარებელი სისხლი დაიღვარა, უდიდესი რევოლუცია ყოფილა. ხოლო 1789 წელს საფრანგეთის ნაციონალური კრების გამოცხადება არავითარ რევოლუციას არ წარმოადგენს, რადგან მაშინ ერთი წვეთი სისხლიც არ დაღვრილა"[2].

რამდენადაც ნ. ჟორდანიას თავის მოხსენებაში არ დაუსვამს და არ განუმარტავს საკითხი, თუ რას ნიშნავდა რევოლუცია, ამან მას

---

[1] გაზ. „ერთობა", 1917 წ. 23 დეკემბერი.
[2] გაზ. „ბრძოლა", 1918 წ. 4 იანვარი, № 2.

შესაძლებლობა მისცა რევოლუცია, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მხოლოდ სისხლისღვრისათვის დაეკავშირებინა. გაითვალისწინა რა ყოველივე ეს, გაზეთმა „ბრძოლამ“ იმავე სტატიაში ნ. ჟორდანიასეული მცდარი არგუმენტის დასაბუთებულად უარყოფის მიზნით, მკითხველს განუმარტა, თუ რას ნიშნავდა რევოლუცია და მიუთითა მისთვის დამახასიათებელ ძირითად მხარეებზე. ამასთან დაკავშირებით გაზეთი აღნიშნავდა, რომ „რევოლუციის ნიშანდობლივი და არსებითი თვისებაა არა სისხლისღვრა, არამედ პოლიტიკური ძალაუფლების გადასვლა ერთი კლასიდან მეორე კლასის ხელში. რასაც იგი აქამდე მოკლებული იყო, ...ვინც ცდილობს უარყოს ოქტომბრის რევოლუცია, მან უნდა დაამტკიცოს, რომ ამ გადატრიალების დროს არ მომხდარა ბურჟუაზიის მიერ ძალაუფლების დაკარგვა, რომ ეს ძალაუფლება არ გადასულა პროლეტარიატის ხელში და მაშასადამე, ყველაფერი ძველებურად დარჩა. თუ ამის დამტკიცება არ შეიძლება, სისხლისღვრის მოწმობა აქ ვერაფერს უშველის... ეს სისხლდაუღვრელობა ღირსებაა ოქტომბრის რევოლუციისა და არა მისი ნაკლულოვანება“[1]. რაც შეეხება საკითხს — ოქტომბრის რევოლუციის შეთქმულებად გამოცხადების ნ. ჟორდანიასეულ მცდელობას, ამასთან დაკავშირებით გაზეთი სათანადო მასალის მოშველიების საფუძველზე სამართლიანად მიუთითებს, რომ „ოქტომბრის რევოლუციის მიმართ შეთქმულების შესახებ ლაპარაკი ლაყბობაა, რადგან მტერმა ყველა ზომა მიიღო მის საწინააღმდეგოდ, მაგრამ ვერაფერს გახდა“[2].

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ, როდესაც ოქტომბრის რევოლუციის წინააღმდეგ აღიმაღლეს ხმა, მენშევიკური პარტიის მხარდამხარ „ახალგაზრდა მარქსისტებმაც“ ხელზე დაიხვიეს „ჩამორჩენილობის საბუთი“. ამასთან დაკავშირებით ისინი აცხადებდნენ, რომ თითქოს ოქტომბრის რევოლუცია „მოხდა ნახევრად ფეოდალურ რუსეთში, სადაც კაპიტალიზმი ძალიან სუსტად არის განვითარებული და სოციალისტური წყობილების დამყარებაზე ლაპარაკიც კი მეტია“[3] ეყრდნობოდნენ რა აღნიშნულ მცდარ დებულებას, „ახალგაზრდა მარქსისტები“ ფიქრობდნენ, რომ, რამდენადაც რუსეთი ჩამორჩენილია.

---

[1] გაზ. „ბრძოლა“, 1918 წ, 4 იანვარი, № 2.

[2] იქვე.

[3] ჟურნ. „ახალი კვალი“, 1918, № 3, გვ. 2.

სოციალისტური რევოლუციისათვის იქ ობიექტური პირობები მოუმწიფებელიაო. აქედან გამომდინარე, ისინი დაასკვნიდნენ, რომ სოციალისტური რევოლუცია რუსეთამდე ევროპაში უნდა მოხდესო. ეხებოდა რა აღნიშნულ საკითხს, გაზ. „ბრძოლა“ სამართლიანად შენიშნავდა, რომ „ლაყბობა ჩამორჩენილობის შესახებ — ეს მხოლოდ იარაღია რევოლუციის წინააღმდეგ“[1]. ხოლო მომდევნო ნომრებში ამავე საკითხთან დაკავშირებით მიუთითებდა, რომ „მათ ვერ მოუნელებიათ, რომ რუსეთმა დაარღვია ეს რიგი და მით დეზორგანიზაცია შეიტანა მათ აზროვნებაში. შებოჭილნი ბურჟუაზიული აზროვნებით, ისინი უძლურნი არიან ჩასწვდნენ ამ რევოლუციასა და მოკლედ უსწორდებიან მას მით, რომ უარყოფენ თვით ფაქტს, უარყოფენ მომხდარ რევოლუციას“[2].

თუ „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ერთი ნაწილი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ რუსეთის „ჩამორჩენილობის“ მიზეზით უარყოფდა ოქტომბრის რევოლუციის აუცილებლობას, მეორე ნაწილი ოქტომბრის რევოლუციამდელი საერთო მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე იძულებული ხდება შეფარვით მაინც აღიაროს ოქტომბრის რევოლუციის კანონზომიერება, ამის დამადასტურებლად გამოდგება ჟურნალ „ახალ კვალში“ გამოქვეყნებული მ. ხუნდაძის სტატია — „პოლიტიკური პერსპექტივები“. მასში ავტორი, მთელ რიგ საკითხებთან ერთად, კრიტიკული პოზიციებიდან აშუქებს დროებითი მთავრობის მთელ მოღვაწეობას. მისი აზრით, ოქტომბრის რევოლუციის ძირითად მიზეზს წარმოადგენდა ზავის, ეკონომიკური ანარქიის, ეროვნული და აგრარული საკითხის გადაწყვეტაში დროებითი მთავრობის უსუსურობა[3].

აქედან გამომდინარე, ნათელი ხდება ის ფაქტი, რომ ოქტომბრის რევოლუციის აუცილებლობა, თვით „ახალგაზრდა მარქსისტების“ მიერ გამოდის გამართლებული, რაც აშკარად ასაბუთებს „ახალგაზრდა მარქსისტთა“ შეხედულებებს შორის არსებულ წინააღმდეგობას.

აღნიშნულ არგუმენტაციას ამაგრებს თვით „ახალგაზრდა მარქსისტთა“ „ორგანოს ჟურნალ „ახალი კვალში“ გამოქვეყნებული სტატია — „თანამედროვე მდგომარეობა და მარქსი“. მასში ოქტომბრის

---

[1] გაზ. „ბრძოლა“, 1918 წ. 12 იანვარი.

[2] გაზ. „ბრძოლა“, 1918 წ. 18 იანვარი, № 13.

[3] ჟურ. „ახალი კვალი“, 1918, № 3, გვ. 3.

რევოლუციის საკითხებთან დაკავშირებით ხაზგასმითაა მითითებული, რომ „რევოლუციის პირველი ტრიუმფალური დღეები, ამავე დროს მარქსის ტრიუმფიც იყო, მარქსიზმის იდეის დემონსტრაცია“ [1]. მოტანილი ციტატიდან აშკარად ჩანს, რომ ავტორი ოქტომბრის რევოლუციას მიიჩნევს როგორც მარქსიზმის შემოქმედებითი განვითარების ნაყოფს. ამით იგი მკვეთრად უპირისპირდება და არღვევს აღნიშნული რევოლუციის შესახებ „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის ლიდერთა მცდარ შეხედულებებს.

იდეოლოგიურ ფრონტზე „ახალგაზრდა მარქსისტთა“ არათანმიმდევრულმა პოზიციამ წარმოშვა მათსავე შეხედულებებში ურთიერთსაწინააღმდეგო დებულებები. აღნიშნული ფაქტი აშკარად მეტყველებს იმ გარემოებაზე, რომ მიუხედავად მენშევიკური პარტიის პრივილეგიური მდგომარეობისა, თვით ამავე პარტიის მესვეურთა შორისაც არ არსებობდა ოქტომბრის რევოლუციის საკითხებზე ერთიანი მტკიცედ ჩამოყალიბებული შეხედულება. ამ გარემოებამ, როგორც შემდგომში დავინახავთ, ერთგვარად ხელი შეუწყო იდეოლოგიურ ფრონტზე „სპარტაკის“ ორგანიზაციის წევრთა დასაბუთებულ გამოსვლებს.

ოქტომბრის რევოლუციის გარშემო გამართულ იდეურ ბრძოლაში ერთ-ერთ საპოლემიკო საკითხად იქცა დამფუძნებელი კრება. უნდა შევნიშნოთ, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს ბოლშევიკური და მენშევიკური პარტიების დამოკიდებულება საკმაოდ ღრმადაა შესწავლილი ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში. მას სხვადასხვა დროს შეეხნენ: გ. ხაჭაპურიძე, გ. ყვანია, გ. აფრიდონიძე, გ. ჯანგველაძე და სხვები.

ცნობილი ფაქტია, რომ დამფუძნებელი კრების იდეა ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე დაიბადა და მან მოიცვა მოსახლეობის დიდი ნაწილი. ისიც აღსანიშნავია, რომ ამ კრების არჩევნებთან დაკავშირებით პირველობისათვის იბრძოდნენ როგორც ბოლშევიკები, ისე მენშევიკები. ასეთივე მდგომარეობა იყო საქართველოშიც. როგორც სათანადო მასალის შესწავლამ გვიჩვენა, მენშევიკურ პარტიას დამფუძნებელ კრებაში უმრავლესობის მოპოვებისათვის ბრძოლაში გვერდში ედგა „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაცია. თუ რა კუთხით აწარმოებდა ის მუშაობას, ამის შესახებ ნათელ წარმოდგენას იძლევა

---

[1] ჟურნ. „ახალი კვალი“, 1918, № 8, გვ. 1.

ამიერკავკასიის მარქსისტ-მოწაფეთა კავშირის თბილისის კომიტეტის მიერ „ახალგაზრდა მარქსისტებისადმი“ გამოშვებული მოწოდება. მასში ვკითხულობთ: „კომიტეტმა გადაწყვიტა შეადგინოს კავშირის წევრთა და თანამგრძნობთა რაზმი და შეძლებისდაგვარად დაეხმაროს არჩევნებში ჩვენს ორგანიზაციებს. ამხანაგების ვალია ჩაეწერონ ამ რაზმებში“[1]. უნდა აღინიშნოს. რომ „ახალგაზრდა მარქსისტებმა“ ამ მიმართულებით საკმაოდ დიდი დახმარება აღმოუჩინეს მენშევიკურ პარტიას[2].

თუ რა ფორმებში მიმდინარეობდა დამფუძნებელ კრებასთან დაკავშირებული არჩევნები, ამის შესახებ დაწვრილებით მოგვითხრობს „სპარტაკელთა“ გაზეთი „მესამე ინტერნაციონალი“. გაზეთში მოტანილი ფაქტებიდან ირკვევა, რომ მთელ რიგ ადგილებში არჩევნებთან დაკავშირებით ხმების უმრავლესობა ბოლშევიკებს მოუპოვებიათ. რის გამოც მენშევიკები. ბოლშევიკთა მომხრეების მიმართ მუქარით აცხადებდნენ, რომ „ვინც მე-5 ნომერს მისცა ხმა, ის ამ სოფლიდან უნდა გავაძეოთ. რადგან ისინი (ბოლშევიკები) ანარქისტები და შანტაჟისტები არიანო“[3]. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაზეთი სვამს კითხვას: „რას ნიშნავს ეს?“ და იქვე სავსებით სამართლიანად დასძენს. რომ „განა შეშვენის ასეთი საქციელი რომელიმე პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელს?“[4]. საქმე იმაშია, რომ „ახალგაზრდა მარქსისტები“ ხშირად იდეოლოგიურ ბრძოლასთან ერთად ძალდატანებისა და მუქარის მეთოდების გამოყენებით ყოველმხრივ ცდილობდნენ სახელი გაეტეხათ „სპარტაკელებისათვის“ და ამით პირნათელი გამოსულიყვნენ თავიანთი „მამების“ წინაშე. ეს. რომ ნამდვილად ასე იყო. ამის შესახებ გარკვევითაა მითითებული გაზეთ „მესამე ინტერნაციონალში“ გამოქვეყნებულ სტატიაში — „ბეგის წერილის გამო“. მასში აღნიშნულია. რომ „ეს ვაჟბატონები არავითარ საშუალებას არ ერიდებიან. ოღონდაც თავიანთი დემაგოგიურობით და ლანძღვა-გინების საშუალებით ხალხის თვალში სახელი გაუტეხონ ნამდვილ პროლეტარიატის დამცველ სოციალ-დემოკრატ ბოლშევიკების პარტიას“[5].

---

[1] გაზ. „ერთობა“. 1917 წ. 10 ნოემბერი, № 193.

[2] ჟურ. „ახალი კვალი“, 1919, № 2, გვ. 1.

[3] გაზ. „მესამე ინტერნაციონალი“, 1917 წ. 11 დეკემბერი, № 4.

[4] იქვე.

[5] იქვე.

უნდა აღინიშნოს, რომ 1917 წლის დასასრულისათვის დამფუძნებელი კრების საკითხზე გამართულმა იდეურმა ბრძოლამ კიდევ უფრო დაძაბული ხასიათი მიიღო. საქმე იმაშია, რომ ბოლშევიკთა საწინააღმდეგოდ ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიები და ორგანიზაციები ყოველმხრივ ცდილობდნენ დამფუძნებელ კრებაში უპირატესობის მოპოვებას და ამის საფუძველზე რევოლუციის განადგურებას. განსაზღვრავდა რა დამფუძნებელი კრებისადმი ორი ურთიერთმოწინააღმდეგე კლასების ინტერესებსა და დამოკიდებულებას, ამასთან დაკავშირებით გაზეთი „ბრძოლა" შენიშნავდა, რომ დამფუძნებელმა კრებამ „უნდა დაადასტუროს რევოლუციის მონაპოვარი... ასეთია მშრომელი კლასის პოზიცია დამფუძნებელი კრების მიმართ. მაგრამ არანაკლებ იმედით უყურებს დამფუძნებელ კრებას ბურჟუაზიაც. მას იმედი აქვს, რომ ეს კრება დაგმობს რევოლუციას და ძალაუფლებას კვლავ ბურჟუაზიას გადასცემს" [1]. ამის იმედს, საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგეებს აძლევდა დამფუძნებელი კრების არჩევნებში მიღწეული უპირატესობა. იგი ძირითადად გამოწვეული იყო შემდეგი გარემოებით: 1. დამფუძნებელი კრების არჩევნები მიმდინარეობდა ოქტომბრის რევოლუციამდე შედგენილი სიების მიხედვით. 2. არჩევნების მომენტში რუსეთის ყველა რეგიონში ჯერ კიდევ არ იყო დამყარებული საბჭოთა ხელისუფლება და მოსახლეობის უმრავლესობამ არაფერი იცოდა საბჭოთა დეკრეტების შესახებ. 3. ხალხის გარკვეულ ნაწილს ჯერ კიდევ არ ჰქონდა შეგნებული სოციალისტური რევოლუციის მნიშვნელობა [2].

ეხებოდა რა აღნიშნულ საკითხს, ვ. ი. ლენინი 1918 წლის 5(18) იანვარს დამფუძნებელი კრების სხდომაზე გამოქვეყნებულ „რსდმ პარტიის (ბოლშევიკების) ფრაქციის დეკლარაციაში" აღნიშნავდა, რომ „დამფუძნებელი კრება მისი ახლანდელი შემადგენლობით შედეგია ძალთა, იმ თანაფარდობისა, რომელიც ჩამოყალიბდა დიდი ოქტომბრის რევოლუციამდე. დამფუძნებელი კრების ახლანდელი კონტრრევოლუციური მთავრობა, არჩეული მოძველებული პარტიული სიების

---

[1] გაზ. „ბრძოლა", 1918 წ. 6 იანვარი, № 5.

[2] გ. ჯანგველაძე, საქართველოს კომუნისტური პარტიის ბრძოლა ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიების იდეური და ორგანიზაციული განადგურებისათვის (1903 — 1923 წწ.), თბ., 1974, გვ. 208.

მიხედვით, გამოხატავს რევოლუციის განვლილ გუშინდელ დღეს და ცდილობს წინ გადაეღობოს მუშათა და გლეხთა მოძრაობას“ [1].

ცნობილი ფაქტია, რომ დამფუძნებელი კრების უმრავლესობაჰ უარყო საბჭოების მეორე ყრილობის მიერ მიღებული დეკრეტები და ვ. ი. ლენინის მიერ შემუშავებული „მშრომელი და ექსპლუატირებული ხალხის უფლებათა დეკლარაცია“, რითაც იგი აშკარად დაუპირისპირდა საბჭოთა ხელისუფლებას. რამდენადაც დამფუძნებელი კრება უარყოფდა საბჭოების უპირატესობას და იცავდა ბურჟუაზიის ინტერესებს, ამით იგი ავტომატურად უგულებელყოფდა დემოკრატიზმსაც. თუ რაოდენ დიდი უპირატესობა ჰქონდა საბჭოებს დამფუძნებელ კრებასთან შედარებით, ამის შესახებ ვ. ი. ლენინი ჯერ კიდევ 1917 წელს მიუთითებდა დამფუძნებელი კრების შესახებ დაწერილ თეზისებში. მასში ვკითხულობთ: „როდესაც დამფუძნებელი კრების მოწვევის მოთხოვნას აყენებდა, რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიას 1917 წლის რევოლუციის დასაწყისიდანვე არაერთხელ აღუნიშნავს ხაზგასმით, რომ საბჭოების რესპუბლიკა დემოკრატიზმის უფრო მაღალი ფორმაა, ვიდრე ჩვეულებრივი ბურჟუაზიული რესპუბლიკა დამფუძნებელი კრებით“ [2]. სწორედ ამიტომ დამფუძნებელი კრების ლათხოვნა, რომელიც სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მითითებით განხორციელდა (1918 წლის 6 იანვარი), ლოგიკურად იყო გამართლებული.

ცნობილია, რომ მენშევიკებმა ამ ფაქტთან დაკავშირებით მთელი აურზაური ატეხეს იმ პერიოდის პრესის ფურცლებზე[3], საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მათ მიერ წამოყენებულ მთელ რიგ მცდარ ანტისაბჭოურ შეხედულებებს თავგამოდებით იცავდა „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაცია, რომ ეს ნამდვილად ასე იყო, ამის საილუსტრაციოდ გამოდგება ჟურნალ „ახალ კვალში“ გამოქვეყნებული სტატია — „უფსკრულის პირზე“. მასში მთელი რიგი საკითხების პარალელურად განხილულია დამფუძნებელი კრებისადმი საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულება. ხოლო თვით დამფუძნებელი კრების გარეკვა მიჩნე-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 26, გვ. 501—502.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 26, გვ. 440.

[3] გაზ. „სოციალ-დემოკრატი“, 1917 წ. 8 დეკემბერი, № 207; 1918 წ. 31 აგვისტო, № 401.

ელია საბჭოთა ხელისუფლების მიერ პარლამენტარიზმის უარყოფად[1]. საქმე იმაშია, რომ ამ „ლოგიკით“ ისინი ცდილობდნენ დაემტკიცებინათ დამფუძნებელი კრების საჭიროების აუცილებლობა. ისმება საკითხი იმის შესახებ, იყო თუ არა გამართლებული ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ დამფუძნებელი კრების აუცილებლობა და სახელმწიფოებრივი მმართველობის პარლამენტური ფორმების დამკვიდრება? ამ კითხვაზე სრულ ამომწურავ პასუხს იძლევა ვ. ი. ლენინის მიერ დამფუძნებელი კრების დათხოვნის შესახებ შედგენილი დეკრეტის პროექტი. მასში გარკვევითაა მითითებული, რომ „დამფუძნებელ კრებას, რომელიც ბურჟუაზიული პარლამენტური რესპუბლიკის დაგვირგვინება უნდა ყოფილიყო, არ შეეძლო გზაზე არ გადაღობებოდა ოქტომბრის რევოლუციას და საბჭოთა ხელისუფლებას“ [2].

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შემდეგ, უდავოა ის ჭეშმარიტება, რომ მენშევიკური პარტიის მსგავსად „ახალგაზრდა მარქსისტთა“ მტკიცება დამფუძნებელი კრების საჭიროების აუცილებლობის შესახებ, ძირითადად გამოხატავდა წვრილი და მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესებს და მიმართული იყო საბჭოების ხელისუფლებისა და პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ. რაც შეეხება მეორე საკითხს, ბოლშევიკების მიერ თითქოსდა დემოკრატიზმის უარყოფის შესახებ, სრული სიყალბე იყო და მისი ბრალდება ბოლშევიკებისადმი თვით მენშევიკური პარტიის ლიდერებიდან მომდინარეობდა. ცნობილი ფაქტია, რომ ბოლშევიკების მიერ თითქოსდა დემოკრატიული პრინციპების უარყოფის საკითხი ქართველი მენშევიკებიდან პირველად ნ. ჟორდანიამ დააყენა. მან 1918 წელს, თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების ყრილობაზე, კიდევ უფრო დააკონკრეტა თავისი შეხედულება დემოკრატიული პრინციპების შესახებ. ისიც აღსანიშნავია, რომ მისი მსჯელობა დემოკრატიულ საკითხებზე უშუალოდ დაკავშირებული იყო ოქტომბრის რევოლუციასთან და დამფუძნებელი კრების საკითხთან. როგორც ზემოთაც გვქონდა აღნიშნული, რამდენადაც ბოლშევიკებმა დაითხოვეს დამფუძნებელი კრება, ეს და სხვა ფაქტები ნ. ჟორდანიამ მიიჩნია ბოლშევიკების მიერ დემოკრატიული

---

[1] ჟურნ. „ახალი კვალი“, 1918, № 2, გვ. 3—4.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 26, გვ. 506—507.

პრინციპების ცხოვრებისეული ასპარეზიდან განდევნად [1]. უნდა შევნიშნოთ, რომ მენშევიკური პარტიის მხარდამხარ ბოლშევიკების წინააღმდეგ დემოკრატიზმის საკითხებზე ბრალდებით „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციაც გამოვიდა. მათი ლიდერები ხშირად აქვეყნებდნენ ამ პრობლემის ირგვლივ შესაბამის ცილისმწამებლურ სტატიებს, რომელთაგან ყურადღებას იქცევს მ. ხუნდაძის სტატია „სად არის დემოკრატია?“. მასში გარკვევითაა მოცემული „ახალგაზრდა მარქსისტებისათვის“ დამახასიათებელი ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებები. სტატიის ავტორი ეხება რა დემოკრატიის საკითხებს, კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს ანარქისტების შეხედულებებს დემოკრატიზმზე და დასძენს, რომ „დემოკრატია ხალხის უმრავლესობის ბატონობას მოასწავებსო“[2]. მაგრამ იქვე სოციალისტური დემოკრატიის შეფასებისას იგი წინააღმდეგობაში ვარდება. ეს წინააღმდეგობა იმაში მდგომარეობს, რომ ერთის მხრივ, იგი დემოკრატიზმის მთავარ ატრიბუტად მიიჩნევს უმრავლესობის ბატონობის აუცილებლობას, ხოლო მეორეს მხრივ, როდესაც ეხება სოციალისტურ დემოკრატიას. ძალაუნებურად თვალს ხუჭავს ჭეშმარიტებაზე და არ სურს დაინახოს საბჭოთა დემოკრატიაში დამკვიდრებული მარქსისტული პრინციპი — უმრავლესობის გაბატონება უმცირესობაზე.

რაც შეეხება დემოკრატიის მარქსისტულ განსაზღვრას, იგი მოცემული აქვს ვ. ი. ლენინს ნაშრომში — „სახელმწიფო და რევოლუცია“. „დემოკრატია არის ისეთი სახელმწიფო, — წერს ვ. ი. ლენინი, — რომელიც აღიარებს უმცირესობის დამორჩილებას უმრავლესობისადმი, ე. ი. ორგანიზაცია სისტემატური ძალდატანებისა, რომელსაც ერთი კლასი ახდენს მეორეზე, მოსახლეობის ერთი ნაწილი მეორეზე“[3]. როგორც ვხედავთ. ლენინური განსაზღვრებითაც დემოკრატია უმრავლესობის ბატონობას ნიშნავს. ამასვე აღიარებს მ. ხუნდაძეც ჩვენ მიერ ზემოთ აღნიშნულ სტატიაში. ისმება საკითხი იმის შესახებ, თუკი დემოკრატია უმრავლესობის ბატონობაა უმცირესობაზე, მაშ რატომ უარყოფს მ. ხუნდაძე საბჭოთა დემოკრატიზმს? ამ კითხვაზე პასუხი „ახალგაზრდა მარქსისტთა“ წვრილბურჟუაზიულ ბუნებაში უნდა ვე-

---

[1] ჟურნ. „მოამბე“, 1923, № 3, გვ. 14.

[2] ჟურნ. „ახალი კვალი“. 1918, № 1, გვ. 5—6.

[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 25, გვ. 566.

ძიოთ. რამდენადაც მენშევიკური პარტიები და ორგანიზაციები წვრილ-ბურჟუაზიულ ხასიათს ატარებდა, მათ მიერ აღიარებული „უმრავლესობის“ ბატონობის შინაარსში იგულისხმება არა პროლეტარიატი, არამედ წვრილი ბურჟუაზია. ეხებოდა რა აღნიშნულ საკითხს, გაზეთი „ბრძოლა“ სტატიაში — „სოციალიზმის შიში“ მოწინააღმდეგე წვრილბურჟუაზიული პარტიებისა და ორგანიზაციების საყურადღებოდ მიუთითებდა, რომ „დემოკრატიაში პირველობა პროლეტარიატს ეკუთვნის. მისი იდეალი სოციალიზმია. აშკარაა, დემოკრატიის გაბატონება ბურჟუაზიულ საზოგადოებაში პრაქტიკულ ნიადაგზე აყენებს სოციალიზმის საკითხს და ვინც ამას უარყოფს, ის უარყოფს სოციალიზმთან ერთად დემოკრატიზმსაც. ...ვინც სოციალიზმით აფრთხობს ხალხს, მას დემოკრატიზმისაც ეშინია. ვინც დემოკრატიის გაბატონებაზე ლაყბობს და სოციალიზმის დროშას კი გაურბის, მას არც დემოკრატიის გაბატონება სწამს და ისევ ბურჟუაზიის ბატონობას ეტრფიალება, დემოკრატიზმი გზა არის სოციალიზმისაკენ“ [1].

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ რამდენადაც მენშევიკური მთავრობა სოციალიზმს გაურბოდა, ხოლო ხალხის თვალში ცდილობდა თავი დემოკრატიული პრინციპების დამცველად გაესაღებინა. საბჭოთა რუსეთთან დაპირისპირების მიზნით, მან გადაწყვიტა 1919 წლის თებერვლისათვის მოეწყო დამფუძნებელი კრების არჩევნები. ამ საკითხთან დაკავშირებით „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ჟურნალი „ახალი კვალი“, მოწინავე წერილში — „დამფუძნებელი კრება და ჩვენი მომავალი“ წერდა, რომ „მომავალმა დამფუძნებელმა კრებამ გვირგვინი უნდა დაადგას ჩვენს დემოკრატიულ ნაშენს, მან უნდა უყოს საბოლოო სანქცია ჩვენი რესპუბლიკის შენობის საქმეს, მან უნდა ერთი ათად გაამაგროს ჩვენი ხალხის საშინაო თუ საგარეო მდგომარეობა... დიდი საქმისათვის არის მოწოდებული დამფუძნებელი კრება და იმედიცაა, რომ ის ამ დიდმნიშვნელოვან საქმეებს ღირსეულად გაუძღვება“ [2]. იქვე წერილში გამოთქმულია იმედი იმის შესახებ, რომ დამფუძნებელი კრება ხელს შეუწყობდა ევროპის სახელმწიფოთა თვალში საქართველოს ავტორიტეტის ამაღლებას. აქედან გამომდინარე, ნაწინასწარმეტყველებია საქართველოს „დემოკრატიული რესპუბლიკის“ ბრწყინვალე მომავალი.

---

[1] გაზ. „ბრძოლა“, 1918 წ. 1 იანვარი, № 1.

[2] ჟურნ. „ახალი კვალი“, 1919, № 1, გვ. 2.

უნდა შევნიშნოთ, რომ დამფუძნებელი კრებისადმი „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ასეთმა პოზიციამ მენშევიკური პარტიის ლიდერებს სრული საფუძველი და შესაძლებლობა მისცა. არჩევნების მომენტში ეს ორგანიზაცია გამოეყენებინა თავისი მიზანდასახულობის შესასრულებლად. ჩვენი აზრით, სწორედ ამით იყო განპირობებული ის ფაქტი, რომ მენშევიკური პარტიის მითითების შესაბამისად, იმ პერიოდის მენშევიკურ პრესაში არჩევნებთან დაკავშირებით ხშირად ქვეყნდება „ახალგაზრდა მარქსისტებისადმი“ სპეციალური მოწოდებები თუ რას ისახავდა მიზნად ეს მოწოდებები, ამის საილუსტრაციოდ გამოდგება გაზეთ „სოციალ-დემოკრატში“ გამოქვეყნებული ლანჩხუთის „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის კომიტეტის ვრცელი მოწოდება ამავე ორგანიზაციის წევრებისადმი. ჩვენ შევეცდებით დაწვრილებით შევეხოთ აღნიშნულ მოწოდებას, რადგან მასში ყველაზე უკეთაა გამოვლენილი „ახალგაზრდა მარქსისტთა“ მენშევიკური დემაგოგია. მოწოდებაში საუბარია იმის შესახებ, რომ ეროვნულ-დემოკრატები ამოძრავდნენ სოციალ-დემოკრატ მენშევიკების წინააღმდეგ, რომ ისინი ცდილობენ სახელი გაუტეხონ სოციალ-დემოკრატიას და თავი გაასაღონ ხალხის მეგობრად, მის მოჟირნახულად[1]. სოციალ-დემოკრატ მენშევიკების მოწინააღმდეგეთა ასეთი ნაბიჯი იმით იყო განპირობებული, რომ მათ სურდათ ხალხის ნდობის მოპოვება, რათა უფრო მეტი კანდიდატი გაეყვანათ დამფუძნებელ კრებაში. აღნიშნული პროცესი რომ არ მომხდარიყო, დამფრთხალი სოციალ-დემოკრატები სოფლისა და ქალაქის მშრომელ ახალგაზრდობას მოუწოდებდნენ, რომ თითქოს ხალხის ინტერესების დამცველი მხოლოდ სოციალ-დემოკრატია იყო, რომ მან თავისი „სწორი“ პოლიტიკური ხაზით გადაარჩინა საქართველო ფიზიკურ განადგურებას. ამ საკითხთან დაკავშირებით მოწოდებაში „ახალგაზრდა მარქსისტების“ მიმართ ნათქვამია, რომ „ჩვენ უნდა ვეცადოთ დავუმტკიცოთ ხალხს, რომ არც ერთი პარტია ისე არ დაიცავს მის ინტერესებს, როგორც სოციალ-დემოკრატია“[2].

იქვე მითითებულია, რომ „ახალგაზრდა მარქსისტებს“ უნდა აეხსნათ მშრომელებისათვის, რომ თუ ისინი ხმას მისცემდნენ სხვა რომელიმე პარტიას, დიდად წააგებდნენ. ამასთან მათ დაეკალათ, რომ ფა-

---

[1] გაზ. „სოციალ-დემოკრატი“, 1919 წ. 7 თებერვალი, № 29.

[2] იქვე.

რთოდ გაეჩაღებინათ მშრომელთა ფენებში სოციალ-დემოკრატიის სასარგებლო აგიტაცია-პროპაგანდა. როგორც ვხედავთ. მენშევიკურმა პარტიამ დამფუძნებელი კრების არჩევნების მზადების პერიოდში თავისი მიზნების განსახორციელებლად დამხმარე ფუნქციები „ახალგაზრდა პარტისტთა" ორგანიზაციას დააკისრა. შექმნილი ვითარება საქართველოს ბოლშევიკური პარტიისა და „სპარტაკის" ორგანიზაციების წინაშე აყენებდა საკითხს საპირისპირო ღონისძიებათა დაუყოვნებელი განხორციელების შესახებ, რათა მშრომელები დაერწმუნებინათ, რომ მენშევიკური მთავრობის მიერ მოწვეული დამფუძნებელი კრება იყო მოჩვენებითი დემოკრატიზმი და იგი მიზნად ისახავდა მშრომელთა მოტყუებას. დასახული ამოცანის განხორციელების მიზნით, როგორც საარქივო მასალების შესწავლიდან ირკვევა, ქართველმა ბოლშევიკებმა მთელი საქართველოს მასშტაბით ფართო საagიტაციო პროპაგანდისტული მუშაობა გაშალეს. ისინი არალეგალურად ბეჭდავდნენ და ავრცელებდნენ მენშევიკური მთავრობის სამხილებელ პროკლამაციებს, რომელთაგან განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია 1918 წელს რუსეთის კომუნისტური პარტიის კავკასიის საოლქო კომიტეტის მიერ გამოცემულმა პროკლამაციამ.

აღნიშნული პროკლამაცია, ეხებოდა რა მენშევიკთა დამფუძნებელ კრებას, მიუთითებდა: „რაღა უნდა დააფუძნოს დამფუძნებელმა კრებამ. თუ ყველაფერი დაფუძნებულია? ვინღა უნდა აირჩიოს ქართველმა ხალხმა. თუ აურჩევლებმაც მშვენივრად განაგეს მისი ცხოვრება?... დამფუძნებელი კრება მათივე აზრით და გადაწყვეტილებით, იმაზე უკეთესს ვერას გამოსცემს და დააკანონებს, რაც უკვე გამოსცა და დააკანონა არსებულმა პარლამენტმა, რომელიც არავის არ აურჩევია... თუ ძალიან უნდა, ადგნენ და დაარქვან თავისთავს დამფუძნებელი კრება. განა ეს პარტიები და მინისტრები არ იყვნენ, რომ ჯერ ეროვნული საბჭო დაარქვეს თავის თავს, ისე, რომ არავისთვის არ უკითხავთ და მერე. ასევე მოურიდებლად ამ საბჭოს სახელი გამოუცვალეს და პარლამენტი დაარქვეს?"[1].

ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად პროკლამაცია მუშებს, გლეხებსა და ჯარისკაცებს მოუწოდებდა, მონაწილეობა არ მიეღოთ და ბოიკოტი გამოეცხადებინათ დამფუძნებელი კრებისადმი. თუ რამდე-

---

[1] საქ. სსრ ცსსა, ფ. 1863, აღწ. 1, საქ. 7. ფურც. 2.

ნად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დამფუძნებელი კრებისადმი ბოიკოტის გამოცხადებას, ამასთან დაკავშირებით პროკლამაციაში ვკითხულობთ: „ამ ბოიკოტით თქვენ პროტესტი უნდა განაცხადოთ დღევანდელი წყობილების წინააღმდეგ. ამით თქვენ დამსახურებული სილა უნდა გააწნათ დღევანდელ მმართველ პარტიებს. ამით თქვენ სამარცხვინო ბოძზე უნდა გააკრათ ისინი და მთელ მათ წარსულ მოქმედებას ის ზიზღი გამოუცხადოთ, რომლისაც ისინი სავსებით ღირსნი არიან“ [1].

ასეთი მამხილებელი გამოსვლის მიუხედავად, დამფუძნებელი კრების არჩევნებში მაინც მიიღო მონაწილეობა მშრომელთა იმ ნაწილმა, რომელიც ბოლშევიკურ და მენშევიკურ იდეოლოგიას შორის მერყეობდა. ამ საქმეში მენშევიკურ პარტიას გარკვეული დახმარება „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციამაც გაუწია. თუ რა მიმართულებით წარმართავდნენ „ახალგაზრდა მარქსისტები“ დამფუძნებელი კრების არჩევნების დროს თავის მუშაობას, ეს კარგად ჩანს გაზეთ „სოციალ-დემოკრატში“ გამოქვეყნებული მასალებიდან. მასში ვკითხულობთ, რომ ამ მომენტში „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ძირითადი „საქმიანობა მხოლოდ საარჩევნო აგიტაციებში გამოიხატებოდა, რომლითაც დიდი დახმარება გავუწიეთ ჩვენს უფროს ამხანაგებს შეძლებისდაგვარად და შეიძლება ითქვას, რომ უკანასკნელად დამფუძნებელი კრების კამპანიას სიცოცხლის ელფერს ჩვენ ვსდებდით“ [2].

დამფუძნებელი კრების არჩევნების მომზადების საქმეში „ახალგაზრდა მარქსისტთა“ როლის ასე გაიდეალება შეიძლება გადაჭარბებულიც იყოს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ფაქტია, რომ მენშევიკურმა პარტიამ ამ არჩევნებში ხმებისა და ადგილების ყველაზე მეტი რაოდენობა მოიპოვა. ისიც საყურადღებოა, მენშევიკები ხალხის თვალში რომ ინტერნაციონალისტებად გამოჩენილიყვნენ. მათ მიერ წამოყენებული 130 კანდიდატიდან 18 არაქართველი იყო. უნდა შევნიშნოთ, რომ დამფუძნებელ კრებაში 130 ადგილიდან 109 მენშევიკებს დარჩათ, მაგრამ 1919 წლის აგვისტოს დამატებითი არჩევნების დროს ოთხი ადგილი დაკარგეს და მათი დეპუტატების რიცხვი 105-მდე დავიდა (13 არაქართველი იყო, მათ შორის 3 რუსი, 3 სომეხი და ა.შ.),

---

[1] საქ. სსრ ცსსა, ფ. 1863, აღწ. 1, საქ. 7, ფურც. 2.

[2] გაზ. „სოციალ-დემოკრატი“, 1919 წ. 11 აპრილი, № 80.

25 ადგილი სხვა წვრილბურჟუაზიულ პარტიებს დარჩათ. ამით მენშევიკები კიდევაც ამაყობდნენ, იგი თავიანთი დემოკრატიულობის დამტკიცებელ ფაქტორად მიაჩნდათ[1] და მას უპირისპირებდნენ საბჭოთა დემოკრატიას.

თუ რამდენად ახორციელებდა დემოკრატიულ პრინციპებს ცხოვრებაში მენშევიკური პარტია, ამის საილუსტრაციოდ იმ პერიოდის პრესის ფურცლებიდან უამრავი მასალის მოტანა შეიძლება. მიუხედავად ამისა, ჩვენ მხოლოდ ყურადღებას შევაჩერებთ მენშევიკური პარტიისაგან გამოყოფილ დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატთა ჯგუფის მიერ დაარსებულ გაზეთ „ახალ სხივზე", რომელმაც ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით გამოაქვეყნა მეტად საინტერესო მოწინავე სტატია სათაურით — „მოხელეთა კორპორაცია თუ სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია". აღნიშნულ სტატიაში ეჭვის ქვეშაა დაყენებული მენშევიკური მთავრობის მიერ სახელმწიფოს მართვის „პრინციპული დებულებები" და მეთოდები, რომელსაც იგი ჩინოვნიკურს უწოდებს. ამასთან ერთად მენშევიკური პარტიის შესახებ დასახელებულ სტატიაში კატეგორიულადაა ნათქვამი: „ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ოფიციალური პარტია... მიექანება ბურჟუაზიული გზით, აკეთებს ყოველდღიურ „მეშჩანურ" საქმეს, იქნებ დიდად საჭიროს, მაგრამ არა ნამდვილ დემოკრატიულს და მითუმეტეს არა სოციალისტურს" [2].

აღნიშნულიდან ნათლად დასტურდება, რომ საქართველოს მენშევიკური პარტია და მისი ხელქვეითი „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაცია, რომლებიც მთელ სახელმწიფოებრივ საქმიანობას წვრილბურჟუასიული გზით წარმართავდნენ, ძირითადად მიჰყვებოდა არა სოციალისტურ, არამედ წვრილბურჟუაზიული დემოკრატიზმის გზას. თუ რამდენად მიზანშეწონილი იყო იმ პერიოდის საქართველოსათვის წვრილბურჟუაზიული ან ბურჟუაზიული დემოკრატიზმი, ამ კითხვაზე სრული ამომწურავი პასუხი გასცა გაზეთმა „ახალმა კომუნისტმა" სტატიაში — „სიყალბის ავტორი სიყალბეს გვწამებს." მასში მთელი რიგი ფაქტების მოშველიების საფუძველზე დამაჯერებლად

---

[1] გ. ჯანგველაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 268.
[2] გაზ. „ახალი სხივი", 1921 წ. 9 იანვარი, № 2.

იყო მითითებული, რომ „ბურჟუაზიული დემოკრატიზმი სასარგებლო იყო ერთ დროს. თუგინდ აუცილებელიც, ისე როგორც ბურჟუაზიული ლიბერალიზმი, როგორც პოლიტიკური განვითარების აუცილებელი საფეხური... და ეს საფეხური საერთაშორისო პროლეტარიატმა კიდეც განვლო... და ეს გამოიყენა კიდეც, რამდენადაც მას ისტორიული პირობები ნებას აძლევდა. ახლა ეს ისტორიული პირობები შეიცვალა და მას კითხვა დაუყენა არა „ბურჟუაზიული დემოკრატიზმის“ გამოყენებისა, არამედ... ახალი პროლეტარული დემოკრატიზმის შექმნისა“[1].

როგორც ვხედავთ, ჩვენ მიერ გაზეთ „ახალი კომუნისტიდან“ მოტანილ აღნიშნულ ამონაწერში დასმულია საკითხი პროლეტარული დემოკრატიზმის აუცილებლობის შესახებ, რომლის განხორციელება მხოლოდ სოციალისტურ საზოგადოებასთანაა დაკავშირებული. აქედან გამომდინარე თუკი მივუდგებით საკითხს, ნათელი გახდება ის ფაქტი, რომ მენშევიკური მთავრობის „დემოკრატიზმი“, რამდენადაც იგი წვრილი ბურჟუაზიის ინტერესებს გამოხატავდა, ამდენად მისი ძირითადი არსი მშრომელთა მოტყუების მიზნით მხოლოდ სიტყვიერ მასალას შეიცავდა. ამის დამადასტურებლად გამოდგება თუნდაც ქალაქის თვითმმართველობის ხმოსანთა კანდიდატთა დასახელების საკითხთან დაკავშირებით ქ. თბილისის საქ. სდმპ მეორე რაიონის ერთობის უბნის მშრომელთა კოლექტივის 1921 წლის 26 იანვრის ერთი განცხადება. მასში ვკითხულობთ: „მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის გამგეობაში ჩვენი პარტიის (სოციალ-დემოკრატების — შ. ვ.) წარმომადგენლები იყვნენ და არიან დღესაც წარგზავნილნი, ისინი არავითარ ყურადღებას არ აქცევენ და ერთობის უბანში მცხოვრები მუშები მივიწყებულია... ასე ღვთის ანაბრად მიტოვება უბნისა არის ღალატი დემოკრატიის პრინციპებისა. ქალაქის გამგეობის ეხლანდელი უმოქმედობის უჩვეულობით ამ უბანში მცხოვრები მუშები თანდათან გვცილდებიან ჩვენ, რაც... პარტიას გაკოტრებას უქადის და რომ იქნას დაცული ქალაქის გამგეობაში ამ უბანში მცხოვრებ ღარიბ-ღატაკთა ინტერესები, ამიტომ მოვითხოვთ, რომ გამგეობაში გაყვანილ იქნენ არამც თუ ამ უბანში მცხოვრები მუშები, არამედ სხვა მუშათა

---

[1] გაზ. „ახალი კომუნისტი“, 1920 წ. 6 აგვისტო, № 10.

უბნიდანაც. ვინც იქ სხედან თბილ ადგილებზე. მათ დაივიწყეს მუშები (თუმცა მათი ხმებით გავიდნენ), არავითარი სარგებლობა არ მოაქვთ დემოკრატიისათვის. კრინტსაც არ ძრავენ დემოკრატიის დასაცავად, რაც ჩვენ მიგვაჩნია დაუნდობლად" [1].

ასეთი პროტესტის მიუხედავად, საქართველოს მენშევიკური მთავრობა სრულებითაც არ ცდილა ოდნავი ცვლილება მაინც შეეტანა „მენშევიკურ დემოკრატიზმში" და გაეუმჯობესებინა მშრომელთა მდგომარეობა. ამის დამადასტურებელია თუნდაც გაზეთ „ახალ კომუნისტში" გამოქვეყნებული მამხილებელი სტატია — „მოჯადოებულ რკალში". მასში პარალელია რა გავლებული მეფის მთავრობასა და „დემოკრატიული" საქართველოს მთავრობას შორის, დასმულია საკითხი იმის შესახებ, თუ რა ცვლილება მოხდა მას შემდეგ, რაც ქართველ მშრომელებს სოციალ-დემოკრატები მოევლინენ. ამასთან დაკავშირებით, გაზეთი მიუთითებდა, რომ „მეფის მინისტრებისა და ნამესტნიკების ადგილი ახლა სოციალ-დემოკრატებს უკავიათ: მუშა ძველებურად წელში მოხრილია სხვისი სიმდიდრის შესაქმნელად, მისი ექსპლოატაციის დონე არა თუ დაკლებულა, გაცილებით უფრო მაღალია ვინემ წინათ, რადგან მას ხვდება სულ მცირე ნაწილი მის ნაწარმოებ საქონლის, ხოლო დამქირავებელს წინათ სიზმარშიაც არ უნახავს ამხელა მოგება, როგორც ახლა, „დემოკრატიის ბატონობის დროს ხვდება მას" [2].

ზემოთ მოტანილი ვრცელი ამონაწერებიდან აშკარად ჩანს, თუ რა დემოკრატიული პრინციპების გამტარებელი იყო მენშევიკური მთავრობა და როგორ „ზრუნავდა" იგი მშრომელთა ინტერესებისათვის. აქედან ისიც ირკვევა, რომ ის მცირე დათმობები, რასაც მენშევიკები მშრომელთა მიმართ ახორციელებდნენ, გამოწვეული იყო მენშევიკურ პარტიაში მუშათა კლასის შენარჩუნებისა და არა მათი კეთილდღეობის გაუმჯობესების მიზნით. ეს ფაქტი შემდგომში მშრომელთა ფართო მასებისათვისაც გახდა გასაგები. ამიტომ იყო, რომ მენშევიკური პარტიისა და „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციის მესვეურებმა, თავიანთი პრაქტიკული საქმიანობიდან გამომდინარე,

---

[1] კრებული „ბორის ძნელაძე", თბ., 1981, გვ. 36—37.
[2] გაზ. „ახალი კომუნისტი", 1920 წ. 20 აგვისტო, № 22.

ვერ შეძლეს ხალხის წინაშე მოეხდინა მენშევიკური პარტიის მიერ მშრომელთა ინტერესების დაცვის, ზრუნვისა და, ამასთან ერთად, საბჭოთა დემოკრატიასთან „მენშევიკური დემოკრატიის“ უპირატესობის საკითხის დასაბუთება.

რამდენადაც ქართველმა მენშევიკებმა ვერ მოახერხეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თავიანთი მცდარი არგუმენტაციის გატანა, საბჭოთა სახელმწიფოს ავტორიტეტის შებღალვისა და ხალხის თვალში მისი დაცემის მიზნით, იერიში მიიტანეს საბჭოთა სახელმწიფოს მიერ გამოცემულ დეკრეტებზე.

თუ რა შეხედულებას ავითარებდნენ ამ საკითხთან დაკავშირებით ქართველი მენშევიკები, ამის საილუსტრაციოდ გამოდგება გაზეთ „სოციალ-დემოკრატში“ გამოქვეყნებული ვ. ნოზაძის სტატია — „დღევანდელი რუსეთი და დამფუძნებელი კრება“. სტატიის ავტორი ყოველმხრივ ცდილობს გაამართლოს მენშევიკების საქმიანობა. ხოლო ბოლშევიკთა მთელ მოღვაწეობას ურცხვ დემაგოგიასა და ავანტიურას უწოდებს. თავისი „არგუმენტაციის დასაბუთების“ მიზნით, იგი სვამს კითხვას: „დღეს, როდესაც ბოლშევიკებს ჩაუგდიათ ხელში ძალაუფლება, რა მოგვიტანეს? რით გვიხსნეს საერთო უბედურებისაგან?“ და იქვე პასუხობს: „განა მით, რომ პეტროგრადში გახსნეს ახალი ქარხანა... საიდანაც აუარებელი დაპირებანი ანუ დეკრეტები იცემა? უმთავრესი საჭიროებისათვის ბოლშევიკებმა დეკრეტი გამოსცეს, კარგია დეკრეტი. ადვილია მისი გამოცემა. მაგრამ შესრულება? დეკრეტით რომ საქმე გაკეთებულიყო, განა მისი გამოცემა სხვას გაუჭირდებოდა?... სჩანს დეკრეტით საქმე არ კეთდება... ბევრ რამეს დაგვპირდნენ ბოლშევიკები და არაფერი მოგვცეს“[1].

თუ რამდენად ყალბ ბრალდებას შეიცავდა მენშევიკთა ეს განცხადება, ამის დამადასტურებელია გაზეთ „ბრძოლაში“ გამოქვეყნებული პოლემიკური ხასიათის სტატია — „მენშევიკების ოპოზიცია“. გაზეთი დაწვრილებით განიხილავდა რა მენშევიკთა ცდას საბჭოთა დეკრეტების გაუფერულების შესახებ, ზდიდარი ფაქტობრივი მასალის საფუძველზე დასძენდა, რომ საბჭოთა მთავრობამ „გამოსცა დეკრეტი მიწის შესახებ, რომლითაც სამუდამოდ ისპობა მიწაზე მემამულეთა

[1] გაზ. „სოციალ-დემოკრატი“, 1917 წ. 16 ნოემბერი, № 190.

საკუთრება. ეს უდიდესი რეფორმაა, რომლის განხორციელებაში მთელი თავისი ძალღონით ეხმარება მთავრობა გლეხობას და მერე ეს არაფერია? მართალია, ბოლშევიზმი ვერაფერს მისცემს, თუ თვითონ გლეხობამ ხელი არ გაანძრია და თავის განთავისუფლების დარაჯათ თვითონვე არ დადგა. მაგრამ როდის პირდებოდა ვისმე ბოლშევიზმი, მე გაგაბედნიერებ, შენ გულხელდაკრეფილი იყავიო. ეს თქვენ იძლეოდით ასეთ დაპირებებს, თქვენ პირდებოდით მათ ყოველ სიკეთეს და სიმართლე უნდა ითქვას კარგადაც მოატყუეთ თქვენ ისინი... რა თქმა უნდა თქვენ არ გეჭაშნიკებათ რევოლუციონური ნაბიჯი, ტყუილათ ხომ არ იცავდით რვა თვეს მემამულეთა ინტერესებს, მარა ამ შემთხვევაში ნება გვიბოძეთ თქვენი ადგილი გიჩვენოთ და გითხრათ: რაკი არ მოგწონთ ბოლშევიკების მთავრობა და ოპოზიციონერობა გწადიათ, მარჯვნით დადექით ყველა კადეტებთან ერთად, ეს უფრო შეგეფერებათ, თვარა თქვენი მემარცხენეობა დაგვერწმუნეთ სიცილის მეტს არაფერს იწვევს“ [1].

ამ ვრცელი ამონაწერიდან აშკარად დასტურდება თუ რამდენად უსუსურ და საფუძველს მოკლებულ კრიტიკაზე იყო დაფუძნებული მენშევიკების მიერ საბჭოთა დეკრეტების უარყოფის მცდელობა. მეორეს მხრივ, გამოაშკარავებული იყო მენშევიკთა ცრუსოციალისტობა და ეს ერთხელ კიდევ მიუთითებდა მის წვრილბურჟუაზიულობაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლშევიკური პრესის მიერ დამაჯერებელი კრიტიკის მიუხედავად, როგორც მასალების შესწავლიდან ირკვევა, მენშევიკური პრესა ძველებურად კვლავაც განაგრძობდა საბჭოთა დეკრეტების გარშემო ცილისმწამებლურ ანტისაბჭოურ პროპაგანდას. მენშევიკთა ასეთი გამძაფრებული იერიში იმით იყო გამოწვეული, რომ მათ თავიდანვე შენიშნეს ფართო მასებში რევოლუციის განვითარების პროცესში საბჭოთა დეკრეტების დიდი პოპულარობა, რაც ხელს უწყობდა სოციალიზმის იდეის პროპაგანდასა და მასების აქტიურ ჩაბმას სოციალისტურ აღმშენებლობაში. ითვალისწინებდა რა ყოველივე ამას, აქედან გამომდინარე, ისინი ყოველმხრივ ცდილობდნენ ბოლშევიკური პარტიის მიერ აღებული კურსის შეფერხებასა და ხალხის თვალში მის გაუფასურებას.

მენშევიკური პარტიის ლიდერებს, ბოლშევიკური საქმიანობის ხალხისადმი გამრუდებულად მიწოდების საქმეში, არც მისი ხელქვეითი

---

[1] გაზ. „ბრძოლა“, 1917 წ. 7 ნოემბერი, № 28.

„ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაცია ჩამორჩა. მისი მესვეურები თავიანთ ჟურნალ „ახალ კვალში“ ჩვენთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით ხშირად აქვეყნებდნენ ცილისმწამებლურ სტატიებს, რომლებშიც ბოლშევიკთა მიერ გატარებული რეფორმების შესახებ ცინიკურად აღნიშნავდნენ, რომ „ეს ცვლილებები უმთავრესად... მხოლოდ გარანტიას შეიცავსო“, და იქვე დასძენდნენ, რომ თითქოს მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით „არ გადადგმულა საგრძნობი დადებითი ნაბიჯებიო“[1].

მენშევიკური პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალების გულმოდგინედ შესწავლისა და მისი ერთმანეთთან ურთიერთშეჯერების საფუძველზე ირკვევა საბჭოთა დეკრეტებისადმი მენშევიკური პარტიისა და „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის აშკარა არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება, რომ ეს ნამდვილად ასეა, თუნდაც იქედანაც ჩანს, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი მარტო დეკრეტების გატარებაში სიძნელეებისა და წინააღმდეგობების საფუძველზე წარმოშობილი არსებული ხარვეზების კრიტიკით კი არ დაკმაყოფილდებოდნენ, არამედ შესაბამის პრაქტიკულ წინადადებებს შეიმუშავებდნენ და ხელს შეუწყობდნენ მის ცხოვრებაში უშეცდომოდ გატარებას.

ვ. ი. ლენინი ეხებოდა რა საბჭოთა დეკრეტებისადმი ნიჰილისტურად განწყობილი ადამიანების შეხედულებებს, რკპ(ბ) VIII ყრილობაზე 1919 წლის 23 მარტს სოფლად მუშაობის შესახებ გაკეთებულ მოხსენებაში მიუთითებდა, რომ „არიან ადამიანები, რომლებიც... უსაყვედურებენ საბჭოთა მთავრობას, რომ მან ხელი მოჰკიდა დეკრეტების წერას, როცა არ იცოდა, როგორ განეხორციელებინა ისინი. ეს ადამიანები არსებითად ვერ ამჩნევენ, როგორ მიექანებიან თეთრგვარდიელებისაკენ. ჩვენ რომ ვფიქრობდეთ, რომ ასეული დეკრეტის დაწერით შეიცვლება... მთელი ცხოვრება, ჩვენ სრული რევოლუციონერები ვიქნებოდით. მაგრამ ჩვენ რომ უარი გვეთქვა დეკრეტებში გზის დასახვაზე, სოციალიზმის მოღალატენი ვიქნებოდით. ეს დეკრეტები, რომლებიც პრაქტიკულად არ შეიძლებოდა განხორციელებულიყო ერთბაშად და მთლიანად, დიდ როლს ასრულებდნენ პროპაგანდისათვის... ჩვენი დეკრეტი არის მოწოდება... პრაქტიკული საქმისაკენ... დეკრეტის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ასწავლოს პრაქტიკული

---

[1] ჟურნ. „ახალი კვალი“, 1918, № 2, გვ. 14.

ნაბიჯის გადადგმა იმ ასობით, ათასობით და მილიონობით ადამიანებს, რომლებიც ყურს უგდებენ საბჭოთა ხელისუფლების ხმას... ჩვენ არ შევხედავთ მათ, როგორც აბსოლუტურ დადგენილებებს, რომელთა განხორციელება საჭიროა აუცილებლად, ამწამსვე, ერთბაშად"[1].

ვ. ი. ლენინის აღნიშნული მითითება ისე კი არ უნდა გავიგოთ, რომ თითქოს საბჭოთა სახელმწიფო ნაკლებად ზრუნავდა მის მიერ გამოცემული დეკრეტების ცხოვრებაში რეალიზაციისათვის. არამედ პირიქით; თუკი თვალს გავადევნებთ პარტიის მოღვაწეობის საბჭოთა პერიოდის ისტორიულ მოვლენებს, ჩვენ დავრწმუნდებით, თუ რაოდენ დიდ ყურადღებას უთმობდა კომუნისტური პარტია ლენინური დეკრეტების განხორციელებისათვის ბრძოლაში ახალი ფორმებისა და მეთოდების შემუშავების საკითხს. ამ პრობლემასთან დაკავშირებით სრულიად რუსეთის ცაკ-ის სხდომაზე 1917 წ. 14(27) დეკემბერს წარმოთქმულ სიტყვაში ვ. ი. ლენინი ხაზგასმით მიუთითებდა, რომ „დეკრეტის განხორციელება გადაუდებელი საქმეა, თორემ დაგვღუპავს წინააღმდეგობა და საბოტაჟი"[2].

უნდა შევნიშნოთ, რომ საბჭოთა სახელმწიფოს მიერ აღებული კურსი სოციალიზმის მშენებლობის შესახებ, სწორად აღიქვა საქართველოს „სპარტაკელებმა", რასაც ადასტურებს, თუნდაც ჟურნალ „მესამე ინტერნაციონალის" ფურცლებზე საბჭოთა დეკრეტებთან დაკავშირებით „ახალგაზრდა მარქსისტთა" მუშაობის მამხილებელი სტატიები. იმ მრავალ სტატიათაგან, რომლებიც ჟურნალმა გამოაქვეყნა, განსაკუთრებით აღსანიშნავია გ. კვაშაძის[3] სტატიები: „ახალი კოალიცია"[4] და „რა გააკეთეს ბოლშევიკებმა, როდესაც აიღეს ძალაუფლება ხელში?"[5]. აღნიშნულ სტატიებში მხილებული იყო ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული იდეოლოგიის მტრული დამოკიდებულება საბჭოთა სახელმწიფოსადმი. ამასთან ერთად, სათანადო მასალების მოშველიების საფუძველზე თეორიულად იყო დასაბუთებული საბ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 29, გვ. 236 — 237.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 26, გვ. 450—451.

[3] საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მას შემდეგ, რაც საქართველოში ჩამოყალიბდა ტროცკისტული ოპოზიცია, გ. კვაშაძე მიემხრო ტროცკისტებს და მათთან ერთად გააგრძელა ბრძოლა მარქსიზმ-ლენინიზმისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

[4] ჟურნ. „მესამე ინტერნაციონალი", 1917, № 1, გვ. 7.

[5] ჟურნ. „მესამე ინტერნაციონალი", 1917, № 2, გვ. 5.

ჭოთა მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯის სისწორე და მისი ისტორიული მნიშვნელობა. იქვე ავტორი „ახალგაზრდა მარქსისტთა" საყურადღებოდ განსაკუთრებულ ადგილს უთმობს ლენინური დეკრეტების საკითხს და სავსებით სამართლიანად მიუთითებს. რომ საბჭოთა მთავრობამ „მრავალი ცხოვრებასთან მიზანშეწონილი დეკრეტები გამოსცა და მით უღარიბეს გლეხთა და პროლეტარიატთა მოთხოვნილება დააკმაყოფილა. ახალი მთავრობა ეს მშრომელთა კლასის მთავრობაა. ყველა ამ დეკრეტების ცხოვრებაში გატარებას დიდი წვალება და უბედურება ეღობება წინ" [1]. დასასრულ სტატიის ავტორი მუშა და გლეხ ახალგაზრდობას მოუწოდებდა მხარი დაეჭირათ საბჭოთა რუსეთისათვის და იდეურად დაეცვათ ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვარი.

ეხებოდა რა აღნიშნულ საკითხს იგივე გაზეთი სტატიაში—„რევოლუცია" მიუთითებდა. რომ დასახული მიზნის წარმატებით განხორციელებაში მათ წინ ეღობებოდათ კონტრრევოლუციური ძალების მიერ ხელოვნურად შექმნილი დაბრკოლებები. ამასთან დაკავშირებით, იგი მშრომელ ახალგაზრდობას მოაგონებდა. რომ „რევოლუციონურ ერთობით და სიმტკიცით ჩვენ გადავლახავთ ყველა ამ დაბრკოლებებს" [2]. არსებულ დაბრკოლებათა დაძლევის ერთ-ერთ საშუალებად გაზეთს მიაჩნდა უკომპრომისო იდეური ბრძოლის გაძლიერების აუცილებლობა ყველა ცრუ სოციალისტის წინააღმდეგ. ამ მიმართულებით იდეოლოგიურ ფრონტზე წარმატების მისაღწევად აუცილებელი იყო, პირველ რიგში, ახალგაზრდობის პოლიტიკურად გაწვრთნა. მათი მომზადება და სათანადო მარქსისტული ცოდნით შეიარაღება. ამ მიმართულებით ახალგაზრდობაში მუშაობის სწორად წარმართვა მთელ რიგ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. იგი ძირითადად იმაში მდგომარეობდა, რომ „საქართველოში „დემოკრატიული" ხელისუფლების დროს მენშევიკებმა ცრუ მარქსისტული და შოვინისტური აბროვნება შთაუნერგა მოსწავლე ახალგაზრდობას" [3].

სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტს", როდესაც მან კატეგორიულად დააყენა საკითხი

---

[1] ჟურნ. „მესამე ინტერნაციონალი", 1917, № 2, გვ. 5.
[2] ჟურნ. „მესამე ინტერნაციონალი", 1917, № 1, გვ. 1.
[3] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 96, აღწ. 1, საქ. 51, ფურც. 53.

ახალგაზრდობის წვრილბურჟუაზიული და ბურჟუაზიული ორგანიზაციების წინააღმდეგ იდეური ბრძოლის პროცესში ბოლშევიკების პარტიასთან ერთობლივი მოქმედების აუცილებლობის შესახებ[1]. გაითვალისწინა რა ყოველივე ზემოთ აღნიშნული, „სპარტაკის" ორგანიზაციებმა, როგორც მასალების შესწავლიდან დასტურდება, ახალგაზრდობაზე იდეურად ზემოქმედებისა და მასში მარქსისტული მსოფლმხედველობის პოპულარიზაციის თვალსაზრისით ქართველი ბოლშევიკების ხელმძღვანელობით საგაზეთო აგიტაციასთან ერთად ფართოდ გაეჩაღა ლექციური პროპაგანდა. ამ საქმის ინიციატორი და ორგანიზატორი საქართველოში, როგორც პროფ. გ. ყვანია აღნიშნავს, იყო „სპარტაკის" ნაძალადევის რაიონული კომიტეტი, რომელიც იმ პერიოდში „სპარტაკის" თბილისის ორგანიზაციების ხელმძღვანელი ცენტრის როლს ასრულებდა[2].

ეს საკითხი იმდენად საყურადღებოა საქართველოს კომკავშირის ისტორიაში, რომ მან ფართო ასახვა პოვა ქართველ ისტორიკოსთა შრომებში. ჩვენთვის საინტერესო საკითხს სხვადასხვა დროს მეტ-ნაკლები სისრულით შეეხნენ: ერ. ასტვაცატუროვი, გ. ყვანია, ა. იმედაშვილი და სხვები.

ივ მრავალი საჯარო ლექციიდან, რომლებიც „სპარტაკელებმა" გამართეს, თავისი იდეური მნიშვნელობით განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს 1918 წლის 10 ოქტომბერს, ძველი ცირკის შენობაში, გამართული მ. ცხაკაიას საჯარო ლექცია თემაზე: „დიდი ოქტომბრის რევოლუცია. მისი შედეგები და პერსპექტივები". ეხებოდა რა აღნიშნულ საკითხს, საქართველოს კომკავშირის ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი ამასი (ამირბეგოვი) თავის მოგონებაში — „ახალგაზრდათა კომუნისტური მოძრაობის ისტორიისათვის კავკასიაში და საქართველოში" აღნიშნავდა: „ამ ლექციაზე მოვიწვიეთ სხვა პარტიების წარმომადგენლები და გვინდოდა გაგვემართა მათთვის იდეური ბრძოლა. მოვიწვიეთ მენშევიკებიც"[3].

მიუხედავად ამისა, მენშევიკური პარტიის მესვეურებმა, მათ შორის „ახალგაზრდა მარქსისტებმაც" თავი აარიდეს საჯარო პაექრობას

---

[1] გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი", 1918 წ. 23 დეკემბერი, № 1.

[2] გ. ყ ვ ა ნ ი ა. ბორის ძნელაძე, თბ., 1962, გვ. 10.

[3] საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის წარსული, ტფილისი, 1923, გვ. 31.

და ჯარის საშუალებით ლექციის მსვლელობა იძულებით შეწყვიტეს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მ. ცხაკაია თავის მოგონებაში — „ჩემს ბორიას (ამბ. ბორის ძნელაძის) ხსოვნას“ წერდა: „მართალია ლექცია ნახევარზე შეგვიწყვიტეს. ჯარის შემწეობით გარეკეს... მავრამ ყოველ შემთხვევაში ბორიამ და მისმა მეგობრებმა მიაღწიეს მიზანს“ [1]. ამ ფაქტთან დაკავშირებით ბ. ძნელაძე მოგონებაში — „საქართველოს კომკავშირის ისტორიიდან“ აღნიშნავდა: მომხდარი ფაქტით მენშევიკური მთავრობა დარწმუნდა, „რომ სპარტაკის ორგანიზაცია არის წმინდა რევოლუციონური ორგანიზაცია“ [2]. თუ როგორ წარიმართა შემდგომში „სპარტაკის“ მოღვაწეობის ბედი. ამ საკითხთან დაკავშირებით პროფ. გ. ყვანია შენიშნავს, რომ 1918 წლის 3. ცხაკაიას საჯარო ლექციის შემდეგ, მენშევიკური მთავრობა „სპარტაკელების“ წინააღმდეგ იდეური ბრძოლიდან ძალდატანებით ღონისძიებებზე გადავიდა. რის გამოც „სპარტაკის“ ორგანიზაციები იძულებული გახდა გადასულიყო არალეგალურ მუშაობაზე [3]. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აშკარა რეპრესიების პარალელურად. მენშევიკური მთავრობა ბოლშევიკთა ანტიმენშევიკური საქმიანობის აღკვეთის მიზნით. საიდუმლო სამსახურებრივი პოლიციის მაქსიმალურ გამოყენებასაც ცდილობდა. თუ რა ფუნქციების შესრულება ეკისრებოდა ამ უკანასკნელს. ამის გასარკვევად ურიგო არ იქნება მოვიტანოთ პალატის პროკურორის მიერ შინაგან საქმეთა მინისტრის სახელზე 1919 წლის 25 თებერვალს გაგზავნილი ერთი საიდუმლო შეტყობინებიდან შესაბამისი ამონაწერი. მასში ვკითხულობთ: „გთხოვთ მოახდინოთ განკარგულება, რათა რაზმის უფროსმა მომაწოდოს დაწვრილებითი ცნობები ბოლშევიკთა შემოსვლის შესახებ ქ. ტფილისში და ამასთანავე მოახდინოს კვლევა-ძიება. ეწეოდნენ თუ არა რაიმე აგიტაციას და აღნუსხოს ოქმში, ვინ რანაირ აგიტაციას ეწეოდა და აჩვენოს ოქმში მოწმეთა გვარები“ [4].

მენშევიკურ მთავრობასთან არსებული სახელმწიფო უშიშროების განყოფილების მიერ დაწესებული საიდუმლო საჯაშუშო საქმიანობის

---

[1] გაზ. „კომუნისტი“, 1923 წ. 17 ოქტომბერი.

[2] ბ. ძ ნ ე ლ ა ძ ე, საქართველოს კომკავშირის ისტორიიდან, თბ., 1933, გვ. 15.

[3] გ. ყ ვ ა ნ ი ა. საქართველოს კომკავშირის სახელოვანი წარსულიდან (1917—1921 წლები), თბ. 1954, გვ. 15.

[4] საქ. სსრ ცსსა. ფ. 1863, აღწ. 1, საქ. 56, ფურც. 2.

გაძლიერების მიუხედავად, ახალგაზრდა ბოლშევიკები იატაკქვეშეთიდან მაინც ახერხებდნენ სათანადო წინააღმდეგობა გაეწიათ ადგილობრივი ხელისუფლებისათვის და სააშკარაოზე გამოეტანათ ანტიმარქსისტული, წვრილბურჟუაზიული მიმართულება. ამის დამადასტურებელია თუნდაც იმავე წლის 7 ივლისს „სპარტაკის“ დროებითი ცენტრალური კომიტეტის მიერ გამოცემული მენშევიკური მთავრობის მამხილებელი პროკლამაცია[1].

ამრიგად, მენშევიკური პარტიის მხარდამხარ მებრძოლი „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის ცდა, ქართველი ახალგაზრდობისათვის დაემტკიცებინა დამფუძნებელი კრების უპირატესობა საბჭოების ხელისუფლებისადმი და გაეუფერულებინა ლენინური დეკრეტების დედაარსი, მარცხით დამთავრდა. ამ საქმეში საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად გადამწყვეტი სიტყვა თქვეს „სპარტაკის“ ორგანიზაციის წევრებმაც. მათ სათანადო მასალების შომარჯვებით, ლექციური პროპაგანდისა და შესაბამისი პროკლამაციების გავრცელებით ქართველი ახალგაზრდობის წინაშე დასაბუთებულად ამხილეს „ახალგაზრდა მარქსისტთა“ წვრილბურჟუაზიული მენშევიკური იდეოლოგია, რითაც მტკიცე სოლიდარობა გამოუცხადეს საბჭოთა რუსეთს. მენშევიკური მთავრობისა და „ახალგაზრდა მარქსისტების“ მიერ „სპარტაკელების“ წინააღმდეგ იდეური ბრძოლის პარალელურად, რეპრესიული ღონისძიებების გატარების ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ეს ფაქტიც იყო. ისიც აღსანიშნავია, რომ ამით, „ახალგაზრდა მარქსისტებმა“ აშკარად დაადასტურეს იდეურ ბრძოლაში „სპარტაკელებთან“ თავიანთი უსუსურობა.

უნდა შევნიშნოთ, რომ ქართველი მენშევიკების რეპრესიები მარტო „სპარტაკელებს“ კი არ ეხებოდა, არამედ იგი უმთავრესად საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების წინააღმდეგაც იყო მიმართული. ანალოგიური ატმოსფერო იყო დამკვიდრებული მთელი ამიერკავკასიის მასშტაბით. მიუხედავად ამისა, როგორც ცნობილია, ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები რევოლუციური პროპაგანდისა და აგიტაციის გზით ამხილებდნენ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების ანტიხალხურ პოლიტიკას, რითაც იმხრობდნენ ამიერკავკასიის

---

[1] Борьба за победу Советской власти в Грузии (документы и материалы) (1917—1921 гг.), Тб., 1958, გვ. 448.

ფართო მშრომელ მასებს[1]. აღნიშნული კუთხით წარმოებული მუშაობა ხელს უწყობდა არა მარტო ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების განმტკიცებას, არამედ იგი ერთდაგვარად სტიმულს აძლევდა თვით კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობასაც კი. რომ ეს ნამდვილად ასე იყო, ამის საილუსტრაციოდ გამოდგება თვით საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციის მაგალითი, რომლებმაც ბოლშევიკური ორგანიზაციების დახმარებით 1918 წლიდან მძიმე რეპრესიების პროცესშიაც კი მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს მშრომელ ახალგაზრდობაზე იდეური ზემოქმედების, ორგანიზაციის რიცხობრივი ზრდისა და მისი განმტკიცების თვალსაზრისით[2]. ამის დამადასტურებლად გამოდგება საქართველოს კომკავშირის მე-15 წლისთავთან დაკავშირებით, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მიერ მომხსენებლებისათვის 1932 წელს გამოქვეყნებულ მასალებში მოტანილი ფაქტები, რომლის მიხედვით „სპარტაკის" ორგანიზაცია 1918 წელს 300-მდე წევრს აერთიანებდა, 1919 წლის დასაწყისისათვის—800-მდე[3], ხოლო 1920 წლის ნოემბრის ბოლოსათვის მისი რიგები 4780 კაცამდე გაიზარდა[4].

ეს ციფრები ნათლად გვიჩვენებს კომკავშირული ორგანიზაციის რიცხობრივი ზრდის დინამიურ პროცესს. რაც შეეხება ორგანიზაციის განმტკიცებას, ამის უტყუარ დამადასტურებელ ფაქტად უნდა მივიჩნიოთ 1918 წლის 23 დეკემბერს ქუთაისის ახალგაზრდა კომუნისტთა ორგანიზაციის—„სპარტაკის" მიერ გამოცემული გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი". თუ რამ განაპირობა ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაციის რიცხობრივი ზრდა და ორგანიზაციული განმტკიცება, ამასთან დაკავშირებით კომკავშირის მე-15 წლისთავზე გამოქვეყნებულ ჩვენ მიერ ზემოთ მითითებულ მასალებში ვკითხუ-

---

[1] ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების ისტორიის ნარკვევები, ნაწილი პირველი, თბ., 1971, გვ. 479.

[2] საქართველოს კომკავშირის 15 წელი და მორიგი ამოცანები (მასალები მოხსენებლებისათვის), იხ. გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი", 1932 წ. 23 ოქტომბერი, № 247.

[3] იქვე.

[4] ჟურნ. „მომავალი", 1923, № 1, გვ. 25.

ლობთ, რომ 1918 წლიდან „მუშები და მშრომელი გლეხობა თავს აღწევს ილუზიებს. თითქოს მენშევიკურ... მთავრობას შეეძლო გაეუმჯობესებია მუშების და მშრომელი გლეხების მდგომარეობა. მასები ყოველდღიურად რწმუნდებოდნენ, რომ მენშევიკების ხელში ნადგურდებოდა მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი და ხდებოდა მასების გაღატაკება და ექსპლუატაცია... ამ ნიადაგზე იზრდებოდა ბოლშევიზმის გავლენა, მასების რევოლუციონერობა (აჯანყებები დუშეთის, გორის, რაჭა-ლეჩხუმის, შორაპნის მაზრებში, გურიაში და სხვა)... „სპარტაკი"... აქტიურ მონაწილეობას იღებდა ყველა აჯანყებებსა და გამოსვლებში მენშევიკების დემოკრატიული მთავრობის წინააღმდეგ" [1].

ყოველივე ეს მოსვენებას უკარკავდა „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციის მესვეურთ. მენშევიკური პარტიის მითითების საფუძველზე მათ „სპარტაკელთა" ორგანიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების თვალსაზრისით, 1918 წლის 17 იანვარს მოიწვიეს „ახალგაზრდა მარქსისტთა" კონფერენცია, რომლის მუშაობის შესახებ მასალები გამოაქვეყნა იმ პერიოდის მენშევიკურმა პრესამ[2]. კონფერენცია დაწერილებით შეეხო ოქტომბრის რევოლუციის, პროლეტარიატის დიქტატურისა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ გატარებულ რეფორმებს, რომელთა გარშემო მიიღო ანტიმარქსისტული რეზოლუციები. სწორედ ეს რეზოლუციები დაედო საფუძვლად ზემოთ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით „ახალგაზრდა მარქსისტთა" მიერ შემდგომში წარმოებულ იდეოლოგიურ ბრძოლას.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ამავე კონფერენციამ კატეგორიულად დააყენა საკითხი „ახალგაზრდა მარქსისტთა" ცალკეული ორგანიზაციების მეშიდრო ორგანიზაციული შეკავშირებისა და მენშევიკური იდეოლოგიით ახალგაზრდობის დაპყრობის აუცილებლობის შესახებ [3]. მიღებული რეზოლუციით მან ორგანიზაციას უწოდა „ამი-

---

[1] საქართველოს კომკავშირის 15 წელი და მორიგი ამოცანები (მასალები მომხსენებლებისათვის), იხ. გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი", 1932 წ. 23 ოქტომბერი, № 247.

[2] ჟურნ. „ახალი კვალი", 1918, № 3, 4, 6, 7; გაზ. „ერთობა", 1918 წ. 24 იანვარი, № 8.

[3] ჟურნ. „ახალი კვალი", 1918, № 3, გვ. 16.

ერკავკასიის „ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია". ამავე დროს აირჩია მისი ცენტრალური კომიტეტი 9 კაცის შემადგენლობით: დ. ორაგველიძე, გ. მგელაძე, მ. გოგიბერიძე, ილ. ჯუღელი, ვ. ნიკურაძე, ბ. რამიშვილი, მ. ხუნდაძე, ს. ბიხელიძე და მ. ჩაჩუა. როგორც ვხედავთ, კონფერენციის მიერ არჩეულ ცენტრალურ კომიტეტში ქართველის გარდა არც ერთი სხვა ეროვნების წარმომადგენელი არ შესულა. ეს აშკარად მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციისათვის ამიერკავკასიის ორგანიზაციის საველწოდების მიკუთვნება აშკარად ფორმალური ხასიათისა იყო. ამ შემთხვევაში ჩვენ წინაშე ისმება კითხვა იმის შესახებ, რაში დასჭირდა „ახალგაზრდა მარქსისტებს", რომ თავიანთი ორგანიზაცია ამიერკავკასიის „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციად გამოეცხადებინათ, ხოლო თვით კონფერენცია ამიერკავკასიის „ახალგაზრდა მარქსისტთა" პირველ კონფერენციად? ამ კითხვაზე სრულყოფილი პასუხის გაცემა შეიძლება თვით მენშევიკური პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალებითაც კი.

როგორც ირკვევა, „ახალგაზრდა მარქსისტებს" აღნიშნული ფაქტით სურდათ საჯაროდ განეცხადებინათ, რომ თითქოს ახალგაზრდა ქართველი მენშევიკები ინტერნაციონალურ, მეგობრულ ურთიერთობაში იმყოფებოდნენ სომეხ დაშნაკებთან და აზერბაიჯანელ მუსავატელებთან. თუ რამდენად ყალბი იყო „ახალგაზრდა მარქსისტთა" მიერ ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი, ამაზე აშკარად მეტყველებს თვით კონფერენციის მიერ არჩეული ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაც კი. რაც შეეხება ინტერნაციონალიზმის საკითხს, შეეძლო კი იმ პერიოდის ამიერკავკასიის ნაციონალისტურ მთავრობებს ექადაგათ ინტერნაციონალიზმი? ეხებოდა რა აღნიშნულ საკითხს ი. ბ. სტალინი მიუთითებდა, რომ ამიერკავკასიის „ნაციონალისტური მთავრობანი, რომელნიც თავის ნაციონალისტურ პოლიტიკას ეწეოდნენ და მშრომელთა შორის აგრესიული ნაციონალიზმის სულისკვეთების გასაღრმავებლად მუშაობდნენ, ბოლოს, იქამდე მივიდნენ, რომ თითოეული ამ პატარა ქვეყანათაგანი მტრული ნაციონალისტური ატმოსფეროს რკალით გარემოცული აღმოჩნდა"[1].

ზემოთ მოტანილი მასალების საფუძველზე „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციის, მხოლოდ ქართული რეგიონალური მასშტაბუ-

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 5, თბ., 1949, გვ. 104.

ორი არსებობითა და ამიერკავკასიის მთავრობათა ნაციონალისტური მისწრაფებებიდან გამომდინარე თუკი ვიმსჯელებთ, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ ამიერკავკასიის „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის შექმნა ლოგიკურად შეუძლებელი იყო, რადგან: 1. ასეთი სახის ორგანიზაციის შექმნისათვის აუცილებელი იყო „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციები არსებულიყო სომხეთსა[1] და აზერბაიჯანში, რომელთა ორგანიზაციული გაერთიანება საქართველოს „ახალგაზრდა მარქსისტებთან“, მართლაც, მოგვცემდა ამიერკავკასიის „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის სახელწოდების გამართლებას. მაგრამ რამდენადაც „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაცია მხოლოდ საქართველოში არსებობდა, ამდენად მისდამი ამიერკავკასიის „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის სახელწოდების მიკუთვნება მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა. 2. და, რაც, მთავარია, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მაშინდელ მთავრობათა ეროვნული ინტერესები, როგორც საყოველთაოდაა ცნობილი, ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდა, რაც ლოგიკურად სათავეშივე გამორიცხავდა ამიერკავკასიის ახალგაზრდობის წვრილბურჟუაზიული და ბურჟუაზიული ორგანიზაციების ერთმანეთთან მეგობრული კავშირურთიერთობის დამყარების შესაძლებლობას. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს თუნდაც ის ფაქტი, რომ 1918 წლის აპრილში შექმნილმა ამიერკავკასიის სეიმმა ეროვნული წინააღმდეგობების გამო ერთი თვეც ვერ იარსება და იმავე წლის 26 მაისს დაიშალა. როგორც ცნობილია, იმავე დღეს რესპუბლიკის ეროვნულმა საბჭომ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

„ახალგაზრდა მარქსისტებისდამი“ ამიერკავკასიის ორგანიზაციის სახელწოდების მიკუთვნების ფორმალურ ხასიათთან დაკავშირებით ზემოთ მოტანილი სათანადო მასალის ანალიზმა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ფაქტმა, ლოგიკურად დააყენა ორი საკითხი: 1. მენშევიკებს თავიანთ პროგრამაში თავიდანვე ჰქონდათ თუ არა გათვალისწინებული საქართველოს დამოუკიდებლობა

---

[1] უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ პერიოდში ახალგაზრდობის ანტიპროლეტარული ორგანიზაციის სახით სომხეთში არსებობდა „ახალგაზრდა დაშნაკთა კავშირი“. იხ. Г. А. Аветисян, Комсомол Закавказья в борьбе за победу и упрочение Советской власти (1917 — 1921 гг.), Ереван, 1964, გვ. 190.

და 2. რამ მიიყვანა ეს პარტია საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე?

ცნობილია, რომ ოქტომბრის რევოლუციამდე მენშევიკები ეროვნულ საკითხში უარყოფდნენ რა ერთა თვითგამორკვევას, სოციალ-დემოკრატიის ძირითად სამოქმედო პროგრამად აღიარებდნენ ეროვნულ-კულტურულ ავტონომიას. რომ ეს ასეა, ამასვე ადასტურებს 1908 წელს გამოქვეყნებული ნ. ჟორდანიას ნაშრომი — „ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი", სადაც იგი მიუთითებდა: „როცა ქართველი სოციალ-დემოკრატია თავის ერისათვის თხოულობს კულტურულ ავტონომიას და არა პოლიტიკურს, ამით ის ხატავს ცხოვრების ღრმა მიმდინარეობას"[1]. როგორც ვხედავთ, აქ მოცემულია ეროვნულ-კულტურული ავტონომიის აუცილებლობის დასაბუთების ერთდაგვარი ცდა. ისიც აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით ნ. ჟორდანიას მსოფლმხედველობამ კიდევ უფრო სრულყოფილი სახე 1912 — 1913 წლებში გამოქვეყნებულ შრომებში მიიღო.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ თუ 1917 წლამდე მენშევიკები ნ. ჟორდანიას მეთაურობით თავგამოდებით იცავდნენ ეროვნულ-კულტურული ავტონომიის იდეას, თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ, როგორც გ. ზაქარიაძე აღნიშნავს, ქართველმა მენშევიკებმა აღიარეს ეროვნულ-ტერიტორიული და ფედერაციის პრინციპები, ხოლო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ უარყვეს აღნიშნული პრინციპი და საქართველო და მთელი ამიერკავკასია ჩამოაცილეს საბჭოთა რუსეთს. ამით ნ. ჟორდანია ეროვნული ნიჰილიზმის კოსმოპოლიტიკური თეორიის დაცვიდან, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დაადგა გეოგრაფიული ტერიტორიალიზმის ბურჟუაზიული ნაციონალიზმის გზას. ხოლო როდესაც საქართველოს სახელმწიფოს მეთაური გახდა, მან ერის მთავარ ელემენტად ტერიტორიული პრინციპი გამოაცხადა[2]. „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციის წევრთა ეროვნული საკითხისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით საინტერესოა ჟურნალ „ახალი

---

[1] ნ. ჟ. (ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა), ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი, ქუთაისი, 1908, გვ. 6.

[2] გ. ზ ა ქ ა რ ი ა ძ ე, ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის განვითარების ლენინური ეტაპი, თბ., 1974, გვ. 272.

კვალის" ფურცლებზე გამოქვეყნებულ „ახალგაზრდა მარქსისტთა" ერთ-ერთი ლიდერის მ. ხუნდაძის ვრცელი სტატია — „ეროვნული პრობლემა და მარქსიზმი"[1]. დასახელებული სტატიის შესწავლის საფუძველზე მივედით იმ დასკვნამდე, რომ მენშევიკური პარტიის მსგავსად, „ახალგაზრდა მარქსისტებიც" თავიდანვე იცავდნენ ეროვნულ-კულტურული ავტონომიისა და ფედერაციის თეორიას. მხოლოდ რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებასთან დაკავშირებით მენშევიკთა ეროვნულ პროგრამაში ზემოთ აღნიშნული მომხდარი ცვლილებების კვალდაკვალ „ახალგაზრდა მარქსისტებმაც" შეიცვალეს თავიანთი მსოფლმხედველობა და ეროვნულ-კულტურული ავტონომიიდან და ფედერაციიდან სახელმწიფოს სრული დამოუკიდებლობის აღიარებამდე მივიდნენ.

მენშევიკური პარტიისა და „ახალგაზრდა მარქსისტთა" ასეთი მოულოდნელი „ევოლუციის" პროცესი ძირითადად გამომდინარეობდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების გამართლებაში. ისმება საკითხი იმის შესახებ, თუ რით იყო გამოწვეული მენშევიკების მიერ საქართველოს საბჭოთა რუსეთისაგან ჩამოცილება და მისი დამოუკიდებლად გამოცხადება? ამ კითხვაზე სრულ პასუხს იძლევა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ორგანოში გაზეთ „ტრიბუნაში" გამოქვეყნებული სტატია — „რეაქცია და მენშევიკები", რომელშიც ხაზგასმითაა მითითებული: „ისტორიული ფაქტია, რომ მენშევიკებმა საქართველოს დამოუკიდებლობა ბოლშევიზმის შიშით და გადაჭარბებულის სიძულვილით აღიარეს"[2]. ამასვე ადასტურებს მენშევიკთა ერთ-ერთი ლიდერის ი. წერეთლის ერთი განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ „საქართველოს დამოუკიდებლობა არის არა პრინციპის, არამედ ტაქტიკის საქმე და თუ დადგება შესაფერი მომენტი ჩვენ პირველად გავუწვდით ხელს მოსკოვს"[3].

უნდა შევნიშნოთ, რომ მენშევიკური მთავრობის ლიდერები, რომლებიც მთელი მონდომებით უარყოფდნენ საბჭოთა რუსეთში სოციალიზმის მშენებლობის შესაძლებლობას „შესაფერ მომენტში",

---

[1] ჟურნ. „ახალი კვალი", 1918, № 1, გვ. 9-12; № 2, გვ. 8-10.
[2] გაზ. „ტრიბუნა", 1921 წ. 5 სექტემბერი, № 38.
[3] გაზ. „ტრიბუნა", 1922 წ. 19 მაისი, № 219.

ჩვენი აზრით, გულისხმობდნენ პროლეტარიატის დიქტატურის დამხობასა და ბურჟუაზიული ხელისუფლების აღდგენას. თუკი ეს აქტი განხორციელდებოდა, მაშინ, მათივე სიტყვებით რომ ვთქვათ, დადგებოდა „შესაფერი მომენტი“ და შესაძლებელი გახდებოდა ბურჟუაზიულ რუსეთთან საერთო ენის გამონახვა. ამ მოსაზრებას ადასტურებს მენშევიკური პარტიის ეროვნულ პროგრამაში არსებული ცვლილებები და თვით ამავე პარტიის მიერ გადადგმული ნაბიჯი, რაც საქართველოს საბჭოთა რუსეთისაგან ჩამოცილებისა და მის წინააღმდეგ ანტისაბჭოური ღონისძიებების გატარების ფაქტებით გამოვლინდა.

* * *

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებასთან დაკავშირებით „სპარტაკელებსა“ და „ახალგაზრდა მარქსისტებს“ შორის იდეური ბრძოლის ზემოთ განხილულმა საკითხებმა ნათელყო ის ფაქტი, თუ რა თავგამოდებით იბრძოდა და როგორ ამხელდა საქართველოს კომკავშირი ახალგაზრდობის მენშევიკური ორგანიზაციის ამა თუ იმ მცდარ დებულებებს მარქსისტული პოზიციებიდან. მიუხედავად ამისა, ამ ეტაპზე ახალგაზრდობის ბოლშევიკურ და მენშევიკურ ორგანიზაციებს შორის განსაკუთრებული მწვავე კამათის საგნად იქცა სოციალიზმის მშენებლობის, პროლეტარიატის დიქტატურისა და მენშევიკური მთავრობის მიერ გატარებული აგრარული რეფორმის საკითხები.

სოციალიზმის მშენებლობის შესახებ გამოწვეული კამათი იმით იყო განპირობებული, რომ მენშევიკური პარტიის მსგავსად „ახალგაზრდა მარქსისტებმაც“, ახალგაზრდობის მოტყუების მიზნით, თავიანთი პრესის ფურცლებზე ფართოდ გააჩაღეს დემაგოგიური პროპაგანდა საბჭოთა რუსეთში სოციალიზმის მშენებლობის შეუძლებლობის შესახებ. როგორც ირკვევა, აქედან გამომდინარე, ისინი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებასა და საერთოდ სოციალიზმის მშენებლობის შესაძლებლობას საქართველოშიც გამორიცხავდნენ. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ამიერკავკასიის „ახალგაზრდა მარქსისტთა“ პირველი კონფერენციის (1918 წლის 17 იანვარი) მიერ მიმდინარე მომენტის შესახებ მიღებული რეზოლუცია. მასში ვკითხულობთ: „ჩვენი ქვეყნის ობიექტური და სუბიექ-

ტური პირობები არ არის იმდენად მომწიფებული, რომ შესაძლებელი იყოს დღესვე ჩვენში სოციალისტური რევოლუციის მოხდენა. ქვეყნის ეკონომიკური პირობების მიხედვით დღეს რუსეთში ბურჟუაზიული რევოლუცია ხდება. რომლის პირდაპირ მიზანს დემოკრატიული წყობილების დამყარება შეადგენს. ამას გვიკარნახებს სწორი მარქსისტული გაგება ისტორიული განვითარებისა და ყოველგვარი ექსპერიმენტი, რომელიც არ ეთანხმება ეკონომიკური მდგომარეობის ამ ანალიზს, ეწინააღმდეგება ჩვენი რევოლუციის მიზნებს და დემოკრატიას დაბარკხებას უმზადებს. აქედან ცხადია, თუ რა საშინელ საფრთხეს უმზადებენ რუსეთის რევოლუციას ბოლშევიკები, რომლებმაც შესტოპეს რა ანარქო-სინდიკალიზმში, არ უწევენ ანგარიშს რუსეთის რეალურ პირობებს და დღესვე სოციალიზმის განხორციელებას ცდილობენ"[1].

რეზოლუციიდან მოტანილი ამ ვრცელი ამონაწერიდან, ერთი თვალის გადავლებითაც კი შეიძლება მკითხველი დარწმუნდეს იმაში, რომ „ახალგაზრდა მარქსისტები" კვალდაკვალ მიჰყვებოდნენ მენშევიკური პარტიის ლიდერებს და ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით გამართული დისკუსიის დროს ყოველთვის მხარს უჭერდნენ მენშევიკების ანტიმარქსისტულ პოზიციას. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ, როდესაც „ახალგაზრდა მარქსისტები" ზემოთ აღნიშნულ რეზოლუციას იღებდნენ და მას პრესის ფურცლებზე აქვეყნებდნენ, ბუნებრივია, მათ ამოცანას არ წარმოადგენდა ფართო საზოგადოებისათვის ეჩვენებინათ მხოლოდ თავიანთი მსოფლმხედველობა, არამედ იგი გარკვეულ მიზანს ისახავდა. ჩვენი აზრით, იგი შემდეგში მდგომარეობს: 1. „ახალგაზრდა მარქსისტებს" ზემოთ აღნიშნული რეზოლუციით სურდათ დაესაბუთებინათ ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების უარყოფის საფუძველზე სოციალისტური რევოლუციის განხორციელების შეუძლებლობა. 2. მეორეს მხრივ, ისინი მიზნად ისახავდნენ მარქსიზმის საბურვლით შენიღბული სიტყვებით ახალგაზრდობა დაერწმუნებინათ, რომ თითქოს ბოლშევიკები თავიანთი საქმიანობით საფრთხეს უქმნიდნენ საერთო დემოკრატიზმს. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ „ახალგაზრდა მარქსისტთა" მიერ ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი, ძირითადად ემსახურებოდა საქართველოში მენშე-

[1] ჟურნ. „ახალი კვალი", 1918, № 4, გვ. 14.

ვიკური ხელისუფლებისა და მისი „დემოკრატიის“ იურიდიულ გამართლებას.

ეს დაადასტურა „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ლიდერების მიერ ჟურნალ „ახალ კვალში“ გამოქვეყნებულმა სტატიებმაც. რამდენადაც ჩვენი ინტერესი ძირითადად სოციალისტური რევოლუციის საკითხების მიმართ „ახალგაზრდა მარქსისტთა“ შეხედულებების შესწავლით შემოიფარგლება, ამიტომ შევეცდებით არსებული მასალიდან შევარჩიოთ ისეთი, რომელიც კონკრეტულად უპასუხებს ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე. ეხებოდა რა სოციალისტური რევოლუციის საკითხებს. ჟურნალი „ახალი კვალი“ სტატიაში — „სამი წლის თავი“ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ბოლშევიკების მთელ მოღვაწეობასა და მათ მიერ გატარებულ ღონისძიებებს „ექსპერიმენტებად“ ნათლავდა. აქედან გამომდინარე, იგი საბჭოთა რუსეთში შექმნილ სიძნელეებს მიაწერდა „ბოლშევიკურ ექსპერიმენტებს“ და არა ადგილობრივი კონტრრევოლუციისა და იმპერიალისტური სახელმწიფოების მიერ გაჩაღებულ სამოქალაქო ომს. ხოლო რაც შეეხება თვით ოქტომბრის რევოლუციას, იგი რუსეთის ეკონომიკური განუვითარებლობის „საბუთით“ უარყოფდა მის სოციალისტურ ხასიათს. ისიც აღსანიშნავია, რომ იგივე ჟურნალი ბოლშევიკთა საქმიანობასა და მათ მიერ შემოღებული მუშაობის ახალ მეთოდებს ანარქისტულ და ბლანკისტურ მეთოდებთან აიგივებდა[1], რითაც ცდილობდა დაესაბუთებინა სოციალიზმის მშენებლობის ბოლშევიკური გზის უვარგისობა.

თუ რამდენად არასწორი იყო „ახალგაზრდა მარქსისტთა“ შეხედულებანი რუსეთში სოციალიზმის მშენებლობის საკითხთან დაკავშირებით. ეს ერთხელ კიდევ ნათლად დაადასტურა მათივე გაზეთში— „ჩვენი გზა“ გამოქვეყნებულმა მოწინავე საპროგრამო სტატიამ, სათაურით — „ჩვენი გზა“. აღნიშნული სტატია განსაკუთრებულ ყურადღებას იმით იპყრობს, რომ მასში დაწვრილებითაა მიმოხილული საზოგადოების გარდაქმნისა და მშრომელთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში სოციალისტური გზის უპირატესობა კაპიტალისტურთან. სტატიაში გატარებული აზრის მიხედვით, რამდენადაც კაპიტალისტური წარმოების წესი აღმოცენე-

---

[1] ჟურნ. „ახალი კვალი“, 1920, გვ. 3-4; გაზ. „ჩვენი გზა“, 1920 წ. 27 ივნისი, № 2.

ბულია კერძო საკუთრების საფუძველზე, ამდენად იგი განწირულადაა მიჩნეული. იქვე დასმულია საკითხი, თუ რა გზით უნდა მომხდარიყო მშრომელი ახალგაზრდობის მდგომარეობის გაუმჯობესება. ამ მიმართულებით სტატიაში საუბარია განვითარების ორ გზაზე, კაპიტალისტურსა და სოციალისტურზე. პირველი. მათგანის შესახებ ხაზგასმითაა მითითებული, რომ მშრომელი ახალგაზრდობის ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად „ზედმეტია ლაპარაკი იმ გზაზე. რომელზედაც განწირული წესწყობილების (კაპიტალიზმის — შ. ვ.) აპოლოგეტები მიგვითითებენ. ეს გზა უარყოფილია თვით ცხოვრების მიერ, ხოლო ცხოვრებით განწირულს ვერ იხსნის ვერავითარი ცდა“[1].

როგორც ვხედავთ, მშრომელთა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში თვით „ახალგაზრდა მარქსისტების“ მიერ უარყოფილია განვითარების კაპიტალისტური გზა. ისმება საკითხი იმის შესახებ. თუ არა კაპიტალისტური გზით, მაშ რა გზით უნდა წასულიყო მენშევიკური ბატონობის წლებში ქართველი ახალგაზრდობა? ამ კითხვაზე სრულ პასუხს თვით ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებული სტატია იძლევა. მასში გარკვევითაა მითითებული, რომ „არის მეორე გზა, — გზა რუსეთის ბოლშევიზმისა. იგი ყველაზე უფრო პირდაპირი და ახლო გზაა ყოველგვარ კრიზისებიდან თავის დასაღწევად: რუსეთის სინამდვილე — სოციალიზმი! ამაზე უახლოესი გზა შეუძლებელია“[2].

„ახალგაზრდა მარქსისტთა“ აღნიშნული შეხედულება დაადასტურა და კიდევ უფრო განავითარა დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის — „სხიველების“ ორგანომ გაზეთმა „ახალმა სხივმა“ სტატიაში — „რაშია საქმე?“

ეს სტატია იმითაა საყურადღებო, რომ მასში დაწვრილებითაა მოცემული მენშევიკებისა და ესერების კრიტიკა მთელ რიგ საკითხებში. დაგმობილია სახელმწიფოებრივი მართვის კაპიტალისტური მეთოდი, აღიარებულია პროლეტარიატის დიქტატურა და სოციალიზმი. რაც შეეხება ამ უკანასკნელს, ამასთან დაკავშირებით ზემოთ დასახელებულ სტატიაში მითითებულია, რომ „მხოლოდ სოცია-

---

[1] გაზ. „ჩვენი გზა“, 1920 წ. 20 ივნისი, № 1.

[2] იქვე.

ლიზმს შეუძლია ქვეყნის დამშვიდება და წარმოების აყვავება — ეს უნდა შეიგნოს ყველა გულწრფელმა სოციალისტმა"[1].

ჩვენ მიერ სოციალისტური რევოლუციისა და სოციალიზმის მშენებლობის საკითხებთან დაკავშირებით „ახალგაზრდა მარქსისტებისა" და „სხიველების" ზემოთ დასახელებული გაზეთების ფურცლებზე გამოთქმული შეხედულებების ანალიზი საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბატონობისდა მიუხედავად, მენშევიკური იდეოლოგია მთელ რიგ საკითხებში წინააღმდეგობრიობასა და ცვალებადობას განიცდიდა, რასაც აშკარად ადასტურებს, პირველ რიგში, ამ იდეოლოგიის დამცველთა ერთი ნაწილის მიერ წვრილბურჟუაზიულიდან სოციალისტური მსოფლმხედველობისაკენ გარდატეხის პროცესი, მეორეს მხრივ, იგი მაჩვენებელია იმისა, რომ ეს იდეური მიმდინარეობა, რომელიც ბოლშევიზმთან ბრძოლაში ჩამოყალიბდა, აღმოცენებული იყო მცდარ და არამყარ ნიადაგზე და რაც მთავარია, ამ ცვალებადობის ძირითადი მიზეზი უნდა ვეძიოთ საბჭოთა სახელმწიფოს მიერ მშრომელთა საკეთილდღეოდ პრაქტიკულად გატარებულ ღონისძიებებში, რომლის დადებითი შედეგების მომსწრენი თვით „ახალგაზრდა მარქსისტებიც" იყვნენ. ჩვენი აზრით, სწორედ ეს დაედო საფუძვლად „ახალგაზრდა მარქსისტთა" ანტიმარქსისტული იდეური და თეორიული დებულებების ცვალებადობას. ამ ორგანიზაციის წევრთა ზოგიერთი ნაწილის შეხედულებებში მომხდარმა ცვლილებებმა, რომელიც მენშევიკურიდან ბოლშევიკურ შეხედულებებს უახლოვდებოდა და რომლებმაც ასახვა პოვა „ახალგაზრდა მარქსისტთა" პრესის ფურცლებზე, ხელი შეუწყო „სპარტაკის" ორგანიზაციებთან ერთად „ახალგაზრდა მარქსისტებისაგან" თვით „ახალგაზრდა მარქსისტთა" მცდარი დებულებების კრიტიკას.

„ახალგაზრდა მარქსისტებმა", რომლებიც ქართველი მენშევიკების მხარდამხარ იბრძოდნენ, ოქტომბრის რევოლუციასთან დაკავშირებით გამართული იდეური ბრძოლის დროს, ზემოთ აღნიშნულ სხვა მთელ რიგ საკითხებთან ერთად, ერთ-ერთ საკამათო პრობლემად აქციეს პროლეტარიატის დიქტატურის საკითხი. ცნობილი ფაქტია, რომ სოციალ-დემოკრატთა პროგრამაში, სოციალისტური რე-

---

[1] გაზ. „ახალი სხივი", 1921 წ. 16 იანვარი, № 3.

ვოლუციის მონაპოვართა დაცვისა და საერთოდ, სოციალიზმის მშენებლობის პირობად თავიდანვე იყო მიჩნეული პროლეტარიატის დიქტატურის აღიარების აუცილებლობა. მიუხედავად ამისა, ქართველი მენშევიკები მთელი თავისი „მოღვაწეობით“, სიტყვით თუ საქმით, ყველგან უარყოფდნენ მას. ამასვე ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ. როდესაც ბოლშევიკებმა დღის წესრიგში დააყენეს ძალაუფლების ხელში აღება პროლეტარიატის დიქტატურის განსახორციელებლად, მენშევიკებმა ერთი აურზაური ატეხეს — „ადრეა ჯერ, პირობები არ არის მომზადებულიო“. ხოლო როცა ბოლშევიკებმა პრაქტიკულად აიღეს ხელთ ძალაუფლება და პროლეტარიატის დიქტატურა გამოაცხადეს, მენშევიკებმა ამ აქტს ავანტიურა უწოდეს[1]. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ, როგორც შესაბამისი მასალების შესწავლიდან ირკვევა, ამ საკითხთან დაკავშირებით ანალოგიურ თვალსაზრისზე იდგა „ახალგაზრდა მარქსისტთა“ მენშევიკური ორგანიზაციაც.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბუნებრივია, ისმება საკითხი იმ მიზეზობრიობის გარკვევის აუცილებლობის შესახებ, რამაც მენშევიკების მსგავსად „ახალგაზრდა მარქსისტები“ პროლეტარიატის დიქტატურის უარყოფამდე მიიყვანა.

აღსანიშნავია, რომ „ახალგაზრდა მარქსისტები“ მართალია სოციალიზმში გადასვლის მებაირახტრედ აღიარებდნენ პროლეტარიატს, მაგრამ მენშევიკების მსგავსად, მის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების მოსაპოვებლად აუცილებლად მიიჩნევდნენ არა კლასთა ბრძოლას, არამედ კლასთა სოლიდარობას[2], რაც კლასთა ბრძოლის მარქსისტული თეორიის უარყოფასა და წვრილბურჟუაზიული მსოფლმხედველობის დაცვას ნიშნავდა.

რამდენადაც „ახალგაზრდა მარქსისტები“ წვრილი ბურჟუაზიის ინტერესებიდან გამომდინარე განიხილავდნენ საერთოდ ამა თუ იმ მნიშვნელოვან საკითხს, ბუნებრივია, ბოლშევიკების მიერ გადადგმული ყოველი ნაბიჯი არაკანონიერად ეჩვენებოდათ. ასეთივე არაკანონიერების პოზიციებიდან მიუდგნენ ისინი საბჭოთა რუსეთში პროლეტარიატის დიქტატურის საკითხსაც.

---

[1] გაზ. „ახალი კომუნისტი“, 1920 წ. 4 ივნისი, № 7. გაზ. „ჩვენი გზა“, 1920 წ. 20 ივნისი, № 1.

[2] ჟურნ. „ახალი კვალი“, 1920, № 1, გვ. 4, 5.

უნდა შევნიშნოთ, რომ „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის ბრძოლა პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ შემთხვევითი არ იყო, რადგან ეს ორგანიზაცია არსებობის დღიდან, როგორც არაერთხელ გვქონდა მითითებული, იდეოლოგიურ სფეროში ძირითადად ემყარებოდა მენშევიკური პარტიის მცდარ შეხედულებებს. სწორედ მენშევიკური პარტიის ლიდერთა ანტიმარქსისტული დებულებების მომარჯვების საფუძველზე, ისინი თავიანთი პრესის ფურცლებზე ყოველმხრივ შეეცადნენ უარეყოთ პროლეტარიატის დიქტატურის აუცილებლობა.

იმ მიზნით, რომ მათ მიერ წამოყენებული მცდარი არგუმენტისათვის გამართლება მოეძებნათ, „ახალგაზრდა მარქსისტებმა“ პროლეტარიატის დიქტატურა სოციალიზმისათვის მიუღებლად ჩათვალეს. ამ საკითხთან დაკავშირებით ისინი ნ. ჟორდანიას შეხედულებებზე დაყრდნობით მიუთითებდნენ, რომ „დიქტატურა მიუღებელია მაშინ, როცა ახალი ცხოვრების აშენებას შევუდგებით, რადგანაც, ეს უნდა მოხდეს მთელი ხალხის მონაწილეობით და სურვილით. როგორც ხედავთ, დიქტატურა მიუღებელია, როგორც ნორმალური ფორმა მმართველობისა“[1].

ბუნებრივია, ისმება საკითხი იმის შესახებ, თუ არა პროლეტარიატის დიქტატურა, მმართველობის რომელი ფორმა მიაჩნდა „ახალგაზრდა მარქსისტებს“ ახალი საზოგადოების (სოციალიზმის) მშენებლობისათვის აუცილებლობად? ეხებოდა რა აღნიშნულ საკითხს, გაზეთი „კომუნისტი“ მიუთითებდა, რომ „ახალგაზრდა მარქსისტებმა“ დაუპირისპირეს პროლეტარიატის დიქტატურას ახალი ფორმულა: დემოკრატიზმიდან სოციალიზმისაკენ. ამით ისინი სავსებით გამოეთხოვენ დიქტატურის იდეას“[2].

მართალია, „ახალგაზრდა მარქსისტებმა“ მენშევიკური პარტიის ლიდერებზე დაყრდნობით სოციალიზმის მშენებლობის დროს უარყვეს პროლეტარიატის დიქტატურის აუცილებლობა, მაგრამ ისმება კითხვა იმის შესახებ, ჰქონდათ თუ არა სოციალ-დემოკრატებს თავიანთ პროგრამაში პროლეტარიატის დიქტატურის საკითხი? ამასთან დაკავშირებით გაზეთი „კომუნისტი“ წერდა: „სოციალ-დემოკრატიულ პროგრამაში პროლეტარიატის დიქტატურა აუცილებელ

---

[1] გაზ. „ჩვენი გზა“, 1920 წ. 20 ივნისი, № 4.

[2] გაზ. „კომუნისტი“, 1920 წ. 10 ივნისი, № 7.

პირობად იყო აღიარებული სოციალიზმის განხორციელებისათვის. ეს პროგრამა ქართველ მენშევიკებს დღესაც ხელში უჭირავთ. ყოველ შემთხვევაში მათ ჯერ ოფიციალურად არ ამოუღიათ თავისი პროგრამიდან დებულება დიქტატურის შესახებ" [1]. თუკი ეს ასეა, მაშინ ბუნებრივია, ისმება საკითხი იმ მიზეზობრიობის გარკვევის აუცილებლობის შესახებ, რამაც მენშევიკებთან ერთად „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაცია პროლეტარიატის დიქტატურის უარყოფამდე მიიყვანა.

ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ეაზეთი „მესამე ინტერნაციონალი", რომელმაც ოქტომბრის რევოლუციასთან მიმართებაში, მკითხველს გააცნო მენშევიკებისადმი კ. ცეტკინის დამოკიდებულება. თუ რამ განაპირობა მენშევიკების მიერ პროლეტარიატის დიქტატურის უარყოფის აუცილებლობა, ამ მიზეზობრიობის ახსნასთან დაკავშირებით კ. ცეტკინი შენიშნავს, რომ ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებისა და დროებითი მთავრობის დამარცხებისთანავე „შეერთდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მემარჯვენე ოპორტუნისტული ფრთა — მენშევიკები და მემარჯვენე სოციალისტ-რევოლუციონერები არა მარტო წვრილ ბურჟუაზიასთან, არამედ ლიბერალურ ბურჟუაზიასთან, რომელმაც ნახა თავის წინამძღოლი კადეტთა პარტიაში" [2]. როგორც ცნობილია, კადეტების პარტია (შეიქმნა 1905 წელს) კონტრრევოლუციური ლიბერალური მონარქისტული ბურჟუაზიის ინტერესებს იცავდა და მიზნად ისახავდა რუსეთში კონსტიტუციური მონარქიის შექმნას. იგი გამოდიოდა რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ [3].

რამდენადაც მენშევიკები და მემარჯვენე სოციალისტ-რევოლუციონერები, კ. ცეტკინის სიტყვებით რომ ვთქვათ, თავიანთ წინამძღოლს მხოლოდ კადეტთა პარტიაში ხედავდნენ, ბუნებრივია, ისინი დაცავდნენ წვრილი და ლიბერალური ბურჟუაზიის ინტერესებს. აქედან გამომდინარე, თუკი მივუდგებით საკითხს, მაშინ მენშევიკებისაგან პროლეტარიატის დიქტატურის უარყოფა შემთხვევითად არ უნდა მივიჩნიოთ, რადგან, როგორც გაზეთი „კომუნისტი" სტატია-

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1920 წ. 10 ივნისი, № 7.

[2] გაზ. „მესამე ინტერნაციონალი", 1917 წ. 20 დეკემბერი, № 5.

[3] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 5, თბ., 1980, გვ. 295; Думова Н. Г., Кадетская контрреволюция и ее разгром., М., 1982.

ში — „დიქტატურის უარყოფა“ აღნიშნავდა: „დიქტატურის უარყოფა წვრილბურჟუაზიას ახასიათებს. ამის მიზეზი მის სოციალურ მდგომარეობაშია ჩამარხული. მისი ასეთი განწყობილება დიდად მოსწონს ბურჟუაზიას და ყველა ანტიპროლეტარულ ჯგუფებს და პარტიებს, რომლებიც მოხერხებულად იყენებენ მას პროლეტარიატის წინააღმდეგ ბრძოლაში“ [1]. თუკი ეს ასეა, მაშინ, ბუნებრივია, რომ ბოლშევიკების მიერ წამოყენებულ პროლეტარიატის დიქტატურაა, რომელიც საერთოდ გაბატონებული კლასების წინააღმდეგაა მიმართული. მენშევიკები, რა თქმა უნდა, მხარს არ დაუჭერდნენ, რადგან ვ. ი. ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, პროლეტარიატის დიქტატურა „კაპიტალისტთა წინააღმდეგობის ‘გატეხაში მდგომარეობს“ [2]. ამიტომ იყო, რომ მენშევიკებმა, ოქტომბრის რევოლუციის პერიოდში ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რათა ბოლშევიკებს ძალაუფლება არ აეღოთ. მაგრამ როდესაც რევოლუციამ გაიმარჯვა და პროლეტარიატის დიქტატურა დამყარდა, მენშევიკებმა სხვა ანტიპროლეტარულ პარტიებთან ერთად სასტიკი ბრძოლა გააჩაღეს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და თვით ოქტომბრის რევოლუცია „ავანტურის“ სახელით მონათლეს. ეყრდნობოდა რა ოქტომბრის რევოლუციის მიმართ მენშევიკთა ამ მცდარ ანტიმარქსისტულ შეხედულებას. „ახალგაზრდა მარქსისტებმა“ ბოლშევიკებს ბრალად დასდეს, თითქოს მათ ანალიზი ვერ გაუკეთეს რუსეთის სინამდვილეს და დაშორდნენ მეცნიერულ სოციალიზმს [3]. იმის საილუსტრაციოდ, თუ რამდენად მცდარი იყო „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ბრალდება ბოლშევიკებისადმი, ამასთან დაკავშირებით გაზეთმა „მესამე ინტერნაციონალმა“ მოიშველია რა კ. კაუცკის წიგნი — „პასუხი ბერნშტეინს“. მასში მოცემული დებულებების გამოყენებითა და რუსეთის სინამდვილეზე დაყრდნობით, მიუთითა ამ ორგანიზაციის მიერ მარქსიზმის ხელოვნურად დამახინჯების ფაქტებზე და მკითხველს განუმარტა, თუ ვინ აკდა ნამდვილ მარქსიზმს და დაშორდა მეცნიერულ სოციალიზმს — ბოლშევიკები თუ მენშევიკები [4]. ხოლო რაც შეეხება მენშევიკური პარტიის მიბაძვის საფუძველზე „ახალგაზრდა მარ-

---

[1] გაზ. „კომუნისტი“, 1920 წ. 10 ივნისი, № 7.
[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 25, გვ. 64.
[3] გაზ. „მესამე ინტერნაციონალი“, 1917 წ. 11 დეკემბერი, № 4.
[4] ი ქ ვ ე.

ქსისტების" მიერ ოქტომბრის რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის „ავანტურად" გამოცხადებას. ამასთან დაკავშირებით, გაზეთმა „მესამე ინტერნაციონალმა" ამ ორგანიზაციის შეხედულებათა სამხილებლად მოიშველია კ. ცეტკინი, რომელიც ოქტომბრის რევოლუციასთან დაკავშირებით მენშევიკებს მოაგონებდა, რომ „რევოლუციონურ დემოკრატიის ბურჟუაზიასთან შეთანხმების მთავროპა ალარ არსებობს... მთელი ძალაუფლება ახლა საბჭოების ხელშია. პროლეტარიატის დიქტატურა, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, მთელი მშრომელი ხალხის დიქტატურა ახლა უკვე მომხდარი ფაქტია" [1].

როგორც ვხედავთ, გაზეთმა „მესამე ინტერნაციონალმა" შესაბამისი მასალების მომარჯვების საფუძველზე შეძლო პროლეტარიატის დიქტატურასთან დაკავშირებით გამოეაშკარავებინა მშრომელი ხალხის ინტერესებისათვის ბრძოლის საბურვლით შენიღბული მენშევიკური პარტიისა და „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციის ანტ-პროლეტარული იდეოლოგიის მთელი ფიზიონომია. ამასთანავე იგი კატეგორიულად აყენებდა საკითხს, რათა პროლეტარიატის რევოლუციური დიქტატურა დაპირისპირებოდა თვით წვრილი და მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესებს.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ გაზეთ „მესამე ინეტრნაციონალის" მიერ სოციალისტური რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის საკითხების გარშემო „ახალგაზრდა მარქსისტების" წინააღმდეგ დაწყებული კამათი გააგრძელა გაზეთმა „ახალგაზრდა კომუნისტმა", რომელიც ამ მიმართულებით ხშირად აქვეყნებდა თეორიული ხასიათის სტატიებს.

პროლეტარიატის დიქტატურის საკითხებთან დაკავშირებით გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" მიერ გამოქვეყნებული მასალებიდან ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო სტატიამ „ორი დიქტატურა". აღნიშნული სტატია იმითაა საინტერესო, რომ მასში პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის დიქტატურის საკითხები ერთმანეთისადმი დაპირისპირების ფონზეა განხილული. სტატიაში დამაჯერებლადაა მოცემული ბურჟუაზიული დიქტატურის მთელი არსი, პროლეტარიატისადმი მიმართებაში მისი დამღუპველი შედეგი. სტატიის ავტორი

---

[1] გაზ. „მესამე ინტერნაციონალი", 1917 წ. 20 დეკემბერი, № 5.

ახალგაზრდა ბოლშევიკებს მოაგონებდა, რომ „იმპერიალისტური ბურჟუაზიის დიქტატურას, მიმართულს პროლეტარიატის წინააღმდეგ, უნდა დავუპირისპიროთ რევოლუციონური დიქტატურა პროლეტარიატისა, მიმართული იმპერიალისტური ბურჟუაზიის წინააღმდეგ“ [1]. ხოლო „ახალგაზრდა მარქსისტთა“ შეხედულებაზე იმის შესახებ, რომ თითქოს ბოლშევიკების მიერ წამოყენებულ პროლეტარიატის დიქტატურისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის საკითხს მხარს არ დაუჭერდა გლეხობა[2], ამასთან დაკავშირებით იგივე სტატია საბჭოთა რუსეთის სინამდვილეზე დაყრდნობის საფუძველზე ხაზგასმით მიუთითებდა, რომ „ოქტომბრის რევოლუციამ ძალაუფლება მისცა ხალხს, მუშამ, ჯარისკაცმა და გლეხმა დაამარცხა ბურჟუაზიის დიქტატურა და შექმნა პროლეტარიატის დიქტატურა, რომელსაც მხარს უჭერს ღარიბი გლეხობა“ [3].

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელი ხდება, რომ ახალგაზრდა ბოლშევიკებმა, რომლებიც ეყრდნობოდნენ მარქსისტულ-ლენინურ დებულებებს და მას შემოქმედებითად უფარდებდნენ საბჭოთა რუსეთის დიდ წარმატებას, სოციალისტური რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის საკითხებთან დაკავშირებით შეძლეს არა მარტო დაეცვათ პროლეტარიატის დიქტატურასთან დაკავშირებით ლენინური დებულებები, არამედ თავიანთი დასაბუთებული თეორიული სტატიებითა და გამოსვლებით ზემოქმედებაც კი მოეხდინათ თვით „ახალგაზრდა მარქსისტთა“ მენშევიკურ ორგანიზაციაზეც.

„სპარტაკელთა“ ორგანიზაციის იდეური მუშაობის ზეგავლენას უნდა მიეწეროს ის ფაქტი, რომ 1919 წლის 23 ნოემბერს, „ახალგაზრდა მარქსისტთა“ კონფერენციაზე, სპეციალური მწვავე პოლემიკური მსჯელობის საგნად გადაიქცა პროლეტარიატის დიქტატურის საკითხი. ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი მიმდინარეობა. პირველნი (ე. თალაკვაძე, დ. ყიასაშვილი) იცავდნენ დემოკრატიულ რესპუბლიკას, ხოლო მეორენი (ს. მიხეილიძე, შ. დუდუჩავა) საბჭოთა რესპუბლიკას [4].

---

[1] გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1918 წ. 20 დეკემბერი, № 1.
[2] გაზ. „ჩვენი გზა“, 1920 წ. 14 ივლისი, № 4.
[3] გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1918 წ. 20 დეკემბერი, № 1.
[4] ჟურნ. „ახალი კვალი“, 1920, № 1, გვ. 14—16.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პოლიტიკურ მომენტთან დაკავშირებით გამართული კამათის დროს შ. დუდუჩავამ პროლეტარიატის დიქტატურის ფორმის საკითხების გარშემო სასტიკად გააკრიტიკა „ახალგაზრდა მარქსისტთა" მენშევიკური შეხედულებები და მათ საყურადღებოდ მიუთითა, რომ „ის დემოკრატიზმი, რომელზედაც თქვენ ლაპარაკობთ (იგულისხმება „ახალგაზრდა მარქსისტები" — **შ. ვ.**), უკვე განხორციელდა ბურჟუაზიულ ხანაში, ასეთი დემოკრატიზმი, როგორც პოლიტიკური ფორმა სახელმწიფოსი, რომლის დასაყრდენი ბაზა პარლამენტარიზმია, მოასწავებს ფაქტიურად მსხვილ ბურჟუაზიასთან კოალიციის დაკანონებას. სოციალისტურ რევოლუციაში ბურჟუაზიასთან კოალიცია მიუღებელია პროლეტარიატისათვის. ვინც მას (კოალიციას) იცავს დღეს ევროპაში, ის ოპორტუნისტია და სდგას ანტიპროლეტარულ პოზიციაზე... ასეთი დემოკრატიზმი ანარქიზმია"[1]. ხოლო რაც შეეხება ს. მიხეილიძეს, მან უარყო დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტარიზმის გზა და პროლეტარიატის დიქტატურის საუკეთესო ფორმად საბჭოთა მთავრობა აღიარა[2].

როგორც ვხედავთ, ს. მიხეილიძისა და შ. დუდუჩავას მიერ კონფერენციაზე გამოთქმულ შეხედულებებში მოცემულია სოციალისტური რევოლუციის განვითარების მარქსისტული პოზიციების დაცვა. ისიც აღსანიშნავია, რომ ამ სწორ მარქსისტულ პოზიციას დაუპირისპირდნენ ე. თალაკვაძე და დ. ყიასაშვილი. მათ თავიანთ სიტყვებში განავითარეს რა ანტიმარქსისტული პრინციპები, ხაზგასმით მიუთითეს, რომ „საბჭოთა დიქტატურა მიუღებელია — ის დააფრთხობს წვრილ ბურჟუაზიასო"[3]. აქედან ნათლად ჩანს, რომ „ახალგაზრდა მარქსისტთა" მენშევიკური თეორიები ძირითადად აგებული იყო არა მშრომელთა, არამედ წვრილი ბურჟუაზიის ინტერესების დაცვის საწყისებზე.

ეხებოდა რა აღნიშნულ კონფერენციას, გაზეთი „ახალი კომუნისტი" სტატიაში — „დავიწყებული ფაქტი" მიუთითებდა, რომ ეს დავა იმდენად მწვავე ხასიათისა აღმოჩნდა, რომ კონფერენციამ ვერ შეძლო არსებული სადავო საკითხების ერთმანეთთან შეთანხმება და

---

[1] ჟურნ. „ახალი კვალი", 1920, № 1, გვ. 14.

[2] იქვე, გვ. 15.

[3] იქვე, გვ. 15-16.

ერთიანი საერთო აზრის მიღება[1]. მიუხედავად ამისა, როგორც მასალებიდან ირკვევა, „მემარცხენე“ „ახალგაზრდა მარქსისტები“ არ შეეცადნენ თავიანთი დებულებები საკამათოდ გადაეტანათ ორგანიზაციებში. ამ მიმართულებით თავის შეკავება ძირითადად განპირობებული იყო საბჭოთა ხელისუფლების სიძულვილითა და საქართველოში სოციალისტური რევოლუციის თავიდან აცილების მიზნით. სწორედ ამან განაპირობა ის ფაქტი, რომ, როგორც გაზეთი „ახალი კომუნისტი“ აღნიშნავს „მათ ეს კამათიც კი სავსებით დაივიწყეს... მათში დღეს აღარ არის არავითარი აზრთა შეხლა-შემოხლა, შეურიგეს ერთმანეთს თავიანთი აზრები, შეძლეს „შეთანხმება“ შეუთანხმებელის“[2].

მიუხედავად ამისა, ზემოთ აღნიშნულმა აქტმა ნათლად დაადასტურა „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის შიგნით მომხდარი ბზარი. რამაც დიდი დახმარება გაუწია საქართველოს კომკავშირულ ორგანიზაციებს, თვით „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებები გამოეყენებინათ მენშევიკური იდეოლოგიის კრიტიკისათვის. ამ მხრივ ინტერესს იწვევს გაზეთი „მოლოდოი პროლეტარი“, რომელმაც გამოიყენა რა „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის მესვეურთა ერთმანეთის საწინააღმდეგო დებულებები, მათზე დაყრდნობით კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა პროლეტარიატის დიქტატურის საკითხთან დაკავშირებით მენშევიკური იდეოლოგია. ამით მან შეძლო დამაჯერებლად დაესაბუთებინა ლენინური შეხედულებების სისწორე პროლეტარიატის დიქტატურის, სოციალიზმის მშენებლობის გარდუვალობისა და აუცილებლობის შესახებ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაზეთი იქვე დასძენდა, რომ „ჩვენი იდეა, იდეა კომუნიზმისა ანადგურებს და ანგრევს ყველაფერს.... მალე კომუნისტური რევოლუციის ყველაზე პატარა ფოცხი (იგი თქვენთვის საკმარისია), საბოლოოდ მოგწვდება თქვენ და მენშევიკებისაგან მოგონებაც არ დარჩება“[3].

ზემოთ მოტანილი მასალების ანალიზის საფუძველზე აშკარად გამოიკვეთა თუ რამდენად მცდარი და წინააღმდეგობრივი იყო „ახა-

---

[1] გაზ. „ახალი კომუნისტი“, 1920 წ. 10 დეკემბერი, № 116.
[2] იქვე.
[3] გაზ. «Молодой пролетарий», 14 июня, 1920 г.

ლგაზრდა მარქსისტთა“ შეხედულებები პროლეტარიატის დიქტატურისა და „დემოკრატიზმის გზით სოციალიზმში“ გადასვლის საკითხებთან დაკავშირებით. ამ მიმართულებით გამართული პოლემიკის დროს, საქართველოს კომკავშირმა განახორციელა ახალგაზრდა მენშევიკების ანტიმარქსისტული შეხედულებების საფუძვლიანი და დასაბუთებული კრიტიკა.

უნდა შევნიშნოთ, რომ, რამდენადაც „ახალგაზრდა მარქსისტები“ თავიანთი არგუმენტაციის გამაგრების მიზნით ხშირად იმოწმებდნენ ქართველ და რუს მენშევიკთა დებულებებს, ბუნებრივია, ისმება კითხვა იმის შესახებ, თუ რა შეხედულებისა იყვნენ რუსი მენშევიკები „ახალგაზრდა მარქსისტების“ მიერ წამოჭრილ ზემოთ მითითებულ საკითხებზე. აღნიშნულ კითხვასთან დაკავშირებით განსაკუთრებით საყურადღებოა მენშევიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერის — ე. მარტინოვის[1] მიერ 1919 წელს გაკეთებული განცხადება. იგი ვრცელ ანალიზს უკეთებდა რა მენშევიკური პარტიის საბჭოთა პერიოდამდელ განვლილ გზას, საბჭოთა სინამდვილიდან აღებული მასალების მოშველიებისა და მისი გაანალიზების საფუძველზე დასძენდა. რომ „ჩვენ, მენშევიკები, ვიყავით სრულებით ბრმები. რომ მენშევიკური შეხედულება დემოკრატიაზე და დიქტატურაზე რევოლუციის ეპოქაში არის შეხედულება მანილოვისებური, კაბინეტური, უსიცოცხლო-დოქტრინალური... ცხოვრებამ დაადასტურა, რომ

---

[1] ალექსანდრე სამოელის ძე მარტინოვი დაიბადა 1865 წელს, გარდაიცვალა 1935 წელს. 1884 წლიდან იყო „ნაროდნაია ვოლიას“ წევრი, 1886 წელს გადაასახლეს ციმბირში. XIX ს-ის 90-იან წლებში ჩაება სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში. 1889 წლიდან აირჩიეს რსდმპ ეკატერინოსლავის კომიტეტის წევრად. 1900 წლიდან მიდის ემიგრაციაში და შედის ეურნ. „რაბოჩეე დელოს“ რედაქციაში, რსდმპ II ყრილობაზე (1903 წ.) ა. მარტინოვი მხარს უჭერს ანტიისკრელებს, რაც გარკვეული როლი შეასრულა შემდეგში მის მენშევიკად ჩამოყალიბებაში. იგი ხდება მენშევიზმის ერთ-ერთი ლიდერი. ა. მარტინოვი არჩეული იყო პარტიის IV და V ყრილობების დელეგატად. V ყრილობაზე მას ირჩევენ რსდმპ ცკ-ის წევრად. რეაქციის წლებში (1908 — 1910 წწ.) ა. მარტინოვი იყო ლიკვიდატორი, 1914 — 1918 წლებში პირველი მსოფლიო ომის დროს — ცენტრისტი. 1917 წლიდან, კერძოდ, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ იგი თანდათან ჩამოშორდა მენშევიზმს და მასთან საბოლოოდ კავშირი გაწყვიტა სამოქალაქო ომის დროს. რკპ(ბ) XII ყრილობაზე (1923 წ.) ა. მარტინოვი მიიღეს პარტიის წევრად. მუშაობდა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ინსტიტუტში. იხ. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 6, თბ., 1983. გვ. 461.

მხოლოდ პროლეტარიატის რკინისებური დიქტატურა უზრუნველყოფს რევოლუციის გამაგრებას და აძლევს ხელმძღვანელ პარტიას სრულ შესაძლებლობას დაიცვას მუშათა დემოკრატიის ინტერესები"[1].

რუსეთის მენშევიკური პარტიის ლიდერის ასეთი მრავლისმთქმელი აღიარების მიუხედავად, როგორც მასალებიდან ირკვევა, საქართველოს მენშევიკურ პარტიაზე დაყრდნობით „ახალგაზრდა მარქსისტები" ახალგაზრდებში კვლავაც განაგრძობდნენ „დემოკრატიზმიდან სოციალიზმში" ნანატრი გზის შესახებ ფართო პროპაგანდას. ჩვენი აზრით, „ახალგაზრდა მარქსისტთა" განსაკუთრებული სიჯიუტე. უარეყო „დემოკრატიზმიდან სოციალიზმში" გადასვლის მცდარი თეორიული დებულება, იმით იყო განპირობებული, რომ დემოკრატიზმი ამ ორგანიზაციისათვის ბრმა ფეტიშად იყო გადაქცეული. სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში გაზეთ „ახალ კომუნისტს", როდესაც სტატიაში — „მენშევიკები და ახალგაზრდა მარქსისტები" მიუთითებდა: „ახალგაზრდა მარქსისტები, მართალია, ჩასჭიდებიან „მარქსიზმის დებულებებს", მაგრამ ისინი ვერ ამაღლებულან მისი რევოლუციონური შინაარსის, რევოლუციონურ ნებასურვილის გაგების დონემდე: ეს მათთვის ცხრაკლიტულში დამარხული ჭეშმარიტებაა"[2].

რამდენადაც „ახალგაზრდა მარქსისტებისათვის" მარქსიზმი ამოუცნობ საიდუმლოებად დარჩა, მათ მიერ მენშევიკური პარტიის მხარდამხარ „დემოკრატიზმის გზით სოციალიზმისაკენ" შემუშავებული თეორიის მიხედვით გადადგმული თითქმის ყველა პრაქტიკული ნაბიჯი ცხოვრებისეულ სინამდვილესთან სრულ შეუსაბამობაში აღმოჩნდა. ამ ფაქტის სისწორე პრაქტიკულად ერთხელ კიდევ დაადასტურა მენშევიკური თეორიის მიხედვით საქართველოში აგრარული რეფორმის გატარებამ.

ცნობილი ფაქტია, რომ 1917 წლის 16 ოქტომბერს, საბჭოების სრულიად რუსეთის მეორე ყრილობაზე მიღებულმა დეკრეტებმა მიწის შესახებ, უდიდესი ზეგავლენა მოახდინა საქართველოს გლეხობაზე. რამდენადაც საქართველოში გატარებული არ იყო მიწის რე-

---

[1] ჟურნ. „მომავალი", 1923, № 7, გვ. 2—3.

[2] გაზ. „ახალი კომუნისტი", 1920 წ. 17 ნოემბერი, № 97.

ფორმა. საბჭოთა რუსეთში მომხდარი ფაქტიდან გამომდინარე. გლეხთა მასებში ფართოდ გაიშალა აგრარული მოძრაობა. უნდა აღინიშნოს, რომ გლეხთა აგრარული მოძრაობის შეჩერების მიზნით ამიერკავკასიის კომისარიატმა 1917 წლის 16 დეკემბერს გამოსცა „დებულება სახაზინო, ყოფილი საუფლისწულო, საეკლესიო, სამონასტრო, იურიდიულ პირთა და კერძო მიწათმფლობელთა მიწების საადგილმამულო კომიტეტებისათვის გადაცემის შესახებ". ვინაიდან ამ დეკრეტმა ვერ დააკმაყოფილა გლეხთა მოთხოვნები, ამიერკავკასიის სეიმი იძულებული გახდა 1918 წლის 7 მარტს მიეღო აგრარული კომისიის მიერ შემუშავებული კანონპროექტი მიწის შესახებ. ეს კანონპროექტი ძირითადად დამატება და განმარტება იყო ამიერკავკასიის კომისარიატის მიერ 1917 წლის 16 დეკემბერს მიღებული დეკრეტებისა[1].

ამიერკავკასიის სეიმის მიერ მიწის შესახებ კანონპროექტის გამოქვეყნებამ, რომლითაც მენშევიკური მთავრობა ამაყობდა, მშრომელთა ერთი ნაწილის აშკარა დაბნეულობა, ხოლო მეორე ნაწილის საფუძვლიანი უარყოფითი რეაქცია გამოიწვია. დღის წესრიგში აუცილებლობად დაისვა საკითხი აღნიშნული კანონპროექტის დაუყოვნებლივ მხილებისა და მისი სააშკარაოზე გამოტანის შესახებ. ამ მიმართულებით მეტად მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია გაზეთმა — „ჩვენი ბრძოლა", რომელიც მენშევიკური აგრარული პროგრამის დებულებების განხილვასთან დაკავშირებით ხშირად აქვეყნებდა შესაბამისი პოლემიკური ხასიათის სტატიებს. გაზეთ — „ჩვენ ბრძოლაში" განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სტატია — „ამიერკავკასიის სეიმი და მიწის საკითხი". მასში მენშევიკური აგრარული რეფორმა დაპირისპირებულია საბჭოთა რუსეთში გატარებულ აგრარულ ღონისძიებებთან. სწორედ ამ შეპირისპირების მეთოდის გამოყენებიდან გამომდინარე მიუთითებდა გაზეთი, რომ მართალია, მიწის საკითხის გადაჭრა ეს, პირველ რიგში, სოფლის გლეხობის საკითხია, მაგრამ მიუხედავად ამისა, მენშევიკების აგრარულ კანონს „მხედველობაში აქვს მხოლოდ ის მსხვილი მემამულეები, რომელთაც მიწების ერთი ნაწილი უნდა ჩამოერთვას. კანონი ზრუნავს არა იმაზე, თუ როგორ

---

[1] გაზ. „ჩვენი ბრძოლა", 1918 წ. 11 მარტი, № 4; გაზ. „ერთობა", 1918 წ. 1 იანვარი, № 1.

და რანაირად უნდა იქნას დაკმაყოფილებული მიწით უმიწაწყლო და მცირე მიწიანი გლეხობა. არამედ ის ზრუნავს იმაზე, თუ რამდენი მიწა უნდა დავუტოვოთ მემამულეებს საკუთრებათ, რომ იმათ წინანდელად. ბატონურათ. შესძლონ ცხოვრება. კანონი ერთი სიტყვით, არ იხსენიებს იმას, თუ რამდენი მიწა უნდა იქნას გლეხობისათვის მინიმალური ან მაქსიმალური ნორმა, რომ იმათ შესძლონ ადამიანურათ ცხოვრება. სამაგიეროთ სეიმის კანონი შესანიშნავათ ზრუნავს იმაზე, რომ მსხვილი მემამულეები უზრუნველყოფილი იქნან მიწის საკმარისი რაოდენობით...“[1].

გაზეთი იქვე დაწვრილებით ეხება მენშევიკთა ცრუ დაპირებას გლეხობისათვის მიწების გადაცემის შესახებ და ამასთან დაკავშირებით სამართლიანად დასძენს: „ერთი ვკითხოთ, რაღა უნდა გადასცენ გლეხებს, თუ მემამულეებს დაუტოვებენ ხელუხლებლათ იმას, რასაც დღეს ისინი ფლობენ!... თუ სეიმის კანონი ცხოვრებაში გატარდა, ამ შემთხვევაში ეჭვი არ უნდა ვიქონიოთ იმაში, რომ ერთი წლის შემდეგ ჩვენში დამყარდება ისეთივე მდგომარეობა, როგორიც იყო რევოლუციის წინ, იმ განსხვავებით, რომ წინანდელი მემამულეების ადგილას... იქნებიან ახალი ყაიდის მემამულეები“[2].

ეხება რა მიწის შესახებ სეიმის მიერ დამტკიცებულ ზემოთ მითითებულ დებულებას, კ. ჩარკვიანი სავსებით სამართლიანად შენიშნავს, რომ მენშევიკების მიერ გამოცემული მიწის კანონები „ასე თუ ისე წყვეტდა მემამულეთათვის მიწების ჩამორთმევის საკითხს, მაგრამ მის საფუძველზე გლეხები მიწას მაინც ვერ მიიღებდნენ. აქაც კანონის ავტორებს საქმე ბოლომდე არ მიუყვანიათ: მათ მიუთითეს, როგორი ნორმა უნდა დარჩენოდათ მემამულეებს, მაგრამ სამაგიეროთ არ განსაზღვრეს, რა წესით და ზომით უნდა მისცემოდა მიწა გლეხებს“[3]. ჩვენი აზრით, ამის ძირითადი მიზეზი უნდა ვეძიოთ მენშევიკთა მუნიციპალიზაციის პროგრამულ დებულებებში, რომლებსაც ისინი ფართო რეკლამას უკეთებდნენ.

ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ „ახალგაზრდა მარქსისტებმა“ მმართველი პარტიის მხარდამხარ თავისი პრესის ფურცლებზე აგრა-

---

[1] გაზ. „ჩვენი ბრძოლა, 1918 წ. 13 მარტი, № 5.

[2] იქვე.

[3] კ. ჩარკვიანი, ქართველი მენშევიკების ანტიხალხური ეკონომიური პოლიტიკის შესახებ, თბ., 1970, გვ. 69.

რულ საკითხთან დაკავშირებით ფართოდ გააჩაღეს მუნიციპალიზაციისადმი მხარდაჭერის პროპაგანდა. იმ მასალებიდან, რომლებიც ჟურნალ „ახალ კვალში" გამოქვეყნდა, ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო სტატიამ — „აგრარული რეფორმის გამო" [1]. მასში განხილულია ბოლშევიკების მიერ ბიწების კონფისკაციის, სოციალისტ-რევოლუციონერების „სოციალიზაციისა" და მენშევიკების მიერ შემუშავებული „მუნიციპალიზაციის" თეორიები. მასში უარყოფილია როგორც კონფისკაცია, ასევე „სოციალიზაცია" და უპირატესობა აქვს მინიჭებული „მუნიციპალიზაციას". საქმე იმაშია, რომ მუნიციპალიზაციის დროს ჩამორთმეული მიწები უნდა გადასცემოდა მსხვილ თვითმმართველ ერთეულებს, მუნიციპალიტეტებს, რომლებიც გლეხობას მიწას იჯარით მისცემდნენ. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინების საფუძველზე სტატიაში ხაზგასმითაა მითითებული, რომ თითქოს „სოციალისტურ პერსპექტივებიდან რომ გამოვიდეთ, მუნიციპალიზაცია საუკეთესო და მასთან ობიექტურათ შესაძლებელი ზომა არის აგრარული საკითხის გადასაჭრელადო" [2].

აღნიშნული ფაქტი იმის ნათელი დადასტურებაა, რომ „ახალგაზრდა მარქსისტები" მენშევიკური პარტიისაგან განსხვავებით აგრარული საკითხის გარშემო ახალს არაფერს ამბობდნენ. ისინი ამ შემთხვევაში ძირითადად მმართველი პარტიის შეხედულებებს იზიარებდნენ და მათი მხარდაჭერის როლში გამოდიოდნენ.

რაც შეეხება მენშევიკური მთავრობის მუნიციპალიზაციის პროგრამის საკითხს, ამასთან დაკავშირებით გაზეთი „ჩვენი ბრძოლა" მიუთითებდა: „ცხადია, თუ სეიმისა და ახალი მთავრობის მოქმედება ამ პოლიტიკის გაგრძელება იქნება, ის ვერ შესძლებს მშრომელი მასის მოთხოვნილება დააკმაყოფილოს, იყოს მისი ინტერესების და იმედების ჭეშმარიტი და რევოლუციონური გამომხატველი" [3].

საქმე იმაშია, რომ მუნიციპალიზაციის საკითხი ახალი არ ყოფილა. იგი მენშევიკებმა ჯერ კიდევ რსდმპ IV ყრილობაზე (1906 წლის 10-15 აპრილი) დააყენეს. ისიც საგულისხმოა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ვ. ლენინმა სათავეშივე ამხილა მუნიციპალიზაციის მომხრეთა მცდარი შეხედულება. იგი მიუთითებდა რომ, „მუნიციპა-

---

[1] ჟურნ. „ახალი კვალი", 1918, № 7, გვ. 7-8.

[2] იქვე, გვ. 7.

[3] გაზ. „ჩვენი ბრძოლა". 1918 წ. 9 მარტი, № 2.

ლიზაციის ლოზუნგი ვერასოდეს ვერ გახდება რევოლუციური გლეხობის ლოზუნგად. თუ რევოლუციამ გაიმარჯვა,—მაშინ იგი ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეჩერდება მუნიციპალიზაციაზე. თუ რევოლუციამ ვერ გაიმარჯვა, — მაშინ „მუნიციპალიზაციიდან“ მხოლოდ 1861 წლის რეფორმის ტიპის მსგავსი გლეხთა ხელახალი მოტყუება გამოვა“ [1].

მენშევიკური პერიოდის მასალების შესწავლამ ნათლად დაადასტურა მუნიციპალიზაციის საკითხზე ვ. ი. ლენინის ბრძნული მითითების სისწორე. იგი ძირითადად იმით გამოიხატა, რომ მენშევიკებმა თავიანთი აგრარული პროგრამით, რომელსაც მხარს უჭერდნენ „ახალგაზრდა მარქსისტებიც“, ვერ შეძლეს მოეხდინათ საქართველოში ფეოდალიზმის გადმონაშთების სრული ლიკვიდაცია, რაც ძირითადად აგრარული საკითხის საბოლოოდ გადაუწყვეტლობაში მდგომარეობდა.

რამდენადაც მენშევიკებმა ვერ შეძლეს საქართველოში მუნიციპალიზაციის პროგრამის მიხედვით აგრარული საკითხის გადაწყვეტა, აქედან გამომდინარე, ისინი შეეცადნენ გაემართლებინათ ამ მიმართებით განცდილი მარცხი. სწორედ ამ საკითხს მიეძღვნა ცნობილი მენშევიკის ნ. ხომერიკის წიგნი — „აგრარული რეფორმა და ჩვენი სასოფლო მეურნეობა“. აღნიშნული ნაშრომის გამოქვეყნებისთანავე (1920 წ.) გაზეთ „ახალი კომუნისტის“ ფურცლებზე მაშინვე დაიბეჭდა პოლემიკური ხასიათის რეცენზია. გაზეთი არჩევს რა მენშევიკების მუნიციპალიზაციის თეორიას, დაწვრილებით განიხილავს მათივე აგრარული პროგრამის მარცხის ნ. ხომერიკისეული გამართლების მცდელობას. ამასთან ერთად, იგი ყურადღების მიღმა არ ტოვებს მენშევიკთა მიერ მუნიციპალიზაციის პროგრამის უარყოფის კურიოზულ ფაქტსაც.

ნ. ხომერიკის ნაშრომიდან მოტანილი შესაბამისი ციტატების მოშველიების შედეგად, გაზეთი დასძენდა, რომ „მიწის საკითხში, საქართველოსთანა ქვეყანაში, ისინი (მენშევიკები — შ. ვ.) პროგრამას „ქაღალდის ნაფლეთებად“ თვლიან და ამპარტავნულათ მიმართავენ მათ, ვისაც წინათ მუნიპალიზაციით ყურებს უჭედავდნენ და ახლა კი „საბრიყვო“ ჯარიმის გადახდევინების შემდეგ წარბშეუხრელად გაიძახიან, არც უნდა შეგვესრულებინა ჩვენი დაპირება. ჩვენი

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 10, გვ. 216.

პროგრამაო!... იმიტომ, რომ „ეს ეწინააღმდეგება ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობასა და ინტერესებსო". მუნიციპალიზაციით ჩვენ „მხოლოდ გავაბრაზებდით გლეხკაცობას და გადავკიდებდით ახალ წყობილებას, რაც მის დასამარებას გამოიწვევდაო" [1].

მენშევიკური მთავრობის მესვეურთა მიერ ოფიციალურად გამოცხადებული აგრარული პროგრამის გარშემო არსებული დებულებების უკან წაღების ფაქტი აშკარად მეტყველებს ქართველი მენშევიკური პარტიისა და მის ხელქვეით „ახალგზარდა მარქსისტთა" ორგანიზაციის მუნიციპალიზაციის აგრარული პროგრამის კრახზე.

რამდენადაც საქართველოში მმართველმა პარტიამ თავისი წვრილბურჟუაზიული პოლიტიკის წყალობით ვერ შესძლო აგრარული საკითხის გადაწყვეტა, ამან და სხვა მთელმა რიგმა გარემოებებმა მშრომელთა მასებში განაპირობა „მენშევიკური სოციალიზმისადმი" ნიჰილისტური დამოკიდებულება. უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ეტაპზე აუცილებელი შეიქმნა განემარტათ გლეხთა ფართო მასისათვის, თუ ვის ინტერესებს იცავდა მენშევიკური ხელისუფლება და შეეძლო თუ არა მას გაეუმჯობესებინა ჩაგრული ფენების სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა. ამისათვის კი აუცილებელი იყო „მენშევიკური სოციალიზმის" დაუყოვნებლივ მხილება. ამ საქმეში გადამწყვეტი სიტყვა ქართველმა ბოლშევიკებმა თქვეს. თუ როგორ ამხელდნენ ხალხის თვალში ქართველი კომუნისტები ადგილობრივ ხელისუფლებას, ამის დამადასტურებელია 1919 წელს ქალაქ თბილისის მუშებისა და ჯარისკაცების სახელზე გამოცემული პროკლამაცია. მასში ვკითხულობთ: „საქართველოს დღევანდელ (მენშევიკურ — შ. ვ.) მთავრობას არა თუ არაფერი საერთო არა აქვს სოციალიზმთან, რომლის სახელს იგი ჩირქს ცხებს, არამედ იგი ყოვლად ურცხვად ფეხქვეშ თელავს ყოველგვარი დემოკრატიზმის უმართლეს დებულებებსაც კი. და სანამ ასეთი მთავრობა იარსებებს, ნურავის იმედი ნუ ექნება, რომ მუშებისა და გლეხების ინტერესები ოდნავ მაინც უზრუნველყოფილი იქნებიან" [2].

ბოლშევიკთა ასეთმა შეუპოვარმა მამხილებელმა სააგიტაციო მუშაობამ, როგორც ჟურნალი „კომუნისტი" აღნიშნავს, მშრომელთა ფართო მასები დაარწმუნა, რომ „მენშევიკები მათ არაფერს არ მი-

---

[1] გაზ. „ახალი კომუნისტი", 1920 წ. 14 აგვისტო, № 17.

[2] საქ. სსრ ცსსა, ფ. 1863, აღწ. 1, საქ. 308, ფურც. 82.

სცემს. აქედან იწყება მენშევიკების გაკოტრება. როდესაც მათ სცილდება მშრომელი გლეხკაცობა და გადადის რევოლუციონური სოციალიზმის ბანაკში, ბოლშევიკების დროშის ქვეშ" [1].

უნდა აღინიშნოს, რომ მშრომელებისადმი ქართველი მენშევიკების მიერ შეპირებული რეფორმების სიყალბისა და მათი უსუსურობის მხილების საქმეში ქართველ ბოლშევიკებთან ერთად დიდი როლი შეასრულა საქართველოს კომუნისტურმა ახალგაზრდობამაც. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით იმ პერიოდის ბოლშევიკურ პრესაში ხშირად ქვეყნდებოდა კომკავშირის გამოჩენილ მოღვაწეთა წერილები. მათში მენშევიკური მთავრობის მიერ გატარებულ რეფორმებთან დაკავშირებით განხილული იყო საქართველოს მუშათა და გლეხთა დუხჭირი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტი. იმ უამრავი მასალიდან, რომელიც ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ მიერ იქნა შესწავლილი, ყურადღებას იქცევს გაზეთ „ახალ კომუნისტში" გამოქვეყნებული ორი სტატია: „საქართველოს ახალგაზრდა მუშების მდგომარეობის შესახებ" [2] და „ჩვენი მუშაობის უახლოესი ამოცანები" [3].

დასახელებულ სტატიებში იმ პერიოდის მშრომელი ახალგაზრდობის ცხოვრებიდან აღებული ცოცხალი მაგალითების მოშველიების საფუძველზე მენშევიკური მთავრობის კრიტიკასთან ერთად მოცემული და გარკვეული იყო კომკავშირის როლი და მნიშვნელობა მშრომელთა ეკონომიკური და უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლის საქმეში. იქვე კაპიტალისტური წყობილებისა და მენშევიკური მმართველობის პერიოდის მშრომელი ახალგაზრდობის სოციალურ-ეკონომიკური და უფლებრივი მდგომარეობის შედარებითი ანალიზის საფუძველზე გაკეთებულ კომენტარში გაზეთი სამართლიანად მიუთითებდა მშრომელთა „ზრუნვის" საქმეში კაპიტალიზმსა და მენშევიკების „სოციალისტურ მთავრობას" შორის არსებულ იგივეობაზე. აქედან გამომდინარე, მას მშრომელთა პირობების გასაუმჯობესებლად აუცილებლად მიაჩნდა რევოლუციური გზის გამოყენება.

---

[1] საქ. სსრ ცსსა. ფ. 1863, აღწ. 1, საქ. 308, ფურც. 59.
[2] გაზ. „ახალი კომუნისტი", 1920 წ. 4 ნოემბერი, № 85.
[3] გაზ. „ახალი კომუნისტი", 1920 წ. 9 ოქტომბერი, № 63.

საქმე იმაშია, რომ ამ მიმართულებით წარმატების მისაღწევად, პირველ რიგში, აუცილებელი იყო ორგანიზაციის განმტკიცებაზე ზრუნვა, რადგან ახალგაზრდობის კომუნისტურ ორგანიზაციას ბოლშევიკურ პარტიასთან ერთად უნდა მოეხდინა ახალგაზრდობის მჭიდრო შეკავშირება და მისი დარაზმვა ახალი სოციალისტური საზოგადოების დასამყარებლად. დასახული მიზნის მისაღწევად, მაშინდელი სინამდვილე მოითხოვდა, რომ ახალგაზრდობის თითოეულ წევრს კარგად ჰქონოდა შეგნებული „მენშევიკური სოციალიზმისა" და მათ მიერ მშრომელთა ინტერესების „დაცვის" თვალსაზრისით შემუშავებული დემაგოგიური განცხადებების ძირითადი არსი. სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში გაზეთ „ახალ კომუნისტს", როდესაც იგი საქართველოს კომუნისტურ ახალგაზრდობას მოაგონებდა, რომ „ჩვენი ორგანიზაციის ყოველ წევრს უნდა ჰქონდეს ნამდვილი წარმოდგენა ახალგაზრდა მუშათა და გლეხთა ეკონომიკურ, უფლებრივ და სხვა მდგომარეობაზე საქართველოში... ჩვენს შეძლება გავარკვიოთ მშრომელი ახალგაზრდობის მდგომარეობა და ვუხელმძღვანელოთ ბრძოლას იმ აუტანელი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, რომელშიაც.... იმყოფება მშრომელი ახალგაზრდობა"[1].

ამრიგად, ბოლშევიკური პარტიის მხარდამხარ მებრძოლმა საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტურმა კავშირმა ცხოვრების სინამდვილიდან აღებული მასალების მოშველიების საფუძველზე თეორიულად და პრაქტიკულად შეძლო ქართველი მშრომელი ახალგაზრდობისათვის მთელი სიგრძე-სიგანით ეჩვენებინა სოციალიზმის ნიღაბს ამოფარებული მენშევიკური მთავრობის რეალური სახე. აღნიშნულმა ფაქტორმა ხელი შეუწყო მენშევიკური პარტიისა და „ახალგაზრდა მარქსისტთა" აგრარულ საკითხთან და მშრომელთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის „გაუმჯობესებასთან" დაკავშირებული შეხედულებების მთელი სისტემის უვარგისობისა და უსუსურობის მხილებას. ცნობილი ფაქტია, რომ მენშევიკები პირველნი იყვნენ, რომლებსაც წილად ხვდათ ცხოვრებაში პრაქტიკულად გაეტარებინათ სოციალ-დემოკრატიზმის პროგრამა. მაგრამ მათი სოციალ-ეკონომიკური შეხედულებები, რომლებმაც სრული ასახვა აგრარული საკითხის პროგრამულ დებულებებში პოვა, გამოუსადეგარი აღ-

---

[1] გაზ. „ახალი კომუნისტი", 1920 წ. 9 ოქტომბერი, № 63.

მოჩნდა. ეს კი, როგორც ბ. გუბელიძე აღნიშნავს, მენშევიკების მიერ წამოყენებული მუნიციპალიზაციის მთელი იდეის უვარგისობის ნათელი დადასტურება იყო [1].

* * *

მას შემდეგ, რაც ქართველმა მენშევიკებმა ბოლშევიკებთან იდეოლოგიურ ბრძოლაში მარცხი იწვნიეს და ამასთან ერთად ეკონომიკურ სფეროშიაც გაკოტრდნენ, თავისი თავის გადარჩენის მიზნით ნავთსაყუდარის ძებნა დაიწყეს საბჭოთა რუსეთის მოწინააღმდეგე გარეშე ძალებთან. უნდა აღინიშნოს, რომ მენშევიკური მთავრობა ჯერ კიდევ ადრე, გერმანიაში ეძებდა მაშველ ძალას, ხოლო მისი დამარცხების შემდეგ ანტანტის იმპერიალისტურ სახელმწიფოებს მიეკედლა, და მათ სთხოვა დახმარება. მენშევიკური მთავრობის საგარეო პოლიტიკისადმი ბოლშევიკთა დამოკიდებულების საკითხში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) კავკასიის საოლქო კომიტეტის 1918 წლის 3 ივლისის პროკლამაცია. ამ დოკუმენტში ნათქვამია — იმ ძირითად მიზეზებზე, რამაც განაპირობა მენშევიკური მთავრობის მიერ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში მოკავშირის ძებნა. პროკლამაციაში ვკითხულობთ: „ქართველი მენშევიკების ლიდერებმა მიმართეს ბოლშევიკების წინააღმდეგ დახმარებისათვის ჯერ გერმანელ, შემდეგ ინგლისელ იმპერიალისტებს, იმის მიხედვით, თუ რომელი იმათგანი ამა თუ იმ ხანაში გამარჯვებული იყო. ახლა ისინი ამტკიცებენ, რომ საქართველოს და მთელი ამიერკავკასიის ხსნა მოითხოვს ინგლისის ჯარების დანარჩუნებას“[2].

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მენშევიკთა ამ მცდარ ნაბიჯთან დაკავშირებით ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანიზაციის ჟურნალი „მებრძოლთა ხმა“ სტატიაში — „რევოლუცია და ეროვნული საბჭოები“ მიუთითებდა, რომ „მენშევიკები წაჯექ-უკუჯექობის ტაქტიკის და ბეცი პოლიტიკის წარმოებას კვლავ განაგრძო-

---

[1] ბ. გ უ ბ ე ლ ი ძ ე, ქართული მენშევიზმის კრახი, თბ., 1978, გვ. 167.

[2] საქ. სსრ ცსსა, ფ. 1863, აღწ. 1, საქ. 7, ფურც. 1.

ბენ. რაც პირდაპირი დამღუპველია დღევანდელ საბედისწერო კრ-ტიკულ მომენტში“ [1].

მენშევიკური მთავრობის მცდარი საგარეო პოლიტიკისადმი ბოლშევიკთა და სოციალისტ-ფედერალისტთა ასეთი კრიტიკული დამოკიდებულების მიუხედავად, როგორც ცნობილია, ბოლშევიზმის შიშითა და მისი ძირფესვიანად აღმოფხვრის მიზნით მენშევიკური მთავრობის ლიდერებმა საქართველოში ჯერ გერმანიის (1918 წ.), ხოლო შემდეგ (1919—1920 წწ.) ინგლისის ჯარები შემოიყვანეს, მაგრამ მათმა მიარცველურმა მოქმედებამ მენშევიკური მთავრობის ზოგიერთ ხელმძღვანელთა გულისწყრომაც კი გამოიწვია. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ინტერესს იწვევს ნ. ჟორდანიას საუბარი ინგლისის ჯარების სარდალ გენერალ უოკერთან. „მოკავშირეების... მოსვლამდე. — აღნიშნავს ნ. ჟორდანია, — ჩვენ არავისთან ომი არ გვქონია და მტრები არსად არ გვყოლია... მოკავშირეების მოსვლის შემდეგ სურათი უეცრად შეიცვალა. ჩვენ განუწყვეტლივ ვომობთ... საზოგადოებრივი აზრი და ხალხი მომხდარ ამბებს უშუალოდ უკავშირებს ჩვენში მოკავშირეების მოსვლას და თავის მთავრობისაგან მოითხოვს ახსნა-განმარტებას ამ საკითხის გარშემო“ [2].

ეს განცხადება, მართალია, ერთგვარი შეფარვითი პოზიციებიდანაა გაკეთებული. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მასში აშკარად მოჩანს არა მარტო მენშევიკური მთავრობის, არამედ მთელი ქართველი ხალხის უკმაყოფილების გამოვლინების ფაქტი ინგლისის ჯარების მიმართ.

უნდა შევნიშნოთ, რომ საქართველოს მთავრობის მეთაურის უკმაყოფილების საკმაოდ მოკრძალებული ტონი ძირითადად იმით იყო განპირობებული, რომ მენშევიკები ინგლისის მთავრობისაგან ელოდნენ ფინანსურ და სამხედრო დახმარებას. ამის დამადასტურებელია მენშევიკთა და კაზაკთა კონფერენციაზე 1920 წლის მარტში ე. გეგეჭკორის მიერ გაკეთებული მოხსენების ტექსტის ერთი ადგილი, სადაც ის მიუთითებდა: „თქვენ იცით, რომ ჩვენ ვაწარმოებთ მოლაპარაკებას მოკავშირეებთან... ჩვენ მათგან დახმარებას ველოდებით, მაგრამ თუ ჩვენ რეალურ დახმარებას ვერ მივიღებთ, მაშინ ჩვენი

---

[1] ჟურნ. „მებრძოლთა ხმა“, 1918, № 17, გვ. 1.

[2] Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, Тиф. 1919, გვ. 484—487.

პოლიტიკა სულ სხვაგვარი იქნება და... ჩვენ იძულებულნი გავხდებით თავი შევიკავოთ ისეთი ნაბიჯებისაგან, რომელნიც მათთან (საბჭოთა ნაწილებთან) ბრძოლამდე მიგვიყვანს. დამეთანხმეთ, რომ დაყრდნობა მარტო საკუთარ ძალებზე ძნელია"[1].

საქმე იმაშია, რომ ინგლისის მთავრობისაგან დახმარების მომლოდინე მენშევიკებს, როგორც ცნობილია, იმედი გაუცრუვდათ. ამას ისიც დაერთო, რომ საერთაშორისო ასპარეზზე ძალთა განლაგება მკვეთრად შეიცვალა და იმპერიალისტური სახელმწიფოების მიერ საბჭოთა რუსეთის დასამხობად მოწყობილი ინტერვენცია დამარცხდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულმა ფაქტორებმა მენშევიკური მთავრობის საგარეო პოლიტიკა საბჭოთა რუსეთისადმი დამოკიდებულების საკითხში მკვეთრად შეცვალა. ამ ცვლილების ყველაზე დიდ პრაქტიკულ გამოვლინებას ადგილი ჰქონდა 1920 წლის 7 მაისს, როდესაც მენშევიკურ მთავრობასა და საბჭოთა რუსეთს შორის ხელმოწერილ იქნა სამშვიდობო ხელშეკრულება. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ აღნიშნული ხელშეკრულების ძირითადი მუხლები გამოაქვეყნა გაზეთმა „ახალმა სხივმა"[2]. როგორც ხელშეკრულების ტექსტიდან ირკვევა, მთელ რიგ საკითხებთან ერთად, იგი ბოლშევიკურ ორგანიზაციებსა და პრესას ლეგალიზაციის უფლებებს ანიჭებდა. ამასთან დაკავშირებით ხელშეკრულების სპეციალურ დამატებაში ვკითხულობთ: „საქართველო ვალდებულებას კისრულობს აღიაროს საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი კომუნისტური ორგანიზაციების თავისუფალი არსებობისა და მოქმედების უფლება, კერძოდ, კრებების თავისუფლად მოწყობის უფლება და თავისუფალი გამომცემლობის (მათ შორის ბეჭდვითი ორგანოების გამოცემის) უფლება"[3].

ამ დოკუმენტის საფუძველზე, არალეგარულ მდგომარეობაში მყოფ პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს ლეგალიზაციის შესაძლებლობა მიეცა. აღნიშნული ფაქტი, ერთის მხრივ, ხელს უწყობდა ბოლშევიკური ორგანიზაციის განმტკიცებისა და მისი

---

[1] ა. სურგულაძე, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება ამიერკავკასიაში (1917—1921 წწ.), II, თბ., 1961, გვ. 155.

[2] გაზ. „ახალი სხივი", 1920 წ. 16 მაისი, № 3.

[3] იქვე.

ბრძოლისუნარიანობის გაზრდას. მეორეს მხრივ, იგი შესაძლებლობას იძლეოდა მშვიდობიანი საშუალებებით ეწარმოებინათ რევოლუციური მუშაობა და ემხილებინათ წვრილბურჟუაზიული პარტიებისა და ორგანიზაციების მთელი საქმიანობა. ეს კი, რა თქმა უნდა, ხელს არ აძლევდა ნ. ჟორდანიას მთავრობას. ამიტომ იყო, რომ შეპირებულ ლეგალიზაციის პირობებს, როგორც პროფ. გ. ქვანია აღნიშნავს, მენშევიკური მთავრობა ყოველ ნაბიჯზე ურცხვად არღვევდა. მიუხედავად ამისა, დროებითი ლეგალიზაციაც კი საქართველოს კომკავშირმა მაქსიმალურად გამოიყენა[1], რაც ძირითადად საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის პირველი „ლეგალური" ყრილობის (1920 წლის 25 აგვისტო) მოწვევაში გამოიხატა.

უნდა შევნიშნოთ, რომ აღნიშნული ყრილობის შესახებ დაწვრილებითი მასალები გამოაქვეყნა გაზეთმა „ახალმა კომუნისტმა"[2]. მისი შესწავლიდან ირკვევა, რომ ყრილობამ დღის წესრიგში დასმულ საკითხთა შორის ერთ-ერთი განსაკუთრებული ადგილი დაუთმო იდეოლოგიური ბრძოლის საკითხებს. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ყრილობამ მშრომელი ახალგაზრდობის წინაშე საჯაროდ აღიარა ოქტომბრის რევოლუციის მიერ ნაჩვენები გზა და მშრომელ ახალგაზრდობას მოუწოდა ყველა ცრუ სოციალისტის წინააღმდეგ გაეძლიერებინათ შეურიგებელი იდეური ბრძოლა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში ნ. ცერცვაძემ ხაზგასმით მიუთითა: „ჩვენ იძულებული ვართ ვებრძოლოთ არა მარტო ბურჟუაზიას, არამედ „პროგრესისტებსაც", — მენშევიკებს, ესერებს და სხვებს, რომელნიც, როგორც „სოციალისტები" შესძრომიან მუშათა კლასს და ღრღნიან მის ორგანიზმს და სწოვენ მას სისხლს"[3].

უნდა აღინიშნოს, რომ ყრილობამ მენშევიკური იდეოლოგიის მხილებასთან ერთად კურსი აიღო სოციალისტური რევოლუციისაკენ და მშრომელ ახალგაზრდობას წინასწარი გაფრთხილების თვალსაზრისით მიმართა, რომ „შორს არ არის ის დღე, როცა ჩვენ დაგ-

---

[1] გ. ქ ვ ა ნ ი ა, საქართველოს კომკავშირის ისტორიის ნარკვევები, გვ. 53.

[2] გაზ. „ახალი კომუნისტი", 1920 წ. 28 აგვისტო, № 29; 29 აგვისტო, № 30; 7 სექტემბერი, № 37; 10 სექტემბერი, № 40; 17 სექტემბერი, № 45, 25 სექტემბერი, № 51.

[3] გაზ. „ახალი კომუნისტი", 1920 წ. 25 სექტემბერი, № 51.

ვჭირდება სხვა ქვეყნის კომუნისტებთან ერთად გამოსვლა არსებული წყობილების შესაცვლელად. მაშ, მოგიწოდებთ მჭიდრო კავშირისაკენ, ნაყოფიერ მზადებისაკენ და.... როცა ჩვენ მოგვიხდება საქართველოს მენშევიკურ რეჟიმთან იარაღით ხელში სამკვდრო-სასიცოცხლო ომი. აი ამ დროისათვის უნდა ამზადოთ მთელი საქართველოს ახალგაზრდობა"[1].

ჩვენ მიერ მოტანილი მასალებიდან აშკარად ჩანს, რომ იდეოლოგიური ბრძოლის გაძლიერებასთან ერთად საქართველოს კომკავშირი ყოველმხრივ ცდილობდა მისი ხელმძღვანელობით ქართველი ახალგაზრდობა მოახლოებულ მომავალ სოციალისტურ რევოლუციას სათანადოდ მომზადებული შეხვედროდა. სწორედ ესეც გახდა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ მენშევიკურ მთავრობას საქართველოს კომკავშირის ლეგალური საქმიანობა მიუღებლად ეცნო. რამდენადაც მენშევიკური მთავრობა ვერ შეეგუა საქართველოს კომკავშირის ლეგალიზმს, მისი აღკვეთის მიზნით მან ხელზე დაიხვია რა ყრილობის მიერ აღებული ანტიმენშევიკური კურსი, ამ მიზეზით, როგორც საყოველთაოდაა ცნობილი, საგანგებო რაზმის ზემოქმედების შედეგად, იძულებით შეწყვიტა კომკავშირელთა ყრილობის მუშაობა. ამ აქტმა საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციების საყოველთაო პროტესტები გამოიწვია[2]. მიუხედავად ამისა, მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით მენშევიკური პარტიისა და „ახალგაზრდა მარქსისტთა" ლიდერები ყოველმხრივ შეეცადნენ გაემართლებინათ თავიანთი მოქმედება. ამ მიზნით მათ გაზეთ „ერთობაში" კომკავშირის ყრილობის მონაწილის სახელით გამოქვეყნებულ სტატიაში — „მუშურ-გლეხური ახალგაზრდობა ანუ მატყუარა ხალხის ოინები" დაამახინჯეს რა აღნიშნულ ყრილობასთან დაკავშირებული მთელი რიგი ფაქტები, საქართველოს კომკავშირლები „ყაჩაღებად და ქურდებად" მონათლეს[3].

საქმე ის-აშია, რომ მენშევიკური პარტიის ცენტრალური ორგანოს მიერ ასეთი ცილისმწამებლური ნაბიჯი მიზნად ისახავდა კომკავშირული ორგანიზაციის გარშემო უარყოფითი საზოგადოებრივი აზრის

---

[1] გაზ. „ერთობა", 1920 წ. 31 აგვისტო, № 191.

[2] გაზ. „ახალი კომუნისტი", 1920 წ. 28 აგვისტო, № 29; 7 სექტემბერი, № 37, 25 სექტემბერი, № 51.

[3] გაზ. „ერთობა", 1920 წ. 6 სექტემბერი, № 197.

შექმნას. თუკი ამას მიაღწევდნენ. მაშინ, ბუნებრივია, კომკავშირის მიმართ გატარებული რეპრესიები მენშევიკურ მთავრობას ერთგვარ „ლოგიკურ გამართლებამდე“ მიიყვანდა. სწორედ ეს გარემოება ჰქონდა გათვალისწინებული საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ცენტრალურ კომიტეტს, როდესაც მან გაზეთ „ახალ კომუნისტში“ გამოქვეყნებულ სტატიაში — „პასუხი „დამსწრე“ პროვოკატორს“ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა გაზეთ „ერთობის“ მიერ ზემოთ აღნიშნული ბრალდებები და, რაც მთავარია, საზაკარაოზე გამოიტანა „დემოკრატიული საქართველოს“ მმართველ ხელისუფალთა მთელი ანტიპროლეტარული საქმიანობა. ამასთან ერთად, შეესაბამისი ფაქტების მოშველიებისა და მისი გაანალიზების საფუძველზე, მენშევიკთა ბრალდებების საპასუხოდ გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „ყრილობის მონაწილე კომკავშირლები „ყაჩაღები და ქურდები“ კი არ არიან. არამედ მოწინავე რევოლუციონერი ახალგაზრდობაა, რომელიც პირნათლად იცავს თავის კომუნისტურ დროშას და თავის მოქალაქეობრივ პატიოსნებას“ [1].

როგორც ირკვევა, საქართველოს კომკავშირის მიერ მენშევიკური მთავრობის მამხილებელი წერილების გამოქვეყნების მიუხედავად „ახალგაზრდა მარქსისტებმა“, რომლებმაც სახელმძღვანელო მითითებად მიიღეს მენშევიკური პარტიის ბაგანგებო კრების მიერ ჯერ კიდევ 1920 წლის ივნისში „ბოლშევიკების ლეგალიზაციის საფრთხის“ საკითხზე მიღებული დადგენილება [2], ახალგაზრდობის წვრილბურჟუაზიული და ბურჟუაზიული ფენების მხარდაჭერით იმავე წლის სექტემბრიდან მენშევიკურ მთავრობასთან ერთად კომკავშირული ორგანიზაციების მიმართ სასტიკი დევნა გააჩაღეს, რითაც საქართველოს კომკავშირის ცხოვრებაში დაიწყო უაღრესად მძიმე პერიოდი. თუ რა რეპრესიებს მიმართავდნენ საქართველოს კომკავშირის წინააღმდეგ, ამის შესახებ სრულ წარმოდგენას იძლევა იმ პერიოდის ბოლშევიკური პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალები. მასში მოცემული ფაქტები დამაჯერებლად ცხადყოფს „ახალგაზრდა მარქსისტთა“ მტრულ დამოკიდებულებას ბოლშევიკური ახალგაზრდობისადმი. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენი ყურადღება მიიქცია კომკავშირის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის პლენუმის (1920 წლის

---

[1] გაზ. „ახალი კომუნისტი“, 1920 წ. 10 სექტემბერი, № 40.

[2] გაზ. „ახალი კომუნისტი“, 1920 წ. 11 დეკემბერი, № 117.

24 ოქტომბერი) მუშაობის შესახებ გაზეთ „ახალ კომუნისტში“ გამოქვეყნებულმა მასალებმა. მასში მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად მითითებულია, რომ „მოწინააღმდეგე მიმართავს... უხეშ ძალას, ემუქრებიან პარტიულ წევრებს დაპატიმრებით, ხშირად აპატიმრებენ სრულიად უმიზეზოთ, რომ ისინი კომუნისტები არიან“ [1].

ამ საკითხთან დაკავშირებით გაზეთი „საქართველოს კომუნისტი“ სტატიაში — „კომუნისტური ახალგაზრდობა და საქართველოს მენშევიკური მთავრობა“ — კატეგორიულად სვამდა კითხვას: „აგვიხსნან, რითაა გამოწვეული ეს უმაგალითო რეპრესიები, ნუთუ არალეგალური მუშაობით, შეიარაღებული აჯანყების მომზადებით?“ [2].

ახალგაზრდა მენშევიკებმა, როგორც სათანადო მასალების შესწავლიდან ირკვევა, ამ შეკითხვას გვერდი აუარეს. ასეთი მოქმედება მათი პოზიციებიდან ლოგიკურად გამართლებულიც იყო, რადგან აღნიშნულ შეკითხვაზე პასუხს ერთხელ კიდევ შეეძლო სრულად გამოეაშკარავებინა მათი ანტისოციალისტური ბუნება. თუ რით იყო გამოწვეული და რას ითვალისწინებდა მიზნად კომკავშირისადმი მენშევიკთა რეპრესიები, ამ საკითხთან დაკავშირებით პროფ. ე. ყვანია. შენიშნავს, რომ „მენშევიკებმა რეპრესიების შედეგად შეძლეს ერთგვარი დაქსაქსულობის გამოწვევა კომკავშირის რიგებში“ [3]. ჩვენი აზრით, სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში გაზეთ „ახალ კომუნისტს“, როდესაც იგი გამოქვეყნებულ სტატიაში — „რა უნდა ვაკეთოთ?“ კატეგორიულად აყენებდა ახალგაზრდობაში შეჭრის, მათზე იდეური ზემოქმედების გაძლიერებისა და, რაც მთავარია, კომკავშირული ორგანიზაციის განმტკიცების აუცილებლობის საკითხს [4]. ამ მიმართულებით მუშაობის წარმართვის გაღრმავება განაპირობა მენშევიკთა მიერ ახალგაზრდობის რევოლუციური ორგანიზაციის განადგურების ზემოაღნიშნულმა მცდელობამ.

უნდა შევნიშნოთ, რომ საქართველოს კომკავშირის ყრილობის დარბევა და თვით კომკავშირელთა დევნა ფაქტობრივად მოასწავებდა საბჭოთა რუსეთთან მენშევიკური მთავრობის მიერ დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული მუხლების დარღვევას, რაც

---

[1] გაზ. „ახალი კომუნისტი“, 1920 წ. 28 ოქტომბერი, № 80.

[2] გაზ. „საქართველოს კომუნისტი“, 1920 წ. 11 ნოემბერი, № 91.

[3] ე. ყ ვ ა ნ ი ა. საქართველოს კომკავშირის ისტორიის ნარკვევები, გვ. 69.

[4] გაზ. „ახალი კომუნისტი“, 1920 წ. 3 დეკემბერი, № 110.

დაუყოვნებლივ იქნა მხილებული კომკავშირის ხელმძღვანელ მუშაკთა მიერ ბოლშევიკური პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებულ სტატიებში [1].

რამდენადაც ბოლშევიკური პრესა მენშევიკური პარტიის იდეური მხილების დასაყრდენ საშუალებას წარმოადგენდა, ამიტომ მენშევიკები ყოველნაირად დევნიდნენ ბოლშევიკურ პრესას, ხურავდნენ ლეგალურ ბოლშევიკურ გაზეთებს, არბევდნენ რედაქციებს, აპატიმრებდნენ მათს თანამშრომლებს [2].

ამ ღონისძიებებით მენშევიკებს სურდათ თავიანთი ხელისუფლება ეხსნათ სოციალისტური რევოლუციისაგან. დასახული მიზნის განსახორციელებლად ისინი მხარდაჭერასა და რჩევას მეორე ინტერნაციონალის საზღვარგარეთელი ლიდერებისაგან ელოდნენ. ამიტომ იყო, რომ 1920 წლის 14 სექტემბერს მენშევიკთა მოწვევით საქართველოში ჩამოვიდნენ მეორე ინტერნაციონალის მეთაურები: ა. ინგელსი, პ. რენოდელი, ა. მარკე, კ. ჰიუსმანსი, ე. ვანდერველდე, ლ. დებრიუკერი, ტ. შოუ, ე. სნოუდენი და სხვები [3]. ცოტა მოგვიანებით, 28 სექტემბერს, ამ ჯგუფს თვით კ. კაუცკიც შეუერთდა [4].

თუ რა ზარ-ზეიმით შეხვდა მენშევიკური მთავრობა მეორე ინტერნაციონალის ლიდერებს და რა პოზიცია დაიჭირეს ამ საკითხთან დაკავშირებით ქართველმა ბოლშევიკებმა, ეს კარგადაა ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურიდან და ამის შესახებ სიტყვას არ გავაგრძელებთ, ჩვენ მხოლოდ ყურადღებას გავამახვილებთ საქართველოს კომკავშირის დამოკიდებულებაზე აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით. როგორც მასალების შესწავლიდან ირკვევა, მეორე ინტერნაციონალის ლიდერთა მისიას საქართველოში სათანადო მამხილებელი წერილი მიუძღვნა საქართველოს კომკავშირულმა ორგანიზაციამ. იგი გაზეთმა „ახალმა კომუნისტმა“ გამოაქვეყნა სათაურით — „ყვითელი ინტერნაციონალის დელეგაციის და კარლ კაუცკის ჩამოსვლა“.

---

[1] გაზ. „ახალი კომუნისტი“, 1920 წ. 22 ოქტომბერი, № 75; 28 ოქტომბერი, № 80.

[2] საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1971, გვ. 467.

[3] გაზ. „ერთობა“, 1920 წ. 17 სექტემბერი, № 211; 18 სექტემბერი, № 212; 19 სექტემბერი, № 213.

[4] გაზ. „ერთობა“, 1920 წ. 29 სექტემბერი, № 220.

დასახელებულ სტატიაში დასმულია კითხვა იმის შესახებ, თუ რისთვის ჩამოვიდნენ მეორე ინტერნაციონალის ლიდერები საქართველოში და რას ისახავდნენ ისინი მიზნად. აღნიშნულ კითხვასთან დაკავშირებით გაზეთი იქვე იძლევა ამომწურავ პასუხს. მასში მითითებულია. რომ მეორე ინტერნაციონალის ლიდერებს „საქართველო უნდათ გახადონ იმ ბაზათ, საიდანაც უნდა ებრძოლონ ბოლშევიზმს, სოციალისტურ რევოლუციას და მის მეთაურ, მეჩირაღდნეს საბჭოთა რუსეთს. ისინი გამოგზავნა „გამარჯვებულმა“ ანტანტამ. რათა დაათვალიერონ თუ როგორ ასრულებენ საქართველოს მმართველნი იმპერიალიზმის მიერ ნაკარნახევ ბრძოლას ბოლშევიზმთან შიგნით და გამოსადეგია თუ არა საქართველო საბჭოთა რუსეთთან ბრძოლისათვის“[1].

უნდა შევნიშნოთ. რომ საქართველოში ყოფნის დროს მეორე ინტერნაციონალის ერთ-ერთმა ლიდერმა კ. კაუცკიმ „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის მეთაურებთან შეხვედრისას ანტისაბჭოურ ცილისმწამებლურ ბრალდებებთან ერთად კიდევ უფრო განავითარა თავისი ცნობილი ოპორტუნისტული შეხედულებანი. „ახალგაზრდა მარქსისტთა“ კითხვაზე — „წარმოადგენს თუ არა მარქსიზმი მთლიან მსოფლმხედველობას და თუ კი, როგორია მისი ფილოსოფიური სისტემა? თუ არ წარმოადგენს, მაშინ შეიძლება თუ არა შეერთება მარქსიზმისა სხვა რომელიმე ფილოსოფიურ სისტემასთან და კერძოდ მახიზმთან ანუ ემპირიოკრიტიციზმთან?“[2]— კ. კაუცკიმ შემდეგნაირად უპასუხა: „მარქსსა და ენგელსს, რასაკვირველია, ჰქონდათ დასრულებული მსოფლმხედველობა, მაგრამ მათ ვერ მოასწრეს მისი დასრულებული სახით გადმოცემა და დამუშავება. ამდენად მარქსიზმში შეიძლება ადგილი ქონდეს ძიებას ფილოსოფიის სფეროში. შეერთება მარქსიზმის სხვა ფილოსოფიურ სისტემასთან შეიძლება. მაგრამ აქ უნდა იყოს ერთი პირობა: მარქსიზმი, როგორც იდეოლოგია პროლეტარიატისა არ შეიძლება შეუერთდეს სხვადასხვა იდეალისტურ სისტემებს, მაგ. კანტის ტრანსცენდენტალურ ფილოსოფიის სისტემას. რაც შეეხება მარქსიზმის და მახიზმის შეერთებას — მე ამის შესაძლებლობის წინააღმდეგ ვერაფერს ვხედავ, რამდენადაც

---

[1] გაზ. „ახალი კომუნისტი“, 1920 წ. 9 ოქტომბერი, № 63.

[2] ჟურნ. „ახალი კვალი“, 1921, № 1, გვ. 9.

მე ვიცნობ ერთსაც და მეორესაც, — ამ შეერთებით არცერთი დაკარგავს რამეს და არც მეორე"[1].

ცნობილი ფაქტია, რომ „ახალგაზრდა მარქსისტები" ჯერ კიდევ 1918 წელს თავიანთი ჟურნალის „ახალი კვალის" ფურცლებზე გამოვიდნენ მტკიცებით, თითქოს მარქსმა და ენგელსმა ვერ მოასწრეს „პროლეტარული ფილოსოფიის გაშუქება და მხოლოდ რამდენიმე დებულება დაგვიტოვესო". ისიც საგულისხმოა, რომ აქვე მაი ემპირიოკრიტიციზმი მარქსიზმის დებულებად გამოაცხადეს[2].

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ ჩვენ წინაშე ისმება კითხვა იმის შესახებ, თუ ეს მართლა ასეა, მაშინ რატომ დასჭირდათ „ახალგაზრდა მარქსისტებს" მათ მიერ „ფილოსოფიურად დასაბუთებული" საკითხის გარშემო კ. კაუცკისადმი კითხვის დასმა? ამ საკითხთან დაკავშირებით პროფ. ლ. გორგილაძე სავსებით სამართლიანად მიუთითებს, რომ, როცა „ახალგაზრდა მარქსისტებმა" კ. კაუცკის აღნიშნული კითხვით მიმართეს, მათ უნდოდათ თავიანთი ფილოსოფიურ-რევიზიონისტულ შეხედულებათა „ავტორიტეტული" დადასტურება, რაც რენეგატმა კაუცკიმ ახალგაზრდა მარქსისტთა სასიხარულოდ, სიამოვნებით შეასრულა კიდევაც"[3].

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კ. კაუცკის მიერ „ახალგაზრდა მარქსისტთა" ზემოთ მოტანილ შეკითხვაზე გაცემული პასუხი თვით „ახალგაზრდა მარქსისტებმა" გამოიყენეს თავიანთი მცდარი იდეოლოგიური შეხედულებების გასამაგრებლად. მეორე ინტერნაციონალის ლიდერთა „ავტორიტეტულ" ოპორტუნისტულ განცხადებებზე დაყრდნობის მიუხედავად, მენშევიკური პარტიის მხარდამჭერ მებრძოლმა „ახალგაზრდა მარქსისტებმა" ვერ შეძლეს მშრომელი ახალგაზრდობის თვალში დაესაბუთებინათ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალიზმის მშენებლობის შეუძლებლობის საკითხი. ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ საქართველოს კომკავშირის მიერ „ახალგაზრდა მარქსისტთა" წინააღმდეგ იდეოლოგიურ ფრონტზე მიღწეულ წარმატებებში. იგი ძირითადად დაფუძნებული იყო მარქსისტულ-ლენინურ

---

[1] ჟურნ. „ახალი კვალი", 1921, № 1, გვ. 10.

[2] ლ. გ ო რ გ ი ლ ა ძ ე, იდეოლოგიური ბრძოლის ისტორიიდან საქართველოში, თბ., 1963. გვ. 186.

[3] ი ქ ვ ე.

მსოფლმხედველობაზე და ახალგაზრდა საბჭოთა სოციალისტური საბელმწიფოს სიცოცხლისუნარიანობაზე. სწორედ ამ უკანასკნელმა ფაქტორმა განსაკუთრებული როლი შეასრულა იდეოლოგიურ ფრონტზე საქართველოს კომკავშირის წინააღმდეგ მებრძოლ „ახალგაზრდა მარქსისტთა“ მენშევიკური ორგანიზაციის იდეურად გაკოტრების გარდუვალობაში. აღნიშნული ფაქტი ხელსაყრელ ნიადაგსა და პირობებს ქმნიდა იმისათვის, რათა კომკავშირის გარშემო გაერთიანებული მშრომელი ახალგაზრდობა მეტი აქტიურობით ჩაბმულიყო საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

§2. „ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა“ და „ეროვნულ-დემოკრატთა“ ორგანიზაციების ანტიპროლეტარული კონცეფციების კრიტიკა

საქართველოში არსებული ახალგაზრდობის წვრილბურჟუაზიული ორგანიზაციებიდან „ახალგაზრდა მარქსისტების“ შემდეგ ყურადღებას იქცევს „ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა“ ორგანიზაცია. უნდა შევნიშნოთ, ამ ორგანიზაციის წინააღმდეგ „სპარტაკის“ იდეური ბრძოლის ისტორიის ამსახველი, როგორც საარქივო, ასევე პრესის მასალები ძალზე მწირია. ეს განსაკუთრებით ითქმის კომკავშირული პრესის მიმართ. ჩვენ მიერ კომკავშირული პრესის გულმოდგინედ შესწავლის მიუხედავად, მასში „ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა“ ზოგიერთი შეხედულებისადმი საქართველოს „სპარტაკის“ ორგანიზაციების უმნიშვნელო კრიტიკული დამოკიდებულების გარდა, ვერ წავაწყდით სხვა რაიმე ხელჩასაჭიდ მნიშვნელოვან მასალას. ერთის მხრივ, აღნიშნული ორგანიზაციისადმი ნაკლები ყურადღება იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ „ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა“ ორგანიზაცია „ახალგაზრდა მარქსისტთა“ მენშევიკურ ორგანიზაციასთან შედარებით სუსტი იყო, რამაც განაპირობა საქართველოს კომკავშირის მიერ იდეოლოგიური ბრძოლის აქცენტის გადატანა მმართველი პარტიის რეზერვსა და დასაყრდენზე — „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციაზე. მეორეს მხრივ, „ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა“ ორგანიზაცია დაარსებიდანვე ოპოზიციაში ედგა „ახალგაზრდა მარქსისტებს“ და წვრილ-

ბურჟუაზიული პოზიციებიდან მთელ რიგ თეორიულ საკითხებში აკრიტიკებდა მას. რომ ეს ნამდვილად ასე იყო, ამის დასადასტურებლად გამოდგება თუნდაც პრესაში გამოქვეყნებული „ახალგაზრდა მარქსისტებისა“ და „ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტების“ მიერ 1918 — 1920 წლებში პროლეტარიატისა და სოციალ-დემოკრატიის, ისტორიული მატერიალიზმისა და მარქსიზმის თეორიულ-შემეცნებით საფუძვლებზე წაკითხული მოხსენებების გარშემო მოწყობილი საჯარო პაექრობის ამსახველი მასალები[1]. მისი საფუძვლიანი შესწავლიდან ირკვევა, რომ „ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა“ წარმომადგენლები თავიანთ გამოსვლებში ხშირად აღწევდნენ ემხილებინათ ახალგაზრდობის წინაშე „ახალგაზრდა მარქსისტთა“ მცდარი, მენშევიკური შეხედულებები. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ „ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა“ ასეთი კურსი უადვილებდა ახალგაზრდა ბოლშევიკებს მმართველი პარტიისა და მისი რეზერვის „ახალგაზრდა მარქსისტების“ მთელი ანტიპროლეტარული საქმიანობის გამოაშკარავებას. ჩვენი აზრით, სწორედ ზემოთ აღნიშნულ ფაქტორებში უნდა ვეძიოთ იმ მიზეზობრიობის ძირითადი საფუძველი, რამაც უდავოდ შეუწყო ხელი „ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა“ ორგანიზაციის შეხედულებების „სპარტაკელთა“ პრესის კრიტიკის ყურადღების მიღმა დარჩენას. წინააღმდეგ შემთხვევაში სხვაგვარად არ ხერხდება იმის ახსნა, თუ რით უნდა ყოფილიყო გამოწვეული „სპარტაკელთა“ შედარებით ნაკლები ყურადღება ამ ორგანიზაციის წვრილბურჟუაზიული იდეოლოგიისადმი. როგორც აღვნიშნეთ, მართალია იმ პერიოდის კომკავშირულ პრესაში ასახვა ვერ პოვა „ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა“ ორგანიზაციის ზოგიერთი შეცდომის კრიტიკამ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ ორგანიზაციის ისტორიისადმი ყურადღების გამახვილება, რადგან მხოლოდ მის ფონზე ხდება შესაძლებელი ამავე ორგანიზაციის ზოგიერთი მცდარი შეხედულების წარმოჩენა და მისადმი კრიტიკული დამოკიდებულება.

რაც შეეხება თვით ორგანიზაციას, იგი შეიქმნა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის უშუალო ხელმძღვანელობით 1917 წელს, თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ. კონ-

---

[1] ჟურნ. „ახალი კვალი“, 1918, № 9, გვ. 15; 1920, № 2, გვ. 14; № 3, გვ. 9; ჟურნ. „მებრძოლთა ხმა“, 1918, № 17, გვ. 1-2.

კრეტულად ამ ორგანიზაციის იურიდიული არსებობა დაკავშირებულია საქართველოს ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მოსწავლეთა პირველ კონფერენციასთან (1917 წლის ნოემბერი), რამაც საქართველოს მასშტაბით გააერთიანა ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტ მოსწავლეთა ორგანიზაციები და მას უწოდა „სრულიად საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მოსწავლეთა კავშირი". აღნიშნული კონფერენცია იმითაცაა საინტერესო, რომ მან მიიღო ამავე ორგანიზაციის წესდება, რითაც განისაზღვრა თვით ორგანიზაციის იდეური მიმართულება, ხასიათი და სტრუქტურა. წესდების ძალით ორგანიზაციის წევრად გახდომა შეეძლო ყველა იმ მოსწავლეს. რომელიც აღიარებდა სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის პროგრამის ძირითად მუხლებს, დაემორჩილებოდა პარტიისა და კავშირის დისციპლინას და გადაიხდიდა განსაზღვრული რაოდენობით საწევრო გადასახადს[1].

როგორც ვხედავთ, წესდების თანახმად ორგანიზაციის წევრად გახდომა მხოლოდ მოსწავლე ახალგაზრდობას შეეძლო. იგი ორგანიზაციაში შესასვლელ კარებს უხშობდა მუშა და გლეხ ახალგაზრდობას. ამიტომ იყო, რომ „ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა" ორგანიზაცია. თავისი სოციალური შემადგენლობით, როგორც საარქივო მასალებითაც დასტურდება, წმინდა ინტელიგენტური იყო[2]. მართალია, იგი თავიდანვე მხოლოდ მოსწავლეებს აერთიანებდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც საქართველოში გაიხსნა თბილისის უნივერსიტეტი (1918 წლის 26 იანვარი), მისი რიგები ცოტა მოგვიანებით შეავსო სტუდენტმა ახალგაზრდობამ.

უნდა შევნიშნოთ, რომ აღნიშნული ორგანიზაციის ისტორიისა და მისი მსოფლმხედველობის აღდგენა ნაწილობრივად მხოლოდ შესაძლებელი ხდება ამავე ორგანიზაციის ორგანოს ჟურნალ „მებრძოლთა ხმის" მეშვეობით (ჟურნალი დაარსდა 1917 წელს). როგორც ჟურნალის პირველ ნომერში გამოქვეყნებული საპროგრამო სტატიებიდან — „ჩვენი გზა", „მებრძოლთა ხმა და მოწაფეები", „ამხანა-

---

[1] ჟურნ. „მებრძოლთა ხმა", 1917, № 2, გვ. 11—12; 1918, № 19, გვ. 16.
[2] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 96, აღწ. 1, საქ. 17, ფურც. 137.

გებს". „სალამი ამხანაგებს" და სხვა[1], ირკვევა. იგი. პირველ რიგში, მიზნად ისახავდა პერიფერიებში არსებულ სასწავლებლებსა და მის გარეთ ახალი ორგანიზაციების დაარსებას და თავის გარშემო სკოლის გარეთ დარჩენილი ახალგაზრდობის მაქსიმალურ შეკავშირებას. ამით ჟურნალს სურდა პოლიტიკური თავისუფლების მოსაპოვებლად მოებდინა მთელი ქართველი ახალგაზრდობის მიზნისა და მოქმედების გაერთიანება. აქედან გამომდინარე, იგი ქართველ მოსწავლე ახალგაზრდობას მოუწოდებდა: „დაე საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის მქუხარე ბრძოლის ყიჟინა ისე ძალოვნად გაისმას, რომ მან შესძრას ბჭენი იმ ციხისანი, სადაც საქართველოს პოლიტიკური იდეა ცხრაკლიტულში გამომწყვდეული მონობის მძიმე ხუნდებითაა შებორკილი"[2].

მოტანილი ციტატიდან ნათლად ჩანს, რომ ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტები მიისწრაფოდნენ საქართველოს სახელმწიფოებრიობის შექმნისა და მისი პოლიტიკური დამოუკიდებლობისაკენ, რომელიც მიაჩნდათ ერთადერთ გზად ერის თანასწორუფლებიანობის მოსაპოვებლად.

რაც შეეხება თვით ორგანიზაციის საერთო ზოგად მსოფლმხედველობას. იგი მოცემულია ჟურნალ „მებრძოლთა ხმაში" გამოქვეყნებულ „ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა" ერთ-ერთი ლიდერის ვ. კიკნაძის სტატიაში — „ჩვენი დროშა"[3]. მასში მოცემული დებულებები სრულ წარმოდგენას იძლევა ამ ორგანიზაციის საერთო მიზანდასახულობის შესახებ. ამ პროგრამულ წერილში წინა პლანზეა წამოწეული პოლიტიკური, ეკონომიკური და აგრარული მოთხოვნები. აქვე ავტორი ყურადღებას ამახვილებს სოციალიზმისათვის ბრძოლის საკითხზე, ეროვნული, ეკონომიკური, პოლიტიკური ჩაგვრის მოსპობასა და ეროვნული თავისუფლების მოპოვებაზე, პიროვნების თავისუფლების აუცილებლობაზე; აყენებს საკითხს ყოველგვარი სახელმწიფოებრივი მდგომარეობის მოსპობისა და მის ნანგრევებზე მუშებისა და გლეხების ერთობლივი ბრძოლის შედეგად სამართლიანი სახელმწიფოს აშენების აუცილებლობის შესახებ. იგი სოციალიზმის მშენებლობის საფუძველთა საფუძვლად მიწის სოციალიზა-

---

[1] ჟურნ. „მებრძოლთა ხმა", 1917, № 1, გვ. 10; 13; 14; 15.

[2] იქვე, გვ. 15.

[3] ჟურნ. „მებრძოლთა ხმა", 1917, № 1, გვ. 5—7.

ციას აკეთებს[1]. მას გადაუდებელ ამოცანად მიაჩნია მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესება — 8-საათიანი სამუშაო დღის დაწესება, ყველა ერის სრულუფლებიანობა. ავტორს საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკურ თავისუფლებად ავტონომია მიაჩნია, ხოლო ერთა ურთიერთსოლიდარული კავშირის განსამტკიცებლად — ფედერაცია. მისი აზრით, ფედერაცია თანასწორუფლებით აღჭურვილ ერთა თავისუფალი კავშირია.

თუკი ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტის აღნიშნულ პროგრამულ მოთხოვნებს ღრმად ჩავწვდებით და მას შევუდარებთ ფედერალისტთა პარტიის პროგრამას, რომელიც მათი ლიდერის ა. ჯორჯაძის თეორიული მსოფლმხედველობის საწყისებზეა დაფუძნებული, დავრწმუნდებით, რომ ზემოთ აღნიშნული მოთხოვნები ძირითადად ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტს ნასესხები აქვს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიიდან[2].

როგორც ვხედავთ, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიიდან „ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა" მიერ აღებულ პროგრამულ დებულებებში, რომლებიც შეიცავდნენ პოლიტიკური და ეკონომიკური ხასიათის მოთხოვნებს, შეინიშნებოდა სოციალიზმისაკენ მისწრაფება და მშრომელთა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ზრუნვა. უნდა შევნიშნოთ, რომ ამ მიმართულებით „ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა" ორგანიზაციის პროგრამაში მოცემული დებულებები დიამეტრულად ეწინააღმდეგება ამავე

---

[1] უნდა შევნიშნოთ, რომ აგრარულ საკითხში მიწის სოციალიზაციის თეორიის დამცველად გამოდიოდა სოციალისტ-რევოლუციონერები, ანუ ესერების წვრილბურჟუაზიული პარტია (1901 — 1922 წწ.), რომლის აგრარული მოთხოვნები სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის აგრარულ მოთხოვნათა იდენტური იყო.

[2] სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის პროგრამული დებულებების შესახებ დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია დაწვრილებით იხილოს შემდეგ ავტორთა შრომებში: უ. სიდამონიძე. ეროვნული საკითხის ისტორიოგრაფიიდან (1917 წ.). ქართული ისტორიოგრაფია, I, თბ., 1968, გვ. 301-315; გ. ჯანგველაძე, საქართველოს კომუნისტური პარტიის ბრძოლა ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიების იდეური და ორგანიზაციული განადგურებისათვის (1903 — 1923 წწ.), თბ., 1974, გვ. 320-327; ფ. ნადიბაიძე. ფილოსოფიური აზრის ძირითადი მიმდინარეობანი XX საუკუნის საქართველოში 1900—1921 წწ., თბ., 1980, გვ. 60—63; ა. ბენდიანიშვილი, ეროვნული საკითხი საქართველოში 1801—1921 წწ., თბ., 1980, გვ. 170-175.

ორგანიზაციის საწესდებო დებულებებს. ეს წინააღმდეგობა შემდეგში მდგომარეობს: როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, წესდება ორგანიზაციაში გაერთიანების უფლებას ართმევდა მშრომელ ახალგაზრდობას. თუკი ამ ორგანიზაციაში მშრომელი ახალგაზრდობის გაერთიანება მიზანშეწონილი არ იყო, შეეძლო კი ასეთ ორგანიზაციას ეზრუნა მშრომელი ახალგაზრდობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე? რა თქმა უნდა, არა. სხვა შემთხვევაში ისინი ორგანიზაციაში მშრომელი ახალგაზრდობის მიღების წინააღმდეგი არ იქნებოდნენ, პირიქით, დასვამდნენ საკითხს მასთან ორგანიზაციული თანამშრომლობის შესახებ. საქმე იმაშია, რომ „ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტებს" მშრომელი ახალგაზრდობის მდგომარეობის გაუმჯობესებისა და სოციალისტობის შესახებ მსჯელობა დასჭირდათ მხოლოდ თავიანთი წვრილბურჟუაზიული ბუნების შესანიღბავად. ამიტომ მათი სოციალიზმი ეს იყო წვრილბურჟუაზიული სოციალიზმი. ეხებოდა რა წვრილბურჟუაზიული სოციალიზმის საკითხებს, კ. მარქსი და ფ. ენგელსი კომუნისტური პარტიის მანიფესტში მიუთითებდნენ, რომ ასეთი სოციალისტები, „რომლებიც პროლეტარიატის მხარეს იჭერდნენ ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ბურჟუაზიული წყობილების თავიანთ კრიტიკაში ამ წყობილებას წვრილბურჟუაზიული და წვრილგლეხური საზომით უდგებოდნენ და მუშებს წვრილბურჟუაზიული თვალსაზრისით იცავდნენ"[1], სწორედ ასეთივე პოზიცია ეჭირა „ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა" ორგანიზაციასაც.

თუ რა უპირატესობას ანიჭებდა „ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტები" კაპიტალიზმთან შედარებით სოციალისტურ საზოგადოებას. ეს კარგად მოსჩანს ვ. ხმალაძის წერილიდან — „სოციალიზმის რაობა", რომელიც ჟურნალ „მებრძოლთა ხმამ" გამოაქვეყნა. აღნიშნულ წერილში ავტორი, მშრომელთა ინტერესებიდან გამომდინარე, ერთმანეთს უდარებს კაპიტალისტურ და სოციალისტურ საზოგადოებას. სათანადო მასალის მოშველიების შედეგად, იგი შედარებითი ანალიზის საფუძველზე უარყოფს კაპიტალისტურ წყობილებას მშრომელთათვის როგორც უსამართლოსა და არარაციონალურს და იქვე მიუთითებს, რომ კაპიტალიზმის „მაგივრად ჩვენ გვესახება ისეთი

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები სამ ტომად, ტ. 1, თბ., 1975, გვ. 155.

იდიალი საზოგადოებრივი წყობილებისა, სადაც ერთი მხრ-ით გონივრული ორგანიზაცია მეურნეობისა ხელს შეუწყობს საზოგადოებრივ სიმდიდრეთა წარმოების ზრდას და მეორეს მხრით. — შრომის პრინციპის გატარება-განაწილების სფეროში დააკმაყოფილებს ჩვენს ზნეობრივს და იურიდიულ შეგნებას, და მასთან ერთად მოსპობს დღევანდელ საზოგადოების შიგნით არსებულ... ანტაგონიზმს, — ეს საზოგადოებრივი იდიალი არის სოციალიზმი“ [1].

სოციალიზმის ასეთი აღიარების მიუხედავად. „ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა“ სოციალიზმი უტოპიური იყო და იგი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, წვრილბურჟუაზიულ ხასიათს ატარებდა. აღნიშნული ორგანიზაციის უტოპიზმი და წვრილბურჟუაზიული ხასიათი, ერთის მხრივ, იმაში გამოიხატა, რომ ისინი მათ მიერ დასმული პროგრამული დებულებების გადაჭრას სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მსგავსად დამფუძნებელი კრების მოწვევას უკავშირებდნენ [2]. მეორეს მხრივ, აგრარული საკითხის გადაწყვეტის სოციალისტ-ფედერალისტთა თეორია, კვალდაკვალ მისდევდა ესერების სოციალიზაციის პროგრამას, რომელიც თავიდანვე მცდარი იყო. აღნიშნულ დებულებას მეტი დამაჯერებლობა რომ მიეცეს, აუცილებლობას წარმოადგენს განხილული იქნეს საკითხი იმის შესახებ, თუ რა შინაარსი იყო ჩადებული სოციალიზაციის მცნებაში, როგორც მასალების შესწავლიდან ირკვევა, სოციალისტ-ფედერალისტების (და ესერების) აგრარული პროგრამა ძირითადად მოითხოვდა მემამულეთა მიწების კონფისკაციის საფუძველზე უსასყიდლოდ მიწათსარგებლობის გამთანაბრებლობას, მაგრამ არ ითვალისწინებდა გლეხთა ეკონომიკურად გათანაბრებასა და მიწის დასამუშავებლად მათდამი შესაბამისი სუფსიდიებისა და იარაღის მიწოდებას[3].

აკრიტიკებდა რა აღნიშნულ თეორიას „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანო ჟურნალი „ახალი კვალი“ სტატიაში — „აგრარული რეფორმის გარშემო“ მიუთითებდა, რომ „სოციალიზაცია ისეთ მიზანს ისახავს, რომლის ასასრულებლათ მას ძალა და საშუალება არა აქვს. მას უნდა სოფლად კაპიტალიზმის, დაქირავებული შრომის და ეკო-

---

[1] ჟურნ. „მებრძოლთა ხმა“, 1917, № 8, გვ. 4.
[2] ჟურნ. „მებრძოლთა ხმა“, 1917, № 3, გვ. 1—2; № 11, გვ. 7.
[3] ჟურნ. „ახალი კვალი“, 1918, № 7, გვ. 7.

ნომიერი უთანასწორობის მოსპობა, მაშინ, როდესაც მხოლოდ მიწებით სარგებლობის გათანასწორება ასეთ მიზანს ვერ მიაღწევს“ [1].

ეხებოდა რა მიწის სოციალიზაციის საკითხს, ვ. ი. ლენინი ნაშრომში „სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა რუსეთის 1905—1907 წლების პირველ რევოლუციაში“ მიუთითებდა, რომ „მიწის სოციალიზაცია, კი არ სპობს უთანასწორობას, არამედ იგი ანგრევს ფეოდალურ ურთიერთობებს და თანმიმდევრობით გზას უკაფავს სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის დამკვიდრებას“ [2]. მიუხედავად ამისა, სოციალისტ-ფედერალისტთა მიწის სოციალიზაციის პროგრამა მმართველი პარტიის — მენშევიკების მიერ წამოყენებულ მუნიციპალიზაციის პროგრამასთან [3] შედარებით, რომლის შესახებ დაწვრილებით წინა პარაგრაფში გვქონდა საუბარი, — უფრო რადიკალური იყო, მაგრამ, რამდენადაც სოციალიზაცია ხელს უწყობდა წვრილ მესაკუთრეობას და სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის განვითარებას, ამდენად არსებითად იგი ეწინააღმდეგებოდა ქვეყნის სოციალისტურად გარდაქმნას. ამას თვით სოციალისტ-ფედერალისტებიც გრძნობდნენ, ამიტომ ისინი სოციალიზაციის გამართლების მიზნით, აცხადებდნენ, რომ თითქოს აღნიშნული პროგრამის განხორციელება სოციალიზმისათვის საფუძველს მოამზადებდა, რასაც მათი აზრით, გარკვეული დრო დასჭირდებოდა. აქედან გამომდინარე, ისინი აცხადებდნენ, რომ „დღეს არის მხოლოდ გარდამავალი ხანა და ჩვენმა სახელმწიფომ უნდა შექმნას სოციალიზმის ელემენტები. სოციალიზმი მარტოოდენ საქართველოს ფარგლებში ვერ განხორციელდება, მაგრამ საქართველო მზად უნდა იყოს სოციალიზმის მისაღებად“ [4].

მას შემდეგ, რაც რუსეთში ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ გაიმარჯვა და ქვეყანაში განახორციელა სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური გარდაქმნები, „ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტებმა“ კარგად შენიშნეს, რომ ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს მიერ გატარებული რეფორმები ქართველ მუშა და გლეხ ახალგაზრდობას მისადმი სიმპათიით განაწყობდა. ამიტომ იყო, რომ მათ, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მსგავსად, გააძლიერეს

---

[1] ჟურნ. „ახალი კვალი“, 1918, № 7, გვ. 7.
[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 13, გვ. 190.
[3] ჟურნ. „ახალი კვალი“, 1918, № 7, გვ. 7.
[4] საქ. სსრ ცსსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 3, ფურც. 32—33.

ოპოზიციური ბრძოლა მენშევიკური პარტიის მიმართ და კატეგორიულად დააყენეს საკითხი მშრომელთა სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ოქტომბრის რევოლუციის საკითხებთან დაკავშირებით მენშევიზმთან დაპირისპირების შედეგად, ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტებმა ორგანიზაციის წინაშე დასვეს კითხვა იმის შესახებ, თუ რა პოზიცია დაეჭირათ მათ მენშევიკებისაგან განსხვავებით. ამ მეტად საინტერესო საკითხს უპასუხა ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტმა, პ. ჩხიკვაძემ ჟურნალ „მებრძოლთა ხმაში" გამოქვეყნებულ სტატიაში — „დღევანდელი მომენტი და ჩვენი მოვალეობა". მასში ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ჩვენ მთელის ჩვენის არსებით მაქსიმალისტები ვართ და თუმცა არსებობს ჩვენსა და ბოლშევიკებს შორის პრინციპიალური განსხვავება. მაგრამ როგორც ეკონომიკურ-სოციალურ სფეროში, ისე ეროვნულში ჩვენ უფრო ახლოს ვსდგევართ მათთან, ვიდრე მენშევიზმთან"[1]. იქვე ავტორი ორგანიზაციის სახელით დაპირებას იძლეოდა იმის შესახებ, რომ ორგანიზაცია სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიასთან ერთად თავის საკუთარ პოზიციას დაიცავდა. ორგანულ ნიადაგზე დადგებოდა და ომს გამოუცხადებდა მას, ვინც ხალხის, მშრომელი მასის წინააღმდეგ გაილაშქრებდა. ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტის ეს განცხადება ბოლოდ დაპირებად დარჩა. ცნობილი ფაქტია, რომ მენშევიკური მმართველობის პერიოდში სოციალისტ-ფედერალისტები, მართალია, მთელ რიგ საკითხებში აკრიტიკებდნენ მმართველ პარტიას, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინი უნებლიედ ერთმანეთისადმი მხარდამჭერის როლში გვევლინებოდნენ და მათი უკმაყოფილება მხოლოდ საგაზეთო პოლემიკას არ გასცდენია.

ამრიგად, ყოველივე ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე შეგვიძლია გავაკეთოთ მოკლე დასკვნა იმის შესახებ, რომ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მსგავსად „ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა" ორგანიზაციის მიერ წამოყენებული სოციალიზაციის პროგრამა მისი წვრილბურჟუაზიულობის მიუხედავად, მმართველი პარტის მუნიციპალიზაციის პროგრამასთან შედარებით პროგრესული იყო, რადგან იგი უფრო ახლოს იდგა გლეხთა ინტერესებთან, ვინემ მუ-

---

[1] ჟურნ. „მებრძოლთა ხმა", 1917, № 11, გვ. 7.

ნიციპალიზაცია. მეორეს მხრივ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სოლიზაცია მაქსიმალურად უწყობდა ხელს სოფლის მეურნეობაში ძველი ფეოდალური გადმონაშთების დამსხვრევასა და მისი კაპიტალისტური განვითარებით შეცვლას. რაც შეეხება საკითხს, სოციალიზმის მშენებლობისათვის მიწის სოციალიზაციის პროგრამის საფუძვლად დადებას, მისი წვრილბურჟუაზიულობის გამო იგი მარქსიზმ-ლენინიზმისათვის აშკარად მიუღებელი იყო. მიუხედავად ამისა, აღნიშნულ პროგრამას გააჩნდა ორი მხარე, დადებითი და უარყოფითი. ეხებოდა რა წვრილბურჟუაზიული პარტიებისადმი დამახასიათებელი ასეთი სახის პროგრამას, ვ. ი. ლენინი ნაშრომში — „რანი არიან „ხალხის მეგობრები" და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?" მიუთითებდა, რომ „წვრილბურჟუაზიული პროგრამის ეს ორი მხარე მკაცრად უნდა გავარჩიოთ ერთმანეთისაგან, უარვყოთ ამ თეორიების ყოველგვარი სოციალისტური ხასიათი, ვებრძოლოთ მათს რეაქციულ მხარეებს. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ მათი დემოკრატიული ნაწილი"[1].

ჩვენი აზრით, სწორედ ვ. ი. ლენინის აღნიშნული მითითებით უნდა ვიხელმძღვანელოთ. როდესაც ვეხებით ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა წვრილბურჟუაზიული ორგანიზაციის იდეურ მრწამსს, ვაკრიტიკებდეთ მის პროგრამაში არსებულ ანტიპროლეტარულ დებულებებს და, ამასთან ერთად, უნდა ვაღიარებდეთ იმ პროგრესულსა და წინგადადგმულ ნაბიჯს, რასაც სოციალისტ-ფედერალისტები თავგამოდებით იცავდნენ სხვა წვრილბურჟუაზიული ორგანიზაციებისაგან განსხვავებით.

მეორე ძირითადი საკითხი, რომელიც ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა პროგრამაში წინა პლანზე იყო წამოწეული, არის ეროვნული საკითხი. თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდა აღნიშნული ორგანიზაცია ეროვნულ საკითხს, ეს კარგად ჩანს ჟურნალ „მებრძოლთა ხმაში" გამოქვეყნებულ სტატიაში — „მოსწავლე-ახალგაზრდობას!". მასში დასმულია კითხვა იმის შესახებ, თუ რა იყო „ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა" ორგანიზაციის მიზანი. და იქვეა გაცემული პასუხი ამ კითხვაზე. ამასთან დაკავშირებით დასახელებულ სტატიაში ვკითხულობთ: „მიზანთა კლასიფიკაცია რომ

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 1, გვ. 340.

შოვახდინოთ, დავინახავთ, რომ მიზანია პირადული, ჯგუფობრივი და ეროვნული. ჩვენ უნდა პირველი ორი გამოვაცხადოთ მეორე ხარისხოვნათ, ხოლო მესამე მიზანი, ეროვნული დავისახოთ უმთავრეს საგნათ ჩვენი არსობისა და მის განხორციელებას შევალიოთ ჩვენი ძალღონე"[1]. იქვე სოციალიზმისათვის ბრძოლა დაკავშირებულია ეროვნული შევიწროების, ნაციონალიზმისა და შოვინიზმის მოსპობის აუცილებლობასთან.

უნდა შევნიშნოთ. რომ ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტები ეროვნული თავისუფლების მოპოვებას უკავშირებდნენ რევოლუციას, მაგრამ მათი აზრით, ეს რევოლუცია უნდა აღმოცენებულიყო ეროვნულ ნიადაგზე, ე. ი. მათივე სიტყვებით რომ ვთქვათ, უნდა მომხდარიყო რევოლუციის ნაციონალიზაცია. რომელიც საფუძველს მოამზადებდა ეროვნულ ნიადაგზე ერთიანი რევოლუციური ფრონტის შესაქმნელად[2].

„ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტების" აზრით, ეროვნულ ნიადაგზე ერთიანი რევოლუციური ფრონტის შექმნას უნდა გადაეწყვიტა ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის საკითხი. ინტერესს იწვევს ის გარემოება, რომ „ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტების" წინაშე მთელი პრინციპულობით დაისვა კითხვა იმის შესახებ, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ფორმა აღდგენილი სახელმწიფოს მართვა-გამგეობისა. ამ პრობლემას მათ წერილების მთელი სერია მიუძღვნეს, რომელიც ჟურნალ „მებრძოლთა ხმაში" იბეჭდებოდა. არსებული წერილებიდან ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს პ. ჩხიკვაძის სტატია „როგორი უნდა იყოს ფორმა სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობისა?". ამ საკითხთან დაკავშირებით ავტორი დაწვრილებით ეხება მეფისდროინდელი რუსეთის სახელმწიფოებრივ მმართველობას და მას მიიჩნევს ძალდატანებითად. აქედან გამომდინარე, იგი დასაბუთებულად უარყოფს ერთი პიროვნების (მეფის), მონარქის მმართველობის ფორმებს, რადგან იგი, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, ვერ აკმაყოფილებს ხალხის მოთხოვნებს, რამდენადაც ავტორი მიუღებლად თვლის მონარქიული მმართველობის ფორმებს, სავსებით სამართლიანად სვამს კითხვას იმის შესახებ, თუ როგორი უნდა ყოფილიყო მომავალი, ახალი სახელმწიფოებრივი

---

[1] ჟურნ. „მებრძოლთა ხმა", 1917, № 1, გვ. 1.

[2] ჟურნ. „მებრძოლთა ხმა", 1917, № 13, გვ. 2.

ნეს-წყობილება ანუ მმართველობა. ამასთან დაკავშირებით იგი მიუთითებს პოლიტიკურ პარტიათა შორის არსებულ აზრთა სხვადასხვაობაზე, რომლის სინთეზური ანალიზის საფუძველზე განიხილავს სახელმწიფოებრივი მართვის ფორმის სამ მიმართულებას, ესენია: 1. ცენტრალისტური, 2. სეპარაციული და 3. ფედერაციული დემოკრატიული რესპუბლიკა.

რაც შეეხება პირველ და მეორე საკითხებს, სახელმწიფოებრივი მმართველობის ამ ორ დასახელებულ ფორმას ავტორი კატეგორიულად უარყოფს იმ საბაბით, რომ მათ „არ შეუძლიათ განახორციელონ ის, რაც შეადგენს მიზანს კაცობრიობისას, პირველი მაქსიმუმამდე ზღუდავს პიროვნებას, ხოლო მეორე კი ხელს უწყობს ერთა შორის შუღლს და გავერანებამდე მიჰყავს კაცობრიობა"[1]. აქედან გამომდინარე, იგი სახელმწიფოებრივი მმართველობის იდეალურ ფორმად ფედერაციას მიიჩნევს. თუ როგორ აქვს წარმოდგენილი მას სახელმწიფოებრივი მმართველობის ფედერაციული ფორმა, ამის შესახებ ინტერესს მოკლებული არ იქნება, თუკი სიტყვა-სიტყვით მოვიტანთ მისსავე გამონათქვამს: „ჩვენ ვაღიარებთ ცენტრალისტურ სახელმწიფოს დაშლას დეცენტრებად და შემდეგ მათ ძმურს თავისუფალ კავშირს ფედერაციას, აქ ფედერაცია არ არის არც ცენტრალიზმი და არც დეცენტრალიზმი... არამედ სინთეზია, შეერთება ამ ორი უკიდურესობისა, რომელიც ერთი მხრივ მაქსიმუმამდე აბორციელებს პიროვნების და ერის უფლებებს და მეორე მხრივ ამყარებს სოლიდარულს განწყობილებას ერთა შორის... კაცობრიობას იხსნის მხოლოდ საკაცობრიო ფედერალიზმი, რომელიც საფლავს გაუთხრის დღევანდელ უსამართლობას და გზას გაუხსნის ერთა თავისუფალ შემოქმედებას" [2].

უნდა შევნიშნოთ, რომ „ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტებს", რომლებიც იცავდნენ საერთო სახელმწიფოს ფედერაციულ პრინციპებზე მოწყობის თეორიას და რუსეთის შემადგენლობაში საქართველოს ფედერაციულ-ავტონომიური უფლებებით შესვლის აუცილებლობას, ფედერაცია მიაჩნდათ სოციალიზმის მშენებლობი-

---

[1] ჟურნ. „მებრძოლთა ხმა", 1917, № 10, გვ. 6.

[2] იქვე.

სათვის ხელსაყრელი ნიადაგის შემზადების ერთადერთ საფუძველთა საფუძვლად [1].

მიუხედავად ამისა, ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანიზაციის გეგმა სახელმწიფოს ეროვნულ-ფედერაციულ საწყისებზე მოწყობის შესახებ სრულყოფილად დემოკრატიული არ იყო. იგი არ ითვალისწინებდა ამა თუ იმ სოციალური ფენის სახელმწიფოს შიგნით ერთიანი უფლებებით აღჭურვას, და ეს არცაა გასაკვირი, რადგან აღნიშნული ორგანიზაცია თავისი ბუნებით წვრილბურჟუაზიული იყო. ამიტომაც ვერ ამჩნევდნენ ისინი მოახლოებულ სოციალისტურ რევოლუციას და სახელმწიფოს ფედერაციულ პრინციპებზე აგებას მხოლოდ რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის მონაპოვართა საფუძველზე ითვალისწინებდნენ. მაგრამ მას შემდეგ, რაც რუსეთში გაიმარჯვა ოქტომბრის რევოლუციამ და მენშევიკებმა საქართველო რუსეთისაგან დამოუკიდებლად გამოაცხადეს, ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების საქმეში სოციალისტ-ფედერალისტებმა მენშევიკებთან საერთო ენა გამოძებნეს [2] და დაივიწყეს ერთ დროს მათ მიერ წამოყენებული რუსეთთან საქართველოს ფედერაციულ-ავტონომიური უფლებებით გაერთიანების საკითხი. ამასთან ერთად, ისინი ძირითადად იმავე ეროვნული პოლიტიკის გამტარებლის როლში მოგვევლინენ, რასაც მენშევიკური პარტიის მესვეურები ახორციელებდნენ. სწორედ ამან განაპირობა ის ფაქტი, რომ სოციალისტ-ფედერალისტთა დევიზად კვლავაც დარჩა ლოზუნგი — „ყველა ერი თავისთვის და ყველა ერი საერთო მიზნისაკენ“[3].

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის მიუხედავად, შეცდომა იქნება თუ ვიფიქრებთ, რომ თითქოს ამით ამოიწურა ამ ორ მიმდინარეობას შორის იდეური უთანხმოება. სათანადო სამეცნიერო ლიტერატურიდან და შესაბამისი მასალებიდან დასტურდება, რომ სოციალისტ-ფედერალისტებსა და მენშევიკებს შორის, მთელ რიგ პრინციპულ საკითხებში შეთანხმების მიუხედავად 1921 წლამდე ეროვნული საკითხი კვლავაც რჩებოდა საკამათო პრობლემად.

---

[1] ჟურნ. „მებრძოლთა ხმა“, 1917, № 3, გვ. 7.

[2] ა. ბ ე დ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი, ეროვნული საკითხი საქართველოში, თბ., 1980, გვ. 233.

[3] გ. ჯ ა ნ გ ვ ე ლ ა ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 325.

უნდა შევნიშნოთ, რომ ამ დისკუსიაში სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიამ აქტიურად ჩაება „ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა" ორგანიზაციის წევრები, რომლებიც „ახალგაზრდა მარქსისტებთან" და „ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატებთან" კამათის დროს ძირითადად იცავდნენ ეროვნულ საკითხთან დაკავშირებით სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მიერ წამოყენებულ დებულებებს [1].

ინტერესს იწვევს „ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა" ორგანიზაციაში მომხდარი გათიშვის ერთი ფაქტი. კერძოდ, 1919 წლის დასაწყისში ამ ორგანიზაციას გამოეყო ყველაზე „მემარცხენე" ე. წ. „მაშვრალთა" ჯგუფი [2]. საარქივო და პრესის მასალებიდან ჯერჯერობით გაურკვეველი რჩება, თუ რის საფუძველზე მოხდა ეს გათიშვა და რა იდეური მრწამსის მატარებელი იყო „ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა" ორგანიზაციიდან გამოყოფილი „მაშვრალთა" ჯგუფი. ამ საკითხის გარკვევაში ნაწილობრივ დახმარებას გვიწევს იმავე წელს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიაში მომხდარი ასეთივე გათიშვის მიზეზობრიობის ახსნა. ცნობილია, რომ 1919 წლის 14 იანვარს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიას გამოეყო ანარქისტული ჯგუფი (ალ. წერეთელი, სერ. გერსამია, ალ. იოსელიანი, გ. ქელბაქიანი და სხვ.), რომელმაც თავის თავს უწოდა „საქართველოს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა მაშვრალთა „პარტია" [3].

უნდა შევნიშნოთ, რომ 1919 წლის აპრილში გამართულმა ამავე პარტიის პირველმა კონფერენციამ პარტიას შეუცვალა პირვანდელი სახელწოდება და მას უწოდა „საქართველოს რევოლუციურ-სინდიკალისტ მაშვრალთა კავშირი" [4]. როგორც საყოველთაოდაა ცნობილი, აღნიშნული კავშირი ეწოდა ანარქისტული შეხედულებების პროპაგანდას. ამიტომ მისი გაიგივება 1921 წელს შექმნილი მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიასთან ყოვლად შეუძლებელია [5]. ასევე გაუმართლებელია ამავე პარტიის წარმოშობის სათავეების ძებნა „საქართველოს რევოლუციურ სინდიკალისტ-მაშვრალთა კავშირში".

---

[1] ჟურნ. „მებრძოლთა ხმა", 1917, № 5, გვ. 13; ჟურნ. „ახალი კვალი", 1918, № 9, გვ. 15.

[2] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 96, აღწ. 1, საქ. 17, ფურც. 137.

[3] გ. ჯ ა ნ გ ვ ე ლ ა ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 332.

[4] გაზ. „ახალი ნაკადი", 1919 წ. 15 ივნისი, № 30.

[5] გ. ჯ ა ნ გ ვ ე ლ ა ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 334.

რამდენადაც სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიიდან გამოყოფილი „მაშვრალთა“ ჯგუფი თავისი იდეური მიმართულებით ანარქისტული შეხედულებების მატარებელი იყო, უნდა ვიფიქროთ, რომ ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანიზაციიდან გამოსული ახალგაზრდობის „მაშვრალთა“ ჯგუფიც ანარქიზმს მისდევდა. ამას გვაფიქრებინებს სახელწოდებათა ურთიერთდამთხვევის ფაქტი და აღნიშნულ სახელწოდებათა შინაარსის იგივეობრიობა. თუკი ყოველივე ეს ასეა, მაშინ ისიც საფიქრებელია, რომ ეს გამოყოფა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიაში მომხდარი განხეთქილების შედეგი იყო.

რაც შეეხება ახალგაზრდა „მაშვრალთა“ ორგანიზაციას, მასალებიდან ირკვევა, რომ ამ ორგანიზაციას შექმნილი ჰქონდა „მოწაფეთა მთავარი კომიტეტი“, რომლის უშუალო ინიციატივით, 1919 წლის 23 თებერვალს გაიმართა ამ ორგანიზაციის წევრ-სტუდენტთა საერთო კრება. კრებამ აირჩია გამგეობა ხუთი კაცის შემადგენლობით (ი. კანდელაკი, ს. ურუშაძე, დ. ღამბაშიძე, პ. მუსერიძე, ნ. დგებუაძე) და დაავალა მას ამავე ორგანიზაციის წესდების შემუშავება[1]. სამწუხაროდ, მასალების მიუკვლევლობის შედეგად, ჯერჯერობით ვერ ხერხდება საკითხის გარკვევა იმის შესახებ, დამუშავდა თუ არა ორგანიზაციის წესდება და რა ბედი ეწია საბოლოოდ თვით ამ ორგანიზაციას. რაც შეეხება „მაშვრალთა“ პარტიას, როგორც ლიტერატურიდანაა ცნობილი, მას დიდხანს არ უარსებია საქართველოში. იგი 1919 წლის სექტემბერში ისევ შეუერთდა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიას, რაც იურიდიულად ამავე პარტიის მეოთხე კონფერენციამ გააფორმა[2]. უნდა ვიფიქროთ, რომ თავისი მფარველი პარტიის მოქმედების შესაბამისად ასეთივე ნაბიჯს გადადგამდა ახალგაზრდა „მაშვრალთა“ ორგანიზაციაც და შეუერთდებოდა ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანიზაციის რიგებს.

უნდა შევნიშნოთ, რომ „ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა“ ორგანიზაციის ხელმძღვანელთა ერთ-ერთ ძირითად ამოცანად ამ პერიოდისათვის გადაიქცა დაქსაქსულად მოქმედ მოსწავლეთა და სტუდენტთა ორგანიზაციების ერთმანეთთან გაერთიანების საკითხი. თუ რა მწვავედ იდგა ეს პრობლემა, ამას ადასტურებს სრულიად სა-

---

[1] გაზ. „ახალი ნაკადი“, 1919 წ. 2 მარტი, № 11.

[2] გ. ჯ ა ნ გ ვ ე ლ ა ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 334.

ქართველოს ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტ მოსწავლეთა მესამე თავისუფალი კონფერენციის (1919 წლის 24 აპრილი) მასალები. იმავე მასალებიდან ირკვევა, რომ „ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალ-ისტ" მოსწავლეთა ორგანიზაციებში 1919 წლისათვის გაერთიანებული იყო დაახლოებით 2500-მდე მოსწავლე[1]. მაგრამ კონფერენციის მასალებიდან არ ჩანს, თუ რა რაოდენობით წევრს აერთიანებდა „ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტ" სტუდენტთა ორგანიზაციები. როგორც ირკვევა მოსწავლეთა და სტუდენტთა ორგანიზაციები ერთმანეთისაგან იმდენად იყო მოწყვეტილი, რომ ეს საკითხი აღნიშნული კონფერენციის სპეციალური მსჯელობის გადაუდებელ საგნად იქცა. მავრამ დელეგატებს შორის აზრთა წინააღმდეგობის გამო, კონფერენციამ ვერ შეძლო მათი გაერთიანების საკითხის გადაწყვეტა და იძულებული გახდა მიღებულ დადგენილებაში მიეთითებინა მხოლოდ მოსწავლეთა და სტუდენტთა ორგანიზაციების ურთიერთდაახლოების აუცილებლობის შესახებ[2].

ასეთი წინააღმდეგობის მიუხედავად, „ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა" ორგანიზაცია საჭიროების შემთხვევაში, განსაკუთრებით კი, როცა საქმე ეხებოდა მენშევიკური მთავრობის მიერ გატარებულ უსამართლო ღონისძიებებს, მისი მხილების მიზნით ერთიან შეკავშირებულ ფორმებში გვევლინებოდა. თუ როგორ იმაღლებდა ხმას იგი მმართველი პარტიის მიერ გატარებული ამა თუ იმ უსამართლო აქტების წინააღმდეგ, ამის დამადასტურებელია 1920 წლის 7 მარტს უნივერსიტეტში შემდგარი „ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა" ინიციატივით მოწვეული სტუდენტთა საზოგადო კრების ამსახველი მასალები, რომლებიც გაზეთმა „სახალხო საქმემ" გამოაქვეყნა. როგორც აღნიშნული მასალებიდან ირკვევა, კრებაზე დიდი კამათი გამოუწვევია საკითხის დასმას, უსამართლოდ დაპატიმრებული სტუდენტი-ბოლშევიკების განთავისუფლების შესახებ. ისიც აღსანიშნავია, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით „ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტებს" დაუპირისპირდნენ „ახალგაზრდა მარქსისტები" და „ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატები". ეხებოდა რა აღნიშნულ საკითხს გაზეთი „სახალხო საქმე" სოციალისტუ-

---

[1] გაზ. „სახალხო საქმე", 1919 წ. 29 აპრილი, № 513.

[2] გაზ. „სახალხო საქმე", 1919 წ. 26 აპრილი, № 511; 29 აპრილი, № 513; 30 აპრილი, № 514.

ლად მიუთითებდა, რომ „ეს უდღეური და ნაძალადევათ შექმნილი ოპოზიციონერები დღევანდელ ბალღებივით წრიპინებდნენ თავიანთ სკამებზე და ყოვლათ უმსგავსო რეპლიკით საშუალებას არ აძლევდნენ მომხსენებელს მოხსენების გასაკეთებლად“ [1]. ოპოზიციის წინააღმდეგობის მიუხედავად, აღნიშნულ საკითხზე. კრებამ მიიღო „ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა“ ორგანიზაციის მიერ შემუშავებული რეზოლუცია. მასში მთავრობის მისამართით გარკვევითაა მითითებული, რომ ბოლშევიკებს „დღემდე არავითარი ბრალდება არ აქვთ წაყენებული და არც იციან თუ რაში სდებენ ბრალს. ამიტომ ჩვენ მოვალეობას შეადგენს ვიშუამდგომლოთ მთავრობის წინაშე. რათა მათ წაუყენონ ბრალდება და გაასამართლონ ან გაათავისუფლონ“[2].

როგორც ვხედავთ, „ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა“ ორგანიზაციაში ამ ეტაპზე მომწიფებული იყო აზრი ბოლშევიკებისადმი კეთილგანწყობის შესახებ, რამაც კიდევ უფრო გამოკვეთილი სახე მიიღო 1920 წლის 23 ივნისს ქუთაისში გამართულ „ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა“ ორგანიზაციის მეოთხე თავისუფალ კონფერენციაზე[3].

„ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა“ ორგანიზაციის ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარდატეხის მოვლენად უნდა ჩაითვალოს ამავე ორგანიზაციის დამფუძნებელი ყრილობა (1920 წ. 26 დეკემბერი), რომელმაც ერთმანეთთან გააერთიანა ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტ მოსწავლეთა და სტუდენტთა ორგანიზაციები. შეიმუშავა მისი მოქმედების სქემა და თვით ახლად გაერთიანებულ ორგანიზაციას მისცა სათანადო დირექტივები. ყრილობამ აირჩია გაერთიანებული სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანიზაციის კავშირის გამგეობა შ. ასათიანის, გ. კიკნაძის, შ. კიკნაძის, დ. გელოვანის, პ. ბეშკენაძის, ს. ამაღლობელის, ი. სვანიძის, ა. ნიჟარაძის, ბ. ჟღენტისა და სხვათა შემადგენლობით.

აღნიშნული ყრილობისადმი ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება იმან განაპირობა, რომ ყრილობაზე მომენტისა და ტაქტიკის შესახებ შ. ასათიანის მიერ წაკითხულ მოხსენებაში აშკარად შეიმჩნეო-

---

[1] გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ. 30 ივნისი, № 863.
[2] გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ. 12 მარტი, № 776.
[3] გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ. 30 ივნისი, № 863.

და მენშევიკური მთავრობის როგორც საშინაო. ისე მისი საგარეო პოლიტიკისადმი კრიტიკული დამოკიდებულება. და რაც მთავარია, ამ ყრილობაზე პირველად გამოვლინდა „ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა" ორგანიზაციის შიგნით მემარცხენედ განწყობილი ჯგუფის არსებობა, რომლის სახელით ყრილობაზე მოხსენებით გ. მუშიშვილი გამოვიდა[1]. უნდა შევნიშნოთ. რომ „ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა" ორგანიზაციაში აღნიშნულ ყრილობაზე გამოვლენილმა მემარცხენე ჯგუფის წევრებმა, საბჭოთა ხელისუფლებისადმი მხარდაჭერის სურვილის საჯაროდ გამოხატვით, საფუძველი დაუდეს შემდგომში ახალგაზრდა მემარცხენე სოციალის-ფედერალისტთა ორგანიზაციის შექმნის საკითხს, რომელიც მხოლოდ ყრილობიდან ორი თვის შემდეგ. კერძოდ. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წლებში განხორციელდა.

რაც შეეხება საქართველოში სოციალისტური რევოლუციის მოახლოვების ეტაპზე, „ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა" ორგანიზაციის დამოკიდებულებას მენშევიკური მთავრობისადმი, იგი მკვეთრად შეიცვალა. ეს ცვლილება ჩვენი აზრით, ერთის მხრივ, ძირითადად გამოწვეული იყო მმართველი პარტიის მიერ აგრარული საკითხის გარშემო დაშვებული შეცდომებით, ხოლო მეორეს მხრივ, დამფუძნებელ კრებაში დემოკრატიული პრინციპების იგნორირებით. განსაკუთრებით ამ ბოლო საკითხის მიმართ მენშევიკების გულგრილი დამოკიდებულების ფაქტი ძალზე მწვავედ აღიქვა ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტებმა, რაც ძირითადად თვით ამ ორგანიზაციის 1921 წლის 2 თებერვლის საპროტესტო დემონსტრაციაში გამოვლინდა. როგორც მასალებიდან ირკვევა, აღნიშნული დემონსტრაციის საბაბი გახდა ქალაქის თავის დეპუტატ ბ. ჩხიკვიშვილის მიერ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერის შ. ნუცუბიძისადმი მიყენებული შეურაცხყოფა. ეხებოდა რა აღნიშნულ საკითხს გაზეთი „ახალი სხივი" სტატიაში — „საპროტესტო დემონსტრაცია" მიუთითებდა, რომ „ეს პირველი საპროტესტო დემონსტრაციაა რევოლუციის შემდეგ (რაც ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტებმა მოაწყვეს — შ. ვ.). ეტყობა, რომ მმართველთა წრის ზოგიერთ გათამამებულ წევრთა საქციელს ერთობ შეულახავს საზოგადოების

[1]გაზ. „სახალხო საქმე", 1921 წ. 14 იანვარი, № 1027.

სინდისი და ამ საზოგადოების ყველაზე უფრო სათუთი და მგრძნობიარე ნაწილი — მოსწავლე ახალგაზრდობა — ქუჩაში გამოდის საპროტესტოდ.

მეორე მხრივ, ეს საპროტესტო დემონსტრაცია მაჩვენებელია იმისა, რომ საზოგადოება სრულის ნდობით არ ეპყრობა დამფუძნებელი კრების უმრავლესობის ყოველ ნაბიჯს... აქ დამფუძნებელი კრების ღირსების საკითხია დასმული და ამ საკითხის გადაჭრაზეა დამოკიდებული ხალხის უზენაესი ორგანოს ნორმალური მუშაობაც. თუ დეპუტატი არ არის თავისუფალი სიტყვის წარმოთქმის დროს... და მას არა აქვს ხელშეუხებლობის გარანტია, მაშინ დამფუძნებელი კრების მუშაობა არარად იქცევა"[1].

მოტანილი ციტატა აშკარად მიუთითებს, ადრეული დაპირებების მიუხედავად, თუ როგორ თელავდა ფეხქვეშ მენშევიკური პარტია დემოკრატიული პრინციპების ელემენტარულ ფორმებს, რითაც იგი მ-ს წინააღმდეგ იმხედრებდა თვით წვრილბურჟუაზიულ პარტიებსა და ორგანიზაციებს. მმართველი პარტიისადმი და მისი ინიციატივით შექმნილი დამფუძნებელი კრებისადმი ასეთი კრიტიკული დამოკიდებულება, თვალნათლივ ადასტურებს აგრეთვე მენშევიკური პარტიის ავტორიტეტისა და ამ პარტიისადმი რწმენის დაკარგვას იმ წვრილბურჟუაზიულ პარტიებსა და ორგანიზაციებში, რომლებიც ერთ დროს დიდ იმედებს ამყარებდნენ მასზე. ყოველივე ეს გამომდინარეობდა იმ დიდი ეკონომიკური კატასტროფიდან, რამაც საქართველოს „დამოუკიდებელი რესპუბლიკა" მენშევიკური მთავრობის თვითდაჯერებულმა, უგუნურმა საშინაო და საგარეო პოლიტიკამ მიიყვანა.

ამრიგად, ზემოაღნიშნულიდან ნათელია, რომ: 1. ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა ეკონომიკური მოთხოვნები და მათი სოციალიზაციის პროგრამა, რომელიც ძირითადად ნასესხები იყო სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიიდან, წვრილი ბურჟუაზიის ინტერესებს გამოხატავდა. ხოლო მისი სოციალიზმი შინაარსობრივად უტოპიური და წვრილბურჟუაზიული იყო, რომელსაც მოხერხებულად იყენებდნენ ახალგაზრდობის მოტყუების მიზნით თავიანთი გარეგნული სახის შესანიღბავად. 2. ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა პოლიტიკურმა შეხედულებებმა, განსაკუთრებით ჩამოყალი-

---

[1] გაზ. „ახალი სხივი", 1921 წ. 6 თებერვალი, № 6.

ბებული და დასრულებული სახე მათ მიერ წამოყენებულ ეროვნულ საკითხთან დაკავშირებით არსებულ პროგრამაში პოვა. აღნიშნული პროგრამა ძირითადად დამყარებული იყო „საერთო ეროვნულ ინტერესებზე" და გამორიცხავდა ყოველგვარ კლასობრივ ინტერესებს. რაც შეეხება მათ მიერ წამოყენებულ ავტონომია-ფედერაციის იდეას. თავისი ხასიათით არსებითად დემოკრატიული არ იყო, რადგან იგი არ ითვალისწინებდა სახელმწიფოს შიგნით არსებულ სოციალური ფენების ერთიანი უფლებებით აღჭურვას, და მეორეც, ისინი სახელმწიფოს ფედერაციულ პრინციპებზე აგებას მხოლოდ რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის მონაპოვართა საფუძველზე მიიჩნევდნენ. 3. ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტები, რომლებიც ცხარს უჭერდნენ მენშევიკური „დამოუკიდებელი" საქართველოს არსებობას, თავიანთი პრაქტიკული საქმიანობით. მათდა უნებლიედ ფაქტობრივად მივიდნენ საქართველოსათვის ფედერაციავტონომიის უარყოფამდე და მისი დამოუკიდებლობის აღიარებამდე. მენშევიზმის ზოგიერთი შეხედულების აღიარების მიუხედავად, ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტები დაუფარავად ამხელდნენ და აკრიტიკებდნენ მმართველი პარტიის როგორც საშინაო. ისე საგარეო პოლიტიკას. ეს კრიტიკა განსაკუთრებით გაძლიერდა მენშევიკების კრახისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების მოახლოვებასთან დაკავშირებით. რაც აშკარად მიგვანიშნებს ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა მსოფლმხედველობრივ ევოლუციაზე. მიუხედავად ამისა. ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა პროგრამაში უცვლელად რჩებოდა წვრილბურჟუაზიულ ნაციონალისტური შეხედულებები, რაც იმ ეტაპზე რეაქციულ ხასიათს ატარებდა. ამიტომ აღნიშნული ორგანიზაციის საქმიანობა მმართველი პარტიისადმი დაპირისპირების მიუხედავად არაპროგრესული იყო.

* * *

ახალგაზრდობის ანტიპროლეტარული ორგანიზაციების გვერდით განსაკუთრებულ ადგილს იჭერს „ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატთა" ორგანიზაცია. იგი თავისი ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მსოფლმხედველობით მკვეთრად განსხვავდება ზემოთ დასახელებულ ახალგაზრდათა სხვა ორგანიზაციებისაგან. მართალია, აღნიშნული ორგანიზაციის შესახებ განსახილველი საკითხები წყაროების განსაკუთრებულ სიმცირეს განიცდის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ შეძლებისდაგვარად წარმოვაჩენთ ამ ორგანიზაციის იმ ძირითად გა-

ნმასხვავებელ ნიშან-თვისებებს, რაც მას ახალგაზრდათა სხვა ორგანიზაციებისაგან განასხვავებს. რაც შეეხება აღნიშნული ორგანიზაციის შექმნის ზუსტ თარიღს, მასალების სიმცირის გამო მისი დადგენა არ ხერხდება. მიუხედავად ამისა, ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატთა ორგანიზაციის მთავარი კომიტეტის მიერ 1918 წელს გამოცემული ჟურნალი „ახალი ძალა" საფუძველს იძლევა ვივარაუდოთ, რომ ორგანიზაცია ჩამოყალიბდა 1917 წლის დასასრულსა და 1918 წლის დასაწყისში. დასახელებული ჟურნალიდან ირკვევა, რომ ამ ორგანიზაციას ჰქონდა წესდების პრინციპის საფუძველზე აგებული ინსტრუქცია, რომელშიც მოცემული იყო ორგანიზაციისა და მის წევრთა ძირითადი უფლება-მოვალეობანი[1].

რაც შეეხება „ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატთა" ორგანიზაციის პროგრამულ დებულებებს, იგი ძირითადად წმინდა ეროვნული საკითხით შემოიფარგლებოდა და მიზნად ისახავდა საქართველოს სრულ დამოუკიდებლობას ძველი ისტორიული საზღვრების ფარგლებში[2]. ისიც აღსანიშნავია, რომ დასახული ამოცანის განსახორციელებლად ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატები აუცილებლობად მიიჩნევდნენ სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების გარდაუვალობას. თუ როგორ უნდა წარმართულიყო ეკონომიკური განვითარების პროცესი, ამ საკითხთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატთა ერთ-ერთი ლიდერის ბ. გორდეზიანის საპროგრამო სტატია — „ჩვენი გზა". მასში ავტორი სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების ატრიბუტად მიიჩნევს ეროვნული ვაჭრობის გაძლიერების აუცილებლობას. იგი, უარყოფს რა უცხო კაპიტალისადმი დამოკიდებულებას, მიუთითებს, რომ „საქართველოს თავისუფლების განსამტკიცებლად აუცილებელია ეროვნული ვაჭრობა — მრეწველობის აყვავება და განვითარება... ეს... (უნდა მოხდეს — შ. ვ.) უთუოდ დემოკრატიულის გზით იმდენად, რამდენადაც ეს იქნება საჭირო სახელმწიფო მიზნების თვალთახედვით"[3].

ეს საკითხი ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატებში იმდენად პრობლემური აღმოჩნდა, რომ მისი ავკარგიანობის განხილვას მათ სტა-

---

[1] ჟურნ. „ახალი ძალა", 1918, № 1, გვ. 14.
[2] იქვე, გვ. 7.
[3] ჟურნ. „ახალი ძალა", 1918, № 2, გვ. 4.

ტიების მთელი სერია მიუძღვნეს, რომლებიც ჟურნალ „ახალი ძალის" ფურცლებზე გამოქვეყნდა. აღნიშნულ სტატიათა შორის თავისი პრობლემურობითა და გამოკვეთილი მიზნებით განსაკუთრებით გამოირჩევა ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატთა ერთ-ერთი ლიდერის ვახტანგ ზაალიშვილის სტატია — „ჩვენი მრწამსი". მასში იგი განსაკუთრებული გულმოდგინებით არჩევს ეროვნული და კლასობრივი ბრძოლის საკითხებს და მთელი პრინციპულობით უარყოფს კლასობრივს. აღიარებს ზეკლასობრივს, რითაც ფაქტობრივად იცავს ეროვნული ბურჟუაზიის ინტერესებს. ამის პარალელურად ავტორს მსჯელობა გადააქვს ერის ინტერესებიდან გამომდინარე მთელ რიგ საკითხებზე და მას არჩევს წმინდა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პოზიციებიდან. მისი აზრით, საქართველოს აყვავება დაკავშირებული იყო ორ ძირითად ჰეშმარიტებასთან: ეროვნული ვაჭრობა, მრეწველობის შექმნა-განვითარება და საქართველოს სუვერენული არსებობა. ყოველივე ეს, როგორც ავტორი აღნიშნავს, უნდა განხორციელებულიყო ეროვნული ბურჟუაზიის ბაზაზე, ეროვნული კაპიტალის შექმნა-დაგროვების საფუძველზე. ხოლო ისინი ვინც ეროვნული ბურჟუაზიის გაბატონების წინააღმდეგი გამოდიოდნენ, ამასთან დაკავშირებით სტატიაში მათ მიმართ გაფრთხილების თვალსაზრისით ყოველგვარი დაფარვის გარეშეა მითითებული: „მტრები ვართ და ვებრძვით იმათ, ვინც მტერია და ებრძვის ეროვნულ ბურჟუაზიას, ვინც წინააღმდეგია ეროვნული ბურჟუაზიისა"[1]. ამ განცხადებიდან აშკარად ირკვევა, რომ ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატები ოპოზიციაში ედგნენ „ახალგაზრდა მარქსისტებსა" და ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტებს. სწორედ ეს დაედო სარჩულად ამ ორგანიზაციებს შორის გაჩაღებულ პოლემიკას. ერთი კია, რომ სამივე ორგანიზაცია ქართველი ერისა და საქართველოსადმი გულშემატკივართა როლში გამოდიოდნენ. მაგრამ არც ერთ მათგანს, გარდა ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებისა, არც საქართველოსა და არც ქართველი ერის საკეთილდღეოდ თითქმის არც ერთი გაბედული ნაბიჯი არ გადაუდგამს. ისინი მხოლოდ ერთმანეთის დამამცირებელი მწვავე პოლემიკით კმაყოფილდებოდნენ. საკმარისი იყო „ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატებს" თავიანთი ბურჟუაზიული შეხედულებები გამოეთქვათ, რომ მათ მაშინვე დაპირისპირებოდა „ახალგაზრდა მარ-

---

[1] ჟურნ. „ახალი ძალა", 1918, № 1, გვ. 4.

ქსისტთა“ მენშევიკური ორგანიზაცია. ამის ნათელი დადასტურებაა „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ჟურნალ „ახალ კვალში“ გამოქვეყნებული სტატია — „პრესის მაგიერ“. მასში მოცემულია ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატთა ჟურნალ „ახალი ძალის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული სტატიების კრიტიკული მიმოხილვა. ზემოთ აღნიშნული სტატია ჩვენთვის იმითაა საინტერესო, რომ მასში დასაბუთებულადაა მხილებული ბურჟუაზიის პროგრესულობაზე ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატთა შეხედულებების მცდარობა. და რაც მთავარია, ბურჟუაზია ნაჩვენებია, როგორც რეაქციული ძალა. ამასთან ერთად, დაგმობილია მათი „ზეკლასობრივი თეორია“, რომლის პრინციპებიდან გამომდინარე, ისინი თავს ერის განუყრელი ინტერესების გამომხატველად აცხადებდნენ.

აღნიშნული სტატია ეხება რა ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატთა ზეკლასობრიობის მცდარი ლოზუნგის საკითხებს, მას სამართლიანად მიიჩნევს კლასობრივ ეგოიზმად და ჩვეულებრივ ბურჟუაზიულ ფანდად. აქედან გამომდინარე, იგი ბურჟუაზიული ინტერესების გამომხატველ პარტიებსა და ორგანიზაციებს ერთხელ კიდევ მოაგონებს, რომ ბურჟუაზია კი არ არის ერის ნამდვილი ინტერესების გამომხატველი, არამედ „დღეს ნამდვილი ეროვნული ინტერესების მატარებელი ჭეშმარიტად არის პროლეტარიატი, რომლის კლასობრივი ინტერესი მთლიანად ეთანხმება ერის ინტერესებს“[1].

„ახალგაზრდა მარქსისტთა“ აღნიშნული დებულება სავსებით სწორია. მაგრამ იცავდნენ კი ისინი ამ დებულებას მისი მოღვაწეობის პროცესში? რა თქმა უნდა არა. სიტყვა პროლეტარიატი „ახალგაზრდა მარქსისტებისათვის“ „ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატების“ წინააღმდეგ იდეურ ბრძოლაში წარმოადგენდა მხოლოდ შენიღბვის საშუალებას. რაც შეეხება საკითხს—იყო თუ არა მისაღები ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატებისათვის ის იდეური მიმართულება, რასაც სოციალ-დემოკრატიული პარტია ადგა, ამის შესახებ სრულ წარმოდგენას იძლევა ჟურნალ „ახალ ძალაში“ გამოქვეყნებული სტატია — „ახალი ძალა“[2]. მასში მოცემულია არა მარტო სოციალ-დემოკრატიული პარტიის კრიტიკა ამა თუ იმ სფეროში, არამედ „ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატთა“ ორგანიზაციის მსოფლმხედველობა.

---

[1] ჟურნ. „ახალი კვალი“, 1918, № 9, გვ. 6.
[2] ჟურნ. „ახალი ძალა“, 1918, № 1, გვ. 5—6.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ დასახელებულ სტატიაში იმ პერიოდის ქართული საზოგადოებრივი აზრი ძირითადად ორ მიმართულებადაა წარმოდგენილი — სოციალისტურად და არასოციალისტურად. უნდა შევნიშნოთ, რომ სოციალისტურ მიმდინარეობაში ნაგულისხმევია სოციალ-დემოკრატები, ხოლო არასოციალისტურში ეროვნულ-დემოკრატები. სტატია სწორედ ამ ორი სხვადასხვა მიმდინარეობის — შეხედულებების ურთიერთშეპირისპირების საფუძველზე ცდილობს ეროვნულ-დემოკრატთა ინტერესებიდან გამომდინარე შესაბამისი დასკვნების გამოტანას. იქვე სოციალ-დემოკრატების მთელი საქმიანობა გამოცხადებულია სახელმწიფოს დაშლისა და ნგრევის ხელშემწყობ საშუალებად. ამის მიზეზად იგი ძირითადად თვლის კლასობრივ ბაზაზე სახელმწიფოს მიერ გადატანილ განსაკუთრებულ აქცენტს. საქმე იმაშია, რომ აქ გატარებული აზრით საერთოდ უარყოფილია, როგორც კლასებად დაყოფის, ასევე კლასობრივი ბრძოლის პრინციპი და, რაც მთავარია, სახელმწიფოს შენარჩუნების განსაკუთრებულ ატრიბუტად მიჩნეულია კერძო საკუთრების დაცვის აუცილებლობა. ამ დებულებას ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატები იმით ამართლებდნენ, რომ თითქოს ისინი კერძო საკუთრების დაცვით ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ფორმას იცავდნენ. მათი აზრით, ქართველი ხალხის სულიერი მოძრაობის ტონის მიმცემი უნდა გამხდარიყო მხოლოდ ის მიმდინარეობა, რომელიც განსაკუთრებით ეროვნულობას იცავდა და ეროვნული სახელმწიფოებრიობის მშენებლობის ნიადაგზე იდგა. იმ გარემოებასაც უნდა გავუსვათ ხაზი, რომ თავისი მცდარი ბურჟუაზიული დებულებების გამართლების მიზნით დასახელებულ სტატიაში დამაჯერებლად და სამართლიანად იყო გაკრიტიკებული აგრარულ საკითხში როგორც სოციალიზაციის, ისე მუნიციპალიზაციის კანონ-პროექტები. მაგრამ ამასთან ერთად, მოცემული იყო ცდა კერძო საკუთრების ბურჟუაზიული პრინციპების დაცვის შესახებ.

ასეთი დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, როგორც საყოველთაოდაა ცნობილი, სოციალ-დემოკრატები და ეროვნულ-დემოკრატები საერთო გამოსავალს მაინც საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში ხედავდნენ. იმ მიზნით, რომ საქართველოში არ დაეშვათ რევოლუციური აღმავლობა და საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება, ისინი საბჭოთა რუსეთის სიძულვილით ხშირად შეუთანხმებლის შეთანხმებასაც კი ახერხებდნენ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მენშევიკუ-

რი საქართველოს „დამოუკიდებლობის“ შენარჩუნების მიზნით. „ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატები“ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მსგავსად, უმეტეს შემთხვევაში მენშევიკური მთავრობის მცდარი საშინაო და საგარეო პოლიტიკისადმი მხარდაჭერის როლში გვევლინებოდნენ. ეს რომ ნამდვილად ასე იყო, ამის დამადასტურელია 1919 წლის 2 ნოემბერს ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატთა ორგანიზაციის დასავლეთ საქართველოს სტუდენტთა და მოსწავლეთა მესამე ყრილობის მიერ მიღებული რეზოლუცია, რომელმაც ახალგაზრდობას მოუწოდა მხარი დაეჭირა მენშევიკური მთავრობისათვის. რადგან მათი აზრით, მენშევიკური მთავრობა. როგორც რეზოლუციაში აღნიშნული — „განსაკუთრებით უკეთესია ვიდრე უცხო და კარგი. უცხომ შეიძლება ჩვენი (საქართველოს — შ. ვ.) ძრეული ცხოვრება მოაწესრიგოს. მაგრამ ყველაფერს თავისთვის მოინდომებს. ჩვენი მთავრობა თუ ცუდია — სამაგიეროთ ყოველივე ცუდი მთავრობა დროებითია“[1].

აღნიშნული განცხადებით ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატები ერთის მხრივ. მხარდაჭერას უცხადებდნენ ნ. ჟორდანიას ხელისუფლებას. ხოლო მეორეს მხრივ, ახალგაზრდობაში ავტორიტეტის შენარჩუნებისა და განმტკიცების მიზნით ამ მხარდაჭერას დროებითად მიიჩნევდნენ. რადგან მათივე სიტყვებით რომ ვთქვათ. მენშევიკური მთავრობის მმართველობა საქართველოში დროებითი იყო. ასეთი განცხადება „ახალგაზრდა-ეროვნულ დემოკრატებს“ იმისათვის დასჭირდათ, რომ დაეიმედებინათ თავისი ორგანიზაციის წევრები იმაში. რომ ისტორიის გარკვეული დროის მონაკვეთში სოციალ-დემოკრატები პოლიტიკურ კატასტროფამდე მივიდოდნენ და ამით სახელმწიფო ხელისუფლებისაკენ ეროვნულ-დემოკრატებს გზა გაეხსნებოდათ.

მართალია, „ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატთა“ ორგანიზაცია მსხვილი მემამულური ბურჟუაზიის ინტერესების დამცველის როლში გამოდიოდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი რიგები შემადგენლობის მხრივ მეტად ჭრელი იყო. სწორედ ამ სიჭრელემ წარმოშვა აღნიშნულ ორგანიზაციაში ამა თუ იმ საკითხის გარშემო აზრთა სხვადასხვაობა, რასაც მოჰყვა ამ ორგანიზაციიდან 1918 წელს დამოუკი-

---

[1] გაზ. „საქართველო“, 1919 წ. 7 ნოემბერი, № 242.

დებულ-ეროვნული დემოკრატებისა და რადიკალ-დემოკრატების გამოყოფა. რომლებიც გაზეთ „კლდის“ გარშემო გაერთიანდნენ. როგორც ირკვევა, ამ გათიშვის ძირითადი მიზეზი იმაში გამოიხატა. რომ ეროვნულ-დემოკრატებმა ამ ეტაპზე ძირითადი აქცენტი ქალაქის ბურჟუაზიის ინტერესების დაცვაზე გადაიტანეს. მათგან განსხვავებით დამოუკიდებელმა ეროვნულ-დემოკრატებმა კი ყურადღება სოფლის მსხვილ მესაკუთრეთა ინტერესებზე გაამახვილეს [1].

უნდა შევნიშნოთ, რომ ზემოთ აღნიშნულ ორგანიზაციულ გათიშვას მოჰყვა ახალგაზრდა დამოუკიდებელ ეროვნულ-დემოკრატთა სტუდენტთა ორგანიზაციის შექმნა, რომელიც იურიდიულად გააფორმა 1918 წლის 14 ნოემბერს თბილისის უნივერსიტეტში შემდგარმა ახალგაზრდა დამოუკიდებელ ეროვნულ-დემოკრატ სტუდენტთა კრებამ. აღნიშნული კრება ჩვენთვის იმითაცაა საყურადღებო, რომ ჯერ ერთი, მან აირჩია ახლად შექმნილი ორგანიზაციის დროებითი კომიტეტი — ი. ცხადაძის, ვ. ია შვილის, პ. ნემსაძის, ლ. მაჭავარიანის და პ. ქიქოძის შემადგენლობით. და მეორეც, მიღებული დადგენილებით აუცილებლად იქნა მიჩნეული დამოუკიდებელ ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატთა ორგანიზაციების შექმნა თბილისის სასწავლებლებში [2].

შესძლო თუ არა ამ მიმართულებით ორგანიზაციამ რაიმე პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმა. ამის გარკვევა სათანადო მასალების არარსებობის გამო ყოვლად შეუძლებელი ხდება. რაც შეეხება „ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატთა“ ორგანიზაციას, მისი მუშაობის შემდგომი წარმართვის საქმეზე უდიდესი ზეგავლენა მოახდინა 1919 წლის 16 ნოემბერს გამართულმა „ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატთა“ კონფერენციამ. აღნიშნული კონფერენცია იმითაა საყურადღებო, რომ მან მომენტისა და ტაქტიკის გარშემო გაკეთებული მოხსენების საფუძველზე მიღებულ რეზოლუციაში ერთხელ კიდევ დააკონკრეტა თავისი მოქმედების ძირითადი პროგრამა. ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღნიშნული რეზოლუციიდან სრული ტექსტის მოტანა. რადგან მასში გამოკვეთილად მოჩანს „ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატთა“ მთლიანი მსოფლმხედველობა. რეზოლუციაში ვკითხულობთ: „დღეს ერის ყოველი სასიცოცხლო ძალა მიმართული

---

[1] ჟურნ. „ახალი ძალა“, 1918, № 1, გვ. 9—14.
[2] გაზ. „კლდე“, 1918 წ. 17 ნოემბერი, № 10.

უნდა იყოს საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვისა და განმტკიცებისათვის: ამისათვის საჭიროა: 1. თვით ერის ძალების ორგანიზაცია, განსაკუთრებით ჯარის გაძლიერება. შინაურ წესწყობილების ნორმალურად მოწყობა. 2. მუშაობა ადგილზე და საზღვარგარეთ, რათა საქართველო ცნობილი იყოს სუვერენულ სახელმწიფოდ მის ისტორიულ საზღვრებში. 3. საჭიროა ძირშივე აღკვეთილი იყოს... მესამე ძალის ყოველი ცდა ჩვენ შინაურ საქმეებში ჩარევის და ყოველი ძალღონით... წინაღუდგეთ გარეშე მტრის შემოსევას. მიიღო რა ეს მხედველობაში, კონფერენცია გამოთქვამს სურვილს, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, რომლის სიტყვასაც ჯერ არა აქვს ერის პოლიტიკის წარმოებაში ჯეროვანი გასავალი დაეხმაროს მთავრობას აღმშენებლობით მუშაობაში ხოლო სასტიკად გალაშქროს მის მცდარ ნაბიჯების წინააღმდეგ... საქართველოს საგარეო თუ საშინაო მდგომარეობას პარტია უნდა მიუდგეს იმ მხრივ, თუ რამდენად მისაღებია იგი დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად"[1].

„ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატთა" კონფერენციაზე მიღებული რეზოლუციიდან მოტანილი აღნიშნული ამონაწერი აშკარად მიუთითებს, რომ გადამწყვეტ მომენტში თუკი საკითხი საქართველოს შეეხებოდა, ეროვნულ-დემოკრატები ძირითადად მმართველი პარტიის პლატფორმაზე იდგნენ, მაგრამ ზოგიერთ საკითხში, რომლის შესახებაც ზემოთაც გვქონდა მითითებული, თავიანთი ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მსოფლმხედველობის გამო, ისინი მენშევიკური პარტიის ოპოზიციურ ბლოკს ემხრობოდნენ, რითაც ცდილობდნენ დაეცვათ მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესები.

„ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატთა" ორგანიზაცია რამდენადაც თავიდანვე მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესებს გამოხატავდა, ყოვლად შეუძლებელია მენშევიკური მმართველობის უკანასკნელ წლებში შეცვლილიყო მისი იდეური მიმართულება. ამას თუნდაც ისიც გვაფიქრებინებს, რომ ეროვნულ-დემოკრატთა პარტია საქართველოში ბოლომდე დარჩა მსხვილი ბურჟუაზიის მეხოტბედ.

ამრიგად, საქართველოში მოქმედმა „ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატთა" ორგანიზაციამ, რომელიც ძირითადად იზიარებდა და მიჰყვებოდა ეროვნულ-დემოკრატთა პარტიის პროგრამულ ხაზს,

---

[1] გაზ. „საქართველო", 1919 წ. 24 თებერვალი, № 129.

თავისი ბურჟუაზ-ულ-ნაციონალისტური შეხედულებებისა და მშრომელთა ინტერესების იგნორირების გამო, მშრომელი ახალგაზრდობის ფართო მასებში ვერ შესძლო სრული ავტორიტეტისა და ნდობის მოპოვება, რის გამოც აღნიშნული ორგანიზაცია, სხვა მთელ რიგ ანტიპროლეტარულ ორგანიზაციებთან ერთად სრული გაკოტრების გზას დაადგა. ეს პროცესი კიდევ უფრო დააჩქარა საქართველოში ახალგაზრდობის რევოლუციურმა აღმავლობამ და პროლეტარული რევოლუციის მოახლოვებამ.

თავი II

„ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის იდეური და ორგანიზაციული კრახი საქართველოში სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის ბრძოლის წლებში (1921 — 1925 წწ.)

§1. კომკავშირის მიერ „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ანტისაბჭოური და ნაციონალისტური საქმიანობის მხილება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველ წლებში

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ საქართველოში, რომელიც უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენას წარმოადგენდა, ქართველი კომუნისტების წინაშე დააყენა მრავალი პრობლემური საკითხი. როგორც ცნობილია, ამ ეტაპზე მრავალთაგან ერთ-ერთ ძირითად ამოცანად გადაიქცა კონტრრევოლუციური პარტიების ბატონობის შედეგად საქართველოში შექმნილი სახალხო მეურნეობისა და მისი ეკონომიკის კატასტროფული მემკვიდრეობის დაძლევის აუცილებლობა. დასმული ამოცანის წარმატებით გადაწყვეტა სხვა ღონისძიებებთან ერთად მოითხოვდა საკითხის გარკვევას იმის შესახებ, თუ რა პოზიციას დაიჭერდნენ დამარცხებული წვრილბურჟუაზიული პარტიები და ორგანიზაციები საბჭოთა სახელმწიფოს მიერ გატარებული ზომებისადმი.

უნდა შევნიშნოთ, რომ დღეს ქართულ ისტორიოგრაფიაში საკმაოდ ღრმადაა შესწავლილი საბჭოთა ღონისძიებებისადმი ანტიპროლეტარული პარტიების პოზიცია და მათ წინააღმდეგ საქართველოს კომუნისტური პარტიის იდეური ბრძოლა. მაგრამ მეცნიერულად შეუსწავლელია პარტიის მხარდამხარ მებრძოლი საქართველოს კომკავშირის დამოკიდებულებისა და ბრძოლის საკითხი ახალგაზრდობის წვრილბურჟუაზიული ორგანიზაციებისადმი.

რამდენადაც არსებული საკითხი ამ კუთხით შეუსწავლელია, სათანადო წყაროებზე დაყრდნობით შევეცდებით მის წარმოჩენას. ამასთან ერთად, აუცილებლობად მიგვაჩნია, პირველ რიგში, შევეხოთ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველ წლებში წვრილბურჟუაზიული პარტიებისა და ახალგაზრდობის ანტიპროლეტარული ორგანიზაციებისადმი, საქართველოს კომპარტიისა და კომკავშირის ურთიერთდამოკიდებულებას.

როგორც ცნობილია, სოციალისტური რევოლუციის პირველსავე დღეს, 1921 წლის 25 თებერვალს, საქართველოს რევოლუციური კომიტეტის მიერ გამოიცა დეკრეტი ამნისტიის შესახებ. აღნიშნული დეკრეტით ამნისტირებულად გამოცხადდა ყველა პოლიტიკური პარტია, ორგანიზაცია, ჯგუფი და პიროვნება, რომლებიც სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე იბრძოდნენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ[1]. დეკრეტში, დასმული საკითხების სწრაფ რეალიზაციასა და შეუფერხებლად მის ცხოვრებისეულ სინამდვილედ გადაქცევაში უდიდესი როლი ითამაშა ვ. ი. ლენინის 1921 წლის 6 მარტის წერილმა გ. კ. ორჯონიკიძისადმი. მასში პარტიის ბელადი მიუთითებდა, რომ „საქართველოს, როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო პირობები მოითხოვენ ქართველი კომუნისტებისაგან რუსული შაბლონის გამოყენებას კი არა, არამედ ისეთი თავისებური ტაქტიკის მოხერხებულად და მოქნილად შემუშავებას, რომელიც ყოველგვარი წვრილბურჟუაზიული ელემენტებისადმი მეტ დამთმობლობაზე იქნება დამყარებული[2].

ვ. ი. ლენინის აღნიშნული მითითების საფუძველზე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1921 წლის 12 მარ-

---

[1] ი. კაჭარავა, საბჭოთა საქართველო სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში. თბ., 1958, გვ. 179; კ. შელია, საქართველოს კომუნისტური პარტია სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში, თბ., 1970, გვ. 262; მისივე, ვ. ი. ლენინი და საბჭოთა ხელისუფლების პირველი ღონისძიებანი საქართველოში, თბ., 1980, გვ. 17; გ. ჯანგველაძე, საქართველოს კომუნისტური პარტიის ბრძოლა ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიების იდეური და ორგანიზაციული განდგურებისათვის (1903 — 1923 წწ.), თბ., 1974, გვ. 369; პარტიული არქივი, (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, საქ. 22, ფურც. 2.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 190.

ტის დადგენილების თანახმად შესაძლებლად იქნა მიჩნეული მთავრობაში შეეყვანათ იმ ყოფილი მენშევიკებისა და წვრილბურჟუაზიული პარტიების წარმომადგენლები, რომლებმაც სცნეს საბჭოთა ხელისუფლება[1].

როგორც საარქივო მასალების შესწავლამ და მისმა შემდგომმა კვლევამ გვიჩვენა, ჩვენი აზრით, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველ ეტაპზე მენშევიკებისა და სხვა წვრილბურჟუაზიული პარტიების წარმომადგენელთა მიერ საბჭოთა ხელისუფლების აღიარება მოხდა სახელმწიფო ორგანოებში მათი მოკალათების მიზნით, რათა იქედან მეტი ზიანი მიეყენებინათ საბჭოთა აღმშენებლობისათვის. ამას თუნდაც ისიც ადასტურებს, რომ 1921 წლის 10 აპრილს, თბილისის გუბერნიის მენშევიკთა კრების მიერ მიღებულ რეზოლუციაში ბუნდოვნად და შენიღბულად იყო მოცემული საბჭოთა ხელისუფლებასთან მშვიდობიანი თანამშრომლობის კურსი. მაგრამ, ამასთან ერთად, გამოკვეთილად იყო ნაჩვენები „სოციალიზმის“ მშენებლობის მენშევიკური გზა[2]. ეს კი ფაქტობრივად ნიშნავდა პროლეტარიატის დიქტატურის უარყოფას, რაც აშკარად მიგვანიშნებს, რომ მათ მიერ საბჭოთა ხელისუფლებასთან მშვიდობიანი თანამშრომლობა, მენშევიკური პარტიის ლეგალიზაციის შენარჩუნების მიზნით, მხოლოდ სიტყვიერად აღიარებულ ფარისევლურ დაპირებას შეიცავდა. ყოველივე ეს დამადასტურებელია იმისა, რომ ყოფილი მენშევიკები მხოლოდ დროის შესაბამისად მოქმედებდნენ, რომ ისინი ფორმალურად აღიარებდნენ საბჭოთა ხელისუფლებას და ხელს არ იღებდნენ მის წინააღმდეგ არალეგალურ ბრძოლაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ მენშევიკური პარტიის ფარისევლურმა, შენიღბულმა მოქმედებამ, შესაბამისი ზეგავლენა მოახდინა თავიანთ მემკვიდრეებზე — „ახალგაზრდა მარქსისტებზე“, რომლებმაც მოქმედების ისეთივე ტაქტიკას მიმართეს, რასაც მათი „სულიერი მამები“ ახორციელებდნენ. როგორც ირკვევა, თავისი ანტისაბჭოური საქმიანობის შენიღბვის მიზნით, მენშევიკური პარტიის მსგავსად, „ახალგაზრდა მარქსისტებმაც“ ფორმალურად სცნეს საბჭოთა

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, საქ. 22, ფურც. 2.

[2] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, საქ. 45, ფურც. 37.

ხელისუფლება. მაგრამ ფაქტობრივად ისინი იატაკქვეშეთიდან აგრძელებდნენ შეურიგებელ ბრძოლას არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ. ჩვენი აზრით, სწორედ აქედან იწყება „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის ისტორიაში მესამე ეტაპი. იგი მოიცავს 1921 — 1925 წლებს. ეს ის პერიოდია, როდესაც აღნიშნული ორგანიზაცია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების დღიდანვე იდეური ბრძოლის პარალელურად პრაქტიკულად ჩაება კონტრრევოლუციური პარტიების მიერ დაწყებულ ძირგამომთხრელ ანტისაბჭოურ საქმიანობაში. ამავე პერიოდში ხდება „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის როგორც იდეური, ასევე მისი კონტრრევოლუციური საქმიანობის მხილება და საბოლოო თვითლიკვიდაცია. საკითხზე იმის შესახებ, თუ რით იყო გამოწვეული საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისთანავე „ახალგაზრდა მარქსისტთა“ მიერ აღებული კონტრრევოლუციური კურსი, საინტერესო ცნობას ვხვდებით სენაკის „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ერთი ჯგუფის მიერ გაზეთ „სპარტაკში“ გამოქვეყნებულ დეკლარაციაში. მასში ვკითხულობთ: „რადგან ჩვენში ღრმად იყო გამჯდარი მენშევიზმის იდეოლოგია, ვერ მივიღეთ ვერც საბჭოთა სისტემა და მოვექეცით არალეგალურ მდგომარეობაში, დავუკავშირდით სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, გავიზიარეთ მათი ტაქტიკა საქართველოს საკითხში და მათთან ერთად ვიბრძოდით საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ“[1].

ამ დეკლარაციიდან მოტანილი ამონაწერიდან აშკარად ჩანს, რომ „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაცია, რომელიც მენშევიკური იდეოლოგიური მრწამსის პროპაგანდასა და მის დაცვას ემსახურებოდა, თავისი არსებობის მანძილზე საბჭოთა ხელისუფლებისადმი დამოკიდებულების საკითხში თითქმის იმავე პოზიციებს იცავდა, რასაც მენშევიკური პარტია. ამასვე ადასტურებს ჟურნალ „ახალ გზაში“ 1925 წელს გამოქვეყნებული სტატია „ახალგაზრდა მარქსისტების“ წარსული შეცდომები და მათი უახლოესი ამოცანა“. მასში ვკითხულობთ, რომ „ახალგაზრდა მარქსისტების“ ორგანიზაცია 1921 წლის 25 თებერვლიდან საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან ერთად საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აწარმოებდა ბრძოლას. იგი უკრიტიკოდ დაემორჩილა მენშევიკთა პარტიის

---

[1] გაზ. „სპარტაკი“, 1925 წ. 28 თებერვალი, № 16.

ბრძანებებს. მან ჭეშმარიტებად მიიღო ყოველივე ის რასაც საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელი ორგანოები ეუბნებოდა, რის გამოც ის მენშევიკური პარტიის საიმედო მარჯვენა ხელი შეიქმნა". ამრიგად, „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციის წინააღმდეგ ბრძოლა ფაქტობრივად ნიშნავდა მენშევიკური პარტიის წინააღმდეგ ბრძოლას, რადგან მათი იდეური მსოფლმხედველობა ერთ და იმავე იდეოლოგიურ ფუნდამენტზე იყო დაფუძნებული და ერთ და იმავე საქმეს — საბჭოთა ხელისუფლებისა და საერთოდ ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლას ემსახურებოდა. „ახალგაზრდა მარქსისტები" სარგებლობდნენ რა საბჭოთა ხელისუფლების მიერ მინიჭებული ლეგალიზაციის უფლებებით, შეეცადნენ მოეწვიათ ამ ორგანიზაციის გაერთიანებული კონფერენცია. უნდა შევნიშნოთ, რომ „ახალგაზრდა მარქსისტთა" მიერ ჩაფიქრებული კონფერენციის მოწვევასთან დაკავშირებით გაზეთმა „სოციალისტ-ფედერალისტმა" 1921 წლის 13 მაისს გამოაქვეყნა საქართველოს „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციის ცენტრალური კომიტეტის განცხადება, რომლითაც იტყობინებოდა, რომ 1921 წლის 22 მაისსათვის მოწვეული იქნებოდა აღნიშნული ორგანიზაციის კონფერენცია[2].

მიუხედავად ამისა, კონფერენციის მოწვევის ან მისი მუშაობის შესახებ ვერავითარ ცნობას ვერ მივაკვლიეთ. უნდა აღინიშნოს, რომ, რამდენადაც ამ პერიოდისათვის უკვე საბოლოოდ გამოაშკარავდა წვრილბურჟუაზიული პარტიებისა და ორგანიზაციების ფარული ანტისაბჭოური საქმიანობა და ამის შესაბამისად შეიცვალა მათდამი საქართველოს კომპარტიისა და კომკავშირის დამოკიდებულება, საფიქრებელია, რომ „ახალგაზრდა მარქსისტთა" ცენტრალური კომიტეტის მიერ გათვალისწინებული კონფერენციის მოუწვევლობა გამოწვეული იყო კონსპირაციული მოსაზრებებით. ჩვენს მოსაზრებას ერთგვარად ამაგრებს საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მიერ „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციის წევრთა მუშურ-გლეხური ნაწილისადმი გაზეთ „კომუნისტში" გამოქვე-

---

[1] ჟურნ. „ახალი გზა", 1925, № 14, გვ. 3.

[2] გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი", 1921 წ., 13 მაისი, № 60.

ყნებული მიმართვა[1]. მასში „ახალგაზრდა მარქსისტთა“ წარსული ისტორიის ზოგიერთი მნიშვნელოვანი მომენტის წარმოჩენასთან ერთად, დასაბუთებულია საქართველოს კომკავშირის შეურიგებელი ბრძოლის აუცილებლობა ამ ორგანიზაციის წინააღმდეგ. იქვე დოკუმენტში მითითებულია — „ამ ბრძოლის განელებას ოდნავადაც არ ვფიქრობთ, პირიქით, ის ახალი პირობების მიხედვით გაათკეცდება... დაუნდობელი ბრძოლა გამოვუცხადოთ წმინდა მენშევიკურ წვრილბურჟუაზიულ მიმდინარეობებს“[2].

იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაცია წვრილბურჟუაზიულ, მენშევიკურ ხასიათს ატარებდა, მაშინ ნათელი გახდება, თუ რატომ აარიდა თავი „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის ცენტრალურმა კომიტეტმა კონფერენციის მოწვევას.

როგორც ირკვევა, განსაკუთრებული კონსპირაციულობის წყალობით „ახალგაზრდა მარქსისტებმა“ შესძლეს თავიანთი ძალების შენარჩუნება და მათი აქტიური ჩაბმა ანტისაბჭოურ საქმიანობაში. ამის პარალელურად მათ მოახერხეს საქართველოში მოქმედ პოლიტიკურ პარტიებთან ერთად შეექმნათ მთლიანი ფრონტი და ერთიანი ძალებით ეწარმოებინათ არალეგალური ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად[3]. დასახული ამოცანის განხორციელებაში ისინი მენშევიკურ პარტიასთან ერთად დიდ იმედებს ამყარებდნენ უცხოელ იმპერიალისტებზე, განსაკუთრებით კი საქართველოდან გაქცეული წვრილბურჟუაზიულ და ბურჟუაზიულ პარტიათა გაერთიანების საფუძველზე საფრანგეთში შექმნილ საზღვარგარეთულ ბიუროზე[4], რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ კავკასიის ერების ერთიანი შეიარაღებული გამოსვლის მოწყობას, რამაც ძირითადად მის მიერ გამოცემულ დირექტივებსა და სათანადო მითითებებში პოვა ასახვა. უნდა შევნიშნოთ, რომ ეს დირექტივები და მითითებები გადაიქცა შემდგომში „ახალგაზრდა

[1] გაზ. „კომუნისტი“, 1921 წ. 20 მაისი, № 64; 1921 წლის 4 მარტიდან გაზეთის მეოთხე გვერდად გამოვიდა „საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის ფურცელი“, რომელიც საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პერიოდული ორგანო იყო, 1921 წლის მარტიდან 1922 წლის ოქტომბრამდე. გაზეთიდან მოტანილი მასალები „კომკავშირულ ფურცელში“ იბეჭდებოდა.

[2] იქვე.

[3] ჟურნ. „სიმართლის ხმა“, 1924, № 24, გვ. 4.

[4] გაზ. „კომუნისტი“, 1925 წ. 7 ივლისი, № 153.

მარქსისტთა“ ორგანიზაციის ერთ-ერთ სამოქმედო პროგრამად. იგი უდიდეს ზეგავლენას ახდენდა ამ ორგანიზაციის ანტისაბჭოური საქმიანობის წარმართვაზე. ამასთან ერთად, საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ანტისაბჭოური მუშაობის კონკრეტული ფორმების ჩამოყალიბებასა და მის დახვეწაში დიდ როლს ასრულებდა მენშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით 1922 წლის აგვისტოში პარიტეტულ საფუძველზე შექმნილი „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“, ანუ „პარიტეტული კომიტეტი“. ეს კომიტეტი შეიქმნა საქართველოში ჯერ კიდევ არალეგალურად მოქმედი ხუთი პოლიტიკური პარტიის შეთანხმების საფუძველზე. ეს პარტიებია: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული, ეროვნულ-დემოკრატიული, მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტები, დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატები და ესერები[1]. მის შემადგენლობაში შეიდნენ: კ. ანდრონიკაშვილი, მ. ბოჭორიშვილი, ილ. ჯავახიშვილი, კ. ნინიძე, გ. ჯინორია, ნ. ქარცივაძე (თავმჯდომარე).

ეხებოდა რა პარიტეტული კომიტეტის შექმნის საკითხს, გაზეთი „სპარტაკი“ დასძენდა: „პარტიები“ ერთიანდებიან იმ მიზნით, რომ საერთო ძალებით იბრძოლონ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის“[2].

აღნიშნული კომიტეტის ბრძოლა „საქართველოს დამოუკიდებლობისათვის“ ნიშნავდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების მოსპობასა და მენშევიკური მმართველობის აღდგენას. ამასვე ადასტურებს საქართველოში შეიარაღებული აჯანყების მომზადების მიზნით 1922 წლის მარტ-აპრილში საზღვარგარეთული ბიუროსა და ადგილობრივი მენშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით არალეგალურად შექმნილი სამხედრო ცენტრის არსებობის ფაქტი[3].

წყაროების შესწავლამ და ურთიერთშეჯერებამ დაადასტურა, რომ მენშევიკების კვალდაკვალ „ახალგაზრდა მარქსისტები“ მთელ თავის ენერგიას ახმარდნენ მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის ერთმანეთთან შეკავშირებას, რათა ისინი აემხედრებინათ არსებული წყობილების წინააღმდეგ საბრძოლველად. ამის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ მენშევიკური პარტიის ხელშე-

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, საქ. 1021, ფურც. 5.
[2] გაზ. „სპარტაკი“, 1924 წ. 15 ივლისი, № 54.
[3] გაზ. „ტრიბუნა“, 1923 წ. 24 მაისი, № 477.

წყობითა და დახმარებით, „ახალგაზრდა მარქსისტებმა“ შესძლეს, 1922 წელს, თბილისის უნივერსიტეტში, არალეგალურად შეექმნათ „სახელმწიფო უნივერსიტეტის ინტერპარტიული კომიტეტი“[1]. როგორც ირკვევა, ეს კომიტეტიც ისეთივე ფუნქციებით იყო შემოფარგლული, როგორც მენშევიკური პარტიის პარიტეტული კომიტეტი.

უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდათა ორგანიზაციების მიერ უნივერსიტეტში შექმნილი ინტერპარტიული კომიტეტის ანტისაბჭოური საქმიანობის გაღრმავებას ხელი შეუწყო ჟორდანია-ჩხეიძის მოწოდებამ, რაც იმავე წელს გაზეთმა „ტრიბუნამ“ გამოაქვეყნა[2]. მასში მოტანილი საბრალდებო ფაქტებისა და საბჭოთა სახელმწიფოს ცხოვრებისეული სინამდვილიდან აღებული მასალის ურთიერთშეპირისპირება კიდევ ერთხელ ააშკარავებს მენშევიკური პარტიის ლიდერების სიყალბესა და უსუსურობას. ეს დოკუმენტი იმითაცაა საინტერესო, რომ მასში აშკარადაა გამოკვეთილი არა მარტო ადგილობრივი მენშევიკური პარტიისა და ორგანიზაციის, არამედ საქართველოდან გაქცეული მენშევიკური პარტიის ლიდერების საბჭოთა საქართველოსადმი მტრული დამოკიდებულება. „მოწოდებაში“ ნათქვამია, თითქოს მენშევიკური მმართველობის პერიოდში ადამიანთა ცხოვრების მატერიალური პირობები მაღალ დონეზე იდგა, ხოლო საბჭოთა ხელისუფლების დროს იგი დაეცა. ამის ძირითად მიზეზად ისინი საქართველოში საბჭოთა რუსეთიდან წითელი არმიის შემოსვლას მიიჩნევდნენ და ყოველგვარი ფაქტის გარეშე „ამტკიცებდნენ“, თითქოს მათ საქართველოს მთელი მარაგი გაიტანეს რუსეთში „როგორც საბჭედრო დავლა“. დასასრულ მთელ რიგ საკითხებთან ერთად „მოწოდებაში“ ცილისმწამებლური პოზიციებიდან იყო ნათქვამი, რომ „ბოლშევიკები განაგრძობენ ახალ-ახალი ძალების თავმოყრას საქართველოში, რომელნიც რუსეთისაგან ერთ ლუკმა-პურსაც კი არ ღებულობენ, იტაცებენ მოსახლეობისაგან ყოველივეს, რაც კი აუცილებელია მათი არსებობის უზრუნველყოფისათვის“[3].

---

[1] გაზ. „ტრიბუნა“, 1922 წ. 14 დეკემბერი, № 369.
[2] გაზ. „ტრიბუნა“, 1921 წ. 27 სექტემბერი, № 31.
[3] იქვე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე. ისმება საკითხი იმის შესახებ, თუ რატომ დასჭირდათ მენშევიკური პარტიის ლიდერებს აღნიშნული ცილისწამების გავრცელება. მაშინ, როდესაც ისინი, შეიარაღებული აჯანყებისათვის ემზადებოდნენ? თუკი ღრმად ჩავწვდებით იმ პერიოდის ქარტეხილებით აღსავსე მოვლენებს და გავაანალიზებთ მათ. მივალთ ამ მიზეზის ახსნამდე. ეს მიზეზი შემდეგში მდგომარეობდა: 1. წვრილბურჟუაზიული პარტიებისა და ორგანიზაციებისადმი საბჭოთა სახელმწიფოს თავდაპირველმა ლოიალურმა პოლიტიკამ შესძალებლობა მისცა დასავლეთში შეხიზნულ მენშევიკური პარტიის ლიდერებს გაეგოთ საქართველოში დარჩენილი თავიანთი თანამოაზრეების საქმიანობა, და რაც მთავარია. დაენახათ. რომ ჯერ კიდევ ადამიანთა ერთ ნაწილს მთლიანად კავშირი არ ჰქონდა გაწყვეტილი ბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან. 2. ნ. ჟორდანიასა და მის ხელქვეითებს კარგად ესმოდათ. რომ საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილ ადამიანთა ჯგუფები. რომლებიც ინტელიგენციის. მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის გარკვეულ ნაწილს აერთიანებდნენ, ნიჰილისტურად უყურებდნენ ბოლშევიკების მიერ გატარებულ პოლიტიკას და განსაკუთრებით. ეროვნულ საკითხში არსებულ ზოგიერთ უმნიშვნელო დარღვევებს ნათლავდნენ „ისტორიული საქართველოს დაქუცმაცებისა და დაშლის“ ლოზუნგით. 3. საქართველოს მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტკიცე რწმენით განმსჭვალული. ეჭვს ქვეშ აყენებდა საბჭოთა რუსეთის დამოკიდებულებას საქართველოსა და ქართველი ერისადმი. რის გამოც სულ ადვილი შესაძლებელი იყო ოდნავი მიზეზიც კი. თუნდაც ის სიყალბე ყოფილიყო, რომ გამოეწვია ადგილობრივ მოსახლეობაში ეროვნული გრძნობების აფეთქება. რაც მოსახლეობას შეიარაღებული გამოსვლებისაკენ უბიძგებდა.

სწორედ ამას ემსახურებოდა ზემოთ აღნიშნული ჟორდანია-ჩხეიძის მოწოდება. როგორც წყაროების შესწავლამ გვიჩვენა, ამ მოწოდებაში მოტანილი მასალა იმდენად ყალბი იყო, რომ მან მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის სასტიკი გულისწყრომაც კი გამოიწვია. ამ პარტიის ორგანო გაზეთი „ტრიბუნა“. რომელიც დაწვრილებით შეეხო აღნიშნულ მოწოდებას, რუსეთ-საქართველოს დამოკიდებულების საკითხში მთელ რიგ საყურადღებო მასალასთან ერთად გამოაქვეყნა საქართველოს სასურსათო სახელმწიფო კომიტეტის მონაცემები, რომლებიც ჩვენი აზრით, ჟორდანია-ჩხეიძის მოწოდებაში

მოცემული ბრალდების საუკეთესო გაბათილებას წარმოადგენს. ამ მონაცემების საფუძველზე ირკვევა, რომ მარტო 1921 წლის 1 მარტიდან 1 ოქტომბრამდე რუსეთიდან საქართველოში დახმარების სახით შემოვიდა: ხორბალი 107, 672 ფუთი, პურის ფქვილი 26661 ფუთი, შერეული ფქვილი 13533 ფუთი, ხოლო პურის პროდუქტები 233,666 ფუთი. აღნიშნული დროის განმავლობაში საქართველომ რუსეთისაგან მიიღო 15 ვაგონი შაქარი, 600 ვაგონი მარილი, 72 000 არშინი ფართალი, 6000 წყვილი ფეხსაცმელი და სხვ.[1].

ამრიგად, ზემოთ მოტანილი მასალის ერთმანეთთან შეჯერება და მისი ანალიზი ერთხელ კიდევ ნათლად ადასტურებს, რომ საზღვარგარეთ გახიზნული ყოფილი მენშევიკური მთავრობის მეთაურები, ყოველმხრივ ცდილობდნენ საბჭოთა სინამდვილის დამახინჯების წყალობით თავიანთი გავლენის სფეროში მოექციათ კომუნისტურ და მენშევიკურ იდეოლოგიათა შორის მერყეევი ელემენტები. დასახული მიზნის მისაღწევად ისინი ცრუ აგიტაციასთან ერთად ადგილობრივ კონტრრევოლუციურ ძალებს იყენებდნენ მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის დასაპყრობად, რითაც ხელს უშლიდნენ ყველა სფეროში ახალგაზრდობასთან კომკავშირის ნორმალურ მუშაობას. ამასთან ერთად, ისიც აღსანიშნავია, რომ ისინი მაქსიმალურად ცდილობდნენ ადგილობრივ კონტრრევოლუციურ ძალებზე დაყრდნობით ხელიდან არ გაეშვათ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ იდეოლოგიური ბრძოლის შესაძლებლობანი. უნდა აღინიშნოს, რომ იდეოლოგიური ბრძოლის ჩვენ მიერ ზემოთ მითითებული ფორმა მათ მიერ გამოყენებული იქნა შ. დუდუჩავას საჯარო ლექციაზე, რომელიც მან თბილისის უნივერსიტეტში სტუდენტებისათვის სპეციალურად წაიკითხა 1921 წლის დეკემბერში. ლექციის თემა ეხებოდა იმპერიალიზმისა და მსოფლიო რევოლუციის პერსპექტივების საკითხებს. აღნიშნული ფაქტი იმდენად მნიშვნელოვანი და საყურადღებო იყო, რომ იგი გაზეთ „კომუნისტის“ მსჯელობის საგნადაც კი გადაიქცა. ლექციის შემდეგ, როგორც გაზეთი „კომუნისტი“ აღნიშნავს, გამართული კამათის დროს სტუდენტების ზოგიერთმა პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა „ნათელყვეს და სანქცია უყვეს მთელ თავის კონტრრევოლუციონურ შოვინისტურ წმინდა წყლის რეაქციონურ ბუნებას... მათ განიზრახეს ერ-

[1] გაზ. „ტრიბუნა“, 1921 წ. 21 ოქტომბერი, № 52.

თგვარი დემონსტრაციის, გამოსვლის მოწყობა არსებული წყობილების წინააღმდეგ. გამოხატეს მთელი თავიანთი გულისწყრომა კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხელისუფლებისადმი"[1].

მართალია, აღნიშნული ლექციის პროცესში. როგორც მასალებიდან ირკვევა, ვერ მოხერხდა ფართო ორგანიზებული გამოსვლა საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მომხდარი ფაქტი საბჭოთა ხელისუფლებისადმი უნივერსიტეტის სტუდენტთა ერთი ნაწილის მტრული დამოკიდებულების ნათელი დადასტურება იყო. რაც აშკარად მიუთითებდა უნივერსიტეტში ანტისაბჭოური ორგანიზაციების არსებობაზე. გაითვალისწინა რა ყოველივე ეს, საქართველოს კომკავშირთან ერთად, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ სათანადო ზომები მიიღო უნივერსიტეტში არსებული ახალგაზრდობის ყველა ანტიკომუნისტური ორგანიზაციის წინააღმდეგ საბრძოლველად[2].

იდეოლოგიურ ფრონტზე საქართველოს კომკავშირის ბრძოლის გააქტიურების მიუხედავად, მენშევიკური პარტიისა და უცხოელი იმპერიალისტების მხარდაჭერის საფუძველზე „ახალგაზრდა მარქსისტებმა" სხვა ანტიკომუნისტურ ორგანიზაციებთან ერთად, ახალგაზრდობაზე იდეოლოგიური ზემოქმედების თვალსაზრისით, კიდევ უფრო გააფართოვეს თავიანთი ძირგამომთხრელი საქმიანობა. უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ფაქტი იმდენად მნიშვნელოვან სიძნელეებს უქმნიდა საბჭოთა ხელისუფლებას, რომ მათ წინააღმდეგ ბრძოლაში აუცილებელი გახდა საქართველოს კომკავშირს აქტიურად დახმარებოდა პარტიული ორგანიზაცია. ამასთან ერთად, იდეოლოგიურ ფრონტზე მდგომარეობის მკვეთრმა გართულებამ გადაუდებელ ამოცანად დააყენა საკითხი საქართველოს კომკავშირის რიგებს მონოლითურად შემჭიდროვებისა და გაძლიერების შესახებ[3].

თუ რამდენად შეფარვითი და მრავალმხრივი იყო „ახალგაზრდა მარქსისტების" ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ამ საკითხთან დაკავშირებით ყურადსაღებია გაზეთ „კომუნისტში" გამო-

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1921 წ. 24 დეკემბერი, № 245.

[2] იხ. დაწვრილებით: შ. ვადაჭკორია, თბილისის უნივერსიტეტის კომკავშირული ორგანიზაციის ბრძოლა ტროცკიზმისა და სხვა ანტიკომუნისტური ორგანიზაციების წინააღმდეგ, „სკოლა და ცხოვრება", 1978, № 10, გვ. 68.

[3] გაზ. „კომუნისტი", 1921 წ. 19 ნოემბერი, № 215.

ქვეყნებული ბ. თემელის სტატია — „სჯობს ვიცოდეთ“ [1]. მასში ავტორი ხუგდიდში მიღებული შთაბეჭდილებების საფუძველზე დასაბუთებულად იძლევა და ამხელს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ „ახალგაზრდა მარქსისტთა“ პირდაპირი და შეფარვითი ბრძოლის მეთოდებს. ამ სტატიაში მითითებულია, რომ თეატრალურ წრეებში „ახალგაზრდა მარქსისტები“ ახერხებდნენ მოკალათებას, ისინი შიგნიდან ცდილობდნენ მოწინააღმდეგეთა დამარცხებას. ამ მიზნის მისაღწევად ურცხვად ეწეოდნენ ყალბ პროვოკაციებს, რათა ახალგაზრდობა დაეფრთხოთ და მათთვის გული აეცრუებინათ კომკავშირში მუშაობაზე [2].

ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ რამდენადაც „ახალგაზრდა მარქსისტები“ ძირითადად მენშევიკური პარტიის იდეოლოგიის გამტარებლები იყვნენ და ბაძავდნენ მათ ყოველგვარ საქმიანობაში, უნდა ვიფიქროთ, რომ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით „ახალგაზრდა მარქსისტებს“ ზემოთ აღნიშნული მეთოდი დანერგილი ჰქონდათ მთელი საქართველოს მასშტაბით.

აღნიშნულ მოსაზრებას ერთგვარად ამაგრებს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული მ. ლოთვაძის სტატია — „არ ისვენებენ“ [3]. მასში მხილებულია საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მოსწავლე ახალგაზრდობის ამხედრების მიზნით სკოლებში „ახალგაზრდა მარქსისტთა“ საქმიანობა.

ამ ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა კომკავშირის საქმიანობისადმი პარტიის ხელმძღვანელობის გაძლიერებას. ამ საკითხს დიდი ადგილი ეთმობოდა იმ პერიოდის ბოლშევიკური პრესის ფურცლებზე. ყურადღებას იპყრობს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული გ. დევდარიანის სტატია — „რა უნდა ვაკეთოთ“[4]. მასში ავტორმა ჩამოაყალიბა კომკავშირული ორგანიზაციების მოქმედების ამოცანები. სტატიაში „პარტიასთან დამოკიდებულება“ [5], რომელიც „კომუნისტში“ გამოქვეყნდა, კიდევ უფრო დაკონკრეტებულია კომკავშირისადმი პარტიის ხელმძღვანელობის საკითხი. განსაზღვრულია

---

[1] გაზ. „კომუნისტი“, 1921 წ. 17 ივლისი, № 111.
[2] იქვე.
[3] გაზ. „კომუნისტი“, 1921 წ. 29 აპრილი, № 48.
[4] გაზ. „კომუნისტი“, 1921 წ. 6 მარტი, № 5.
[5] გაზ. „კომუნისტი“, 1921 წ. 29 აპრილი, № 48.

თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მას ბურჟუაზიული იდეოლოგიის, განსაკუთრებით „ახალგაზრდა მარქსისტთა“ წინააღმდეგ ბრძოლაში. „ახალგაზრდა მარქსისტთა“ მენშევიკური იდეოლოგიის სრულად გამოაშკარავების თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კომკავშირის თბილისის საქალაქო კონფერენციის გადაწყვეტილებას „ახალგაზრდა მარქსისტთა“ მენშევიკური ორგანიზაციის საჯარო გასამართლების შესახებ[1]. აღნიშნული პროცესი მოეწყო 1921 წლის 17 ივნისს. ამ ფაქტით ერთხელ კიდევ ამხილეს საჯაროდ „ახალგაზრდა მარქსისტთა“ არა მარტო მენშევიკური, არამედ მისი კონსერვატიული ბუნებაც.

რამდენადაც ჩვენს ძირითად ამოცანას წარმოადგენს წარმოვაჩინოთ იდეოლოგიურ ფრონტზე „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის წინააღმდეგ საქართველოს კომკავშირის იდეური ბრძოლის სურათი, რამდენიმე სიტყვით მაინც შევეხებით საქართველოში სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობის ორგანიზაციულ საკითხს, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველ წლებში თავისებურ ფორმებში განხორციელდა. სწორედ ამ თავისებურმა ფორმებმა გამოიწვია ახალგაზრდობის მენშევიკურ ორგანიზაციებში მომხდარი აჟიოტაჟი. ცნობილი ფაქტია, რომ საქართველოში საბჭოების ნაცვლად პროლეტარიატის დიქტატურის შექმნა-განმტკიცება დაიწყო რევოლუციური კომიტეტების საშუალებით, რომლებიც წარმოიშვნენ როგორც მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყების ორგანოები, ხოლო აჯანყების გამარჯვების შემდეგ გადაიქცნენ ხელისუფლების ორგანოებად[2].

ცნობილია, რომ მენშევიკური მმართველობის პერიოდში საბჭოები თითქმის გაუქმდა. ყოველ შემთხვევაში, მათ დაკარგეს თავიანთი ძალა და ფუნქციები. ამიტომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებიდან მათ შექმნას გარკვეული დრო დასჭირდა. როგორც პროფ. კ. შელია აღნიშნავს, „დაძაბული მზადების შემდეგ საბჭოების არჩევნები მხოლოდ 1921 წლის დეკემბრიდან დაიწყო, რადგან საბჭოების დაუყოვნებლივ შექმნა მუშათა კლასს არ შეეძ-

---

[1] გაზ. „კომუნისტი“, 1921 წ. 26 ივნისი, № 93.

[2] ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია XIX — XX საუკუნეებში, ნაწ. III, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1967, გვ. 32.

ლო"[1]. როგორც ცნობილია, საბჭოების ფუნქციების შემსრულებლის როლში ამ პერიოდში რევკომები მოგვევლინა[2]. აღსანიშნავია, რომ ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში წარმოიშვა აზრთა სხვადასხვაობა იმის შესახებ, იყო თუ არა რევკომი პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმა. ქართული ისტორიოგრაფიის უახლეს მიღწევათა შედეგების გათვალისწინებით დავსძენთ, რომ რევოლუციური კომიტეტები პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივ ფორმას კი არ წარმოადგენდა. არამედ ასრულებდა პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმის ფუნქციებს მთელი ერთი წლის მანძილზე[3].

საბჭოთა ხელისუფლების მტრებს სრულებითაც არ აინტერესებდათ ეძიათ ის ძირითადი მიზეზი, რამაც საქართველოს კომპარტია რევკომების შექმნამდე მიიყვანა, პირიქით, როგორც სათანადო მასალების შესწავლიდან ირკვევა, რევკომების არსებობა მათთვის საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ იდეოლოგიური ბრძოლის ერთ-ერთ არგუმენტად გადაიქცა. ამის დასადასტურებლად საინტერესოა თბილისის საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით ახალგაზრდა მენშევიკთა ერთ-ერთი განცხადება, რომელიც გაზეთმა „კომუნისტმა" გამოაქვეყნა. მენშევიკებმა, რომლებმაც შენიშნეს საბჭოთა დემოკრატიის პრინციპებში არსებული ზოგიერთი დარღვევები, ატეხეს ერთი აურზაური: „დაგვანახეთ თქვენი საბჭოთა მთავრობა, დაგვანახეთ საბჭოები, დღეს ისინი არ არსებობენ, დღეს არჩეული ხალხი არ განაგებს ქვეყანას, დღეს რევკომებია, დანიშვნითი წესიაო"[4]. როგორც დავინახეთ, საბჭოების დროებითი უქონლობა სადემაგოგიო მასალას აძლევდა საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილ ახალგაზრდა მენშევიკურ ორგანიზაციებს. ცხოვრებისეულმა სინამდვილემ აუცილებლობად აქცია რევკომების წესის დაუყოვნებლივ შეცვლა, რაც ერთხელ და სამუდამოდ ბოლოს მოუღებდა „ახალგაზრდა მარქსისტთა" და ახალგაზრდობის სხვა ანტიბოლშევიკური ორგანიზაციე-

---

[1] კ. შ ე ლ ი ა. დასახელებული ნაშრომი, გვ. 190.

[2] ი. ფ უ ტ კ ა რ ა ძ ე. საქართველოს საბჭოთა სახელმწიფოებრიობის განვითარება. თბ., 1969, გვ. 40.

[3] კ. შ ე ლ ი ა. დასახელებული ნაშრომი, გვ. 202, ი. კ ა ჭ ა რ ა ვ ა. ქართული ისტორიოგრაფიის საკითხები თბ., 1962, გვ. 417. მ ი ს ი ვ ე, საბჭოთა საქართველო სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში, თბ., 1958, გვ. 339.

[4] გაზ. „კომუნისტი", 1921 წ. 4 დეკემბერი, № 228.

ბის ჭორებს საბჭოთა მმართველობის სისტემის შესახებ. რევკომების მმართველობის წესი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, რამდენადაც იგი დემოკრატიულ პრინციპებს ეწინააღმდეგებოდა, წვრილბურჟუაზიული პარტიებისა და ორგანიზაციების ანტისაბჭოური პროპაგანდის შედეგად, ახლად დამყარებული საბჭოთა ხელისუფლებისადმი ნიჰილისტურად განწყობდა არა მარტო ინტელიგენციის უმარვლესობას, არამედ მენშევიკურ და ბოლშევიკურ იდეოლოგიათა შორის მერყევ მშრომელთა ფენის წარმომადგენლებსაც კი. ამიტომ იდეოლოგიური თვალსაზრისით, ანტისაბჭოთა პარტიებისა და ორგანიზაციების მოსალოდნელი საფრთხის მიუხედავად, აუცილებელი გახდა არჩევითი წესის დამკვიდრების გარდაუვალობა. ასეთივე ღონისძიება უნდა გატარებულიყო საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციის რიგებშიც.

თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ამ საკითხის დაუყოვნებლივ გადაწყვეტას, ამის უშუალო დამადასტურებელია საქართველოს კომკავშირის 1921 წლის 19 აპრილის პლენუმის დადგენილება, რაც გაზეთმა „კომუნისტმა“ გამოაქვეყნა. ერთიანი იდეოლოგიური ფრონტის შექმნის მიზნით, დადგენილებაში ხაზგასმითაა მითითებული საბჭოთა ხელისუფლების აღმშენებლობის საქმეში ახალგაზრდა მუშებსა და გლეხებს შორის კავშირის განმტკიცების როლსა და მნიშვნელობაზე. რაც მთავარია, მასში სრულყოფილად პოვა ასახვა კომკავშირში ორგანიზაციული მუშაობის ძველი მეთოდების ახლით დაუყოვნებლივ შეცვლის აუცილებლობამ. „ჩვენი კავშირი უნდა აიგოს დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპებზე. დანიშვნითი წესი უნდა შეიცვალოს არჩევითი წესით“[1].

ამრიგად, დემოკრატიული ფორმების ცხოვრებაში დაუყოვნებლივ დამკვიდრების მიზნით, საქართველოს კომკავშირის მიერ აღებულმა სწორმა კურსმა ახალგაზრდობის ანტიბოლშევიკურ ორგანიზაციებს წაართვა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ იდეოლოგიური ბრძოლის ერთ-ერთი საშუალება. ისიც აღსანიშნავია, რომ ამ პროცესმა იდეოლოგიურ ფრონტზე ძალთა უპირატესობის მოსაპოვებლად დაწყებული ბრძოლა მნიშვნელოვნად გადაწყვიტა კომკავშირის სასარგებლოდ. ძალთა უმცირესობაში მოქცევის მიუხედავად, „ახალგაზ-

---

[1] გაზ. „კომუნისტი“, 1921 წ. 8 მაისი, № 54.

რდა მარქსისტებმა" მენშევიკური პარტიის ხელშეწყობით შესძლეს შეენარჩუნებინათ ორგანიზაციის სიმტკიცე და მისი ერთიანობა. სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სრულიად საკავშირო ყრილობის მომწვევი საინიციატივო ბიუროს ყოველკვირეულ ორგანოს ჟურნალ „მოამბეს", როდესაც ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „ახალგაზრდა მარქსისტები ტოლს არ ჰუდებს ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლაში არალეგალური მენშევიკური პარტიის ცეკას" [1]. ეს განცხადება შეიძლება მკითხველს ერთი შეხედვით გადაჭარბებულად მოეჩვენოს. მაგრამ თუკი ღრმად ჩავწვდებით საკითხის გარშემო არსებულ მასალებს, აშკარად დავრწმუნდებით მის სისწორეში. აღნიშნულის დასადასტურებლად გამოდგება თუნდაც საქართველოს კომუნისტური პარტიის მესამე ყრილობის (1924 წლის 6 — 12 მაისი) მასალები. „ანტისაბჭოთა ფრონტის მთავარ ძალებად გამოვლენილია მენშევიკების პარტია, შემდეგ „ახალგაზრდა მარქსისტები" და ამის შემდეგ ნაციონალ-დემოკრატები" [2] — ვკითხულობთ მასში. როგორც ვხედავთ „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციას თავისი სიძლიერით ანტისაბჭოთა პარტიებს შორის მეორე ადგილი უჭირავს. ეს ერთხელ კიდევ აშკარად ადასტურებს „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციის სიძლიერეს და საბჭოთა ხელისუფლებისადმი მათი ანტისაბჭოური საქმიანობიდან გამომდინარე მოსალოდნელ საფრთხეს.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეტაპზე „ახალგაზრდა მარქსისტების" მიერ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ჩატარებული ბრძოლის შესახებ მასალები შედარებით მწირია. მიუხედავად ამისა, ბოლშევიკური პრესის ფურცლებზე გაბნეული მასალების გულმოდგინედ შესწავლის საფუძველზე, ერთდაგვარი წარმოდგენა გვექმნება აღნიშნული ორგანიზაციის საქმიანობაზე. ამ მხრივ აღსანიშნავია კ. ორაგველიძის სტატია — „ბრძოლა მარქსიზმის შესწავლისა და გავრცელებისათვის" [3], გ. დევდარიანის სტატია — „საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტები" [4]. ორივე სტატია გამოაქვეყნა ჟურნალმა „მომავალმა". ეს სტატიები იმდენადაა საინტერესო, რამდენადაც მათში მოცემულია „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციის არალეგალუ-

[1] ჟურნ. „მოამბე", 1923, № 1, გვ. 3.

[2] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, საქ. 976, ფურც. 16.

[3] ჟურნ. „მომავალი", 1923, № 1, გვ. 16.

[4] იქვე, გვ. 18.

რი ორგანოს ჟურნალ „ჩვენი გზის“ მეოთხე ნომრის დაწვრილებითი შინაარსი ვრცელი ციტირებით. როგორც მასალებიდან ირკვევა „ახალგაზრდა მარქსისტები“ თავიანთ თავს ქართველ ახალგაზრდობაში საქართველოსადმი თავშეწირულებად ასაღებდნენ. რომ თითქოს ისინი მათი ბედნიერებისათვის ეწეოდნენ ტიტანურ ბრძოლას. ნიშანდობლივია. რომ „ახალგაზრდა მარქსისტებს“ ამ ბრძოლაში ადგილობრივ მენშევიკურ პარტიასთან ერთად დიდ დახმარებასა და მხარდაჭერას უწევდა საერთაშორისო მენშევიზმი და იმპერიალიზმი, რომლებიც განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდნენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად. ჩვენი აზრით, სწორედ ამ მხარდაჭერაში უნდა ვეძიოთ „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის არა მარტო სიძლიერე, არამედ მისი გათამამებაც იდეოლოგიურ ფრონტზე, რამაც საუკეთესოდ პოვა ასახვა მათივე ჟურნალ „ჩვენ გზაში“ გამოქვეყნებულ სტატიაში — „ჩვენი პოზიცია“. აღნიშნულ სტატიაში „ახალგაზრდა მარქსისტთა“ საპროგრამო მითითებების პარალელურად განსაკუთრებით წინა პლანზე იყო წამოწეული საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ იდეური და კონტრრევოლუციური ბრძოლის საკითხი: „გაკაჟებული ნებისყოფითა და გაასკეცებული ენერგიით, გამარჯვების იმედით გულში, წინ ბრძოლის ველზე საოკუპაციო ხელისუფლების წინააღმდეგ! — აი ჩვენი სადღეისო ლოზუნგი. ამ ბრძოლით მოიპოვებს თავისუფლებას ქართველი ხალხი“ [1].

ასეთი კონტრრევოლუციური ლოზუგნებით „ახალგაზრდა მარქსისტები“ ცდილობდნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აემხედრებინათ არა მარტო სტუდენტი და მოსწავლე ახალგაზრდობა, არამედ მუშა და გლეხი ახალგაზრდობაც. ყოველივე ეს მიმართული იყო ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაციების წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის შესაქმნელად. თუ რამდენად დიდ საფრთხეს წარმოადგენდა საბჭოთა სახელმწიფოსათვის ახალგაზრდობის წვრილბურჟუაზიული სტიქიის გაძლიერება, ამაზე ნათლად მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ აღნიშნული საკითხი რკპ (ბ) მეთერთმეტე ყრილობის (1922 წლის მარტ-აპრილი) სპეციალური მსჯელობის საგნად გადაიქცა. ყრილობის მიერ „რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის საკითხებზე“ მიღებულ დადგენილებაში მთელ რიგ საკითხებთან ერთად მითითებულია, რომ ახალგაზრდობის კო-

[1] ჟურნ. „მომავალი“, 1923, № 1, გვ. 16.

მუნისტურ კავშირს კონტრრევოლუციური გავლენის აღსაკვეთად უნდა დაეპირისპირებინა თავისი ენერგიული ბრძოლა[1]. ამ დადგენილების კვალდაკვალ ახალგაზრდობის კომუნისტურ ორგანიზაციებში შექმნილ რთულ მდგომარეობაზე იმსჯელა რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის მეხუთე ყრილობამ (1922 წლის 11—19 ოქტომბერი), რომელმაც მიღებულ დადგენილებაში მიუთითა, რომ „ახალგაზრდა ბურჟუაზიული თაობა... მუშათა კლასის იდეოლოგიას უპირისპირდება; მისთვის ასე შეურიგებელი და მიუღებელი რუსეთის ყოფილ დამჩაგვრელთა კლასის, მძლავრი, როგორც დიდი ხნის განვითარების და ისტორიის მქონე იდეოლოგიის... დამარცხება ძნელია მშვიდობიანი ფორმებით“ [2].

გაითვალისწინა რა აღნიშნული მითითებანი, საქართველოს კომკავშირმა დაუყოვნებლივ შეცვალა „ახალგაზრდა მარქსისტებთან“ მშვიდობიანი იდეოლოგიური ბრძოლის ტაქტიკა, რაც აუცილებლობით იყო ნაკარნახევი, თუ რა რეაგირება მოახდინა აღნიშნულმა ნაბიჯმა „ახალგაზრდა მარქსისტებზე“, ამაზე ნათლად მეტყველებს მოპოვებული მასალები, საიდანაც ირკვევა, რომ მას შემდეგ რაც „ახალგაზრდა მარქსისტებმა“ იგემეს კომკავშირული ორგანიზაციის საგრძნობი დარტყმები, შენიღბვის თვალსაზრისით მათ წამოისხეს უდანაშაულობის მანტია და ქართველ ახალგაზრდობას შესჩივლეს: „რას გვერჩიან, რა დავაშავეთ, ჩვენ კულტურული დაწესებულება ვართო“[3]. რაც შეეხება საკითხს იმის შესახებ, იყო თუ არა მართლაც „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაცია კულტურული დაწესებულება“, ამაზე ნათლად მეტყველებს ჯერ კიდევ 1921 წლის 19 იანვრის „ახალგაზრდა მარქსისტთა“ კონფერენციის დადგენილება, რომლის ძალითაც ორგანიზაციამ ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ იგი კვალდაკვალ მიჰყვებოდა მენშევიკური პარტიის მცდარ კურსს „გზა დემოკრატიზმით სოციალიზმისაკენ“[4] და იზიარებდა მეორე ინტერნაციონალის პოლიტიკასა და ტაქტიკას, რითაც ფაქტობრივად უარყოფდა ახალგაზრდობის მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს.

---

[1] სკკპ... რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. 1., თბ., 1954, გვ. 826.
[2] გაზ. „სპარტაკი“, 1922 წ. 12 ნოემბერი, № 11.
[3] ეურნ. „მოამბე“, 1923, № 1, გვ. 3.
[4] ეურნ. „სიმართლის ხმა“, 1924, № 24, გვ. 3.

ყოველივე ეს აშკარად ადასტურებს, რომ აღნიშნული ორგანიზაცია, როგორც „ახალგაზრდა მარქსისტები“ გაიძახოდნენ, სრულებითაც არ იყო მეორეხარისხოვანი „კულტურული“ ორგანიზაცია. ჩვენს ამ მოსაზრებას კიდევ უფრო ამაგრებს „ახალგაზრდა მარქსისტთა“ აღნიშნული კონფერენციის ზეგავლენით თვით ამავე ორგანიზაციის ცენტრალური კომიტეტის 1922 წლის ანგარიშში მოცემული ფაქტები. მასში გარკვევითაა მითითებული, რომ „ორგანიზაციაში კულტურულ მუშაობას უნდა დაეთმოს მეორეხარისხოვანი ადგილი, ხოლო მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს „ახალგაზრდა მარქსისტების“ პოლიტიკურ-პრაქტიკულ მუშაობაში ჩაბმას“ [1]. ამასვე ადასტურებს „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის სალიკვიდაციო კრილობის მიერ მიღებული რეზოლუციის მეცხრე პუნქტი. მასში ვკითხულობთ, რომ „ორგანიზაციაში მთავარი ყურადღება ექცეოდა პოლიტიკურ მუშაობაში ახალგაზრდობის ჩაბმას“ [2].

„ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის პოლიტიკური ხასიათის შესახებ ზემოთ მოტანილ ფაქტებს მხარს უჭერს ჟურნალ „სიმართლის ხმაში“ 1924 წელს გამოქვეყნებული თვით „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ერთი განცხადება. მასში ვკითხულობთ, რომ „ახალგაზრდა მარქსისტთა“ „ორგანიზაცია არსებითად საბჭოთა ხელისუფლების მტრების ბანაკში აღმოჩნდა და მისმა მუშაობამ უმთავრესად პოლიტიკური ხასიათი მიიღო. ამ პოლიტიკური მუშაობის შინაარსი ისეთივე იყო, როგორც სოციალ-დემოკრატიული პარტიისა“ [3].

ზემოთ მოტანილი ფაქტების გაანალიზების საფუძველზე შეიძლება დაისვას კითხვა: „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაცია თავიდან ატარებდა პოლიტიკურ ხასიათს, თუ მან ეს სახე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების დღიდან მიიღო? დასმულ კითხვაზე სრულ ამომწურავ პასუხს იძლევა „ახალგაზრდა მარქსისტთა“ საქმიანობის შესახებ პირველი თავის პირველ პარაგრაფში მოტანილი ფაქტები და მათი ანალიზი. საქმე იმაშია, რომ „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის მენშევიკური პერიოდის ისტორიის შეს-

---

[1] ჟურნ. „მოამბე“, 1923, № 5, გვ. 14; გაზ. „კომუნისტი“, 1923 წ. 15 ნოემბერი, № 263.

[2] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, საქ. 661. ფურც. 99.

[3] ჟურნ. „სიმართლის ხმა“, 1924, № 24, გვ. 3.

წავლამ დაადასტურა, რომ მას შემდეგ, რაც ამ ორგანიზაციამ მენშევიკური იდეოლოგია აღიარა (1917 წ.), მისმა მუშაობამ ახალგაზრდობაში გამოკვეთილი პოლიტიკური ხასიათი მიიღო. იგი ძირითადად სოციალიზმის მშენებლობის, პროლეტარიატის დიქტატურის, დამფუძნებელი კრებისა და საბჭოთა ხელისუფლებისადმი ბოლშევიკური შეხედულებების წინააღმდეგ იდეურ-პოლიტიკურ ბრძოლაში გამოიხატა. მაგრამ ყოველივე ამას „ახალგაზრდა მარქსისტები" შეგნებულად „ივიწყებდნენ". უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით საინტერესო და ხელჩასაჭიდ მასალას იძლევა თვით „ახალგაზრდა მარქსისტთა" ჟურნალ „ახალ კვალში" 1918 წელს გამოქვეყნებული მოწინავე სტატია — „ჩვენი დროშა". ეს სტატია იმითაა საყურადღებო, რომ, ერთის მხრივ, მასში ზოგიერთი თეორიული პრინციპების საფუძველზე, ჩამოყალიბებულია ამ ორგანიზაციის მოქმედების ძირითადი პროგრამა, მეორეს მხრივ, სტატიაში გარკვევითაა განსაზღვრული ორგანიზაციის მუშაობის მიმართულების პოლიტიკური ხასიათი და მისი კავშირის აუცილებლობა მენშევიკურ პარტიასთან: „ჩვენ ვერ დავკმაყოფილდებით დღეს მხოლოდ მეცნიერული მუშაობით. ახალგაზრდობა მთელს თავის ძალღონით — უნდა გადაეშვას საზოგადოებრივ მოძრაობის ტალღებში, მონაწილეობა მიიღოს დღევანდელ ბრძოლაში, თავის მედგარი ხმა მიაწვდინოს უფროს ამხანაგებს... ჩვენ მოგვიხდება ბრძოლა სხვა ჯგუფებთან. სხვა მიმართულების ახალგაზრდათა ორგანიზაციებთან" [1].

მოტანილი ციტატა აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ 1918 წლიდან უკვე „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციას ჩამოყალიბებული ჰქონდა თავისი მუშაობის პოლიტიკური კრედო. აქედან მოკიდებული, იგი მთელი მოღვაწეობის მანძილზე ატარებდა პოლიტიკურ ხასიათს. ჩვენს ამ მოსაზრებას კიდევ უფრო ამაგრებს „ახალგაზრდა მარქსისტთა" გაზეთ „ჩვენ გზაში" 1920 წელს გამოქვეყნებული ერთი საპოლემიკო წერილი სათაურით — „უკმაყოფილო ამხანაგს". მასში ავტორი „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციის ხასიათის შესახებ ეკამათება გაზეთ „ახალ სხივს" და უარყოფს მის მიერ წამოყენებულ თვალსაზრისს ამ ორგანიზაციის კულტურული ხასიათის შესახებ. სტატის ავტორი დაბეჯითებით ასაბუთებს: „არ არის სწორი, რომ ჩვენი ორგანიზაცია მხოლოდ კულტურული

---

[1] ჟურნ. „ახალი კვალი", 1918, № 1, გვ. 3.

ორგანიზაციაა. ჩვენი ორგანიზაცია პოლიტიკური ორგანიზაციაც არის, იგი განსაზღვრულ ნაბიჯებსა სდგამს ამ მხრივ, განსაზღვრულს მუშაობას აწარმოებს“ [1].

უნდა შევნიშნოთ, რომ, როგორც სათანადო მასალებმა დაადასტურა, „ახალგაზრდა მარქსისტთა“ „განსაზღვრული ნაბიჯი“ და „განსაზღვრული მუშაობა“ მენშევიკების ბატონობის პერიოდში ძირითადად გამოიხატებოდა საქართველოს კომკავშირის წინააღმდეგ როგორც ორგანიზაციულ, ასევე იდეოლოგიურ ფრონტზე გამუდმებულ ბრძოლაში, რომელიც ძირითადად პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა. ხოლო რაც შეეხება საკითხს „ახალგაზრდა მარქსისტთა“ პოლიტიკური მიმართულების შესახებ, ამაზე გარკვევითაა მითითებული ყოფილ „ახალგაზრდა მარქსისტთა“ სრულიად საქართველოს ყრილობის წლისთავთან დაკავშირებით 1924 წელს გამოცემულ მასალებში „კომინტერნის დროშის ქვეშ“. ყოფილი ახალგაზრდა მარქსისტი ვ. ბერიძე ხაზგასმით მიუთითებს, რომ „ახალგაზრდა მარქსისტები“ პოლიტიკური გზის მიხედვით აკეთებდნენ მენშევიზმის საქმეს, შეადგენდნენ მენშევიზმის ცოცხალ ნაწილს. მაშასადამე არსებითად ემსახურებოდნენ რევოლუციის საწინააღმდეგო საქმეს“ [2]. აღნიშნულს კიდევ უფრო ჭეშმარიტებად ხდის ფაქტი იმის შესახებ, რომ „ახალგაზრდა მარქსისტებმა“ 1922 წლის სექტემბრიდან ოფიციალურად თეთრი ტერორი გამოუცხადეს საბჭოთა ხელისუფლებას [3].

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაცია იყო არა „კულტურული“, არამედ აშკარა კონტრრევოლუციური ორგანიზაცია, რომელსაც ფართოდ ჰქონდა გადგმული ფესვები სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. ამავე დროს, როგორც მასალები ადასტურებს, მას სათანადო მხარდაჭერა და ხელშეწყობა ჰქონდა კომკავშირული ორგანიზაციის ზოგიერთი მერყევი წევრისაგანაც. როგორც საარქივო მასალებისა და სპეციალური ლიტერატურის შესწავლიდან ირკვევა, ასეთივე მდგომარეობა იყო საქართველოს კომპარტიის რიგებშიაც. თუ როგორ იბრძოდა საქართველოს კომპარტიის თითოეული რგოლი პარტიის რიგების სიწმინდისათვის, ამის საი-

---

[1] გაზ. „ჩვენი გზა“, 1920 წ. 8 ივლისი, № 3.

[2] კრებული „კომინტერნის დროშის ქვეშ“, თბ., 1924.

[3] ჟურნ. „მომავალი“, 1923, № 4, გვ. 16.

ლოკალურად გამოიყენება გურიის სამხრეთ კომიტეტის პირველი კონფერენციის (1921 წლის 15 ივლისი) მიერ მიღებული რეზოლუციაც, რომელშიც კონკრეტულად იყო მითითებული პარტიის რიგებიდან მავნე ელემენტების დაუყოვნებლივ განდევნის შესახებ[1]. აღნიშნულმა რეზოლუციამ ფართო გამოძახილი ჰპოვა საქართველოს სხვა რეგიონებშიც. ამის საუკეთესო დამადასტურებელია თენგიზ ის ფაქტი, რომ გურიის სამხრეთ კომიტეტის მითითებების კვალდაკვალ საქართველოს კომკავშირმაც მთელი პრინციპულობით დააყენა ლოზუნგი — „ყველა ხელის შემშლელი და უვარგისი ელემენტები კომკავშირიდან უნდა განიდევნოს“[2].

ამ შემთხვევაში ინტერესს მოკლებული არ იქნება, თუკი ზოგადად მაინც შევეხებით აღნიშნული ლოზუნგის გარშემო იმ გამოხმაურებას, რომელიც მან პოვა გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე. იმ ძირითადი მასალიდან, რომლებიც „კომუნისტმა“ გამოაქვეყნა, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს კ. ორაგველიძის სტატია — „კვლავ პერერეგისტრაციის შესახებ“. მასში ავტორი კომკავშირის რიგების გაწმენდას აუცილებლად მიიჩნევს და აყენებს საკითხს იმის შესახებ, რომ აღნიშნულ ღონისძიებაში ფართოდ ჩაებათ ყველა კომკავშირული ორგანიზაციის აქტივისტი, ისიც საგულისხმოა, რომ კ. ორაგველიძე დასახელებულ სტატიაში ახალგაზრდობას დამაჯერებლად განუმარტავს იმ ძირითად მიზეზებსა და აუცილებლობას, რამაც განაპირობა კომკავშირის რიგების წმენდა. იგი ახალგაზრდობას მოაგონებდა, რომ „მავნე ელემენტები ყოველ კრიტიკულ მომენტში უღალატებენ კავშირს, უღალატებენ მის წითელ დროშას, ისინი დასცემენ მის პატივისცემას ხალხში. მაშ ნუ შევჩერდებით ნურაფრის წინაშე. კავშირში დავტოვოთ ისეთი ამხანაგები, რომლებიც ბოლომდის გაგვყვება, რომლებიც არ შეუშინდება დაბრკოლებებს“[3].

უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენთვის საინტერესო საკითხზე ზემოთ მოტანილი პრესის მასალებში გატარებული აზრის დადასტურების თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომი-

---

1 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, საქ. 59, ფურც. 5.
2 გაზ. „კომუნისტი“, 1921 წ. 11 დეკემბერი.
3 იქვე, 3 ივნისი, № 75.

ტეტის 1921 წლის 12 სექტემბრის ცირკულარი, რომელიც თავის დროზე დაეგზავნა რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციის უკელა სამაზრო და საოლქო კომიტეტს. ამ დოკუმენტში კომკავშირის რიგების წმენდა დროულად და სწორადაა მიჩნეული, და, რაც მთავარია, იგი ორგანიზაციის სასიცოცხლო საქმეროებადაა გამოცხადებული. მასში მთელი პრინციპულობითაა დასმული საკითხი იმის შესახებ, რომ შეცდომებისაგან წინასწარი თავის დაზღვევისა და პრაქტიკული გამოცდილების შეძენის მიზნით ეამწმენდი კომისიები ახლო ურთიერთობაში ყოფილიყვნენ პარტიასთან, რაც შესაძლებლობას მისცემდა თითოეულ კომკავშირულ ორგანიზაციას კომკავშირელებთან ერთად ამ საქმეში აქტიურად ჩაება პარტიის თითოეული წევრი“ [1].

როგორც ჩვენს ხელთ არსებული მასალების შესწავლიდან ირკვევა, 1921—1922 წლებში რეორგანიზაციის პროცესის გატარებასთან დაკავშირებით ანტისაბჭოთა პარტიებისა და ორგანიზაციების გამოსვლებმა, რომლებშიც აქტიურად იყო ჩაბმული მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობა, უმაღლეს წერტილს მიაღწია. ცხოვრებისეულმა სინამდვილემ დღის წესრიგში დააყენა მათთან უკომპრომისო ბრძოლის წარმოების აუცილებლობა. თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო აღნიშნული საკითხის დაუყოვნებლივ გადაწყვეტა, ამაზე ნათლად მეტყველებს იმ პერიოდის პრესაში გამოქვეყნებული მასალები [2]. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ უმაღლესი სასწავლებლების კომკავშირული ორგანიზაციების რეორგანიზაციისა და მისი გაწმენდის საქმეში გადამწყვეტი როლი შეასრულა საქართველოს კომკავშირის პირველმა კონფერენციამ (1922 წლის 5 დეკემბერი). კონფერენციამ მთელი პრინციპულობით დააყენა საკითხი სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების მავნე ელემენტებისაგან დაუყოვნებლივ გაწმენდის შესახებ. მიღებულ დადგენილებაში ხაზგასმითაა მითითებული: „უნდა გაიწმინდოს დაუყოვნებლივ უმაღლესი სასწავლებლები მავნე და კონტრრევოლუციური ელემენტებისაგან“ [3].

აღნიშნულმა და სხვა პროგრამულმა მითითებებმა, რომელთა შე-

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 96, აღწ. 1, საქ. 9, ფურც. 45.

[2] გაზ. „ტრიბუნა“, 1922 წ. 1 დეკემბერი, № 263; 1923 წ. 5 იანვარი, № 387; გაზ. „კომუნისტი“, 1922 წ. 6 დეკემბერი; 1923 წ. 14 ნოემბერი, № 262.

[3] გაზ. „სპარტაკი“, 1922 წ. 12 დეკემბერი, № 15.

სახებ ზემოთაც გვქონდა საუბარი. საქართველოს კომკავშირი დასახული ამოცანის გადაწყვეტის მიზნით მონოლითურად შეაკავშირა. სწორედ ეს განაპირობებდა იმ დიდ წარმატებას, რასაც თავისი რიგების წმენდის საკითხთან დაკავშირებით მიაღწია კომკავშირულმა ორგანიზაციამ. როგორც ცნობილია, საქართველოს კომკავშირის რიგების წმენდა დაიწყო 1921 წლის 20 ნოემბერს და დამთავრდა 1922 წლის მარტში. არსებული მასალებიდან ირკვევა, რომ კომკავშირის რიგებიდან გაირიცხა 3 571 კაცი, ხოლო წევრობიდან კანდიდატად გადაიყვანეს 1429 კაცი[1].

უნდა შევნიშნოთ, რომ, მართალია, კომკავშირი თავისი ორგანიზაციის წმენდას, როგორც ზემოთაც მივუთითეთ, პარტიის უშუალო ზედამხედველობის ქვეშ ახორციელებდა. მაგრამ მასალების გულმოდგინე შესწავლამ ცხადყო, რომ აღნიშნული პროცესი უმტკივნეულოდ არ ჩატარებულა და მას თან სდევდა შეცდომები. ასეთივე მდგომარეობა იყო არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ ამიერკავკასიაში. როგორც ირკვევა, აღნიშნული ხარვეზები იმდენად საზიანო იყო, რომ მისი დაუყოვნებლივ გაძოსწორების მიზნით სპეციალურად იმსჯელა ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა; ხოლო რაც შეეხება მის მიერ ამიერკავკასიის რესპუბლიკების კომკავშირული ორგანიზაციებისადმი დაგზავნილ ცირკულარს, მასში კონკრეტულად იყო მითითებული დადებითთან ერთად იმ უარყოფით შედეგებზე, რაც წმენდას მოჰყვა. ცირკულარის მიხედვით გამწმენდმა კომისიამ დაუშვა შეცდომები, რამაც უარყოფითი შედეგი გამოიღო იმ მხრივ, რომ ბევრი უდანაშაულო გაირიცხა კომკავშირის რიგებიდან, და, რაც მთავარია, წმენდის პროცესში კომკავშირულ ორგანიზაციებში შესუსტდა პოლიტ-აღმსრდელობითი მუშაობა[2]. მაგრამ მიუხედავად ზემოაღნიშნული ზოგიერთი ნაკლისა, საარქივო და პრესის მასალების საფუძვლიანმა კრიტიკულმა შეჯერებამ ცხადყო, რომ კომკავშირის რიგებში ჩატარებულმა წმენდამ ხელი შეუწყო თითოეული ორგანიზაციის გაძლიერებას, მისი ავტორიტეტის ზრდას, და, რაც მთავარია, ანტისაბჭოთა ელემენტების განდევნას კომკავშირიდან, რითაც საყოველთაოდ ცნობილი გახდა თუ ვინ იყო საბჭოთა ხელი-

---

[1] ჟურ. „კომუნისტი", 1922 წ. 8 ივნისი.

[2] ეროვნული არქივი (თბილისი), ფ. 96, აღწ. 1, საქ. 9, ფურც. 37.

სუფლების მტერი და მეგობარი. როგორც ირკვევა, ამ პროცესში პოლიტ-აღმზრდელობითი მუშაობის ერთგვარმა მოდუნებამ წარმოშვა „ახალგაზრდა მარქსისტების" მხრივ იდეოლოგიურ ფრონტზე ბრძოლის გააქტიურება. რასაც ნაწილობრივ ადასტურებს საქართველოს ცენტრალური კომიტეტისადმი გაგზავნილი გურიის სამაზრო პარტიული კომიტეტის 1922 წლის ანგარიში [1]. აგრეთვე გაზეთ „კომუნისტში" დაბეჭდილი კ. გორდელაძის სტატია — „ვის მიმართავენ ბოწოდებით?"[2]. ეს სტატია მცირეოდენი ცვლილებებით გადმობეჭდა გაზეთმა „სპარტაკმა" [3]. აღნიშნული სტატიით ჩვენ ვგებულობთ, რომ „ახალგაზრდა მარქსისტებმა", რომლებიც ვერ ურიგდებოდნენ საქართველოს კომკავშირის მიერ გატარებულ ღონისძიებებს, კომკავშირული ორგანიზაციების რეორგანიზაციისა და წმენდის შესახებ. 1922 წლის ოქტომბერში მოწოდებით მიმართეს საქართველოს ახალგაზრდობას, რათა ამ უკანასკნელს სათანადო მსჯავრი გამოეტანა საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

როგორც მოწოდებიდან ირკვევა, ისინი კომუნისტებს ბრალად სდებდნენ, რომ თითქოს „მათ ციხედ გადააქცევეს მთელი საქართველო და შიგ ჩაყარეს ხალხის საუკეთესო შვილები"[4]. უნდა აღვნიშნოთ, რომ „ხალხის საუკეთესო შვილებში" „ახალგაზრდა მარქსისტები" თავიანთ თავს გულისხმობდნენ. ხოლო, რაც შეეხება საქართველოს კომკავშირის მიერ გატარებულ ენერგიულ ღონისძიებებს მათი ანტისაბჭოური საქმიანობის წინააღმდეგ, ეს ფაქტი მათში გაოცებას იწვევდა. ჩვენი აზრით, „ახალგაზრდა მარქსისტთა" გაოცება იმით იყო გამოწვეული, რომ მათ ნებით თუ უნებლიეთ დავიწყებას მისცეს მენშევიკური ბატონობის პერიოდის ისტორიული მომენტები. განსაკუთრებით მათი უშუალო ინიციატივით მოწყობილი კომკავშირის საშინელი რბევა სამეგრელოსა და გურიაში 1918—1919 წლების აჯანყების დამარცხების დროს. როგორც სათანადო მასალების შესწავლიდან დასტურდება, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით „ახალგაზრდა მარქსისტები" თავის დროზე დუმდნენ და არაფერს ამბობდნენ, რადგან მენშევიკური მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიე-

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. I, საქ. 857, ფურც. 2.
[2] გაზ. „კომუნისტი". 1922 წ. 11 ოქტომბერი, № 233.
[3] გაზ. „სპარტაკი", 1922 წ. 22 ოქტომბერი, № 9.
[4] გაზ. „კომუნისტი", 1922 წ. 11 ოქტომბერი, № 233.

ბები გამოხატავდა თვით „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ინტერესებს; მეორეს მხრივ, მათი იდეოლოგიური მსოფლმხედველობა ერთნაირი იყო და ერთ საერთო მიზანს ემსახურებოდა, რაც აშკარად გამოიკვეთა საბჭოთა ხელისუფლების წლებში. ამის დამადასტურებელია თუნდაც ის ფაქტი, რომ ზემოთ აღნიშნულ მათ მიერ გავრცელებულ პროკლამაციაში ისინი მენშევიკების მსგავსად მისტიროდნენ დაკარგულ ბატონობას და შურისძიებით შეპყრობილნი კომუნისტებს ბრალად სდებდნენ, თითქოს „მათ მოსპეს საქართველოს დამოუკიდებლობა... მოშალეს და დაანგრიეს ჩვენი სამეურნეო ცხოვრება და ხალხი საშინელი შიმშილისა და ეპიდემიის საფრთხის წინაშე დააყენეს“[1]. ამ ცილისწამებასთან დაკავშირებით კ. გორდელაძეს აღნიშნულ სტატიაში მოჰყავს შესაბამისი მამხილებელი მასალები. იგი მიუთითებს იმ დიდ წარმატებაზე, რომელსაც საქართველომ მიაღწია საბჭოთა ხელისუფლების პირველივე წლებში და აღნიშნულიდან გამომდინარე დასძენს, რომ „მხოლოდ ბრმებსა და ყრუებს არ შეუძლიათ დაინახონ და გაიგონ ის დიდი მუშაობა სამეურნეო ფრონტზე და ის სამეურნეო დახმარება, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება უწევს მშრომელ ხალხს“[2].

ამრიგად, საარქივო და ბოლშევიკური პრესის ფურცლებიდან ზემოთ მოტანილი ეს მასალები ნათელი დადასტურებაა იმისა, თუ რა დიდ უკომპრომისო ბრძოლას ეწეოდა საქართველოს კომკავშირული ორგანიზაცია იდეოლოგიურ ფრონტზე. სათანადო მასალების ანალიზმა ნათელყო, რომ „ახალგაზრდა მარქსისტთა“ თითქმის ყოველი ბრალდება საბჭოთა ხელისუფლების მიმართ გააქარწყლა საქართველოს კომკავშირმა, რის გამოც „ახალგაზრდა მარქსისტებმა“ ვერ შეძლეს იმ ფუნქციის შესრულება, რომელიც ითვალისწინებდა ქართველი ახალგაზრდობის გადმობირებასა და მის ამხედრებას საქართველოს ბოლშევიკური მთავრობის წინააღმდეგ.

ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ, რამდენადაც „ახალგაზრდა მარქსისტებმა“ ვერ შესძლეს ქართველი ახალგაზრდობის თავიანთი სურვილისამებრ გამოყენება, და მარცხი განიცადეს იდეოლოგიურ ბრძოლაში, ამის შემდეგ ცხადია ლოგიკური უნდა ყოფილიყო მათთვის, რომ ისინი ან შერიგებოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას, ანდა მოეს-

---

[1] გაზ. „სპარტაკი“, 1922 წ. 22 ოქტომბერი, № 9.

[2] იქვე.

დინათ ორგანიზაციის თვითლიკვიდაცია. მაგრამ ეს ასე არ მოხდა, რადგან 1. მათ საქართველოში ზურგს უმაგრებდა არალეგალურად მოქმედი ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერი მენშევიკური პარტია. 2. „ახალგაზრდა მარქსისტები", რომლებიც მჭიდრო ურთიერთობაში იმყოფებოდნენ ახალგაზრდობის მეორე ინტერნაციონალთან. დასავლეთ ევროპის იმპერიალისტური წრეების დახმარებისა და მხარდაჭერის დიდი იმედი ჰქონდათ, 3. ისინი ფიქრობდნენ, რომ რამდენადაც ბოლშევიკები ვერ შესძლებდნენ ახალი სოციალისტური კულტურის აღორძინებასა და აშენებას, თავისთავად მოხდებოდა საბჭოთა ხელისუფლების ლიკვიდაცია მთელ რუსეთში [1].

რაც შეეხება ამ უკანასკნელ „თეზისს" საბჭოთა ხელისუფლების სათავეში კედომის შესახებ, რომელსაც „ახალგაზრდა მარქსისტები" აყენებდნენ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამის შესახებ არც მის შემქმნელ ავტორებს სწამდა, ეს რომ ასეა, ამას გვაფიქრებინებს ის ფაქტი, რომ აღნიშნული „თეზისის" შემდეგ „ახალგაზრდა მარქსისტებმა", როგორც ირკვევა, ანტისაბჭოთა საქმიანობის გაძლიერებასთან ერთად. დააყენეს საკითხი კომკავშირულ ორგანიზაციებში ფარულად შესვლის შესახებ, რათა მასში შეეტანათ გახრწნა და მოეხდინათ მისი შიგნიდან აფეთქება. ჩვენ წინაშე ისმება საკითხი: თუკი საბჭოთა ხელისუფლება უახლოეს ხანში, როგორც „ახალგაზრდა მარქსისტები" ამტკიცებდნენ, „თავის თავშივე ჩაკვდებოდა", მაშინ რაღა საჭირო იყო მენშევიკურ პარტიაზე დაყრდნობით მის წინააღმდეგ ანტისაბჭოური საქმიანობის ისევ გაღრმავება და დეზორგანიზაციის შეტანის მიზნით კომკავშირული ორგანიზაციის რიგებში შესვლა?

უნდა შევნიშნოთ, რომ „ახალგაზრდა მარქსისტები" ზემოთ აღნიშნული „თეზისით" ცდილობდნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად ოპტიმისტური სულისკვეთებით განეწყოთ წვრილბურჟუაზიულ ორგანიზაციებში გაერთიანებული ახალგაზრდობა. შესძლებდა თუ არა დასახული მიზნის განხორციელებას „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაცია, ამას დრო დაამტკიცებდა. მაგრამ თვით ორგანიზაციის მიერ გადადგმული ნაბიჯი, ახალი საფრთხის წინაშე აყენებდა კომკავშირულ ორგანიზაციებს და მათგან მოითხოვდა ახალგაზრდობაში მუშაობის განსაკუთრებულ სიფრთხილეს.

ინტერესს მოკლებული არ იქნება თუკი აღვნიშნავთ, რომ „ახალ-

---

[1] ჟურნ. „მომავალი", 1923, № 4, გვ. 18.

ვაზრდა მარქსისტთა“ მოსალოდნელი ახალი საფრთხის შესახებ სათანადო მასალები და მამხილებელი სტატიები ხშირად ქვეყნდებოდა კომკავშირული პრესის ფურცლებზე. ამ მხრივ მნიშვნელოვანია გ. დევდარიანის წერილი — „საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტები იმპერიალისტების სამსახურში“. მასში ავტორმა მთელი დამაჯერებლობით ამხილა „ახალგაზრდა მარქსისტთა“ კავშირი დასავლეთ ევროპის იმპერიალისტურ წრეებთან და მისი ჯაშუშური საქმიანობა ადგილობრივ კონტრრევოლუციასთან. ამ უკანასკნელის დასადასტურებლად ავტორს მოჰყავს ქუთაისიდან „ახალგაზრდა მარქსისტების“ რაჭის კომიტეტისადმი ს. მდივნის მიერ გაგზავნილი წერილის ერთი ადგილი, სადაც აღნიშნულია: „თუ რაიმე ცნობები ჩაგივარდეთ ხელში (კომკავშირის მუშაობის შესახებ — შ. ვ.), გადმოგვიგზავნეთ ჩვენ, ეს გამოსადეგი იქნება თქვენთვისაც“ [1].

უნდა შევნიშნოთ, რომ „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის მესვეურებს, ანტისაბჭოურ ძირგამომთხრელ საქმიანობაში დიდ დახმარებასა და მხარდაჭერას უწევდა იმ პერიოდში საქართველოში არალეგალურად მოქმედი ახალგაზრდობის ანტიპროლეტარული ორგანიზაციები, რომელთაგან საყურადღებოა „ახალგაზრდა ებრაელთა“, „ახალგაზრდა დაშნაკთა“ და ახალგაზრდობის „გნჩაკის“ ორგანიზაციები. ამ საკითხთან დაკავშირებით საარქივო და პრესის მასალების ფუმილი იმით უნდა აიხსნას, რომ აღნიშნული ორგანიზაციები „ახალგაზრდა მარქსისტებთან“ შედარებით ძალზე სუსტი იყო, რამაც განაპირობა საქართველოს კომკავშირის მიერ მათდამი შედარებით ნაკლები ყურადღება.

მიუხედავად ამისა, არსებული მწირი მასალების საფუძველზე მოკლედ წარმოვადგენთ თითოეული ზემოთ აღნიშნული ორგანიზაციის ისტორიას. „ახალგაზრდა ებრაელთა ორგანიზაცია“ დაარსდა თბილისში 1921 წელს. იგი თავის რიგებში აერთიანებდა მხოლოდ 20 კაცს. პოლიტიკური თვალსაზრისით ეს ორგანიზაცია ანტიკომუნისტური იყო [2]. როგორც პროფ. გ. ჟვანია მიუთითებს, ამგვარი ორგანიზაცია რუსეთშიაც არსებობდა, მაგრამ მათ არც საქართველოში და არც რუსეთში არავითარი სერიოზული მუშაობა არ ჩაუტარებიათ. „ახალგაზრდა ებრაელთა ორგანიზაციის“ წინააღმდეგ ბრძო-

---

[1] ჟურნ. „მოზვალი“, 1923, № 4, გვ. 16.

[2] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 96, აღწ. 1, საქ. 17, ფურც. 138.

ლის საკითხი გადაჭრით დააყენა რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის კავკასიის პირველმა ყრილობამ, რომლის დადგენილების საფუძველზე. საქართველოს კომკავშირის მიერ გაჩაღებული იდეური ბრძოლის შედეგად ეს ორგანიზაცია 1924 წელს დაიშალა [1].

„ახალგაზრდა დაშნაკთა" ორგანიზაცია (მისი დაარსების თარიღი დაუდგენელია) არსებობდა თბილისში. „სოლოლაკის" უბანში და აერთიანებდა დაშნაკთა პარტიის წევრთა შვილებს (150 კაცს). ამიტომ ამ ორგანიზაციის წევრებს მეტსახელად „მამის შვილებს" ეძახდნენ. ეს ორგანიზაცია, ისევე როგორც დაშნაკთა პარტია, ოცნებობდა „დიდი სომხეთის" შექმნაზე — „ზღვიდან ზღვამდე". ორგანიზაცია თავისი ბურჟუაზიული ნაციონალისტური მსოფლმხედველობის გამო მიწყვეტილი იყო მშრომელ ახალგაზრდობას, რის გამოც იგი საჭირო რეზერვების ნაკლებობას განიცდიდა. მაშინ, როდესაც მარტო თბილისის კომკავშირულ ორგანიზაციაში 500-ზე მეტი სომეხი ახალგაზრდა ირიცხებოდა. „ახალგაზრდა დაშნაკთა" ორგანიზაცია დაიშალა 1924 წელს [2].

ახალგაზრდობის „გნჩაკის" ორგანიზაცია შეიქმნა 1921 წელს, მას ხელმძღვანელობას უწევდა სოციალ-დემოკრატიული კომუნისტური პარტიის, „გნჩაკის" ცენტრალური კომიტეტი [3]. მართალია, ისინი თავს კომუნისტებს უწოდებდნენ, მაგრამ სინამდვილეში, როგორც მათი მსოფლმხედველობიდან ირკვევა, იგი წვრილბურჟუაზიული ორგანიზაცია იყო. მიუხედავად ამისა, აღნიშნულმა ორგანიზაციამ აღიარა მესამე კომუნისტური ინტერნაციონალი.

საქმე იმაშია, რომ ამით მას სურდა საქართველოს კომკავშირს ოფიციალურად ეცნო მისი „დეფაქტო" და „დეიურე". ისიც საყურადღებოა, რომ იგი, სინამდვილეში, კომუნისტურ შეხედულებებს ამოფარებული, ნაციონალისტურ პოზიციაზე იდგა, რითაც საფრთხეს უქმნიდა ახალგაზრდობის ინტერნაციონალურ საწყისებზე აღზრდას. სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში საქართველოს კომკავშირის პირველ ლეგალურ ყრილობას, როდესაც მან დააყენა სა-

---

[1] გ. ე ვ ა ნ ი ა. საქართველოს კომკავშირის ისტორიის ნარკვევები, გვ. 125; ავტორთა კოლექტივი: გ. ე ვ ა ნ ი ა, ვ. ქ ა რ უ მ ი ძ ე, ნ. ჩ ა ხ ვ ა შ ვ ი ლ ი. საქართველოს კომკავშირის ისტორია, გვ. 127—128.

[2] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 96, აღწ. 1, საქ. 17, ფურც. 138.

[3] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, საქ. 12, ფურც. 34.

კითხი ამ ორგანიზაციის ლიკვიდაციის შესახებ[1]. რამდენადაც აღნიშნული ორგანიზაცია მოკლებული იყო ახალგაზრდობის მხარდაჭერას, რეზერვების უქონლობისა და საქართველოს კომკავშირის შეურიგებელი ბრძოლის შედეგად იგი მალე გაკოტრდა და თავისი ინიციატივითვე გამოაცხადა თვითლიკვიდაცია.

ასეთივე სახის სუსტი ორგანიზაციები არსებობდა აფხაზეთში, რომელთაგან აღსანიშნავია: აფხაზეთის ახალგაზრდობის კავშირი, ბერძენი ახალგაზრდობის კავშირი, ებრაული ახალგაზრდობის კავშირი — „მაკაბი"[2] და სხვ.

რამდენადაც ზემოთ აღნიშნული ორგანიზაციები ანტისაბჭოთა საქმიანობაში „ახალგაზრდა მარქსისტების" ხელშემწყობის როლში გამოდიოდნენ, ამიტომ, როგორც პროფ. გ. ყვანია მიუთითებს, საქართველოში ახალგაზრდობის ყველა წვრილბურჟუაზიული ორგანიზაცია და ჯგუფი არსებითად წარმოადგენდა მენშევიზმის, მემარჯვენე ფედერალისტებისა და სხვა წვრილბურჟუაზიული პარტიების აგენტურას მშრომელი ახალგაზრდობის შიგნით. ისინი ასრულებდნენ ახალგაზრდობაში წვრილბურჟუაზიული ოპორტუნისტული პარტიების გავლენის გამტარებლის როლს. ამიტომ მათ წინააღმდეგ ბრძოლა და მათი განადგურება კომკავშირისათვის არსებითი მნიშვნელობის საქმეს წარმოადგენდა. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა კომკავშირის მხარეზე მშრომელი ახალგაზრდობის გადმოყვანა და მათი აქტიური ჩაბმა დანგრეული სახალხო მეურნეობის სამუშაოებში. ამავე დროს შეუძლებელი იქნებოდა მშრომელი ახალგაზრდობის აღზრდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით[3]. ყოველივე ეს კარგად ესმოდა ახალგაზრდობის ანტიპროლეტარულ ორგანიზაციებს, ამიტომ მათ თავიანთი ძალების მობილიზაციის საწყისებზე შესძლეს მენშევიკურ პარტიასთან ერთად ახალი ენერგიით შეეტიათ საბჭოთა სახელმწიფოსათვის.

ამრიგად, მოტანილი ფაქტების სათანადო ანალიზი საეუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ კომკავშირული ორგანიზაციის თანამიმდევრული იდეოლოგიური ბრძოლის შედეგად მთელ რიგ საკითხებში განცდილი მარცხის მიუხედავად, „ახალგაზრდა მარქსისტთა" ან-

---

[1] კრებული „ბორის ძნელაძე", თბ., 1981, გვ. 60—61.

[2] გ. ყ ვ ა ნ ი ა, საქართველოს კომკავშირის ისტორიის ნარკვევები, გვ. 125.

[3] ი ქ ვ ე.

ტიბოლშევიკური საქმიანობა მენშევიკური პარტიის და ზემოთ აღნიშნული ახალგაზრდობის ანტიპროლეტარული ორგანიზაციების ხელშეწყობით ახალ ფაზაში შევიდა, რამაც კიდევ უფრო რთული ამოცანის წინაშე დააყენა საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციები. ამ ეტაპზე კომკავშირის წინაშე დასმული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა უშუალოდ იყო დამოკიდებული მენშევიკური პარტიის წინააღმდეგ საქართველოს კომუნისტური პარტიის წარმატებით ბრძოლაზე.

* * *

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველი წლებიდანვე, საქართველოს კომკავშირმა განსაკუთრებული ადგილი დაუთმო ნაციონალისტური შეხედულებების წინააღმდეგ ბრძოლას. რადგან იმ ეტაპზე ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ფაქტობრივად ნიშნავდა „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციისა და მენშევიკური პარტიის მხილებას. ამ შემთხვევაში ჩვენ განსაკუთრებით ვუსვამთ ხაზს მენშევიკური პარტიის საქმიანობას, რადგან იგი მთელი თავისი „მოღვაწეობის“ პერიოდში ზურგს უმაგრებდა „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ანტისაბჭოურ საქმიანობას და, რაც მთავარია, „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ნაციონალიზმი ძირითადად მენშევიკური პარტიის იდეოლოგიის ფუნდამენტზე იყო აღმოცენებული. ამის დამადასტურებელია ჟურნალ „მომავალში“ გამოქვეყნებული კ. ორაგველიძის სტატია — „ბრძოლა მარქსიზმის შესწავლისა და გავრცელებისათვის“, რომელშიც ავტორი „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ნაციონალისტური საქმიანობის განხილვისას მთელი რიგი ფაქტების მოშველიების საფუძველზე მიუთითებს, რომ „ქართველ სოციალდემოკრატებმა ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია გამოაბეს თავის ნაციონალურ ურემზე და მათთან ერთად დაქანდნენ დაღმართისაკენ“ [1]. „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ანტისაბჭოური იდეოლოგიის ერთ-ერთ ქვაკუთხედს, მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანიზაციის მსგავსად, წარმოადგენდა ნაციონალიზმის დამკვიდრებისა და მისი გაღრმავებისათვის ბრძოლა. თუ რამდენად დიდი მნიშვნე-

---

[1] ჟურნ. „მომავალი“, 1923, № 1, გვ. 16.

ლობა ენიჭებოდა აღდგენით პერიოდში საქართველოში ნაციონალისტური რეციდივების აღმოფხვრას. ამის შესახებ დაწვრილებითაა საუბარი იმ სამეცნიერო ლიტერატურაში, რომელიც დღემდეა შექმნილი [1]. მიუხედავად ამისა, აღნიშნულ საკითხზე არსებული შრომების ნაკლად უნდა ჩაითვალოს მათში ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოს კომკავშირის როლისა და დამსახურების იგნორირება. ამ შემთხვევაში მხოლოდ გამონაკლისს წარმოადგენს ი. კაჭარავას ნაშრომი [2], რომელშიც მოკლედ, მაგრამ საინტერესოდ და დამაჯერებლადაა მოცემული პარტიის მხარდამხარ ნაციონალიზმის წინააღმდეგ საქართველოს კომკავშირის ბრძოლის სურათი.

როგორც სათანადო სამეცნიერო ლიტერატურისა და საარქივო მასალების შესწავლიდან ირკვევა, ქართველ კომუნისტებს კარგად ესმოდათ, რომ სოციალისტური გარდაქმნების სრულყოფილად გატარების მიზნით აუცილებელი იყო ნაციონალიზმის ყოველგვარი გადმონაშთების წინააღმდეგ შეუნელებელი ბრძოლა და მასში კომკავშირული ორგანიზაციების აქტიური ჩაბმა. ისიც აღსანიშნავია, რომ ნაციონალიზმის წინააღმდეგ პარტიის მთელი ღონისძიებანი ერთგვარი სტიმულირების ფუნქციებს ასრულებდა კომკავშირული ორგანიზაციების მიმართ. უნდა აღინიშნოს ის განსაკუთრებული ყურადღება, რასაც კომუნისტური პარტიის მესვეურები იჩენდნენ ამ მიმართულებით.

თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ეროვნული საკითხის დროულად გადაჭრას, ამის საუკეთესო დამადასტურებელია საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის საერთო კრებაზე (1921 წლის 6 ივლისი) ი. ბ. სტალინის მოხსენება „კომუნიზმის მორიგ ამოცანებზე საქართველოსა და ამიერკავკასიაში". მასში მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად ი. ბ. სტალინმა კატეგორიულად მოითხოვა ულმობელი ბრძოლა გამოეცხადებინათ ყოველგვარი ნაციონალიზმის წინააღმდეგ, გაესრისათ „ნაციონალიზ-

---

[1] ი. კაჭარავა, ქართული ისტორიოგრაფიის საკითხები, თბ., 1962, გვ. 417—420.

[2] მისივე, საქართველოს კომუნისტების ბრძოლა ნაციონალ-უკლონიზმის წინააღმდეგ და ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნა, ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 1, თბ., 1953, გვ. 86—93.

მის გველეშაპი" და შეექმნათ ინტერნაციონალიზმის ჯანსაღი ატმოსფერო[1].

როგორც ირკვევა, აღნიშნულ მითითებათა საფუძველზე, ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი საქართველოს ყველა სამაზრო პარტიული ორგანიზაციის მსჯელობის საგანი გახდა. ამ მხრივ საყურადღებოა გურიის სამაზრო პარტიული ორგანიზაცია, რომელმაც 1921 წლის 15 ივლისს მოწვეულ სამაზრო პარტიულ კონფერენციაზე სპეციალურად განიხილა ნაციონალიზმის საკითხი და კატეგორიულად მოითხოვა მის წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლის გაძლიერების აუცილებლობა[2]. ანალოგიური დადგენილებები იქნა მიღებული სხვა მაზრების პარტიულ კონფერენციებზეც.

ზემოთ აღნიშნულ სამაზრო კონფერენციებზე ნაციონალიზმის წინააღმდეგ მიღებულმა გადაწყვეტილებებმა მყარი ნიადაგი მოუმზადა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) პირველ ყრილობაზე (1922 წლის 22 იანვარი — 1 თებერვალი) ეროვნული საკითხის განხილვას.

ყრილობამ ეროვნულ საკითხთან დაკავშირებით მიღებულ რეზოლუციაში ჩამოაყალიბა საქართველოს კომპარტიის ძირითადი ამოცანები. დაავალა რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებს კიდევ უფრო მეტი ენერგიით გაეძლიერებინათ ბრძოლა მენშევიკური მთავრობის მიერ „მემკვიდრეობად" დატოვებული ყოველგვარი ნაციონალიზმის წინააღმდეგ[3].

რამდენადაც ნაციონალიზმის წინააღმდეგ წარმატებით ბრძოლაზე დიდად იყო დამოკიდებული საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების საკითხი, საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც შეიარაღებული იყვნენ ლენინური დებულებებით, რესპუბლიკაში ფართოდ გააჩაღეს ბრძოლა იმ პროგრამის განსახორციელებლად, რომელიც ყრილობამ დაუსახა ქართველ კომუნისტებს. ამ მიმართულებით ჩატარებულ მუშაობაში, პარტიულ ორგანიზაციებს განუყრელად ედგა მხარში კომკავშირული ორგანიზაციები, რომელთა მუშაობის ძირითად პროგრამად გადაიქცა ი. ბ. სტალინის ზემოთ დასახე-

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 5, 1949, გვ. 105—109.

[2] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, საქ. 59, ფურც. 4.

[3] За образование Союза Советских Социалистических Республик (документы и материалы), Тб., 1972, гз. 100.

ლებული მოხსენება „კომუნიზმის მორიგ ამოცანებზე საქართველოსა და ამიერკავკასიაში“, საქართველოს სამაზრო პარტიულ ორგანიზაციათა კონფერენციების მიერ შემუშავებული წინადადებების საფუძველზე საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხთან დაკავშირებით მიღებული თეზისები [1] და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) პირველ ყრილობაზე მიღებული რეზოლუციები.

ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოს კომკავშირულ ორგანიზაციებს დიდ დახმარებას უწევდა და სწორ ორიენტაციას აძლევდა გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული კომკავშირის ხელმძღვანელ მუშაკთა სტატიები, რომელთა შორის საინტერესოა გ. დევდარიანის სტატია — „რა უნდა ვაკეთოთ“ [2]. მასში ავტორმა განსაზღვრა კომკავშირის პოზიცია პარტიასთან ურთიერთობაში და აუცილებლობად მიიჩნია რევოლუციური დაწესებულებების ყოველი ბრძანების ცხოვრებაში დაუყოვნებლივ გატარება. უნდა შევნიშნოთ, რომ ზემოთ აღნიშნულმა მითითებებმა ხელი შეუწყო კომკავშირის აქტიურ ჩაბმას ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამას ადასტურებს თუნდაც საქართველოს კომკავშირის მიერ 1921 წლის ივლისში „კომკავშირის ყველა წევრისადმი“ გამოცემული ცირკულარი, რომელიც განსახილველად დაეგზავნა ყველა კომკავშირულ ორგანიზაციას. მასში ხაზგასმითაა მითითებული, უფრო სწორად, მოწოდებაა ახალგაზრდობისადმი, „რათა ამ უკანასკნელს დაუნდობელი ბრძოლა გაეჩაღებინა ნაციონალიზმის წინააღმდეგ“ [3].

ახალი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების პირველ წლებში შექმნილი სიძნელეები, ერთდაგვარი საბაბი გახდა „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციისათვის, რათა ამ უკანასკნელს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გაეჩაღებინა ანტისაბჭოთა, ცილისმწამებლური კამპანია. როგორც გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული მასალებიდან ირკვევა, იგი ახალგაზრდობაში, განსაკუთრებით სტუდენტობაში, ეწეოდა ეროვნულ გრძნობებზე სპეკულაციას და ცდილობდა „დაერწმუნებინა“, რომ საქართველოს კომპარტიის ყოველგვარი

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, საქ. 10, ფურც. 68.

[2] გაზ. „კომუნისტი“, 1921 წ. 6 მარტი, № 5.

[3] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 96, აღწ. 1, საქ. 3, ფურც. 18.

ღონისძიებები თითქოს წარმოება-დაწესებულებებში ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის იგნორირების, ეროვნული კულტურისა და სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ, თვითმპყრობელობის დროის დაბრუნებისაკენ იყო მიმართული [1].

საბჭოთა ხელისუფლებისადმი წაყენებული ამ ცილისმწამებლური ბრალდების საჯაროდ მხილების საქმეში უდიდესი როლი შეასრულა ხელოვნების მუშაკთა თათბირზე (1921 წლის 2 მარტი) შ. ელიავას მიერ წარმოთქმულმა სიტყვამ, რომელიც გამოქვეყნდა იმავე წლის 6 მარტს გაზეთ „კომუნისტში". მასში პასუხია გაცემული ყველა იმ საჭირბოროტო საკითხზე, რომელიც ქართველი ახალგაზრდობის წინაშე იდგა და, რაც მთავარია, დასაბუთებულადაა უარყოფილი ყველა ის ბრალდება, რომელიც „ახალგაზრდა მარქსისტებმა" წაუყენეს საბჭოთა ხელისუფლებას ეროვნულ საკითხთან დაკავშირებით. შ. ელიავა ქართველ ახალგაზრდობას ტრიბუნიდან ერთხელ კიდევ მოაგონებდა, რომ საქართველო „აბსოლუტურად სუვერენულია ეროვნულ სახელმწიფოსა და კულტურული აღმშენებლობის საქმეში, დამოუკიდებელ საბჭოთა საქართველოში ადგილი არ ექნება კოლონიზაციასა და ძალმომრეობას. მათ ხელები მოეკვეთება, ვინც ძველის დაბრუნებას მოინდომებს. ამ მხრივ არავის ჩარევას არ შევიწყნარებთ" [2].

ამრიგად, საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელ პირთა საჯარო გამოსვლები და მათ მიერ პოლიტიკურ საკითხებზე გამოქვეყნებული წერილები, სათანადო ზემოქმედებას ახდენდა მერყეე ახალგაზრდობაზე იმ მხრივ, რომ სწორად გაეგოთ საბჭოთა სახელმწიფოს ეროვნული პოლიტიკა და იდეოლოგიურ ფრონტზე ებრძოლათ ყოველგვარი კონსერვატიზმის წინააღმდეგ. როგორც საარქივო მასალებითაც დასტურდება, პარტიის გამოჩენილ მოღვაწეთა პრაქტიკული საქმიანობა საბჭოთა ხელისუფლებისადმი უდიდეს რწმენასა და ენერგიას უნერგავდა კომკავშირულ ორგანიზაციაში გაერთიანებულ ჯერ კიდევ პოლიტიკურად და იდეოლოგიურად ზოგიერთ უმწიფარ ახალგაზრდას, რაც ხელს უწყობდა მათ შემობრუნებას საბჭოთა აღმშენებლობისაკენ.

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1921 წ. 10 მარტი, № 8; 14 დეკემბერი, № 369.
[2] გაზ. „კომუნისტი", 1921 წ. 6 მარტი, № 5.

ახალი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებასთან დაკავშირებით, არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს ამიერკავკასიაში შეიმჩნეოდა სოციალიზმის მშენებლობის საკითხებთან დაკავშირებით გარკვეული სიძნელეები. ამ სიძნელეებს ჰქონდა თითქმის ერთნაირი ხასიათი, რაც ძირითადად ეკონომიკის საკითხებიდან გამომდინარეობდა. სწორედ, ამ ფაქტთან დაკავშირებით უნდა ვეძიოთ იდეოლოგიურ ფრონტზე ახალგაზრდობის წვრილბურჟუაზიული ელემენტების გააქტიურების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი. ისიც საგულისხმოა, რომ იდეოლოგიური ბრძოლა, როგორც საქართველოში, ისე მთელს ამიერკავკასიაში ძირითათად ერთნაირი შინაარსით მიმდინარეობდა. მსგავსება მათ შორის, ჩვენი აზრით, ახალგაზრდობის ანტიპროლეტარული ორგანიზაციების ანტისაბჭოური საქმიანობისა და ლენინური ეროვნული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოიხატებოდა. რამდენადაც იდეოლოგიურ ფრონტზე მთელი ამიერკავკასიის კომუნისტური ახალგაზრდობის ბრძოლის ძირითადი მიმართულება თითქმის ერთნაირი იყო, პარტიის მოღვაწეობის გამოცდილებიდან გამომდინარე, ცხოვრებისეულმა სინამდვილემ კომკავშირის წინაშე დააყენა საკითხი ამიერკავკასიის ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაციების გაერთიანების შესახებ. აღნიშნულ გაერთიანებას ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოეღო ბოლო არა მარტო ადგილობრივი ნაციონალიზმისათვის, არამედ თვით ამიერკავკასიის ხალხებს შორის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მთავრობების მიერ დათესილი უნდობლობისათვის, რაც უდავოდ შეუწყობდა ხელს ამ ხალხებში ოდითგანვე არსებული მეგობრული ურთიერთობის აღდგენასა და განმტკიცებას. ამ საკითხში პრიორიტეტი საქართველოს კომკავშირულ ორგანიზაციას ეკუთვნის. როგორც ირკვევა, საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა ჯერ კიდევ 1921 წლის ივნისში მიიღო სპეციალური დადგენილება ამიერკავკასიის ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაციების გაერთიანების შესახებ [1].

აღნიშნული დადგენილება იმდენად მნიშვნელოვანი და დროული იყო, რომ იმავე წლის 15—18 ივლისს გ. კ. ორჯონიკიძის უშუალო ხელმძღვანელობით თბილისში ჩატარდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების კომკავშირის ცენტრალური კომიტეტების პრეზიდიუმთა და

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 96, აღწ. 1, საქ. 3, ფურც. 36.

ბაქოსა და თბილისის კომიტეტების თათბირი. ყურადღებას იქცევს გ. კ. ორჯონიკიძის მიერ წაკითხული მოხსენება — „კავკასიის რესპუბლიკების მდგომარეობისა და კომუნისტური პარტიის ამოცანების შესახებ". მასში მთელ რიგ მნიშვნელოვან პრობლემებთან ერთად, დასმული იყო ამიერკავკასიის ახალგაზრდობაში ნაციონალიზმის აღმოფხვრისა და რაც მთავარია, კავკასიისა და რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირების გაერთიანების აუცილებლობის საკითხი. თათბირის მიერ მიღებულ რეზოლუციაში ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ „ახალგაზრდა კომუნისტური კავშირების თათბირი... თავის მორიგ ამოცანად თვლის კავკასიის რესპუბლიკების კომკავშირელთა ერთმანეთთან და რუსეთის ახალგაზრდა კომუნისტურ კავშირთა სრულ გაერთიანებას" [1].

როგორც მოტანილი მასალებიდან ირკვევა, მართალია, კონკრეტულად დაისვა საკითხი ამიერკავკასიის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირების გაერთიანების შესახებ, მაგრამ მისი გადაჭრა მოითხოვდა ახალგაზრდობაში შექმნილიყო საზოგადოებრივი აზრი ამ პრობლემის წარმატებით გადასაწყვეტად. ეს კი, უწინარეს ყოვლისა, საჭიროებდა ახალგაზრდობაში დამკვიდრებული ამიერკავკასიის რესპუბლიკების გაერთიანებისადმი ნიჰილისტური შეხედულებების აღმოფხვრას, რაც დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ეს სიძნელეები, პირველ რიგში, ადგილობრივი ნაციონალიზმიდან გამომდინარეობდა. ამიტომ აუცილებლობას წარმოადგენდა ნაციონალიზმის წინააღმდეგ საქართველოს კომკავშირის მიერ დაწყებული ბრძოლის კიდევ უფრო გაძლიერება. თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ახალგაზრდობაში ნაციონალიზმის გამოვლინებების წინააღმდეგ ბრძოლას და რა დამოკიდებულებაში იმყოფებოდა აღნიშნული საკითხის მიმართ საქართველოს კომკავშირი, ამის შესახებ საინტერესო ცნობებია მოცემული საქართველოს კომკავშირის IV (პირველი ლეგალური) ყრილობის (1921 წლის 20—27 აგვისტო) მასალებში.

უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ყრილობა იმ დროს შეიკრიბა, როდესაც ამიერკავკასიაში კომუნისტური პარტია მტკიცედ იბრძოდა ნაციონალიზმის წინააღმდეგ, რითაც იგი ნიადაგს ამზადებდა ამიერკავკასიის ფედერაციის შესაქმნელად. როგორც მასალების შესწავლამ გვიჩვე-

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 94, აღწ. 1, საქ. 28, ფურც. 14.

ნა. პარტიასა და კომკავშირს კარგად ესმოდა, რომ მასებში კომუნიზმის იდეების დასანერგავად, საბჭოთა ხელისუფლებისა და პროლეტარიატის დიქტატურის განსამტკიცებლად აუცილებელი იყო ნაციონალისტური რეციდივების დაუყოვნებლივ აღმოფხვრა, ხოლო რაც შეეხება ეკონომიკური სიძნელეებისაგან თავის დაღწევას, აუცილებელი შეიქმნა ამიერკავკასიის რესპუბლიკების პოლიტიკური და სამეურნეო გაერთიანება. სწორედ ამ ცხოვრებისეული სინამდვილიდან გამოდიოდა ბ. ძნელაძე, რომელმაც ყრილობის გახსნასთან დაკავშირებით შესავალ სიტყვაში დასვა საკითხი არა მარტო ამიერკავკასიის კომკავშირული ორგანიზაციების გაერთიანების, არამედ მათი რუსეთის კომკავშირულ ორგანიზაციასთან დაკავშირების შესახებაც. ამის წინააღმდეგ გაილაშქრეს ბახტაძემ და გორდელაძემ. ისინი ერთხმად მოითხოვდნენ, რომ ანგარიში გაეწიათ კომკავშირში ნაციონალისტური გავლენისათვის და ყრილობას „ნაჩქარევად“ არ განეხილა ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და რუსეთის კომკავშირულ ორგანიზაციებთან საქართველოს კომკავშირის გაერთიანების საკითხი[1]. უნდა შევნიშნოთ, რომ ყრილობამ აღნიშნული მოთხოვნები ნაციონალიზმის გამოვლინებად მიიჩნია და დააყენა საკითხი მისი დაუყოვნებლივ დაგმობის აუცილებლობის შესახებ.

ითვალისწინებდა რა ყოველივე ამას, ყრილობამ ერთსულოვნად დაგმო ბახტაძისა და გორდელაძის მცდარი შეხედულებები. საქართველოს კომპარტიის გამოცდილებათა გათვალისწინებისა და ლენინური დებულების მომარჯვების საფუძველზე ყრილობამ მიღებული რეზოლუციითა და დადგენილებით ადგილობრივ ნაციონალიზმს შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადა. ამის უდავოდ დამადასტურებელია თუნდაც ის ფაქტი, რომ ყრილობაზე პარტიისა და კომკავშირის გამოჩენილმა მოღვაწეებმა — შ. ელიავამ, გ. ორჯონიკიძემ, ბ. ძნელაძემ და სხვებმა თავიანთ მოხსენებებში პრინციპულად დააყენეს საკითხი ნაციონალისტური სტიქიის დაუყოვნებლივ აღმოფხვრის შესახებ. „ამ სტიქიას — აღნიშნავდა ყრილობისადმი მისასალმებელ სიტყვაში შ. ელიავა — უნდა დაბუგვა ცეცხლით, უნდა აღმოფხვრა და მხოლოდ ამის შემდეგ დამყარდება ნამდვილი პროლეტარიატის

---

[1] სრულიად საქართველოს კომუნისტური კავშირის პირველი ლეგალური ყრილობა (სტენოგრაფიული ანგარიში) თბ., 1922, გვ. 52—56.

დიქტატურა და განმტკიცდება ინტერნაციონალიზმი. ეს არის უმთავრესი ამოცანა, ეს არის საფუძველი, საძირკველი, რომელზედაც უნდა აიგოს საბჭოთა ხელისუფლება კავკასიაში“ [1].

როგორც ყრილობის მასალებიდან ირკვევა, ნაციონალისტური შეხედულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების აუცილებლობის საკითხი იყო დასმული გ. კ. ორჯონიკიძის მიერ გაკეთებულ მოხსენებაში — „საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ“. თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ნაციონალიზმის წინააღმდეგ საქართველოს კომკავშირის ბრძოლას, ამის შესახებ ნათლად მეტყველებს მოხსენების გარშემო მიღებული რეზოლუცია. მასში ვკითხულობთ, რომ „საქართველოს წითელი ახალგაზრდობის პირველი ლეგალური ყრილობა მოუწოდებს მთელს მშრომელ რევოლუციურ ახალგაზრდობას შესწიროს მთელი თავისი ძალა ნაციონალიზმთან ბრძოლას... სადღეისო ლოზუნგებად უნდა იყოს: შეუბრალებელი ბრძოლა ნაციონალიზმთან, სამეურნეო ნგრევასთან და შეთანხმებული მუშაობა კომუნისტურ პარტიასთან საბჭოთა ხელისუფლების განსამტკიცებლად“ [2]. ახალგაზრდებში ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა და ამიერკავკასიის კომკავშირული ორგანიზაციების გაერთიანების საკითხი იყო დასმული ბაქოში გამართულ კავკასიის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის პირველ ყრილობაზე (1921 წლის სექტემბერი). ყრილობის მასალებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ბ. ძნელაძის მიერ გაკეთებული მოხსენების თეზისები — „კავკასიის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის პოლიტიკური ამოცანების შესახებ“. მასში თითოეული რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების წინაშე კატეგორიულად იყო დასმული საკითხი ამიერკავკასიის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირების გაერთიანების დაჩქარების შესახებ. ამ საკითხის წარმატებით გადასაჭრელად, უპირველეს აუცილებლობად იყო მიჩნეული მშრომელ ახალგაზრდობაში ინტერნაციონალური პროპაგანდის გაძლიერების საფუძველზე, ნაციონალისტური შეხედულებების დაუყოვნებლივ აღმოფხვრის გარდაუვალობა [3].

---

[1] სრულიად საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის პირველი ლეგალური ყრილობა (სტენოგრაფიული ანგარიში), თბ., 1922, გვ. 52—56.

[2] იქვე, გვ. 17.

[3] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 94, აღწ. 1, საქ. 37, ფურც. 37—40.

ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ჩვენ მიერ ზემოთ მითითებული საქართველოს კომკავშირისა და ამიერკავკასიის კომკავშირული ორგანიზაციების პირველი ყრილობების დადგენილებები ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ იმდენად მნიშვნელოვანი და დროული იყო, რომ იგი საფუძვლად დაედო საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის პოლიტიკურ-საგანმანათლებლო განყოფილებათა რესპუბლიკური თათბირის (1921 წლის ოქტომბერი) მუშაობას. თათბირზე მოსმენილი მოხსენებების საფუძველზე, მოსწავლე ახალგაზრდობას შორის მუშაობის შესახებ მიღებულ თეზისებში ხაზგასმით იქნა მითითებული: „ვიღებთ რა მხედველობაში... რომ ჩვენს ინტელიგენციასა და განსაკუთრებით კი მოსწავლე ახალგაზრდობას შორის ძლიერ გაბატონებულია ნაციონალისტურ-შოვინისტური მისწრაფებანი, რაც ხელს უშლის ჩვენს კომუნისტურ მუშაობას... იმის გამო, რომ სრულიად საქართველოს კომკავშირის პირველი ყრილობის დადგენილებით გამოცხადებულია ულმობელი ბრძოლა ნაციონალიზმის წინააღმდეგ — ჩვენს წინაშე სდგას ამოცანა მოსწავლე ახალგაზრდობას შორის ჩვენი მუშაობის გაძლიერების შესახებ“ [1].

ამ მიმართულების საფუძველზე საქართველოს კომკავშირთან არსებულმა ახალგაზრდობასთან მუშაობის პოლიტიკურ-საგანმანათლებლო განყოფილებებმა ფართოდ გაშალეს საქართველოს კომპარტიისა და კომკავშირის ყრილობებსა თუ პლენუმებზე ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობის შესახებ მიღებული დადგენილებების მასობრივი პროპაგანდა. ამ მიმართულებით გაწეულმა მუშაობამ, როგორც შემდგომმა კვლევამ დაადასტურა, ხელსაყრელი პირობები მოამზადა ნაციონალისტურად განწყობილი ახალგაზრდობის უმეტესობის შეგნებამდე კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის დაყვანის საქმეში.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე, ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა იმის შესახებ, რომ ნაციონალიზმის წინააღმდეგ საქართველოს კომკავშირის მიერ დაწყებული ბრძოლის გაძლიერებამ და ამ საქმეში პარტიის გამოცდილების გამოყენებამ ხელი შეუწყო ახალგაზრდათა კომუნისტურ ორგანიზაციებს მტკიცედ გადაედგათ ნაბიჯი ახალგაზრდობის ინტერნაციონალურ ნიადაგზე აღზრდისა-

---

[1] გაზ. „კომუნისტი“, 1921 წ. 29 ოქტომბერი, № 198.

თვის, რამაც დააჩქარა მათში საზოგადოებრივი აზრის შემუშავების პროცესი ამიერკავკასიის ფედერაციის შესაქმნელად.

უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს კომპარტიის კვალდაკვალ, მისი გადაწყვეტილებებისადმი მხარდაჭერის მიზნით, ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს კომკავშირმაც გადადგა მეტად საჭირო და გაბედული ნაბიჯი. თუ რამდენად დიდ აქტიურობას იჩენდა ამ საკითხთან დაკავშირებით კომკავშირი, ამის საუკეთესო გამოხატულებას წარმოადგენს საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის გაფართოებული პლენუმი (1921 წლის 25 ნოემბერი), რომელმაც სპეციალურად განიხილა საკითხი ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შექმნის შესახებ. როგორც ცნობილია, პლენუმმა ამ საკითხთან დაკავშირებით მოისმინა გ. კ. ორჯონიკიძის მოხსენება და მიიღო შესაბამისი რეზოლუცია [1], რომელიც იმითაა საყურადღებო, რომ მასში ერთხელ კიდევ დოკუმენტურადაა დასაბუთებული საქართველოს კომკავშირის მიერ ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციისადმი მხარდაჭერის აუცილებლობა.

თუ რამდენად დიდი გამოხმაურება პოვა პლენუმის გადაწყვეტილებებმა საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციების რიგებში, ამაზე საუკეთესოდ მეტყველებს გაზეთ „კომუნისტის" ფურცლებზე გამოქვეყნებული სტატიები, რომელთაგან მნიშვნელოვანია დ. ცერბერის სტატია — „ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაცია". მასში შეჯამებულია გაზეთ „კომუნისტის" ფურცლებზე ფედერაციის საკითხთან დაკავშირებით გამოქვეყნებული მასალები, რომლის გათვალისწინების საფუძველზედაც ავტორი დასძენს, რომ „საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობა უერთდება ფედერაციას და ცნობს რა მას სავსებით მისაღებათ, — მოუწოდებს ყველას ამ გზისაკენ, ამ მიზნის სისრულეში მოსაყვანად" [2].

---

[1] გაზ. „Правда Грузии", 1921 г. 2 декабря, ი. კაჭარავა, საქართველოს კომუნისტების ბრძოლა ნაციონალ-უკლონიზმის წინააღმდეგ და ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნა, ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 1, თბ., 1955, გვ. 91; გ. ჟვანია, საქართველოს კომკავშირის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1964, გვ. 98; ავტორთა ჯგუფი, გ. ჟვანია, ვ. ქარუმიძე, ნ. ჩახვაშვილი, საქართველოს კომკავშირის ისტორია, თბ., 1968, გვ. 105.

[2] გაზ. „კომუნისტი", 1921, წ. 4 დეკემბერი, № 228.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნასთან დაკავშირებით საქართველოს კომკავშირის მიერ დაწყებული კამპანიის საკითხებს დაწვრილებით შეეხო საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის მე-2 ლეგალური (V) ყრილობა (1922 წლის 5—10 ივნისი), რომელმაც მიღებული დადგენილებების საფუძველზე აუცილებლობად მიიჩნია საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანისა და ჩრდილო კავკასიის ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირების გაერთიანება [1].

უნდა შევნიშნოთ, რომ საქართველოს კომკავშირის მეორე ლეგალური ყრილობის გადაწყვეტილებები საფუძვლად დაედო ამიერკავკასიის კომკავშირული ორგანიზაციების მეორე ყრილობას (1922 წლის 16—21 სექტემბერი), რომელმაც ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების გაერთიანებასთან ერთად სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ახალგაზრდობის ანტიპროლეტარული ორგანიზაციების („ახალგაზრდა მარქსისტები", „ახალგაზრდა დაშნაკები", „ახალგაზრდა მუსავატელები") ყოველგვარ ნაციონალიზმს[2].

ამ ყრილობის გადაწყვეტილებებმა შემდგომში ხელი შეუწყო ამიერკავკასიის ახალგაზრდათა შორის მენშევიკების, დაშნაკების, მუსავატელებისა და სხვა წვრილბურჟუაზიულ და ბურჟუაზიულ პარტიათა მიერ გაწყვეტილი ინტერნაციონალური ძაფების აღდგენას. ეს კი ერთდაგვარ ნიადაგს ამზადებდა იმისათვის, რათა ახალგაზრდობაში შექმნილიყო პროგრესული აზრი ამიერკავკასიის ფედერაციისადმი მხარდასაჭერად.

თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნას კავკასიის ხალხებისათვის, ამასთან დაკავშირებით პროფ. კ. წერეთელი სავსებით სამართლიანად აღნიშნავდა, რომ „ამიერკავკასიის ფედერაცია იმ ეტაპზე წარმოადგენდა არა მარტო ქვეყნის საშეურნეო და პოლიტიკური მართვის ყველაზე უკეთეს ფორმას, არამედ ის იყო აგრეთვე ეროვნული მშვიდობის დამყარებისა და ერებს შორის უნდობლობის ლიკვიდაციის საუკეთესო საშუალება"[3].

---

[1] გაზ. „სპარტაკი", 1922 წ. 5 ივნისი, № 5.

[2] გაზ. „Правда Грузии", 1922 г., 19, 21 сентября, № 439, 441.

[3] კ. წ ე რ ე თ ე ლ ი. კომუნისტური პარტიის ბრძოლა ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების შექმნისათვის, თბ., 1960, გვ. 109.

მიუხედავად ამისა, ამიერკავკასიის ფედერაციული გაერთიანების წინააღმდეგ გაილაშქრეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელ მუშაკთა გარკვეულმა ნაწილმა: ბ. მდივანმა, კ. ცინცაძემ, მ. ოკუჯავამ, ლ. დუმბაძემ და სხვებმა, რომლებმაც რკპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისაგან განსხვავებული პოზიცია დაიკავეს და კონკრეტულად დააყენეს საკითხი ფედერაციის გვერდის ავლით ამიერკავკასიის რესპუბლიკების სსრ კავშირის შემადგენლობაში შესვლის შესახებ.

ამიერკავკასიის ფედერაციის საკითხზე საქართველოს კომპარტიისა და კომკავშირის რიგებში შექმნილი წინააღმდეგობრიობა მოხერხებულად გამოიყენა ახალგაზრდობის ანტიპროლეტარულმა ორგანიზაციებმა, რომელთაგან განსაკუთრებულ აქტიურობას „ახალგაზრდა მაქსისტები" იჩენდნენ.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს კომპარტიის მხარდამხარ მებრძოლი საქართველოს კომკავშირი კონტრრევოლუციური ორგანიზაციების დაშლისა და განადგურების მიზნით, პოლიტიკური პატრების წინააღმდეგ გადავიდა აშკარად გაბედულ შეტევაზე[1]. ამის საპასუხოდ „ახალგაზრდა მარქსისტებმა" საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ლეგალური პოზიციებიდან ბრძოლის გაგრძელების მიზნით შეიმუშავეს მოქმედების ახალი ფორმა. იგი სპორტული ორგანიზაციების მაქსიმალურ გამოყენებას ითვალისწინებდა. ამ მხრივ მათ ძირითად დასაყრდენად გადაიქცა სპორტული ორგანიზაცია „შევარდენი". ცნობილი ფაქტია, რომ ჯერ კიდევ 1917 წელს საქართველოში შეიქმნა ტანმოვარჯიშეთა საზოგადოება „ამირანი". რამდენადაც იგი ქართველი საზოგადოების მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა, 1918 წელს გიორგი ნიკოლაძის ხელმძღვანელობით „ამირანისა" და რუსული საზოგადოება „სოკოლის" გაერთიანების ბაზაზე შეიქმ-

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1923 წ. 20 მარტი, № 62.

ნა ქართული „შევარდენი“ [1]. უნდა შევნიშნოთ, რომ თავდაპირველად ეს ორგანიზაცია მართლაც ემსახურებოდა მხოლოდ სპორტის განვითარების საქმეს.

ეხებოდა რა აღნიშნულ საკითხს, მკვლევარი ზ. შერაზადაშვილი პირველ წყაროებზე დაყრდნობით მიუთითებდა, რომ „ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დადებითი მხარე ამ პერიოდის საქართველოს „შევარდნული“ საზოგადოებების მუშაობისა, არის კარის ფართოდ გაღება სპორტისათვის. ისინი, საწინააღმდეგოდ ჩეხური სოკოლური საზოგადოებებისა, მხარს უჭერდნენ სპორტის ყველა სასარგებლო სახეს და ხელს უწყობდნენ საზოგადოების წევრთა შორის მათს გავრცელებას... ისინი მომხრენი იყვნენ ფიზიკური აღზრდის ბუნებრივ საშუალებათა გამოყენებისაც, ერთი სიტყვით, აღიარებდნენ ფიზიკური აღზრდის იმ საშუალებას, რასაც აღიარებს ფიზიკური აღზრდის თანამედროვე საბჭოთა თეორია, რითაც სოკოლების საზოგადოებებთან შედარებით, ნაბიჯი გადადგეს წინ“ [2].

პირველადი წყაროებისა და სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლიდან დასტურდება, რომ, მართალია, მენშევიკების მმართველობის პერიოდში ორგანიზაცია „შევარდენის“ მთელი მოღვაწეობა სპორტული საქმიანობის ფარგლებს არ გასცდენია, მაგრამ, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველივე დღეებიდანვე, ახალგაზრდობის წვრილბურჟუაზიული და ბურჟუაზიული ორგანიზაციების წყალობით, მისი მუშაობა წმინდა სპორტული საქმიანობიდან ფაქტობრივად ანტისაბჭოურით შეიცვალა. ამის დამადასტურებელი არსებული მასალების მიუხედავად, ზოგიერთმა მკვლევარმა ეჭვი გამოთქვა ორგანიზაცია „შევარდენის“ ანტისაბჭოურობის თაობაზე. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მ. აგაჯანოვის მიერ „შევარდენის“ გარშემო გამოქვეყნებული წერილების სერია სათაურით „ისევ შევარდენის შესახებ“ [3]. მასში ავტორი შეეცადა დაესაბუთებინა, რომ თითქოს „შევარდენის“ ორგანიზაცია

---

[1] ქურნ. „შევარდენი“, 1922, № 1, გვ. 8.

[2] ზ. შ ე რ ა ზ ა დ ა შ ვ ი ლ ი, ფიზიკური აღზრდა საქართველოს სკოლებში (1917—1921), თბ., 1971, გვ. 32—33.

[3] მ. ა გ ა ჯ ა ნ ო ვ ი, ისევ შევარდენის შესახებ, იხ. გაზ. „ლელო“, 1975 წ. 10 ივლისი, № 136; 16 ივლისი, № 140; 22 ივლისი, № 144.

მონაწილეობას არ ღებულობდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მოწყობილ ღონისძიებებში. ამასთან დაკავშირებით იგი შენიშნავს, რომ „ჩვენი აზრით არ არის სწორი კატეგორიული განცხადება იმის შესახებ, რომ ახალგაზრდულ ორგანიზაციათა შორის იმ დროისათვის „შევარდენი" გარკვეულ როლს თამაშობდა საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლაში და საქართველოს კომკავშირის მოწინააღმდეგე იყო" [1].

ასეთი განცხადების მიუხედავად, მკვლევარი მ. აგაჯანოვი იძულებული გახდა ეღიარებინა 1922 წლის 22 თებერვალსა და 24—26 მაისს მენშევიკების მიერ თბილისსა და ბათუმში მოწყობილ ანტისაბჭოურ დემონსტრაციებში „შევარდენის" მონაწილეობის ფაქტი [2], რითაც იგი ერთდაგვარ ლოგიკურ წინააღმდეგობაში აღმოჩნდა და ძალაუნებურად დაუპირისპირდა მის მიერ „შევარდენის" ანტისაბჭოურობის უარყოფის საკითხთან დაკავშირებით ზემოთ გამოთქმულ შეხედულებას. აღნიშნულთან ერთად, ჩვენი აზრით, მისივე შეხედულების საწინააღმდეგოდ მეტყველებს თუნდაც ის საარქივო მასალები, რომლებიც მას მოაქვს ორგანიზაცია „შევარდენის" დაშლისა და რეორგანიზაციის საკითხთან დაკავშირებით. ამ მასალების გაცნობისა და მათი გაანალიზების საფუძველზე მკითხველის წინაშე ბუნებრივად იბადება კითხვა: თუ ორგანიზაცია „შევარდენი" არ ეწეოდა ანტისაბჭოურ საქმიანობასა და ნაციონალიზმის პროპაგანდას, მაშინ რატომ დაისვა კატეგორიულად საკითხი ამ ორგანიზაციის დაშლისა და რეორგანიზაციის შესახებ?

სანამ დასმულ კითხვაზე სათანადო პასუხს გავცემდეთ, მანამ ჩვენი აზრით, ინტერესს მოკლებული არ იქნება თუკი ორიოდე სიტყვით აღვნიშნავთ, რომ სპორტული ორგანიზაცია „შევარდენი", როგორც საარქივო მასალების შესწავლა ადასტურებს, საკმაოდ მრავალრიცხოვანი და ძლიერი ორგანიზაცია იყო. ეს იქიდანაც ჩანს, რომ იგი 10000—15000-მდე წევრს აერთიანებდა, რომელთა უმეტესობას, (დაახლოებით 87%-მდე) წვრილბურჟუაზიული და ბურჟუაზიული ფენიდან გამოსული ახალგაზრდობა შეადგენდა [3]. ხაზი იმასაც უნდა გავუსვათ, რომ სწორედ მისი შემადგენლობის სოციალურმა ხა-

---

[1] გაზ. „ლელო", 1975 წ. 16 ივლისი, № 140.

[2] გაზ. „ლელო" 1975 წ. 22 ივლისი, № 144.

[3] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 96, აღწ. 1, საქ. 17. ფურც. 139.

სიათმა განაპირობა ამ ორგანიზაციის ნაციონალისტური მიმართულება. ამ საკითხს გაზეთმა „კომუნისტმა“ მიუძღვნა სპეციალური სტატია — „სპორტული ორგანიზაცია თუ შოვინიზმის სკოლა?“ [1]. აღნიშნული სტატია იმითაა მნიშვნელოვანი, რომ იგი პოლემიკური ხასიათისაა. მასში სასტიკადაა გაკრიტიკებული გაზეთ „ტრიბუნას“ 1922 წ. 245-ე ნომერში გამოქვეყნებული მელაშვილის სტატია, რომელშიც ავტორი ცდილობდა გაემართლებინა „შევარდენის“ მთელი საქმიანობა. მელაშვილის მტკიცების გაბათილების მიზნით გაზეთ „კომუნისტს“ მოაქვს დიდძალი მასალა, რომლის საშუალებით, ყოველგვარი კომენტარების გარეშედაც კი შეიძლება მკითხველი დარწმუნდეს „შევარდენის“ ანტისაბჭოურ ხასიათში. იგივე გაზეთი, ეყრდნობა რა მის მიერ მოტანილ მასალებს, ხაზგასმით მიუთითებს, რომ „შევარდენი“ დღეს არ არის მატარებელი იმ მიზნისა, რომელიც უნდა ედვას ამ ორგანიზაციას სარჩულად. ის არ დგას თავის მოწოდების შესაფერ სიმაღლეზე და კონტრრევოლუციონურ-შოვინისტური პარტიების სამარცხვინო საქციელის ხელის შემწყობად და გამტარებლად გამოდის“ [2].

ითვალისწინებდა რა ყოველივე ამას, როგორც პროფ. გ. ჟვანია აღნიშნავს, „კომკავშირლები მოითხოვდნენ საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისაგან, დაუყოვნებლივ მოეხდინა „შევარდენის“ გაუქმება და შეექმნა ახალი, პროლეტარული სპორტული საზოგადოება“ [3].

ჩვენი აზრით, სწორედ ასეთი პრინციპული მოთხოვნის შედეგს უნდა მივაწეროთ ის ფაქტი, რომ სპორტული ორგანიზაცია „შევარდენის“ რეორგანიზაციის აუცილებლობის საკითხი საქართველოს კომკავშირის V ყრილობის (1922 წ. 5—10 ივლისი) მსჯელობის საგანი გახდა [4]. უნდა შევნიშნოთ, რომ ყრილობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გათვალისწინების შედეგად კომკავშირულ პრესაში, განსაკუთრებით გაზეთ „სპარტაკში“ ორგანიზაცია „შევარდენის“ შესახებ გამოქვეყნდა საკმაოდ ბევრი მასალა, რომელშიც დასაბუთებულია, რომ „შევარდენის“ ხელმძღვანელები ანტისაბჭოურ მუ-

---

[1] გაზ. „კომუნისტი“, 1922 წ. 22 ივლისი, № 166.

[2] იქვე.

[3] გ. ჟ ვ ა ნ ი ა, საქართველოს კომკავშირის ისტორიის ნარკვევები, გვ. 108.

[4] გაზ. „კომუნისტი“, 1922 წ. 11 ივლისი, № 147.

შაობას ეწევიან და ახალგაზრდებს კონტრრევოლუციონურად და ნაციონალისტურად ზრდიან. ჩვენი ამოცანაა ბოლო მოვუღოთ სპორტულ ორგანიზაციაში ანტისაბჭოთა მუშაობას და ვიხსნათ ახალგაზრდობა ნაციონალიზმისაგან“ [1].

როგორც მოტანილი მასალებიდან ირკვევა, მართალია, საქართველოს კომკავშირის წინაშე დაისვა საკითხი „შევარდენში“ ანტისაბჭოური მუშაობის აღმოფხვრის შესახებ, მაგრამ ამ მიზნის მიღწევა დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლის ერთადერთ საშუალებას მხოლოდ აღნიშნული ორგანიზაციის დაშლა და მისი წევრების სრული გარეკვა წარმოადგენდა. ისიც საყურადღებოა, რომ ამ მიმართულებით რაიმე გადამჭრელი ღონისძიებების გატარებას შეიძლება ანტიპროლეტარული ორგანიზაციების უდიდესი გააფთრება გამოეწვია და ახალგაზრდობაზე მათი ზემოქმედების გაძლიერებას საბჭოთა ხელისუფლებისადმი არასასურველი შედეგი მოჰყოლოდა.

მიუხედავად ამისა, საქართველოს ფიზიკური კულტურის უმაღლესმა საბჭომ 1922 წლის დადგენილებით აუცილებლად მიიჩნია საქართველოში მოქმედი სპორტული ორგანიზაცია „შევარდენის“ დაშლა და მის ბაზაზე პროლეტარული სპორტული ორგანიზაცია „სპარტაკის“ შექმნა [2]. უნდა შევნიშნოთ, რომ ორგანიზაცია „შევარდენის“ დაშლის შესახებ ზემოთ მითითებული დადგენილება, მართალია, დროული იყო და სავსებით შეესაბამებოდა შექმნილ ვითარებას, მაგრამ ამ ორგანიზაციის ფაქტობრივი დაშლა მთელ რიგ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. ეხებოდა რა აღნიშნულ საკითხს, ბ. ძნელაძე საქართველოს კომკავშირის პირველ ლეგალურ ყრილობაზე „საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ“ გაკეთებულ მოხსენებაში მიუთითებდა, რომ „სამხედრო საქმეთა და განათლების სახალხო კომისრები, რომელთაც ექვემდებარებოდა „შევარდენი“, პროტესტს აცხადებდნენ ამის (დაშლის — შ. ვ.) წინააღმდეგ და არ სურდათ ამ ორგანიზაციის გარეკვა“[3]. ამიტომ იყო, რომ ამ ორგანიზაციისადმი მიდგომა განსაკუთრებულ სიფრთხილესთან იყო დაკავშირებული.

---

[1] გაზ. „სპარტაკი“, 1922 წ. 27 ნოემბერი, № 13.

[2] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 96, აღწ. 1, საქ. 15, ფურც. 7.

[3] იხ. კრებული „ბორის ძნელაძე“, თბ., 1981, გვ. 70.

ჩვენი აზრით. ეს ვარემოება ჰქონდა მხედველობაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, როდესაც მან სპეციალურად იმსჯელა სპორტული ორგანიზაცია „შევარდენის“ შესახებ.

ამ შემთხვევაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1922 წლის დადგენილება, რომელიც იმითაა საინტერესო, რომ მასში დაწვრილებითაა მოცემული „შევარდენის“ მთელი კონტრრევოლუციური საქმიანობა. და რაც მთავარია, დადგენილებით აუცილებლადაა მიჩნეული ორგანიზაციის არა დაშლა, არამედ მისი რეორგანიზაცია წევრთა უმრავლესობის შენარჩუნებით. თუ რატომ წავიდა საქართველოს კომუნისტური პარტია ასეთ კომპრომისზე, ამ საკითხთან დაკავშირებით დადგენილებაში ვკითხულობთ: „ორგანიზაცია „შევარდენის“ წევრთა სრული გარეკვა ნიშნავს მთელ საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის აჯანყებას ჩვენს წინააღმდეგ“ [1]. აქედან გამომდინარე, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, როგორც ამ დოკუმენტიდან ირკვევა, დააყენა საკითხი იმის შესახებ, რომ საქართველოს კომკავშირს განსაკუთრებული სიფრთხილე გამოეჩინა „შევარდენის“ რეორგანიზაციის დროს. იმ მიზნით, რომ აღნიშნული პროცესის გატარებისას არ მომხდარიყო რაიმე დარღვევები, საქართველოს ცენტრალური კომიტეტი მოითხოვდა შემდეგი ზომების გატარებას: 1. სპორტული ორგანიზაცია „შევარდენი“ უნდა გაწმენდილიყო იმ ინსტრუქტორ ხელმძღვანელებისაგან, რომლებიც ეწეოდნენ კონტრრევოლუციურ-ანტისაბჭოურ საქმიანობას. 2. „შევარდენის“ ხელმძღვანელებად უნდა გაეყვანათ მოწინავე კომკავშირლები, რომლებიც პოლიტიკური მუშაობით შეძლებდნენ მისი წევრების დაპყრობას[2].

როგორც ვხედავთ, სპორტული ორგანიზაცია „შევარდენის“ არსებობასთან დაკავშირებით ორი ურთიერთსაწინააღმდეგო დადგენილებაა. პირველი, საქართველოს ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოსი, რომელიც ითვალისწინებდა „შევარდენის“ დაშლას და მეორე, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა, რომელიც მიუთითებს ამ ორგანიზაციის მხოლოდ ხელმძღ-

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 96, აღწ. 1, საქ. 15, ფურც. 1.

[2] იქვე.

ვანელი ბირთვის შეცვლის აუცილებლობაზე. მიუხედავად ასეთი წინააღმდეგობისა, ზემოთ მოტანილი მასალებიდან ნათელი ხდება, რომ უკვე ნიადაგი შემზადებული იყო მომხდარიყო სპორტული ორგანიზაცია „შევარდენის“ ან დაშლა, ან მისი რეორგანიზაცია. როგორც ზემოთაც გვქონდა მითითებული, აღნიშნული ღონისძიებების გატარების აუცილებლობა იმით იყო გამოწვეული, რომ ორგანიზაცია ახალგაზრდობას ზრდიდა ისეთი მავნე სულისკვეთებით, რომელიც დიამეტრალურად ეწინააღმდეგებოდა საბჭოთა ხელისუფლებასა და მშრომელთა ინტერესებს. ჩვენი აზრით, აღნიშნულის გათვალისწინების პრინციპით ხელმძღვანელობდა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო, რომელმაც 1922 წლის 23 ნოემბრის № 59 დადგენილებით დაშლილად გამოაცხადა სპორტული ორგანიზაცია „შევარდენი“. ამავე დადგენილებით საქართველოს ფიზიკური კულტურის უმაღლეს საბჭოს დაევალა კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტთან და ყველა საარაონო კომიტეტებთან ადგილებზე შეექმნა პროლეტარული სპორტული ორგანიზაცია „სპარტაკი“. დადგენილებით „შევარდენის“ მთელი ქონება და ბაზა უნდა გადასცემოდა „სპარტაკის“ ორგანიზაციას [1].

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ამ დადგენილების სრულყოფილად გატარების მიზნით შეიქმნა სპეციალური რესპუბლიკური კომისია. მის შემადგენლობაში შევიდნენ: საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი; საქართველოს რესპუბლიკის საყოველთაო სამხედრო სწავლების უფროსი, საქართველოს პროფესიულ კავშირთა საბჭოსა და განათლების სახალხო კომისარიატის წარმომადგენლები. ასეთივე კომისიები შეიქმნა რესპუბლიკის ყველა მაზრაში. აღნიშნული კომისიის მიერ მიღებულ იქნა სპორტული ორგანიზაცია „სპარტაკის“ სპეციალური წესდება, რომელიც განსაზღვრავდა ორგანიზაციის წევრთა უფლება-მოვალეობას.

უნდა შევნიშნოთ, რომ, მართალია, ამ დადგენილებით „შევარდენი“ იურიდიულად დაშლილად გამოცხადდა და მის ბაზაზე შეიქმნა პროლეტარული სპორტული ორგანიზაცია „სპარტაკი“, მაგრამ, როგორც შემდგომი კვლევის შედეგად გაირკვა, ორგანიზაცია „სპარტაკშიაც“ გრძელდებოდა ახალგაზრდობაში კონტრრევოლუციური და ნაციონალისტური საქმიანობა. ამას ადასტურებს საქართველოს კო-

---

[1] გაზ. „სპარტაკი“, 1922 წ. 5 დეკემბერი, № 14.

მუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1923 წლის 2 აგვისტოს მიმართვა ყველა სამაზრო და საოლქო კომიტეტისადმი. მასში აუცილებლობადაა მიჩნეული სპორტული ორგანიზაცია „სპარტაკის“ გაწმენდა მავნე ელემენტებისაგან და მისი წევრების კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის აუცილებლობა[1].

აღნიშნული ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ორგანიზაცია „შევარდენის“ დაშლის შესახებ მიღებული დადგენილების მიუხედავად, ორგანიზაცია „სპარტაკში“ შენარჩუნებული იქნა „შევარდენის“ ყოფილი წევრების წვრილბურჟუაზიული და ბურჟუაზიული ელემენტების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლებიც განაგრძობდნენ ანტისაბჭოურ საქმიანობას. ეს კი მანიშნებელია იმისა, რომ ორგანიზაცია „შევარდენის“ დაშლას ჰქონდა ზედაპირული ხასიათი, რაც ორგანიზაციის მხოლოდ სახელწოდებისა და ხელმძღვანელი ბირთვის შეცვლაში გამოიხატა.

ასე რომ არა, ჩვენი აზრით, წინააღმდეგ შემთხვევაში სპორტული ორგანიზაცია „სპარტაკის“ მავნე ელემენტებისაგან გაწმენდის საკითხიც არ დაისმებოდა დღის წესრიგში.

სპორტული ორგანიზაცია „შევარდენის“ ბაზაზე „სპარტაკის“ შექმნამ „ახალგაზრდა მარქსისტთა“ უდიდესი გააფთრება გამოიწვია, რადგან, როგორც ზემოთაც გვქონდა აღნიშნული, ამით ანტიბოლშევიკურ ორგანიზაციებს მოეშალათ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი მასობრივი დასაყრდენი კერა. აღსანიშნავია, რომ 1922 წლის 25 ნოემბერს „ახალგაზრდა მარქსისტთა“ საზღვარგარეთელი წარმომადგენლებისადმი გაგზავნილ ანგარიშში საქართველოს „ახალგაზრდა მარქსისტები“ „შევარდენს“ მიიჩნევდნენ რა ქართული კულტურის აღორძინების ერთ-ერთ ატრიბუტად, მის დაშლასთან დაკავშირებით ქართულ კულტურას გათელილად და დამცირებულად თვლიდნენ[2]. ჩვენ მიგვაჩნია, რომ „ახალგაზრდა მარქსისტებს“ ამ პროვოკაციული ბრალდებით სურდათ დასავლეთ ევროპის იმპერიალისტების წინაშე ერთხელ კიდევ დაემცირებინათ საბჭოთა ხელისუფლება, რომ თითქოს ეს უკანასკნელი სდევნიდა ყოველგვარი ეროვნული კულტურის გამოვლინებას, და რაც მთავარია, მათი ძირითადი მიზანი იყო საქართველოს სტრატეგიული ადგილმდებარეობით დასავლეთის სახელმწიფოთა დაინტერესება.

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 96, აღწ. 1, საქ. 17, ფურც. 47.

[2] ჟურნ. „მომავალი“, 1923, № 4, გვ. 16.

უნდა შევნიშნოთ. რომ „ახალგაზრდა მარქსისტებს“, რომლებმაც აღნიშნული ცილისწამების შემდეგაც გააფართოვეს ანტისაბჭოური საქმიანობა, როგორც სათანადო მასალების შესწავლა ცხადყოფს, იდეური მხარდაჭერის მიზნით, გვერდში ამოუდგა „ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატთა ორგანიზაცია“. იგი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების წლებში თავის რიგებში აერთიანებდა დაახლოებით 250-მდე წევრს[1]. როგორც ირკვევა, ორგანიზაციის მთავარი ძირითადი მიზანი იყო იდეა „დიდი საქართველოს“ შესახებ, რაც აშკარად მეტყველებს ამ ორგანიზაციის უაღრესად ნაციონალისტურ ხასიათზე. პროფ. გ. ქვანია, ეხება რა აღნიშნული ორგანიზაციის ისტორიის საკითხებს, სამართლიანად მიუთითებს, რომ „ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატების“ ორგანიზაცია, „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციასთან შედარებით არ წარმოადგენდა შესამჩნევ ძალას, რომ მან. მიუხედავად ამისა. უფრო დიდხანს იარსება, ვიდრე „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციამ. რადგან აღნიშნული ორგანიზაცია გამოხატავდა ნაციონალისტურად განწყობილი ქართველი ინტელიგენციის ინტერესებს[2]. ეს შემთხვევითი არ იყო იმდენად, რამდენადაც ორგანიზაცია ძირითადად აერთიანებდა სტუდენტებსა და მოსწავლე ახალგაზრდობას.

რამდენადაც „ახალგაზრდა ეროვნულ დემოკრატების“ ორგანიზაცია რიცხობრივად მცირე იყო, ხოლო თავისი იდეური მიმართულებით მთელ რიგ საკითხებში ეთანხმებოდა მენშევიკურ იდეოლოგიას, ყოველივე ეს საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ „ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატების“ ორგანიზაცია ძირითადად ექვემდებარებოდა „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციას და მასთან ურთიერთკავშირში აწარმოებდა ანტისაბჭოურ ძირგამომთხრელ საქმიანობას. ამ მოსაზრებას ადასტურებს „ახალგაზრდა მარქსისტების“ და „ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატების“ მიერ 1922 წლის 12 დეკემბერს თბილისის უნივერსიტეტში ანტისაბჭოთა პროკლამაციების გავრცელების ფაქტი. ამ ერთობლივად შედგენილ პროკლამაციებში იყო უდიდესი ბრალდება, რომ თითქოს საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა მიმართული ყოფილიყოს ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ. ასეთი ცილისწამებანი საბჭოთა სახელმწი-

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 96, აღწ. 1, საქ. 17, ფურც. 138.

[2] გ. ქ ვ ა ნ ი ა, საქართველოს კომკავშირის ისტორიის ნარკვევები, გვ. 123.

ფოს მომართ მენშევიკებისა და სხვა ანტისაბჭოთა პარტიების მიერ გაჩაღებული იდეოლოგიური ბრძოლის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად უნდა მივიჩნიოთ, რამდენადაც ახალგაზრდობის ანტიბოლშევიკური ორგანიზაციები ძირითადად მენშევიკური პარტიის დაქვემდებარების სფეროში შედიოდა, მენშევიკური პარტიის ლიდერები საუბლობდნენ რა აღნიშნულით, თავიანთ „უმცროს მეგობრებს“ ზევიდან კარნახობდნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის ფორმებსა და მეთოდებს. სწორედ ამის შედეგი იყო ის ფაქტი, რომ „ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატთა“ ორგანიზაციამ აქტიური მონაწილეობა მიიღო მენშევიკების მიერ მოწყობილ 1924 წლის აგვისტოს ანტისაბჭოთა გამოსვლებში [1]. ამ ავანტიურის დამარცხების შემდეგ, როგორც მასალებიდან ირკვევა, „ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატთა“ ორგანიზაციის რიგებში დაიწყო ერთგვარი პოლიტიკური გამოფხიზლების ხანა. ამ ფაქტთან დაკავშირებით, გაზეთი „კომუნისტი“ 1925 წელს მიუთითებდა, რომ „თუმცა ყველაზე გვიან, მაგრამ ბოლოს მაინც ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატებმაც გაიგეს, რომ საქართველოს ყოველმხრივ აღორძინება და წარმატება შეუძლებელია საბჭოთა ხელისუფლების გარეშე“ [2].

რამდენადაც „ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატთა“ ორგანიზაციის წევრებმა დაინახეს საბჭოთა ხელისუფლების სიძლიერე, შეიგნეს მისი დიდი როლი და დამსახურება ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული აღმავლობის სფეროში, დააყენეს საკითხი ამ ორგანიზაციის თვითლიკვიდაციის შესახებ. დასახული მიზნის განსახორციელებლად 1924 წლის დეკემბერში შეიქმნა „ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატთა“ ორგანიზაციის სალიკვიდაციო ბიურო, რომლის უშუალო ინიციატივით 1925 წლის 30 მაისს მოწვეული იქნა ამ ორგანიზაციის სალიკვიდაციო კონფერენცია, რომელზედაც ძირითადად განიხილეს ორი საკითხი: 1. წარსული მუშაობის შეფასება და 2. ნაციონალური საკითხი ქართველი ერის პერსპექტივების თვალსაზრისით.

პირველ საკითხთან დაკავშირებით კონფერენციამ სასტიკად გააკრიტიკა და დაგმო „ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატთა“ ორგანიზაციის ძველი პოლიტიკური ხაზი და უარყოფითად შეაფასა საბჭო-

---

[1] გაზ. „კომუნისტი“, 1925 წ. 4 ივნისი, № 126.

[2] იქვე.

თა ხელისუფლების პერიოდში მის მიერ გაწეული მთელი საქმიანობა. რაც შეეხება მეორე საკითხს, ამასთან დაკავშირებით კონფერენციაზე აღინიშნა, რომ „კომპარტიის მე-12 ყრილობის დადგენილებანი ეროვნულ საკითხში იდეალია ყოველი საღად მოაზროვნე ქართველისათვის. საბჭოთა ხელისუფლება თანამიმდევრობით და შეძლებისდაგვარად ატარებს მათ“ [1].

როგორც ცნობილია, რკპ(ბ) XII ყრილობამ (1923 წლის 17—25 აპრილი) თავის მუშაობაში განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ეროვნულ საკითხზე და მიიღო სპეციალური რეზოლუცია „ნაციონალური საკითხის შესახებ“. მიღებული რეზოლუციით ყრილობა პარტიის სახელით საჯაროდ აცხადებდა, რომ მომხდარიყო „ა) ეროვნებათა მიმართ იძულების ყველა და ყოველგვარი ფორმების გადაჭრითი უარყოფა; ბ) თავისი ბედის მოწყობის საქმეში ხალხთა თანასწორობისა და სუვერენობის აღიარება; გ) იმ დებულების აღიარება, რომ ხალხთა მტკიცე გაერთიანება შეიძლება გატარდეს მხოლოდ თანამშრომლობისა და ნებაყოფლობის საწყისებზე“ [2].

რამდენადაც პარტიის XII ყრილობის მიერ მიღებული რეზოლუცია ხელს უწყობდა და აღიარებდა საბჭოთა კავშირში შემავალი ხალხების სრულ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობასა და მათ განვითარებას, იმდენად „ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატებმა“ მასში დაინახეს იმ იდეის პრაქტიკულად განხორციელების ფაქტი, რომელსაც წლების განმავლობაში თავის იდეოლოგიურ დროშად აღიარებდნენ ეროვნულ- დემოკრატთა პარტიის ლიდერები. რომ ეს ნამდვილად ასეა, ამის დამადასტურებლად გამოდგება „ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატთა“ სალიკვიდაციო კონფერენციის მესამე სხდომის მუშაობის ამსახველი მასალები, რომელშიაც ვკითხულობთ: „დამოუკიდებლობა, რომელიც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი ლოზუნგი იყო, სავსებით დაცულია საბჭოთა სისტემაში. ყოველი ქართველი უნდა ჩაებას იმ მუშაობაში, რომელსაც აწარმოებს ამჟამად ხელისუფლება საქართველოს ეკონომიურად და კულტურულად აღორძინებისათვის“ [3]. რაც შეეხება ამავე საკითხთან დაკავშირებით

---

1 გაზ. „კომუნისტი“, 1925 წ. 4 ივნისი, № 126.
2 სკკპ... რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ტ. 1, თბ., 1954, გვ. 916.
3 გაზ. „კომუნისტი“, 1925 წ. 4 ივნისი, № 126.

კონფერენციის მიერ მიღებულ რეზოლუციას, მასში ნათქვამია: „ქართველი ახალგაზრდობისა და ქართველი ერისათვის ერთადერთი მისაღები გზაა საბჭოთა მთავრობასთან აქტიური თანამშრომლობა და ხელის შეწყობა იმ მუშაობისათვის, რომელიც ამ მთავრობის მეთაურობით სწარმოებს“ [1]. რამდენადაც „ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატთა“ სალიკვიდაციო კონფერენციამ აღიარა საბჭოთა ხელისუფლება და მისი როლი ქართველი ერის სოციალ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების საქმეში, ამდენად მან ორგანიზაციის არსებობა ზედმეტად მიიჩნია და იგი 1925 წლის 31 მაისს იურიდიულად გაუქმებულად გამოაცხადა. ყოველივე ეს მიღწეული იქნა საქართველოს კომპარტიასთან ერთად იდეოლოგიურ ფრონტზე კომკავშირული ორგანიზაციების მიერ გაწეული დაძაბული მუშაობის შედეგად.

ახალგაზრდობის ანტიპროლეტარული ორგანიზაციები, როგორც ზემოთაც გვქონდა მითითებული, რამდენადაც საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში ძირითადად ექვემდებარებოდნენ მენშევიკური პარტიის მითითებებს, ეს ფაქტი კიდევ უფრო ართულებდა საქართველოს კომკავშირის იდეოლოგიურ ბრძოლას „ახალგაზრდა მარქსისტებისა“ და სხვა ანტისაბჭოთა ნაციონალისტური ორგანიზაციების წინააღმდეგ. აქედან გამომდინარე, საბჭოთა სინამდვილე კომკავშირული ორგანიზაციის წინაშე გადაუდებელ ამოცანად აყენებდა იმ ნაციონალისტური ბარიერის დაძლევის აუცილებლობას, რომელიც მენშევიკური პარტიის დახმარებით სხვა ორგანიზაციებთან ერთად შექმნა „ახალგაზრდა მარქსისტებმა“. თუკი გავითვალისწინებთ მენშევიკური პარტიის განსაკუთრებული შეფობის ფაქტს „ახალგაზრდა მარქსისტებისადმი“, მაშინ ამ ორგანიზაციის წინააღმდეგ წარმატებითი იდეური ბრძოლა ლოგიკურ აუცილებლობად მოითხოვდა კომკავშირისადმი კომუნისტური პარტიის დახმარების გაძლიერებას. თუ რამდენად იყო დაინტერესებული საქართველოს კომპარტია ახალგაზრდობაში ნაციონალისტური შეხედულებების აღმოფხვრის საკითხით და როგორ ეხმარებოდა იგი თავის გამოცდილების საფუძველზე კომკავშირულ ორგანიზაციებს, ამის დამადასტურებელია საქართველოს კომპარტიის მეორე ყრილობის (1923 წლის 18-23 მარტი) მასალები. აღნიშნული ყრილობის მასალებიდან საყურადღებოა ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის სამხარეო კომიტეტის

---

[1] გაზ. „კომუნისტი“, 1925 წ. 4 ივნისი, № 126.

ანგარიშის საფუძველზე მიღებული რეზოლუცია. მასში, მთელ რიგ საკითხებთან ერთად, ყურადღებაა გამახვილებული ახალგაზრდობის ანტიპროლეტარული ორგანიზაციების ნაციონალისტური საქმიანობის შედეგად იდეოლოგიურ ფრონტზე შექმნილ სირთულეებზე. ამასთან დაკავშირებით რეზოლუციაში გარკვევითაა მითითებული, რომ „წვრილბურჟუაზიული სტიქია შემოდის ჩვენი სინამდვილის ყველა სფეროში და იმუქრება მოწამლოს საბოლოოდ მოზარდი თაობის შეგნება იდეალიზმის და ნაციონალ-შოვინიზმის შხამით... ყრილობა კატეგორიულად გამოდის აუცილებლობიდან, დაუყოვნებლივ შეუდგნენ მოსწავლეთა ნეიტრალიზაციას და საბჭოთა ხელისუფლებისათვის მათს დამორჩილებას. ახალგაზრდობისათვის ბრძოლა უნდა გახდეს პარტიისა და (კომკავშირის — შ. ვ.) ახალი ცკ-ის ძირითადი საკითხი მომავალში“ [1].

დასახული ამოცანის წარმატებით განხორციელების მიზნით, ყრილობამ მთელი რიგი მითითებები მისცა კომკავშირულ ორგანიზაციებს და აუცილებლობად მიიჩნია ახალგაზრდობის იდეურად დაპყრობისათვის კომკავშირი დაყრდნობოდა პროლეტარულ და ნახევრადპროლეტარულ ბირთვს.

ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ სწორედ ამ მითითებებით ხელმძღვანელობდა საქართველოს კომკავშირის VI ყრილობა (1923 წლის 16—20 სექტემბერი), როდესაც მან მ. ორახელაშვილის მოხსენების გარშემო მიღებულ რეზოლუციაში კატეგორიულად დასვა ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საკითხი, ამასთან ერთად, ყრილობამ ახალგაზრდობაში ნაციონალიზმის დაძლევის ერთ-ერთ ძირითად საშუალებად მიიჩნია ახალგაზრდობის ფართო მასებში ინტერნაციონალიზმის შეხედულებების პროპაგანდის აუცილებლობა და განსაზღვრა ამ საქმეში პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად კომკავშირის როლი და ადგილი [2].

მოტანილი მასალიდან ირკვევა, რომ კომკავშირის იდეური ბრძოლა ახალგაზრდობის ანტიპროლეტარული ორგანიზაციების, განსაკუთრებით „ახალგაზრდა მარქსისტების“ ნაციონალისტური შეხედუ-

---

[1] Борьба за упрочение Советской власти в Грузии (документы и материалы), Тб., 1959, გვ. 388.

[2] საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის VI ყრილობა (სტენოგრაფიული ანგარიში), თბ., 1924, გვ. 32.

ლებების წინააღმდეგ ძირითადად მიმდინარეობდა საქართველოს კომპარტიის უშუალო ზედამხედველობისა და დახმარების ატმოსფეროში. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ნაციონალიზმი ქართველი მოსწავლე ახალგაზრდობის ერთ ნაწილში იმდენად იყო ფეხგადგმული, რომ მისი ერთბაშად აღმოფხვრა თვით პარტიისა და კომკავშირის ერთობლივმა ღონისძიებებმაც კი ვერ უზრუნველყვეს. ამ გარემოების გათვალისწინება გვაფიქრებინებს, რომ კომკავშირის მიერ ახალგაზრდობაში ნაციონალისტური შეხედულებების აღმოფხვრისათვის ბრძოლის დასრულება, უნდა უკავშირდებოდეს ახალგაზრდობის წვოლბერჟუაზიული და ბურჟუაზიული ორგანიზაციების — „ახალგაზრდა მარქსისტებისა" და ახალგაზრდა „ეროვნულ-დემოკრატების" თეოლიკვიდაციას.

* * *

ზემოთ მოტანილი მასალების ანალიზმა ნათელყო, თუ რამდენად დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული საქართველოს კომკავშირის შედეგიანი ბრძოლა ახალგაზრდობის ანტიკომუნისტური ორგანიზაციების — განსაკუთრებით „ახალგაზრდა მარქსისტების" წინააღმდეგ.

აღნიშნული ბრძოლა რომ მეტი წარმატებით წარმართულიყო, როგორც ზემოთაც გვქონდა მითითებული, აუცილებელი იყო პარტიასა და კომკავშირს შორის არსებული კავშირის კიდევ უფრო გაღრმავება და რაც მთავარია მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის მაქსიმალურად დაპყრობა, რათა ისინი განმსჭვალულიყვნენ საბჭოთა ხელისუფლებისადმი ოპტიმისტური რწმენით. ყოველივე აღნიშნულის მიღწევა დიდად იყო დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად მაღალ დონეზე იქნებოდა საქართველოს კომკავშირის რიგებში კომუნისტური იდეოლოგიის სიწმინდისადმი და ახალგაზრდობაზე ზემოქმედებისადმი წარმოებული ბრძოლა. ამ მიმართულებით გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა ახალგაზრდებში პოლიტსწავლებისა და აგიტაცია-პროპაგანდის გაუმჯობესებას.

თუ რამდენად დიდი ყურადღება ენიჭებოდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველ ეტაპზე აგიტაცია-პროპაგანდის გაუმჯობესების საკითხს, ამის საუკეთესო გამოხატულებაა საქართველოს კომუნისტური პარტიის გურიის სამაზრო პარტიული

კონფერენციის (1921 წლის 15 ივლისი) მიერ მიღებული დადგენილება[1], რომლის კვალდაკვალ გაშალეს მუშაობა საქართველოს კომკავშირულმა ორგანიზაციებმა. პარტიასთან ერთად, საქართველოს კომკავშირს კარგად ჰქონდა შეგნებული თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ახალგაზრდობის იდეურად დაპყრობის თვალსაზრისით აგიტაციაპროპაგანდის მაღალ დონეზე დაყენებას. ამის დამადასტურებლად გამოდგება თუნდაც გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული სტატია სათაურით „პოლიტიკურ-განმანათლებელი მუშაობა“. მასში მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად კონკრეტულადაა მითითებული, რომ საქართველოს კომკავშირის „აუცილებელ პირობას შეადგენს პოლიტგანმანათლებელი მუშაობის სასურველ ნიადაგზე დაყენება. ჩვენმა კავშირმა თავს უნდა იდვას მთელი პოლიტიკური... მუშაობა ახალგაზრდათა ფართო მასებში“[2].

საქართველოს კომკავშირის წინაშე დასმული ამ ამოცანის გადაწყვეტა მწვავე კლასობრივი და იდეოლოგიური ბრძოლის პირობებში ურთულეს საკითხებთან იყო დაკავშირებული. თუკი გავითვალისწინებთ ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილი მასალების საფუძველზე იმ დიდ წინააღმდეგობას, რასაც ახალგაზრდობის ანტიბოლშევიკური ორგანიზაციები უწევდნენ იდეოლოგიურ ფრონტზე საქართველოს კომკავშირს, მაშინ, ჩვენი აზრით, კომკავშირულ ორგანიზაციებს დამოუკიდებლად პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის სასურველ დონეზე დაყენება არ შეეძლო. ეს საკითხი საქართველოს კომპარტიის ბოლშევიკების პირველი კონფერენციის (1922 წლის 26—28 ივნისი) სპეციალური მსჯელობის საგანი გახდა. კონფერენციამ კონკრეტულად მიუთითა ახალგაზრდათა კომუნისტურ ორგანიზაციებს შორის პარტიის მუშაობის ზოგიერთ ნაკლოვანებებზე და იდეოლოგიური ბრძოლის გართულების პირობებში ახალგაზრდობისადმი ყურადღების შესუსტება შეცდომად მიიჩნია[3].

ხოლო რაც შეეხება კონფერენციის მიერ მიღებულ სპეციალურ თეზისებს „მუშაობა ახალგაზრდათა შორის“ — აქ კონკრეტულად იყო მითითებული, თუ რა დიდ ძალას წარმოადგენს ორგანიზაციუ-

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, საქ. 59, ფურც. 4.

[2] გაზ. „კომუნისტი“, 1921 წ. 17 ივლისი, № 111.

[3] ჟურნ. „კომუნიზმის დროშა“, 1922, № 1, გვ. 58—59.

ლად შემჭიდროვებული ახალგაზრდათა კავშირი. კონფერენცია პარტიის წევრებს ერთხელ კიდევ მოაგონებდა, რომ „ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირს. თუ ის იქნება მტკიცედ ძლიერი და გავლენიანი. შეუძლია შეასრულოს დიდი როლი კონტრრევოლუციონური პარტიების იდეურად დამარცხება-განადგურებაში“ [1]. დასასრულს, კონფერენციამ ყოველგვარი დაფარვის გარეშე მიუთითა იმ საშიშროებაზე. რაც წვრილბურჟუაზიული პარტიებისა და ორგანიზაციების იდეოლოგიური ზეგავლენით მოელოდა ქართველ ახალგაზრდობას. გაითვალისწინა რა მოსალოდნელი საფრთხე. მისი თავიდან აცილების მიზნით კონფერენციის მიერ მიღებულ დადგენილებაში ხაზგასმით იქნა მითითებული, რომ წვრილბურჟუაზიული იდეოლოგიის დაპირისპირების თვალსაზრისით პარტიულ ორგანიზაციებს მეტი ენერგიულობითა და შემართებით წარემართა ახალგაზრდობაში პარტიულ-პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა[2].

უნდა შევნიშნოთ. რომ კონფერენციის მიერ მიღებული მითითებების განხორციელება ხელს უწყობდა პარტიისა და კომკავშირის ურთიერთდაახლოებას, და. რაც მთავარია, იგი ნიადაგს ამზადებდა იდეოლოგიური ბრძოლის ფრონტზე პარტიისა და კომკავშირის ერთობლივი გამოსვლისათვის. თუ რამდენად დიდად მნიშვნელოვანი იყო ამ კონფერენციის გადაწყვეტილებების ცხოვრებაში პრაქტიკულად განხორციელება, ამის დამადასტურებელია იმ პერიოდის კომკავშირულ პრესაში გამოქვეყნებული მასალები. პირველ რიგში საყურადღებოა გაზეთ „სპარტაკში“ გამოქვეყნებული გ. დევდარიანის სტატია— „რა უნდა ვაკეთოთ“. მასში გაცემულია პასუხი იმ მეტად საჭირბოროტო საკითხებზე, რომლებიც იდგა კომკავშირული ორგანიზაციის წინაშე. აღნიშნული სტატიისადმი განსაკუთრებული ყურადღება იმითაც არის გამოწვეული, რომ გ. დევდარიანი სასტიკად აკრიტიკებს ახალგაზრდობის ანტიკომუნისტური ორგანიზაციების მიერ იდეოლოგიურ ფრონტზე მწვავე შემოტევისაგან დაბნეულ იმ პირებს, რომლებიც კატეგორიულად მოითხოვდნენ კომკავშირის, როგორც დამოუკიდებელი ორგანიზაციის, გაუქმებას და მის შეერთებას კომპარტიასთან. აკრიტიკებს რა „შეერთების თეორიის“ მომხრე-

---

[1] ჟურნ. „კომუნიზმის დროშა“, 1922, № 1, გვ. 58—59.

[2] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, საქ. 204, ფურც. 5.

ებს, გ. დევდარიანი, ჩვენი აზრით, სავსებით სამართლიანად მიუთითებს, რომ „ახალგაზრდათა კავშირი, როცა ის დაჰკარგავს ორგანიზაციულ დამოუკიდებლობას, არის არა ახალგაზრდობის ორგანიზაცია, არამედ კომპარტიასთან არსებული უბრალო განყოფილება“ [1]. იმ მწვავე იდეოლოგიური ბრძოლის პერიოდში კომკავშირი თუ დაჰკარგავდა თავის ორგანიზაციული დამოუკიდებლობის სახეს და კომპარტიასთან არსებულ უბრალო განყოფილებად გადაიქცეოდა, ეს იქნებოდა პოლიტიკური შეცდომა. პირველ რიგში, ამ ღონისძიებით ანტისაბჭოთა პროპაგანდის საუკეთესო ხელჩასაჭიდი მასალა მიეცემოდა ახალგაზრდობის ანტიბოლშევიკურ ორგანიზაციებს და მეორეც, მას შეეძლო ახალგაზრდობა ჩამოეცილებინა კომკავშირული ორგანიზაციიდან. ითვალისწინებდა რა ამ მოსალოდნელ საფრთხეს, რაც შეიძლება უბრალო შეცდომასაც კი მოჰყოლოდა, გ. დევდარიანი კატეგორიულად მიუთითებდა, რომ „თუ არ გვექნება მტკიცე კომუნისტური კავშირი, ჩვენ გადავიქცევით წვრილბურჟუაზიულ ორგანიზაციად“ [2]. ამიტომ მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილების მიზნით იგი აუცილებლობად მიიჩნევდა კომპარტიასა და კომკავშირს შორის კავშირის განმტკიცებასა და პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის გაღრმავებას. ყოველივე აღნიშნული ხელს შეუწყობდა კომკავშირს, კიდევ უფრო მეტი ენერგიით გაეძლიერებინა ბრძოლა წვრილბურჟუაზიული სტიქიის წინააღმდეგ.

თუ რამდენად დიდ საფრთხეს უქმნიდა ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდას საქართველოში დამკვიდრებული წვრილბურჟუაზიული იდეოლოგიური მიმდინარეობა, ამის შესახებ დაწვრილებითაა საუბარი გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ საპროგრამო სტატიაში — „ახალგაზრდობის კავშირის ერთი ამოცანათაგანი“. მასში ყურადღებაა გამახვილებული კომკავშირული ორგანიზაციისათვის მეტად საჭირო იდეოლოგიური ბრძოლის ფორმებსა და მეთოდებზე. ამასთან ერთად, მითითებულია იმ მოსალოდნელ საშიშროებაზე, რომელიც ახალგაზრდობას ემუქრებოდა საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგე პარტიებისა და ორგანიზაციების ანტიკომუნისტური იდეოლოგიისაგან. დასახელებულ სტატიაში ვკითხულობთ: „ჩვენ გარშე-

---

[1] გაზ. „სპარტაკი“, 1922 წ. 5 ივნისი, № 5.

[2] იქვე.

ნორტყმული ვართ წვრილბურჟუაზიული სტიქიით. ბურჟუაზია ცდილობს იდეოლოგიურად ჩვენს დამორჩილებას, თავის გავლენის ქვეშ მოქცევას. ამისათვის ის იყენებს „ლეგალურ შესაძლებლობას“, სკოლას, ლიტერატურას და სხვა.

ამ იერიშს ჩვენ უნდა შევხვდეთ მარქსიზმის იარაღით აღჭურვილნი. ახალგაზრდობის განვითარებას უნდა მივცეთ მარქსისტულ-კომუნისტური მიმართულება და შინაარსი.

კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირმა უნდა გაუწიოს ამ მხრივ ხელმძღვანელობა მთელ ახალგაზრდობას“ [1].

უნდა შევნიშნოთ, რომ შექმნილ ვითარებაში დასახული პროგრამის განხორციელება დიდად იყო დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ძლიერი პოლიტიკური და იდეური გავლენა ექნებოდა კომკავშირულ ორგანიზაციებს კომკავშირის გარეთ დარჩენილ ახალგაზრდობაზე. აღნიშნული საკითხის კომკავშირის სასარგებლოდ დროული გადაწყვეტის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მეტყველებს ახალგაზრდობაში იდეურ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით 1922 წელს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებული დადგენილება.

როგორც ირკვევა, ამ დოკუმენტში განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული კომკავშირში პოლიტიკური მუშაობის, პოლიტიკური აღზრდის, პოლიტიკური უცოდინრობის ლიკვიდაციის საკითხებზე, ამავე დროს, აუცილებლობადაა მიჩნეული ყველა სამაზრო ორგანიზაციაში სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების დაარსება [2].

გაზეთი „სპარტაკი“ სტატიაში — „ს. ა. კ. კ. მორიგი პოლიტსაგანმანათლებლო ამოცანები“ აუცილებლობად მიიჩნევდა, რომ კომკავშირულ ორგანიზაციებს პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობა წარემართა სამი ძირითადი მიმართულებით: 1. მოეხდინა სააგიტაციო-საპროპაგანდო-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერება კომკავშირის წევრების გონებრივი განვითარებისა და მარქსისტული აღზრდის თვალსაზრისით. 2. გაეძლიერებინა კომკავშირის წევრებში კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა. 3. კომკავშირის წევრები აღეზარ-

---

[1] გაზ. „კომუნისტი“, 1922 წ. 21 სექტემბერი, № 216.

[2] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 96, აღწ. 1, საქ. 15, ფურც. 12.

ლათ ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე[1].

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ კომკავშირული პრესის ფურცლებზე იდეოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებით გამოქვეყნებულმა მასალებმა და მასში მოცემულმა მთელმა რიგმა საპროგრამო დებულებებმა, ერთგვარად მოამწიფა საერთო აზრი და ხელი შეუწყო კომკავშირის რიგებში აგიტაცია-პროპაგანდის ხაზით ერთიანი თვალსაზრისის შემუშავებას.

როგორც სათანადო მასალების შესწავლიდან ირკვევა, აღნიშნული საკითხი განიხილა საქართველოს კომკავშირის პირველმა ლეგალურმა კონფერენციამ (1922 წლის 5 დეკემბერი). მის მიერ მიღებულ დადგენილებაში ნათქვამია, რომ „იდეოლოგიურ ფრონტზე გამარჯვება დამოკიდებულია იმაზე, თუ ვის მხარეზე იქნება ამ ფრონტზე მებრძოლი ძალა. — ინტელიგენცია, და ვინ დაიპყრობს მოსწავლეთაობის და, საერთოდ, ახალგაზრდობის გონებას. ვინ შესძლებს მის თავიდანვე აღზრდას, ვინ დაისაკუთრებს ამ აღზრდისათვის საჭირო საშუალებებს“ [2].

აღნიშნული კონფერენციის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე, გ. დევდარიანმა სტატიაში — „ჩვენი პოზიციები მტკიცდება“ ხაზგასმით მიუთითა: „მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობისათვის წიგნის მიწოდება, მუშათა ახალგაზრდობის მდგომარეობის და განათლების მტკიცე საძირკველზე დაყენება ჩვენი კავშირის ძირითადი ამოცანაა“ [3].

არსებული მასალების ანალიზმა ნათელყო, თუ რა დიდ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა საქართველოს კომკავშირი ახალგაზრდებში აგიტაცია-პროპაგანდის მაღალ დონეზე დაყენების მიზნით. მაგრამ შეცდომა იქნება თუ ვიფიქრებთ, რომ თითქოს კომკავშირი ამ დიდ საქმეს, დამოუკიდებლად ატარებდა. საქმე იმაშია, რომ ნებისმიერი ღონისძიება, რაც აგიტაცია-პროპაგანდასა და ახალგაზრდობის იდეურად დაპყრობის საკითხს შეეხებოდა, პარტიულ ორგანიზაციებთან ერთობლივად ხორციელდებოდა ან კიდევ, უფრო ხში-

---

[1] გაზ. „სპარტაკი“, 1922 წ. 5 დეკემბერი, № 14.
[2] გაზ. „კომუნისტი“, 1922 წ. 9 დეკემბერი, № 283.
[3] გაზ. „სპარტაკი“, 1923 წ. 15 იანვარი, № 2.

რად. კომკავშირული ორგანიზაციები პარტიული ორგანიზაციებისაგან სისტემატურად იღებდნენ სათანადო რჩევა-დარიგებებს. ამ მხრივ ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ცირკულარი, რომელიც დაეგზავნა საქართველოს კომკავშირის ყველა სამაზრო და საოლქო კომიტეტს (1923 წლის 9 ივლისი). მასში ხაზგასმითაა მითითებული იმ მოვალეობებზე, რაც პარტიას ეკისრებოდა, ამ შემთხვევაში, კომკავშირის მიმართ. რათა ამ უკანასკნელს უკეთ წარემართა თავისი მუშაობა ახალგაზრდობის იდეურად დაპყრობის თვალსაზრისით [1].

აღნიშნულმა ღონისძიებებმა, რომლებიც საქართველოს კომკავშირმა პარტიასთან მჭიდრო კავშირში განახორციელა, უდიდესი ზეგავლენა მოახდინა თვით კომკავშირის წევრებზე. რაც იმაში გამოიხატა, რომ საქართველოს კომკავშირელთა უმეტესობა აქტიურად ჩაება პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობაში, რომ ეს ნამდვილად ასე იყო, ამის დამადასტურებელია საქართველოს კომკავშირის მეექვსე ყრილობის (1923 წლის 16—20 სექტემბერი) მასალებში მოცემული ფაქტები, საიდანაც ირკვევა, რომ 1923 წლისათვის საქართველოში კომკავშირის ხაზით დაარსებული იყო 520 პოლიტწრე, რომელიც 15000 კომკავშირელიდან აერთიანებდა 9700 კომკავშირელს. ამის პარალელურად არსებობდა მარქსიზმის სპეციალურად შემსწავლელი 27 წრე, 350 წევრით [2].

ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ რამდენადაც კომკავშირის წინაშე ნომერ პირველ ამოცანად იდგა მოსწავლე-ახალგაზრდობის პოლიტიკური დაპყრობა, ეს ფუნქცია ძირითადად სახეზე არსებულ პოლიტწრეებს უნდა შეესრულებინა. თუ რა კუთხით უნდა წარმართულიყო მუშაობა, ამ საკითხის გარკვევის საქმეში დიდი როლი შეასრულა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მიერ 1923 წლის 29 დეკემბერს ყველა საოლქო და სამაზრო კომიტეტისა და თბილისის კომიტეტისადმი მოსწავლეთა შორის პოლიტიკურ-საგანმანათლებლო მუშაობის შესახებ დაგზავნილმა ცირკულარმა. ეს დოკუმენტი იმითაა მნიშვნელოვანი, რომ მასში განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული ახალგაზრდობაზე გავლენის სფეროების მოპოვების ახალ ამოცანებზე და რაც მთავარია, აუცი-

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 96, აღწ. 1, საქ. 17, ფურც. 32.

[2] გაზ. „სპარტაკი", 1923 წ. 23 სექტემბერი, № 54.

ლებლობად არის მიჩნეული, რომ კომკავშირი დროულად დაუფლებოდა ახალგაზრდობაში პოლიტიკური და კულტურული მუშაობის ყველა სასიცოცხლო რგოლს. იმ მიზნით, რომ კომკავშირს მეტი წარმატებისათვის მიეღწია მოსწავლეთა რიგებში გავლენის გასაძლიერებლად, კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევდა რესპუბლიკის ყველა კომკავშირულ ორგანიზაციას უარეყოთ ყოველგვარი ადმინისტრაციული ზომები მოსწავლეებზე გავლენის სფეროების მოპოვების მიზნით, ამავე დროს იგი აუცილებლობად მიიჩნევდა ახალგაზრდობაში პოლიტ-აღმზრდელობითი მუშაობისათვის შეექმნათ საჭირო საღი ატმოსფერო და მუშაობაში ძირითადად დაყრდნობოდნენ მოსწავლეთა მშრომელ ფენებს [1].

ამრიგად, ჩვენ მიერ მოტანილი ფაქტები სარწმუნოდ მიუთითებს იმაზე, თუ რა დიდი გულისყურით ეკიდებოდა საქართველოს კომკავშირი ახალგაზრდობის რიგებში საგანმანათლებლო სამუშაოების ჩატარებას და როგორი სიფრთხილით უდგებოდა იგი ახალგაზრდობაზე იდეურად ზემოქმედების საქმეს. ყოველივე ეს უდავოდ უწყობდა ხელს აგიტაცია-პროპაგანდისტული მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებას არა მარტო კომკავშირლებში, არამედ კომკავშირის გარეთ მყოფ ახალგაზრდობაშიც. რა თქმა უნდა, ეს აშკარად განაპირობებდა კომკავშირული ორგანიზაციის ავტორიტეტის ზრდას, რაც უშუალოდ უწყობდა ხელს წინა წლებთან შედარებით ახალგაზრდობის მეტი ძალების სწრაფ შეკავშირებას კომკავშირული ორგანიზაციის გარშემო. ჩვენი აზრით, სწორედ ამაში უნდა ვეძიოთ იდეოლოგიურ ფრონტზე „ახალგაზრდა მარქსისტების" წინააღმდეგ მთელ აღდგენით პერიოდში საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციების შეუპოვარი და წარმატებითი ბრძოლის ერთ-ერთი ძირითადი საფუძველი.

§ 2. საქართველოს კომკავშირის მიერ „ახალგაზრდა მარქსისტთა" კონტრრევოლუციური საქმიანობის მხილება გენუის კონფერენციასთან დაკავშირებით

საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციის მიერ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველ წლებში იდეოლოგიურ ფრონტზე წარმოებულმა ბრძოლამ განსაკუთრებით თავისებური ხასიათი

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 96, აღწ. 1, საქ. 17, ფურც. 96—97.

მიიღო გენუის კონფერენციის მოწვევის სამზადისთან დაკავშირებით. როგორც სათანადო მასალების შესწავლიდან ირკვევა, საქართველოში არალეგალურად მოქმედი კონტრრევოლუციური ძალების უკანასკნელ იმედად გენუის კონფერენცია გადაიქცა. საქართველოს მენშევიკურ პარტიას, რომელიც დიდ იმედს ამყარებდა გენუის კონფერენციაზე და დასავლეთ ევროპის იმპერიალისტთა მხარდაჭერაზე, გვერდით ამოუდგა „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაცია, რომელიც ყოველგვარ საშუალებას მიმართავდა, რათა ქართველი ახალგაზრდობა გამოეყენებინა თავიანთი კონტრრევოლუციური მიზნების განსახორციელებლად. არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ამ ეტაპზე „ახალგაზრდა მარქსისტები" ანტისაბჭოური საქმიანობით ტოლს არ უდებდნენ მენშევიკურ პარტიას. მიუხედავად ამისა, „ახალგაზრდა მარქსისტთა" ანტისაბჭოურმა საქმიანობამ გენუის კონფერენციასთან დაკავშირებით და მის წინააღმდეგ საქართველოს კომკავშირის ბრძოლის საკითხმა ძალზე მკრთალი ასახვა პოვა ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში. ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ გენუის კონფერენციასთან დაკავშირებით მენშევიკური პარტიის წინააღმდეგ საქართველოს კომპარტიის ბრძოლის საკითხი შედარებით სრულყოფილადაა შესწავლილი. მას სხვადასხვა დროს შეეხნენ ი. კაჭარავა, ი. ჩიქავა, კ. შელია, გ. ჯანგველაძე[1] და სხვები. მაგრამ, სამწუხაროდ, აღნიშნულ ავტორთა შრომებში ერთი სიტყვაც კი არ არის ნახსენები ამ ეტაპზე „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციის წინააღმდეგ საქართველოს კომკავშირის მიერ ჩატარებულ იდეურ ბრძოლაზე.

დასახელებულ ავტორთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს პროფ. გ. ჟვანიას შრომები[2], რომლებშიც გენუის კონფერენციასთან დაკავშირებით მოცემულია „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორ-

---

[1] ი. კაჭარავა, საბჭოთა საქართველო სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში; ი. ჩიქავა, ანტისაბჭოთა პოლიტიკის კრახი გენუისა და ჰაგის კონფერენციებზე, თბ., 1964; მისივე, გენუის კონფერენცია და საქართველო, კრებული, სსრ კავშირის შექმნის 50 წელი, თბ., 1972; კ. შელია, დასახელებული ნაშრომი; გ. ჯანგველაძე, დასახელებული ნაშრომი.

[2] გ. ჟვანია, საქართველოს კომკავშირის ისტორიის ნარკვევები, გვ. 117—118; მისივე, საქართველოს კომკავშირი სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის ბრძოლაში; Комсомол Грузии помощник партии в борьбе за установление и упрочение Советской власти, Тб., 1957.

განიზაციის წინააღმდეგ საქართველოს კომკავშირის იდეური ბრძოლის ზოგადი სურათი.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საქართველოს კონტრრევოლუციური პარტიებისა და ორგანიზაციების მოქმედება ძირითადად დაპროგრამებული იყო ემიგრაციაში მყოფი ყოფილი მენშევიკური მთავრობის მიერ. უნდა აღინიშნოს, რომ მას შემდეგ, რაც გადაწყდა გენუის კონფერენციის მოწვევის საკითხი, როგორც ცნობილია, მენშევიკური მთავრობის ლიდერები ცდილობდნენ ხელიდან არ გაეშვათ შექმნილი მომენტი. ამის უდავოდ დამადასტურებელია თუნდაც ის ფაქტი, რომ გენუის კონფერენციასთან დაკავშირებით ნ. ჟორდანიამ ანტანტის იმპერიალისტური სახელმწიფოების უზენაეს საბჭოს წარუდგინა სპეციალური „ნოტა", რომელშიაც იგი მოითხოვდა, რომ ანტანტის სახელმწიფოებს შეემზადებინათ ნიადაგი, რათა გენუის კონფერენციას სპეციალურად განეხილა საქართველოს საკითხი [1]. არსებული მასალებისა და სათანადო ლიტერატურის შესწავლიდან ირკვევა, რომ იგივე ნ. ჟორდანია ყოველმხრივ ცდილობდა, რომ გენუაში არ დაეშვათ საბჭოთა საქართველოს წარმომადგენელი და თვითონ გამოსულიყო ქართველი ხალხის სახელით [2]. დასახული მიზნის მისაღწევად, როგორც აღნიშნული ნოტის შინაარსიდან ირკვევა, ივი დამამცირებელ ბრალდებებსაც კი არ ერიდებოდა და ამ ბრალდებებით ცდილობდა „დაემტკიცებინა", რომ საქართველოს ნამდვილი მთავრობა, ემიგრაციაში მყოფი მენშევიკური „მთავრობა" იყო. ხოლო რაც შეეხებოდა საბჭოთა საქართველოს მთავრობას, ნ. ჟორდანიას აზრით, როგორც იგი ზემოთ დასახელებულ „ნოტაში" აღნიშნავდა, „საქართველოს საბჭოთა მთავრობა ფაქტობრივად სამხედრო ოკუპაციაა. ამ მთავრობას არაფერი საერთო არა აქვს საქართველოს ხალხთან და ის ეყრდნობა მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა ჯარების ხიშტებს. ამ მთავრობამ გარეკა ხალხის წარმომადგენლები, თვითმმართველობის ორგანოები" [3].

უნდა შევნიშნოთ, რომ ნ. ჟორდანიას აღნიშნულმა ბრალდებამ, როგორც მასალებიდან ირკვევა, ბოლშევიკური პარტიის სასტიკი კრიტიკა დაიმსახურა. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ფ. მახარაძის

---

[1] ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, თხზ., ტ. IV, თბ., 1924, გვ. 226.
[2] გ. ჯ ა ნ გ ვ ე ლ ა ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 384.
[3] ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, თხზ., ტ. IV, თბ., 1924, გვ. 227.

სტატია — „ქართველი ხალხის არამკითხე ოპეკუნები“, რომელიც 1922 წელს ვამოაქვეყნა გაზეთმა „კომუნისტმა“, ხოლო შემდეგ ავტორმა თხსულებების მეოთხე ტომში დაბეჭდა. აღნიშნულ სტატიაში ფ. მახარაძემ ამხილა რა ნ. ჟორდანიას ბრალდების სიყალბე, იქვე მიუთითა, რომ „ასეთი არამკითხე მეურვეების, ასეთი ძალადმაცხონე „მზრუნველების“ როლში წინათაც და ახლაც გამოდიან ხალხის მატყუარები, მუშათა კლასის გამცემლები — ქართველი მენშევიკების ბელადები“ [1].

ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ მენშევიკთა ემიგრაციული მთავრობის მითითების საფუძველზე, როგორც გ. ჯანგველაძე აღნიშნავს, საქართველოს კონტრრევოლუციური პარტიები შეეცადნენ ანტისაბჭოთა გამოსვლებით აღენიშნათ კონფერენციის დაწყება [2]. როგორც მასალებიდან ირკვევა, საქართველოს მენშევიკური პარტიის გადაწყვეტილებას მხარი აუბა „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციამ, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის ამხედრება. თუ როგორ გულმოდგინედ ასრულებდნენ „ახალგაზრდა მარქსისტები“ მენშევიკური პარტიის მესვეურების მითითებებს, ამის შესახებ ნათელ წარმოდგენას იძლევა გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული მასალები. ამ შემთხვევაში ჩვენს განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს „კომუნისტში“ გამოქვეყნებული სტატია „მენშევიკების მორიგი პროვოკაცია“. აღნიშნული სტატია იმითაცაა საინტერესო, რომ მასში სათანადო მასალების მოშველიების საფუძველზე მხილებულია ნ. ჟორდანიას ემიგრაციული მთავრობის მიერ გავრცელებული ჭორები, რომლის მიხედვით, თითქოს გენუის კონფერენციაზე სპეციალურად იყო მიწვეული ნ. ჟორდანიას მთავრობა, რომ ის დირექტივები, რაც ჟორდანიამ მისცა ქართველ ხალხს „სწორი იყო“, „რომ მენშევიკური მთავრობა ევროპის სახელმწიფოთა დახმარებით თითქოს მოდიოდა ბოლშევიკებისაგან საქართველოს „გასანთავისუფლებლად“ [3].

---

[1] გაზ. „კომუნისტი“, 1922 წ. 24 თებერვალი, № 35; ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, თხზ., ტ. IV. თბ., 1924, გვ. 224.

[2] გ. ჯ ა ნ გ ვ ე ლ ა ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 384.

[3] გაზ. „კომუნისტი“, 1922 წ. 15 თებერვალი, № 36.

როგორც მასალების შესწავლა ადასტურებს, საზღვარგარეთელი კონტრრევოლუციური ძალები სწორედ ამ ჭორებზე დაყრდნობით მოუწოდებდნენ ადგილობრივ კონტრრევოლუციას, რომ გენუის კონფერენციის წინ დასავლეთ ევროპის იმპერიალისტური სახელმწიფოებისათვის დაემტკიცებინათ, თითქოს „ცოცხალი ძალები" არ ითვისებენ საბჭოთა ხელისუფლებას, რომ კომუნიზმი სრულიად ეუცხოება საქართველოს მშრომელ ხალხს[1].

როგორც ჩვენ მიერ მოძიებული მასალების შესწავლამ და ანალიზმა ცხადყო, საზღვარგარეთის კონტრრევოლუციურ ძალებს საქართველოში მენშევიკური პარტიის გვერდით „ახალგაზრდა მარქსისტთა" სახით ჰყავდა საიმედო დასაყრდენი ძალა. შეცდომა არ იქნება, თუკი აღვნიშნავთ, რომ სწორედ ეს ძალა — „ახალგაზრდა მარქსისტები" ასრულებდნენ ხელმძღვანელისა და ორგანიზატორის როლს საქართველოში არსებული ახალგაზრდობის ანტიბოლშევიკურ ორგანიზაციათა შორის.

უნდა შევნიშნოთ, რომ „ახალგაზრდა მარქსისტთა" განსაკუთრებულ გააქტიურებას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში დიდად შეუწყო ხელი მენშევიკების საზღვარგარეთული ორგანოს „თავისუფალი საქართველოს" რესპუბლიკაში შემოტანამ და გავრცელებამ. ჩვენი აზრით, უარიგო არ იქნება, თუკი ორიოდე სიტყვით შევეხებით აღნიშნული ორგანოს ძირითად მიმართულებას. როგორც ამ პერიოდის ბოლშევიკური პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალების საფუძველზედან ირკვევა, „თავისუფალი საქართველო" თავიდან ბოლომდე კონტრრევოლუციურ ხასიათს ატარებდა. ამას თუნდაც ისიც ადასტურებს, რომ იგი საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგოდ ახალგაზრდობის ამხედრების მიზნით საქართველოში დარჩენილი კონტრრევოლუციური ძალების საყურადღებოდ დაჟინებით წერდა, თითქოს საბჭოთა პრესა ყალბ ცნობებს იძლეოდა კანის თათბირის გადაწყვეტილებათა შესახებ. ამავე დროს იგი აიმედებდა საქართველოს მენშევიკურ პარტიებსა და ორგანიზაციებს, რომ ამ თათბირის გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით და საფრანგეთის მთავრობის მხარდაჭერით გენუის კონფერენციაზე კატეგორიულად დაისმებოდა საკითხი რუსეთისაგან საქართველოს „განთავისუფლების" შესახებ.

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1922 წ. 14 თებერვალი, № 35.

აღნიშნული ორგანო ჩვენს ყურადღებას იმითაც იპყრობს, რომ იგი პროვოკაციულად მოუწოდებდა საქართველოში დარჩენილ მენშევიკებს — გენუის კონფერენციის დაწყებამდე მოემზადებინათ „საზოგადოებრივი აზრი" და შეექმნათ ისეთი ატმოსფერო, „რომელიც დაარწმუნებდა ევროპის მმართველებს, რომ საქართველო უცხოა ბოლშევიკებისათვის, რომ ის აჯანყების მხარეთაა გადაქცეული" [1].

ამგვარი დირექტივებით შეიარაღებულმა საქართველოს „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციამ გააძლიერა ანტისაბჭოთა საქმიანობა, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოში აჯანყების მომზადებას. თუ რამდენად ფართო მასშტაბის იყო „ახალგაზრდა მარქსისტთა" მიერ ჩაფიქრებული გეგმა, ამის შესახებ გარკვევითაა ნათქვამი ყოფილი ახალგაზრდა მარქსისტის ვ. ხმალაძის წერილში — „ნიღაბი მოვიხსნათ". აღნიშნულ წერილში ვ. ხმალაძე, ამხელს რა „ახალგაზრდა მარქსისტთა" ანტისაბჭოურ ბუნებას, ყოველგვარი დაფარვის გარეშე მიუთითებს, რომ „ახალგაზრდა მარქსისტთა ცენტრალური კომიტეტის დავალებით მე გენუის კონფერენციის მოწვევის მომენტისათვის, უნდა მომემზადებინა ბორჯომის რაიონი, ახალციხე-ახალქალაქის მაზრები აჯანყებისათვის, რომელიც მთელ საქართველოში უნდა დაწყებულიყო. ეს აჯანყება დაუმტკიცებდა კონფერენციას ქართველი ხალხის მტრულ განწყობილებას საბჭოთა ხელისუფლებისადმი და აიძულებდა ანტანტას გადასულიყო სიტყვიდან საქმეზე. ე. ი. აქტიურად ჩარეულიყო საქართველოს საქმეებში" [2].

ამრიგად, მოტანილი მასალისა და მისი სათანადო ანალიზის საფუძველზე ნათელია, რომ დასავლეთში შეხიზნული ნ. ჟორდანიას „მთავრობის" დახმარებისა და მხარდაჭერის შედეგად „ახალგაზრდა მარქსისტებს", რომლებიც მთელი სერიოზულობით იყვნენ ჩაბმული ანტისაბჭოურ საქმიანობაში, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებიდან, მხოლოდ გენუის კონფერენციასთან დაკავშირებით მიეცათ პირველად შესაძლებლობა და ხელჩასაჭიდი მიზეზი, საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად მოეწყოთ საქართველოს ახალგაზრდობის მასობრივი ანტისაბჭოური გამოსვლა. შეცდომა არ იქნება თუკი აღვნიშნავთ, რომ „ახალგაზრდა მარქსისტთა" ეს ოპტიმისტური განწყობილება, საქართველოში ბოლშევიკური ხელისუფლების

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1922 წ. 28 მაისი, № 119.

[2] ჟურნ. „სიმართლის ხმა", 1924, № 10, გვ. 8.

დამხობის შესაძლებლობის შესახებ, ძირითადად გამომდინარეობდა დასავლეთ ევროპის კონტრრევოლუციურ ძალებთან მათი მჭიდრო კავშირურთიერთობით.

უნდა აღვნიშნოთ, რომ მართალია, „ახალგაზრდა მარქსისტებმა" გენუის კონფერენციის მოწვევის სამზადისთან დაკავშირებით, როგორც მათ ჰქონდათ ჩაფიქრებული, ვერ მოახერხეს ანტისაბჭოთა გამოსვლებში ჩაებათ მთელი საქართველოს ახალგაზრდობა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ მაინც შეძლეს ანტიბოლშევიკურ გამოსვლებში აქტიურად ჩაებათ მოსწავლეთა და სტუდენტთა ერთი ნაწილი. როგორც გაზეთი „კომუნისტი" აღნიშნავდა, ყოველივე ეს მიღწეულ იქნა იმით, რომ „პოლიტიკურ მრწამსში გაურკვეველმა მოსწავლე ახალგაზრდობამ აიტაცა სპორტული ორგანიზაცია „შევარდენის" ლოზუნგი — „ვგუშაგობ ერს" და ფართოდ დაეწაფა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცეკას მიერ გამოშვებულ სხვადასხვა პროვოკაციულ ფურცლებსა და მოწოდებებს, რომელსაც გულდასმით სწავლობდა" [1]. აღნიშნული ფურცლები და მოწოდებები განსაკუთრებული „დამაჯერებლობით" იყო შედგენილი. ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მიერ 1925 წელს მოსწავლე ახალგაზრდობაში მუშაობის შესახებ მიღებულ თეზისებში მითითებულია: „მოსწავლე ახალგაზრდობას ეგონა, რომ საქართველოს გასაბჭოება ოკუპაცია იყო (რუსეთის მიერ საქართველოს ძალდატანებით დაპყრობა). ამაში გაურკვევლობის და მენშევიკების ათასნაირი ჭორების გამო, ვითომ საბჭოთა მთავრობა რამდენიმე კვირის შემდეგ „დაემხობოდა" — მოსწავლეთა შორის ვითარდებოდა ანტისაბჭოთა მიმართულება" [2].

ჩვენი აზრით, სწორედ ამის შედეგი იყო ის ფაქტი, რომ 1922 წლის 11 თებერვალს მოსწავლე და სტუდენტმა ახალგაზრდობამ „ახალგაზრდა მარქსისტთა" ხელმძღვანელობით საქართველოში რუსეთის წითელი არმიის შემოსვლის წლისთავთან დაკავშირებით მოაწყო სამგლოვიარო დემონსტრაცია [3]. ხოლო იმავე დღეს, ნ. ჟორდა-

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1922 წ. 28 მაისი, № 119.
[2] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 96, აღწ. 1, საქ. 51, ფურც. 53.
[3] კ. შ ე ლ ი ა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 296.

ნიას მენშევიკური „მთავრობისადმი“ მხარდაჭერის მიზნით, უნივერსიტეტის ეზოში ანტისაბჭოთა მიტინგი გამართეს[1].

როგორც ირკვევა, ეს გამოსვლები იმდენად მნიშვნელოვანი ყოფილა, რომ იგი, პირველ რიგში, თბილისის საბჭოს 20 თებერვლის პლენუმისა და მოსკოვის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა საკრებულოს სპეციალური განხილვისა და მსჯელობის საგანი გამხდარა[2].

უნდა შევნიშნოთ, რომ ამ მოვლენებმა ფართო ასახვა პოვა იმ პერიოდის ბოლშევიკური პრესის ფურცლებზეც, სადაც დაგმობილი იყო ახალგაზრდობის ანტიკომუნისტური ორგანიზაციების მთელი საქმიანობა და, რაც მთავარია, დასმული იყო საკითხი მათ წინააღმდეგ დაუყოვნებლივ იდეური ბრძოლის გაძლიერების აუცილებლობის შესახებ[3].

„ახალგაზრდა მარქსისტთა“ საქმიანობის, სტუდენტთა და მოსწავლეთა გარკვეული ნაწილის გამოსვლების შესახებ, ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილი ფაქტები და მისი ასახვა ბოლშევიკური პრესის ფურცლებზე, როგორც ვხედავთ, ერთის მხრივ, აშკარად მეტყველებს საბჭოთა ხელისუფლების მიმართ ამ ორგანიზაციის წევრთა და მის მომხრეთა ერთობლივ საპროტესტო გამოსვლებზე. მეორეს მხრივ, იგი იმის ნათელი დადასტურებაა, თუ როგორი გულმოდგინებით ემზადებოდნენ საქართველოს კონტრრევოლუციური ძალები გენუის კონფერენციისათვის. როგორც ცნობილია, გენუის კონფერენციამ მუშაობა 1922 წლის 10 აპრილიდან დაიწყო და მთელი მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო. რაც შეეხება „ახალგაზრდა მარქსისტთა“ დამოკიდებულებას გენუის კონფერენციისადმი, იგი ძირითადად განსაზღვრული იყო საქართველოს მენშევიკური პარტიისა და რეაქციული სასულიერო წოდების მოქმედებით.

ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში ინტერესს მოკლებული არ იქნება, თუკი ორიოდე სიტყვით შევეხებით საქართველოს სასულიერო წრეების საქმიანობას გენუის კონფერენციასთან დაკავშირებით. თუ რამდენად ანტისაბჭოური კურსი ჰქონდა აღებული ქართული ეკლესიის ზოგიერთ წარმომადგენლებს, ამის საილუსტრაციოდ გამოდგება სრულიად საქართველოს კათალიკოსის — ამბროსის (ბესარიონ ხელაიას)

---

[1] გაზ. „კომუნისტი“, 1922 წ. 15 თებერვალი, № 36.

[2] გაზ. „კომუნისტი“, 1922 წ. 28 მაისი, №119;

[3] იქვე.

მიერ საეკლესიო საბჭოსა და „ქართველი ხალხის სახელით" კონ-ფერენციისადმი გაგზავნილი წერილი. როგორც საარქივო მასალების, ასევე სათანადო სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლის საფუძველზე ირკვევა, რომ აღნიშნულ წერილში ავტორი იძლეოდა საშინელ ცილისმწამებლურ ბრალდებას საბჭოთა ხელისუფლებისადმი და, რაც მთავარია, იგი ერთმანეთში აიგივებდა ეროვნულ საკითხში ცარიზმისა და საბჭოთა რუსეთის მიერ გატარებულ პოლიტიკას. დასახელებულ წერილში ყოველგვარი დამადასტურებელი ფაქტების გარეშეა მითითებული, რომ თითქოს საბჭოთა „რუსეთმა 1921 წლის 25 თებერვალს კვლავ დაადგა მონობის უღელი სისხლიდან დაცლილ პატარა საქართველოს. რომლის მსგავსი, მას არ გადაუტანია მისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე" [1].

დაწვრილებით განიხილავს რა აღნიშნულ წერილსა და მასში მოტანილ ბრალდებებს, პროფ. კ. შელია სავსებით სამართლიანად მიუთითებს, რომ „რეაქციონერი მღვდელმთავრის წერილს უკან მენშევიზმი იდგა, რომელიც ამ დემაგოგიური წერილით ცდილობდა გამოეწვია ევროპის ქვეყნების ჩარევა საქართველოს საშინაო საქმეებში" [2].

უნდა აღვნიშნოთ, რომ, ჩვენი აზრით, სწორედ დასახელებული წერილი გახდა „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციისადმი ერთგვარი სტიმულის მიმცემი, რათა ისინიც აქტიურად ჩაბმულიყვნენ გენუის კონფერენციის მუშაობის მსვლელობასთან დაკავშირებით გაჩაღებულ ანტისაბჭოთა საქმიანობაში. როგორც საარქივო და პრესის მასალების შესწავლიდან ირკვევა, „ახალგაზრდა მარქსისტებმა" სრულიად საქართველოს კათალიკოსის — ამბროსის ზემოთ დასახელებული წერილის კვალდაკვალ, იმავე წლის მაისის დასაწყისში ევროპის პრესაში გამოაქვეყნეს მოწოდება „დასავლეთის ახალგაზრდობის ყველა ორგანიზაციისადმი". დასახელებულ დოკუმენტში ნათქვამი იყო, რომ თითქოს საქართველოს მუშა-ახალგაზრდობა უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა, „ახალგაზრდა მარქსისტ-

---

[1] გ. ჯანგველაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 386; კ. შელია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 297; ი. ჩიქავა, დასახელებული ნაშრომი; პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 13, აღწ. 1, საქ. 18, ფურც. 3.

[2] კ. შელია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 297.

ტთა" ორგანიზაცია, რომელიც ვითომ აერთიანებდა საქართველოს მთელ მუშა ახალგაზრდობას, განიცდიდა რეპრესიას, ისინი დახმარებისათვის მიმართავდნენ დასავლეთ ევროპას, რათა აქტიურად ჩარეულიყვნენ საქართველოს საქმეებში და პასუხი მოეთხოვათ საბჭოთა მთავრობისათვის, თითქოსდა მის მიერ მშრომელი ახალგაზრდობის წინააღმდეგ გატარებული ტერორისტული აქტის გამო[1]. „ახალგაზრდა მარქსისტთა" ამ ცილისმწამებლურმა მოწოდებამ, რომელიც ყალბ დოკუმენტაციაზე იყო დაფუძნებული, დასავლეთ ევროპის რეაქციულ წრეებში მაშინვე პოვა სათანადო გამოხმაურება. ამ მხრივ განსაკუთრებული აქტიურობა გამოიჩინა გერმანელმა რეაქციონერებმა. მაგალითად: შეიდემანელების გაზეთმა „ფორვერტსმა" დასავლეთ ევროპის ახალგაზრდობას მოუწოდა პირდაპირი ჩარევით დაეცვათ ვითომდა „ძალზე შევიწროებული და საშინელი ტერორის ქვეშ მყოფი საქართველოს ახალგაზრდობა"[2].

უნდა შევნიშნოთ, რომ ამ და სხვა ყალბი ცილისმწამებლური ბრალდებების გამოაშკარავების თვალსაზრისით, საქართველოს კომკავშირმა დიდი მუშაობა ჩაატარა, რაც სათანადოდ აისახა იმ პერიოდის ბოლშევიკური პრესის ფურცლებზე, განსაკუთრებით კი საარქივო მასალებში. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის 1922 წლის 15 მაისის ოქმი № 56. ეს დოკუმენტი იმითაა საინტერესო, რომ მასში მკაცრადაა დაგმობილი მტრული ელემენტების ანტისაბჭოური გამოხდომები და, რაც მთავარია, ცხოვრებისეული სინამდვილიდან აღებული მასალების მოშველიებით მხილებულია ყველა მათი ბრალდების სიყალბე. პრეზიდიუმის მიერ გ. დევდარიანისა და მ. ოკუჯავას მოხსენებების საფუძველზე მიღებულ დადგენილებაში ხაზგასმითაა მითითებული, რომ საქართველოს კომკავშირს შემდეგშიაც გაეგრძელებინა ბრძოლა „ახალგაზრდა მარქსისტთა" მენშევიკური ორგანიზაციის წინააღმდეგ. ამავე დადგენილებით საქართველოს კომკავშირს დაეკალა მოწოდებით მიემართა რესპუბლიკის მთელი ახალგაზრდო-

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 96, აღწ. 1, საქ. 6, ფურც. 9. გაზ. „კომენისტი", 1922 წ. 28 მაისი, № 119; გ. ე ვ ა ნ ი ა, საქართველოს კომკავშირის ისტორიის ნარკვევები, გვ. 118.

[2] გაზ. „კომენისტი", 1922 წ. 28 მაისი, № 119.

ბისადმი, რათა მათ ფართო კამპანია გაეჩაღებინათ საბჭოთა ხელისუფლების მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად [1].

საქართველოს კომკავშირის პრეზიდიუმის აღნიშნული დადგენილების შესაბამისად გაზეთ „კომუნისტის" ფურცლებზე გამოქვეყნდა საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის 18 მაისის მოწოდება — „ყველა ქვეყნის მშრომელ ახალგაზრდობას" [2]. მასში განსაკუთრებითაა მხილებული გენუის კონფერენციასთან დაკავშირებით „ახალგაზრდა მარქსისტთა" ანტისაბჭოური საქმიანობა და, რაც მთავარია, გამოაშკარავებული და დამტკიცებულია მათი პროვოკაციული გამოხდომების ძირითადი მიზნები. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ „კომუნისტის" იმავე ნომერში დაიბეჭდა გ. დევდარიანის შეტად საყურადღებო სტატია — „მამების მსგავსად" [3]. მასში ავტორი სამარცხვინო ბოძზე აკრავს ახალგაზრდა მენშევიკების მოქმედებას და მას სამართლიანად მიიჩნევს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მენშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით ჩატარებულ პროვოკაციად.

ჩემოთ მოტანილ მასალებში, როგორც დავინახეთ, ძირითადად მოცემული იყო საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და მისი ხელმძღვანელი მუშაკების მიერ გამოთქმული კრიტიკა „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციის ცილისმწამებლურ საქმიანობასთან დაკავშირებით. მაგრამ არაფერი გვითქვამს თუ როგორ შეხვდა აღნიშნულ საკითხს პროგრესულად მოაზროვნე ქართველი ახალგაზრდობა. როგორც ირკვევა, დასავლეთ ევროპის იმპერიალისტებთან „ახალგაზრდა მარქსისტთა" ჯაშუშურმა მოქმედებამ საბჭოთა ხელისუფლებისადმი რწმენით განწყობილი ქართველი ახალგაზრდობის უდიდესი აღშფოთება და პროტესტი გამოიწვია, რასაც ასაბუთებს გაზ. „კომუნისტის" ფურცლებზე გამოქვეყნებული სტატია — „რაშია საქმე?" მასში დასაბუთებულია, რომ „ახალგაზრდა მარქსისტთა" ბრალდებანი ქართველი ახალგაზრდობის შევიწროების შესახებ. მტკნარი სიცრუე და მონაჭორი იყო. იქვე გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავდა: „რომელ დაჩაგრულ ახალგაზრდობაზე სწარმოებს

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 96, აღწ. 1, საქ. 6, ფურც. 9.

[2] გაზ. „კომუნისტი", 1922 წ. 28 მაისი, № 119; გ. ჟ ვ ა ნ ი ა, საქართველოს კომკავშირის ისტორიის ნარკვევები, გვ. 118.

[3] გაზ. „კომუნისტი", 1922 წ. 28 მაისი, № 119.

აქ საუბარი? მთელი შეგნებული რევოლუციონური ნაწილი მუშურ-ვლეხური ახალგაზრდობისა ყველასთვის ცხადია, რომ მიდის ხელიხელ ჩაკიდებული საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირთან, იღებს რა ცხოველ მონაწილეობას ყოველ კამპანიებში რესპუბლიკის ეკონომიური აღორძინებისათვის... სოციალისტური ქვეყნის ყოველმხრივ განვითარებისათვის" [1].

ამრიგად, მოტანილი ფაქტი ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ ქართველი მშრომელი ახალგაზრდობის უმეტესობა, რომლის გამოყენებასაც ცდილობდა „ახალგაზრდა მარქსისტები", როგორც ირკვევა, წვრილბურჟუაზიული და ბურჟუაზიული ფენიდან გამოსული ახალგაზრდობისაგან განსხვავებით, ძირითადად საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე იდგა და მარქსისტულ-ლენინური პოზიციებიდან, უკომპრომისო ბრძოლას უცხადებდა მენშევიკური იდეოლოგიის მესვეურთ. იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ ორგანიზებულ ფორმებში აწარმოებდა ბრძოლას ქართველი მუშა ახალგაზრდობა „ახალგაზრდა მარქსისტთა" იმპერიალისტური ბუნების სრულად გამოაშკარავების მიზნით, ამის ნათელი დადასტურებაა თბილისის რკინიგზის კვანძის მუშა ახალგაზრდობის კონფერენცია (1922 წლის 15 მაისი), ოომელმაც მიღებულ რეზოლუციაში პირდაპირ მიუთითა, რომ „ჩვენ კონფერენციაზე ვაცხადებთ ყველას გასაგონად და განსაკუთრებით რევოლუციის მტერთა, მუშათა კლასის მოღალატე მენშევიკთა და მათ დამამშვენებელ „ახალგაზრდა მარქსისტთა" საყურადღებოდ, რომ წინააღმდეგ ამ უკანასკნელთა... პროვოკაციული ჭორებისა, რომელიც ვრცელდება კაპიტალისტურ ევროპაში, ახალგაზრდა მუშები საქართველოში მხოლოდ დღეს ვგრძნობთ ნამდვილ თავისუფლებას, რომ მხოლოდ დღეს საბჭოთა წყობილების პირობებში გვეძლევა საშუალება ყოველმხრივ განვითარების, ეკონომიური ინტერესების საუკეთესო დაცვის — დროა უკვე ამ ვაჟბატონებმა („ახალგაზრდა მარქსისტებმა" — შ. ვ.) დაანებონ თავი მუშათა ახალგაზრდობის სახელით ლაპარაკს" [2].

მოტანილი მასალის ურთიერთშეჯერება და მისი ანალიზი ცხადყოფს, რომ „ახალგაზრდა მარქსისტები" დასავლეთ ევროპის იმპერიალისტების მხარდაჭერით ცდილობდნენ მენშევიკური პარტიის

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1922 წ. 28 მაისი, № 119.

[2] იქვე.

ლიდერების მხარდამხარ საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ ქართველი ახალგაზრდობის სახელით გამოსულიყვნენ გენუის კონფერენციაზე[1]. როგორც ირკვევა, ამით ისინი მიზნად ისახავდნენ საქართველოს მომავალი ბედის თავიანთ სასარგებლოდ გადაწყვეტას. „ახალგაზრდა მარქსისტთა" იმედები არ გამართლდა. რადგან საქართველოს მშრომელმა ახალგაზრდობამ კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით დაგმო რა მენშევიკთა ანტისაბჭოური გამოხდომები. ერთსულოვნად მოიწონა გენუის კონფერენციაზე საბჭოთა დელეგაციის პოზიცია. რაც ანტისაბჭოთა პარტიებისა და ორგანიზაციების მტრული საქმიანობის კიდევ ერთი კრახის ნათელი ილუსტრაცია იყო. აღნიშნულმა მარცხმა, საბოლოოდ შეარყია „ახალგაზრდა მარქსისტთა" უმრავლესობაში მენშევიკური პარტიის სიძლიერის რწმენა. რაც ამ ორგანიზაციის შემდგომი რღვევის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი გახდა.

§ 3. საქართველოს კომკავშირის როლი „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციის იდეურად მხილებისა და ორგანიზაციულად დაშლის საქმეში

გენუის კონფერენციასთან დაკავშირებით გამართულ იდეურ ბრძოლაში „ახალგაზრდა მარქსისტები", განცდილი მარცხის მიუხედავად, რომლის შესახებ ზემოთაც გვქონდა მითითებული, კიდევ ერთხელ შეეცადნენ ახალგაზრდობაში მოესინჯათ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის გაგრძელების შესაძლებლობა. კონფერენციის დამთავრების მეორე დღესვე (1922 წლის 20 მაისი) „ახალგაზრდა მარქსისტებმა" სპეციალური პროკლამაციების გავრცელებით. ქართველ ახალგაზრდობას მოუწოდეს აღენიშნათ მენშევიკების მიერ საქართველოს „დამოუკიდებლობის" გამოცხადების ოთხი წლისთავი. თუ რა გამოხმაურება პოვა აღნიშნულმა მოწოდებამ, ამის საილუსტრაციოდ გამოდგება თუნდაც ის ფაქტი, რომ იმავე წლის 26 მაისს მოსწავლე ახალგაზრდობის გამოსვლები მოეწყო თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, ზესტაფონში, ოზურგეთში, ლანჩხუთში, შორაპანში, თელავში, სამტრედიაში, ბანძასა და სხვა ად-

---

[1] ი. ჩიქავა, გენუის კონფერენცია და საქართველო, კრებულში: სსრ კავშირის შექმნის 50 წელი, თბ., 1972, გვ. 197—198.

ელებში[1]. აღნიშნულმა ფაქტმა ერთხელ კიდევ მიანიშნა საქართველოს კომკავშირულ ორგანიზაციებს, რომ „ახალგაზრდა მარქსისტებს", მიუხედავად მთელი რიგი დამარცხებებისა, ჯერ კიდევ საკმაო გავლენა ჰქონდათ მოსწავლე და სტუდენტ ახალგაზრდობაში.

მართალია, კომკავშირულ ორგანიზაციებს 1921 წლიდან დიდი მიღწევები ჰქონდა იდეოლოგიურ ფრონტზე „ახალგაზრდა მარქსისტთა" წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ ის, რაც გაკეთდა ამ მხრივ, იმ ეტაპზე ვერ აკმაყოფილებდა იდეოლოგიური ბრძოლისათვის აუცილებელ მოთხოვნებს. რამდენადაც „ახალგაზრდა მარქსისტებმა" მუშაობის ძირითადი აქცენტი სტუდენტ და მოსწავლე ახალგაზრდობაზე გადაიტანეს, აუცილებლობა მოითხოვდა კომკავშირს გაძლიერებული ბრძოლა წარემართა სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების იდეურად დაპყრობის თვალსაზრისით.

თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კომკავშირის მიერ სკოლის ახალგაზრდობის კომუნისტური იდეოლოგიის გავლენის ქვეშ სრული მოქცევის გარდაუვალ აუცილებლობას, ამის შესახებ საკითხმა სათანადო ასახვა პოვა გაზეთ „სპარტაკში" გამოქვეყნებულ პ. ქიქოძის სტატიაში — „მოსწავლე ახალგაზრდობა და ჩვენი კავშირი"[2]. უნდა შევნიშნოთ, რომ აღნიშნულ სტატიაში ავტორი ძირითადად ჩერდება სკოლებში შექმნილ რთულ მდგომარეობაზე და კატეგორიულად სვამს საკითხს სკოლის, კომკავშირის გავლენის ქვეშ მოქცევის აუცილებლობის შესახებ. დასახული მიზნის მისაღწევად ამ შემთხვევაში აუცილებლობას წარმოადგენდა სკოლებში სათანადო ცვლილებების გატარება. იგი ძირითადად სწავლების მეთოდის შეცვლით უნდა გადაწყვეტილიყო. დასმული ამოცანის წარმატებით განხორციელება უდიდეს სირთულეებთან იყო დაკავშირებული, რაც ძირითადად არსებული საკითხის გარშემო აზრთა სხვადასხვაობაში მდგომარეობდა.

ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ჟურნალ „მომავალში" გამოქვეყნებულმა სტატიამ — „ფეოდალურ-ბურჟუაზიული ინტელიგენციის გახრწნა საქართველოში და საქართველოს ახალგაზრდათა კავშირის როლი"[3]. ეს სტატია იმითაა საინტერესო, რომ მასში

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1922 წ. 28 მაისი, № 119.
[2] გაზ. „სპარტაკი", 1923 წ. 28 იანვარი, № 3.
[3] ჟურნ. „მომავალი", 1923, № 5, 6.

ძირითადად გაცემულია პასუხი იმ მეტად მნიშვნელოვან საკითხზე, რომელიც იდგა საქართველოს კომკავშირის წინაშე. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებიდან გამომდინარე, ჩვენ აუცილებლობად მიგვაჩნია შედარებით დაწვრილებით შევჩერდეთ დასახელებულ სტატიაში მოცემულ ძირითად პრობლემებზე.

პირველ რიგში, რამაც განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია, არის საკითხის დასმა სოფლად ახალი პროლეტარული ინტელიგენციისა და საადმინისტრაციო კადრების შექმნის აუცილებლობის შესახებ. ამ ღონისძიების გატარება, ჩვენი აზრით, ერთგვარი ნიადაგის მომზადება იქნებოდა ანტისაბჭოთა იდეოლოგიის აღმოსაფხვრელად. უნდა შევნიშნოთ, რომ დასახული ამოცანის გადაჭრის აუცილებლობა, როგორც ირკვევა, ძირითადად იმით იყო გამოწვეული, რომ წვრილბურჟუაზიული იდეოლოგია ყოველმხრივ ცდილობდა შეჭრილიყო ახალგაზრდობის რიგებში და თავისი გავლენისათვის დაემორჩილებინა ჯერ კიდევ წვრილბურჟუაზიული იდეოლოგიური შეხედულებებიდან ბოლშევიკურ იდეოლოგიაზე გარდამავალ სტადიაში მყოფი ახალგაზრდობა. ჩვენი აზრით, სწორედ ეს გარემოებაა გათვალისწინებული, როდესაც სტატიაში დასმულია საკითხი იდეოლოგიურ ბრძოლაში კომკავშირის როლისა და ადგილის გარკვევის აუცილებლობის შესახებ. იქვე ადგილობრივი სპეციფიკური პირობების გათვალისწინების ციხედვით შეფასებულია იდეოლოგიურ ფრონტზე საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ყოფილი გაბატონებული კლასის ბრძოლის საკითხი და მისი მთელი ანტისაბჭოური საქმიანობა მიჩნეულია შოვინიზმის გამოვლინებად. თუ რაოდენ სირთულეებს უქმნიდა „ახალგაზრდა მარქსისტთა“ წვრილბურჟუაზიული იდეოლოგია საქართველოს კომკავშირს, ამის დასამტკიცებლად მოვიტანთ შესაბამის ამონაწერს ზემოთ დასახელებული სტატიიდან: „ჩვენი კლასობრივი მტერი ძალიან შორსმჭვრეტელია და დაკვირვებული, იგი ცდილობს თავისი იდეოლოგია გაავრცელოს მოსარდ თაობაში ბავშვებს შორისაც კი“ [1].

ითვალისწინებდა რა მოსალოდნელ საფრთხეს წარსულის გამოცდილებათა საფუძველზე, იგივე სტატია კომკავშირის წინაშე გადაუდებელ ამოცანად აყენებდა საკითხს იმის შესახებ, რომ „არა მარტო დავრაზმოთ საქართველოს მუშათა და გლეხთა მთელი ახალგაზრდო-

---

[1] ჟურნ. „მომავალი“, 1923, № 6, გვ. 19.

ბა. არამედ მის გავლენას დავუმორჩილოთ საქართველოს მთელი ახალგაზრდობა და ავრეთვე მოზარდი თაობა. სახელდობრ — ბავშვებიც" [1].

ამრიგად, საქართველოს კომკავშირის მიერ გაძლიერებული ბრძოლის მიუხედავად, „ახალგაზრდა მარქსისტთა" ანტისაბჭოურმა საქმიანობამ ამ ეტაპზე აქტიური სახე მიიღო. იგი, ჩვენი აზრით, ძირითადად გამოწვეული იყო ადგილობრივი მენშევიკური პარტიის ხელშეწყობითა და მათი კავშირით ახალგაზრდობის მეორე ინტერნაციონალთან.

მართალია, „ახალგაზრდა მარქსისტებმა", როგორც ზემოთაც გვქონდა საუბარი, არალეგალური პოზიციებიდან შეუტიეს საბჭოთა ხელისუფლებას, მაგრამ როგორც საარქივო მასალების შესწავლამ ცხადყო, საქართველოს კომკავშირი ზემოთ აღნიშნულ მოსალოდნელ საფრთხეს სათანადოდ მომზადებული შეხვდა და მაშინვე ამხილა ახალგაზრდა მენშევიკების მთელი საქმიანობა. ამ შემთხვევაში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის 1923 წლის 17 ივლისის პრეზიდიუმის სხდომის დადგენილება. აღნიშნული დოკუმენტისადმი ინტერესი იმან განაპირობა, რომ მთელი რიგი საკითხების პარალელურად, მასში მენშევიკური პარტიის მხარდამხარ მებრძოლი „ახალგაზრდა მარქსისტთა" მთელი არალეგალური საქმიანობა შეფასებულია როგორც „საბჭოთა მენშევიზმის" ერთ-ერთი გამოვლინება და მითითებულია ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის საკითხში შექმნილ საშიშროებაზე [2].

საქართველოს კომკავშირმა, იმ მიზნით, რომ ახალგაზრდათა ანტიკომუნისტური ორგანიზაციების წინააღმდეგ ბრძოლა გაადვილებულიყო, ახალგაზრდობის მეცხრე საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ მოწოდებაში, რომელიც დაუგზავნა საოლქო და საქალაქო კომიტეტებს, აუცილებლობად მიიჩნია მუშურ-გლეხური, წითელარმიელი და მოსწავლე ახალგაზრდობის ფართო ფენების შეკავშირება ერთი დროშის ქვეშ და ერთიანი ძალით მათი ბრძოლა „ახალგაზრდა მარქსისტთა" ანტიკომუნისტური ორგანიზაციის წინააღმდეგ[3].

---

1 ჟურნ. „მომავალი", 1923, № 26, გვ. 19.

2 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 96, აღწ. 1, საქ. 6, ფურც. 98.

3 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 96, აღწ. 1, საქ. 7, ფურც. 46.

მას შემდეგ, რაც საქართველოს კომკავშირმა პარტიის ხელმძღვანელობით მძაფრი იდეოლოგიური დარტყმა განახორციელა „ახალგაზრდა მარქსისტებზე". აღნიშნულმა ნაბიჯმა, როგორც ჩვენს ხელთ არსებული მასალებიდან ირკვევა, მკვეთრად დააფრთხო მენშევიკური პარტიის წარმომადგენლები იმ მხრივ, რომ მათ აშკარად დაინახეს „ახალგაზრდა მარქსისტთა" ჩამოცილების საფრთხე. ჩვენი აზრით, სწორედ ამან განაპირობა თბილისში 1923 წლის 5 სექტემბრის მენშევიკთა არალეგალური კრების მიერ მიღებული დადგენილებანი. აღნიშნულ დოკუმენტში მოცემულია სპეციალური მოწოდება „ახალგაზრდა მარქსისტებისადმი", რათა ისინი მტკიცედ მდგარიყვნენ თავიანთ „პოზიციებზე" და მომავალშიც განეგრძოთ ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ [1].

მიუხედავად ასეთი მოწოდებებისა, და მენშევიკური პარტიის დიდი სურვილისა, მას უკვე ძალა არ შესწევდა ამ კრიტიკულ მომენტში ხელმძღვანელობა გაეწია „ახალგაზრდა მარქსისტებისათვის", რადგან საბჭოთა ხელისუფლების წარმატებებისა და ბოლშევიკური პარტიის მიერ იდეური ბრძოლის გაძლიერების შედეგად, თვით მენშევიკური პარტია აღმოჩნდა რღვევის პროცესში.

უნდა აღვნიშნოთ, რომ პირველი, ვინც მენშევიკური პარტიის რიგებიდან საბჭოთა ხელისუფლებასთან შერიგების რეალური ნაბიჯი გადადგა, იყო „საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (მენშევიკების) ქუთაისის სამაზრო კომიტეტი", მან თავის კონფერენციაზე (1923 წლის 8 ივლისი) სასტიკად დაგმო მენშევიკური იდეოლოგიის მთავარი დებულება — „დემოკრატიზმის გზით სოციალიზმისაკენ". ამავე დროს ამხილა ამ პარტიის ავანტიურისტული ხასიათი და ბუნება, მისი ძირგამომთხრელი საქმიანობა საბჭოთა ხელისუფლების მიმართ. რაც მთავარია, კონფერენციამ დაშლილად გამოაცხადა ქუთაისის მაზრებში შემავალი მენშევიკური პარტიის ყველა ორგანიზაცია [2]. კონფერენციამ სხვა მნიშვნელოვან საკითხებზეც გაამახვილა ყურადღება (განიხილა 7 საკითხი), მაგრამ ამ შემთხვევაში განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია მიმართვამ — „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციისადმი. ეს დოკუმენტი საქართველოს კომკავშირმა იმდენად მნიშვნელოვნად სცნო, რომ იგი კონფერენცია-

---

[1] ჟურნ. „სიმართლის ხმა", 1923, № 1, გვ. 8.

[2] გაზ. „კომუნისტი", 1923 წ. 1 ივლისი, № 149; 18 ივლისი, № 263.

ზე მიღებიდანვე, რამდენიმე დღის შემდეგ გაზეთმა „სპარტაკმა“ გამოაქვეყნა[1]. ჩვენი აზრით, ურიგო არ იქნება, თუკი რამდენიმე სიტყვით მაინც შევეხებით დასახელებულ დოკუმენტს, რადგან მან თავის დროზე მეტად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის წევრთა უმრავლესობის საბჭოთა ხელისუფლებისაკენ შემობრუნების საქმეში.

აღნიშნული კონფერენციის მიერ „ახალგაზრდა მარქსისტებისადმი“ მიღებულ მიმართვაში ყოველგვარი დაფარვისა და შემოვლითი გზების გარეშე აღიარებული იყო მენშევიკური პარტიის პოლიტიკისა და ტაქტიკის მცდარობა, გამოაშკარავებული და დაგმობილი იყო მათ მიერ წამოყენებული „კლასთა თანამშრომლობის“ იდეა, რაც ძირითადად, როგორც დოკუმენტშია მითითებული, უარყოფდა პროლეტარიატის დიქტატურასა და ეწინააღმდეგებოდა მარქსიზმის რევოლუციურ გაგებას. კონფერენციამ დაგმო რა მენშევიკური პარტიის მთელი საქმიანობა, „ახალგაზრდა მარქსისტებისადმი“ მიღებულ მიმართვაში ხაზგასმით მიუთითა: „კონფერენცია მოგმართავთ თქვენ, ახალგაზრდებს... შეიგნოთ თქვენი თავი და რევოლუციონური მოწოდება, რომ თქვენ უფროს ამხანაგებთან ერთად, რომლებმაც დაგმეს ძველი გზა, გაარღვიოთ ოპორტუნისტული ჭაობი და გასწიოთ წინ ძლევამოსილ რევოლუციის განვითარების მიმართულებით“[2].

როგორც არსებული მასალებიდან ირკვევა, მენშევიკური პარტიის ქუთაისის სამაზრო კონფერენციის გადაწყვეტილებებმა იმდენად დიდი რეაგირება მოახდინა სხვა მაზრებზე, რომ მის კვალდაკვალ თითქმის საქართველოს ყველა კუთხეში იმართებოდა კონფერენციები, რომელთაგან განსაკუთრებით საყურადღებოა მენშევიკური პარტიის თბილისის საქალაქო კონფერენცია (1923 წლის 26 ივლისი). მან, მისი წინამორბედი კონფერენციებისაგან განსხვავებით, დასვა საკითხი სრულიად საქართველოს სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკების) პარტიის არსებობის ყოფნა-არყოფნის გადასაწყვეტად, ყრილობის დაუყოვნებლივ მოწვევის შესახებ[3].

---

[1] გაზ. „სპარტაკი“, 1923 წ. 22 ივლისი, № 45.

[2] იქვე.

[3] გაზ. „კომუნისტი“, 1923 წ. 28 ივლისი, № 172. გაზ. „ტრიბუნა“, 1923 წ. 28 ივლისი, № 534.

მენშევიკური პარტიის არალეგალური კომიტეტის წინააღმდეგობის მიუხედავად, ამავე პარტიის სალიკვიდაციო სრულიად საქართველოს საინიციატივო ბიურომ, რომელიც მენშევიკური პარტიის ყოფილი წევრების ბაზაზე ნებაყოფლობით იყო დაკომპლექტებული, 1923 წლის აგვისტოში მოიწვია სრულიად საქართველოს ყოფილ მენშევიკთა ყრილობა, რის შესახებაც უამრავი მასალა გამოაქვეყნა გასეთებმა — „კომუნისტმა" და „ტრიბუნამ"[1]. აღნიშნული ყრილობა განსაკუთრებულ ყურადღებას იმით იქცევს, რომ მან, რაც მთავარია, პირველ რიგში, მენშევიკური პარტია დაშლილად გამოაცხადა და მიღებული დეკლარაციით აღიარა მესამე კომუნისტური ინტერნაციონალის პლატფორმა.

ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ მენშევიკური პარტიის ლიკვიდაციას, ბუნებრივია, უნდა მოჰყოლოდა „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციის ლიკვიდაცია. ეხება რა ამ საკითხს, საარქივო მასალებზე დაყრდნობით პროფ. გ. ჟვანია სავსებით სამართლიანად მიუთითებს, რომ „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციის ცენტრალურმა კომიტეტმა თავის იდეურ ხელმძღვანელებზე — მენშევიკური პარტიის ცენტრალურ კომიტეტზე უფრო შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწია ორგანიზაციის თვითლიკვიდაციას"[2].

თვითლიკვიდაციის საკითხზე მენშევიკური პარტიისადმი დაუმორჩილებლობამ და ორგანიზაციის შენარჩუნებამ, ერთიორად გაზარდა წვრილბურჟუაზიული იდეოლოგიისადმი მოტრფიალე ახალგაზრდებში „ახალგაზრდა მარქსისტთა" ავტორიტეტი. უნდა შევნიშნოთ, რომ „ახალგაზრდა მარქსისტთა" ავტორიტეტი განსაკუთრებით გაძლიერდა იმ მაზრებში, რომლებშიც კომკავშირული ორგანიზაციების იდეურ-პოლიტიკური მუშაობა შედარებით დაბალ დონეზე იდგა. ჩვენი აზრით, სწორედ ამაში უნდა ვეძიოთ ის ძირითადი მიზეზი, რამაც განაპირობა „ახალგაზრდა მარქსისტთა" ანტისაბჭოური საქმიანობის გადანაცვლება ქალაქებიდან სოფლებში. ამის დასადასტურებლად ჩვენს ხელთ არსებული საარქივო მასალებიდან მოვიტანთ მხოლოდ

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1923 წ. 1 სექტემბერი, № 200; 12 სექტემბერი, № 207; გაზ. „ტრიბუნა", 1923 წ. 4 სექტემბერი, № 563; 23 მარტი, № 427.

[2] გ. ჟ ვ ა ნ ი ა, საქართველოს კომკავშირი სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის ბრძოლაში, გვ. 80; საქართველოს კომკავშირის ისტორიის ნარკვევები, გვ. 119; ავტორთა კოლექტივი, საქართველოს კომკავშირის ისტორია, გვ. 122.

ერთ დოკუმენტს, რომელიც გორის მაზრის კომკავშირული ორგანიზაციის მიერ არის გაგზავნილი საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში. აღნიშნულ დოკუმენტში მთელ რიგ საკითხებთან ერთად მითითებულია „ახალგაზრდა მარქსისტთა" ანტისაბჭოთა საქმიანობაზე და აღნიშნულია, რომ ეს „მუშაობა ახალგაზრდა მარქსისტებისა გადატანილი არის ხაშურის და ბორჯომის შუა სოფლებში" [1].

მოტანილი ფაქტი ერთხელ კიდევ მეტყველებს იმაზე, რომ მიუხედავად მენშევიკური პარტიის თვითლიკვიდაციისა, „ახალგაზრდა მარქსისტები", რომლებიც ეძებდნენ ყოველგვარ გზებსა და საშუალებებს ორგანიზაციის არსებობის შესანარჩუნებლად, მათი „ბელადები" სოფლის ახალგაზრდობაზე დაყრდნობით მაინც ახერხებდნენ ანტისაბჭოთა საქმიანობისათვის გარკვეული სიღრმის მიცემას. მაგრამ „ახალგაზრდა მარქსისტებმა" იდეოლოგიურ სფეროში ვერ შეძლეს წინანდელი პოზიციების შენარჩუნება, რაც ძირითადად ორგანიზაციის შიგნით მომხდარ განხეთქილებაში გამოვლინდა. საქმე იმაშია, რომ მენშევიკური პარტიის ლიკვიდაციამ და კომკავშირული ორგანიზაციების გამუდმებულმა იდეოლოგიურმა ზემოქმედებამ, „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციის ბევრ წევრს დაანახა მენშევიკური იდეოლოგიის მცდარობა და მისი უსუსურობა. ამასთან ერთად, უკვე 1923 წლისათვის თვალსაჩინო გახდა საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიკურ-კულტურული განვითარება და პოლიტიკური სიმტკიცე. ჩვენი აზრით, სწორედ ამაში უნდა ვეძიოთ ის ძირითადი მიზეზი, რამაც განაპირობა ყოფილი „ახალგაზრდა მარქსისტების" დაპირისპირება თვით „ახალგაზრდა მარქსისტთა" მენშევიკური ორგანიზაციისადმი. თუ რამდენად მწვავე და კრიტიკულ ხასიათს ატარებდა ეს დაპირისპირება, აშკარად ჩანს ჟურნალ „მოამბის" ფურცლებზე გამოქვეყნებული სტატიებიდან, რომელთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ორი მათგანი: „რევოლუციური მარქსიზმი და ახალგაზრდა მარქსისტები"[2] და „ჩვენი ტაქტიკა და დღევანდელი სინამდვილე"[3]. მათში მთელი პრინციპულობით იყო დასმული საკითხი, რათა „ახალგაზრდა მარქსისტებს" მოეხდინათ წარსულის გადასინჯვა, მისი გა-

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 96, აღწ. 1, საქ. 6, ფურც. 219.

[2] ჟურნ. „მოამბე", 1923, № 1, გვ. 6.

[3] ჟურნ. „მოამბე", 1923, № 3, გვ. 14.

დაფასება, დაეგმოთ მენშევიკური იდეოლოგია და დამდგარიყვნენ ნამდვილი რევოლუციური მარქსიზმის თვალსაზრისზე, რაც მათ საშუალებას მისცემდა ახალგაზრდა კომკავშირელებთან ერთად ჩამდგარიყვნენ საბჭოთა აღმშენებლობის ფერხულში.

აღნიშნულმა სტატიებმა და განსაკუთრებით თბილისის „ახალგაზრდა მარქსისტთა" კონფერენციის მომწვევი საინიციატივო ბიუროს მოწოდებამ, თბილისის „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციისადმი, რომელიც იმავე წელს გაზეთმა „კომუნისტმა" გამოაქვეყნა[1] (მას ხელს აწერდნენ ამავე ბიუროს წევრები: ა. მეგრელიძე, ა. ლორთქიფანიძე, მ. გოგიბერიძე, შ. სიხარულიძე და სხვები), როგორც მასალების შესწავლიდან ირკვევა, დიდი არევ-დარევა შეიტანა „ახალგაზრდა მარქსისტთა" არალეგალურად მოქმედი ორგანიზაციის რიგებში. ეს იმან განაპირობა, რომ „მოწოდებაში" აუცილებლობად იყო მიჩნეული სალიკვიდაციო ყრილობის დაუყოვნებლივ მოწვევა. ამასთან ერთად, იგი მოუწოდებდა ორგანიზაციის ყველა წევრს, რათა დაეგმოთ საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგო კონსპირაციული მუშაობა და ხელი შეეწყოთ წინასაყრილობო კონფერენციების მოწვევისათვის. საქმე იმაშია, რომ მენშევიკური პარტიის ლიკვიდაციამ და პრესის ფურცლებზე ფართოდ გაშლილმა ბოლშევიკურმა იდეოლოგიურმა პროპაგანდამ უდიდესი გამომაფხიზლებელი გავლენა მოახდინა „ახალგაზრდა მარქსისტებზე". როგორც მასალებიდან ირკვევა, სწორედ ამ ეტაპზე იყვნენ „ახალგაზრდა მარქსისტები" ძიების პროცესში. მათ ჯერ კიდევ გარკვეული არ ჰქონდათ დაადგებოდნენ თუ არა ისინი რევოლუციური მარქსიზმის გზას. ასეთ მომენტში უდიდესი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა ზემოთ აღნიშნულ მოწოდებას.

ბოლშევიკური იდეოლოგიის ზეგავლენა „ახალგაზრდა მარქსისტებზე" იმდენად ძლიერი და დამარწმუნებელი იყო, რომ ბევრი მათგანი, როგორც მასალების შესწავლიდან ირკვევა, ტოვებდა ორგანიზაციას და მხარს უჭერდა სალიკვიდაციო კონფერენციების მოწვევას. აღნიშნულმა პროცესმა, „ახალგაზრდა მარქსისტთა" ცენტრალური კომიტეტის წევრები — დ. ყიასაშვილი, ალ. კალანდაძე, ვ. ნუცუბიძე და სხვები დაარწმუნა ორგანიზაციის რღვევისა და მისი ავტორიტეტის შერყევის გარდაუვალობაში. ჩვენი აზრით, სწორედ

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1923 წ. 1 სექტემბერი, № 200.

ეს იყო ძირითადი განმაპირობებელი მიზეზი, რამაც გამოიწვია „ახალგაზრდა მარქსისტთა" ცენტრალურ კომიტეტში მათივე ორგანიზაციებისადმი დასაგზავნი სპეციალური ინსტრუქციების შემუშავება. მართალია, აღნიშნული ინსტრუქციები დედნის სახით ჯერჯერობით ხელმიუწვდომელია, მაგრამ იმ პერიოდის ბოლშევიკურ პრესაში გამოქვეყნებულ მასალებში ინსტრუქციებიდან მოტანილი ნაწყვეტებიც კი სრულ წარმოდგენას იძლევა „ახალგაზრდა მარქსისტთა" ცეკას ჩანაფიქრის შესახებ. იგი ძირითადად შემდეგში მდგომარეობდა: 1. არალეგალურად მოქმედ „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციის წევრებს ევალებოდათ შენიღბულ ფორმებში გაეტარებინათ ამ ორგანიზაციის ცეკას რეზოლუციები და მითითებები. 2. ფარისევლურად უნდა განეცხადებინათ თანხმობა ორგანიზაციიდან გამოსვლისა და მისი ძველი ტაქტიკის გადასინჯვის შესახებ, რაც მათ შესაძლებლობას მისცემდა აქტიური მონაწილეობა მიეღოთ სამაზრო კონფერენციების მუშაობაში და საქართველოს „ახალგაზრდა მარქსისტთა" სალიკვიდაციო ყრილობაზე გასაგზავნ დელეგატებად აერჩიათ თავიანთი წარმომადგენლები, რომლებიც შესძლებდნენ არა მარტო ყრილობის მომწყობთა წინააღმდეგ ორგანიზებულად გამოსვლას, არამედ თვით ამ ყრილობის მუშაობის ჩაშლასაც კი[1]. სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში საქართველოს კომკავშირის მეექვსე ყრილობას (1923 წლის 16—20 სექტემბერი), როდესაც მან კატეგორიულად დააყენა საკითხი „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციის დასაშლელად ბრძოლის გაძლიერებისა და დროის მოგების მიზნით სალიკვიდაციო კონფერენციების დაუყოვნებლივ მოწვევის შესახებ[2].

დასახული მიზნის წარმატებით განსახორციელებლად, საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა 1923 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ახალგაზრდობის ფართო მასებში ერთიანი საზოგადოებრივი აზრის შექმნის მიზნით ჩაატარა სპეციალური მუშაობა, რომლის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენდა საჯარო მოხსენებები „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციის საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებისა და მისი ლიკვიდაციის შესახებ[3]. როგორც ირკ-

---

[1] ჟურნ. „მოამბე", 1923, № 5, გვ. 13; № 6, გვ. 1.

[2] საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის მეექვსე ყრილობა, თბ., 1924; იხ. გაზ. „სპარტაკი", 1923 წ. 23 სექტემბერი, № 54.

[3] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, საქ. 661, ფურც. 84.

ვევა. ამ მიმართულებით გაწეულმა საგიტაციო მუშაობამ ახალგაზრდობის ფართო ფენებში ერთდაგვარად მოამწიფა და ხელსაყრელი ნიადაგი შეამზადა „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის სალიკვიდაციოდ.

უნდა აღვნიშნოთ, რომ სალიკვიდაციო კონფერენციები ძირითადად 1923 წლის 12 ოქტომბრისათვის უკვე ჩატარებული იყო ქუთაისის, გორის, სენაკის, სიღნაღის, ოზურგეთის, თელავის, ფოთისა და თბილისის მაზრებში[1]. ყოველივე ეს ნიადაგს ამზადებდა შეუფერხებლად მოწვეულიყო სალიკვიდაციო ყრილობა საქართველოს მასშტაბით. ამის საწინააღმდეგოდ, „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის არალეგალური ცენტრალური კომიტეტი, რომელიც ვერ ურიგდებოდა თვითლიკვიდაციას, ყოველმხრივ უშლიდა ხელს ყრილობის მოწვევას. „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ცენტრალური კომიტეტის ნების მიუხედავად, სრულიად საქართველოს „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის სალიკვიდაციო ყრილობის მომწვევმა საინიციატივო ბიურომ (ვ. ხავთასი, ალ. ცინცაძე (თავმჯდომარე) ვ. ცერცვაძე, ს. მეგრელიშვილი, ალ. პაიჭაძე, შ. სიხარულიძე, ლ. ფირცხალავა, ალ. კალანდაძე, ბ. ბარათაშვილი, კ. დემეტრაძე, ვ. ბერაძე, შ. ანდღულაძე, ა. ჩაჩუა და სხვები), 1923 წლის 28 ოქტომბერს, თბილისში, მოიწვია საქართველოს „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის სალიკვიდაციო ყრილობა[2], რომლის მუშაობის შესახებ არსებული მასალები გამოქვეყნდა იმ პერიოდის ბოლშევიკური პრესის ფურცლებზე[3].

როგორც მასალების შესწავლიდან ირკვევა, ყრილობის წინაშე ძირითადად დასმული იყო ორი საკითხი: 1. ყრილობას უნდა გადაეწყვიტა „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის ლიკვიდაციის საკითხი.

---

[1] გაზ. „კომუნისტი“, 1923 წ. 12 სექტემბერი, № 207; ჟურნ. „მოამბე“, 1923, № 3.

[2] სამწუხაროდ, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მეორე ტომში „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის სალიკვიდაციო ყრილობის მოწვევა და ამავე ორგანიზაციის თვითლიკვიდაციის პროცესი დათარიღებულია 1921 წლით, რაც შეცდომაა. იხ. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 2, თბ., 1977, გვ. 81.

[3] გაზ. „კომუნისტი“, 1923 წ. 2 ნოემბერი, № 253; ჟურნ. „მოამბე“, 1923, № 7, 8.

2. გაერკვია ახალგაზრდობის მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალთან და საბჭოთა ხელისუფლებასთან მათი დამოკიდებულების საკითხი.

როგორც საარქივო მასალების შესწავლიდან ირკვევა, აღნიშნული საკითხების გადაწყვეტის დროს ყრილობაზე თავი იჩინა ურთიერთსაწინააღმდეგოდ განწყობილმა ორმა მიმდინარეობამ, რომლებიც დასმული საკითხების გადაწყვეტის დროს ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. ეს ნათლად ადასტურებს იმ ფაქტს, რომ „ახალგაზრდა მარქსისტთა" არალეგალურმა ცენტრალურმა კომიტეტმა ნაწილობრივად მაინც მიაღწია დასახულ მიზანს, რაც სალიკვიდაციო ყრილობაზე მისთვის სასურველი რამდენიმე დელეგატის (სულ 5 კაცი) გაყვანაში გამოიხატა. როგორც ირკვევა, სწორედ ისინი დაუპირისპირდნენ ყრილობის ხელმძღვანელობას. მიუხედავად ყოველგვარი შანტაჟისა, ახალგაზრდა მენშევიკური ცეკას ხელქვეითებმა ვერ მოახერხეს ყრილობის მუშაობის ჩაშლა[1]. აღნიშნული ფაქტი, ჩვენი აზრით, ახალგაზრდა მარქსისტების მიერ იდეოლოგიურ ფრონტზე ორგანიზაციული არსებობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის უკანასკნელი ცდა იყო.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს „ახალგაზრდა მარქსისტთა" სალიკვიდაციო ყრილობის მიერ მიღებული ვრცელი რეზოლუცია. აღნიშნული რეზოლუციისა და სხვა მასალებიდან ირკვევა, რომ ყრილობამ შეაჯამა საბჭოთა ხელისუფლების მიღწევების სამი წლის შედეგები და მოიწონა საქართველოს კომპარტიის მიერ გატარებული ეროვნული პოლიტიკა[2]. ხოლო რაც შეეხება „ახალგაზრდა მარქსისტთა" ლოზუნგს პარლამენტარიზმისა და დემოკრატიზმის შესახებ, ყრილობამ ისინი დრომოჭმულად გამოაცხადა და ერთხმად აღიარა პროლეტარიატის დიქტატურა. ამავე დროს, გადაჭრით დაგმო ძველი მენშევიკური ლოზუნგი — „დემოკრატიზმიდან სოციალიზმისაკენ", რადგან, იგი ბურჟუაზიის ხელში მუშათა კლასის დასაბრმავებელ იარაღად იყო გადაქცეული. ამ საკითხთან დაკავშირებით ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ „პროლეტარიატის დიქტატურა, აი ერთადერთი გამოსავალი, ერთადერთი გზა სოციალიზმისაკენ. ეს დებულება ცხოვრებამ დღეს ისეთი ნათელი გახადა,

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, საქ. 678, ფურც. 8.

[2] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, საქ. 661, ფურც. 98.

რომ დაბრმავება იქნებოდა საკუთარი თვალების. მუშათა და გლეხთა-წრეების მიერ მის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოსვლა“ [1].

რამდენადაც ყრილობის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენდა ახალგაზრდობის მესამე კომუნისტური ინტერნაციონალისადმი „ახალგაზრდა მარქსისტთა“ დამოკიდებულების გარკვევა, როგორც ყრილობის მასალებიდან ირკვევა, დასმული საკითხის გარშემო არსებულ აზრთა უთანხმოების მიუხედავად, მიღებული რეზოლუციის ერთ-ერთ პუნქტში აღინიშნა, რომ „ახალგაზრდა მარქსისტები“ დაადგნენ მესამე ინტერნაციონალის პლატფორმას და იზიარებენ კომუნისტური პარტიის თვალსაზრისს [2]. ამ პრინციპის აღიარება ძირითადად ნიშნავდა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებისა და საბჭოთა ხელისუფლებისადმი მხარდაჭერას. ისიც საგულისხმოა, რომ მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, ყრილობამ მიღებული რეზოლუციით „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაცია გაუქმებულად გამოაცხადა; ასეთივე ბედი ეწია ამავე ორგანიზაციის ცენტრალურ კომიტეტსაც. როგორც ირკვევა. ყრილობის სპეციალური მსჯელობის საგნად გამხდარა მეორე ინტერნაციონალის საკითხი. ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციასა და სათანადო დადგენილებაში მხილებულია მესამე ინტერნაციონალთან მისი ოპოზიციური ხასიათი. ამის საფუძველზე დაგმობილია მეორე ინტერნაციონალის, როგორც ოპორტუნისტული მიმდინარეობის მფარველის მთელი საქმიანობა. რამდენადაც ყრილობამ აღიარა მესამე კომუნისტური ინტერნაციონალი. ბუნებრივია, მის მიერ მიღებულ რეზოლუციაში გაუქმებულად იქნა გამოცხადებული მეორე ინტერნაციონალში საქართველოს ყოფილ „ახალგაზრდა მარქსისტთა“ წარმომადგენლის მანდატი [3].

მთელი რიგი საკითხების გარშემო მიღებული რეზოლუციებისა და დადგენილების პარალელურად. როგორც პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალებიდან ირკვევა, ყრილობამ „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის ყოფილ წევრებს დაავალა: 1. აქტიური მონაწილეობა მიეღოთ საბჭოთა აღმშენებლობაში პროფილის მიხედ-

---

[1] გაზ. „სპარტაკი“, 1923 წ. 4 ნოემბერი, № 60.

[2] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, საქ. 661, ფურც. 98.

[3] იქვე; მეორე ინტერნაციონალში „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის წარმომადგენელი საქართველოდან იყო მ. ხუნდაძე.

ვით. 2. ყოფილი „ახალგაზრდა მარქსისტი“ ვალდებული იყო აქტიურად ჩაბმულიყო კომკავშირულ ორგანიზაციებთან არსებულ კულტურულ-საგანმანათლებლო სექციებში, სადაც ისინი სპეციალურად შეისწავლიდნენ მარქსიზმს. 3. პროვინციებში მყოფ ყოფილ „ახალგაზრდა მარქსისტებს“ უნდა დაეყენებინათ მერყევი ახალგაზრდები საბჭოთა პლატფორმაზე და ა. შ.[1].

რა თქმა უნდა, დასახული ღონისძიებების სრულყოფილად გატარება მთელ რიგ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. მისი წარმატებით გადაწყვეტა ძალების მაქსიმალურ დაძაბვას საჭიროებდა. შექმნილი ვითარება, პირველ რიგში, მოითხოვდა, რომ მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობა მაქსიმალურად დაახლოვებოდა კომკავშირულ ორგანიზაციებს. ამავე დროს საჭიროება მოითხოვდა ახალგაზრდობის ფართო მასებისათვის დაწვრილებით მიეწოდებინათ „ახალგაზრდა მარქსისტთა“ სალიკვიდაციო ყრილობის მიერ მიღებული ყველა მასალა. ამ ღონისძიებების გატარება იმდენად მნიშვნელოვანი და აუცილებელი იყო, რომ იგი საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის (1923 წლის 8 ნოემბრის) სხდომის სპეციალური მსჯელობის საგანიც კი გამხდარა. უნდა შევნიშნოთ, რომ პრეზიდიუმის სხდომაზე გ. დევდარიანის მოხსენების ირგვლივ — „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ყრილობის შედეგების შესახებ“ მიღებულ დადგენილებაში ხაზგასმით იყო მითითებული, რომ კომკავშირულ ორგანიზაციებს მოეხდინა აქტივის მობილიზება და „ახალგაზრდა მარქსისტთა“ სალიკვიდაციო ყრილობის დადგენილების მოსწავლეებისადმი გაცნობის მიზნით სათანადო კამპანია ჩაეტარებინა[2].

საქართველოს ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით, იმავე წლის ნოემბერში მოეწყო ყოფილ „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის ყრილობის შედეგების კვირეული. აღნიშნული ღონისძიება ძირითადად ითვალისწინებდა ლექცია-მოხსენებების წაკითხვას სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებსა და დაწესებულებებში. ეხებოდა რა ამ მიმართულებით ჩატარებული ღონისძიებების შედეგებს, ჟურნალი „სიმართლის ხმა“ მიუთითებდა კომკავშირის მიერ ჩატარებული კვირეულების იმ დიდ როლზე, რომელიც მან შეასრულა სა-

---

[1] ჟურნ. „სიმართლის ხმა“, 1923, № 1, გვ. 13.

[2] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 96, აღწ. 1, საქ. 6, ფურც. 117.

ლიკვიდაციო ყრილობაზე წამოჭრილი საკითხების ახალგაზრდობისადმი საფუძვლიანი გაცნობის საქმეში. სათანადო ფაქტების მოშველიების საფუძველზე იგივე ჟურნალი ხაზგასმით მიუთითებდა, რომ „აღნიშნულმა ღონისძიებებმა ხელი შეუწყო და შესაძლებლობა მისცა ყველა ახალგაზრდას დაფიქრებულიყო „თავისი გზის", თავისი პოლიტიკური მრწამსის გარშემო და მოეხდინა წარსულისა და მომავლის ერთნაირი კრიტიკული მიმოხილვა" [1].

უნდა შევნიშნოთ, რომ ამ კვირეულის ჩატარებამ აშკარად დაადასტურა ის დიდი წარმატება იდეოლოგიურ ფრონტზე, რომელიც „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციის ლიკვიდაციით იქნა მოპოვებული, და, რაც მთავარია, ეს წარმატება მიღწეულ იქნა საქართველოში არსებულ ახალგაზრდათა ანტიბოლშევიკური ორგანიზაციებიდან. ყველაზე უძლიერეს „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციასთან. ამის დასადასტურებლად მოვიტანთ რამდენიმე ფაქტს. პირველ რიგში, ყურადღებას შევაჩერებთ საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის 1923 წლის 16 ნოემბრის პლენუმის მიერ ანტიკომუნისტური ორგანიზაციების შესახებ ვ. დარახველიძის მოხსენების საფუძველზე მიღებულ თეზისებზე. მასში, მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, ხაზგასმითაა მითითებული, რომ საქართველოს კომკავშირის „სამი წლის მუშაობამ და დაუცხრომელმა ბრძოლამ ლეგალურ პირობებში ახალგაზრდათა ანტიკომუნისტური ორგანიზაციების წინააღმდეგ გამოიწვია საქართველოს ახალგაზრდათა ძლიერი ანტიკომუნისტური ორგანიზაციის „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციის დაშლა და თვითლიკვიდაცია" [2].

ამ ფაქტის სისწორე საჯარო განცხადებითვე დაადასტურა ბ. ლომინაძემ საქართველოს კომკავშირის VII ყრილობაზე (1924 წლის 24—28 ივნისი) წარმოთქმულ სიტყვაში, რომელშიც მან „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციის შესახებ განაცხადა, 1923 წლის „29 ოქტომბრის აქტით ჩვენ დავშალეთ უძლიერესი ორგანიზაცია" [3].

ამრიგად, საქართველოს კომკავშირის უკომპრომისო ბრძოლა „ახალგაზრდა მარქსისტთა" უძლიერესი ორგანიზაციის წინააღმდეგ

---

[1] ჟურნ. „სიმართლის ხმა", 1923, № 2, გვ. 15.

[2] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 96, აღწ. 1, საქ. 2, ფურც. 34.

[3] გაზ. „სპარტაკი", 1924 წ. 27 ივნისი, № 104.

დასრულდა ამ ორგანიზაციის ლიკვიდაციით. აღნიშნულმა პროცესმა ხელი შეუწყო იდეურად მერყეევი ახალგაზრდობის უმრავლესობის მიმხრობას და, რაც მთავარია, მან შექმნა ხელსაყრელი პირობები სახალხო მეურნეობის აღდგენითი პერიოდის წარმატებით დასამთავრებლად და საბჭოთა ხელისუფლების განსამტკიცებლად.

უნდა შევნიშნოთ, რომ „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციის ლიკვიდაციის მნიშვნელობის წარმოსაჩენად, აუცილებელია შეეხოთ უცხოეთში მყოფი ახალგაზრდობის ქართული კონტრრევოლუციური ემიგრაციის საქმიანობას. ამ საკითხთან დაკავშირებით სათანადო მასალები გამოაქვეყნა გაზეთმა „კომუნისტმა" რუბრიკით — „ქართული კონტრრევოლუციური ემიგრაციის დაშლა უცხოეთში". განსაკუთრებით საინტერესოა გერმანიაში მყოფ ქართველ სტუდენტთა მუშაობის შესახებ არსებული მასალები, საიდანაც ირკვევა, რომ ისევე როგორც საქართველოში, გერმანიაში მყოფმა ქართველმა სტუდენტების უმეტესობამაც გაწყვიტა კავშირი ემიგრაციაში მყოფ მენშევიკებთან და აუცილებლობად მიიჩნია საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობა [1].

მიუხედავად ყოველივე ზემოაღნიშნულისა, ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ თითქოს ამით საერთოდ დასრულდა როგორც საქართველოში, ასევე ევროპაში „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციების წინააღმდეგ ბრძოლა. მასალების შესწავლა ადასტურებს, რომ კომკავშირის მიერ ჩატარებულმა ზემოთ აღნიშნულმა ღონისძიებებმა ვერ შეძლო ახალგაზრდობის ერთ ნაწილში კონტრრევოლუციური ძალებისა და მენშევიკური იდეოლოგიის სრული აღმოფხვრა. ამის დამადასტურებელია, თუნდაც საქართველოს კომკავშირის 1923 წლის 16 ნოემბრის პლენუმის დადგენილება, რომელშიც ვკითხულობთ: „ცეკას პლენუმი იწონებს პრეზიდიუმის მუშაობას ახალგაზრდათა ანტიკომუნისტური ორგანიზაციების დაშლის საკითხში და უსვამს ხაზს, რომ მუშაობა ჯერ არ დამთავრებულა, ის მხოლოდ დაიწყო და მის დასაბოლოებლად სწორედ დღეს არის აუცილებელი კომკავშირის ძალების დაძაბვა" [2].

მოტანილი ფაქტი ერთხელ კიდევ მიუთითებს იმაზე, რომ სალიკვიდაციო ყრილობის გადაწყვეტილებებისა და „ახალგაზრდა მარქ-

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1923 წ., 6 ნოემბერი, № 256.

[2] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 96, აღწ. 1, საქ. 2, ფურც. 34.

სისტემის“ მიერ საბჭოთა ხელისუფლების აღიარების მიუხედავად, აღნიშნული ორგანიზაციის წევრთა ანტისაბჭოური საქმიანობა კვლავაც გრძელდებოდა. თუ ყოველივე ზემოაღნიშნულს გავითვალისწინებთ, ბუნებრივია, დაისმება კითხვა იმის შესახებ, რომ თუკი „ახალგაზრდა მარქსისტებმა“ აღიარეს საბჭოთა ხელისუფლება, მაშ ვინ აწარმოებდა იდეოლოგიურ ფრონტზე ამ ბრძოლას? დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემის მიზნით აუცილებელია, ერთის მხრივ, გაირკვეს საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენმა კაცმა აღიარა სალიკვიდაციო ყრილობის შედეგად საბჭოთა ხელისუფლება, და, მეორეს მხრივ, რამდენ წევრს აერთიანებდა საერთოდ საქართველოს „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაცია.

რა თქმა უნდა, აღნიშნულ საკითხზე ასე დაწვრილებით არ შევჩერდებოდით, რომ იგი ქართულ ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობას არ იწვევდეს. მხედველობაში გვყავს პროფ. ა. მირცხულავა, რომელიც „ახალგაზრდა მარქსისტთა“ წევრებიდან საბჭოთა ხელისუფლების მაღიარებელთა რაოდენობას 4000 კაცით განსაზღვრავს [1]. ჩვენი აზრით, აღნიშნული ციფრი არასწორია. ამას გვაფიქრებინებს მოპოვებული საარქივო მასალები, რომელთაგან განსაკუთრებით საყურადღებოა საქართველოს კომკავშირის ცეკას მოხსენებითი ბარათი — „პოლიტიკური ბრძოლის საკითხები საქართველოში“, „ახალგაზრდა მარქსისტთა“ სალიკვიდაციო ყრილობის მიერ მიღებული რეზოლუცია და ახალგაზრდობის ანტიკომუნისტური ორგანიზაციების შესახებ მიღებული თეზისები. დასახელებულ დოკუმენტებში მოცემულია საინტერესო ფაქტები. ისიც საყურადღებოა, რომ მათში არსებულ ციფრობრივ მონაცემებს ადასტურებს იმ პერიოდის ბოლშევიკურ პრესაში გამოქვეყნებული მასალებიც, რომელთა შესწავლამ გამოარკვია, რომ „ახალგაზრდა მარქსისტთა“ სალიკვიდაციო ყრილობის 110 დელეგატი ძირითადად წარმოდგენილი იყო „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის მხოლოდ 5000-ზე მეტი წევრის მიერ[2].

როგორც სათანადო მასალები ადასტურებს, ყრილობაზე წარმოდგენილმა დელეგატებმა 5000 წევრის სახელით დაგმო რა ძველი მენ-

---

[1] ა. მ ი რ ც ხ უ ლ ა ვ ა, პარტიული შენებლობა საქართველოში, თბ., 1974, გვ. 200.

[2] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, საქ. 661, ფურც. 8; გაზ. „კომუნისტი“, 1923 წ. 2 ნოემბერი, № 253; გაზ. „სპარტაკი“, 1923 წ. 14 ოქტომბერი, № 57.

შევიკური გზა. დაშლილად გამოაცხადა „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაცია და აღიარა საბჭოთა ხელისუფლება[1]. რომ ეს ნამდვილად ასე იყო, ამის საილუსტრაციოდ მოვიტანთ თბილისის სამაზრო კონფერენციაზე (1924 წლის თებერვალი) კომკავშირის ცეკას პირველი მდივნის გ. დევდარიანის მოხსენებიდან შესაბამის ამონაწერს, რომელშიც ვკითხულობთ: „ახალგაზრდა მარქსისტთა“ 5250 წევრმა მიატოვა თავისი ორგანიზაცია და სამუდამოდ გამოეთხოვა „მენშევიკურ მარქსიზმს“[2].

ამრიგად, „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის სალიკვიდაციო ყრილობის შედეგად საბჭოთა ხელისუფლება აღიარა არა 4000 კაცმა, როგორც ამის შესახებ მიუთითებს პროფ. ა. მირცხულავა. არამედ 5000 კაცმა. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ საერთოდ საქართველოს „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის წევრთა რაოდენობა აღნიშნული ციფრით შემოიფარგლებოდა. როგორც საქართველოს კომკავშირის ცეკას 1923 წლის 16 ნოემბრის პლენუმის მიერ ანტიკომუნისტური ორგანიზაციების შესახებ მიღებული თეზისებიდან ირკვევა, „ლიკვიდაცია შეეხო განსაკუთრებით ორგანიზაციის ქვედა ფენებს, ქვედა აქტივს და სულ უმნიშვნელოთ ორგანიზაციის ზედა ფენებს“[3]. ნიშანდობლივია, რომ თეზისებში მითითებულ „ქვედა ფენებში“ იგულისხმება ძირითადად მუშა და გლეხი ახალგაზრდობა, რომლებიც გაერთიანებული იყვნენ „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციაში. აქ ბუნებრივია ისმება კითხვა, თუკი „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაცია წვრილბურჟუაზიული და ანტიკომუნისტური იყო, რატომ მოხვდა მათ რიცხვში მუშა და გლეხი ახალგაზრდობა? ამის ძირითადი მიზეზი, პირველ რიგში, მენშევიკური პარტიისა და „ახალგაზრდა მარქსისტთა“ სახელწოდებასა და მის ცრუპატრიოტიზმით შეზავებულ იდეოლოგიაში უნდა ვეძიოთ. ცნობილი ფაქტია, რომ მენშევიკური პარტია, რომელიც სოციალდემოკრატიულად იწოდებოდა ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროში განცდილი მარცხის მიუხედავად, მისი ლიდერები მთელი „მოღვა-

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 96, აღწ. 1, საქ. 17, ფურც. 74; ფ. 14, აღწ. 1, საქ. 661,ფურც. 48, 49; გაზ. „სპარტაკი“, 1923 წ., № 58; ჟურნ. „კომინტერნის დროშის ქვეშ“, 1924 წ. 28 ოქტომბერი.

[2] გაზ. „კომუნისტი“, 1924 წ. 19 თებერვალი, № 2; გაზ. „სპარტაკი“, 1924 წ. 24 თებერვალი, № 76.

[3] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 96, აღწ. 1, საქ. 2, ფურც. 34.

წეობის“ მანძილზე სიტყვიერი გამოსვლებითა და პრესის საშუალებით თავს ფარისევლურად მუშათა და გლეხთა ინტერესების დამცველებად ასაღებდნენ. მსგავსი პოზიცია ეჭირა მარქსიზმის სახელწოდებას ამოფარებულ „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციასაც. ზემოთ აღნიშნულმა ფაქტორებმა უდიდესი უარყოფითი ზემოქმედება მოახდინა მენშევიზმსა და მარქსიზმს შორის მერყევ მუშა და გლეხი ახალგაზრდობის ერთ ნაწილზე. რომლებმაც აღიარეს რა მენშევიკური იდეოლოგიის „ჭეშმარიტება“, უყოყმანოდ შეავსეს „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის რიგები.

„ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციაში მუშა და გლეხი ახალგაზრდობის წარმომადგენლების მონაწილეობის საკითხის გარშემო ჩვენ მიერ გამოთქმული მოსაზრების სისწორეს მხარს უჭერს საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მიერ 1924 წლის 8 თებერვალს მიღებული ცირკულარი. მასში ყოფილ „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის წევრებში იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესების საკითხებთან დაკავშირებით მითითებულია, რომ კომკავშირის ცეკა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ყოფილ „ახალგაზრდა მარქსისტთა“ მიმხრობის თვალსაზრისით კომკავშირის რიგებში მიღოთ მხოლოდ ყოფილი ახალგაზრდა მარქსისტებიდან ის პირები. რომლებიც „პროლეტარულ ელემენტებს შეადგენენ და რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს ამ ორგანიზაციის დაშლის საქმეში“ [1]. მოტანილი ციტატიდან ისიც ირკვევა, რომ „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის ლიკვიდაციის ინიციატორები და ორგანიზატორები ძირითადად იყვნენ ამ ორგანიზაციის მხოლოდ პროლეტარული ფენები.

ყოველივე აღნიშნულის შემდეგ უდავო ხდება ის ჭეშმარიტება, რომ საბჭოთა ხელისუფლების მაღიარებელ 5000 კაციდან ძირითად ბირთვს წარმოადგენდა სწორედ ეს „ქვედა ფენები“, ანუ მუშათა და გლეხთა შვილები და არა ორგანიზაციის წვრილბურჟუაზიული ელემენტები.

„ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის წევრთა საერთო რაოდენობის გარკვევის მიზნით საინტერესოა გ. დევდარიანის მიერ გაზეთ „სპარტაკში“, 1922 წელს, გამოქვეყნებული სტატია — „სიც-

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 96, აღწ. 1, საქ. 22, ფურც. 24.

რუე და ,ფაქტები“ [1]. ავტორმა მასში გააკრიტიკა „ახალგაზრდა მარქსისტთა“ საზღვარგარეთელი წარმომადგენლობა, რომელიც აცხადებდა, რომ 1922 წლის მონაცემებით „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაცია საქართველოში არალეგალურად აერთიანებს 7000-ზე მეტ წევრსო [2]. როგორც დასახელებული სტატიიდან ირკვევა, ამ განცხადების გასაბათილებლად ავტორი იშველიებს ამიერკავკასიის „ახალგაზრდა მარქსისტთა“ მეორე თავისუფალ კონფერენციაზე (1919 წლის 23 ნოემბერი) ადგილებიდან გაკეთებულ მოხსენებებში მოტანილ ციფრობრივ მონაცემებს, რომლებიც „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ლეგალურ ჟურნალ „ახალ კვალში“ გამოქვეყნდა [3]. აღნიშნულ ჟურნალში გამოქვეყნებული კონფერენციის მასალების შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ ჟურნალმა გამოაქვეყნა მხოლოდ 14 ორგანიზაციის წარმომადგენლის მიერ გაკეთებული მოხსენებების სტატისტიკური მონაცემები. რატომღაც გ. დევდარიანმა არ გაითვალისწინა, რომ ეს მასალები მთლიანად არ ასახავდა საქართველოში არსებულ „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციების რაოდენობას. ამ გაუთვალისწინებლობის შედეგად მან საქართველოს „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის წევრთა საერთო რაოდენობა 1919 წლისათვის 1800 კაცით განსაზღვრა [4]. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ამიერკავკასიის „ახალგაზრდა მარქსისტთა“ პირველი კონფერენციის (1918 წლის 17 იანვარი) მასალების მიხედვით საქართველოს „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაცია 1917 წლის დასასრულისათვის აერთიანებდა 2300 კაცს [5], ხოლო ამავე ორგანიზაციის სალიკვიდაციო ყრილობაზე (1923 წელი) საბჭოთა ხელისუფლება აღიარა 5000 კაცმა, მაშინ ამ ორი ფაქტის შეპირისპირება გ. დევდარიანისეულ ციფრობრივ მაჩვენებელთან, „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის წევრთა რაოდენობრივად ზრდის ფონზე, შემდეგ წინაალმდეგობრივ სურათს მოგვცემს. მოტანილი ფაქტების მიხედვით ისე გამოდის, თითქოს მენშევიკური მთავრობის, მმართველობისა და „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის აღმავლობის პერიოდში,

---

[1] გაზ. „სპარტაკი“, 1922 წ. 27 ნოემბერი, № 13.

[2] იქვე.

[3] ჟურნ. „ახალი კვალი“, 1920, № 1.

[4] გაზ. „სპარტაკი“, 1922 წ. 27 ნოემბერი, № 13.

[5] გაზ. „ერთობა“, 1918 წ. 24 იანვარი, № 18; ჟურნ. „ახალი კვალი“, 1918, № 3.

კერძოდ. 1919 წლისათვის, ამ ორგანიზაციის რიგები 1917—1919 წლებში რიცხობრივად ზრდის მაგივრად 2300 კაციდან შემცირებულა 1800 კაცამდე. ხოლო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ მომხდარა მისი განსაკუთრებული ზრდა. რაც შეეხება ამ უკანასკნელ საკითხს, ამასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ, რამდენადაც საბჭოთა ხელისუფლების დროს „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციამ იდეოლოგიურად გაკოტრების შედეგად თვითლიკვიდაცია განიცადა, ამდენად, აღნიშნული ფაქტი სათავეშივე გამორიცხავს საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში ამ ორგანიზაციის რიცხობრივად ზრდის რაიმე შესაძლებლობას.

უნდა აღინიშნოს, რომ გარდა გ. დევდარიანისა, „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციის წევრთა რაოდენობის საკითხს შეეხო პროფ. გ. ჟვანია საქართველოს კომკავშირის ისტორიისადმი მიძღვნილ სამეცნიერო ლიტერატურაში. მისი აზრით, „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაცია აერთიანებდა 4500 კაცს [1]. ასეთივე თვალსაზრისია გამოთქმული ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში დაბეჭდილ შ. თეთვაძის სტატიაშიც [2], რაც სინამდვილეს არ შეესაბამება, რადგან, როგორც ზემოთაც გვქონდა მითითებული, „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციის ლიკვიდაციის შედეგად საბჭოთა ხელისუფლება აღიარა ამ ორგანიზაციის მხოლოდ 5000 წევრმა. თუკი ყოველივე ამას გავითვალისწინებთ, ნათელი გახდება ის ფაქტი, რომ გ. დევდარიანის, გ. ჟვანიასა და შ. თეთვაძის მიერ მოტანილი ციფრობრივი მაჩვენებლები „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციის რაოდენობის შესახებ ეწინააღმდეგება სალიკვიდაციო ყრილობაზე საბჭოთა ხელისუფლების მაღიარებელ წევრთა რაოდენობას. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინების საფუძველზე ირკვევა, რომ არც პირველი და არც მეორე ციფრობრივი მაჩვენებლები ზუსტი არ არის.

პასუხი კითხვაზე იმის შესახებ, თუ რამდენ კაცს აერთიანებდა აღნიშნული ორგანიზაცია, მოცემულია მხოლოდ „ახალგაზრდა მარქ-

---

[1] გ. ჟ ვ ა ნ ი ა, საქართველოს კომკავშირის ისტორიის ნარკვევები, გვ. 116; საქართველოს კომკავშირი სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის ბრძოლაში, გვ. 72; Комсомол Грузии помощник партии в борьбе за установление Советской власти, გვ. 108; ავტორთა კოლექტივი: გ. ჟ ვ ა ნ ი ა, ვ. ქ ა რ უ მ ი ძ ე, ნ. ჩ ა ხ ვ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს კომკავშირის ისტორია, გვ. 120; ავტორთა კოლექტივი: Славный путь комсомола Грузии, Тб., 1976, გვ. 58.

[2] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 2, თბ., 1977, გვ. 81.

ლისტთა" საზღვარგარეთელი წარმომადგენლობის განცხადებაში, რომელშიც ორგანიზაციის წევრთა რაოდენობა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, განსაზღვრულია 7000 კაცზე მეტით[1]. რა თქმა უნდა, მხოლოდ ამ ერთადერთ ფაქტობრივ მონაცემზე დაყრდნობით არ შეიძლება დასმულ კითხვაზე ზუსტი პასუხის გაცემა. იგი შეიძლება მივიჩნიოთ სავარაუდო ციფრად იმ შემთხვევაში, თუკი გავითვალისწინებთ ორ გარემოებას: 1. „ახალგაზრდა მარქსისტთა" სალიკვიდაციო ყრილობის შემდეგ, როგორც ზემოთაც გვქონდა მითითებული, საბჭოთა ხელისუფლება აღიარა ამ ორგანიზაციის მხოლოდ 5000 წევრმა. 2. საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ სალიკვიდაციო ყრილობის შემდეგაც იმ „ახალგაზრდა მარქსისტებმა", რომლებიც ჯერ დაემორჩილნენ ყრილობის გადაწყვეტილებებს, შექმნეს არალეგალური ჯგუფები და გააგრძელეს ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

ამ მეორე დებულებას „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციის წევრთა საერთო რაოდენობის გარკვევის თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ამასთან დაკავშირებით, ყურადღებას იქცევს რესპუბლიკის საოლქო და სამაზრო კომიტეტებისადმი დაგზავნილი საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის 1923 წლის 15 ნოემბრის მიმართვა. მასში ყოველგვარი დაფარვის გარეშეა მითითებული იმის შესახებ, რომ „ახალგაზრდა მარქსისტთა" სალიკვიდაციო ყრილობის შემდეგ „ჩვენ მხარეზე გადმოსულთა გარდა კიდევ დარჩა მოწინააღმდეგეთა აქტიური კადრი და მავნე კონტრრევოლუციონერები, რომლებიც არ დაემორჩილნენ თავიანთი ყრილობის დადგენილებებს"[2]. როგორც ირკვევა, სწორედ ეს ფაქტი ჰქონდა მხედველობაში საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის 1923 წლის 16 ნოემბრის პლენუმს, რომელმაც მიღებული დადგენილებით აუცილებლობად მიიჩნია „ახალგაზრდა მარქსისტთა" არალეგალურად მოქმედი ძალების წინააღმდეგ ეწარმოებინათ მკაცრი რეპრესიული ბრძოლა[3].

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციის

---

[1] გაზ. „სპარტაკი", 1922 წ. 27 ნოემბერი, № 13.

[2] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 96, აღწ. 1, საქ. 17, ფურც. 74.

[3] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 96, აღწ. 1, საქ. 2, ფურც. 34.

სალიკვიდაციო ყრილობის შედეგად, ამ ორგანიზაციის 5000 წევრის მიერ საბჭოთა ხელისუფლების აღიარება და შემდგომში „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ნაშთების მიერ ანტისაბჭოური საქმიანობის გაგრძელების ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ „ახალგაზრდა მარქსისტთა“ საზღვარგარეთელი წარმომადგენლობის განცხადებაში აღნიშნული 7000 კაცზე მეტი მიახლოებით მაინც განსაზღვრავს იმ ეტაპზე საქართველოში მოქმედ „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის წევრთა საერთო რაოდენობას. თუკი „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის წევრთა შესახებ ჩვენ მიერ მოცემულ ციფრობრივ მაჩვენებელს დავეყრდნობით, ადვილი შესაძლებელი გახდება სალიკვიდაციო ყრილობის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლ „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის წევრთა დარჩენილი ნაწილის რაოდენობის დადგენაც. საკითხის გარკვევის მიზნით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ორ გარემოებას: 1. თუ მივიჩნევთ, რომ „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაცია 1922—1923 წლებში მართლაც აერთიანებდა 7000 წევრზე მეტს და 2. მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ ამ ორგანიზაციის სალიკვიდაციო ყრილობაზე საბჭოთა ხელისუფლება აღიარა მხოლოდ 5000 კაცმა, მაშინ ზემოაღნიშნულ ციფრებს შორის არსებული სხვაობიდან გამომდინარე, ჭეშმარიტების დასადგენად უბრალო მათემატიკური მოქმედებაც კი გამოდგება — 7000—5000=2000.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე უნდა ვიფიქროთ, რომ სწორედ 2000 კაცზე მეტი იყო, რომელმაც მონაწილეობა არ მიიღო „ახალგაზრდა მარქსისტთა“ სალიკვიდაციო ყრილობის მუშაობაში და ორგანიზაციის გაუქმების შემდეგაც განაგრძო ბრძოლა პროლეტარიატის დიქტატურისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

როგორც ცნობილია, სალიკვიდაციო ყრილობის შემდეგ ყოფილმა „ახალგაზრდა მარქსისტებმა“ მასობრივად იწყეს განცხადებების შეტანა კომკავშირის რიგებში მიღების შესახებ. ეს განცხადებები ხშირად ქვეყნდებოდა იმ პერიოდის ბოლშევიკურ პრესაში. მასში დაგმობილი იყო მენშევიკური პარტიის ხაზი და ხოტბა ჰქონდა შესხმული საბჭოთა ხელისუფლებას. ამავე დროს, ისინი პირობას დებდნენ, რომ იმუშავებდნენ კეთილსინდისიერად, რის საფუძველზედაც ითხოვდნენ კომკავშირში მიღებას[1].

---

[1] გ. ქვანია, საქართველოს კომკავშირის ისტორიის ნარკვევები, გვ. 120.

უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ფაქტმა, თვით კომკავშირის წევრებს შორის გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობა. იგი ძირითადად შემდეგში მდგომარეობდა: 1. კომკავშირელთა ერთი ჯგუფი მოითხოვდა კომკავშირში მასობრივად მიეღოთ ყოფილი „ახალგაზრდა მარქსისტებიდან" ყველა მსურველი[1]. 2. მეორენი კი საერთოდ წინააღმდეგი იყვნენ მათი მიღებისა. 3. ხოლო რაც შეეხება მესამე ნაწილს, ისინი აუცილებლობად თვლიდნენ კომკავშირში მიეღოთ მხოლოდ ის მუშები და უღარიბესი გლეხები, რომელთაც კავშირი არ ჰქონდათ გაწყვეტილი სოფელთან და საჭიროების მიხედვით გამოეყენებინათ ისინი საბჭოთა სამუშაოებზე[2].

ამ საკითხმა იმდენად მწვავე ხასიათი მიიღო, რომ იგი რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მსჯელობის საგანიც კი გახდა. ამ მხრივ საინტერესოა 1923 წლის 20 ნოემბრის სხდომის ოქმის ამონაწერი, რითაც ირკვევა, რომ საქართველოს ყოფილი „ახალგაზრდა მარქსისტების" ყრილობის შედეგების შესახებ პეტროვსკის მოხსენების საფუძველზე ბიუროს მიეღია შესაბამისი დადგენილება. მასში, პირველ რიგში, მოწონებულია საქართველოს კომკავშირის მიერ „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციის წინააღმდეგ ჩატარებული იდეური ბრძოლის შედეგები და, რაც მთავარია, აღნიშნულია, რომ საქართველოს კომკავშირს თავი შეეკავებინა ყოფილ „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციის წევრების კომკავშირში მასობრივად მიღებაზე და არ დაეშვა მათი გამოყენება მასობრივ კომკავშირულ სამუშაოებზე[3]. აღნიშნული მითითება იმდენად დროული და მიზანშეწონილი იყო, რომ იგი ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის მსჯელობის საგნად გადაიქცა. როგორც საარქივო მასალების შესწავლამ გვიჩვენა, სწორედ მითითებული დადგენილება დაედო საფუძვლად ამიერკავკასიის კომკავშირული ორგანიზაციის საოლქო კომიტეტის იმ მიმართვას, რომელიც უშუალოდ შეეხებოდა ყოფილ „ახალგაზრდა მარქსისტთა" და დაშნაკელთა ახალ-

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 96, აღწ. 1, საქ. 17, ფურც. 74.

[2] იქვე, გვ. 74—75.

[3] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 95, აღწ. 1, საქ. 62, ფურც. 11—12; გ. ქვანია. საქართველოს კომკავშირის ისტორიის ნარკვევები. გვ. 121.

ბაზრდა ორგანიზაციებიდან გამოსულებმა კომკავშირში მიღების საკითხს [1].

დასახელებული დოკუმენტი ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იმით იპყრობს, რომ მასში პროგრამული დებულებების სახითაა მოცემული მითითება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ემოქმედა თითოეულ კომკავშირულ ორგანიზაციას მის წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად. ისიც საყურადღებოა, რომ მიმართვა კომკავშირისაგან მოითხოვდა ორგანიზაციაში მიეღოთ მხოლოდ მუშათა და გლეხთა შვილების ის ნაწილი, რომლებიც თავიანთი საქმიანობით ხელს უწყობდნენ „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციის ნაშთების საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე გადმოსვლას. ამავე დროს, იგი კატეგორიულად მიუთითებდა იმის შესახებ, რომ თითოეულ კომკავშირულ ორგანიზაციას კომკავშირის ცეკას რეკომენდაციის გარეშე თავი შეეკავებინა კომკავშირის რიგებში ყოფილი „ახალგაზრდა მარქსისტების" მიღებაზე [2]. ჩვენის აზრით, ასეთი სიფრთხილე სავსებით გამართლებული და მიზანშეწონილი იყო, რადგან არალეგალურად მოქმედ „ახალგაზრდა მარქსისტთა" ჯგუფების ზოგიერთი წევრი, რომლებიც საბჭოთა პლატფორმაზე მხოლოდ სალიკვიდაციო ყრილობის შემდეგ გადმოვიდა და თავისივე თხოვნათ კომკავშირის რიგებში მიიღეს, ანტისაბჭოთა საქმიანობის გზას დაადგა. ამასთან დაკავშირებით, პროფ. გ. ქვანია სავსებით სამართლიანად მიუთითებს, რომ მათ კომკავშირის რიგებში მიღება ითხოვეს არა თავიანთი ოპორტუნისტული პლატფორმის დაგმობის მიზნით, არამედ იმისათვის, რომ კომკავშირისადმი ერთგულ ადამიანთა ნიღბით კიდევ უფრო გაეღრმავებინათ ფარული დანაშაულებრივი კონტრრევოლუციური საქმიანობა, როგორც კომკავშირის შიგნით, ისე მის გარეთ [3].

ითვალისწინებდა რა ყოველივე ზემოაღნიშნულს, როგორც საარქივო მასალებიდან ირკვევა, ყოფილ „ახალგაზრდა მარქსისტთა" რიგებიდან კომკავშირში მიღება წარმოებდა მხოლოდ საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილების საფუძველზე. მაგალითად, 1923 წლის 16 და 29 ნოემბერს საქართვე-

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 96, აღწ. 1, საქ. 17, ფურც. 88.

[2] იქვე.

[3] გ. ქვანია, საქართველოს კომკავშირის ისტორიის ნარკვევები, გვ. 121.

ლოს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის პრეზიდიუმის სხდომის დადგენილებით კომკავშირის რიგებში მიღებულ იქნა ყოფილი „ახალგაზრდა მარქსისტებიდან“ 71 კაცი [1], ხოლო 1924 წლის 31 ოქტომბრის დადგენილებით — 100 კაცი [2].

ამრიგად, ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილი მასალების ანალიზმა ერთხელ კიდევ ცხადყო ყოფილი „ახალგაზრდა მარქსისტებისადმი“ საქართველოს კომკავშირის ლოიალური დამოკიდებულება. რასაც იმ პერიოდისათვის უდიდესი იდეოლოგიური და პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა აღმშენებლობაში მათი აქტიურად ჩაბმის თვალსაზრისით. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ თითქოს ამით ახალგაზრდათა ანტიკომუნისტური ორგანიზაციების წინააღმდეგ იდეური ბრძოლა საერთოდ ამოიწურა. ყოფილი „ახალგაზრდა მარქსისტებისადმი“ საქართველოს კომკავშირის ლოიალურმა დამოკიდებულებამ ნიადაგი მოამზადა ერთიანი ფრონტით შეურიგებელი ბრძოლა გამოეცხადებინათ „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის ნაშთების წინააღმდეგ. ამ ერთობლივ მუშაობას იმ პერიოდისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის ნაშთების ბაზაზე შექმნილმა ჯგუფებმა მენშევიკების მხარდამხარ, უცხოელი იმპერიალისტების დახმარების იმედით, არალეგალურად განაგრძეს თავიანთი მავნებლური საქმიანობა. მოსალოდნელი საფრთხე იმდენად მნიშვნელოვანი და დამაფიქრებელი იყო, რომ იგი საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის სპეციალური მსჯელობის საგნადაც კი გადაიქცა (1924 წლის 14 თებერვალი), რომლის საფუძველზედაც როგორც ირკვევა, რესპუბლიკის საოლქო და სამაზრო კომიტეტებისათვის შემუშავდა სპეციალური ცირკულარი. აღნიშნული დოკუმენტი იმითაა ყურადსაღები, რომ მასში მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხების პარალელურად ყურადღებაა გამახვილებული იმ მოსალოდნელ საშიშროებაზე, რომელიც შეიძლება შექმნილიყო თვით „ახალგაზრდა მარქსისტთა“ არალეგალურად მოქმედი ჯგუფებისაგან. თუ რაში მდგომარეობდა ეს საფრთხე, ამის გარკვევის მიზნით მივმართავთ ზემოაღნიშნულ დოკუმენტს: „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის ნაშთები მეშჩანური და ინტელიგენტური ფენიდან ერთიანდება

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 96, აღწ. 1, საქ. 6, ფურც. 186, 200.

[2] ი ქ ვ ე, საქ. 20, ფურც. 254.

სხვადასხვა ჯგუფებში და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აგრძელებს თავის მავნებლურ მუშაობას, რომ ერთი ნაწილი ახალგაზრდობისა საფუძველს უყრის არალეგალურ ჯგუფებს. ხოლო მეორე ნაწილი თითქოს წინააღმდეგია არალეგალური მუშაობისა, მაგრამ საქმით მჭიდრო კავშირშია არალეგალურ ჯგუფებთან და მათთან ერთად ეწევა მავნებლურ საქმიანობას. მესამენი სიტყვით ლოიალობას უცხადებენ კომკავშირს, მაგრამ საქმით არ სცნობენ მესამე კომუნისტური ინტერნაციონალის პლატფორმას და იმასვე აკეთებენ, რასაც პირველი ორი ჯგუფის მონაწილენი"[1].

უნდა შევნიშნოთ, რომ ეს საკითხი იმდენად მწვავე იყო, რომ იგი ხშირად პოულობდა ასახვას იმ პერიოდის ბოლშევიკური პრესის ფურცლებზე[2]. სწორედ პრესის ფურცლებზე შემუშავებულმა საერთო აზრმა, როგორც სათანადო მასალებიდან ირკვევა, შესაბამისი ასახვა პოვა საქართველოს კომკავშირის მეშვიდე ყრილობაზე (1924 წლის 24—28 ივნისი). არალეგალურად მოქმედ ანტიკომუნისტური ორგანიზაციების შესახებ ყრილობაზე დაწვრილებით ილაპარაკა ბ. ლომინაძემ, მან თავის მოხსენებაში, შესაბამისი ფაქტების მოშველიების საფუძველზე, საქართველოს კომკავშირს ერთხელ კიდევ მოაგონა, რომ „მოწინააღმდეგე ახალგაზრდათა ორგანიზაციებს არ სძინავთ... ჩვენი კავშირის პოზიცია არალეგალური და ლეგალური მენშევიზმისათვის უნდა დარჩეს ისეთივე შეურიგებელი, როგორიც აქამდე იყო. ბრძოლა მოწინააღმდეგეთა საბოლოო განადგურებამდე — აი ჩვენი ლოზუნგი ანტიკომუნისტური ჯგუფების მიმართ"[3].

საქართველოს კომკავშირის მეშვიდე ყრილობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, როგორც ირკვევა, მხარი დაუჭირა საქართველოს ყოფილ „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციის ცეკას წევრებმა. მათმა გაზეთ „კომუნისტში" გამოაქვეყნეს სპეციალური მოწოდება არალეგალურად მომუშავე „ახალგაზრდა მარქსისტთა" ჯგუფებისადმი[4]. აღნიშნულ დოკუმენტში ძირითადად გატარებული იყო ის

---

[1] გ. ევანია, საქართველოს კომკავშირის ისტორიის ნარკვევები, გვ. 121—122.

[2] გაზ. „სპარტაკი", 1924 წ. 1 იანვარი, № 68; 12 მაისი, № 91; ჟურნ. „ახალგაზრდა ლენინელი", 1924 წ. № 6—7; ა. კეკელიას სტატია — „ჩვენი კავშირის უახლესი ამოცანები".

[3] გაზ. „სპარტაკი", 1924 წ. 27 იანვარი, № 104.

[4] გაზ. „კომუნისტი", 1924 წ. 13 აგვისტო, № 182.

ასრი, რომ არალეგალურად მომუშავე „ახალგაზრდა მარქსისტებს“ ხელი უნდა აეღოთ ყოველგვარ ანტისაბჭოურ საქმიანობაზე და შერიგებოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას.

მიუხედავად ამისა, როგორც მასალების შესწავლიდან ირკვევა „ახალგაზრდა მარქსისტთა“ არალეგალურად მომუშავე ჯგუფებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს 1924 წლის აგვისტოს მენშევიკურ ავანტიურაში, ისინი ათასგვარი პროვოკაციული საშუალებით შეეცადნენ ახალგაზრდობის მოტყუებასა და ამხედრებას საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ. ამ საქმის სრულყოფილად განსახორციელებლად მათ საზღვარგარეთის ქართველი ახალგაზრდობის კონტრრევოლუციური ორგანიზაციების დახმარებისა და მხარდაჭერის იმედი ჰქონდათ. მართალია, ეს ორგანიზაციები 1921 წლიდან ყოფილ მენშევიკურ მთავრობასთან ერთად ანტიბოლშევიკურ პროპაგანდას ეწეოდა, მაგრამ ამ „მუშაობის“ პროცესში, როგორც მასალებიდან ირკვევა, საქართველოში ეროვნული, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული საკითხების გადასაჭრელად საბჭოთა ხელისუფლების მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა ისინი ანტისაბჭოთა საქმიანობის საზღვარგარეთ გაგრძელების უსაფუძვლობის აღიარებამდე მიიყვანა. ამიტომ მათ წინაშე კონკრეტულად დაისვა საკითხი მენშევიკურ ემიგრაციასთან იდეოლოგიური და ორგანიზაციული კავშირის გაწყვეტისა და საბჭოთა საქართველოსთან შემარიგებელი გზების გამონახვის შესახებ. 1924 წლიდან საზღვარგარეთის ქართველი ახალგაზრდობის ორგანიზაციების უმეტესობამ ყოველგვარი ურთიერთობა გაწყვიტა მოკავშირეებთან. იმავე წლის აგვისტოში მენშევიკების ყოფილი მთავრობისა და საქართველოში არსებული ადგილობრივი კონტრრევოლუციის მიერ მოწყობილ ავანტიურას, ბუნებრივია, მათ. მხარი არ დაუჭირეს და ისინი საქართველოს „ახალგაზრდა მარქსისტებთან“ ერთად სასტიკად გააკრიტიკეს. ამ ფაქტის დამადასტურებელია ამიერკავკასიის სტუდენტთა კავშირის ფრაიბურგის კომიტეტის 1924 წლის 15 სექტემბრის დეპეშა, რომელიც ბერლინიდან მიიღო საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ. აღნიშნული დოკუმენტი იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ იგი მაშინვე გამოაქვეყნა გაზეთმა „კომუნისტმა“[1]. ამ დოკუმენტის

---

[1] გაზ. „კომუნისტი“, 1924 წ. 19 სექტემბერი, № 214.

მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მასში დაგმობილი იყო მენშევიკური ავანტიურა და აუცილებლობად იყო მიჩნეული ევროპაში ყოველგვარი ანტისაბჭოთა გამოხდომებისადმი უკომპრომისო ბრძოლის გამოცხადება.

ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ამიერკავკასიის სტუდენტთა კავშირის ფრაიბურგის კომიტეტის მოქმედებას მიბაძა პარიზის ქართველმა სტუდენტობამ, რომელმაც 1924 წლის 16 ოქტომბრის კრებაზე დაშლილად გამოაცხადა თავიანთი ორგანიზაცია[1] და აღიარა საბჭოთა ხელისუფლება. როგორც ირკვევა, მიღებული დადგენილებით პარიზის ქართველი სტუდენტობა პირობას იძლეოდა, რომ ისინი მთელ თავიანთ ძალებს მოახმარდნენ საქართველოს მშრომელი ხალხის პროგრესისა და წარმატების საქმეს.

როგორც ცნობილია, მენშევიკთა აგვისტოს ავანტიურა, რომელიც საზღვარგარეთის იმპერიალისტური სახელმწიფოების წაქეზებითა და მხარდაჭერით მოეწყო, სრული მარცხით დამთავრდა. ეს მარცხი იმით იყო გამოწვეული, რომ მას საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ მხარი არ დაუჭირა და ავანტიურას, როგორც კომუნისტური პარტია, ასევე კომკავშირი სათანადოდ მომზადებული შეხვდა. მართალია, აგვისტოს ამბებმა საბოლოოდ შეარყია „ახალგაზრდა მარქსისტთა" არალეგალურად მოქმედი ისედაც შეთხელებული რიგები, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავდა იმას, რომ საქართველოს კომკავშირს ბრძოლა უნდა შეეწყვიტა კონტრრევოლუციის ნაშთების წინააღმდეგ. როგორც მასალების შესწავლიდან ირკვევა, აუცილებლობა მოითხოვდა ამ მხრივ იდეოლოგიურ ფრონტზე ყურადღების გამახვილებას, რადგან ამ პერიოდისათვის უკვე კომკავშირის რიგებშიც თავი წამოჰყო ტროცკისტულმა მიმდინარეობამ, რაც ახალ საფრთხეს უქადდა ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის საქმეს. სწორედ აღნიშნული გარემოება ჰქონდა მხედველობაში საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის 1924 წლის 10 ოქტომბრის პლენუმს, რომელმაც მიღებული დადგენილებით კატეგორიულად დააყენა საკითხი ყოველგვარ ანტიკომუნისტურ მიმდინარეობასთან გააფთრებული ბრძოლის აუცილებლობის შესახებ[2]. უნდა შევნიშნოთ, რომ საქართველოს კომკავშირმა

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1924 წ. 19 სექტემბერი, № 264.

[2] პარტიული არქივი (თბილისი), ფ 96, აღწ. 1, საქ. 36, ფურც. 14.

აღნიშნული დადგენილების საფუძველზე შეძლო ჯერ კიდევ არალეგალურად მოქმედ „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ჯგუფებისადმი დაეპირისპირებინა ყოფილი „ახალგაზრდა მარქსისტები“. როგორც ირკვევა, ამ მეთოდმა მეტად დიდი როლი შეასრულა „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის წარსული საქმიანობის საიდუმლოების გამოაშკარავების საქმეში.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტს კარგად ესმოდა იმ ეტაპზე იდეოლოგიურ ბრძოლაში მშრომელებზე ზემოქმედების თვალსაზრისით ყოფილი „ახალგაზრდა მარქსისტების“ როლი და მნიშვნელობა. ჩვენი აზრით, სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტს, როდესაც 1924 წლის 11 სექტემბრის დადგენილებით დასვა საკითხი „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის დაშლის წლისთავთან დაკავშირებით ყოფილი „ახალგაზრდა მარქსისტების“ თათბირის მოწვევის შესახებ [1].

თათბირი მოწვეულ იქნა იმავე წლის 28 ოქტომბერს, რის შესახებ დიდძალი მასალა გამოქვეყნდა იმ პერიოდის ბოლშევიკური პრესის ფურცლებზე. არსებული მასალებიდან ყურადღებას იქცევს თათბირის მიერ მიღებული დეკლარაცია [2] და ამავე მოვლენასთან დაკავშირებით გამოცემული ჟურნალი — „კომინტერნის დროშის ქვეშ“. მასში დაბეჭდილია 16 ყოფილი ახალგაზრდა მარქსისტის წერილი. ამ დოკუმენტებითა და გამოქვეყნებული მასალებით ყოფილმა „ახალგაზრდა მარქსისტებმა“ კომკავშირთან ერთად ერთხელ კიდევ მიაყენეს გამანადგურებელი დარტყმა არალეგალურად მომუშავე „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ჯგუფებს. რამდენადაც „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის ნაშთებს კომკავშირთან ერთად დაუპირისპირდა თვით ყოფილი „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის წევრები, ამდენად მათ ანტისაბჭოური მუშაობის ძირითადი აქცენტი სკოლებში გადაიტანეს. ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მიერ რესპუბლიკის საოლქო და სამაზრო კომიტეტებისადმი დაგზავნილ 1925 წლის 9 დეკემბრის ცირკულარში მითითებულია იმ ანტისაბჭოურ საქმიანობაზე, რასაც

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 96, აღწ. 1, საქ. 36, ფურც. 14.

[2] გაზ. „კომუნისტი“, 1924 წ. 16 ნოემბერი, № 262.

„ახალგაზრდა მარქსისტები“ ეწოდნენ 1923—1924 წლებში მოსწავლე ახალგაზრდობაში მენშევიკების მიერ ერთ დროს გამოცხადებული „დამოუკიდებელი საქართველოს“ გასაიდიალებლად. ამ აქტით, როგორც დოკუმენტშია აღნიშნული, „ახალგაზრდა მარქსისტებს“ სურდათ მოსწავლეებში აემაღლებინათ თავიანთი დაკარგული ავტორიტეტი[1]. ითვალისწინებდა რა ყოველივე ამას, საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა კატეგორიულად დააყენა საკითხი სკოლებში კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის გაძლიერებისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის იდეურად დაპყრობის შესახებ. დასახული მიზნის წარმატებით განსახორციელებლად საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მითითების საფუძველზე, ახალგაზრდობაში იდეური მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, მთელ რიგ მაზრებში შეიქმნა ახალგაზრდობასთან მუშაობის დროებითი ცენტრალური ბიურო, რომელსაც ყოველდღიური კავშირურთიერთობა უნდა ჰქონოდა ადგილობრივ კომკავშირის კომიტეტებთან[2]. მიუხედავად ამისა, „ახალგაზრდა მარქსისტები“ და მენშევიკური პარტიის ხაშთები, მოსწავლე ახალგაზრდობაზე იდეური ზემოქმედების მიზნით, კვლავაც განაგრძობდნენ შეუნელებელ ბრძოლასა და მტრულ საქმიანობას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. თუ რამდენად მწვავედ იდგა ახალგაზრდობის ანტიბოლშევიკური ორგანიზაციების ნარჩენი ჯგუფების წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობის საკითხი, ამაზე ერთხელ კიდევ მეტყველებს ყოფილ „ახალგაზრდა მარქსისტთა“ თათბირი (1925 წლის 8 თებერვალი). გამოქვეყნებული მასალებიდან ნათელი ხდება, რომ თათბირის მიერ მიღებული დადგენილებები და რეზოლუციები ახალგაზრდობას მოუწოდებდა სასტიკი ბრძოლა ეწარმოებინა როგორც არალეგალური, ისე ლეგალური მენშევიზმის წინააღმდეგ[3].

რამდენადაც საქართველოს კომკავშირი იდეურ ბრძოლას აწარმოებდა „ლეგალური მენშევიზმის“ წინააღმდეგ, მოკლედ განვიხილავთ ამ ანტისაბჭოური მიმდინარეობის შექმნის ძირითად მიზეზებს. მას შემდეგ, რაც წვრილბურჟუაზიულმა პარტიებმა და ორგანიზა-

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 96, აღწ. 1, საქ. 45, ფურც. 85.
[2] იქვე, 86.
[3] ჟურნ. „ახალი გზა“, 1925, № 9, გვ. 11.

ციებმა იდეური ვაკუტრების შედეგად ლიკვიდაციის საფუძველზე ხალხის მასებში დაკარგა სერიოზული საყრდენი, ანტისაბჭოური საქმიანობის გამწვავების მიზნით მათ შექმნეს ეგრეთ წოდებული „ლეგალური მენშევიზმი“. იგი ძირითადად ითვალისწინებდა ყოფილი მენშევიკური პარტიის — „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციისა და მისი ნაშთების შიერ საბჭოთა ხელისუფლების აღიარებას და მათ აქტიურ ჩაბმას საბჭოთა სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის მმართველობაში.

ეხებოდა რა აღნიშნულ საკითხს, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი ჯერ კიდევ 1924 წელს მიღებულ დადგენილებაში — „წვრილბურჟუაზიული ორგანიზაციების შესახებ“ მიუთითებდა, რომ „წვრილბურჟუაზიული იდეოლოგია თავის ძალებს იძენს წვრილბურჟუაზიაში, აზნაურთა ფენებში და ლეგალურ მენშევიზმში. ისინი ჩვენთან შერიგებისაკენ მიისწრაფვიან და ცდილობენ ჩვენთან მუშაობას. ამასთან ერთად არ უარყოფენ თავიანთ რწმენას და ცდილობენ იგი გადმოიტანონ ჩვენს გარემოში. ამ იდეოლოგიით იწამლება პირველ რიგში მოსწავლე ახალგაზრდობა თავისი მასწავლებლებისაგან, რაც გამოწვეულია სკოლებში ჩვენი სუსტი პოლიტიკური მუშაობით... ცხადია, ეს დიდად სახიფათოა“ [1]. აქვე კატეგორიულად დასმული იყო საკითხი მოსწავლე ახალგაზრდობაში მარქსისტული იდეოლოგიის პროპაგანდის გაძლიერების შესახებ და რაც მთავარია, მოცემული იყო ახალგაზრდობის მარქსისტულ-ლენინური სულისკვეთებით აღზრდის აუცილებლობა. ამასთან ერთად „ლეგალური მენშევიზმის“ წინააღმდეგ იდეური ბრძოლა, ლიკვიდაციამდე „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის ტოლფასოვნად იყო მიჩნეული.

როგორც ვხედავთ, „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ჯგუფებისა და ახლად აღმოცენებული „ლეგალური მენშევიზმის“ წინააღმდეგ საქართველოს კომკავშირის იდეური ბრძოლა დროთა განმავლობაში შესამჩნევად ძლიერდებოდა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კომკავშირისა და ყოფილი „ახალგაზრდა მარქსისტების“ უშეტესობის ერთობლივმა ღონისძიებებმა, როგორც ირკვევა, ახალგაზრდობაში უდიდესი პოლიტიკური გარდატეხა გამოიწვია. ჩვენი

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 95, აღწ. 1, საქ. 193, ფურც. 30.

აზრით, ამ მოვლენას უნდა მიეწეროს ის ფაქტი, რომ 1925 წლის დასასრულისათვის აღარ არსებობდა, როგორც ასეთი, „ახალგაზრდა მარქსისტთა“ განსაკუთრებული საფრთხე, რადგან არალეგალურად მოქმედ „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ჯგუფების გარკვეულმა ნაწილმა ამ პერიოდისათვის უკვე ძირითადად აღიარა საბჭოთა ხელისუფლება და დაიწყო მასთან თანამშრომლობა[1]. უნდა შევნიშნოთ, რომ ეს პროცესი, როგორც მასალების შესწავლიდან ირკვევა, დიდხანს არ გაგრძელებულა. ამ საქმეში გადამწყვეტი როლი შეასრულა საქართველოში ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიციური ბლოკის საბოლოოდ ჩამოყალიბებამ (1926 წ.), რომელმაც აშკარად აღიმაღლა ხმა პარტიის გენერალური ხაზის წინააღმდეგ[2]. სწორედ ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიციური ბლოკის ზემოქმედების შედეგი იყო ის ფაქტი, რომ დროთა ვითარებაში, საქართველოს ყოფილ „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის წევრების დიდი ნაწილი, როგორც პროფ. გ. ყვანია შენიშნავს, გადაბარგდა ტროცკიზმის ბანაკში და მასთან ერთად გადაიქცა ჯაშუშთა, მავნებელთა და სამშობლოს მოღალატეთა ბანდად[3]. 1926 წლიდან, ტროცკიზმის ბანაკში გადაბარგებულ ყოფილ „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის წევრთა უმრავლესობისა და „ახალგაზრდა მარქსისტთა“ არალეგალურად მოქმედი ჯგუფების წინააღმდეგ საქართველოს კომკავშირის იდეური ბრძოლის საკითხი შესწავლილ უნდა იქნეს ტროცკისტული ოპოზიციის წინააღმდეგ ბრძოლის ფონზე, რომლის დასრულება საბჭოთა კავშირში სოციალიზმის განმტკიცებისა და კლასობრივ ბრძოლაში მშრომელი ხალხის მიერ მოპოვებული გამარჯვების წლებთანაა დაკავშირებული.

---

[1] მასალები საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ანგარიშისა მე-4 ყრილობისათვის, ტფილისი, 1925, გვ. 65.

[2] ლ. თ ო ი ძ ე, საქართველოს კომპარტია ლენინიზმისათვის ბრძოლაში, თბ., 1974, გვ. 140.

[3] გ. ყ ვ ა ნ ი ა, საქართველოს კომკავშირის ისტორიის ნარკვევები, გვ. 122.

თავი III

„ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანიზაციების კრახი საქართველოში (1921—1924 წწ.)

§ 1. „ახალგაზრდა მემარცხენე“ და „მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტთა“ ორგანიზაციების შექმნა და მათი მცდარი შეხედულებების კრიტიკა

საქართველოში არსებული ახალგაზრდობის ანტიპროლეტარული ორგანიზაციებიდან იდეოლოგიური ბრძოლის თავისებური ფორმებით განსაკუთრებით გამოირჩეოდა „ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანიზაცია“. აღნიშნულ ორგანიზაციაში შეიმჩნეოდა ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულება, რომლებიც ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში ცნობილია „მემარჯვენე“ და „მემარცხენე“ მიმდინარეობების სახელწოდებით[1].

დასახელებულ მიმდინარეობათა წარმოშობისა და მათი იდეური მიმართულების გასარკვევად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მეექვსე კონფერენციის (1921 წლის 5 ივნისი) მასალებს, რომლებშიც აშკარად ჩანს ის ძირითადი უთანხმოებანი, რაც სოციალისტ-ფედერალისტთა შორის არსებობდა.

როგორც ცნობილია, კონფერენციაზე სასტიკი ბრძოლა გაიშალა „მემარცხენე“ და „მემარჯვენე“ მიმდინარეობებს შორის, მიმდინარე

---

[1] გ. ქვანია, ვ. ქარუმიძე, ნ. ჩახვაშვილი, საქართველოს კომკავშირის ისტორია, თბ., 1969, გვ. 126—127; გ. ქვანია, საქართველოს კომკავშირი სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის ბრძოლაში, თბ., 1956; მისივე, საქართველოს კომკავშირის ისტორიის ნარკვევები (1917—1941 წწ.), თბ., 1964; მისივე, Комсомол Грузии помощник партии в борьбе за установление и упрочение Советской власти, Тб., 1957.

მომენტის შეფასებისა და ეროვნული საკითხის გარშემო. კონფერენციის მასალებიდან ირკვევა, რომ აღნიშნულ საკითხებში უთანხმოება იმდენად უკომპრომისო იყო, რომ მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტის შ. ნუცუბიძის ცდა —მოეხდინა ამ ორი მიმდინარეობის შერიგება—მარცხით დამთავრდა[1].

ეხებოდა რა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მეექვსე კონფერენციის მუშაობის საკითხებს, გაზეთი „ტრიბუნა", მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტთა პოზიციას შემდეგნაირად ახასიათებდა: „მართალია მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტები რევოლუციური ფრაზეოლოგიით ლაპარაკობდნენ, სოციალისტური რევოლუციის მიჯნურობას ჩემულობდნენ, მაგრამ მათში არსებითად ლაპარაკობდა მენშევიზმი. ისინი ერთის მხრივ „შესაძლებლად" სცნობდნენ საბჭოთა ძალაუფლების არსებობის ფარგლებში მუშათა ინტერესების დაცვას და მეორეს მხრივ კაპიტალიზმის ცხოველმყოფელობის დამტკიცებაში ხარჯავდნენ მთელს ერუდიციას, მთელს თავიანთ ძალღონეს"[2].

რაც შეეხებათ მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტებს, ისინი უარყოფდნენ მემარჯვენეთა მენშევიკურ ანტისაბჭოურ პოზიციას, აღიარებდნენ საბჭოთა ხელისუფლებას და აუცილებლობად მიიჩნევდნენ მასთან თანამშრომლობას. ყოველივე ამან, როგორც გაზეთ „ტრიბუნას" ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალები მიუთითებს, ამ ორ დაჯგუფებას შორის არსებულ უთანხმოებას მისცა პოლიტიკური ბრძოლის ხასიათი, რის გამოც აუცილებელი გახდა მათი ორგანიზაციული გათიშვა.

საარქივო და პრესის მასალებიდან ირკვევა, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამდე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ზოგიერთი მემარცხენე პოზიციაზე მდგომი წევრები, მართალია, მთელი რიგი საკითხების გარშემო აკრიტიკებდა ამ პარტიის მიერ აღებულ მცდარ კურსს, მაგრამ იგი იდეურ-პოლიტიკურ ბრძოლაში არ გადაზრდილა, იმჟამად არსებული სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიისაგან განსხვავებული პროგრამა არ შეუმუშავებია და პარტიის ერთიანობა არ დაურღვევია. ამიტომ ამ პერიოდში სოციალისტ-ფედერალისტთა ორი—„მემარჯვენე" და „მემარცხენე" პარტიის არსებობის მტკიცებაზე მსჯელობა მიზანშეუწონლად მიგ-

---

[1] გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი", 1921 წ. 11 ივნისი, № 83.

[2] გაზ. „ტრიბუნა", 1921 წ. 15 ოქტომბერი, № 47.

ვარნია. აღნიშნული მოსაზრება დასკვნის სახით ჩვენ მიერ 1983 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში იქნა გამოთქმული[1]. მას ეჭვით ეკიდა მკვლევარი ა. კოხრეიძე და დააყენა საკითხი მისი დაზუსტების საჭიროების შესახებ. მისი აზრით, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამდე გათიშული იყო „მემარჯვენეებად" და „მემარცხენეებად"[2]. ამის დასადასტურებლად მან ს. ხუნდაძის „ავტობიოგრაფიიდან" მოიტანა სათანადო ამონაწერი. მასში ვკითხულობთ: „1917—1921 წლებში პარტიულ კონფერენციებზე მემარცხენე ჯგუფის სახელით ვიცავდი საბჭოთა სისტემის პრინციპებს, ვაკრიტიკებდი დემოკრატიზმს და მოვითხოვდი მჭიდრო კონტაქტს კომუნისტურ ინტერნაციონალთან (1919 წ.)"[3].

ს. ხუნდაძის „ავტობიოგრაფიიდან" მოტანილი ეს ამონაწერი ა. კოხრეიძეს ჩვენი მტკიცების უარსაყოფად არ გამოადგება, რადგან მასში გასაგებადაა მითითებული, რომ ს. ხუნდაძე ამა თუ იმ კონფერენციებზე გამოდიოდა არა პარტიის, არამედ „მემარცხენე ჯგუფის სახელით". თუ რას წარმოადგენდა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიაში არსებული ეს „მემარცხენე ჯგუფი" ამის გასარკვევად მოვიშველიებთ მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერის თ. ღლონტის წერილის ამონაწერს. მასში ვკითხულობთ: „მე და რამდენიმე ჩვენს ამხანაგს შეგვეძლო ზურგი გვექცია ფედერალისტთა პარტიისათვის 1919 წელშიაც,... მაგრამ ეს იქნებოდა ორიოდე კაცის გამოსვლა, რასაც არავითარი პოლიტიკური ღირებულება არ ექნებოდა"[4].

როგორც ვხედავთ, „ორიოდე" კაცისაგან შემდგარ „მემარცხენეთა ჯგუფზე" დაყრდნობით, საქართველოს გასაბჭოებამდე მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის არსებობაზე ლაპარაკი მიზანშეუწონელია. რომ ეს ასეა, ამას თვით მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ს. ხუნდაძეც

---

[1] შ. ვადაჭკორია, ახალგაზრდა მემარჯვენე და მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანიზაციების წინააღმდეგ ბოლშევიკების ბრძოლის ისტორიიდან, კრებული „მეგობრობა", 1983, IV, გვ. 97.

[2] ა. კოხრეიძე, მჭუხარე სიცოცხლე, თბ., 1985, გვ. 12.

[3] იქვე.

[4] გაზ. „კომუნისტი", 1923 წ. 29 სექტემბერი, № 223.

ადასტურებს. იგი მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის არსებობის ისტორიას საქართველოს გასაბჭოებიდან იწყებს. ამასთან დაკავშირებით ს. ხუნდაძე საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის პირველი ყრილობის (1921 წ. 30 ოქტომბერი — 3 ნოემბერი) დამთავრებისადმი მიძღვნილ სტატიაში მიუთითებდა: „მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის არსებობის ისტორია ამ დღიდან (ე. ი. ყრილობის მოწვევიდან—შ. ვ.) არ იწყება, ამ დღეს ყრილობამ მხოლოდ სანქცია მისცა, ფორმალურად დაადასტურა და აღიარა ის, რაც მთელი რვა თვის განმავლობაში ვითარდებოდა, მავრდებოდა და მტკიცდებოდა“ [1].

ს. ხუნდაძის ამ თვალსაზრისს ამაგრებს 1923 წელს გაზეთ „ტრიბუნაში“ გამოქვეყნებული ფ. მახარაძის წერილი. მასში ვკითხულობთ: „მხოლოდ 1921 წლის დასაწყისიდან იწყება ამ პარტიაში (სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიაში—შ. ვ.) ძირითადი გარდატეხის სანა პარტიის ორ ნაწილად გაყოფაში, რომელთაგან ერთი შერჩა ისევ ძველ იდეოლოგიას,... მეორე ნაწილი კი მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის სახელწოდებით დაადგა მუშათა რევოლუციის გზას“ [2].

ამრიგად, მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია შეიქმნა 1921 წელს და ეს ფაქტი უშუალოდაა დაკავშირებული საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებასთან. მიუხედავად ამისა, ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ 1921 წლამდე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიაში უარვყოთ „მემარცხენე ჯგუფის“ არსებობა. მაგრამ, როგორც ზემოთ მოტანილი მასალები ადასტურებს, ყოვლად შეუძლებელია და შეცდომას წარმოადგენს „მემარცხენე ჯგუფისა“ და მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთმანეთთან გაიგივება. ამიტომ, ჩვენ მიერ გაკეთებული დასკვნა, რომ საქართველოში 1921 წლამდე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის სახით არსებობდა მხოლოდ ერთი პარტია, სრული ჭეშმარიტებაა და იგი არავითარ დაზუსტებას არ საჭიროებს. ვფიქრობთ საკითხი გარკვეულია და კამათს არ უნდა იწვევდეს.

მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის არსებობის ისტორია, როგორც ზემოთაც გვქონდა მითითებული, მართალია,

---

[1] გაზ. „ტრიბუნა“, 1921 წ. 5 ნოემბერი.
[2] ვაზ. „ტრიბუნა“ 1923 წ. 6 დეკემბერი.

საქართველოს გასაბჭოების დღიდან იწყება, მაგრამ მისი ოფიციალური გაფორმება უშუალოდ დაკავშირებულია საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის პირველ ყრილობასთან (1921 წლის 30 ოქტომბერი — 3 ნოემბერი). ყრილობის მიერ მიღებული დადგენილებით მემარცხენე ფრთა გამოცხადდა დამოუკიდებელ პარტიად და ეწოდა მას „საქართველოს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია"[1].

აღნიშნულ რეორგანიზაციას ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ გარკვეული გახდა ფედერალისტების ზემოაღნიშნული ორივე პარტიის მწოფლმხედველობა და მიმართულება. ამ საკითხში ერთგვარი გარკვეულობა შეიტანა ყრილობის მიერ მიღებულმა რეზოლუციამ. მასში მითითებული იყო, რომ საქართველოს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია „იღებს საბჭოთა სისტემას, როგორც საუკეთესო ფორმას მშრომელი კლასის დიქტატურისა და უძლიერეს იარაღს ეროვნული და სოციალისტური მიზნების განსახორციელებლად"[2]. ამით ყრილობამ ერთხელ კიდევ გაუსვა ხაზი საბჭოთა ხელისუფლებისადმი დამოკიდებულების საკითხს. ეს პროცესი იმ მომენტში განხორციელდა, როცა საქართველოს კომუნისტური პარტია და კომკავშირი შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდა ყველა ანტიბოლშევიკური პარტიისა და ორგანიზაციის წინააღმდეგ, განსაკუთრებით კი მენშევიკების წინააღმდეგ. მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტებმა, თავის მხრივ, სერიოზული დახმარება გაუწიეს საქართველოს ბოლშევიკებს, მენშევიკებისა და მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტების მხილებაში. მაგალითად, აღნიშნული პარტიის ორგანომ გაზეთმა „სოციალისტ-ფედერალისტმა" თავის მოწინავე სტატიაში ჩამოაყალიბა რა საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის ძირითადი პრინციპები, ხაზგასმით მიუთითა, რომ გაზეთი „სოციალისტ-ფედერალისტი" „მენშევიკური პოლიტიკის კრიტიკასა და ანალიზზე აშენებს მომავლის ხაზს ქართველი ერისა და მისი მშრომელი კლასის სახელმძღვანელოდ"[3].

---

[1] გაზ. „ტრიბუნა", 1921 წ. 6 ნოემბერი, № 65; გ. ჯანგველაძე, საქართველოს კომუნისტური პარტიის ბრძოლა ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიების იდეური და ორგანიზაციული განაგურებისათვის (1903—1923 წწ.), თბ., 1974, გვ. 409.

[2] გაზ. „ტრიბუნა", 1921 წ. 9 ნოემბერი, № 67.

[3] გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი", 1921 წ. 9 აპრილი, № 33.

საბჭოთა ხელისუფლებისადმი დამოკიდებულების საკითხში, ჩვენ საკმაოდ სწორად მიგვაჩნია პროფ. გ. ჯანგველაძის მოსაზრება მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის პოზიციის შეფასებაში. ამ საკითხთან დაკავშირებით, მკვლევარი, მიუთითებს რა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მიერ საბჭოთა საქართველოსადმი გაწეულ სამსახურზე, აღნიშნავს, რომ „ამ სამსახურის მნიშვნელობას ისიც განაპირობებდა, რომ მან არაპროლეტარულ პარტიათაგან პირველმა აირჩია საბჭოთა ხელისუფლებასთან გულწრფელი თანამშრომლობის გზა. ეს კი საქართველოს მაშინდელ პირობებში, როცა მენშევიკთა მოწამლული ცრუაგიტაციის შედეგად მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს ბოლშევიკებსა და საბჭოთა ხელისუფლებაზე ყალბი წარმოდგენა ჰქონდათ, ძალიან ბევრს ნიშნავდა“ [1].

მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ხელმძღვანელთა მიერ გადადგმულმა პროგრესულმა ნაბიჯმა და საბჭოთა ხელისუფლებისადმი დამოკიდებულების საკითხში მათმა პოზიციამ, უდიდესი ზეგავლენა მოახდინა „ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა“ ორგანიზაციის წევრებზე.

ირკვევა, რომ საქართველოს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა, ამავე პარტიის პირველი ყრილობის (1921 წ.) მიერ მიღებულმა რეზოლუციებმა და დადგენილებებმა, დააჩქარა „ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა“ ორგანიზაციის იდეური გათიშვა ორ ურთიერთსაწინააღმდეგო — „მემარცხენე“ და „მემარჯვენე“ მიმდინარეობად და ხელი შეუწყო ცალ-ცალკე იურიდიულად მათ ორგანიზაციულად გაფორმებას. აღნიშნულმა რეორგანიზაციამ საფუძველი დაუდო შექმნილიყო „ახალგაზრდა მემარცხენე“ და „მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტთა“ ორგანიზაციები. მიუხედავად ამისა, დღემდე საქართველოს კომკავშირის ისტორიის საკითხებზე არსებულ ლიტერატურაში „ახალგაზრდა მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტთა“ ორგანიზაციის შექმნის საკითხთან დაკავშირებით, ჩვენი აზრით, არასწორი თვალსაზრისი არსებობს. ამ საკითხს შეეხო პროფ. გ. ყვანია[1]. მკვლევარმა ზოგადად წარმოადგინა, როგორც „ახალგაზრდა მემარცხენე“, ისე

---

[2] გ. ჯ ა ნ გ ვ ე ლ ა ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 410.

„ახალგაზრდა მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტთა“ ორგანიზაციების ისტორია მათი დაარსებიდან ლიკვიდაციამდე. მაგრამ არაფერი უთქვამს იმ ძირითად მიზეზებზე, რამაც გამოიწვია „ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა“ ორგანიზაციის იდეური გათიშვა. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, პროფ. გ. ყვანიას დამსახურებაც. მან ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში პირველმა დააყენა საკითხი აღნიშნულ ორგანიზაციათა ისტორიის ძესწავლის შესახებ. ჩვენ სავსებით სამართლიანად მიგვაჩნია გ. ყვანიას თვალსაზრისი, რომ 1921 წელი მივიჩნიოთ „ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა“ ორგანიზაციის წარმოშობის თარიღად. ამასთან ერთად, ავტორს ვერ დავეთანხმებით „ახალგაზრდა მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტთა“ ორგანიზაციის შექმნის თარიღში. გ. ყვანია ეყრდნობა რა ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალისადმი საქართველოს კომკავშირის ცენტრალური „კომიტეტის მიერ 1923 წელს წარდგენილ მოხსენებაში არსებულ ფაქტებს, „ახალგაზრდა მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტთა „ორგანიზაციის წარმოშობის თარიღად მიიჩნევს 1917 წელს[2], რაც ჩვენი აზრით, სინამდვილეს არ შეესაბამება: 1. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მენშევიკების ბატონობის პერიოდში 1921 წლამდე საქართველოში არსებობდა მხოლოდ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1921 წელს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ გაითიშა „მემარჯვენე“ და „მემარცხენე“ პარტიებად. რამდენადაც 1921 წლამდე საქართველოში არ არსებობდა მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია, ყოვლად შეუძლებელია 1917 წელს შექმნილიყო „ახალგაზრდა მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტთა“ ორგანიზაცია, რადგან,

---

[1] გ. ყ ვ ა ნ ი ა, საქართველოს კომკავშირი სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის ბრძოლაში. თბ., 1956, გვ. 81; მ ი ს ი ვ ე, საქართველოს კომკავშირის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1964, გვ. 122; Г. Ж в а н и я. Комсомол Грузии помощник партии в борьбе за установление и упрочение Советской власти, გვ. 112.

[2] ეერნ. „მებრძოლთა ხმა“, 1918, № 17.

როგორც საყოველთაოდაა ცნობილი, ახალგაზრდობის ამა თუ იმ ორგანიზაციის შექმნისა და მისი იდეური მრწამსის გარკვევის საქმეში გადამწყვეტ როლს პარტიის იდეური მიმართულება ასრულებს. მაგალითად, ასეთი გადამწყვეტი როლი ითამაშა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიამ 1917 წელს „ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა" ორგანიზაციის შექმნაში.

2. ისმება საკითხი იმის შესახებ, რომ თუკი 1917 წელს შეიქმნა „ახალგაზრდა მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტთა" ორგანიზაცია, ბუნებრივიცაა და ლოგიკურიც, რომ მასთან ერთად შეიქმნებოდა მისი საპირისპირო ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანიზაციაც, როგორც ეს მაგალითად, 1921 წელს მოხდა, როდესაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებასთან დაკავშირებით, ამ ისტორიული მოვლენისადმი დამოკიდებულების საკითხში ორგანიზაციის შიგნით წარმოშობილმა უთანხმოებამ თავთ ორგანიზაცია გათიშა „მემარჯვენე" და „მემარცხენე" მიმდინარეობებად. 3. საარქივო და პრესის მასალების ურთიერთშეკავშირების საფუძველზე გაკეთებული ანალიზი ცხადყოფს, რომ 1917 წელს იქმნება არა „მემარჯვენე", არამედ საერთოდ „ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა" ორგანიზაცია, რომელიც 1921 წლამდე ოფიციალურად იწოდებოდა „ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანიზაციად". ამის დამადასტურებელია თუნდაც ის ფაქტი, რომ მათი ჟურნალი „მებრძოლთა ხმა", როგორც აღნიშნული გვქონდა, ითვლებოდა სრულიად საქართველოს სოციალურ-ფედერალური სარევოლუციო პარტიის მოსწავლეთა კავშირის ორგანოდ[1]. მასზე მითითებული არ იყო, თუ რომელ მიმდინარეობას — „მემარცხენეს" თუ „მემარჯვენეს" ეკუთვნოდა იგი. საქმე ისაა, რომ მენშევიკური პერიოდის არც საარქივო და არც პრესის მასალებით არ დასტურდება, რომ 1921 წლამდე „მემარჯვენეთა" სახელწოდებით ყოფილიყო ასეთი ორგანიზაცია. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ „ახალგაზრდა მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტთა" ორგანიზაცია იურიდიულად შეიქმნა მხოლოდ 1921 წელს, კერძოდ, მას შემდეგ, როცა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის პირველ ყრილობაზე (1921 წ.) აღნიშნული პარტია გაითიშა „მემარჯვენე" და „მემარცხენე" პარტიებად. ყო-

ველ შემთხვევაში, 1921 წლამდე სოციალისტ-ფედერალისტთა მიმართ სიტყვა „მემარჯვენე“ მასალებში არ გვხვდება. მხოლოდ 1921 წელს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიაში მომხდარმა გათიშვამ ჩაუყარა საფუძველი როგორც „ახალგაზრდა მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტთა“, ისე „ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა“ ორგანიზაციების შექმნას და განსაზღვრა მათი იდეური მიმართულება.

ახალგაზრდა „მემარჯვენე“ და „მემარცხენე“ სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანიზაციების ისტორიის სრულყოფილად შესასწავლად დიდი მნიშვნელობა აქვს მათი წევრების რაოდენობის გარკვევას. აღნიშნული ორგანიზაციების წევრთა რაოდენობაზე ციფრობრივი მონაცემები მოცემულია მხოლოდ ახალგაზრდათა კომინტერნისადმი 1923 წელს საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მიერ წარდგენილ მოხსენებაში. მასში მითითებულია, რომ „ახალგაზრდა მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტთა“ ორგანიზაცია თავის რიგებში აერთიანებდა 1500-მდე წევრს[1], რაც შეეხება „ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა“ ორგანიზაციას, მათი წევრთა რაოდენობა 150-200 კაცითაა განსაზღვრული[2]. რამდენადაც აღნიშნულ საკითხზე ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანიზაციების კომიტეტების ან მის ხელმძღვანელთა მიერ დადასტურებული ციფრობრივი მონაცემები არ მოგვეპოვება, ამიტომ, ჩვენი აზრით, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მიერ ახალგაზრდათა კომინტერნისადმი წარდგენილ მოხსენებაში მოტანილი ციფრები მიახლოებითად უნდა მივიჩნიოთ. ამას გვაფიქრებინებს: 1) აღნიშნული ორგანიზაციებისადმი მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის თანაგრძნობისა და იდეოლოგიურ ფრონტზე, იდეურ ბრძოლაში მათი აქტიური მონაწილეობის ამსახველი მასალები. 2) საქართველოს კომკავშირის ცეკას ხელმძღვანელ პირთა მიერ სხვადასხვა დროს გაკეთებულ მოხსენებებში ახალგაზრდობის ანტიპროლეტარული ორგანიზაციების წევრთა რაოდენობის შესახებ დიამეტრალურად არსებული შეუსაბამობები, რაც საკითხის შეუსწავლელობით, ან ამა თუ იმ ორგანიზაციისადმი ტენდენციური დამოკიდებულებით უნდა იყოს გამოწვეული.

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი). ფ. 96, აღწ. 1, საქ. 17, ფურც. 138.
[2] იქვე.

„ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანიზაციის“ ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი საბჭოთა ხელისუფლებასთან დამოკიდებულების საკითხს უკავია. ამ მიმართულებით ორგანიზაციის მუშაობაზე სათანადო პროგრამული მითითებებით დადებითი ზემოქმედება „სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის“ პირველმა ყრილობამ და გაზეთ „ტრიბუნას“ ფურცლებზე გამოქვეყნებულმა საპროგრამო თეორიული ხასიათის სტატიებმა მოახდინა.

იმ მრავალ სტატიათაგან, რომლებიც გაზეთ „ტრიბუნაში“ გამოქვეყნდა, ყურადღებას იქცევს სერგო ამაღლობელის[1] სტატია „ჩვენი ყრილობა და რევოლუციური ახალგაზრდობა“[2]. მასში ავტორმა დამაჯერებლად გააკრიტიკა მენშევიკური პარტიის ანტიბოლშევიკური პოლიტიკა, მაგრამ გაიდეალებულ ფორმებში წარმოადგინა სოციალისტ-ფედერალისტთა როლი ახალგაზრდობის რევოლუციური მოძრაობის საქმეში. იგი კიდევ უფრო შორს წავიდა, მან სოციალიზმ-ფედერალიზმი საერთოდ ქართველი ახალგაზრდობის ნავსაყუდელად გამოაცხადა. მისი აზრით, ქართველი ახალგაზრდობა მხოლოდ სოციალიზმ-ფედერალიზმში ხედავდა ერისა და სოციალიზმის საქმისათვის მებრძოლს.

ს. ამაღლობელის სტატიათა ზეგავლენას უნდა მიეწეროს ის ფაქტი, რომ ერთი წლის შემდეგ იმავე გაზეთში ი. გოგორიშვილმა, სტატიაში — „ქართველი ახალგაზრდობა“[3], განიხილა რა ახალგაზრდათა რევოლუციური მოძრაობის საკითხები, ქართველი ახალგაზრდობა სამ იდეურ მიმდინარეობად დააჯგუფა. მისი აზრით, 1. ახალგაზრდობის დიდი უმრავლესობა გაერთიანებული იყო ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანიზაციაში, 2. ერთი ნაწილი —

---

[1] სერგო ივანეს ძე ამაღლობელი დაიბადა 1899 წ. (12(24) მაისს სოფ. ამაღლებაში, ვანის რაიონი (გარდაიცვალა 1946 წ.). 1920—1924 წლებში სწავლობდა თსუ-ში იურიდიულ და ეკონომიურ ფაკულტეტებზე. იმავე დროს, მუშაობდა გაზ. „ტრიბუნაში“, იყო „ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა“ ორგანიზაციის აქტიური წევრი. ამ ორგანიზაციის ლიკვიდაციის შემდეგ 1923 წლიდან შევიდა სკკპ რიგებში. 1924—1928 წლებში იგი ლექციებს კითხულობდა თსუ-სა და კონსერვატორიაში. 1925 წლიდან იყო რუსთაველის თეატრის დირექტორი. 1926—1927 წლებში სახკინმრეწვის დირექტორი, მან ქართული კულტურის ისტორიაში მნიშვნელოვანი კვალი დასტოვა, როგორც თეატრალურმა მოღვაწემ, კრიტიკოსმა და დრამატურგმა.

[2] გაზ. „ტრიბუნა“, 1921 წ. 23 ოქტომბერი, № 54.

[3] გაზ. „ტრიბუნა“, 1921 წ. 12 მაისი, № 213.

ახალგაზრდობისა მენშევიკურ ორგანიზაციაში, ხოლო 3. მცირე ნაწილი ახალგაზრდობისა — რეაქციონურ ეროვნულ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში. როგორც ვხედავთ, აქაც პრიორიტეტი ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანიზაციას აქვს მინიჭებული და საერთოდ არ ჩანს ახალგაზრდობის ბოლშევიკური მიმდინარეობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ირკვევა, რომ ს. ამაღლობელმა და ი. გოგორიშვილმა ხელოვნურად გააიდეალეს სოციალიზმ-ფედერალიზმი, რითაც ფაქტობრივად უარყვეს არა მარტო კომპარტიის, არამედ კომკავშირის როლი და დამსახურება ახალგაზრდობის რევოლუციური მოძრაობის საქმეში, რის გამოც ისინი მკაცრად გააკრიტიკა გაზეთმა „კომუნისტმა". გაზეთ „კომუნისტის" მიერ დასაბუთებულად იქნა ნაჩვენები, რომ მუშურ-გლეხური ახალგაზრდობიდან, მხოლოდ უმნიშვნელო უმცირესობას ჰქონდა საერთო სოციალიზმ-ფედერალიზმთან[1]. როგორც დასტურდება, მათი უმრავლესობა ძირითადად ახალგაზრდობის კომუნისტურ ორგანიზაციებში იყვნენ გაერთიანებული. რამდენადაც სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანიზაციები წვრილბურჟუაზიულ-ინტელიგენტურ ხასიათს ატარებდა, ამიტომ ყოვლად შეუძლებელია დავუშვათ მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის რაიმე ორგანიზაციული და მითუმეტეს იდეური კავშირ-ურთიერთობის არსებობა სოციალისტ-ფედერალისტებთან.

ამრიგად, მოტანილი მასალიდან ნათლად დასტურდება, რომ ს. ამაღლობელისა და ი. გოგორიშვილის ცდა გამოეცხადებინათ სოციალიზმ-ფედერალიზმი ქართველი ახალგაზრდობის ნავსაყუდლად, მხოლოდ ისტორიის ჭეშმარიტების გაყალბებას წარმოადგენდა.

მიუხედავად ამისა, 1922 წლიდან ახალგაზრდათა ორგანიზაციის საკითხებზე მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტებმა კიდევ უფრო გააღრმავეს თავიანთი მცდარი შეხედულებების პროპაგანდა, რასაც ნათლად ადასტურებს თუნდაც აღნიშნულ საკითხებზე ისევ ს. ამაღლობელის მიერ გაზეთ „ტრიბუნას" 1922 წლის 232-ე ნომერში გამოქვეყნებული სტატია — „ახალგაზრდათა ორგანიზაციის საკითხი საქართველოში"[2]. მასში ავტორმა „ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა" ორგანიზაციის ფონზე განიხილა საქართველოში ახალ-

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1921 წ. 29 ოქტომბერი, № 198.

[2] გაზ. „ტრიბუნა", 1922 წ. 29 ივნისი, № 232.

გაზრდათა მოძრაობის საკითხი და უარყო საქართველოში ახალგაზრდათა დამოუკიდებელი მოძრაობის არსებობა.

ს. ამაღლობელის მიერ საქართველოში ახალგაზრდათა მოძრაობის ისტორიის გაყალბების ცდამ ძლიერი საწინააღმდეგო რეაქცია გამოიწვია იმ პერიოდის ბოლშევიკურ პრესაში, ამ მხრივ საყურადღებოა გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნებული წერილები, რომლებშიც კრიტიკის ქარცეცხლშია გატარებული ს. ამაღლობელის მცდარი შეხედულებები, „თუ საქართველოს ახალგაზრდათა მოძრაობის სინამდვილეს კარგად დავუკვირდებით, მასში შევამჩნევთ ახალგაზრდათა დამოუკიდებელ მოძრაობას, ახალგაზრდა მუშების და გლეხების სახით, რომლებიც ორგანიზაციულად შეკავშირებულნი არიან კომუნისტურ კავშირში"[1].

ამავე პრობლემის გაშუქებას, გაზეთ „კომუნისტის" კვალდაკვალ, საფუძვლიანად შეეხო გაზეთ „სპარტაკში" გამოქვეყნებული გ. დეედარიანის სტატია „ჩვენი პოზიციები მტკიცდება"[2]. მასში ავტორმა განიხილა საქართველოში ახალგაზრდობის მოძრაობის ისტორიის ზოგიერთი საკამათო საკითხები, და ნათელყო, რომ საქართველოს მშრომელი ახალგაზრდობის უმეტესობა, რომლებიც გაერთიანებული იყვნენ ახალგაზრდობის კომუნისტურ კავშირში და მიჰყვებოდნენ ბოლშევიკურ ხაზს, მათი მთელი საქმიანობა ახალგაზრდათა დამოუკიდებელი მოძრაობის საუკეთესო ილუსტრაციას წარმოადგენდა.

ჩვენი აზრით, ს. ამაღლობელის შეცდომა იმის შედეგი იყო, რომ მან ვერ შეძლო იმ ფაქტის განზოგადება, რომ საერთოდ ახალგაზრდათა რევოლუციური მოძრაობა ყოველთვის ეყრდნობოდა ამა თუ იმ პარტიის მთავარ პრინციპებს, და აღიარებდა მის ძირითად პროგრამასა და იდეას. სწორედ ეს გახდა ის ძირითადი მიზეზი, რამაც ს. ამაღლობელი საქართველოში ახალგაზრდათა დამოუკიდებელი მოძრაობის უარყოფამდე მიიყვანა. საილუსტრაციოდ ისიც გამოდგება, რომ საქართველოს კომკავშირულ ორგანიზაციებში გაერთიანებული ახალგაზრდობა, რომელიც უკომპრომისო ბრძოლას აწარმოებდა ახალგაზრდობის მენშევიკური ორგანიზაციების წინააღმდეგ,

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1922 წ. 29 ივლისი, № 154.
[2] გაზ. „სპარტაკი", 1923 წ. 15 იანვარი, № 2.

თავის მუშაობაში ყოველთვის იზიარებდა და ეყრდნობოდა კომუნისტური პარტიის პროგრამასა და ტაქტიკას.

„ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა“ ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ, გამოიყენა რა საბჭოთა ხელისუფლების მიერ მინიჭებული ლეგალიზაციის უფლებანი, მთელ რიგ საკითხებში განცდილი მარცხის შედეგად დაკარგული პრესტიჟის აღდგენისა და ქართველ ახალგაზრდობაზე ზემოქმედების თვალსაზრისით, დასვა საკითხი სრულიად საქართველოს მასშტაბით კონფერენციის მოწვევის შესახებ. როგორც გაზეთ „ტრიბუნას“ ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალების შესწავლიდან ჩანს, მომავალ კონფერენციას უნდა მოეხდინა საქართველოს ახალგაზრდობის გაერთიანება მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანიზაციაში და შეემუშავებინა ამ ორგანიზაციის მუშაობის საერთო გეგმა[1]. ე. ი. სურდა თავისი თავი მთელი ქართველი ახალგაზრდობის ინტერესთა გამომსახველად წარმოედგინა. ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა „ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა“ ორგანიზაციისათვის სწორი გეზის მიცემის მიზნით შეიმუშავა თავისი პოზიცია. საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის 1922 წლის 6 სექტემბრის პრეზიდიუმის სხდომის ოქმში ამ საკითხთან დაკავშირებით ვკითხულობთ, რომ პრეზიდიუმის სხდომაზე გ. დევდარიანმა აუცილებლობად მიიჩნია დახმარების ხელი გაეწოდებინათ ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტებისათვის კონფერენციის მოწვევაში. გ. დევდარიანის მოხსენებაში დასმული მითითებების საფუძველზე პრეზიდიუმმა მიღებული დადგენილებით დაავალა საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტსა და რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციებს ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტებს დახმარებოდნენ კონფერენციის მოწვევასა და სწორი პოზიციის შემუშავებაში[2].

აღნიშნული დადგენილებისა და საქართველოს კომკავშირის ცეკას უშუალო დახმარების შედეგად 1922 წლის ნოემბერში კონფერენციის მაგივრად მოწვეულ იქნა ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანიზაციის პირველი ყრილობა[3].

---

[1] გაზ. „ტრიბუნა“, 1922 წ. 28 აპრილი, № 20.

[2] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, საქ. 24, ფურც. 109.

[3] გაზ. „ტრიბუნა“, 1923 წ. 1 ნოემბერი, № 610.

ყრილობამ ოფიციალურად გააფორმა „ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა“ ორგანიზაციაში ჯერ კიდევ 1921 წელს მომხდარი გათიშვის ფაქტი, დემარკაციული ხაზი გაავლო „ახალგაზრდა მემარცხენე“ და „მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტთა“ შორის. ყრილობამ აღიარა საბჭოთა სისტემა და მშრომელი ხალხის დიქტატურა. ამავე დროს, მან თავი გამოაცხადა ახალგაზრდათა მესამე კომუნისტური ინტერნაციონალის თანამგრძნობ წევრად. მიღებული რეზოლუციით აღიარებულ იქნა ბოლშევიზმის გზა, რამაც ხელი შეუწყო „ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა“ ორგანიზაციის კომპარტიასთან და კომკავშირთან დამოკიდებულების საკითხის დადებითად გადაჭრას. მთელ რიგ საკითხებთან ერთად, ყრილობამ მიიღო და დაამტკიცა „ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა“ ორგანიზაციის წესდება. აღნიშნული წესდებით განსაზღვრული იყო ამ ორგანიზაციის სტრუქტურა და წევრთა უფლება-მოვალეობანი. წესდების თანახმად, ორგანიზაციის წევრად გახდომა შეეძლო მუშას და გლეხს, მოსწავლე და სტუდენტ ახალგაზრდობას, რომლებიც აღიარებდნენ ორგანიზაციის პროგრამის ძირითად დებულებებს [1], ყრილობის რეზოლუციებს, დაემორჩილებოდნენ კავშირის დისციპლინასა და გადაიხდიდნენ საწევრო გადასახადს [2]. წესდება ორგანიზაციაში შემსვლელთადმი აწესებდა სამთვიან საკანდიდატო სტაჟს. მართალია, წესდებით უფლება ეძლეოდა მუშა-ახალგაზრდობას გამხდარიყო ამ ორგანიზაციის წევრი, მაგრამ ამას საბჭოთა ხელისუფლების წლებში მხოლოდ ფორმალური ხასიათი ჰქონდა. რადგანაც მუშა და გლეხი ახალგაზრდობა ამ ეტაპზე ნაკლებად ამჟღავნებდა თუნდაც მემარცხენე ფედერალისტთა ორგანიზაციის წევრად გახდომის სურვილს, ეს, უეჭველია, იმით იყო განპირობებული, რომ ამ პერიოდისათვის საქართველოში სახეზე იყო საკმაოდ ძლიერი მუშა და გლეხი ახალგაზრდობის 12000-წევრიანი კომუნისტური ორგანიზაცია — კომკავშირი, რომლის იდეოლოგია აგებული იყო მარქსისტულ-ლენინურ პრინციპებზე და ბოლშევიკური პარტიის მხარდამხარ იცავდა მუშა და გლეხი ახალგაზრდობის ინტერესებს. ეს გარემოება

---

[1] როგორც წესდებიდან ჩანს, „ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა“ ორგანიზაციას გააჩნდა თავისი პროგრამა, სამწუხაროდ, მისი მიკვლევა ჯერჯერობით ვერ მოხერხდა.

[2] გაზ. „ტრიბუნა“, 1922 წ. 6 ნოემბერი, № 186

შეუძლებელს ხდიდა ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტების მიერ მშრომელი ახალგაზრდობის დაპყრობას. მასალები ადასტურებს, რომ „ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა“ ორგანიზაცია, აღნიშნული წესდების მიღების შემდეგაც კვლავ რჩებოდა მუშა და გლეხი ახალგაზრდობის გარეშე. ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტის — ს. კვინწყლისპირელის ერთი განცხადება. რომელიც მან გააკეთა სტატიაში „ახალგაზრდათა ორგანიზაციის მორიგი ამოცანები“. იგი საყვედურს გამოთქვამდა და მოაგონებდა ორგანიზაციის ხელმძღვანელობას, რომ „თითქმის უყურადღებოდ დაგვრჩა სოფლის გლეხური ახალგაზრდობის ჩაბმა პოლიტიკურ მუშაობაშიო“[1].

მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტებს რომ უჭირდათ თავიანთ ორგანიზაციაში მშრომელი ახალგაზრდობის მიზიდვა. ამის თაობაზე ნათლადაა საუბარი გაზეთ „ტრიბუნაში“ სერიულად გამოქვეყნებულ სტატიებში, რომლებშიც სხვა საკითხებთან ერთად მოცემულია ორგანიზაციის პროგრამული დებულებებიც. ამ სტატიებიდან ინტერესს იწვევს გრ. ხოფერიას სტატია — „ჩვენი მუშაობის ასპარეზი“. მასში ავტორი აკრიტიკებს ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა მუშაობაში არსებულ უარყოფით მხარეებს. კერძოდ, იგი მათი მუშაობის დიდ ნაკლად მიიჩნევს ორგანიზაციის შევსებას მარტო დაბა-ქალაქის მოსწავლეებით, რამაც, მისი აზრით, ორგანიზაცია დაიყვანა კაბინეტურ მუშაობამდე. ავტორი ლაპარაკობს ორგანიზაციის მოწყვეტაზე ფართო მასისაგან და ცდილობს მოძებნოს ამის ძირითადი მიზეზები. გრ. ხოფერია გმობს ორგანიზაციის ადრინდელ ნიჰილისტურ დამოკიდებულებას მუშა და გლეხი ახალგაზრდობისადმი და კონკრეტულად აყენებს საკითხს ორგანიზაციის მუშაობის მეთოდის შეცვლის შესახებ. იგი ორგანიზაციისაგან კატეგორიულად მოითხოვს: „ქალაქიდან სოფლისაკენ — აი, რა უნდა დაედვას მუშაობის წესდებასა და გეგმას ძირითად საფუძვლად... მემარცხენე ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანიზაციებით მოფენილი უნდა იქნას თემები და სოფლები“[2].

---

[1] გაზ. „ტრიბუნა“, 1922 წ. 15 სექტემბერი, № 293.

[2] იქვე, 22 ივნისი, № 226.

როგორც ვხედავთ, აქ დასმულია საკითხი ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანიზაციის სოფლის ახალგაზრდობასთან დაახლოების შესახებ. ნიშანდობლივია, რომ გრ. ხოფერიას მიერ წამოყენებულმა აღნიშნულმა საკითხმა სათანადო გამოხმაურება და ასახვა პოვა იმავე წლის გაზეთ „ტრიბუნას" ფურცლებზე გამოქვეყნებულ სხვა წერილებშიც. საინტერესოა გაზეთის მოწინავე სტატია — „მორიგი ამოცანები". მასში კონკრეტულადაა აღნიშნული, რომ „ვისაც სურს გამომხატველი იყოს საქართველოს სინამდვილის, იგი უნდა იცნობდეს ჩვენი გლეხის ლხინსა და ჭირს, მის ავსა და კარგს, ჩვენ, რომლებსაც ყველაზე მეტი უფლება გვაქვს საქართველოს სახელით ლაპარაკისა უნდა დავუახლოვდეთ ქართველი გლეხის შვილს, უნდა გავიცნოთ მისი სულისკვეთება და უნდა მივაწოდოთ მას პოლიტიკური საზრდო" [1].

„ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა" ორგანიზაცია, ყოველმხრივ ცდილობდა გავლენის სფეროების მოპოვებასა და რაც მთავარია, ქართველი მუშა და გლეხი ახალგაზრდობის დაპყრობას. მისი ამოცანა იმაში გამოიხატა, რომ კონკურენცია გაეწია ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაციისადმი და წაერთმია მისთვის პირველობა. როგორც ზემოთ დავინახეთ, იგი ყველაზე მეტად თვლიდა თავს უფლებამოსილად, ელაპარაკა საქართველოსა და ქართველი ხალხის სახელით. სათანადო მასალებით ირკვევა, რომ აღნიშნული საკითხი სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიიდან მომდინარეობდა. რამაც საბჭოთა ხელისუფლების წლებში კიდევ უფრო პრეტენზიული ხასიათი მიიღო. ეს კი ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ მშრომელი ახალგაზრდობისაგან მოწყვეტილ მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტებს არსებობა უჭირდათ.

ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ ფედერალისტებმა, საქართველოს კომკავშირთან იდეური კამათის დროს განცდილი მარცხის შემდეგ სცადეს ოქტომბრის რევოლუციის საკითხებთან დაკავშირებით გაეღრმავებინათ სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანიზაციის როლის იდეალიზაცია. ამ მხრივ ყურადსაღებია გაზეთ „ტრიბუნას" ფურცლებზე გამოქვეყნებული სტატიები. იმ მრავალ სტატიათაგან, რომლებიც ოქტომბრის რევოლუციის საკითხებს შეეხებოდნენ, გან-

---

[1] გაზ. „ტრიბუნა", 1922 წ. 29 ივნისი, № 232.

საკუთრებულ ინტერესს იწვევს ასალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა ერთ-ერთი ლიდერის ს. ამაღლობელის სტატია — „ძველი ანგარიშები". ავტორმა გააყალბა რა ოქტომბრის რევოლუციასთან დაკავშირებით ისტორიის ზოგიერთი საკითხი, შეეცადა დაემტკიცებინა, თითქოს სოციალისტ-ფედერალისტებმა არა თუ მენშევიკებზე, არამედ ბოლშევიკებზე ადრეც კი შეიგნეს სოციალისტური რევოლუციის ნამდვილი მიზნები და ამოცანები. იგი არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ სოციალისტ-ფედერალისტები წარსულში ებრძოდნენ როგორც მენშევიკებს, ისე ბოლშევიკებს, მაგრამ ავტორი იმდენად გაიტაცა სოციალისტ-ფედერალისტების იდეალიზაციამ, რომ მან რევოლუციის წინაშე დასმული ამოცანების გადაწყვეტასთან დაკავშირებით, მენშევიკებისა და ბოლშევიკების შეხედულებებს შორის ვერავითარი განსხვავება ვერ დაინახა: „მენშევიკები და ბოლშევიკები ებრძოდნენ იმას, რასაც ეხლა იცავენ და ჩვენ ვებრძოდით სწორედ იმას, რასაც ეხლა თვითონ ებრძვიან და ვიცავდით იმას, რასაც ახლა ისინი იცავენ"[1].

ავტორის ამ სიტყვებიდან ისე გამოდის, რომ, თითქოს თავიდანვე მხოლოდ სოციალისტ-ფედერალისტები იდგნენ უწყვეტად ერთ სწორ პოზიციაზე. ხოლო რაც შეეხება ბოლშევიკებსა და მენშევიკებს, ს. ამაღლობელის აზრით, ისინი მერყეობდნენ, იცავდნენ მცდარ დებულებებს და მის დასაცავად თითქოს ისინი შეთანხმებულად გამოდიოდნენ. ს. ამაღლობელის ამ თვალსაზრისში საერთოდ გაყალბებულია მენშევიკების წინააღმდეგ ბოლშევიკების ბრძოლის ისტორია.

როგორც ცნობილია, კომუნისტური პარტიის მოღვაწეობის ისტორიაში არასდროს ყოფილა შემთხვევა, რომ ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შეთანხმებულად ებრძოლათ მათ წინაშე დასმული ამოცანების გადასაჭრელად. პირიქით, პარტიის მთელი ისტორია იმის ნათელი დადასტურებაა, თუ როგორი უკომპრომისო ბრძოლა არსებობდა ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის.

რაში დასჭირდა ს. ამაღლობელს, რომ ერთ მხარეს გამოეყვანა ბოლშევიკები და მენშევიკები, ხოლო მეორე მხარეს სოციალისტ-ფედერალისტები? ჩვენი აზრით, ს. ამაღლობელს სურდა ეთქვა, რომ სანამ მენშევიკები და ბოლშევიკები აითვისებდნენ საერთოდ რევო-

---

[1] გაზ. „ტრიბუნა", 1923 წ. 2 სექტემბერი, № 562.

ლუციის იდეებს, მანამდე სოციალისტ-ფედერალისტებს ეს იდეები ათვისებული და შეგნებული ჰქონდათ, რომ თითქოს ბოლშევიკებმა სოციალისტ-ფედერალისტებისაგან აიღეს რევოლუციის პროგრამა. ყოველივე ამით ს. ამაღლობელი ცდილობდა მშრომელი ახალგაზრდობისათვის დაემტკიცებინა სოციალისტ-ფედერალისტთა განსაკუთრებული რევოლუციონერობა და მიემხრო ისინი.

ს. ამაღლობელის ამ ლიტერატურულ წერილებს მკაცრად უპასუხა გაზეთმა „კომუნისტმა". მასში გამოქვეყნებულ სტატიებში, უტყუარი ისტორიული ფაქტების მოშველიებით მხილებული იყო ს. ამაღლობელის მცდარი შეხედულებები და გამოაშკარავებული იყო სოციალისტ-ფედერალისტთა წვრილბურჟუაზიული ინტელიგენტური ბუნება. გაზეთმა გაარკვია საბჭოთა ხელისუფლებისადმი მიმართებაში სოციალისტ-ფედერალისტთა და მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პოზიციები. ამასთან დაკავშირებით გაზეთი მიუთითებდა, რომ „მხოლოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებიდან გამოჩნდა ერთი ჯგუფი ფედერალისტების, რომლებიც სხვადასხვა მოსაზრებით საჭიროდ სცნობდნენ საბჭოთა ხელისუფლების ცნობას და მათთან თანამშრომლობას, მანამდე კი ასეთი ჯგუფი აშკარად არ გამოკვეთილა"[1].

ამრიგად, საქართველოში ახალგაზრდათა ორგანიზაციის, რევოლუციური მოძრაობისა და სოციალისტური რევოლუციის საკითხებთან დაკავშირებით სოციალისტ-ფედერალისტებისათვის პრიორიტეტის შექმნის ს. ამაღლობელისეული ცდა, როგორც ისტორიული ფაქტებით დასტურდება, ხელოვნურად იყო შეკოწიწებული და ისტორიის ჭეშმარიტების გაყალბებას წარმოადგენდა. მეორეს მხრივ, როგორც ცნობილია, სოციალისტ-ფედერალისტებისა და მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტების თეორიული დებულებანი მკვეთრად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, თუნდაც იმით, რომ მემარცხენეები ნაწილობრივად მაინც იზიარებდნენ იმ დებულებებს, რომლებსაც საქართველოს კომპარტია ახორციელებდა, რაც ბუნებრივია, არ შეეძლო გაეკეთებინა სოციალისტ-ფედერალისტებს, რადგან მათ მოღვაწეობა უხდებოდათ მენშევიკური ბატონობის პერიოდში. ამიტომ ნიშანდობლივია, რომ ს. ამაღლობელის ცდა სოციალისტ-ფედე-

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1923 წ. 7 სექტემბერი, № 205.

რალისტთა მიმართ პრიორიტეტის მინიჭების შესახებ, მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა საპროგრამო დებულებების საწინააღმდეგო მსჯელობას შეიცავს.

* * *

საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და ახალი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებისათვის ბრძოლის წლებში, წვრილბურჟუაზიული და ბურჟუაზიული პარტიებისა თუ ორგანიზაციების წინააღმდეგ ბრძოლასთან ერთად, ერთ-ერთ მნიშვნელოვან და გადაუდებელ ამოცანად გადაიქცა ეროვნული საკითხის გადაწყვეტა. მისი განხორციელებისათვის წარმატებით იბრძოდა როგორც საქართველოს კომპარტია, ისე საქართველოს კომკავშირიც. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, ეროვნული საკითხის სრულყოფილად მოწესრიგება, როგორც ცნობილია, იმდენად რთული გამოდგა, რომ მისი ზოგიერთი დეფექტების გარეშე გადაწყვეტა შეუძლებელი გახდა. სწორედ ამ საკითხმა მიიქცია წვრილბურჟუაზიული პარტიებისა და ორგანიზაციების განსაკუთრებული ყურადღება, რომელთაგან თავისი აქტიურობითა და სხვა ორგანიზაციებისაგან განმასხვავებელი თვისებებით გამოირჩეოდა „ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა" ორგანიზაცია.

უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული საკითხი ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტებმა აიღო მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიისაგან. იმ გარემოებასაც უნდა გავუსვათ ხაზი, რომ ეროვნული პრობლემა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტებმა დააყენეს ახალი ეკონომიკური პოლიტიკის წლებში და იგი გახდა ამ პარტიის ერთ-ერთი ქვაკუთხედთაგანი.

მართალია, მემარ~~ცხენე სო~~ციალისტ-ფედერალისტები აღიარებდნენ სოციალ~~იზმსა და ინ~~ტერნაციონალიზმს, მაგრამ ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყნის მშენებლობაში ~~არსებ~~ული სიძნელეების გამო ეროვნულ საკითხში ოდნავი დარღვევაც კი იწვევდა მათში გაუთავებელ წუწუნსა და საბჭოთა ხელისუფლებისადმი ნიჰილისტურ დამოკიდებულებას. ისინი მხოლოდ ამით კმაყოფილდებოდნენ და არ ცდილობდნენ მოენახათ გზები და მეთოდები წამოჭრილ სირთულეთა დასაძლევად. სწორედ ამის შესახებ იყო, რომ მათივე გაზეთი „ტრი-

ბუნა" გულისტკივილით აღნიშნავდა: „ჩვენდა საუბედუროდ ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობა ცოტას ცდილან ამ მხრივ და მთელი მათი მოღვაწეობა ცარიელი სიტყვების რახარუხში და დაჩაგრულ სამშობლოს შესახებ უშინაარსო გოდებაში ჩატარდა"[1].

მიუხედავად ამისა, მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტები ეროვნულ საკითხში, კვლავაც რჩებოდნენ ძველ პოზიციებზე და ინარჩუნებდნენ თავიანთ ძველ ლოზუნგს — „ნაციონალიზმიდან — ინტერნაციონალიზმისაკენ". ეხებოდა რა აღნიშნულ საკითხს, გ. ჯანგველაძე სავსებით სამართლიანად მიუთითებდა, რომ ამ ლოზუნგით მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტებს, როგორც ისინი ფიქრობდნენ, სურდათ გამოეხატათ სოციალისტ-ფედერალისტების როგორც ეროვნული, ისე ინტერნაციონალურ-რევოლუციური სახე[2].

მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტებისათვის ინტერნაციონალურ-რევოლუციონერობა მხოლოდ ნაციონალური სახელმწიფოებრიობის შექმნისათვის ბრძოლის შენიღბვის საშუალებას წარმოადგენდა. ამაზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ მათი მოღვაწეობის მთელი ისტორია ძირითადად ეროვნული საკითხის გარშემო ბრძოლის ისტორიაა, რომ მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტებს ეროვნული საკითხი რევოლუციური მოძრაობის მთავარ საკითხად მიაჩნდათ. ეს რომ ასეა, ამას ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ 1921 წლის 10 დეკემბერს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტების მიერ თბილისის მუშათა და წითელარმიელთა საბჭოს პირველ საზეიმო სხდომაზე წაკითხულ დეკლარაციაში, ძირითადად გამახვილებული იყო ყურადღება ეროვნულ საკითხში მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მთავარ დებულებებზე[3].

ჩვენი აზრით, აღნიშნულ დეკლარაციაში ეროვნულ საკითხზე წარმოდგენილი დებულებები გახდა ერთ-ერთი მასაზრდოებელი წყარო ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტებისათვის. იმის გასარკვევად, თუ რა პოზიცია დაიჭირა ეროვნულ საკითხში ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტებმა, ეყრდნობოდნენ თუ არა ისინი წინამორბედი თაობის მიერ შემუშავებულ პროგრამულ დებულებებს და აპირებდნენ თუ არა მათ გადასინჯვას,

---

[1] გაზ. „ტრიბუნა", 1921 წ. 29 ოქტომბერი. № 59.

[2] გ. ჯ ა ნ გ ვ ე ლ ა ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 422.

[3] გაზ. „ტრიბუნა", 1921 წ. 13 დეკემბერი, № 96.

ამაზე გარკვევითაა ლაპარაკი იმ განცხადებაში, რომელიც მათ გააკეთეს ვაზეთ „ტრიბუნაში“ [1]. მასში ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტები თავიანთი ორგანიზაციის წევრებს მოაგონებდნენ, რომ „ახალგაზრდათა ორგანიზაციებმა არ უნდა დაივიწყონ, რომ ეროვნულ-სოციალისტური დროშით ვიდოდა საქართველოს შეგნებული ახალგაზრდობა და დღესაც ამავე დროშის ქვეშ მოიყრის თავს“ [2].

აქედან ნათლად ჩანს, რომ ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტები ირაზმებოდნენ „ტრადიციული დროშის“ გარშემო, რაც საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მათი მსოფლმხედველობა ზოგიერთი ცვლილებების გარდა, ძირითადად იგივე რჩებოდა, რაც ადრეულ პერიოდში „ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა“ ორგანიზაციას გააჩნდა. ამის დამადასტურებელია თუნდაც ის ფაქტი, რომ გაზეთი „ტრიბუნა“ 1922 წელს ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა საყურადღებოდ აცხადებდა, რომ „სოციალიზმ-ფედერალიზმი დღესაც და მომავალშიაც ის მოძღვრება იქნება, რომელიც ათანხმებს ნაციონალურ და სოციალისტურ პრინციპებს და იქ ექნება ქართველ ახალგაზრდობას ადგილი, სადაც ის ჰპოვებს ამ პრინციპებისათვის ურყევ ბრძოლას“ [3].

ამ „პრინციპულობისათვის“ ბრძოლის პროცესში, როგორც ს. ამაღლობელი აღნიშნავს, საბჭოთა ხელისუფლების საწყის ეტაპზე ხშირი იყო შემთხვევა, როცა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანიზაციიდან ზოგიერთი მისი წევრი მემარჯვენეთა რიგებში გადადიოდა [4]. ამის მიზეზი ჩვენ უნდა ვეძიოთ მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტთა ეროვნულ საკითხზე არსებულ პროგრამულ დებულებებში, რომელშიც ეროვნული საკითხის გადაწყვეტა რუსეთისაგან ~~საქართველოს~~ მოწყვეტლად წარმოუდგენლად იყო მიჩნეული. სწორედ ამ გარემოებამ ითამაშა განსაკუთრებული როლი საბჭოთა ხელისუფლებისადმი რიგი ნიჰილისტურად განწყობილი

---

[1] 1922 წლის 24 თებერვლიდან მოკიდებული გაზეთმა „ტრიბუნამ“ ახალგაზრდათა ფურცლის სახით ადგილი დაუთმო „ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა“ ორგანიზაციის კავშირს.

[2] გაზ. „ტრიბუნა“, 1922 წ. 24 თებერვალი.

[3] გაზ. „ტრიბუნა“, 1922 წ. 18 ივნისი, № 23.

[4] გაზ. „ტრიბუნა“, 1922 წ. 22 ივნისი, № 226.

ახალგაზრდის გასაერთიანებლად „ახალგაზრდა მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტთა“ ორგანიზაციის გარშემო. ეს პროცესი, განპირობებული იყო ორი გარემოებით: 1. ახალგაზრდა მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტებმა ანტისაბჭოურ საქმიანობასთან ერთად ეროვნული საკითხი „ახალგაზრდა მარქსისტების“ მსგავსად, ნაციონალიზმის უმაღლეს სტადიამდე აიყვანეს და ამით შეძლეს პოლიტიკურად მოუმზადებელი ზოგიერთი ახალგაზრდის მიმხრობა 2. მათ დაარწმუნეს ქართველი ახალგაზრდობის მერყევი ნაწილი, რომ თითქოს საქართველოში არსებული ვითარების განსაკუთრებული პირობების გამო, ეროვნული საკითხის სათანადოდ გადაწყვეტა შეუძლებელი იქნებოდა საბჭოთა რუსეთისაგან საქართველოს ჩამოცილების გარეშე.

ასეთმა იდეოლოგიურმა მრწამსმა და აგრეთვე სხვა მთელმა რიგმა გარემოებებმა განაპირობა ახალგაზრდა მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანიზაციის რიცხობრივი ზრდა და მათი დაშვება სოციალ-დემოკრატიული მენშევიკური პარტიის იდეოლოგიამდე.

ჩვენ მიერ წამოყენებულ ამ დებულებას ამაგრებს გაზეთ „კომუნისტის“ 1923 წლის 27 სექტემბრის ნომერში დაბეჭდილი სტატია, რომელშიც ვკითხულობთ: ახალგაზრდა მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტების ორგანიზაცია „კლასობრივი ბრძოლის და რევოლუციონური მუშათა მოძრაობის პრინციპების ნაცვლად... აღვივებდა ეროვნული ბრძოლის კოცონს და მის სამსხვერპლოზე მოუწოდებდა ქართველ ხალხს“[1]. ყოველივე აღნიშნულის შემდეგ, ჩვენის აზრით, შეცდომა იქნება ეროვნულ საკითხში ახალგაზრდა მემარჯვენე და მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანიზაციების ერთმანეთთან გაიგივება, რადგან მათი მსოფლმხედველობა ერთმანეთისაგან დიამეტრალურად განსხვავდებოდა. ამის ილუსტრაციაა თუნდაც ის, რომ, ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტები აღიარებდნენ საბჭოთა ხელისუფლებას, ძირითადად სცნობდნენ საბჭოთა ხელისუფლების მიერ გატარებულ ეროვნულ პოლიტიკას, ზოგიერთი „კორექტივების“ შეტანით, ამავე დროს სასტიკ ბრძოლას უცხადებდნენ მემარჯვენეებს. ამის ნათელი დამადასტურებელია 1922 წელს გაზეთ „ტრიბუნას“ მიერ გაკეთებული განცხადება, რომ „საქართველოს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია ბოლშევიკებ-

---

[1] გაზ. „კომუნისტი“, 1922 წ. 27 სექტემბერი, № 221.

თან ერთად მუშაობს... პარტიამ მიზნად დაისახა დაუღალავი და პატიოსანი შრომა! ამ დიდ სოციალისტურ და ეროვნულ მუშაობაში შავი მემარჯვენეები ჩვენ ხელს გვიშლიან. სირცხვილი და ზიზღი საქმის ამ მოღალატეებს"[1].

როგორც ირკვევა ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტები ეროვნულ საკითხში აკრიტიკებდნენ არა მარტო ახალგაზრდა მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტებს, არამედ „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციასაც. ამის ნათელი დადასტურებაა საქართველოს საბჭოების პირველ ყრილობაზე (1922 წლის 25 თებერვალი — 3 მარტი) ს. ამაღლობელის მოხსენება ახალგაზრდათა ორგანიზაციის საკითხებზე[2] და ვ. ჯაშის სტატია — „არჩილი[3] და საქართველოს პრობლემა"[4].

მიუხედავად ამისა, ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტები ხშირად თავიანთ გამოსვლებსა თუ წერილებში ურთიერთსაწინააღმდეგო დებულებებს ავითარებდნენ და უგულებელყოფდნენ კომუნისტური პარტიის პირველობას ეროვნული საკითხის დასმაში. ამ მხრივ საყურადღებოა გაზეთ „ტრიბუნას" 1922 წლის ერთი განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ „შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ სოციალისტ-ფედერალისტები იყვნენ ჩვენში პირველი პოლიტიკური მოღვაწეები, რომლებმაც ეროვნული საკითხი სწორ პოლიტიკურ ნიადაგზე დააყენეს და ნამდვილი რევოლუციონური შინაარსი მისცეს"[5]. თუ რამდენად სწორია ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა ეს პრეტენზიული განცხადება, ამაზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს როგორც სოციალისტ-ფედერალისტთა, ასევე კომუნისტური პარტიის ისტორიისადმი ზოგადად თვალის გადავლებაც კი.

ცნობილი ფაქტია, რომ ეროვნული საკითხის რევოლუციური გაგების მეცნიერულ თეორიას საფუძველი კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა ჩაუყარეს. იგი შემდგომ განავითარა ვ. ი. ლენინმა. სწორედ ვ. ი. ლე-

---

[1] გაზ. „ტრიბუნა", 1922 წ. 18 ივნისი, № 223.

[2] გაზ. „ტრიბუნა", 1922 წ. 19, 23 მაისი; 22, 29 ივნისი; 6 ივლისი № 219, 222, 226, 232, 238.

[3] იგულისხმება სოციალისტ-ფედერალისტთა ლიდერი არჩილ ჯორჯაძე.

[4] გაზ. „ტრიბუნა", 1923 წ. 4 იანვარი, 15 თებერვალი, № 386, 418.

[5] გაზ. „ტრიბუნა", 1922 წ. 1 ივლისი, № 234.

ნინის დამსახურებაა ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ 1902 წელს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პროგრამის პროექტში შეტანილ იქნა სპეციალური პუნქტი ეროვნული საკითხის შესახებ[1], რომელიც თითქმის უცვლელად დაამტკიცა რსდმპ მეორე ყრილობამ[2] (1903 წლის 17 ივლისი — 10 აგვისტო). რაც შეეხება სოციალისტ-ფედერალისტების პარტიას, იგი 1904 წლის 1 აპრილს შეიქმნა ქ. ჟენევაში, ქართველ ემიგრანტ რევოლუციონერთა ჯგუფის მიერ მოწვეულ კონფერენციაზე. სწორედ ამ კონფერენციაზე მიღებულ პროგრამაში შეიტანეს პირველად სოციალისტ-ფედერალისტებმა ეროვნული საკითხი[3].

როგორც ცნობილია, აღნიშნული პროგრამა ეროვნული საკითხის გადაწყვეტას ითვალისწინებდა არა მარქსისტულ-რევოლუციური, არამედ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გზით.

ამრიგად, უდავოა ის ჭეშმარიტება, რომ საერთოდ ეროვნული საკითხის სწორი მარქსისტულ-ლენინური გადაწყვეტის გზები დასვეს არა სოციალისტ-ფედერალისტებმა, არამედ რევოლუციონერმა მარქსისტებმა. აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა მიერ დასმული ეროვნული საკითხის გარშემო არსებული დებულებები, თავისი შინაარსით წინააღმდეგობრივია და რიგი შეცდომების შემცველია. მაგალითად, ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტები ეროვნულ საკითხს რომ განიხილავდნენ, ხშირად ერთმანეთში აიგივებდნენ ბოლშევიკებისა და მენშევიკების თეორიებსა და პროგრამებს. გაზეთი „ტრიბუნა“, 1922 წელს, წერდა, რომ „საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენას დაუცხრომლად ებრძოდა ჩვენში გაბატონებული სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორივე მიმდინარეობა; როგორც ბოლშევიკები, ისე მენშევიკები, საქართველოს სუვერენობის აღდგენაში ხედავდნენ პროლეტარიატის ღალატს“[4].

როგორც ვხედავთ, ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედე-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 6, გვ. 13—22.

[2] სკკპ. რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში. ნაწ. 1, თბ., 1954, გვ. 447.

[3] ვაზ. „ტრიბუნა“, 1922 წ. 6 აპრილი, № 126; ღ. შ ვ ე ლ ი ძ ე, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წარმოშობის ისტორიიდან; საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1982, გვ. 97.

[4] ვაზ. „ტრიბუნა“, 1922 წ. 23 სექტემბერი.

რალისტებს არ ესმოდათ მარქსისტული თეორია, რამაც მათში ერთა თვითგამორკვევის ლენინური დებულებების არსის გაუგებრობა გამოიწვია.

სწორედ ამაში უნდა ვეძიოთ ის ძირითადი მიზეზი, რამაც ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტები მარქსიზმისა და ლენინიზმის ურთიერთდაპირისპირებამდე მიიყვანა. ამავე დროს, ისინი მიუთითებდნენ მარქსიზმსა და ლენინიზმს შორის ვითომ არსებულ განსხვავებაზე, და რაც მთავარია, მათ მარქსიზმი, ისევე როგორც მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია, ვულგარულ კოსმოპოლიტიზმის ეროვნულ-ნიჰილისტურ დოქტრინად მიიჩნდათ [1].

უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტები უარყოფდნენ ერს, როგორც ისტორიულ კატეგორიას. ვ. ჯაში სტატიაში — „არჩილი და საქართველოს პრობლემა", ა. ჯორჯაძის შეხედულებებზე დაყრდნობით მიუთითებდა, რომ „ეროვნება მარადიული კატეგორიაა, ის თავის ბუნებრივ განვითარებით გაიფურჩქნება, აყვავდება. ისტორიულ პირობებში ერს მხოლოდ სტიქიური მოვლენები გადააგვარებს და გადააშენებს... შესაძლებელია ამა თუ იმ პირობების და მოვლენის მიხედვით ერმა შეიცვალოს თავისი ფორმა, ზოგიერთი თვისებები ან მოაკლდეს ან მოემატოს, მაგრამ ის თავის ინდივიდუალობას და სპეციფიურ თვისებებს ინარჩუნებს, არ კარგავს" [2]. იქვე სტატიის ავტორი დასძენდა, თითქოს ა. ჯორჯაძის შეხედულებები ეროვნულ საკითხზე ცხოვრებამ დაადასტურა. ასეთი მცდარი მტკიცების მიუხედავად, ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტები არც იმას უარყოფდნენ, რომ საბჭოთა ხელისუფლება არსებობის პირველივე დღიდან დაუცხრომლად ზრუნავდა ამა თუ იმ ეროვნებათა მიმართ, რომ მან, საბჭოთა ხელისუფლებამ, როგორც ისინი აღიარებდნენ შეძლო საერთოდ საქართველოში ეროვნული საკითხის სწორი გადაწყვეტა. ამის შესახებ ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტი მ. ქართველიშვილი სტატიაში — „მომენტი და ახალგაზრდობა" წერდა, რომ „საბჭოთა ხელისუფლების ნამდვილ სოციალისტურმა და საღმა ეროვნულმა პოლიტიკამ გამოფხიზლებულ ახალგაზრდობას ფაქტი-

---

[1] გ. ჯანგველაძე. დასახელებული ნაშრომი, გვ. 423.
[2] გაზ. „ტრიბუნა", 1923 წ. 4 იანვარი, № 386.

ურად გადაადგმევინა ნაბიჯი იქით, საითაც... მოუწოდებდა მას ერისა და სოციალიზმის საქმე"[1].

როგორც დავინახეთ, ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტები, რომლებიც არჩილ ჯორჯაძის მსოფლმხედველობას ემყარებოდნენ, ეროვნულ საკითხში ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებებს ავითარებდნენ. ამას თვით ახალგაზრდა მემარცხენე ფედერალისტთა ლიდერებიც კი აღიარებდნენ: მაგალითად, ს. ამაღლობელი სტატიაში — „არჩილი როგორც მოაზროვნე", სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წინაშე ა. ჯორჯაძის როლისა და დამსახურების შეფასებისას, მიუთითებს, რომ „არჩილის აზროვნებაში არ არის ერთი სწორი ხაზი, იგი სხვადასხვა ეტაპში მისი აზროვნების განვითარებისა სხვადასხვა თვალსაზრისზე დგას"[2].

მიუხედავად ასეთი კრიტიკული აზრის გამოთქმისა, ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა სათაყვანებელ კერპს მაინც ა. ჯორჯაძე წარმოადგენდა. ამის დამადასტურებელია თუნდაც ის ფაქტი, რომ 1922 წლის ოქტომბერში ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტებმა დაარსეს ა. ჯორჯაძის სახელობის პოლიტიკური წრე, შეადგინეს პროგრამა და მუშაობის ზოგადი თემატიკა.

ამ წრის დაარსება საყურადღებო მოვლენაა იმდენად, რამდენადაც მისი წევრები ცდილობდნენ გამოენახათ სწორი გზები და საშუალებები ეროვნული საკითხის გადასაჭრელად. მართალია, ისინი მარქსიზმში თავიანთი თეორიული მოუმზადებლობის გამო ამას ვერ ახერხებდნენ, მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ ისინი ეროვნული საკითხის მარქსისტულად დაყენების მიმართ სათანადო ინტერესს იჩენდნენ, იმის დამადასტურებელია, რომ ორგანიზაცია ეროვნულ საკითხში ევოლუციის პროცესს განიცდიდა, უარყოფდა ძველს და თანდათანობით უახლოვდებოდა მარქსისტულ შეხედულებებს. ა. ჯორჯაძის სახელობის პოლიტიკური წრის თემატიკა მიზნად ისახავდა სოციალისტ-ფედერალისტთა მსოფლმხედველობის მიხედვით ექვსი პრობლემური საკითხის დამუშავებას, რომელთაგან წრის მუშაობაში განსაკუთრებით წინა პლანზე იყო წამოწეული ოთხი ძირითადი საკითხი. ესენია: 1. საერთაშორისო მდგომარეობა და საქართველო. 2. არ-

---

[1] გაზ. „ტრიბუნა", 1923 წ. 9 ნოემბერი, № 616.
[2] გაზ. „ტრიბუნა", 1923 წ. 5 აპრილი, № 438.

ჩილი როგორც ეროვნული. 3. ეროვნული საკითხი ბოლშევიკურ აზროვნებაში და 4. მარქსიზმი და ეროვნება[1].

როგორც ვხედავთ, წრე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა ეროვნულ საკითხზე და საქართველოსთან დაკავშირებულ პრობლემებზე. ასეთი ეროვნულ-პატრიოტული თემატიკის წინ წამოწევით წრე მიზნად ისახავდა „ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა“ ორგანიზაციის გარშემო ქართველი ახალგაზრდობის შეკავშირებას და. რაც მთავარია, როგორც გაზეთი „ტრიბუნა“ აღნიშნავდა, წრეს მომავალში უნდა დაემუშავებინა „ის კონტურები, რომელიც არჩილმა დასახა ამა თუ იმ სფეროში თავის შემოქმედებისა“[2]. ე. ი. როგორც ვხედავთ, წრე ძირითადად ეყრდნობოდა და იფარგლებოდა ა. ჯორჯაძის ნააზრევით. ეს გასაკვირიც არაა, რადგან ახალგაზრდა მამარცხენე სოციალისტ-ფედერალისტებს ა. ჯორჯაძის იდეოლოგიურ კონცეფციათა რეალიზაცია, თანამედროვე მოძრაობის ძირითად მისიად მიაჩნდათ. ამავე დროს, მათში შეიმჩნეოდა ეროვნულ საკითხში ა. ჯორჯაძისეულ და ბოლშევიკების კონცეფციათა შორის მერყეობა. ამასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ ეროვნულ საკითხში აღნიშნული წრის წევრთა მარქსიზმისაკენ შემოსაბრუნებლად დიდი როლი შეასრულა რკპ (ბ) XII ყრილობამ (1923 წლის 17—25 აპრილი), კერძოდ, მის მიერ ეროვნული საკითხის გარშემო მიღებულმა დადგენილებებმა, რამაც ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტები მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ „სოციალიზმი სამართლიანად სწყვეტს ეროვნულ კითხვას“[3].

§ 2. საქართველოს კომკავშირის როლი „ახალგაზრდა მემარჯვენე და მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა“ ორგანიზაციების იდეურად და ორგანიზაციულად განადგურების საქმეში

ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანიზაციის ორ ურთიერთსაწინააღმდეგო—მემარცხენე და მემარჯვენე მიმდინარეობად ვათიშვის შემდეგ, ძლიერ აქტიური სახე მიიღო მათ შორის იდეურ-

---

[1] გაზ. „ტრიბუნა“, 1922 წ. 14 დეკემბერი, № 369.
[2] გაზ. „ტრიბუნა“, 1922 წ. 6 აპრილი, № 186.
[3] გაზ. „ტრიბუნა“, 1923 წ. 1 ნოემბერი, № 610.

მა ბრძოლამ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბრძოლის ასეთი გამწვავების საფუძველი ის იყო, რომ მემარცხენე ფრთამ აღიარა საბჭოთა ხელისუფლება, ხოლო მემარჯვენეები საწინააღმდეგო პლატფორმაზე დარჩნენ.

უნდა შევნიშნოთ, რომ იდეური შეჯახების დროს, როგორც მემარცხენე, ისე მემარჯვენე მიმდინარეობები ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი გავლენა მოეპოვებინათ მოსწავლე და სტუდენტ ახალგაზრდობაზე. ამ მიზნით, ისინი ახალგაზრდებში ხშირად ატარებდნენ ლექცია-მოხსენებებს. იმ მრავალ მოხსენებათაგან, რომლებიც მათ წაიკითხეს, ფრიად საინტერესოა ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა ლიდერის ს. ამაღლობელის მიერ თბილისის უნივერსიტეტში, 1921 წლის 16 ნოემბერს, წაკითხული მოხსენება თემაზე — „საქართველოს პრობლემა და ჩვენი პოლიტიკა"[1]. აღნიშნული მოხსენება იმითაცაა საყურადღებო, რომ მასში მოცემულია ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა თვალსაზრისი საქართველოს საკითხის შესახებ. როგორც მოხსენების შინაარსიდან ირკვევა, მომხსენებელს მიზნად ჰქონია დასახული „ქართველ სტუდენტობას ერთგვარი აკადემიური აზრი გამოეთქვა საქართველოს საკითხის შესახებ, იმ საკითხისა, რომელიც ქვაკუთხედი უნდა იყოს ყოველი ქართველის აზროვნების, მისი მოქმედების და მოღვაწეობის"[2].

ს. ამაღლობელის აღნიშნულმა მოხსენებამ და მასში დასმულმა საკითხებმა დიდი შეხლა-შემოხლა გამოიწვია ახალგაზრდა მემარჯვენე და მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა შორის. მოხსენების გარშემო კამათში გამოსულმა ახალგაზრდა მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტმა შ. ასათიანმა თავის სიტყვაში გახავითარა რა ანტიკომუნისტური დებულებები, განაცხადა, რომ „ბოლშევიკების ძალას ჩვენი ძალა უნდა დავუპირისპიროთ, ბოლშევიზმის ძალა, რო-

---

[1] აღნიშნული მოხსენება ს. ამაღლობელმა წაიკითხა ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა კავშირის დავალებით. როგორც ირკვევა, მოხსენებას დიდი რაოდენობით დაესწრო როგორც სტუდენტობა, ასევე საქართველოში არსებული თითქმის ყველა ახალგაზრდათა პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლები.

[2] გაზ. „ტრიბუნა", 1921 წ. 18 ნოემბერი, № 75.

შელიც დაღუპვისაკენ მიდის. საქართველოს ყველა პარტიები ნაპ მოხერხებულ დროს უნდა გამოეცალოს“ [1].

როგორც ვხედავთ, იგი „ახალგაზრდა მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტთა“ ორგანიზაციის სახელით, სტუდენტობას მოუწოდებდა დარაზმულიყო საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ საბრძოლველად, დალოდებოდა მოხერხებულ დროს, რათა რევოლუციის მონაპოვრისათვის ზურგში მახვილი ჩაეცა.

მემარჯვენეთა ასეთი რეაქციული გამოხდომები აქცენტს იღებდა სტუდენტი ახალგაზრდობის ერთ ნაწილზე, რომლებიც ცუდად ერკვეოდნენ მარქსისტულ-ლენინურ თეორიაში. სწორედ მათი გამოყენება სურდა მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტებს ანტისაბჭოთა საქმიანობის დასაყრდენად. სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში ს. ამაღლობელს, როდესაც მან თავის საბოლოო სიტყვაში აღნიშნა: „ქართველი სტუდენტობის ერთი ნაწილის დღევანდელი საქციელი სამწუხაროა, დამაფიქრებელია... ასეთი საქციელი კარგი ნიშანი ვერ უნდა იყოს ჩვენი მომავალი ინტელიგენციისა“ [2].

მომხდარმა ფაქტმა, საქართველოს კომკავშირისა და ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა დღის წესრიგში გარკვევით დააყენა საკითხი ახალგაზრდა მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ. ეს მისია, როგორც ამას მასალები მიუთითებს, საქართველოს კომკავშირთან ერთად, იკისრა „ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა“ ორგანიზაციამ, რაც მისი საქმიანობის პლუსად უნდა მივიჩნიოთ. ამის ნათელი დადასტურებაა გაზეთ „ტრიბუნას“ ფურცლებზე გამოქვეყნებული ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა სტატიები, რომლებიც მიმართულია მემარჯვენეთა წინააღმდეგ. განსაკუთრებით საინტერესოა ს. ამაღლობელის სტატია — „ბრძოლის მეთოდები“[3]. ავტორმა დამაჯერებლად, ყოველგვარი დაფარვის გარეშე ამხილა ახალგაზრდა მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტთა დემაგოგიურობა, მისი ანტისაბჭოურობა და, ‘ათელი რიგი ფაქტების საფუძველზე აღნიშნული ორგანიზაცია სამართლიანად გამოაცხადა მშრომელი ხალხის მტრად.

---

[1] გაზ. „კომუნისტი“, 1921 წ. 19 ნოემბერი, № 215.

[2] გაზ. „ტრიბუნა“, 1921 წ. 18 ნოემბერი, № 75.

[3] გაზ. „ტრიბუნა“, 1922 წ. 5 თებერვალი, № 140.

ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა მიერ მემარჯვენე ორგანიზაციების წინააღმდეგ გაძლიერებული ბრძოლის მნიშვნელობა საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა დადებითად შეაფასა. რომ ეს ნამდვილად ასე იყო, ამის დამადასტურებლად გამოდგება თუნდაც ის ფაქტი, რომ საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის 1922 წლის 31 მარტის დადგენილებით, მოსწავლე და სტუდენტ ახალგაზრდობაზე იდეური ზემოქმედების გაძლიერების მიზნით კომკავშირს ბლოკი უნდა შეეკრა ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანიზაციასთან[1].

ეს გარემოება მიგვანიშნებს, რომ საქართველოს კომკავშირს კარგად ჰქონდა ათვისებული ოპოზიციონერთა წინააღმდეგ ბრძოლის ლენინური მეთოდი. ცნობილია, რომ ხალხოსნების წინააღმდეგ დაუნდობელი იდეური ბრძოლის დროს, ლენინელებმა კავშირი შეკრეს „ლეგალურ მარქსისტებთან", თუმცა ამ უკანასკნელთა შეცდომები ლენინელებს არასოდეს მიუჩქმალავთ. „ლეგალური მარქსისტები", რომლებიც ქვეყნის განვითარების კაპიტალისტურ გზას აღიარებდნენ, თავისებურად აკრიტიკებდნენ ხალხოსნებს, როგორც წვრილი წარმოების დამცველებს. თუმცა თვით „ლეგალური მარქსისტებიც" უშვებდნენ უხეშ შეცდომებს. ისინი ისწრაფვოდნენ მუშათა მოძრაობა დაექვემდებარებინათ ბურჟუაზიის ინტერესებისათვის, ვ. ი. ლენინი, რომელიც იყენებდა „ლეგალურ მარქსისტებს" ნაროდნიკობის წინააღმდეგ ბრძოლაში, ამავე დროს გადაჭრით აკრიტიკებდა „ლეგალურ მარქსისტებს" მარქსიზმის საფუძვლების—სოციალისტური რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ მოძღვრების რევიზიისათვის[2].

რამდენადაც საქართველოს კომკავშირის უახლოეს ამოცანას ახალგაზრდა მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტთა იდეური განადგურება წარმოადგენდა, ამიტომ იგი საჭიროდ თვლიდა მემარცხენეთა ძალების გამოყენებას, რადგან საქართველოს კომკავშირისა და ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა მიზანი ამ ეტაპზე იდენტური იყო. ამასთან ერთად, საქართველოს კომკავშირი „ახალგაზრდა მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტთა" ორგანიზა-

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 96, აღწ. 1, საქ. 2, ფურც. 14.

[2] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია, თბ., 1973, გვ. 43.

ციის წინააღმდეგ ბრძოლაში იყენებდა რა ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტებს, ამავე დროს, აკრიტიკებდა მემარცხენეებსაც. საქართველოს კომკავშირი ამით დიდ დახმარებას უწევდა ჯანსაღად მოაზროვნე ახალგაზრდა მემარცხენე ფედერალისტებს ბოლშევიკების პოზიციებზე გადასვლის თვალსაზრისით.

თუ რამდენად დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს კომკავშირის ურთიერთობას ახალგაზრდა მემარცხენე სოსოციალისტ-ფედერალისტებთან, ამის ნათელი ილუსტრაციაა ამიერკავკასიის კომკავშირული ორგანიზაციის სამხარეო კომიტეტის პრეზიდიუმის 1922 წლის 1 ივნისის დადგენილება. როგორც ამ დადგენილებიდან ირკვევა პრეზიდიუმის სხდომამ სპეციალურად განიხილა საქართველოს „ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა" ორგანიზაციაა და მასთან საქართველოს კომკავშირის ურთიერთობის საკითხი. პრეზიდიუმმა დაავალა საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტს, რომ საქართველოს კომკავშირს შეესწავლა ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტები რაოდენობრივად და ხარისხობრივად, ამასთანავე დაეფინანსებინა იგი[1].

საქართველოს კომკავშირის მიერ ასეთი ღონისძიებების გატარება ეხმარებოდა ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტებს, კიდევ უფრო მჭიდრო კავშირი დაემყარებინა საბჭოთა ხელისუფლებასთან, რათა საქართველოს კომკავშირთან ერთად მეტი შეუპოვრობით ებრძოლა ყოველგვარი ანტისაბჭოთა მიმართულების, განსაკუთრებით ახალგაზრდა მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტთა წინააღმდეგ.

როგორც მასალები ადასტურებს, საქართველოს კომკავშირის მიერ მიღებული ასეთი ღონისძიებების ცხოვრებაში გატარების შედეგად, ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა იდეური ბრძოლა მემარჯვენეთა წინააღმდეგ კიდევ უფრო გაღრმავდა. ამის ნათელ ილუსტრაციას წარმოადგენს თუნდაც ის ფაქტიც, რომ მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანომ გაზეთმა „ტრიბუნამ" მოუხშირა ახალგაზრდა მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტთა სამხილებელი მასალების გამოქვეყნებას, მაგრამ იმასაც უნდა გავუსვათ ხაზი, რომ მასალების კომენტარებში ძირითადად მა-

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 95, აღწ. 1, საქ. 4, ფურც. 75.

ინც იყო გატარებული ა. ჯორჯაძის მცდარი შეხედულებები რევოლუციონური სოციალიზმისა და ფედერალიზმის საკითხებზე. მემარცხენეები უარყოფდნენ და აკრიტიკებდნენ მემარჯვენეთა შეხედულებებს დემოკრატიული სახელმწიფოს შესახებ[1] და მიუთითებდნენ, რომ „დემოკრატიული სახელმწიფო ჩვენს თვალში კლასობრივ ბურჟუაზიული წყობაა"[2].

იმ სტატიებიდან, რომლებიც გაზეთმა „ტრიბუნამ" გამოაქვეყნა, მასში დასმული საკითხების პრობლემატურობით ფრიად საინტერესოა ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა ერთ-ერთი ხელმძღვანელის ს. კვინწყლისპირელის სტატია — „საუბარი ამხანაგებთან". მასში ავტორმა ერთმანეთს დაუპირისპირა ახალგაზრდა მემარცხენე და მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტთა შეხედულებები და შეეცადა მოეცა მათ შორის განმასხვავებელი ნიშნები. ეძებს რა ამ ორ მიმდინარეობას შორის არსებულ განსხვავებას, ავტორი მიუთითებს, რომ „ეს განსხვავება თანამედროვე მდგომარეობის გაგებაშია. მათ (ახალგაზრდა მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტებს — შ. ვ.) ჰგონიათ, რომ დღეს მზად არ არის ნიადაგი... დაიწყოს ზოსამზაღებელი ხანა სოციალისტური წყობილების განსამტკიცებლად. ჩვენ კი ვამბობთ, რომ ასეთი ხანა უკვე დაიწყო"[3].

ეს სტატია იმითაცაა საინტერესო, რომ მისი საშუალებით ავტორმა ქართველ ახალგაზრდობას გააგებინა, რომ ახალგაზრდა მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტები უარყოფდნენ საქართველოში არა მარტო სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობას, არამედ მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალსაც და აღიარებდნენ მხოლოდ ერთადერთ ძალას, რომელშიც მენშევიკების მსგავსად გულისხმობდნენ ანტანტის ინტერვენციას. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ს. კვინწყლისპირელი, იმავე სტატიის მეორე ნაწილში გმობდა რა ახალგაზრდა მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტთა მისწრაფებას ანტანტის სახელმწიფოებისაკენ, ასეთი გზა მას საქართველოს დამონებისა და დაღუპვის გზად მიაჩნდა. იგი ახალგაზრდა მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტებისა და საბჭოთა ხელისუფ-

---

[1] აქ დემოკრატიული სახელმწიფოს არსში ნაგულისხმევია ბურჟუაზიული დემოკრატია.

[2] გაზ. „ტრიბუნა", 1922 წ. 6 აპრილი, № 186.

[3] გაზ. „ტრიბუნა", 1922 წ. 13 აპრილი, № 191.

ლებისადმი ნიჰილისტურად განწყობილი ზოგიერთი ქართველი ახალგაზრდის საყურადღებოდ აცხადებდა: „საქართველოში... ინგლისის ჯარი საქართველოს სიყვარულით კი არ გაჩერდება, არამედ საკუთარი ინტერესებით და ეს საკუთარი ინტერესები საქართველოს ქონებრივად გაძარცვასა და უფლებრივად დამონებას მოითხოვს... ჩვენ გვასულდგმულებს ჩვენი ქვეყნის უაღრესი სიყვარული და კაპიტალისტებს ვერ ჩავაბარებთ საქართველოს ბედს"[1].

რაც მთავარია, ს. კვინწყლისპირელმა დაგმო ანტანტის იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ინტერვენციის საკითხი და სტატიის მომდევნო ნაწილში, საბჭოთა წყობილება, როგორც პოლიტიკური სისტემა საჭაგალითოდ მიიჩნია. მან დააყენა იმპერიალისტური სახელმწიფოებისადმი მოტრფიალე ახალგაზრდების პოზიციათა შეფასების საკითხი. იგი ასეთ ახალგაზრდობას სავსებით სამართლიანად თვლიდა ბურჟუაზიულ მეშჩანებად და მათ საქმიანობაში ხედავდა იმის ცდას, რომ რევოლუცია შეეცვალათ რეაქციით. ამიტომ იგი კატეგორიულად მოითხოვდა, ასეთი ელემენტების წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის გაძლიერებას[2].

როგორც პრესის მასალებიდან ირკვევა, ახალგაზრდა მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტთა იმედები იმპერიალისტული სახელმწიფოებისადმი კიდევ უფრო გაღრმავდა გენუის კონფერენციის (1922 წლის აპრილი) მოწვევის სამზადისთან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, საქართველოს ემიგრაციულმა მთავრობამ გენუის კონფერენციაზე განსახილველად წამოაყენა საქართველოს „განთავისუფლების" საკითხი, რამაც ახალგაზრდა მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტებს ერთხელ კიდევ აღუძრა იმედი, რომ ანტანტის იმპერიალისტური სახელმწიფოების დახმარებით საქართველოში მოხდებოდა მენშევიკური მთავრობის რესტავრაცია. მაგრამ მას შემდეგ, რაც გენუის კონფერენციაზე მოიხსნა საქართველოს საკითხი და ახალგაზრდა მემარჯვენე წრეების იმედი და წინასწარმეტყველება საქართველოს „განთავისუფლების" შესახებ არ გამართლდა, ცხოვრებისეულმა სინამდვილემ ისინი ავანტიურისტული ელემენტების დანამატად აქცია. სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში გაზეთ „ტრიბუნას", როდესაც სტატიაში — „გონს მოვიდეთ" აღნიშნავდა,

---

[1] გაზ. „ტრიბუნა", 1922 წ. 25 აპრილი, № 199.

[2] გაზ. „ტრიბუნა", 1922 წ. 5 მაისი, № 207.

რომ „დღეს, როდესაც საკმაო დრომ განვლო, როდესაც შესაძლებელია ობიექტურად შეფასებული და საერთოდ გარკვეული იქნეს პოლიტიკური მოვლენები, რომელნიც მკაფიოდ დაისახა წინააღმდეგ შემარჯვენე ახალგაზრდათა მოლოდინისა, სწორედ დღეს მემარჯვენე ახალგაზრდობის ამოცანას უნდა შეადგენდეს რევიზია ნამოქმედართა და გაღაბინჯვა თავისი პოზიციისა"[1].

იმის ნაცვლად, რომ ახალგაზრდა მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტები გენუის კონფერენციის შემდეგ დაკვირვებოდნენ და ანალიზი გაეკეთებინათ თავიანთი საქმიანობისათვის, აქტიური მონაწილეობა მიეღოთ საბჭოთა აღმშენებლობასა და ქართველი მშრომელი ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლის საქმეში, როგორც მასალებიდან ირკვევა, მათ საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის ზოგიერთ ჩრდილოვან მხარეებზე მითითებით კიდევ უფრო გააქტიურეს ქართველ ახალგაზრდობაში და განსაკუთრებით სტუდენტობაში თავიანთი ანტისაბჭოური პროგრამის პროპაგანდა. სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში გაზეთ „ტრიბუნას", როდესაც თავის მოწინავეში ახალგაზრდა მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტთა შესახებ აღნიშნავდა, რომ მათი მოქმედება, „რომელიც პროტესტებითა და უსუსური პროკლამაციების გამოცემით სამარეს უთხრიდა და უთხრის ქართულ უნივერსიტეტს, მიგვაჩნდა და დღესაც მიგვაჩნია აშკარა შავრაზმულ და კონტრრევოლუციონურ საქმედ"[2]. აქვე დასმული იყო საკითხი იმ საფრთხის შესახებ, რომელიც შეიძლება მოჰყოლოდა მემარჯვენეთა საქმიანობას უნივერსიტეტში. კერძოდ, სტუდენტ ახალგაზრდობაში. აქედან გაზეთი საკვლევით საკმარისლიანად მოითხოვდა, რომ საბჭოთა სახელმწიფოს მიეღო რადიკალური ზომები აღნიშნული ორგანიზაციების წინააღმდეგ საბრძოლველად.

„ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა" ორგანიზაციის მიერ დასმულ პრობლემებს დაუყოვნებლივ გამოეხმაურა რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარიატი, რომელმაც იმავე წლის დადგენილებით დააყენა საკითხი ანტისაბჭოთა სტუდენტი ახალგაზრდობისაგან უნივერსიტეტის გაწმენდის შესახებ. როგორც ირკვევა, უნივერსიტეტის სტუდენტობის უმრავლესობამ მხარი დაუჭირა რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარიატის ამ

---

[1] გაზ. „ტრიბუნა", 1922 წ. 29 ივნისი, № 220.
[2] გაზ. „ტრიბუნა", 1922 წ. 1 აგვისტო, № 260.

მეტად მნიშვნელოვან და დროულ დადგენილებას, რითაც სტუდენტების დიდმა ნაწილმა გამოავლინა საუკეთესო პოლიტიკური მომზადება და ამა თუ იმ მოვლენების შეფასებაში სწორი კრიტიკული მიდგომის უნარი. სწორედ ამ მოვლენას ითვალისწინებდა გაზეთი „ტრიბუნა", როცა სტატიაში „მოსწავლე ახალგაზრდობა და შემარჯვენენი" აღნიშნავდა, რომ „სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტობა ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე დაეშორჩილა სახალხო განათლების კომისარიატის დადგენილებას უნივერსიტეტის გაწმენდის შესახებ" [1].

ამ ღონისძიებების გატარებაში, საქართველოს კომკავშირთან ერთად დიდ როლს ასრულებდა ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანიზაცია [2]. სწორედ ამაში უნდა ვეძიოთ ის ძირითადი მიზეზი, რამაც იძულებული გახადა ახალგაზრდა შემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტები დამამცირებელი ბრალდებით გამოსულიყვნენ ახალგაზრდა მემარცხენე ფედერალისტთა წინააღმდეგ.

უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდა შემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტთა იდეური მრწამსის გავრცელებას ხელს უწყობდა მათი არალეგალური ჟურნალი „მებრძოლთა ხმა", როგორც ირკვევა, ეს ჟურნალი ძირითადად ლიტერატურული ხასიათისა იყო, მაგრამ ამავე დროს იგი შეიცავდა. როგორც საბჭოთა ხელისუფლების, ისე ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა საწინააღმდეგო გამოსვლებს. ჟურნალი თანაგრძნობას უცხადებდა ყველა ანტისაბჭოთა რეაქციულ ელემენტს და ძირითადად მენშევიკებთან თანამშრომლობის ორიენტაცია ჰქონდა აღებული. როგორც ჟურნალი „სიმართლის ხმა" [3] აღნიშნავს, „მებრძოლთა ხმა" არა მარტო ახალგაზრდობაში ეწეოდა ანტისაბჭოთა პროპაგანდას, არამედ იგი ქართველ დედებსაც კი გადაწვდა. საქმე ისაა, რომ აღნიშნული ჟურნალის საშუალებით, ახალგაზრდა მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტები უარყოფითად უყურებდნენ აღზრდის საბჭოთა სისტემას, მას მიიჩნევდნენ ახალგაზრდობის გახრწნის საშუალებად და აქედან გა-

---

[1] გაზ. „ტრიბუნა", 1922 წ. 28 დეკემბერი, № 381.

[2] იქვე.

[3] საბჭოთა პლატფორმაზე გადმოსული ყოფილი მენშევიკების ორგანო გამოდიოდა 1923—1924 წლებში.

შომდინარე. ქართველ დედებს ისინი მოუწოდებდნენ, რომ ხდობა არ გამოეცხადებინათ საბჭოთა სკოლისადმი და არ შეეყვანათ მასში თავიანთი შვილები [1]. როგორც ვხედავთ, ახალგაზრდა მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტები ძირითადად მიჰყვებოდნენ მენშევიკურ გზას და ცდილობდნენ არ ეღალატათ მისთვის.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლის წლებში, რესპუბლიკის ცხოვრებისეულმა სინამდვილემ კომკავშირის წინაშე აუცილებლობად დააყენა საკითხი მეტი ენერგიითა და შემართებით წარემართა ბრძოლა ახალგაზრდა მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტთა წინააღმდეგ. ამ საკითხის დროული გადაწყვეტა იმდენად აუცილებელი იყო, რომ მის შესახებ სპეციალურად იმსჯელა საქართველოს კომკავშირის ცეკას 1923 წლის 16 ნოემბრის პლენუმმა. ფრიად საყურადღებო მოვლენაა ის ფაქტი, რომ აღნიშნულმა პლენუმმა საქართველოს კომკავშირის ცეკასთან არსებული ანტიკომუნისტური ორგანიზაციების საკითხების გამრჩევი კომისიის თავმჯდომარის — ვ. დარახველიძის მოხსენების — ანტიკომუნისტური ორგანიზაციების შესახებ მიღებულ თეზისებში დაახასიათა რა ახალგაზრდა მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტთა მთელი ფიზიონომია, კონკრეტულად და ხაზგასმით მიუთითა, რომ „ახალგაზრდა მემარჯვენე ფედერალისტებს, რომელნიც დღეს არაფრით არ განსხვავდებიან ნაციონალ-დემოკრატებისაგან, აქვთ დღემდე არალეგალური ჯგუფები, მათ წინააღმდეგ უნდა ვაწარმოოთ ბრძოლა ისევე, როგორც „ახალგაზრდა მარქსისტთა“ არალეგალური ჯგუფებისადმი“ [2]. როგორც ვხედავთ, აქ ახალგაზრდა მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტების წინააღმდეგ ბრძოლა გატოლებულია „ახალგაზრდა მარქსისტთა“ მენშევიკური ორგანიზაციების წინააღმდეგ ბრძოლასთან, რაც გარკვეულად ართულებდა საქართველოს კომკავშირის წინაშე დასმულ ამოცანებს ახალგაზრდობის ანტიკომუნისტური დაჯგუფებების წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით.

იმავე თეზისებში ფართოდ ჰქონდა ადგილი დათმობილი ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტებთან საქართველოს კომკავშირის დამოკიდებულების საკითხს. მასში, ერთის მხრივ, მითითებული იყო ამ ორგანიზაციის წვრილბურჟუაზიულ ხასიათზე,

---

[1] ჟურნალი „სიმართლის ხმა“, 1923, № 6, გვ. 11.

[2] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 96, აღწ. 1, საქ. 2, ფურც. 34.

მეორეს მხრივ, საზგასმით იყო მინიშნებული იმ პოზიციაზე, რომელსაც ისინი იჩენდნენ საბჭოთა ხელისუფლების აღიარებისა და საქართველოს კომკავშირთან შეერთების თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, პლეხანოვი საქართველოს კომკავშირის ცეკას ავალებდა, რომ უფრო მეტი ლმობიერება გამოეჩინა ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტების მიმართ, შეექმნა მათთვის სათანადო პირობები, რათა მონაწილეობა მიეღოთ საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის კულტურულ და პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობაში, და რაც მთავარია, პლეხანოვი მიზანშეწონილად სცნობდა მათ მიღებას კომკავშირის რიგებში ხანგრძლივი საკანდიდატო სტაჟის გავლის შემდეგ[1].

უნდა შევნიშნოთ, რომ საქართველოს კომკავშირის მიერ გატარებულმა ქმედითმა ღონისძიებებმა ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანიზაციის წინაშე კონკრეტულად დააყენა ამოცანა იმის შესახებ, თუ როგორი უნდა ყოფილიყო არსებულ მომენტთან შესაბამისობაში მათი ლოზუნგი, როგორი ფორმირებით უნდა განმტკიცებულიყო ურთიერთობა ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტებსა და კომკავშირულ ორგანიზაციებს ზაფხულს. როგორც გაზეთი „ტრიბუნა" აღნიშნავდა, ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტებმა ორგანიზაციის წინაშე მთელი პრინციპულობით დასვეს საკითხი: „შეგვიძლია თუ არა ცალკე, დამოუკიდებლად არსებობის დროს მეტი ღირებულების შექმნა საბჭოთა სისტემის განმტკიცების და, მაშასადამე, ჩვენი ხალხის კეთილდღეობის საქმეში?"[2] იგივე გაზეთი ორგანიზაციის წევრებს აფრთხილებდა, რომ დასმული კითხვებისადმი გამოეჩინათ სერიოზული და ფრთხილი მიდგომა. ამავე დროს გაეთვალისწინებინათ და სწორად შეეფასებინათ საერთაშორისო ძალთა განწყობილება და რაც მთავარია, ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინების საფუძველზე ორგანიზაციას შეემუშავებინა სწორი გარკვეული კურსი.

ნიშანდობლივია თუნდაც ის ფაქტი, რომ ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანიზაციის წინაშე გადასაწყვეტად დასმულ ამ რთულ ამოცანებს ერთგვარი პასუხი გასცა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა თ. ღლონ-

---

[1] პარტიული [illegible]ბერი (თბილისი), ფ. 96, აღწ. 1, საქ. 2, ფურც. 34.

[2] გაზ. „ტრიბუნა", 1923 წ. 1 ნოემბერი, № 610.

ტმა საქართველოს კომპარტიის მესამე ყრილობისადმი (1924 წლის 6—11 მაისი) მიძღვნილ მოწინავე სტატიაში, სადაც იგი აღნიშნავდა, რომ „კომუნისტებს გარდა ჩვენ ვერ ვხედავთ ისეთ სერიოზულ ძალას, რომელსაც შეეძლოს საერთაშორისო რევოლუციის სამსახური და ამავე დროს ქვეყნის აღმშენებლობით საქმეში ჩარევა“[1].

მოტანილი ციტატა იმის ნათელი დადასტურებაა, რომ საქართველოს ბოლშევიკური პარტიისა და კომკავშირის მიერ ერთიანი პოლიტიკური კურსის გატარების შედეგად მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ კომუნისტური პარტია, როგორც სახელმწიფოს მმართველი პარტია ერთადერთ ნამდვილ ძალას წარმოადგენდა, რის შედეგადაც მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტებმა, როგორც ამას აღნიშნავდა ს. ხუნდაძე, — აღიარეს, რომ „ჩვენ შეგვიძლია კომუნისტური მშენებლობისა და კომინტერნის პლატფორმის ცხოვრებაში გატარება არა დამოუკიდებელი პარტიის გზით, არამედ მისი გაერთიანებით, შედუღებით კომპარტიის რიგებთან“[2].

ამრიგად, მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტები დარწმუნდნენ, რომ კომუნისტური პარტია მტკიცედ იცავდა ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ და ეროვნულ ინტერესებს, რამაც. ბუნებრივია, დააყენა საკითხი მათი პარტიის შეერთების შესახებ კომუნისტურ პარტიასთან. ასეთივე მდგომარეობა იყო ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა რიგებშიაც, რომლის წევრები მიისწრაფვოდნენ შეერთებოდნენ ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის რიგებს. ამის ნათელი ილუსტრაციაა გაზეთ „კომუნისტისა“ და „სპარტაკის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული ა. ფანცხავას, კ. ყიფიანის, ს. რეხვიაშვილისა და სხვათა განცხადებები, რომლებშიც ისინი გამოთქვამდნენ კომკავშირის რიგებში მიღების სურვილს[3]. ყოველივე ამან ერთდაგვარი ნიადაგი მოამზადა „ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა“ ორგანიზაციის სალიკვიდაციოდ.

როგორც ირკვევა, მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მიერ აღიარებულმა კომუნისტურმა ხაზმა, აღნიშნული პარტიის

---

[1] გაზ. „ტრიბუნა“, 1923 წ. 23 მარტი.

[2] გაზ. „ტრიბუნა“, 1923 წ. 27 ოქტომბერი.

[3] გაზ. „კომუნისტი“, 1923 წ. 24 აგვისტო, № 193; გაზ. „სპარტაკი“, 1923 წ. 1 აპრილი, № 29.

დამოუკიდებლად არსებობის საკითხი ცხოვრებისეულ დანამატად აქცია და დღის წესრიგში დააყენა მისი თვითლიკვიდაციის აუცილებლობა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მეექვსე წლისთავთან დაკავშირებით მოწვეულ იქნა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მეორე ყრილობა (1923 წლის ნოემბერი), რომელიც ცნობილია სალიკვიდაციო ყრილობის სახელწოდებით. ჩვენს ხელთ არსებული მასალების შესწავლის საფუძველზე ირკვევა, რომ აღნიშნული ყრილობის მუშაობაში ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტებიც აქტიურად მონაწილეობდნენ. ამიტომ, ჩვენი შეხედულებით, ეს ყრილობა იყო არა მარტო მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის, არამედ ამავე დროს, „ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა" ორგანიზაციის სალიკვიდაციო ყრილობაც.

მან შეაჯამა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა სამი წლის მუშაობის შედეგები და აუცილებლობად მიიჩნია კომპარტიასთან მისი შეერთების გარდაუვალობა. ამ საკითხთან დაკავშირებით თ. ღლონტი თავის მოხსენებაში ხაზგასმით აღნიშნავდა: „ჩვენი და კომუნისტების გაერთიანება არამცთუ შესაძლებელია, არამედ უკვე მომწიფებულია... რომ გაერთიანება ჩვენი კომუნისტებთან ხდება არა ზევიდან, როგორც ეს ზოგიერთებს ჰგონიათ, არამედ ქვეკიდან, ხალხის, ჩვენი პარტიის წევრების სურვილის თანახმად"[1].

ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციაში კომპარტიასთან დამოკიდებულების შესახებ, მითითებული იყო, რომ „ყრილობა წინადადებას აძლევს თავის ორგანოებს მთელი თავისი ქონებით, შემადგენლობით გადავიდეს კომუნისტურ პარტიაში"[2]. ყრილობამ გაუქმებულად გამოაცხადა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია. როგორც ზევით აღვნიშნეთ, რამდენადაც ამ ყრილობის მუშაობაში ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანიზაციის წევრებიც ღებულობდნენ მონაწილეობას, ეს გვაფიქრებინებს, რომ ლიკვიდაციის პროცესი ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტებსაც შეეხო.

---

[1] გაზ. „ტრიბუნა", 1923 წ. 10 ნოემბერი, № 517.

[2] იქვე.

ამრიგად, მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მეორე ყრილობის გადაწყვეტილება აღნიშნული პარტიის ლიკვიდაციის შესახებ. ფაქტობრივად ნიშნავდა „ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა“ ორგანიზაციის ლიკვიდაციასაც.

მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მეორე ყრილობის გადაწყვეტილების შეფასებასთან დაკავშირებით გაზეთი „კომუნისტი“ ეხებოდა რა აღნიშნული პარტიის თვითლიკვიდაციის საკითხს, მიუთითებდა, რომ ეს პროცესი „მაჩვენებელია ერთის მხრივ მემარცხენე ფედერალისტების რევოლუციური შეგნების, მეორეს მხრივ, ჩვენი პარტიის ავტორიტეტის ზრდის. ეს ჩვენი პარტიის ერთ-ერთი დიდი გამარჯვებათაგანია, გამარჯვება მიღწეულია არა ბრძოლის ველზე, არამედ იდეურ და მორალურ სფეროში. ვერავინ იტყვის, რომ ჩვენს პარტიას რაიმე ძალდატანებითი ზომები მიეღოს მემარცხენე ფედერალისტების წინააღმდეგ. თვითონ ისინი სრული ნებაყოფლობით და შეგნებით მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მხოლოდ კომუნისტური პარტიაა ის ერთადერთი ძალა, რომელსაც შესწევს უნარი უდიდესი აღმშენებლობითი მუშაობის, ქვეყნის აღორძინებისა. მემარცხენე ფედერალისტების ყრილობამ ეს აღიარა და ის დადგა კომუნისტური პარტიის დროშის ქვეშ. ჩვენ ვესალმებით ამ ნაბიჯს“[1].

ჩვენი აზრით, სწორია მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ლიკვიდაციის შეფასების საკითხში მკვლევარ გ. ჯანგველაძის დასკვნა იმის შესახებ, რომ „მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტები არ გადასულან კონტრრევოლუციის ბანაკში, როგორც ეს რუსეთში მემარცხენე ესერებმა გააკეთეს. მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის მიმართ კომუნისტურ პარტიას არ გაუტარებია არავითარი იძულებითი ზომები. მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის თვითლიკვიდაცია ლოგიკური შედეგი იყო მის რიგებში დაწყებული რღვევისა, სანამდეც ისინი საკუთარი ფეხით მოვიდნენ. პარტიის უტოპიურმა ანტიპროლეტარულმა, ეკლექტიკურმა იდეოლოგიამ, მუდმივმა რყევამ მისი წევრები დაარწმუნა ამ პარტიის ზედმეტობაში და ზურგი აქცია მას“[2].

---

[1] გაზ. „კომუნისტი“, 1923 წ. 19 ნოემბერი.

[2] გ. ჯ ა ნ გ ვ ე ლ ა ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 444.

ასევე შეიძლება შეფასდეს „ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა“ ორგანიზაციაც, რადგან დასტურდება, რომ „ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა“ ორგანიზაციის მიმართ საქართველოს კომკავშირს თითქმის ისეთივე დამოკიდებულება ჰქონდა, როგორც საქართველოს კომპარტიას მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მიმართ, რომ ეს მართლაც ასე იყო, ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც ის ფაქტი, რომ სალიკვიდაციო ყრილობის შემდეგ, როგორც საქართველოს კომპარტიამ დააყენა საკითხი ყოფილი მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტების კომუნისტურ პარტიაში მიღების შესახებ, ასეთივე ანალოგიური ღონისძიება გაატარა საქართველოს კომკავშირმაც „ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა“ ორგანიზაციის ყოფილი წევრების მიმართ.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის 1924 წლის 4 იანვრის სხდომის მასალებიდან ირკვევა, რომ ამ სხდომაზე პრეზიდიუმის მიერ სპეციალურად იქნა განხილული ყოფილი ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტების კომკავშირში მიღების საკითხი. აღნიშნული საკითხის გარშემო მიღებულ დადგენილებაში ხაზგასმითაა მითითებული, რომ „მიენდოს ცეკასთან არსებულ ანტიკომუნისტური ორგანიზაციების საკითხების გამრჩევ კომისიას, გამოარჩიოს ოთხი ღირსეული ამხანაგი კომკავშირში მისაღებად“[1].

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, „ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა“ ორგანიზაციის ლიკვიდაცია მოხდა 1923 წლის დასასრულს. ბუნებრივია, ანალოგიური პროცესი არ განხორციელებულა „ახალგაზრდა მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტთა“ ორგანიზაციის მიმართ. საქმე ის არის, რომ ახალგაზრდა მემარჯვენეები არალეგალურად განაგრძობდნენ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ამის დამადასტურებელია თუნდაც ის ფაქტიც, რომ 1924 წლის 15 აგვისტოს აღმოაჩინეს ახალგაზრდა მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტთა არალეგალური სტამბა[2].

საქართველოს კომპარტიის მთელმა რიგმა წარმატებებმა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში და საქართველოს კომკავ-

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 96, აღწ. 1, საქ. 20, ფურც. 4.

[2] გაზ. „კომუნისტი“, 1924 წ. 17 აგვისტო, № 186.

შირის შეუპოვარმა ბრძოლამ იდეოლოგიურ ფრონტზე დააჩქარა „ახალგაზრდა მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტთა“ ორგანიზაციის ლიკვიდაციის საკითხი. ამ მხრივ საინტერესოა საქართველოს კომკავშირის ცეკას პრეზიდიუმის 1924 წლის 28 მარტის სხდომა, რომელმაც მოისმინა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივნის გ. დევდარიანის მოხსენება ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის ახალგაზრდა მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტების ლიკვიდაციის შესახებ.

მოხსენების გარშემო პრეზიდიუმის მიერ მიღებულ დადგენილებაში მითითებული იყო: „1. მიენდოს ანტიკომუნისტური ორგანიზაციების საკითხების გამრჩევი კომისიის თავმჯდომარეს ამხ. ვ. დარახველიძეს დასწეროს დირექტიული წერილი ზუგდიდის მაზრისადმი. 2. მიეცეს ნება ზუგდიდის სამაზრო კომიტეტს მოიწვიოს ახალგაზრდა მემარჯვენე ფედერალისტების სალიკვიდაციო კონფერენცია. 3. წინადადება ეძლევა ზუგდიდის სამაზროკომს რეგულარულად გზავნოს მასალები (სალიკვიდაციო კონფერენციის — შ. ვ.) მუშაობის მსვლელობის შესახებ“[1].

ანალოგიური ხასიათის დადგენილებები საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო სხვა მაზრების მიმართაც, რასაც მასობრივად მოჰყვა მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტთა სალიკვიდაციო კონფერენციების ჩატარება. მიუხედავად ამისა, „ახალგაზრდა მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტთა“ ორგანიზაციის ლიკვიდაცია ერთი ხელის დაკვრით არ მომხდარა. აღნიშნულ პროცესს ხანგრძლივი პერიოდი დასჭირდა, რაც ძირითადად განპირობებული იყო მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის არალეგალური არსებობით, რომელიც ყოველმხრივ ცდილობდა შეენარჩუნებინა ძველი პოზიციები. ამიტომ, როგორც მასალები ადასტურებს, ახალგაზრდა მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტთა არსებობის საკითხი მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის არსებობაზე იყო დამოკიდებული. ამასთან დაკავშირებით ჩვენ საგანგებოდ სწორად მიგვაჩნია პროფ. გ. ჭვანიას თვალსაზრისი. ახალგაზრდა მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანიზაციის ლიკვიდაციის საკითხს იგი საგანგებოდ სამართლიანად უკავშირებს მე-

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 96, აღწ. 1, საქ. 20, ფურც. 63.

მარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ლიკვიდაციას[1], რომელიც 1924 წელს განხორციელდა.

ამრიგად, მასალების საფუძვლიანმა ანალიზმა ნათლად გვიჩვენა ახალგაზრდა მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანიზაციის წვრილბურჟუაზიული, ანტისაბჭოური ხასიათი, რომლის წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოს კომკავშირული ორგანიზაცია კომპრომისებისა და შეთანხმების ტაქტიკის საფუძველზე მოქნილად იყენებდა ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანიზაციის ძალებს. ამავე დროს, საქართველოს კომკავშირი არ გაურბოდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანიზაციის მიერ დაშვებული შეცდომების კრიტიკასაც. საქართველოს კომკავშირის იდეურმა, დასაბუთებულმა ბრძოლამ ახალგაზრდა „მემარჯვენე" და „მემარცხენე" სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანიზაციების წინააღმდეგ, ხელი შეუწყო აღნიშნულ ორგანიზაციათა ლიკვიდაციას, რამაც საბჭოთა ხელისუფლებისადმი ნიჰილისტურად განწყობილი მერყევი ახალგაზრდობა შემოაბრუნა მარქსისტულ-ლენინური პოზიციებისაკენ და აქტიურად ჩააბა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში.

---

[1] გ. ჟ ვ ა ნ ი ა, საქართველოს კომკავშირის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1964, გვ. 123.

დასკვნა

1. ახალგაზდრობის ანტიპროლეტარულ ორგანიზაციებს, რომლებიც საქართველოში ძირითადად 1917 წლიდან წარმოიშვნენ, იდეურად გაკოტრების საკითხი უშუალოდ უკავშირდება ბოლშევიკური პარტიის მხარდამხარ მებრძოლ საქართველოს კომკავშირს, რომლის პირველი ჩანასახი „სპარტაკის" სახით 1917 წლის 3 სექტემბერს შეიქმნა. „სპარტაკის" ორგანიზაციის მიერ აღებულმა ბოლშევიკურმა კურსმა მენშევიკურ მთავრობას დაანახა, რომ მისი სახით საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებს გაუჩნდა საიმედო რეზერვი მარქსისტულ-ლენინური სიწმინდის დაცვისა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

2. მენშევიკური მმართველობის პერიოდში, ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაცია „სპარტაკი", წარმართავდა რა მთელ თავის მუშაობას ოქტომბრის რევოლუციის ინტერესებიდან გამომდინარე, მკვეთრად დაუპირისპირდა „ახალგაზრდა მარქსისტთა" მენშევიკურ ორგანიზაციას, რომელიც მთელ თავის საქმიანობაში მშრომელთა მოტყუების მიზნით, ყოველმხრივ ცდილობდა შეენიღბა თავისი ანტიმარქსისტული, ანტირევოლუციური იდეები. „სპარტაკისა" და „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციების წესდებისა და პროგრამის ერთმანეთთან შეპირისპირებამ ცხადყო, რომ „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაცია კვალდაკვალ მიჰყვებოდა მენშევიკური პარტიის მცდარ გზას „დემოკრატიზმიდან — სოციალიზმისაკენ".

3. რუსეთში ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებასთან დაკავშირებით, მენშევიკური პარტიის მსგავსად, „ახალგაზრდა მარქსისტთა" ცდა — ხალხის მასებში თავიდანვე მოეხდინათ ამ რევოლუციის დისკრედიტაცია—მარცხით დამთავრდა. ამ მხრივ ერთ-ერთი გადამწყვეტი და მნიშვნელოვანი როლი ფართო საagიტაციო მუშაობასთან ერთად შეასრულა იმ პერიოდის კომკავშირულმა პრესამ, რომელიც მოქნილად იყენებდა „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციის პრესის

ფურცლებზე თვით ამ ორგანიზაციის წევრთა მიერ გამოქვეყნებულ მენშევიკური შეხედულებების საწინააღმდეგო დებულებებს. მარქსისტულ-ლენინურ შეხედულებებზე დაყრდნობითა და „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ურთიერთსაწინააღმდეგო დებულებების მომარჯვების საფუძველზე საქართველოს კომკავშირმა შეძლო ახალგაზრდობის თვალში ემხილებინა „ახალგაზრდა მარქსისტთა“ მცდარი ნიჰილისტური „თეორიები“ პროლეტარიატის დიქტატურის, საბჭოებისა და ლენინური დეკრეტების მიმართ. აღნიშნულმა ფაქტმა აშკარად დაადასტურა, რომ „ახალგაზრდა მარქსისტთა“ შეხედულებები ძირითადად აგებული იყო არა მშრომელთა, არამედ წვრილი ბურჟუაზიის ინტერესების დაცვის საწყისებზე. ეს პრაქტიკულად ერთხელ კიდევ დადასტურდა მენშევიკური პარტიისა და „ახალგაზრდა მარქსისტთა“ აგრარული საქმიანობით.

4. ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, საქართველოს კომკავშირის შეუპოვარმა იდეურმა ბრძოლამ ხელი შეუწყო „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ანტიპროლეტარული პრაქტიკული საქმიანობის გამოაშკარავებას, რამაც მშრომელი ახალგაზრდობის უმეტესობის თვალში თანდათანობით გააცამტვერა ამ ორგანიზაციის „თეორიები“ ოქტომბრის რევოლუციის, პროლეტარიატის დიქტატურის, აგრარული საკითხისა და სოციალიზმის მშენებლობის შეუძლებლობის შესახებ. აღნიშნული ფაქტი საფუძვლად დაედო „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის იდეურად გაკოტრების გარდაუვალობას. ყოველივე ამან უდიდესი ზემოქმედება მოახდინა მშრომელ ახალგაზრდობაზე და იგი ორგანიზებულად დარაზმა საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის საბრძოლველად.

5. ახალგაზრდობის ანტიპროლეტარული ორგანიზაციებიდან „ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანიზაცია“, მართალია, მთელი თავისი საქმიანობით უპირისპირდებოდა „ახალგაზრდა მარქსისტებს“ და მათგან განსხვავებით მშრომელთათვის გამოკვეთილად აყენებდა პოლიტიკური და ეკონომიკური ხასიათის მოთხოვნებს, რომლებშიც შეინიშნებოდა სოციალიზმისაკენ ერთგვარი მისწრაფება, მაგრამ იგი თავისი იდეური მიმართულებით წვრილბურჟუაზიული იყო. ხოლო მისი სოციალიზმი უტოპიური, რაც ძირშივე ეწინააღმდეგებოდა სოციალიზმის მშენებლობის მარქსისტულ-ლენინურ შეხედულებებს.

6. „ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატთა“ ორგანიზაცია თავისი მსოფლმხედველობით წმინდა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ ხასიათს ატარებდა. მისი სოციალ-ეკონომიკური შეხედულებები სოფლისა და ქალაქის მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესებს გამოხატავდა. რამდენადაც აღნიშნული ორგანიზაცია თავისი ბუნებით კონტრრევოლუციური იყო, ამიტომ იგი მთელი მისი „მოღვაწეობის“ მანძილზე მშრომელთა იგნორირების პოზიციებიდან მოქმედებდა, რის გამოც მან დასაყრდენი ვერ პოვა მშრომელი ახალგაზრდობის უმრავლესობაში.

7. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამ და ქართველი კომუნისტების ბრძოლამ მისი დაცვა-განმტკიცებისათვის, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მებრძოლი საქართველოს კომკავშირის წინაშე აუცილებელ პირობად დააყენა საკითხი „ახალგაზრდა მარქსისტთა“ მენშევიკური ორგანიზაციის იდეურად განადგურების აუცილებლობის შესახებ.

საქართველოს კომკავშირის მიერ ამ მიმართულებით აღებული საბრძოლო კურსი იმით იყო გამოწვეული, რომ საქართველოდან საზღვარგარეთ გახიზნული ყოფილი მენშევიკური მთავრობის მესვეურები, საბჭოთა ცხოვრებისეული სინამდვილის დამახინჯებისა და საქართველოს „განთავისუფლების“ შესახებ საიდუმლოდ შემოგზავნილი მოწოდებებით ცდილობდნენ თავიანთი გავლენის სფეროში მოექციათ კომუნისტურ და მენშევიკურ იდეოლოგთა შორის მერყეევი ახალგაზრდობის ნაწილი. დასახული მიზნის მისაღწევად ისინი, საქართველოში არალეგალურად მოქმედ მენშევიკურ პარტიასთან ერთად, ეყრდნობოდნენ „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციას. ეს ორგანიზაცია ძირითადად ანტისაბჭოურ საქმიანობას ეწეოდა მოსწავლე და სტუდენტ ახალგაზრდობაში, რითაც ყოველმხრივ უშლიდა ხელს კომკავშირის ნორმალურ მუშაობას და საფრთხეს უქმნიდა ახალგაზრდობის მარქსისტულ-ლენინური სულისკვეთებით აღზრდას.

8. გაითვალისწინა რა მოსალოდნელი საფრთხე, საქართველოს კომკავშირმა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლის წლებში, შეუპოვარი ბრძოლა გააჩაღა „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის წინააღმდეგ. რომელიც ყოველმხრივ ცდილობდა ქართველი ახალგაზრდობა ჩამოეცილებინა სოციალიზმის მშენებლობის გზიდან. „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის წინააღმდეგ იდეურ ბრძოლაში ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი შეასრულა საქართვე-

ლოს კომკავშირის მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა, რაც ძირითადად ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაციის რიგების წმენდასა და ამავე ორგანიზაციის მუშაობაში დემოკრატიული ფორმების დამკვიდრებაში გამოიხატა. აღნიშნული ღონისძიებების გატარებამ ხელი შეუწყო კომკავშირული ორგანიზაციის გაძლიერებას, მისი ავტორიტეტის ზრდას და, რაც მთავარია, ანტისაბჭოთა ელემენტების გარიყვას კომკავშირის რიგებიდან. ჩატარებულმა აქციებმა საყოველთაოდ გახადა ცნობილი, თუ ვინ იყო საბჭოთა ხელისუფლების მტერი და მეგობარი. აგრეთვე მან ხელი შეუწყო იდეოლოგიურ ფრონტზე კომკავშირის სასარგებლოდ ძალთა უპირატესობის შექმნას.

9. იდეოლოგიურ ფრონტზე კომკავშირის გაბედულმა მოქმედებამ და პარტიული ორგანიზაციების დახმარებამ, სათანადო ნიადაგი შეამზადა საბჭოთა ხელისუფლების მიმართ „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის მიერ წამოყენებული ბრალდებების გასაბათილებლად. ამას უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ „ახალგაზრდა მარქსისტებმა“ ვერ შეძლეს იმ ფუნქციის შესრულება, რომელიც ძირითადად ითვალისწინებდა ქართველი ახალგაზრდობის სრულ დაპყრობასა და მის ამხედრებას საქართველოს ბოლშევიკური მთავრობის წინააღმდეგ.

10. საქართველოს კომუნისტური პარტიისა და კომკავშირის ხელმძღვანელ პირთა მიერ ადგილობრივი კონკრეტული მაგალითების მოშველიების საფუძველზე აგებულმა საჯარო გამოსვლებმა და მათ მიერ პოლიტიკური საკითხების გარშემო გამოქვეყნებულმა წერილებმა უდიდესი ზემოქმედება მოახდინა ბოლშევიკურ და მენშევიკურ იდეოლოგიათა შორის მერყეევი ახალგაზრდობის ნაწილზე. ამის ნაყოფი იყო ის, რომ იდეოლოგიური თვალსაზრისით არასტაბილურად მოაზროვნე ახალგაზრდობის უმეტესობამ სწორად გაიგო საბჭოთა სახელმწიფოს ეროვნული პოლიტიკა და ბრძოლა გააჩაღა ყოველგვარი კონსერვატიზმის წინააღმდეგ. პარტიის გამოჩენილ მოღვაწეთა მთელი პრაქტიკული საქმიანობა, საბჭოთა ხელისუფლებისადმი უდიდეს რწმენას უნერგავდა ჯერ კიდევ პოლიტიკურად და იდეოლოგიურად უმწიფარ ზოგიერთ ახალგაზრდას, რაც ხელს უწყობდა მათ შემობრუნებას საბჭოთა აღმშენებლობისაკენ.

11. იდეოლოგიურ ფრონტზე „ახალგაზრდა მარქსისტთა“ მენშევიკური ორგანიზაციის წინააღმდეგ საქართველოს კომკავშირის ბრძო-

ლის გააქტიურებას და ამ საქმეში ახალგაზრდობის ფართო ფენების მონაწილეობას, დიდად შეუწყო ხელი კომკავშირული პრესის ფურცლებზე იდეოლოგიური ბრძოლის საკითხებთან დაკავშირებით გამოქვეყნებულმა მასალებმა. მასში მოცემულმა მთელმა რიგმა საპროგრამო დებულებებმა დააჩქარა კომკავშირის რიგებში აგიტაცია-პროპაგანდის ხაზით ერთიანი თვალსაზრისის შემუშავება და მისი დროული დანერგვა თითოეულ კომკავშირულ ორგანიზაციაში. საქართველოს კომკავშირის მიერ ამ კუთხით გადადგმული ნაბიჯი, პირველ რიგში, ხელს უწყობდა აგიტაცია-პროპაგანდისტული მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებას არა მარტო კომკავშირში, არამედ მის რიგებს გარეთ მყოფ ახალგაზრდებშიც.

აღნიშნული პროცესი აჩქარებდა კომკავშირული ორგანიზაციის გარშემო ახალგაზრდობის ახალ-ახალი ძალების სწრაფ შეკავშირებას. სწორედ ეს გახდა მთელ აღდგენით პერიოდში „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის წინააღმდეგ საქართველოს კომკავშირის იდეოლოგიურ ფრონტზე წარმატებითი ბრძოლის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი.

12. „ახალგაზრდა მარქსისტები“, რომლებიც მთელი სერიოზულობით იყვნენ ჩაბმული ანტისაბჭოურ საქმიანობაში, ნ. ჟორდანიას ყოფილი მენშევიკური მთავრობის დახმარებითა და მხარდაჭერით, გენუის კონფერენციის მოწვევის პერიოდში, შეეცადნენ საქართველოს ახალგაზრდობაზე დაყრდნობით მოეხდინათ საბჭოთა ხელისუფლების დამხობა. მათ მიერ ჩაფიქრებული აღნიშნული გეგმა ძირითადად ემყარებოდა დასავლეთ ევროპის კონტრრევოლუციურ ძალებსა და ადგილობრივ მენშევიკურ პარტიებს. მიუხედავად ამისა, „ახალგაზრდა მარქსისტთა“ იმედები არ გამართლდა. საქართველოს მშრომელმა ახალგაზრდობამ პარტიისა და კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით დაგმო რა ახალგაზრდა მენშევიკების მიერ ჩატარებული ანტისაბჭოური საქმიანობა, ერთსულოვნად მოიწონა გენუის კონფერენციაზე საბჭოთა დელეგაციის პოზიცია, რაც „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის მტრული საქმიანობის კიდევ ერთი კრახის ნათელი ილუსტრაცია იყო. აღნიშნულმა მარცხმა საბოლოოდ შეარყია თვით „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის წევრთა უმრავლესობაში მენშევიკური პარტიის სიძლიერისა და მისი იდეოლოგიისადმი რწმენა, რაც შემდგომში ამ ორგანიზაციის რღვევის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი გახდა.

13. საქართველოს კომკავშირის იდეური ბრძოლა „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციის წინააღმდეგ იყო მისი საერთო სტრატეგიული ხაზის ერთ-ერთი აუცილებელი და მნიშვნელოვანი მიმართულება. ამ ბრძოლამ საერთოდ დაამტკიცა, რომ საქართველოს კომკავშირლები მთელი თავიანთი მოღვაწეობის პერიოდში ეყრდნობოდნენ მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას პროლეტარული რევოლუციის, პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებისა და სოციალიზმის მშენებლობის შესახებ.

14. „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციის მენშევიკურმა ლოზუნგმა „დემოკრატიზმის გზით სოციალიზმისაკენ" და მთელმა მისმა საქმიანობამ ნათლად დაანახა ქართველ ახალგაზრდობას, რომ მათ მიზანსწრაფვას არ წარმოადგენდა გამოეხატა ქართველი ხალხის სოციალური და ეროვნული მისწრაფებები. საქართველოს კომკავშირმა პარტიის ხელმძღვანელობით იდეურ ბრძოლაში „ახალგაზრდა მარქსისტების" მენშევიკური სახისა და მათი წვრილბურჟუაზიული ბუნების მხილების შედეგად, შეძლო მოეხდინა ახალგაზრდობის უმრავლესობის მიზიდვა და კომკავშირული ორგანიზაციების შემდგომი განმტკიცება. ამ პროცესმა მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციის თვითლიკვიდაციას, რამაც დიდი როლი ითამაშა ქართველი ახალგაზრდობის იდეურად აღზრდისა და სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში მათი აქტიურად ჩაბმის საქმეში.

15. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებასთან დაკავშირებით „ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა" ორგანიზაციის მემარჯვენე და მემარცხენე ორგანიზაციებად გათიშვის ფაქტმა დაადასტურა სოციალისტ-ფედერალისტთა მიმდინარეობაში სოციალიზმისადმი, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი შეხედულება. აღნიშნული მიმდინარეობებიდან, რომლებიც შემდეგში ორგანიზაციებად გაფორმდნენ, ანტისაბჭოური ხასიათით გამოირჩეოდა „ახალგაზრდა მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტთა" ორგანიზაცია. მის წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოს კომკავშირი კომპრომისების და შეთანხმების ტაქტიკის საფუძველზე მოქნილად იყენებდა „ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა" ორგანიზაციის ძალებს.

საქართველოს კომკავშირის იდეურმა, დასაბუთებულმა ბრძოლამ „ახალგაზრდა მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანიზაცი-

ის წინააღმდეგ და ამ საქმეში მემარცხენე ძალების დახმარებამ, ხელი შეუწყო მემარჯვენეთა ლიკვიდაციას. მიუხედავად ამისა, იგი არ გაურბოდა ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანიზაციის მიერ დაშვებული ზოგიერთი შეცდომების კრიტიკას, რამაც აღნიშნული ორგანიზაციის წევრები დაარწმუნა თავისი იდეური მსოფლმხედველობის მცდარობაში. ამის ნაყოფი იყო ამ ორგანიზაციის თვითლიკვიდაციის ფაქტი, რომლის წევრების მნიშვნელოვანი ნაწილი მიღებულ იქნა საქართველოს კომკავშირის რიგებში.

16. ახალგაზრდობის ანტიპროლეტარული ორგანიზაციების წინააღმდეგ საქართველოს კომკავშირის თანამიმდევრულმა იდეურმა ბრძოლამ „ახალგაზრდა მარქსისტთა“, „ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა“ და „ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატთა“ ორგანიზაციები სრულ იდეურ გაკოტრებამდე მიიყვანა. ამ პროცესის შესწავლას, მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს დღევანდელობისათვის, რადგან საქართველოს კომკავშირის წარსულის იდეური ბრძოლის მდიდარ გამოცდილებასთან ერთად, საბჭოთა სინამდვილის მომარჯვება ახალგაზრდობას ხელსაყრელ პირობებს უქმნის თანამედროვე ბურჟუაზიული რევიზიონისტული იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლაში წარმატების მისაღწევად.

КРАХ МОЛОДЕЖНЫХ АНТИПРОЛЕТАРСКИХ ОРГАНИЗАЦИЙ В ГРУЗИИ (1917—1925 гг.)

Резюме

Период 1917—1925 гг. в истории Грузии характеризуется усилением идеологической борьбы против буржуазных и мелкобуржуазных организаций молодежи. Анализ первоисточников и специальной литературы дает возможность проследить важную роль организаций молодых коммунистов Грузии в борьбе за чистоту марксистско-ленинской идеологии (первая такая организация «Спартак» была основана 3 сентября 1917 г.).

Организация «Спартак», идеологической основой которой был марксизм-ленинизм, сразу же противопоставила себя организации «Молодые марксисты» (окончательно оформилась в 1916 г., с 1917 г. принимает меньшевистский характер). Она всячески старалась замаскировать свои антиреволюционные, антимарксистские идеи, следуя по пути, указанному организацией меньшевиков.

Попытки «Молодых марксистов» поставить под сомнение историческое значение Великой Октябрьской социалистической революции, скрыть от народа объективные закономерности победы революции в России, потерпели полный провал. В этом немаловажную роль сыграли хорошо поставленная агитационно-пропагандистская работа, с одной стороны, и комсомольская пресса того периода, с другой.

Основываясь на идеях марксизма-ленинизма, комсомольцы Грузии вскрыли противоречивые положения программы «Молодых марксистов», сумели правильно разъяснить молодежи содержание и значение первых декретов Советского государства, внеся тем самым определенный вклад в дело разоблачения меньшевистских организаций молодежи в Грузии.

Другая антипролетарская организация — «Молодые социалист-федералисты», — основанная в 1917 г., несмотря на то, что более четко выражала экономические и политические тре-

бования трудящихся, по своему идеологическому направлению была мелкобуржуазной организацией. Идеи социализма, проповедуемые ею, были утопическими и противоречили марксистско-ленинской теории строительства социализма.

Особое внимание привлекает организация «Молодые национал-демократы» (создана в конце 1917 — начале 1918 гг., ликвидирована в 1925 г.), носившая чисто буржуазно-националистический характер и выражавшая интересы городской и сельской буржуазии. Поскольку она являлась контрреволюционной организацией, естественно, что не находила поддержку среди абсолютного большинства рабочей молодежи.

После победы Советской власти в Грузии, антипролетарские молодежные организации, подстрекаемые контрреволюционными силами, от идеологической борьбы перешли к открытой антисоветской деятельности. Особенно активизировались «Молодые марксисты», возлагавшие большие надежды на учащуюся и студенческую молодежь. Организация пыталась завоевать доверие грузинской молодежи и поднять ее на борьбу против большевистского правительства республики.

Комсомол Грузии дал достойный отпор планам «Молодых марксистов». Руководимый Коммунистической партией, он провел ряд практических мероприятий, направленных на организационное и политическое сплочение не только комсомольской, но и бессоюзной молодежи. Была выработана единая система массовой агитации и пропаганды.

«Молодые марксисты» попытались использовать Генуэзскую конференцию для развертывания крупномасштабной антисоветской агитации, надеясь на поддержку реакционных сил Западной Европы. Но их старания и на этот раз оказались тщетными. Трудящаяся молодежь Грузии единодушно поддержала деятельность советской делегации на Генуэзской конференции, решительно осудив антисоветские выступления представителей «Молодых марксистов». Это обстоятельство подорвало веру в идеологию меньшевизма и углубило разногласия внутри самой организации.

Идейная борьба против антипролетарских организаций является в указанный период одним из основных направлений общей стратегической линии идеологической борьбы комсомола Грузии. Сплотив молодежь вокруг Центрального Комитета комсомола, комсомол Грузии вскрыл несостоятельность лозунга «Молодых марксистов» «Путем демократизма — к социализму». Формирование у молодежи марксистско-ленинского ми-

ровоззрения, широкое вовлечение ее в строительство социалистического общества обеспечили окончательный идейный разгром организации «Молодых марксистов», что привело в конечном итоге к ее самоликвидации в октябре 1923 года.

В связи с победой Советской власти в Грузии организация «Молодые социалист — федералисты» фактически раскололась на две части. «Правая» часть этой организации носила четко выраженный антисоветский характер. Комсомол Грузии с помощью умелого применения тактики компромиссов и соглашений использовал в борьбе против «правых социалист-федералистов «левое» крыло этой организации (ликвидирована в 1923 г.). В результате этого в 1924 году произошла самоликвидация «правых» социалист-федералистов. Комсомол Грузии развернул широкую разъяснительную работу среди «левых» социалист-федералистов, сумев убедить их в неправильности избранного пути. В конечном итоге значительная часть бывших «левых социалист-федералистов» была принята в комсомол.

Таким образом, в результате целенаправленной идеологической борьбы комсомола Грузии молодежные антипролетарские организации «Молодые марксисты», «Молодые социалист-федералисты» и «Молодые национал-демократы» потерпели полный идейный крах.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა და კომუნისტური პარტიის მოღვაწეთა ნაშრომები

1. მ ა რ ქ ს ი კ., ე ნ გ ე ლ ს ი ფ., „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“, რჩეული ნაწერები სამ ტომად, ტ. 1, თბ., 1975 წ.
2. ლ ე ნ ი ნ ი ვ. ი., „რანი არიან „ხალხის მეგობრები“ და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?“ თხზ., ტ. 1, თბ., 1948 წ.
3. ლ ე ნ ი ნ ი ვ. ი., „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პროგრამის პროექტი“, თხზ., ტ. 6, თბ., 1949 წ.
4. ლ ე ნ ი ნ ი ვ. ი., „სოციალისტური პარტია და უპარტიო რევოლუციურობა“; „მუშათა პარტიის აგრარული პროგრამის გადასინჯვა“, თხზ., ტ. 10, თბ., 1950 წ.
5. ლ ე ნ ი ნ ი ვ. ი., „მსაჯულნი ვინღა არიან?“ თხზ., ტ. 13, თბ., 1950 წ.
6. ლ ე ნ ი ნ ი ვ. ი., „გულმინდობილობის ეპიდემია“; „სახელმწიფო და რევოლუცია“, თხზ., ტ. 25, თბ., 1952 წ.
7. ლ ე ნ ი ნ ი ვ. ი., „თეზისები დამფუძნებელი კრების შესახებ“; „სიტყვა ბანკების ნაციონალიზაციის შესახებ სრულიად რუსეთის ცაკ-ის სხდომაზე 1917 წ. 14(27) დეკემბერს“; „რსდმ პარტიის (ბოლშევიკების)“ ფრაქციის დეკლარაცია, გამოქვეყნებული დამფუძნებელი კრების სხდომაზე 1918 წ. 5 (18) იანვარს“; „პროექტი დეკრეტისა დამფუძნებელი კრების დათხოვნის შესახებ“, თხზ., ტ. 26, თბ., 1952 წ.
8. ლ ე ნ ი ნ ი ვ. ი., „მუშათა, გლეხთა, კაზაკთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის VI საგანგებო ყრილობა“; „მოსკოვის პარტიულ მუშაკთა კრება 1918 წ. 27 ნოემბერს“, თხზ., ტ. 28, თბ., 1952 წ.
9. ლ ე ნ ი ნ ი ვ. ი., „რკპ (ბ) VIII ყრილობა“, თხზ., ტ. 29, თბ., 1952 წ.
10. ლ ე ნ ი ნ ი ვ. ი., „წერილები გ. კ. ორჯონიკიძეს“, თხზ., ტ. 32, თბ., 1952 წ.
11. ს ტ ა ლ ი ნ ი ი. ბ., „ამიერკავკასიის კონტრრევოლუციონერები სოციალიზმის ნიღბით“, თხზ., ტ. 4, თბ., 1948 წ.
12. ს ტ ა ლ ი ნ ი ი. ბ., „კომუნიზმის მორიგ ამოცანებზე საქართველოსა და ამიერკავკასიაში“, თხზ., ტ. 5, თბ., 1949 წ.
13. მ. ს. გ ო რ ბ ა ჩ ო ვ ი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობას, თბ., 1986 წ.

14. ბახარაძე ფ., „საქართველოს ხალხის არამკითხე აპეკუნები“, თხზ., ტ. IV, თბ., 1924 წ.
15. ბახარაძე ფ., მენშევიკური პარტიის დიქტატურა საქართველოში, თბ., 1921 წ.
16. ბახარაძე ფ., საბჭოები და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში, თბ., 1927 წ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის დოკუმენტები და მასალები

17. ბორის ძნელაძე (კრებული შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. ფანქველაშვილმა), თბ., 1981 წ.
18. ბერძენელი ოკუპანტები საქართველოში, 1918 წ. დოკუმენტებისა და მასალების კრებული, თბ., 1942 წ.
19. იდეოლოგიური, პოლიტიკური-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის 26 აპრილის დადგენილება, თბ., 1979 წ.
20. მასალები საქართველოს კომპარტიის (ბ) IV ყრილობისათვის, თბ., 1925 წ.
21. მენშევიკების ბატონობის დღენი საქართველოში, მასალები და დოკუმენტები (კრებული შეადგინა გაიოზ დევდარიანმა).
22. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა (ახალი რედაქცია) თბ., 1986.
23. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და ვადაწყვეტილებებში, ნაწ. 1, თბ., 1954 წ.
24. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობის მასალები, თბ., 1981 წ.
25. საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) მესამე ყრილობის რეზოლუციები და დადგენილებები, თბ., 1924 წ.
26. საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) IV ყრილობა (სტენოგრაფიული ანგარიში), თბ., 1925 წ.
27. საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ყრილობები (1921—1937 წწ.), თბ., 1980 წ.
28. საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის პირველი ლეგალური ყრილობა, 20—27 აგვისტო, 1921 წ. (სტენოგრაფიული ანგარიში), თბ.; 1922 წ.
29. საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის მეექვსე ყრილობა, თბ., 1924 წ.
30. Борьба за победу Советской власти в Грузии (1917—1921 гг.) (документы и материалы), Тб., 1958 г.
31. Борьба за упрочение Советской власти в Грузии (1921—1925 гг.) (документы и материалы), Тб., 1959 г.

32. Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, Тиф., 1919 г.
33. За образование Союза Советских Социалистических Республик (документы и материалы), Тб., 1972 г.
34. Коммунистическая партия Грузии в резолюциях и решениях съездов, конференции и пленумов ЦК. Тб., 1976 г.
35. Материалы Генуэзской конференции, М., 1922 г.
36. Революционный комитет Грузии (документы и материалы), Сухуми, 1963 г.
37. Товарищ комсомол. Документы съездов, конференций и ЦК ВЛКСМ, т. I, М., 1969 г.

ᲐᲠᲥᲘᲕᲘ

38. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტიული არქივი.
1) საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, ფ. 14, აღწ. 1.
2) საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი, ფ. 96, აღწ. 1.
3) კომკავშირის კავკასიის ბიურო, ფ. 94, აღწ. 1.
4) ამიერკავკასიის კომკავშირული ორგანიზაციის სამხარეო კომიტეტი, ფ. 95, აღწ. 1.
39. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი.
1) საქართველოს დამფუძნებელი კრება, ფ. 1833. აღწ. 1.
2) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინ-სტრო, ფ. 1863, აღწ. 1.

ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲔᲑᲘ

ა) გაზეთები

40. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1918 წ., ქუთაისის ახალგაზრდა კომუნისტთა ორგანიზაციის „სპარტაკის“ ორგანო.
41. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1921 წ., საქართველოს ახალგაზრდობის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ორგანო.
42. „ახალი ნაკადი“, 1919—1920 წ., საქართველოს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა მაშვრალთა პარტიის ორგანო, 1919 წლის 13 აპრილიდან საქართველოს სარეოლუციო სოციალ-სტ მაშვრალთა კავშირის ყოველკვირეული ორგანო.
43. „ახალი სხივი“, 1920—1921 წ., ყოველკვირეული სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ორგანო.

44. „ბრძოლა“, 1917—1918 წწ., რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (შეუმრავლესეთა) თბილისის კომიტეტის ორგანო.

45. „ერთობა“, 1917—1921 წწ. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყოველდღიური ორგანო, 1918 წ. 26 დეკემბრიდან საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო.

46. „ალდი“, 1918—1920 წწ., დამოუკიდებელი ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის ორგანო.

47. „კომუნისტი“, „საქართველოს კომუნისტი“, „ახალი კომუნისტი“, 1920 წ., საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების ყოველდღიური ორგანო.

48. „კომუნისტი“, 1921 წ., საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური და თბილისის კომიტეტისა და საქართველოს რევოლუციური კომიტეტის ყოველდღიური ორგანო (1922 წ. № 54-დან, საქართველოს ცკ-ის ორგანო).

49. „მესამე ინტერნაციონალი“, 1917 წ., „სპარტაკის“ ქუთაისის კომიტეტის ყოველკვირეული ორგანო.

50. „საქართველო“, 1915—1921 წწ., საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ყოველდღიური ორგანო.

51. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918—1921 წწ., საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი.

52. „სახალხო საქმე“, 1917—1921 წ., საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო.

53. „სოციალ-დემოკრატი“, 1917—1919 წწ., რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ქუთაისის კომიტეტის ყოველდღიური ორგანო.

54. „სოციალისტ-ფედერალისტი“, 1918—1920 წწ., თბილისის სოციალისტ-ფედერალისტთა მუშათა კავშირის ორგანო.

55. „სოციალისტ-ფედერალისტი“, 1921 წწ., საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის დროებითი მთავარი კომიტეტის ორგანო.

56. „სპარტაკი“, 1922—1925 წწ., საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის ორგანო.

57. „ტრიბუნა“, 1921—1923 წწ. საქართველოს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა რევოლუციური პარტიის ყოველდღიური ორგანო.

58. „ჩვენი ბრძოლა“, 1918 წ., დასავლეთ ამიერკავკასიის ორგანიზაციების რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (ბოლშევიკების) ყოველდღიური გაზეთი.

59. „ჩვენი გზა“, 1920 წ., საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის ყოველკვირეული პოლიტიკური და სალიტერატურო ორგანო.

60. „Молодой пролетарий“, 1920 г., მუშა და გლეხი ახალგაზრდობის დროებითი ცენტრალური კომიტეტის კომუნისტური კავშირის ყოველკვირეული ორგანო.

ბ) ჟურნალები

61. „ახალი გზა“, 1924—1928 წწ., მუშათა კომისიის ყოველკვირეული ორგანო.
62. „ახალი კვალი“, 1918—1921 წწ., საქართველოს „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის სამეცნიერო და საპოლიტიკო ყოველკვირეული ორგანო.
63. „ახალი ნაკადი“, 1919 წ.. პერიოდული, საზოგადოებრივი, სამეცნიერო და სალიტერატურო ჟურნალი.
64. „ახალი ძალა“, 1918—1919 წწ., ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატთა მთავარი კომიტეტის ორგანო.
65. „ახალგაზრდა ლენინელი“, 1924 წ., ყოველთვიური საპოლიტიკო, სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი, საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის ორგანო.
66. „კომუნიზმის დროშა“, 1922—1923 წწ., სკკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საპოლიტიკო-სამეცნიერო ორგანო.
67. „მებრძოლთა ხმა“, 1917—1920 წწ., სრულიად საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის ახალგაზრდათა ცენტრალური კომიტეტის ყოველკვირეული ორგანო.
68. „მოამბე“, 1923 წ., სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის (მენშევიკების) სრულიად საკავშირო ყრილობის მომწვევი საინიციატივო ბიუროს ყოველკვირეული ორგანო.
69. „მომავალი“, 1921—1924 წწ., ყოველთვიური საპოლიტიკო, სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი, საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის ორგანო.
70. „სიმართლის ხმა“, 1923—1924 წწ., საბჭოთა პლატფორმაზე გადმოსული ყოფილი მენშევიკების ყოველკვირეული ორგანო.
71. „შევარდენი“, 1920 წ., ქუთაისის ტანმოვარჯიშეთა საზოგადოება „შევარდენის“ დროგამოშვებითი ორგანო.
72. „შევარდენი“, 1922 წ., საქართველოს შევარდენთა კავშირის დროგამოშვებითი ორგანო.

მოგონებები

73. გოგუაძე კ., ახალგაზრდათა კომუნისტური ორგანიზაცია გურიაში, ჟურნ. „მომავალი“, 1922 წ., № 6.
74. დევდარიანი გ., ბრძოლისა და გამარჯვების ხუთი წელი, ჟურნ. „მომავალი“, 1922 წ., № 6.
75. კაკარაია დ., კომუნისტური კავშირის სამეგრელოს ორგანიზაცია ჭერ-ქვეშ, ჟურნ. „მომავალი“, 1923 წ., № 9.
76. საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის წარსული (მოგონებების კრებული), თბ., 1923.
77. ცინცაძე კ., წარსულიდან, ჟურნ. „მომავალი“, 1923 წ., № 8.

78. ცხაკაია მ., ჩემს ბორიას (ამხ. ბორის ძნელაძის ხსოვნას), გაზ. „კომუნისტი", 1923 წ. 17 ოქტომბერი.
79. ძნელაძე ბ., საქართველოს ახალგაზრდათა კავშირის ისტორიიდან, ჟურნ. „მომავალი", 1923 წ. № 1.
80. ძნელაძე ბ., საქართველოს კომკავშირის ისტორიიდან, თბ., 1933 წ.
81. Авалов З., Независимость Грузии в международной политике, 1918—1921 гг., Воспоминания, очерки, Париж, 1924 г.
82. Варданян Ст., Подполье, Тиф., 1926 г.

ლიტერატურა

83. ათანელიშვილი ა., საქართველოში სოციალიზმის მშენებლობის ბურჟუაზიული ფალსიფიკაციის კრიტიკა, თბ., 1976 წ.
84. ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1971 წ.; ტ. 2, თბ., 1972 წ.
85. ასტვაცატუროვი ერ., საქართველოს კომკავშირის გმირული წარსულიდან, წიგნი 1, თბ., 1933 წ.
86. ასტვაცატუროვი ერ., საქართველოს კომკავშირის პირველი ლეგალური ყრილობა, თბ., 1933 წ.
87. აფრიდონიძე გ., ოქტომბრის რევოლუცია და საქართველოს ბოლშევიკური პრესა (1917—1921 წწ.), თბ., 1974 წ.
88. ბენდიანიშვილი ა., ეროვნული საკითხი საქართველოში (1801—1921 წწ.), თბ., 1960 წ.
89. ბერიძე ს., 1917—1921 წლები საქართველოში (მნიშვნელოვან მოვლენათა ქრონიკა), თბ., 1941 წ.
90. ბოლშევიკური ორგანიზაციები და რევოლუციური მოძრაობა საქართველოში (მნიშვნელოვან მოვლენათა მატიანე), 1883—1921 წწ., თბ., 1974 წ.
91. გამსახურდია გ., მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირისათვის კომუნისტური პარტიის ბრძოლის ისტორიიდან (1917—1929 წწ.), თბ., 1962 წ.
92. გამსახურდია გ., საქართველოს კომუნისტური პარტიის ბრძოლა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირისათვის (1921—1937 წწ.), თბ., 1974 წ.
93. გეგეშიძე ზ., საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების არალეგალური სტამბები 1900—1920 წწ., თბ., 1965 წ.
94. გოგოხია ლ., ოქტომბრის შვილი, თბ., 1975 წ.
95. გორგილაძე ლ., იდეოლოგიური ბრძოლის ისტორიიდან საქართველოში, თბ., 1963 წ.
96. გუბელიძე ბ., ქართული მენშევიზმის კრახი, თბ., 1978 წ.
97. დევდარიანი გ., ნარკვევები საქართველოს კომკავშირის ისტორიიდან, თბ., 1927 წ.
98. დევდარიანი გ., საქართველოს კომკავშირის სათაეებთან, თბ., 1927 წ.
99. ებრალიძე ა., საქართველოს ბოლშევიკების ბრძოლა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის წინააღმდეგ (1917—1821 წწ.), თბ., 1965 წ.

100. ესაიაშვილი ე., ვ. ი. ლენინი და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები, თბ., 1959 წ.

101. ვადაჭკორია შ., თბილისის უნივერსიტეტის კომკავშირული ორგანიზაციის ბრძოლა ტროცკიზმისა და სხვა ანტიკომუნისტური ორგანიზაციების წინააღმდეგ, „სკოლა და ცხოვრება“, № 10, 1978 წ.

102. ვადაჭკორია შ., ახალგაზრდობის ანტიპროლეტარული ორგანიზაციების წინააღმდეგ საქართველოს კომკავშირული პრესის ბრძოლის ზოგიერთი საკითხი (1917—1918 წწ.). ახალგაზრდა ისტორიკოსთა რესპუბლიკური კონფერენცია (მოხსენებათა თეზისები), თბ., 1979 წ.

103. ვადაჭკორია შ., გაგუა ჯ., თბილისის უნივერსიტეტის კომკავშირული ორგანიზაციის ისტორიის ნარკვევები (1918—1978 წწ.), თბ., 1980 წ.

104. ვადაჭკორია შ., ზოგიერთი საკითხი ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანიზაციების ისტორიიდან (1921—1924 წწ.), ახალგაზრდა მეცნიერთა II რესპუბლიკური კონფერენციის მასალები, თბ., 1980 წ.

105. ვადაჭკორია შ., „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის წევრთა რაოდენობის საკითხის გარკვევისათვის, ახალგაზრდა მეცნიერთა III რესპუბლიკური კონფერენციის მასალები, თბ., 1981 წ.

106. ვადაჭკორია შ., საქართველოს კომკავშირის ბრძოლის ისტორიიდან (1921—1923 წწ.), „ცისკარი“, № 5, 1981 წ.

107. ვადაჭკორია შ., ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტები ეროვნული საკითხის შესახებ, ხალხთა მეგობრობის მუზეუმის სამეცნიერო სესია IV (თეზისები), თბ., 1981 წ.

108. ვადაჭკორია შ., ახალგაზრდა მემარჯვენე და მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანიზაციების წინააღმდეგ ბოლშევიკების ბრძოლის ისტორიიდან, კრებული „მეგობრობა“ IV, თბ., 1983 წ.

109. ვადაჭკორია შ., საქართველოს კომკავშირის დამოკიდებულება „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციისადმი საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველ ეტაპზე, ახალგაზრდა მეცნიერთა IV რესპუბლიკური კონფერენციის მასალები, თბ., 1984 წ.

110. ვადაჭკორია შ., გენუის კონფერენცია და „ახალგაზრდა მარქსისტთა“ კონტრრევოლუციური საქმიანობა, „სკოლა და ცხოვრება“, ისტორია, გეოგრაფია, საზოგადოებათმცოდნეობა, № 3, 1984 წ.

111. ვადაჭკორია შ., საქართველოს კომკავშირის მიერ „ახალგაზრდა მარქსისტთა იმპერიალისტური ბუნების მხილება გენუის კონფერენციასთან დაკავშირებით, თბილისის ახალგაზრდა მეცნიერთა საიუბილეო კონფერენცია (თეზისები), თბ., 1981 წ.

112. ვადაჭკორია შ., ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატთა ორგანიზაციის ისტორიიდან, „ცისკარი“, № 4, 1986 წ.

113. ვადაჭკორია შ., საქართველოს კომკავშირის ბრძოლა „ახალგაზრდა მარქსისტთა“ წერილბურჟუაზიული ორგანიზაციის იდეური განადგურებისათვის (1921—1925 წწ.), თბ., 1985.

114. ვეშაპელი გ., ახალი საქართველო, წერილების კრებული, 1924—1926 წწ., თბ., 1928 წ.

115. ზ ა ქ ა რ ი ა ძ ე გ., ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის განვითარების ლენინური ეტაპი, თბ., 1974 წ.
116. თ ე თ ვ ა ძ ე შ., ტროცკისტული ოპოზიციის გამოსვლა პარტიის ლენინური ორგანიზაციული პრინციპების წინააღმდეგ საქართველოში (1923—1925 წწ.), საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის საკითხები, II, თბ., 1973 წ.
117. თ ე თ ვ ა ძ ე შ., შინაპარტიული დემოკრატია და დისციპლინა, თბ., 1975 წ.
118. თ ო ი ძ ე ლ., მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოები საქართველოში, ჟურნ. „მაცნე", № 1, 1961 წ.
119. თ ო ი ძ ე ლ., საქართველოს კომპარტია ლენინიზმისათვის ბრძოლაში, თბ., 1974 წ.
120. ი მ ე დ ა შ ვ ი ლ ი ა., საქართველოს კომკავშირის წარმოშობა და მისი ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის, თბ., 1967 წ.
121. ი მ ე დ ა შ ვ ი ლ ი ა., საქართველოს კომკავშირის ძველი გვარდია, თბ., 1969 წ.
122. კ ა ჭ ა რ ა ვ ა ი., საქართველოს კომუნისტების ბრძოლა ნაციონალ-უკლონიზმის წინააღმდეგ და ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 1, თბ., 1955 წ.
123. კ ა ჭ ა რ ა ვ ა ი., საბჭოთა საქართველო სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში (1921—1925 წწ.), თბ., 1958 წ.
124. კ ა ჭ ა რ ა ვ ა ი., ქართული ისტორიოგრაფიის საკითხები, თბ., 1962 წ.
125. კ ა ჭ ა რ ა ვ ა ი., საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნა და სახალხო მეურნეობის აღდგენა საქართველოში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VII, თავი I, თბ., 1976 წ.
126. მ ა ხ ა რ ა ძ ე ნ., დიდი ოქტომბრის გამარჯვება საქართველოში, თბ., 1967 წ.
127. მ ე რ კ ვ ი ლ ა ძ ე ვ., საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნა საქართველოში, თბ., 1961 წ.
128. მ ე ჩ ე ხ ი ა ბ., საქართველოს კომკავშირის პრესა სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში (1921—1925 წწ.), თბ., 1981 წ.
129. მ ე ჩ ე ხ ი ა ბ., საქართველოს კომკავშირული პრესის შექმნა და მისი ორგანიზაციული განმტკიცება (1917—1922 წწ.), თბ., 1981 წ.
130. მ ი რ ცხ უ ლ ა ვ ა ა., პარტიული მშენებლობა საქართველოში (1921—1929 წწ.), თბ., 1974 წ.
131. მ ი რ ცხ უ ლ ა ვ ა ი., ოქტომბრის რევოლუცია და აგრარულ-გლეხური საკითხი საქართველოში 1917—1921 წლებში, II, თბ., 1965 წ.
132. ნ ა დ ი ბ ა ი ძ ე ფ., ფილოსოფიური აზრის ძირითადი მიმდინარეობანი საქართველოში, 1900—1921 წწ., თბ., 1980 წ.
133. ო რ ა გ ვ ე ლ ი ძ ე კ., ქართველი მენშევიკების აგრარული რეფორმა, თბ., 1927 წ.
134. ე ვ ა ნ ი ა გ., საქართველოს კომკავშირის სახელოვანი წარსულიდან (1917—1921 წწ.), თბ., 1954 წ.

135. ქ ვ ა ნ ი ა გ., საქართველოს კომკავშირი სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის ბრძოლაში, თბ., 1956 წ.
136. ქ ვ ა ნ ი ა გ., საქართველოს ბოლშევიკების ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის, თბ., 1962 წ.
137. ქ ვ ა ნ ი ა გ., ბორის ძნელაძე, თბ., 1962 წ.
138. ქ ვ ა ნ ი ა გ., საქართველოს კომკავშირის ისტორიის ნარკვევები (1917—1941 წწ.), თბ,. 1964 წ.
139. ქ ვ ა ნ ი ა გ.. ქ ა რ უ მ ი ძ ე ვ., ჩ ა ხ ვ ა შ ვ ი ლ ი ნ., საქართველოს კომკავშირის ისტორია, თბ., 1968 წ.
140. ქ ვ ა ნ ი ა გ., საქართველოს პარტიული და საბჭოთა პრესა სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში, თბ., 1975 წ.
141. რ ა ტ ი ა ნ ი ვ., ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების პირველი ყრილობა, საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის საკითხები, II, თბ.. 1973 წ.
142. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია, თბ., 1973 წ.
143. საბჭოთა საქართველოს მნიშვნელოვან მოვლენათა მატიანე (1921—1966 წწ.), თბ., 1967 წ.
144. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VI, თბ., 1972 წ.
145. საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1971 წ.
146. საქართველოს კომკავშირი, ციფრები და ფაქტები, თბ., 1972 წ.
147. ს ი დ ა მ ო ნ ი ძ ე უ., ეროვნული საკითხის ისტორიოგრაფიიდან, 1917 წ., ქართული ისტორიოგრაფია, I, თბ., 1968 წ.
148. ს ი დ ა მ ო ნ ი ძ ე უ., საქართველოს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობისა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიოგრაფია, თბ., 1970 წ.
149. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე ა., ნარკვევები რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან საქართველოში (1917—1921 წწ.), თბ., 1954 წ.
150. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე ა., ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ამიერკავკასიაში (1917—1918 წწ.), თბ., 1957 წ.
151. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე ა., სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება ამიერკავკასიაში (1918—1921 წწ.), II, თბ., 1961 წ.
152. ფ უ ტ კ ა რ ა ძ ე ი., საქართველოს საბჭოთა სახელმწიფოებრიობის განვითარება, თბ., 1969 წ.
153. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 2, თბ., 1977 წ.
154. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 3, თბ., 1978 წ.
155. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 5. თბ., 1980 წ.
156. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 6, თბ., 1983 წ.
157. ღ ა მ ბ ა შ ი ძ ე გ., იმპერიალისტური სახელმწიფოების აგრესიული პოლიტიკა საქართველოსა და ამიერკავკასიის მიმართ 1920 წელს, თბ., 1970 წ.
158. შ ე ლ ი ა კ., საქართველოს კომუნისტური პარტია სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში, თბ., 1970 წ.

159. შ ე ლ ი ა კ., რევოლუციური კომიტეტები და ბრძოლა საბჭოების შექმნისათვის საქართველოში, კრებული, საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის საკითხები, I, თბ., 1971 წ.
160. შ ე ლ ი ა კ., ვ. ი. ლენინი და საბჭოთა ხელისუფლების პირველი ღონისძიებანი საქართველოში, თბ., 1980 წ..
161. შ ერ ა ზ ა დ ა შ ვ ი ლ ი ზ., ფიზიკური აღზრდა საქართველოს სკოლებში (1917—1921 წწ.), თბ., 1971 წ.
162. შ ვ ე ლ ი ძ ე დ., სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წარმოშობის ისტორიიდან, კრებული, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1982 წ.
163. ჩ ა რ კ ვ ი ა ნ ი კ., ქართველი მენშევიკების ანტიხალხური ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ, თბ., 1970 წ.
164. ჩ ი ქ ა ვ ა ი., ანტისაბჭოთა პოლიტიკის კრახი გენუის და ჰაგის კონფერენციებზე, თბ., 1964 წ.
165. ჩ ი ქ ა ვ ა ი., გენუის კონფერენცია და საქართველო, კრებული „სსრ კავშირის შექმნის 50 წელი", თბ., 1972 წ.
166. წ ე რ ე თ ე ლ ი კ., კომუნისტური პარტიის ბრძოლა ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ფედერაციის შექმნისათვის, თბ., 1960 წ.
167. ხ ა ჯ ა პ ო რ ი ძ ე გ., ქართველი ხალხის ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის, თბ., 1957 წ.
168. ხ უ ბ უ ლ ა ვ ა ც., საქართველოს კომკავშირული პრესა საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის წლებში (1917—1921 წწ.), თბ., 1978 წ.
169. ჯ ა ნ გ ვ ე ლ ა ძ ე გ., ქართველი ბოლშევიკების იდეური ბრძოლა ანტიპროლეტარული პარტიების წინააღმდეგ 1917—1918 წლებში, ჟურნ. „საქართველოს კომპარტიის ისტორიის საკითხები, № 7, თბ., 1971 წ.
170. ჯ ა ნ გ ვ ე ლ ა ძ ე გ., საქართველოს კომუნისტური პარტიის ბრძოლა ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიების იდეური და ორგანიზაციული განადგურებისათვის (1903—1923 წწ.), თბ., 1974 წ.
171. ჯ ა ნ ჯ ღ ა ვ ა ვ., გლეხთა რევოლუციური მოძრაობა საქართველოში 1917—1921 წლებში, თბ., 1981 წ.
172. Аветисян Г., Комсомол Закавказья в борьбе за победу и упрочение Советской власти (1917—1921 гг.), Ереван, 1964 г.
173. Адамия В., Из истории английской интервенции в Грузии, Сухуми, 1961 г.
174. Андреев А. М., Местные советы и органы буржуазной власти (1917 г.), М., 1983 г.
175. Атанелишвили А. Г., Против буржуазной фальсификации истории Советской Грузии, Тб., 1983 г.
176. Банкротство мелкобуржуазных партий России, 1917—1922 гг., Сборн. научных трудов в 2-х т., М., 1977 г.
177. Берхин И. Б., Вопросы истории периода гражданской войны (1918—1920 гг.) в сочинениях В. И. Ленина, М., 1981 г.
178. Борьба ленинской партии против мелкобуржуазных групп и течений, М., 1981 г.

179. Ганичев В. Н., Молодежная печать: история, теория, практика. М., 1976 г.
180. Городецкий Е. Н., Советская историография Великого Октября, 1917 — середина 30-х годов, Очерки, М., 1981 г.
181. Городецкий Е. Н., Историографические и источниковедческие проблемы Великого Октября, 1930—1960 гг., М., 1982 г.
182. Гусев К. В., Крах партии левых эсеров, М., 1963 г.
183. Гусев К. В., Ерицян Х. А., От соглашательства к контрреволюции, М., 1968 г.
184. Гусев К. В., Полушкина В. А., Стратегия и тактика большевиков в отношении непролетарских партий, М., 1983 г.
185. Драбкина Е., Грузинская контрреволюция, Л., 1928 г.
186. Думова Н. Г., Кадетская контрреволюция и ее разгром (октябрь 1917—1920 гг.), М., 1982 г.
187. Енукидзе Д., Крах империалистической интервенции в Закавказье, Тб., 1954 г.
188. Жвания Г., Комсомол Грузии — помощник партии в борьбе за установление и упрочение Советской власти, Тб., 1957 г.
189. Иоффе А. А., Генуэзская конференция, М., 1922 г.
190. Комин В. В., Банкротство буржуазных и мелкобуржуазных партий в России в период подготовки победы Великой Октябрьской социалистической революции, М., 1965 г.
191. Коминтерн, КИМ и молодежное движение (1919—1943). Сб документов в 2-х т., т. I, 1919—1933 гг. М., 1977 г.
192. Комсомол — боевой помощник партии, 1918—1983 М., 1984, 2.
193. Критика основных концепций современной буржуазной историографии трех российских революций, М., 1983 г.
194. Лейкин А., Против ложных друзей молодежи (из истории борьбы КПСС с буржуазными и мелкобуржуазными партиями за молодежь (1917—1924 гг.), М., 1980 г.
195. Маршукин Б., Иоффе Г., Романовский Н., Три революции в России и буржуазная историография, М., 1977 г.
196. Мерквиладзе В., Создание и упрочение советской государственности в Грузии (1921—1937 гг.), Тб., 1969 г.
197. Мучаидзе Г., Марксизм и концепция партии, Тб., 1977 г.
198. Мухамеджанов М. М., В единстве—сила: КИМ: борьба за единый фронт рабочей молодежи (1919—1939 гг.). М., 1983 г.
199. От Вашингтона до Генуи (сборник статей), М., 1922 г.
200. Партия и Великий Октябрь (историографический очерк), М., 1976 г.
201. Рубан Н. В., Октябрьская революция и крах меньшевизма (март 1917—1918 гг.), М., 1968 г.
202. Славный путь ленинского комсомола. в 2-х томах, т. I, М., 1974 г.

203. Славный путь комсомола Грузии, Тб., 1976 г.

204. Соловьев О. Ф., Великий Октябрь и его противники, М., 1968 г.

205. Спирин Л. М., Классы и партии в гражданской войне в России (1917—1920 гг.), М., 1968 г.

206. Спирин Л. М., Крушение помещичьих и буржуазных партий в России (начало XX в., 1920 г.), М., 1977 г.

207. Церцвадзе М., Логический конец идейных и организационных принципов грузинских меньшевиков, Тб., 1969 г.

208. Шелохаев В. В., Кадеты — главная партия либеральной буржуазии в борьбе с революцией 1905—1907 гг., 1983 г.

209. Штейн Б. Е., Генуэвская конференция, М., 1922 г.

პირთა საძიებელი

აგაჯანოვი მ. 18, 186, 187
ავეტისიანი გ. 14
ამასი (ამირბეგოვი) 74
ამაღლობელი ს. 131, 259, 260, 261, 266, 267, 270, 272, 275, 277, 278
ანდრონიკაშვილი კ. 149
ანდღულაძე შ. 227
არჩემაშვილი ხ. 13
ასათიანი შ. 131, 277
ასტვაცატუროვი ერ. 9, 10, 11, 28, 29, 32, 35, 42, 43, 74.
აფრიდონიძე გ. 16, 28, 56

ბახტაძე 180
ბენდიანიშვილი ა. 17, 227
ბერაძე ვ. 227
ბერიძე ვ. 163
ბეშკენაძე პ. 131
ბოკორიშვილი მ. 149

ბამსახურდია გ. 17
გეგეკკორი ე. 106
გელოვანი დ. 131
გერსამია სერ. 128
გოგიბერიძე მ. 79, 225
გოგორიშვილი ი. 259, 260
გოგუაძე კ. 23
გორბაჩოვი მ. ს. 6
გორგილაძე ლ. 17, 114
გორდელაძე კ. 33, 167, 168, 180
გორდეზიანი ბ. 135
გუბელიძე ბ. 17, 105

დარახველიძე ვ. 231, 285, 291
დგებუაძე ნ. 129
ღებრიეკერი ლ. 112
ღევდარიანი გ. 8, 9, 10, 22, 23, 28, 29, 32, 154, 158, 170, 176, 200, 201, 203, 214, 215, 230, 234, 235, 236, 237, 261, 262, 291.
დემეტრაძე კ. 227
დეღუჩავა შ. 93, 94, 152
დუმბაძე ლ. 185

ებრალიძე ა. 17
ელიავა შ. 22, 177, 180
ენგელსი ფრ. 113, 120, 272
ესაიაშვილი ვ. 17

ვანდერველდე ე. 112

ზაალიშვილი ვ. 136
ზაქარიაძე გ. 81

თალაკვაძე ე. 93, 94
თეთვაძე შ. 237
თემელი ბ. 154
თოიძე ლ. 18, 27

იაშვილი ვ. 140
იმედაშვილი ა. 10, 13, 28, 29, 38, 50, 51, 74.
ინგელსი ა. 112
იოსელიანი ალ. 128

კალანდაძე ალ. 225, 227
კანდელაკი ი. 129
კანტი ი. 113
კაუცკი კ. 91, 112, 113, 114,
კაკარაია დ. 23

კაკბარავა ი. 14, 15, 27, 174, 206
კვინწყლისპირელი ს. 264, 281, 282
კვაკაძე გ. 72
კვაკაძე ს. 27
კიკნაძე გ. 118, 131
კიკნაძე შ. 131
კოხრეიძე ა. 252

ლენინი ვ. ი. 4, 5, 7, 19, 58, 59, 60, 61, 71, 72, 91, 100, 101, 122, 124, 144, 272, 279
ლოთვაძე მ. 154
ლომინაძე ბ. 22, 231, 243
ლორთქიფანიძე ა. 225

მაკაშვილი გ. 48
მარკე ა. 112
მარტინოვი ე. 96
მარქსი კ. 113, 120, 272
მაკავარიანი ლ. 140
მახარაძე ფ. 22, 43, 207, 208, 253
მგელაძე გ. 79
მდივანი ბ. 185
მდივანი ს. 170
მეგრელიშვილი ს. 227
მეგრელიძე ა. 225
მელაშვილი 188
მერკვილაძე ვ. 17
მეჩეხია ბ. 14, 28
მირცხულავა ა. 17, 233, 234
მიხეილიძე ს. 79, 93, 94
მესერიძე პ. 129
მეშიშვილი გ. 132
მეჯირი ა. 17

ნემსაძე პ. 140
ნიკოლაძე გ. 185
ნინიძე კ. 79, 149
ნიჟარაძე ა. 131
ნოზაძე ვ. 69
ნეცებიძე ვ. 225
ნეცებიძე შ. 131, 251

ორაგველიძე დ. 79
ორაგველიძე კ. 22, 158, 164, 173
ოკუჯავა მ. 185, 214
ორახელაშვილი მ. 197
ორჯონიკიძე გ. კ. 22, 144, 178, 179, 180, 181, 183

პაიჭაძე ალ. 227
პეტროვსკი 240

ჟვანია გ. 11, 12, 27, 28, 29, 56, 74, 75, 108, 111, 170, 172, 188, 193, 206, 223, 237, 241, 249, 256, 291
ჟორდანია ნ. 9, 53, 54, 60, 81, 89, 106, 108, 139, 151, 207, 208, 210, 211, 297
ჟღენტი ბ. 131

რამიშვილი ბ. 79
რენოდელი პ. 112
რეხვიაშვილი ს. 287

სვანიძე ი. 131
სიდამონიძე უ. 17
სიხარულიძე შ. 45, 225, 227
სნოუდენი ე. 112
სურგულაძე ა. 17, 33, 35.
სტალინი ი. ბ. 22, 44, 79, 174, 175
სტურუა დ. 27

შრეშაძე ს. 129

ფანცხავა ა. 287
ფირცხალავა ლ. 227

ქართველიშვილი მ. 274
ქარცივაძე ნ. 149
ქელბაქიანი გ. 128
ქიქოძე პ. 140, 218

ღამბაშიძე დ. 129
ღლონტი თ. 252, 286, 288

ყიასაშვილი დ. 93, 94, 225
ყიფიანი კ. 287

შელია კ. 16, 155, 206, 213

შერაზადაშვილი ზ. 18, 186
შოუ ტ. 112

ჩარკვიანი კ. 18, 99
ჩაჩუა ა. 227
ჩაჩუა მ. 79
ჩიქავა ი. 18, 206
ჩხიკვაძე ბ. 123, 125
ჩხიკვიშვილი ბ. 132

ცაგარეიშვილი მ. 32
ცერბერი დ. 183
ცერცვაძე ვ. 227
ცერცვაძე ნ. 108
ცეტკინი კ. 90, 92
ცინცაძე ალ. 227
ცინცაძე კ. 32, 185
ცხადაძე ი. 140
ცხაკაია მ. 23, 74, 75

ძნელაძე ბ. 22, 23, 32, 33, 36, 75, 130, 181, 189

წერეთელი ალ. 128
წერეთელი ი. 82
წერეთელი კ. 18, 184

ხავთასი ვ. 227
ხაჭაპურიძე გ. 18, 56
ხელაია ა. 212
ხმალაძე ვ. 120, 210
ხუბულავა ც. 13, 52
ხომერიკი ნ. 101
ხოფერია გ. 264, 265
ხუნდაძე მ. 42, 55, 61, 79, 82,
ხუნდაძე ს. 252, 253, 287

ჯავახიშვილი ია ს. 149
ჯანგველაძე გ. 16, 56, 206, 208, 255, 269, 289
ჯაში ვ. 272, 274
ჯინორია გ. 149
ჯორჯაძე ა. 119, 274, 275, 276, 281
ჯუღელი ილ. 79

ჰიუსმანსი კ. 112